კარლ მარქსი

# ზედმეტი ღირებულების თეორიები

გამოუქვეყნებელ ხელნაწერიდან:

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის

ტომი მეორე

## დავიდ რიკარდო

ნაწილი პირველი

თარგმნილი გერმანულიდან
ა. იაშვილის მიერ

სახელმწიფო გამომცემლობა
1933

f) მიწის დიფერენციალური რენტა . . . . . . . . . . . . . . . . . 243
g) სხვადასხვა შენიშვნები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 259
h) როდბერტუსი რიკარდოს შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 271
2. შენიშვნები ეგრეთწოდებული რიკარდოს კანონის აღმოჩენის ისტორიის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 286
a) ანდერსონი და მალთუსი. როშერი . . . . . . . . . . . . . . . . —
b) აბსოლუტური რენტა და ღირებულების თეორია . . . . . . . . 301
c) ხორბლის ფასების მოძრაობა 1641 წლიდან 1889 წლამდე . . . . 306
d) რენტის თეორია ანდერსონისა . . . . . . . . . . . . . . . . 313
e) სხვადასხვა ავტორები რენტის თეორიის შესახებ . . . . . . . . 320
სახელთა და საგანთა საძიებელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 322

# I. ზედმეტი ღირებულება და მოგება.

## 1. რიკარდოს ნაწარმოების დალაგება.

რიკარდო გამოდის საქონელთა შეფარდებით ღირებულებათა ანუ საცვლელ ღირებულებათა შრომის იმ რაოდენობის საშუალებით[1] განსაზღვრიდან, რომელიც [საჭიროა მათი წარმოებისათვის]. ამ „შრომის“ ხასიათის გამოკვლევა შემდგომ აღარ ხდება. თუ ორი საქონელი ეკვივალენტებია — ან ეკვივალენტებია განსაზღვრული პროპორციით — ან, რაც იმავეს ნიშნავს, არათანასწორნი არიან სიდიდით, „შრომის“ იმ რაოდენობის მიხედვით, რომელსაც ისინი შეიცავენ, მაშინ ისიც ცხადია აგრეთვე, რომ ისინი სუბსტანციის მიხედვით — რამდენადაც ისინი საცვლელ ღირებულებას წარმოადგენენ — თანასწორნი არიან. მათი სუბსტანცია შრომაა. ამიტომაც ისინი წარმოადგენენ „ღირებულებას“. მათი სიდიდე სხვადასხვაა, იმისდა მიხედვით, მეტად თუ ნაკლებად შეიცავენ ისინი ამ სუბსტანციას. მის სახეს — შრომის განსაკუთრებულ დანიშნულებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ის ჰქმნის ღირებულებას ანუ გამოიხატება საცვლელ ღირებულებაში — ამ შრომის ხასიათს რიკარდო არ იკვლევს. ამიტომ მას ვერ გაუგია ამ შრომის კავშირი ფულთან, ე. ი. ის, რომ ეს შრომა ფულში უნდა გამოისახებოდეს. ამიტომ მას არ ესმის სრულიად კავშირი, რომელიც არსებობს საქონლის საცვლელი ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრასა და საქონელთა იმ აუცილებლობას შორის, რომელსაც ეს უკანასკნელნი ფულის შექმნამდე მიჰყავს. აქედან წარმოსდგება მისი შემცდარი თეორია ფულის შესახებ. მისთვის იმთავითვე საქმე ეხება მხოლოდ ღირებულების სიდიდეს, ე. ი. იმას, რომ საქონლის ღირებულებათა სიდიდენი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც მათი წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობანი. რიკარდო აქედან გამოდის. ის

[1] ჩვენ ბოლოს შეგვიძლია განვიხილოთ ის სხვადასხვა აზრი, რომლითაც რიკარდო სიტყვა „ღირებულებას“ ხმარობს. ამაზეა დამყარებული ბელის (Bailey) კრიტიკა და ამასთანავე ამაში მდგომარეობს რიკარდოს ნაკლიც.

გარკვევით მიგვითითებს ა. ს მ ი ტ ზ ე, როგორც თავის გამოსავალ წერტილზე (თავი 1-ლი, განყოფილება 1-ლი).

რ ი კ ა რ დ ო ს მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: ის გამოდის საქონლის ღირებულებათა სიდიდის სამუშაო დროით განსაზღვრიდან და იკვლევს შემდეგ — ეწინააღმდეგებიან თუ არა დანარჩენი ეკონომიური ურთიერთობანი, კატეგორიები, ღირებულების ამ განსაზღვრას ანდა რამდენად ახდენენ ისინი ამ უკანასკნელის მოდიფიკაციას. პირველი შეხედვითვე აჩნევთ აშკარად, რომ ამ მეთოდს აქვს როგორც თავისი ისტორიული გამართლება, რამდენადაც ის ეკონომიის ისტორიაში მეცნიერულ აუცილებლობას წარმოადგენს, ისე აგრეთვე თავისი მეცნიერული არასაკმარისობაც, რომელიც აშკარავდება არა მარტო გადმოცემის წესში (ფორმალურად), არამედ, რომელსაც აგრეთვე მივყევართ მცდარ შედეგებამდე, ვინაიდან იგი გადაახტება აუცილებელ შუალედ რგოლებს და ცდილობს დაამტკიცოს უ შ უ ა ლ ო წ ე ს ი თ ეკონომიურ კატეგორიათა ერთმანეთს შორის შესაბამობა.

ისტორიულად გამოკვლევის ამ წესს ჰქონდა გამართლება და ის აუცილებელიც იყო. პოლიტიკური ეკონომია ა. ს მ ი ტ ი ს სახით ერთ დიდ მთლიანობად განვითარდა, და ის სივრცე, რომელსაც იგი მოიცავს, რამოდენიმედ შემოიფარგლა, ასე რომ ს ე ი ს (Sey) შეეძლო სასკოლო სახელმძღვანელოში მისი ზერელე სისტემის სახით გადმოცემა. ა. ს მ ი ტ ს ა და რ ი კ ა რ დ ო ს შუა პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა აგრეთვე მხოლოდ დეტალურ გამოკვლევებს პროდუქტიული და არაპროდუქტიული შრომის, ფულის არსებისა, მოსახლეობის თეორიის, მიწის საკუთრებისა და ხარკების შესახებ. თვით ა. ს მ ი ტ ი დიდის გულუბრყვილობით ტრიალებს მუდმივ წინააღმდეგობაში. ერთის მხრივ, ის იკვლევს ეკონომიურ კატეგორიათა შინაგან კავშირს — ანუ ბურჟუაზიული ეკონომიური სისტემის ფარულ აგებულობას. მეორეს მხრივ, ის გვერდში აყენებს კავშირს იმ სახით, როგორც იგი მოცემულია გარეგნულად კონკურენციის მოვლენებში და, მაშასადამე, წარმოუდგება არა მეცნიერულ დამკვირვებელს, სავსებით ისევე, როგორც ეს წარმოუდგება ბურჟუაზიული წარმოების პროცესში პრაქტიკულად ჩაბმულ და დაინტერესებულ პირს. გაგების ეს ორივე წესი, რომელთაგანაც ერთი იჭრება შინაგან კავშირში, ასე ვსთქვათ ბურჟუაზიული სისტემის ფიზიოლოგიაში, მეორე კი მხოლოდ ასწერს, აკატალოგებს, მოგვითხრობს და დაიყვანს ცნებათა სქემატიურ განსაზღვრამდე მას, რაც ცხოვრების პროცესში გარეგნულად აშკარავდება, და ამასთანავე იმ სახით, როგორადაც ის აშკარავდება და გვევლინება, — აი გაგების ის ორი

წესი, რომელიც ა. სმიტის გამოკვლევაში არა მარტო ძალდაუტანებლად მისდევს ერთი მეორეს, არამედ ერთი მეორეში იხლართება და მუდამ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამ გარემოებას ა. სმიტის გამოკვლევებში თავისი გამართლება აქვს, გარდა ისეთ ცალკე დეტალურ გამოკვლევათა, როგორიცაა, მაგალითად, გამოკვლევა ფულის შესახებ, ვინაიდან მის ნაწარმოებს მართლაც ორი მიზანი ჰქონდა. ერთის მხრივ, ის ცდილობდა შეჭრილიყო ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან ფიზიოლოგიაში; მეორეს მხრივ კი მას უნდოდა რამოდენიმედ პირველად აეწერა ამ საზოგადოების გარეგნულად გამოხატული სასიცოცხლო ფორმები, გამოეხატა მისი გარეგნულად გამომჟღავნებული კავშირი და რამოდენიმედ აგრეთვე მოენახა ამ მოვლენებისათვის ნომენკლატურა და საოანადო გონებრივი ცნებანი. მაშასადამე, რამოდენიმედ პირველად წარმოესახა ისინი ენაში და აზროვნების პროცესში. ორივე სამუშაო მას ერთნაირად აინტერესებს და, რადგანაც ორივე ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, ამიტომაც აქ ადგილი აქვს მოვლენათა წარმოდგენის ორ ერთი მეორის სრულიად საწინააღმდეგო წესს: ერთი, რომელიც მეტად თუ ნაკლებად სწორად გამოხატავს შინაგან კავშირს და მეორე, რომელიც იმავე უფლებით და ყოველგვარ შინაგან დამოკიდებულების გარეშე — გაგების მეორე წესთან სრულიად დაუკავშირებლად — გამოხატავს გარეგან კავშირს. [სმიტის] მომდევნო ეკონომისტებს კი, რამდენადაც ისინი არ გამოხატავენ გაგების ძველ და გადალახულ წესების რეაქციას სმიტის წინააღმდეგ, შეუძლიათ თავიანთ დეტალურ გამოკვლევებსა და ნარკვევებში შეუფერხებლად წავიდენ წინ და მუდამ დაეყრდნონ ა. სმიტს, როგორც თავიანთ საფუძველს, განურჩევლად იმისა, ემხრობიან ისინი მისი ნაწარმოების ეზოტერიულ თუ ეგზოტერიულ ნაწილს ან — რასაც თითქმის მუდამ ადგილი აქვს — თუ ორთავეს ერთმანეთში ურევენ. მაგრამ ამასობაში დაბოლოს გამოდის რიკარდო და შესძახებს მეცნიერებას — შესდეგ! საფუძველი, გამოსავალი წერტილი ბურჟუაზიული სისტემის ფიზიოლოგიისა — მისი შინაგანი ორგანიული კავშირის და სასიცოცხლო პროცესის გაგებისა — არის ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით. აქედან გამოდის რიკარდო და აიძულებს მეცნიერებას მიატოვოს თავისი ძველი ჩვეულება და ანგარიში მისცეს თავის თავს იმის შესახებ, თუ რამდენად დანარჩენი, მის მიერ განვითარებული და გამორკვეული კატეგორიები — წარმოების და მიმოქცევის ურთიერთობანი — შეეფერებიან ან ეწინააღმდეგებიან ამ საფუძველს, ამ გამოსავალ წერტილს — თუ საზოგადოდ მეცნიერება, როგორც პროცესის მხოლოდ გამო;

აშკარავების ფორმების ამსახველი, კვლავ აღმდგენი, და აგრეთვე თვით ეს მოვლენებიც, რამდენად შეეფერებიან იმ საფუძველს, რომელზედაც დამყარებულია შინაგანი კავშირი, ბურჟუაზიული საზოგადოების ნამდვილი ფიზიოლოგია, ანდა რომელიც შეადგენს მის გამოსავალ წერტილს, და, ბოლოს, თუ როგორა დგას საერთოდ საკითხი იმ წინააღმდეგობის ირგვლივ, რომელიც არსებობს სისტემის მოჩვენებითსა და ნამდვილ მოძრაობას შორის. სწორედ ამაში მდგომარეობს რიკარდოს დიდი ისტორიული მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, რის გამოც უგვანო სეიმ, რომელსაც მან ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა, თავისი გულისწყრომა შემდეგ ფრაზაში გამოხატა: „რომ ის (მეცნიერება), გაფართოების მომიზეზებით, ცარიელ სივრცეში გადაჩეხეს“-ო. ამ მეცნიერულ დამსახურებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ის, რომ რიკარდო ააშკარავებს, გამოსთქვამს კლასთა ეკონომიურ წინააღმდეგობას — როგორც მას შინაგანი კავშირი ამჟღავნებს — და, ამრიგად, ეკონომიაში აშკარავდება და მჟღავნდება ისტორიული ბრძოლა და განვითარების პროცესი ამ უკანასკნელის ფესვებშივე. ამიტომ კერი აბეზღებს მას როგორც კომუნიზმის მამამთავარს.

„ბატონ რიკარდოს სისტემა არის სისტემა განხეთქილებისა... მას ტენდენცია აქვს ჩამოაგდოს მტრობა კლასთა შორის და ერთა შორის... მისი წიგნი ნამდვილი სახელმძღვანელოა დემაგოგისათვის, რომელიც ძალაუფლებას ესწრაფვის მიწის კონფისკაციის, ომისა და დარბევის საშუალებით“ (H. Carey, The Past, the Present and the Future. Philadelphia 1848. გვ. 74, 75).

ამრიგად, თუ, ერთის მხრივ, ნათელია რიკარდოს გამოკვლევის წესის მეცნიერული მნიშვნელობა და დიდი ისტორიული ღირებულება, მეორეს მხრივ, თვალსაჩინოა მისი მეთოდის მეცნიერული ნაკლოვანება, რაც აშკარა გახდება შემდგომი გადმოცემის ცალკე ნაწილებში.

აქედან წარმოსდგება აგრეთვე არაჩვეულებრივად ახირებული და ძალაუნებურად უკუღმართი არქიტექტონიკა მისი ნაწარმოებისა. მთელი ნაწარმოები შესდგება (მესამე გამოცემაში) 32 თავისაგან. მათ შორის 11 თავი არკვევს ხარკებს, ამრიგად, შეიცავს მხოლოდ თეორიული პრინციპების გამოყენებას. მე-20 თავი, „ღირებულება და სიმდიდრე, მათი განმასხვავებელი ნიშნები“, არის მხოლოდ გამოკვლევა იმ განსხვავების, რომელიც არსებობს სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის, მაშასადამე, ის არის დამატება პირველი თავისა ღირებულების შესახებ. მე-24 თავი, „ა. სმიტის მოძღვრება მიწის რენტის შესახებ“, ისევე როგორც მე-28 თავი, „ოქროსი, პურის და შრომის შედარებითი ღირებულების შესახებ

მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში", და მე-32 თავი, „ბატონ მ ა ლ თ უ ს ი ს შეხედულებანი რენტაზე", წარმოადგენენ მხოლოდ დამატებას და ნაწილობრივად რ ი კ ა რ დ ო ს მიწის რენტის თეორიის დაცვას, ე. ი. იმ მე-2 და 3 თავების უბრალო დანართს, რომელნიც რენტას არკვევენ. მე-30 თავი, „ფასებზე მოთხოვნისა და მიწოდების გავლენის შესახებ", არის უბრალო დანართი მე-4 თავის, „ბუნებრივი და საბაზრო ფასის შესახებ". ამ თავის მეორე დანართს წარმოადგენს მე-19 თავი, „ვაჭრობის არხებში უეცარ ცვლილებათა შესახებ". მე-31 თავი, „მანქანათა არსების შესახებ" არის უბრალო დანართი მე-5 და 6 თავებისა, „შრომის ხელფასისა" და „მოგების" შესახებ. მე-7 თავი, „საგარეო ვაჭრობის შესახებ", და მე-25 თავი, „კოლონიალური ვაჭრობის შესახებ" წარმოადგენენ, ისევე როგორც თავები ხარკების შესახებ, წინათ წამოყენებული პრინციპების უბრალო გამოყენებას. მე-26 თავი, „საერთო და წმინდა შემოსავლის შესახებ" და მე-21 თავი, „დაგროვების გავლენა მოგებასა და სარგებელზე", წარმოადგენენ მიწის რენტის, მოგების და შრომის ხელფასის თავების დანართს. დასასრულ მე-27 თავს, „ტრიალის საშუალებათა და ბანკების შესახებ" სრულიად განცალკევებული ადგილი უჭირავს ნაწარმოებში და არის მხოლოდ შემდგომი განვითარება, ნაწილობრივ მოდიფიკაცია იმ შეხედულებათა, რომელნიც წამოყენებული იყო მის ადრევე გამოცემულ ნაწარმოებებში ფულის შესახებ.

ამრიგად, რ ი კ ა რ დ ო ს თეორია მოთავსებულია წიგნის მარტოოდენ პირველ ექვს თავში. როდესაც მე ვლაპარაკობ მის შემცდარ არქიტექტონიკაზე, მხედველობაში ეს ნაწილი მაქვს. მეორე ნაწილი შესდგება შენიშვნებიდან, განმარტებებიდან და დამატებებიდან (გარდა იმ განყოფილებისა, რომელიც ეხება ფულს), რომელნიც ბუნებრივად არეული არიან ერთმანეთში და არავითარ პრეტენზიას არ უყენებენ არქიტექტონიკას. მაგრამ შემცდარი არქიტექტონიკა თეორიულ ნაწილში, პირველ ექვს თავში, შემთხვევითი არ არის, არამედ იგი შედეგია თვით რ ი კ ა რ დ ო ს გამოკვლევის წესისა და იმ გარკვეული ამოცანისა, რომელიც მისი კვლევის მიზანს შეადგენდა. იგი გამოხატავს გამოკვლევის თვით ამ წესის მეცნიერულ არასაკმარისობას.

პირველი თავი იხილავს ღირებულებას. იგი თავის მხრივ ნაწილდება შვიდ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში განხილულია საკუთრივ შემდეგი საკითხი: ეწინააღმდეგება თუ არა შრომის ხელფასი საქონელთა ღირებულების განსაზღვრას მათში მოთავსებული სამუშაო დროით? მესამე განყოფილებაში სწარმოებს დამტკიცება იმ დებულების, რომ საქონლის ღირებულებაში შესვლა იმისი,

რასაც მე მუდმივ კაპიტალს ვუწოდებ, არ ეწინააღმდეგება ღირებულების განსაზღვრას, და რომ შრომის ხელფასის აწევა და დაწევა ასევე ნაკლებად ახდენს გავლენას საქონელთა ღირებულებაზე. მეოთხე განყოფილებაში ადგილი აქვს გამოკვლევას იმის შესახებ, თუ რამდენად მანქანათა და სხვა ძირითადი და ხანგრძლივი კაპიტალის გამოყენება, — რამდენადაც კაპიტალის ეს ნაწილი წარმოების სხვადასხვა სფეროებში სხვადასხვა შეფარდებით შედის საერთო კაპიტალში, — სცვლის საცვლელ ღირებულებათა სამუშაო დროით განსაზღვრას. მეხუთე განყოფილებაში სწარმოებს განხილვა იმისი, თუ რამდენად სცვლის ღირებულებათა სამუშაო დროით განსაზღვრას შრომის ხელფასის აწევა ან დაცემა, როდესაც წარმოების სხვადასხვა სფეროებში ადგილი აქვს არათანასწორი ხანგრძლივობის და გადაბრუნების სხვადასხვა დროის მქონე კაპიტალთა გამოყენებას.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ პირველ თავში ლაპარაკია არა მარტო საქონელზე — და არც უნდა იყოს სხვა რამეზე ლაპარაკი, თუ აქ განიხილება ღირებულება, როგორც ასეთი, — არამედ შრომის ხელფასზე, კაპიტალზე, მოგებაზე, თვით მოგების საერთო ნორმაზე, — როგორც ამას ჩვენ დავინახავთ, კაპიტალის სხვადასხვა ფორმებზე, როგორც ეს უკანასკნელნი მიმოქცევის პროცესიდან წარმოსდგებიან, და აგრეთვე იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს „ბუნებრივსა“ და „საბაზრო ფასს“ შორის და ამასთანავე იმ სახით, რომ ეს უკანასკნელი გადამჭრელ როლსაც კი ასრულებს შემდგომ ორ თავში: „მიწის რენტის“ და „სამთამადნო რენტის“ შესახებ.

ეს მე-2 თავი, „მიწის რენტის შესახებ“ — მე-3 თავი, „სამთამადნო რენტის შესახებ“, წარმოადგენს ამის უბრალო დამატებას — სრულიად შეთანხმებულად რ ი კ ა რ დ ო ს გამოკვლევის წესის მსვლელობასთან კვლავ მართებულად იწყება შემდეგი საკითხის დასმით: ეწინააღმდეგება თუ არა მიწის საკუთრება და მიწის რენტა საქონელთა ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრას? „მაგრამ რჩება გამოსაკვლევად“, — ასე იწყებს რ ი კ ა რ დ ო მე-2 თავს „მიწის რენტის შესახებ“, — „საკითხი იმის შესახებ, იწვევს თუ არა მიწის მისაკუთრება და აქედან გამომდინარე შექმნა მიწის რენტისა რაიმე ცვლილებას საქონელთა შეფარდებით ღირებულებაში, დამოუკიდებლად შრომის იმ რაოდენობისა, რომელიც მათი წარმოებისათვის აუცილებელია“. (Principles of Political Economy. მე-3 გამოცემა. ლონდონი 1821 წ. გვ. 53.)

და აი, რათა ეს გამოკვლევა აწარმოოს, მას არა მარტო en passant მოჰყავს „საბაზრო ფასის“ და „რეალური ფასის“ შეფარდება,

რომელიც ღირებულების ფულად გამოხატულებას უდრის, არამედ ის გულისხმობს მთელ კაპიტალისტურ წარმოებას და მთელ თავის გაგებას შრომის ხელფასსა და მოგებას შორის არსებულ დამოკიდებულების შესახებ. ამიტომ მე-4 თავი, „ბუნებრივი და საბაზრო ფასის შესახებ", მე-5 თავი, „შრომის ხელფასის შესახებ" და მე-6 თავი, „მოგების შესახებ" არა მარტო ნაგულისხმევია, არამედ მთლიანად განვითარებულია პირველ ორ თავში: „ღირებულების შესახებ" და „მიწის რენტის შესახებ" და მე-3 თავში, როგორც მეორე თავის დანართში.

შემდგომ სამ თავში მხოლოდ ალაგ-ალაგ, რამდენადაც ეს თავები თეორიულად ახალს იძლევიან, შევსებულია ხარვეზები და წინანდელი დანაკლისის სამაგიეროდ მოცემულია ახალი განმარტებანი, რომელთაც უმთავრესად და სამართლიანად ადგილი უნდა ჰქონოდათ უკვე პირველ და მეორე თავში.

ამრიგად, რიკარდოს მთელი ნაწარმოები მოთავსებულია მის პირველ ორ თავში. განვითარებული ბურჟუაზიული წარმოების პროცესები და აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის განვითარებული კატეგორიები, აქ პირისპირ წაყენებული არიან მათ პრინციპთან, ღირებულების განსაზღვრასთან, და გამოწვეული პასუხის გასაცემად იმაზე, თუ რამდენად შეეფერებიან ისინი პირდაპირ ამ პრინციპს ანუ როგორ დგას საკითხი იმ მოჩვენებითი გადახრების შესახებ, რომელნიც მათ შეაქვთ საქონელთა ღირებულების დამოკიდებულებაში. ეს თავები შეიცავს რიკარდოს მთელ კრიტიკას მანამდე არსებული პოლიტიკური ეკონომიისა, კატეგორიულ ჩამოშორებას ა. სმიტის იმ მუდმივი წინააღმდეგობიდან, რომელიც არსებობდა გაგების ეზოტერიულ და ეგზოტერიულ წესს შორის, და ამ კრიტიკის საშუალებით ისინი იძლევიან ზოგიერთ სრულიად ახალ და განსაცვიფრებელ შედეგებს. აქედან წარმოსდგება ის დიდი თეორიული სიამოვნება, რომელსაც ეს ორი პირველი თავი გვაძლევს, ვინაიდან ისინი შემჭიდროებულ და მოკლე ფორმაში იძლევიან განზე წრეგადასული და სწორ გზას ამცდარი ძველი ეკონომიის კრიტიკას და ეკონომიის მთელ ბურჟუაზიულ სისტემას გვიხატავენ როგორც ძირითადი კანონისადმი დამორჩილებულს, უყრიან რა თავს მოვლენათა სხვადასხვაობიდან და მრავალსახეობიდან მას, რაც მათ კვინტესენციას შეადგენს. მაგრამ თეორიული კმაყოფილება, რომელსაც ეს პირველი ორი თავი იძლევა თავისი ორიგინალობით, ძირითადი შეხედულების მთლიანობით, სიმარტივით, კონცენტრაციულობით, სიღრმით, სიახლით და მრავალშემცველი სიმჭიდროით, ძალაუნებუ-

რად იკარგება ნაწარმოების შემდგომ მსვლელობაში. აქაც აგრეთვე ალაგ-ალაგ ჩვენ ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი დასკვნის ორიგინალობა, მაგრამ ნაწარმოები, აღებული მთლიანად, იწვევს დაღლილობას და მოწყენილობას. ნაწარმოების შემდგომი სვლა აღარ წარმოადგენს უკვე მის შემდგომ განვითარებას. სადაც ის არ შესდგება იმავე პრინციპების ერთფეროვანი და ფორმალური გამოყენებისაგან იმ სხვადასხვა მასალის მიმართ, რომელიც შეგროვილია გარეგნული ნიშნების მიხედვით, ანდა აგრეთვე ამ პრინციპების პოლემიკური დამტკიცებისაგან, იქ ადგილი აქვს მხოლოდ ან განმეორებას ან წინათ დაშვებული ნაკლის შევსებას, ანდა, სულ დიდი, უკანასკნელ ნაწილებში, აქა-იქ განსაცვიფრებელ საბოლოო დასკვნებს.

რიკარდოს კრიტიკაში ჩვენ, მაშასადამე, უნდა განვასხვაოთ ის, რაც თვით მან ვერ განასხვავა. ჯერ ერთი, მისი თეორია ზედმეტი ღირებულების შესახებ, რომელიც მისთვის, რასაკვირველია, არსებობს, თუმცა იგი ამ ზედმეტ ღირებულებას ვერ უკეთებს ფიქსაციას მის განსხვავებაში მისავე განსაკუთრებული ფორმებისაგან, მოგების, რენტის და სარგებლისაგან. მეორე, მისი თეორია მოგების შესახებ. ჩვენ დავიწყებთ ამ უკანასკნელიდან, მიუხედავად იმისა, რომ ის ეკუთვნის არა ამ განყოფილებას, არამედ მესამე განყოფილების ისტორიულ დანართს.

## 2. მოგების თეორია რიკარდოსი.

### a) რიკარდოს შეხედულება ღირებულებაზე.

წინასწარ კიდევ რამოდენიმე შენიშვნა იმის შესახებ, თუ როგორ ურევს რიკარდო ერთმანეთში ღირებულების განსაზღვრათ. ბეილის პოლემიკა მის წინააღმდეგ ამაზეა დამყარებული. ამრიგად, ის ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია.

პირველ ყოვლისა რიკარდო ღირებულებას საცვლელ ღირებულებას უწოდებს (value in exchange) და ა. სმიტთან ერთად განსაზღვრავს მას „როგორც სხვა დოვლათითა შეძენის უნარს" (Principles, გვ. 1). ეს არის საცვლელი ღირებულება, როგორადაც ის უწინარეს ყოვლისა გვევლინება. შემდეგ კი ის გადადის ღირებულების ნამდვილ განსაზღვრაზე:

„არსებობს საქონელთა სათანადო რაოდენობა, რომელიც შრომის საშუალებით იქმნება და რაც მათ აწმყო ან წარსულ შეფარდებით ღირებულებას განსაზღვრავს" (l. c., გვ. 9).

„შეფარდებითი ღირებულება" ეწოდება აქ მხოლოდ სამუშაო დროით განსაზღვრულ საცვლელ ღირებულებას. მაგრამ შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე სხვა აზრიც; სახელდობრ, რამდენადაც მე ერთი საქონლის საცვლელ ღირებულებას მეორე საქონლის სახმარ ღირებულებაში გამოვხატავ; მაგალითად, შაქრის საცვლელ ღირებულებას ყავის სახმარ ღირებულებაში.

„ორი საქონელი იცვლის თავის შეფარდებით ღირებულებას და ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რომელ მათგანში მოხდა ც ვ ლ ი ლ ე ბ ა" (Principles, გვ. 9).

რომელი ცვლილება? ამ „შეფარდებით ღირებულებას" რ ი კ ა რ დ ო შემდეგში უწოდებს აგრეთვე „შ ე დ ა რ ე ბ ი თ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს" (l. c., გვ. 448 და შემდ.). ჩვენ გვსურს ვიცოდეთ რომელ საქონელში მოხდა „ცვლილება", ე. ი. გვინდა ვიცოდეთ იმ ღირებულების ცვლილება, რომელსაც ზემოთ შეფარდებითი ღირებულება ეწოდება. მაგალითად, 1 გირვანქა შაქარი უდრის 2 გირვანქა ყავას. შემდეგში 1 გირვანქა შაქარი უდრის 4 გირვანქა ყავას. „ცვლილება", რომელიც ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, მდგომარეობს შემდეგში: შეიცვალა შაქრისათვის თუ ყავისათვის „საჭირო სამუშაო დრო", ღირს ახლა შაქარი ორჯერ მეტი სამუშაო დრო წინანდელთან შედარებით, თუ ყავა ორჯერ ნაკლები სამუშაო დრო, ვიდრე წინათ, და ამ დასახელებულ საქონელთა წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროში მომხდარ „ცვლილებათაგან" რომელმა გამოიწვია ცვლილება მათ გაცვლა-გამოცვლის შეფარდებაში. შაქრის და ყავის ეს „შეფარდებითი" ანუ „შედარებითი" ღირებულება — შეფარდება, რომლის მიხედვითაც ისინი ერთი მეორეზე იცვლებიან — განსხვავდება, მაშასადამე, შეფარდებითი ღირებულებიდან ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობით. პირველი მნიშვნელობის მიხედვით შაქრის შეფარდებითი ღირებულება განისაზღვრება შაქრის იმ მასით, რომლის წარმოებაც შესაძლებელია განსაზღვრულ სამუშაო დროში. მეორე შემთხვევაში კი შაქრის და ყავის შეფარდებითი ღირებულება გამოხატავს მხოლოდ იმ შეფარდებას, რომლის მიხედვითაც ისინი ერთი მეორეზე იცვლებიან, და ცვლილებანი ამ შეფარდებაში შესაძლებელია გამოწვეულ იქნან ყავის ან შაქრის შეფარდებითი ღირებულების შეცვლით სიტყვის პირველი მნიშვნელობის მიხედვით. შეფარდება, რომლის მიხედვითაც მათი ერთი მეორეზე გაცვლა სწარმოებს, შეიძლება იგივე დარჩეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი „შეფარდებითი ღირებულებანი", სიტყვის პირველი მნიშვნელობით, შეიცვალა. 1 გირვანქა შაქარი შეიძლება უდრიდეს, ისევე როგორც წინათ, 2 გირვანქა ყავას, თუმცა სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა შაქრისა

და ყავის წარმოებისათვის, ორჯერ გაიზარდა ანდა სანახევროდ შემცირდა. *ცვლილებანი* მათ „შედარებით ღირებულებაში“, ე. ი. როდესაც შაქრის საცვლელი ღირებულება ყავაში და vice versa გამოისახება, გამოაშკარავდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი შეფარდებითი ღირებულებანი სიტყვის პირველი მნიშვნელობით, ე. ი. შრომის რაოდენობით განსაზღვრული ღირებულებანი არა თანასწორად შეიცვლებიან, მაშასადამე, მოხდება მათი შეფარდების ცვლილება. აბსოლუტური ცვლილებანი, — თუ რომ ეს უკანასკნელნი თავდაპირველ შეფარდებას არ სცვლიან, მაშასადამე, თანატოლი სიდიდის არიან და ერთიდაიმავე მიმართულებით სწარმოებენ, — არავითარ ცვლილებას არ გამოიწვევენ შედარებით ღირებულებებში, არ გამოიწვევენ ცვლილებას აგრეთვე არც ამ საქონელთა *ფულად ფასების* შეფარდებაში, ვინაიდან ფულის ღირებულება, იმ შემთხვევაში, თუ ის შეიცვლება, ორივესათვის იმავდროულად შეიცვლება. ამიტომ გამოვხატავ მე ორი საქონლის ღირებულებას მათ საკუთარ ურთიერთ სახმარ ღირებულებებში, თუ წარმოვიდგენ ორთავეს მათ ფულად ფასში, ე. ი. მესამე საქონლის სახმარ ღირებულებაში, — ეს *შეფარდებითი* და *შედარებითი* ღირებულებანი ანუ ფასები იგივე რჩებიან და მათი ცვლილებანი უნდა განვასხვაოთ საქონელთა *შეფარდებითი ღირებულებების* ცვლილებათაგან ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობით, ე. ი. რამდენადაც ეს შეფარდებითი ღირებულებანი გამოსახავენ მხოლოდ ამ საქონელთა *საკუთარ* წარმოებისათვის საჭირო, *მაშასადამე*, *თვით მათში რეალიზაციაქმნილი*, სამუშაო დროის ცვლილებას. უკანასკნელი *შეფარდებითი ღირებულება* გვევლინება, მაშასადამე, როგორც *„აბსოლუტური ღირებულება“*, შედარებით შეფარდებითს ღირებულებასთან ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობით, ე. ი. ერთი საქონლის საცვლელი ღირებულების მეორე საქონლის სახმარ ღირებულებაში ანუ ფულში რეალური გამოხატვის მნიშვნელობით. აქედანვე წარმოსდგება აგრეთვე ის, რომ *რიკარდო* „შეფარდებითი ღირებულებისათვის“ ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობით იღებს გამოთქმას: *„აბსოლუტური ღირებულება“*.

> „გამოკვლევა, რომელზედაც მე ვცდილობ მივაქციო მკითხველის ყურადღება, შეეხება საქონელთა *შეფარდებით* და არა *აბსოლუტურ* ღირებულებათა ცვლილების გავლენას“ (l. c., გვ. 15).

ამ „აბსოლუტურ“ ღირებულებას *რიკარდო* სხვაგვარად უწოდებს აგრეთვე „რეალურ ღირებულებას“ ანუ *ღირებულებას* უბრალოდ (მაგ., გვ. 16).

იხილე ბ ე ლ ი ს პოლემიკა რ ი კ ა რ დ ო ს წინააღმდეგ წიგნში: „A Critical Dissertation on the Nature, Measures and Causes of Value; chiefly in reference to the writings of Mr. Ricardo and his followers. By the Autor of Essays on the Formation and Publication of opinions. London 1825". (იხილე აგრეთვე მისივე: „A letter to a Polit. Economist; occasioned by an article in the Westminster Review etc. London 1826".)

ბ ე ლ ი ს მთელი პოლემიკა ტრიალებს ნაწილობრივ ამ სხვადასხვა მომენტების გარშემო ღირებულების ცნების განსაზღვრაში, იმ მომენტების, რომელნიც რ ი კ ა რ დ ო ს არ განუვითარებია, არამედ მოცემული აქვს ფაქტიურად და ერთი მეორეში არეულად და რომლებშიც ბ ე ლ ი მხოლოდ „წინააღმდეგობებს" პოულობს; ნაწილობრივ კი ეს პოლემიკა მიმართულია „აბსოლუტური ღირებულების" ან „რეალური ღირებულების" წინააღმდეგ განსხვავებით შედარებითი ღირებულებისგან სიტყვის მეორე მნიშვნელობით. „ნაცვლად იმისა" — ამბობს ბ ე ლ ი ზემოაღნიშნულ პირველ ნაწარმოებში — „რომ ღირებულება განხილულ იქნას როგორც შეფარდება ორ ნივთს შორის, ისინი (რ ი კ ა რ დ ო და მისი მიმდევრები), როგორც ჩანს, უყურებენ მას როგორც დადებით შედეგს, რომელიც იქმნება შრომის განსაზღვრული რაოდენობით" (l. c., გვ. 30). ისინი იხილავენ „ღირებულებას როგორც რაღაც ნამდვილს და აბსოლუტურს" (l. c., გვ. 8). უკანასკნელი საყვედური გამომდინარეობს რ ი კ ა რ დ ო ს არა დამაკმაყოფილებელი გადმოცემიდან, რადგანაც ის სრულებით არ არკვევს ღირებულებას ფორმის მიხედვით — იმ განსაზღვრული ფორმის, რომელსაც ღებულობს შრომა როგორც ღირებულების სუბსტანცია, — არამედ ის იკვლევს მხოლოდ ღირებულების სიდიდეთ, იმ აბსტრაქტულ-საყოველთაო შრომის და ამ ფორმაში საზოგადოებრივი შრომის იმ რაოდენობათ, რომელნიც იწვევენ განსხვავებას საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ი დ ი დ ე შ ი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბ ე ლ ი ს უნდა დაენახა, რომ ღირებულების ცნების რელატიურობა არავითარ შემთხვევაში არ ისპობა მით, რომ ყველა საქონელი, რამდენადაც ისინი საცვლელი ღირებულებანი არიან, წარმოადგენენ საზოგადოებრივი სამუშაო დროის მხოლოდ „რელატიურ" გამოსახვას და, რომ მათი რელატიურობა არავითარ შემთხვევაში არ მდგომარეობს მარტო იმ შეფარდებაში, რომლის მიხედვითაც ისინი ერთი მეორეზე იცვლებიან, არამედ იგი მდგომარეობს აგრეთვე ყოველ მათ შეფარდებაშიც ამ საზოგადოებრივ შრომასთან, როგორც მათ სუბსტანციასთან.

პირიქით, როგორც ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რ ი კ ა რ დ ო ს უფრო ის უნდა უსაყვედუროთ, რომ ის ამ „რეალურ“ ან „აბსოლუტურ ღირებულებას“ ძლიერ ხშირად ივიწყებს და მხოლოდ „შეფარდებით“ ან შედარებით ღირებულებას ებღაუჭება.

b) რ ი კ ა რ დ ო ს შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა მ ო გ ე ბ ა ზ ე , მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა ზ ე , წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს ე ბ ზ ე დ ა ს ხ ვ .

პირველი თავის მე-3 განყოფილებაში რ ი კ ა რ დ ო შემდეგ აზრს ანვითარებს: როდესაც მე ვამბობ, რომ საქონლის ღირებულება სამუშაო დროით განისაზღვრება, მე მხედველობაში მაქვს, რომ ეს შეეხება როგორც შრომას, რომელიც შრომის უკანასკნელ პროცესში უშუალოდ დახარჯულია საქონელზე, ისე აგრეთვე იმ სამუშაო დროს, რომელიც ნედლ მასალაში და საქონლის წარმოებისათვის საჭირო შრომის საშუალებებშია მოთავსებული. მაშასადამე, ეს შეეხება არა მარტო იმ სამუშაო დროს, რომელიც მოთავსებულია ახლად დამატებულ, შრომის ხელჟასით გადახდილ, ნაყიდ შრომაში, არამედ აგრეთვე საქონლის იმ ნაწილში მოთავსებულ სამუშაო დროსაც, რომელსაც მე მუდმივ კაპიტალს ვუწოდებ.

ნაკლი მაშინვე აშკარავდება, 1-ლი თავის ამ მესამე განყოფილების სათაურშივე. ეს სათაური გვაუწყებს:

„საქონლის ღირებულებას განსაზღვრავს არა მარტო ის შრომა, რომელიც უშუალოდ საქონელზე იხარჯება, არამედ ის შრომაც, რომელიც მის დამხმარე ხელსაწყოებსა, სამუშაო იარაღებსა და შენობებშია განხორციელებული“ (l. c., გვ. 18).

აქ გამოშვებულია ნედლი მასალა, მაშინ როდესაც ნედლ მასალაზე დახარჯული შრომა ისევე განსხვავდება „უშუალოდ საქონელზე დახარჯული შრომისაგან“, როგორც შრომის საშუალებებზე — „დამხმარე ხელსაწყოებსა, სამუშაო იარაღებსა და შენობებზე“ დახარჯული შრომა. მაგრამ რ ი კ ა რ დ ო ს უკვე მზად აქვს თავში შემდეგი განყოფილება. ამ განყოფილებაში იგი უშვებს, რომ გამოყენებული შრომის იარაღები სხვადასხვა საქონელთა წარმოებაში ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თ ა ნ ა ს წ ო რ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ე ბ ი თ შედიან. შემდგომ თავში იგი არკვევს იმ განსხვავებას, რომელიც გამომდინარეობს [საქონლებში] ძირითადი კაპიტალის ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა პ რ ო პ ო რ ც ი ი თ შესვლიდან. ამიტომ რ ი კ ა რ დ ო ვერ მიდის მ უ დ მ ი ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ცნებამდე, იმ მუდმივი კაპიტალისა, რომლის ერთი ნაწილი ძირითადი კაპიტალისაგან შესდგება და მეორე ნაწილი კი,— ნედლი მასალა და დამხმარე ნივთიერება, — საბრუნავი კაპიტალისაგან სწორედ ისევე, როგორც ეს უკანასკნელი, ე. ი. ს ა ბ რ უ ნ ა ვ ი კა-

*პიტალი* შეიცავს არა მარტო ცვალებად კაპიტალს, არამედ აგრეთვე ნედლ მასალას და სხვ., და საერთოდ შეიცავს [სამრეწველო] მოხმარებაში (არა მარტო მუშების მოხმარებაში) შემავალ საარსებო საშუალებებს.

ის შეფარდება, რომლითაც მუდმივი კაპიტალი რომელიმე საქონელში შედის, ეხება არა საქონელთა *ღირებულებებს*, არა შრომის შეფარდებით რაოდენობას, რომელიც საქონლებშია მოთავსებული, არამედ იგი უშუალოდ ეხება *ზედმეტი ღირებულების* ანუ *ზედმეტი შრომის* იმ სხვადასხვა რაოდენობას, რომელიც მოთავსებულია თანასწორი რაოდენობის სამუშაო დროის შემცველ საქონლებში. ეს სხვადასხვა შეფარდება იწვევს ამიტომ ღირებულებათაგან განსხვავებულ საშუალო ფასებს.

პირველი თავის მე-4 და მე-5 განყოფილების შესახებ საჭიროა, პირველ ყოვლისა, აღინიშნოს შემდეგი: იმის ნაცვლად, რომ *რიკარდო* არკვევდეს უაღრესად დახლართულ და ზედმეტი ღირებულების შექმნასთან უშუალოდ დაკავშირებულ განსხვავებას იმ შეფარდებაში, რომლის მიხედვით მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი შეადგენენ კაპიტალის ერთიდაიმავე მასის შემადგენელ ნაწილებს წარმოების სხვადასხვა სფეროებში, იგი იხილავს მხოლოდ კაპიტალის ფორმაში მოცემულ განსხვავებებს და იმ სხვადასხვა შეფარდებას, რომლის მიხედვითაც იგივე კაპიტალი ამ სხვადასხვა ფორმას იღებს, იხილავს განსხვავებებს ფორმის მიხედვით, ისე როგორც ეს განსხვავებანი კაპიტალის მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარეობენ, მაშასადამე, იხილავს ძირითად და საბრუნავ კაპიტალს, ცოტად თუ ბევრად ძირითად კაპიტალს (ე. ი. სხვადასხვა ხანგრძლივობის ძირითად კაპიტალს) და კაპიტალის ტრიალის არათანაბარ სისწრაფეს ან კაპიტალის გადაბრუნებას. სახელდობრ *რიკარდოს* გამოკვლევის წესი შემდეგში მდგომარეობს: ის გულისხმობს *მოგების საერთო ნორმას ან ერთნაირი სიდიდის საშუალო მოგებას* თანაბარი სიდიდის მქონე კაპიტალის სხვადასხვა სახის დაბანდებათათვის ანდა სხვადასხვა საწარმოო სფეროთათვის, სადაც ერთიდაიმავე სიდიდის კაპიტალები იხარჯება — ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, იგი გულისხმობს მოგებას წარმოების სხვადასხვა სფეროებში დაბანდებულ კაპიტალთა სიდიდესთან შეფარდებით. ამ მოგების საყოველთაო ნორმის გულისხმობის ნაცვლად *რიკარდოს*, პირიქით, უნდა გამოერკვია, თუ რამდენად შეესაბამება მოგების საერთო ნორმის არსებობა საერთოდ ღირებულების სამუშაო დროის საშუალებით განსაზღვრას, და მაშინ ის ნახავდა, რომ იგი მას, ნაცვლად

შესაბამობისა, prima facie ეწინააღმდეგება, მაშასადამე, მისი არსებობის განვითარება საჭირო იყო, პირველ ყოვლისა, შუალედი რგოლების მთელი მასის საშუალებით, — განვითარება, რომელიც მეტად განსხვავდება ღირებულებათა კანონისადმი მისი უბრალო დაქვემდებარებისაგან. ამით რ ი კ ა რ დ ო სულ სხვა შეხედულებას მიიღებდა საზოგადოდ მოგების ნორმაზე და აღარ გააიგივეებდა მას პირდაპირ ზედმეტ ღირებულებასთან.

დაუშვა რა ასეთი წინაპირობა ერთხელვე, რ ი კ ა რ დ ო შემდეგ სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ გავლენას ახდენს „შეფარდებით ღირებულებებზე“ შრომის ხელფასის აწევა ან დაცემა იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი სხვადასხვა პროპორციით შედიან? ანდა მას, უკეთ რომ ვთქვათ, წარმოუდგენია, რომ ამ სახით სვამს და იხილავს საკითხს. სინამდვილეში კი ის სულ სხვაგვარად სვამს საკითხს. ის საკითხს შემდეგნაირად სვამს, ეკითხება რა თავის თავს: როგორ გავლენას მოახდენს შრომის ხელფასის აწევა ან დაცემა [სათანადო მოგებაზე] ისეთი კაპიტალების დროს, რომელთა ტრიალის დრო სხვადასხვა არის და რომლებშიც კაპიტალის სხვადასხვა ფორმები სხვადასხვა პროპორციით არიან მოთავსებული? და აქ ის ბუნებრივად დაასკვნის, რომ, იმისდა მიხედვით, ბევრი თუ ცოტა ძირითადი კაპიტალი შედის და სხვ., შრომის ხელფასის აწევა ან დაცემა მეტად განსხვავებულად უნდა მოქმედებდეს კაპიტალებზე, იმისდა მიხედვით, შესდგება ამ უკანასკნელთა დიდი თუ პატარა ნაწილი ცვალებადი კაპიტალისაგან, ე. ი. იმ კაპიტალისაგან, რომელიც უშუალოდ შრომის ხელფასზე იხარჯება. მაშასადამე, რათა კვლავ მოხდეს მოგებათა გათანასწორება წარმოების სხვადასხვა დარგებში, ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოგების საერთო ნორმის ხელახალი აღდგენა, ამისათვის საჭირო საქონელთა ფასები, — მათ ღირებულებათაგან განსხვავებით, — სხვაგვარად იქნან მოწესრიგებული. მაშასადამე, ასკვნის იგი შემდეგ, ეს განსხვავებანი გავლენას ახდენენ „შეფარდებით ღირებულებებზე“ შრომის ხელფასის აწევის ან დაცემის დროს. მას, პირიქით, უნდა ეთქვა: თუმცა ეს განსხვავებანი ღირებულებებს თავისთავად არ ეხებიან, ისინი იძლევიან თავიანთი სხვადასხვა ზეგავლენის საშუალებით მოგებაზე სხვადასხვა სფეროებში თვით ღირებულებათაგან განსხვავებულ საშუალო ფასებს — ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, იძლევიან წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს ე ბ ს [1], რომელნიც განისაზღვრებიან არა პირ-

[1] ხელნაწერში ამ ადგილას სწერია: „საშუალო ფასები — ან, უკეთ რომ ვთქვათ, ღირადობის ფასები“. „კაპიტალის“ მესამე წიგნში მ ა რ ქ ს ი ხმარობს სი-

დაპირ საქონელთა ღირებულებებით, არამედ მათში ავანსად გაღებული კაპიტალით პლიუს საშუალო მოგება. მაშასადამე, მას უნდა ეთქვა: ეს წარმოების საშუალო ფასები განსხვავდებიან საქონელთა ღირებულებათაგან. ამის მაგივრად იგი ასკვნის, რომ ისინი იდენტიური არიანო და გადადის ამ მცდარი წინაპირობის აღიარებით მიწის რენტის განხილვაზე. რიკარდო სცდება აგრეთვე, როცა ფიქრობს, რომ მას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევების საშუალებით, რომელთაც ის არკვევს, მიაგნოს ცვლილებებს შეფარდებით ღირებულებებში, დამოუკიდებლად მათში მოთავსებული სამუშაო დროისა; მაშასადამე, მიაგნოს მართლაც იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს საქონელთა წარმოების ფასებსა და ღირებულებებს შორის. მან უკვე დაუშვა ეს განსხვავება, იგულისხმა რა წინასწარ მოგების საერთო ნორმა და ამიტომ აღიარა რა წინასწარ ის გარემოება, რომ კაპიტალი, მიუხედავად მის ორგანიულ შემადგენელ ნაწილებს[1] შორის არსებულ სხვადასხვა შეფარდებისა,

ტყვას „ღირადობის ფასები“ სხვა მნიშვნელობით. „საქონლის კაპიტალისტური ხარჯები განიზომება დახარჯული კაპიტალით“. რასაც მარქსი „Zur Kritik“-ის ხელნაწერში ჯერ კიდევ „ღირადობის ფასს“ უწოდებდა, „კაპიტალში“ მას უწოდებს „წარმოების ფასს“: ეს უკანასკნელი იქ უდრის კაპიტალისტურ ხარჯებს პლიუს საშუალო მოგება. გამოთქმას „წარმოების ფასი“ ნაცვლად „ღირადობის ფასისა“ იგი ხმარობს შემდეგ ზოგჯერ თვით წინამდებარე ხელნაწერშიც, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის მას მტკიცედ არ იცავს. მე კი აქ ყველგან მას ვხმარობ, რათა არ დავარღვიო ტერმინოლოგიის მთლიანობა.

წინამდებარე ხელნაწერის ერთ ადგილას ქვემოთ მარქსი ერთ შენიშვნაში, რომელიც აქვე შეიძლება მოვიყვანოთ, კიდევ შემდეგს აღნიშნავს:

„ეს წარმოების ფასები უნდა განვასხვაოთ საბაზრო ფასებიდან; ისინი წარმოადგენენ საქონელთა საშუალო საბაზრო ფასებს წარმოების სხვადასხვა სფეროებში. საბაზრო ფასი თვით შეიცავს უკვე საშუალოს იმდენად, რამდენადაც ერთი და იგივე სფეროს საქონელთა [ფასები] განისაზღვრება იმ საქონელთა ფასებით, რომელნიც წარმოებული არიან ამავე სფეროს საშუალო საწარმოო პირობებში; მაგრამ არავითარ შემთხვევაში უფრო ცუდ პირობებში, როგორც ამას გულისხმობს რიკარდო რენტის განხილვისას. და ეს იმიტომ, რომ საშუალო მოთხოვნა დამოკიდებულია განსაზღვრულ ფასზე თვით ხორბლეულის მიმართაც კი. მაშასადამე, მიწოდების განსაზღვრული რაოდენობა ვერ გაიყიდება ამ ფასზე ზევით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა დაეცემოდა. ამიტომ მწარმოებელნი, რომელნიც თავიანთ საქონელს საშუალოზე უფრო დაბალ საწარმოო პირობებში აწარმოებენ, იძულებულნი არიან ხშირად გაყიდონ ეს საქონელი არა მარტო მათ ღირებულებაზე დაბლა, არამედ მათი წარმოების ფასზე დაბლაც“.—კ.

[1] როგორც ცნობილია, ორგანიული შედგენილობის ცნება მარქსს ესმის როგორც შეფარდება, რომლის მიხედვითაც კაპიტალი თავისი ორგანიული შემადგენელი ნაწილებისაგან, „აქტიური და პასიური შემადგენელი ნაწილისაგან“, ცვალებადი და მუდმივი კაპიტალისაგან, შესდგება.—კ.

თავის სიდიდის შესაბამისად იძლევა მოგებას, მაშინ როდესაც ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ისინი იძლევიან, აბსოლუტურად განსაზღვრულია გადაუხდელი სამუშაო დროის იმ რაოდენობით, რომელსაც ისინი შთანთქავენ, რაოდენობა, რომელიც, მოცემული შრომის ხელფასის პირობებში, სავსებით დამოკიდებულია კაპიტალის ნაწილის იმ მასაზე, რაც შრომის ხელფასზეა დახარჯული, და არა კაპიტალის აბსოლუტურ სიდიდეზე. რასაც რ ი კ ა რ დ ო ნამდვილად იკვლევს, ეს არის შემდეგი: იგულისხმა რა საქონლის ღირებულებისაგან განსხვავებული წარმოების ფასის არსებობა — და მოგების საერთო ნორმის აღიარებით ეს განსხვავება უკვე იგულისხმება — რ ი კ ა რ დ ო არკვევს იმ გარემოებას, თუ როგორ ხდება, რომ ეს წარმოების ფასები, რომელთაც სხვადასხვაობისათვის შეფარდებითი ღირებულებანი ეწოდებათ, თვით განიცდიან კვლავ მოდიფიკაციას ურთიერთ შორის, მოდიფიკაციას შედარებით შრომის ხელფასის აწევა-დაცემის მეოხებით და კაპიტალის ორგანიულ შემადგენელ ნაწილთა შორის სხვადასხვა შეფარდებათა გამო. საგნის განხილვაში რომ უფრო ღრმად შეჭრილიყო, რ ი კ ა რ დ ო დაინახავდა, რომ კაპიტალის ორგანიულ შემადგენელ ნაწილებში მოცემულ განსხვავებათა გამო, — განსხვავებათა, რომელნიც პირველად უშუალო წარმოების პროცესში გვევლინებიან მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის არსებული განსხვავების სახით, ხოლო შემდგომ კიდევ უფრო იზრდებიან მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე განსხვავებათა გამო,—მოგების საერთო ნორმის უბრალო არსებობა იწვევს ღირებულებათაგან განსხვავებულ წარმოების ფასებს, კიდევაც რომ ვიგულისხმოთ, რომ შრომის ხელფასი უცვლელი რჩება; მაშასადამე, იწვევს შრომის ხელფასის აწევისა და დაცემისაგან სრულიად დამოუკიდებელ განსხვავებას და ფორმის ახალ განსაზღვრას. იგი აგრეთვე დაინახავდა, თუ როგორც შეუდარებლად დიდი და გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს მთელი თეორიისათვის ამ განსხვავების გაგებას, ვიდრე მის განხილვას, რომელიც შეეხება შრომის ხელფასის აწევით ანუ დაცემით გამოწვეულ წარმოების ფასების ვარიაციას. შედეგი, რომლითაც რ ი კ ა რ დ ო კმაყოფილდება — და ეს დაკმაყოფილება სავსებით შეეფერება მისი გამოკვლევის მთელ წესს — შემდეგია: თუ ერთხელვე ვაღიარებთ და სათვალავში მივიღებთ საქონელთა წარმოების ფასებს ანუ, როგორც რ ი კ ა რ დ ო ამბობს, „რელატიურ ღირებულებათა“ ვარიაციებს, რამდენადაც ეს უკანასკნელნი წარმოების სხვადასხვა სფეროებში დაბანდებულ კაპიტალთა ორგანიული შედგენილობის განსხვავების დროს წარმო-

ადგენენ შრომის ხელფასის ცვლილებათა, მისი აწევის ან დაცემის, შედეგს, — მაშინ სწორი რჩება კანონი და ეს არ ეწინააღმდეგება იმ კანონს, რომლის მიხედვითაც საქონლის „შეფარდებითი ღირებულებანი“ სამუშაო დროით განისაზღვრებიან, ვინაიდან საქონელთა წარმოების ფასების ყველა სხვა, უფრო წარმავალი ხასიათის, ცვლილებანი აიხსნება მხოლოდ იმ სამუშაო დროის ცვლილებით, რომელიც ამ საქონელთა სათანადო წარმოებისათვის არის აუცილებელი. პირიქით, დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ რიკარდო ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავებას უფარდებს კაპიტალის გადაბრუნების სხვადასხვა დროს და ყველა ეს განსხვავებანი გამოყავს მიმოქცევის სხვადასხვა დროიდან, მაშასადამე, ფაქტიურად კაპიტალის მიმოქცევის ანუ რეპროდუქციის დროიდან.

ჩვენ განვიხილოთ, პირველ ყოვლისა, თვით ეს განსხვავებანი, როგორც მათ პირველად რიკარდო გვიხატავს 1-ლი თავის მე-4 განყოფილებაში და მხოლოდ ამის შემდეგ ის წესი, რომელითაც ის ამოქმედებს ამ განსხვავებებს და მათი მეოხებით გამოყავს „შეფარდებით ღირებულებათა“ ვარიაციები:

1. „საზოგადოების ყოველ მდგომარეობაში სამუშაო იარაღები, ხელსაწყოები, შენობები და მანქანები, რომელნიც გამოიყენებიან სხვადასხვა წარმოებებში, გაასხვავდებიან თავიანთი გამძლეობით და შრომის სხვადასხვა რაოდენობას მოითხოვენ თავის აღსადგენად“ (l. c., გვ. 25).

რაც შეეხება „შრომის სხვადასხვა რაოდენობას, რომელიც მათ აღსადგენად არის საჭირო“, ეს შეიძლება ნიშნავდეს — და ეს არის, როგორც ჩანს, რიკარდოს ერთადერთი თვალსაზრისიც — იმას, რომ უფრო ნაკლები გამძლეობის იარაღები საჭიროებენ, ნაწილობრივ თავის სათანადო წესრიგზე შენახვისათვის და ნაწილობრივ კი თავის რეპროდუქციისათვის, უფრო მეტ სისტემატიურ და უშუალო შრომას, ანდა აგრეთვე, რომ ერთი და იგივე გამძლეობის მანქანები და სხვ. შეიძლება იყონ მეტად თუ ნაკლებად ძვირი და წარმოადგენდენ მეტი თუ ნაკლები შრომის პროდუქტს. ამ უკანასკნელ თვალსაზრისს, რომელიც ძლიერ მნიშვნელოვანია ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის ურთიერთ შეფარდებისათვის, არაფერი საერთო არა აქვს რიკარდოს შეხედულებასთან და ამიტომაც იგი მას არსად არ იღებს როგორც დამოუკიდებელ თვალსაზრისს.

2. „აგრეთვე შეფარდებაც შრომის შემნახველ კაპიტალსა (ცვალებადი კაპიტალი) და იმ კაპიტალს შორის, რომლებიც სამუშაო იარაღებსა, მანქანებსა და შენობებშია დაბანდებული (მუდმივი კაპიტალი), შეიძლება მრავალნაირად იქნას კომბინაციაქმნილი“.

მაშასადამე, ჩვენ გვაქვს „განსხვავება ძირითადი კაპიტალის არსებობის ხანგრძლივობის ხარისხებში და განსხვავება შეფარდებებში, რომლებშიც შესაძლებელია კაპიტალის ორივე სახის ურთიერთშორის კომბინაცია მოხდეს“ (l. c., გვ. 25). იმ წამსვე ჩანს, თუ რატომ არ აინტერესებს რ ი კ ა რ დ ო ს მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ნედლი მასალის სახით არსებობს. ნედლი მასალა ეკუთვნის თვით საბრუნავ კაპიტალს. თუ შრომის ხელფასი იზრდება, ეს არ იწვევს კაპიტალის იმ ნაწილისათვის მეტი ხარჯების გაღებას, რომელიც მოთავსებულია მანქანებში და აღდგენას არ საჭიროებს, არამედ იქვე რჩება, მაგრამ ეს იწვევს ხარჯების გადიდებას კაპიტალის იმ ნაწილისათვის, რომელიც ნედლი მასალისაგან შესდგება, რადგანაც ეს ნაწილი მუდამ შევსებას და, მაშასადამე, მუდამ რეპროდუქციას მოითხოვს.

„საკვები და ტანსაცმელი, რომელსაც მუშა ხმარობს, შენობა, სადაც ის მუშაობს, სამუშაო იარაღები, რომელნიც მას მუშაობაში დახმარებას უწევენ, — ყველა ეს წარმავალი ბუნებისაა. მაგრამ არსებობს დიდი განსხვავება დროის ხანგრძლივობაში, რომელსაც თითოეული კაპიტალის ეს სხვადასხვა სახეთაგანი უძლებს... კაპიტალი, იმისდა მიხედვით, ცვდება ის ჩქარა და საჭიროებს ხშირ რეპროდუქციას, თუ, პირიქით, ნელა და თანდათანობით მოიხმარება, განიხილება როგორც საბრუნავი ან ძირითადი კაპიტალი“ (l. c., გვ. 26).

ამრიგად, აქ ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის განსხვავება დაყვანილია იმ განსხვავებამდე, რომელსაც ადგილი აქვს მათი რეპროდუქციისათვის საჭირო დროში და რომელიც თანაემთხვევა მიმოქცევის დროს.

3. „შემჩნეულია აგრეთვე, რომ საბრუნავი კაპიტალი მიმოიქცევა ანუ უბრუნდება უკან თავის გამომყენებელს, ე. ი. მას, ვინც ის ბრუნვაში გაუშვა, მეტად არათანასწორი დროის ნაკვეთების განმავლობაში. ხორბალი, რომელსაც მოიჯარადრე დასათესად ყიდულობს, არის ძირითადი კაპიტალი შედარებით იმ ხორბალთან, რომელსაც მეპურე იძენს პურის დასამზადებლად. პირველი სტოვებს მას მიწაში ჩადებულს და მოელის მისგან მოსავალს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. მეორეს კი შეუძლია ერთი კვირის განმავლობაში დაფქვას ხორბალი და პურის სახით მიყიდოს თავის მუშტრებს და, ამრიგად, კვლავ თავის განკარგულებაში იქონიოს კაპიტალი, რათა ის ან იმავე სახით ანდა სხვადასხვაგვარად დააბანდოს“ (l. c., გვ. 26, 27).

საიდან წარმოსდგება ე ს განსხვავება სხვადასხვა საბრუნავ კაპიტალთა მიმოქცევის დროში? იქიდან, რომ ერთიდაიგივე კაპიტალი განსაზღვრულ შემთხვევაში უფრო დიდი ხნის განმავლობაში რჩება საკუთრივ წარმოების სფეროში, ისე რომ შრომის პროცესი იმავდროულად უკვე აღარ გრძელდება. ასე ემართება, მაგალითად, ღვინოს, რომელიც სარდაფში რჩება, სანამ არ დადუღდება, აგრეთვე

განსაზღვრულ ქიმიურ პროცესებს ტყავის თრიმვლის, ღებვის და სხვ. დროს.

„მრეწველობის ორ დარგს შეუძლია, მაშასადამე, გამოიყენოს კაპიტალის ერთიდაიგივე რაოდენობა და, მიუხედავად ამისა, თითოეულ დარგში კაპიტალის ორივე ნაწილი, ძირითადი და საბრუნავი, შეიძლება იყოს მეტად სხვადასხვა" (l. c., გვ. 27).

4. „მეორეს მხრივ, ორ ფაბრიკანტს შეუძლია გამოიყენოს თანასწორი რაოდენობით ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, მაგრამ მათი ძირითადი კაპიტალის ხანგრძლივობა[1] შეიძლება იყოს მეტად განსხვავებული. ერთ მათგანს შეუძლია ჰქონდეს 10 000 გირვ. სტერლინგის ღირებულების ორთქლის მანქანები, მეორეს კი — ამავე ღირებულების გემები" (l. c., გვ. 27, 28).

„მათი კაპიტალების ხაგრძლივობის სხვადასხვა ხარისხის გამო ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, სხვადასხვა დროის გამო, რომელმაც უნდა განვლოს, ვიდრე საქონლის განსაზღვრული რაოდენობის გატანა ბაზარზე შესაძლებელი გახდებოდეს" (l. c., გვ. 30).

5. „არც კია იმის თქმა საჭირო, რომ საქონელნი, რომელთა წარმოებაზეც შრომის თანასწორი რაოდენობა დაიხარჯა, საცვლელი ღირებულებით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, თუ შეუძლებელი იქნება მათი ერთსა და იმავე დროს ბაზარზე გატანა" (l. c., გვ. 34).

ამრიგად, ჩვენ გვაქვს: 1. განსხვავება ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ურთიერთობაში. 2. განსხვავება საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნებაში შრომის პროცესის შეწყვეტის გამო, იმ დროს, როდესაც წარმოების პროცესი გრძელდება. 3. განსხვავება ძირითადი კაპიტალის ხანგრძლივობაში. 4. განსხვავება იმ შეფარდებაში, რომლის მიხედვითაც რომელიმე საქონელი საერთოდ, სამუშაო დროის შეუწყვეტლად, საწარმოო დროსა და სამუშაო დროს შორის მოცემულ განსხვავების გარეშე, დაქვემდებარებული რჩება შრომის პროცესისადმი, ვიდრე ის შესძლებდეს საკუთრივ მიმოქცევის პროცესში შესვლას. უკანასკნელი შემთხვევა რიკარდოს შემდეგნაირად გამოჰყავს:

„დავუშვათ, რომ მე რომელიმე საქონლის წარმოებისთვის ვამუშავებ 20 კაცს და ვხარჯავ 1000 გირვ. სტ. ერთი წლის განმავლობაში. ერთი წლის შემდეგ მე ახლად ვქირაობ სამუშაოდ 20 კაცს კვლავ ერთი წლის განმავლობაში და ვხარჯავ ამისთვის შემდგომ 1000 გირვ. სტერლინგს იმავე საქონლის საბოლოოდ დასამზადებლად და ეს უკანასკნელი გამაქვს ბაზარზე მეორე წლის ბოლოს. თუ მოგება უდრის 10 პროცენტს, ჩემი საქონელი უნდა გაიყიდოს 2310 გირვ. სტერლინგად, რადგანაც მე ერთი წლის განმავლობაში გამოვიყენე 1000 გირვ. სტ. კაპიტალი და მეორე წლის განმავლობაში — 2100 გირვ. სტ. კაპიტალი. მეორე ადამიანი კი, დაუშვათ, შრომის სავსებით იმავე რაოდენობას იყენებს, მაგრამ იყენებს მას ერთი წლის განმავლობაში. ის ამუშავებს 40 მუშას და ხარჯავს 2000 გირვ. სტ.

---

[1] მაშასადამე, მისი რეპროდუქციის დროც.

და თავის საქონელს ყიდის პირველი წლის ბოლოს 10 პროცენტის მოგებით, ე. ი. 2200 გირვ. სტერლინგად. აქ ჩვენ გვაქვს, მაშასადამე, ორი საქონელი, რომელზეც შრომის სავსებით ერთიდაიგივე რაოდენობა დაიხარჯა, რომელთაგანაც ერთი იყიდება 2310 გირვ. სტერლინგად, მეორე კი — 2200 გირვ. სტერლინგად" (l. c., გვ. 34).

მაგრამ როგორ იწვევს ეს განსხვავება, სულერთია, არის ის მოცემული ძირითადი კაპიტალის ხანგრძლივობის ხარისხში, თუ საბრუნავი კაპიტალის ტრიალის დროში, ან კაპიტალის ორივე სახის კომბინაციათა შეფარდებაში, ანდა, ბოლოს იმ დროში, რომელსაც შრომის თანასწორი რაოდენობის შემცველი სხვადასხვა საქონელი საჭიროებს ბაზარზე გასვლისათვის, — როგორ იწვევს თითოეული ეს განსხვავებათაგანი ამ საქონელთა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ღირებულებებში რაიმე ცვლილებას? რ ი კ ა რ დ ო, პირველ ყოვლისა, ამას იმით ხსნის, რომ ეს განსხვავებანი „საქონელთა შეფარდებით ღირებულებების ცვლილებათა სხვა მიზეზსაც იწვევენ შრომის იმ მეტ თუ ნაკლებ რაოდენობასთან ერთად, რომელიც მათი წარმოებისათვის არის საჭირო; ეს მიზეზია შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა წ ე ვ ა ა ნ დ ა ც ე მ ა" (l. c., 25, 26).

და როგორ ხდება ამის დამტკიცება?

„შრომის ხელფასის აწევამ ბუნებრივი აუცილებლობით უნდა მოახდინოს არათანასწორი გავლენა იმ საქონლებზე, რომელნიც წარმოებულ იქნენ ასეთ სხვადასხვა პირობებში" (l. c., გვ. 27).

სახელდობრ: იქ, სადაც თანასწორი სიდიდის კაპიტალთა წარმოების სხვადასხვა დარგში გამოყენების დროს ერთი კაპიტალი შესდგება უმთავრესად ძირითადი კაპიტალისაგან, ხოლო უმნიშვნელო ნაწილში კი იმ კაპიტალისაგან, რომელიც „შრომის შესანახად გამოიყენება", მაშინ როდესაც მეორე კაპიტალის მიმართ საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი. პირველ ყოვლისა, უაზრობაა იმის ლაპარაკი, რომ ეს რაიმე გავლენას ახდენდეს საქონელზე. მას მხედველობაში აქვს საქონელთა ღირებულებანი. მაგრამ რამდენად განიცდიან ეს საქონელნი ამ გარემოებათა გამო გავლენას? ამით ისინი სრულიად არავითარ გავლენას არ განიცდიან. ის, რაც გავლენას ექვემდებარება — არის მხოლოდ მოგება ორივე შემთხვევაში. ადამიანს, რომელიც, მაგალითად, თავისი კაპიტალის მხოლოდ ერთ მეხუთედს ცვალებადი კაპიტალის სახით ხარჯავს, შეუძლია — თანასწორი შრომის ხელფასის და ზედმეტი შრომის თანასწორი ნორმის დროს, თუ ზედმეტი ღირებულების ეს ნორმა = 20 პროცენტს — აწარმოოს ყოველ 100-ზე [ზედმეტი ღირებულება] 4 პროცენტის რაოდენობით; პირიქით, მეორე კი, რომელიც კაპიტალის $^4/_5$

ნაწილს ცვალებად კაპიტალის სახით დახარჯავდა, აწარმოებდა [ზედმეტი ღირებულების თანასწორი ნორმის დროს] ყოველ 100-ზე ზედმეტ ღირებულებას 16. საშუალო მოგება ორივესთვის იქნებოდა $= \frac{16+4}{2}$ ანუ 10 პროცენტი. ეს არის სწორედ ის შემთხვევა, რომლის შესახებაც რ ი კ ა რ დ ო ლაპარაკობს. თუ კი, მაშასადამე, ორივე გაყიდდა საქონელს — და ამას გულისხმობს რ ი კ ა რ დ ო ც — წარმოების ფასების მიხედვით, მაშინ თითოეული გაყიდდა თავის პროდუქტს 110-ად. დავუშვათ, რომ შრომის ხელფასი იზრდება 20%-ით შედარებით მის უწინდელ სიდიდესთან. წინათ ერთი კაცი ღირდა 1 გირვ. სტ., ახლა კი — 1 გირვ. სტ. და 4 შილინგი. პირველმა [კაპიტალისტმა], ისე როგორც უწინ, უნდა დააბანდოს 80 გირვ. სტ. [100 გირვ. სტ. კაპიტალიდან] მუდმივი კაპიტალის სახით (რადგანაც რ ი კ ა რ დ ო აქ ნედლ მასალას მხედველობაში არ იღებს, ჩვენც ასევე შეგვიძლია მოვიქცეთ) და 20 მუშისთვის, რომელნიც ას ჰყავს წარმოებაში ჩაბმული, გარდა 20 გირვ. სტერლინგისა ხარჯავს 4 გირვ. სტერლინგს კიდევ მეტს. მაშასადამე, მისი კაპიტალი ახლა უდრის 104 გირვ. სტერლინგს. მას რჩება 110 გირვ. სტერლინგიდან მხოლოდ 6 გირვ. სტ. მოგება, რადგანაც მუშები მეტი ზედმეტი ღირებულების მაგიერ ნაკლებ ზედმეტ ღირებულებას იძლეოდენ, ე. ი. მხოლოდ 6 გირვ. სტ. მოგებას. 6 გირვ. სტერლინგი 104 გირვ. სტერლინგზე იძლევა $5^{10}/_{13}$ პროცენტს. პირიქით, მეორე კაპიტალისტს, რომელიც ოთხმოც მუშას ამუშავებს, უნდა გადაეხადა 16 გირვ. სტერლინგით მეტი. მაშასადამე, მას უნდა დაებანდებია 116 გირვ. სტერლინგი. თუ ის, მაშასადამე, გაყიდდა 110 გირვ. სტერლინგად, მოგების ნაცვლად მიიღებდა ზარალს 6 გირვ. სტ. რაოდენობით, მაგრამ ეს შემთხვევა იმიტომ ხდება, რომ საშუალო მოგებამ იმ შეფარდებას, რომელიც კაპიტალისტის მიერ დაბანდებულ შრომის [ხელფასსა] და მის მიერვე წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას შორის არსებობს, მოდიფიკაცია უყო.

მაშასადამე, ნაცვლად მნიშვნელოვანი მოვლენის გამოკვლევისა, თუ როგორი ცვლილებებია საჭირო მოხდეს იმისთვის, რომ ერთმა კაპიტალისტმა, რომელიც 100 გირვ. სტერლინგიდან 80 გირვ. სტ. შრომის ხელფასზე ხარჯავს, არ მიიღოს ოთხჯერ მეტი მოგება, ვიდრე მეორემ, რომელიც 100 გირვ. სტერლინგიდან მხოლოდ 20 გირვ. სტ. ხარჯავს შრომის ხელფასზე, რ ი კ ა რ დ ო არკვევს შემდეგ მეორეხარისხოვან საკითხს: როგორ ხდება, რომ მას შემდეგ, რაც ეს დიდი განსხვავება გათანაბრებულია — მაშასადამე, მოგების მო-

ცემული ნორმის დროს — ყოველივე ცვლილება მოგების ამ ნორმისა,. მაგალითად, შრომის ხელფასის აწევის გამო, მას უფრო მეტად უნდა შეეხოს, ვინც მეტ მუშა-ხელს იყენებს 100 გირვ. სტ. დაბანდების პირობებში, ვიდრე მას, რომელიც ნაკლებ მუშა-ხელს ამუშავებს იმავე 100 გირვ. სტ. გამოყენების დროს, და რომ, ამიტომ — მოგების თანაბარი ნორმის დროს — ერთის საქონლის ფასებმა ან წარმოების ფასებმა უნდა აიწიოს და მეორისამ კი — დაიწიოს, რათა მოგების ნორმა შემდეგისათვის თანასწორი დარჩეს.

პირველ ილიუსტრაციას, რომელსაც რ ი კ ა რ დ ო იძლევა, აბსოლუტურად არავითარი საერთო არა აქვს „შრომის ღირებულების აწევასთან", თუმცა მან იმთავითვე გვაუწყა, რომ მთელი ვარიაცია საქონელთა შეფარდებით ღირებულებებში ამ მიზეზიდან უნდა წარმოსდგესო. ეს ილიუსტრაცია შემდეგია:

„დავუშვათ, რომ ორი ადამიანიდან თითო ამუშავებდა ას კაცს ერთი წლის განმავლობაში ორი მანქანის გასაკეთებლად, ხოლო მესამე კი ამუშავებდა იმავე რაოდენობის მუშა-ხელს ხორბლეულის საწარმოებლად. წლის ბოლოს თითოეულ ამ მანქანათაგანს იგივე ღირებულება ექნება, რამდენიც ხორბლეულს, რადგანაც თითოეულ მათგანის საწარმოებლად შრომის ერთიდაიგივე რაოდენობა იქნება დახარჯული. დავუშვათ შემდეგ, რომ ერთი ამ მანქანათმფლობელთაგანი ხმარობს თავის მანქანას იმისთვის, რომ შემდეგ წელში ასი კაცის საშუალებით აწარმოოს მაუდი, მეორე თავის მანქანას იყენებს იმისათვის, რომ ისევე 100 კაცის საშუალებით დაამზადოს ბამბეულის საქონელი. მოიჯარადრე კი განაგრძობს თავისი ასი კაცის გამოყენებას ხორბლეულის საწარმოებლად. მეორე წელში ყველა მათ შრომის ერთიდაიგივე რაოდენობა ექნებათ გამოყენებული[1], მაგრამ მაუდის ფაბრიკანტის პროდუქტებისა და მანქანის ჯამი, ისე როგორც ბამბეულის ფაბრიკანტის, იქნება ორასი კაცის წლიური შრომის შედეგი, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, იმ ასი კაცის შრომის, რომელიც ორი წლის განმავლობაში მუშაობდა, მაშინ როდესაც ხორბლეული იქნება ასი კაცის წლიური შრომის პროდუქტი. მაშასადამე, თუ ხორბლეულს აქვს 5500 გირვ. სტ. ღირებულება[2], მაუდის ფაბრიკანტის მაუდს და მანქანას ერთად უნდა ჰქონოდა 11 000 გირვ. სტ. ღირებულება და ასევე ბამბეულის ფაბრიკანტის მანქანას და ჩითეულსაც ხორბლეულის ორმაგი ღირებულება ექნებოდა. მაგრამ მათ ექნებათ მეტი, ვიდრე ორმაგი ღირებულება შედარებით ხორბალთან, რადგანაც მაუდის ფაბრიკანტის და ბამბეულის ფაბრიკანტის კაპიტალის მოგება პირველი წლისათვის მათსავე კაპიტალს მიემატა, მაშინ როდესაც მოიჯარადრემ თავისი მოგება პირადი მოთხოვნილებისათვის დახარჯა. მაშა-

[1] ე. ი. მათ ექნებათ დახარჯული ერთიდაიგივე კაპიტალი შრომის ხელფასზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ექნებათ გამოყენებული შრომის ერთიდაიგივე რაოდენობა.

[2] ორიგინალში სწერია 500 გირვ. სტ. და შემდეგ 1000 გირვ. სტ. ნაცვლად 11 000 გირვ. სტერლინგისა, თუმცა შემდეგ რ ი კ ა რ დ ო იმავე მაგალითში 5500 გირვ. სტ. იღებს, როგორც ხორბლეულის ღირებულებას, რაც აგრეთვე უფრო ახლოსაა სინამდვილესთან. — კ.

სადამე, მათი კაპიტალების ხანგრძლივობის ხარისხის სხვადასხვაობის გამო ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, იმ დროის სხვადასხვაობის გამო, რომელმაც უნდა განვლოს, ვიდრე საქონელთა განსაზღვრული რაოდენობის ბაზარზე გატანა შესაძლებელი გახდებოდეს, ამ საქონელთა ღირებულება არ იქნება სავსებით ზედმიწევნით სწორ შეფარდებაში მათზე დახარჯული შრომის რაოდენობასთან. ამ შემთხვევაში ის არ იქნება ისეთ შეფარდებაში, როგორც 2:1, არამედ იქნება რამდენიმედ მეტი, რათა შესძლოს იმ უფრო ხანგრძლივი დროის ანაზღაურება, რომელმაც უნდა განვლოს, სანამ ყველაზე უფრო ძვირი ღირებულების საქონელი ბაზარზე გასვლას შესძლებდეს.

„დავუშვათ შემდეგ, რომ თითოეული მუშის შრომაზე წლიურად იხარჯება 50 გირვ. სტ., მაშასადამე, ასი მუშისთვის დაიხარჯება 5000 გირვ. სტ. თუ მოგება 10 პროცენტს უდრის, მაშინ თითოეული მანქანის ღირებულება, ისევე როგორც ღირებულება ხორბლეულის, პირველი წლის ბოლოს უნდა შეადგენდეს 5500 გირვ. სტერლინგს. მეორე წელს ფაბრიკანტები და სოფლის მეურნე გაიღებენ, თითოეული მათგანი, შრომის გასასტუმრებლად 5000 გირვ. სტ. და ამიტომ კვლავ გაყიდიან თავიანთ პროდუქტებს 5500 გირვ. სტ.-დ. მაგრამ ორივე ფაბრიკანტმა, რომლებიც მანქანებს იყენებენ, რათა ისინი ფერმერთან ერთად ერთ საფეხურზე დარჩნენ, უნდა მიიღონ არა მარტო 5500 გირვ. სტერლინგი იმ თანასწორი კაპიტალისათვის, რომელიც მათ შრომის დასაქირავებლად დახარჯეს, არამედ უნდა მიიღონ ამას გარდა კიდევ 550 გირვ. სტ. თანხა როგორც მოგება 5500 გირვ. სტერლინგზე, რაც მათ მანქანებში დააბანდეს. ამიტომ[1] მათმა პროდუქტების ფასმა 6050 გირვ. სტერლინგამდე უნდა მიაღწიოს[2]. მაშასადამე. აქ კაპიტალისტები იყენებენ წლიურად შრომის სწორედ ერთსა და იმავე რაოდენობას თავიანთი საქონლის საწარმოებლად და მიუხედავად ამისა მათი პროდუქტები მაინც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ღირებულებით ძირითადი კაპიტალის ან დაგროვილი შრომის იმ სხვადასხვა რაოდენობის გამო, რომელსაც თითოეული მათგანი იყენებს[3]. მაუდი და ბამბეულის საქონელი ერთიდაიგივე ღირებულების არიან, რადგანაც შრომის და ძირითადი კაპიტალის თანასწორ რაოდენობათა პროდუქტს წარმოადგენენ; მაგრამ ხორბლეული არ არის იმავე ღირებულების[4], როგორც ეს საქონელნი, რადგანაც იგი, რამდენადაც საქმე ეხება ძირითად კაპიტალს, სხვადასხვა პირობებში იქნა წარმოებული“ (l. c., გვ. 29 — 31).

---

[1] იმიტომ, რომ სწორედ *მოგების თანასწორი წლიური ნორმა 10 პროცენტის რაოდენობით ნაგულისხმევია* როგორც აუცილებლობა და კანონი.

[2] მაშასადამე, საშუალო მოგების — *რიკარდოს* მიერ ნაგულისხმევი მოგების — მეოხებით წარმოსდგებიან საქონლის ღირებულებათაგან *განსხვავებული წარმოების ფასები*.

[3] არა ამიტომ, არამედ იმიტომ, რომ ამ ვაჟბატონებს ის idée fixe აქვთ, რომ თითოეულმა მათგანმა თანასწორი ნადავლი უნდა მიიღოს იმ „დაწმარების“ საშუალებით, რომელსაც ისინი წილად არგუნებენ შრომას, ანდა, რომ მათი საქონელნი, როგორიც არ უნდა იყოს მათი ღირებულება, უნდა გაიყიდოს წარმოების ფასების მიხედვით, რომელნიც მუდამ მოგების თანასწორ ნორმას იძლევიან.

[4] უნდა იყოს: „წარმოების ფასის“.

ასეთი უაღრესად მძიმე გასაგები და დახლართული ილიუსტრაციაა მოცემული უაღრესად მარტივი საგნისათვის, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ ყოფილიყო თქმული: რადგანაც თანასწორი სიდიდის კაპიტალები, — როგორიც უნდა იყოს მათი ორგანიული შემადგენელი ნაწილების თანაფარდობა ან მათი მიმოქცევის დრო, თანასწორ მოგებას იძლევიან, — რაც შეუძლებელია, თუ საქონელი იყიდება მისი ღირებულების მიხედვით და სხვ. — ამიტომ არსებობს საქონელთა წარმოების ფასები, რომელნიც განსხვავდებიან ამ ღირებულებათაგან. და სწორედ ამას შეიცავს მოგების საერთო ნორმის ცნება.

განვიხილოთ ეს რთული მაგალითი და დავიყვანოთ იგი მეტად არა „რთულ" ბუნებრივ ოდენობაზე. ამ მიზნით ჩვენ დავიწყოთ ბოლოდან და უკეთესი გაგებისათვის ახლავე აღვნიშნოთ, რომ რიკარდოს აზრით მოიჯარადრეს და ბამბეულის მქონე ბატონს ნედლი მასალა არაფერი არ უღირს; შემდეგ, რომ მოიჯარადრე არ აბანდებს არავითარ კაპიტალს შრომის იარაღებში და, ბოლოს, რომ ბამბეულის ფაბრიკანტის მიერ დაბანდებული ძირითადი კაპიტალის არცერთი ნაწილი გაცვეთის სახით არ შედის მის პროდუქტში. ყველა ეს წინაპირობა, მართალია, უაზრობას წარმოადგენს, მაგრამ მას მაინც თავისთავად არავითარი ვნება არ მოაქვს ილიუსტრაციისათვის.

ყველა ამის წინასწარ დაშვებით, რიკარდოს მაგალითი, დაწყებული ბოლოდან, წარმოადგენს შემდეგს: მოიჯარადრე ხარჯავს 5000 გირვ. სტერლინგს შრომის ხელფასზე; ბამბეულის ფაბრიკანტი — 5000 გირვ. სტ. შრომის ხელფასზე და 5500 — მანქანებზე. მაშასადამე, პირველი აბანდებს 5000 გირვ. სტ. და მეორე — 10 500, ე. ი. ორჯერ მეტს, ვიდრე პირველი. თუ ორივემ 10 პროცენტი მოგება უნდა მიიღოს, მაშინ მოიჯარადრემ თავისი საქონელი უნდა გაყიდოს 5500 გირვ. სტერლინგად და ბამბეულის მქონე ბატონმა კი — 6050 გირვ. სტერლინგად, რადგანაც დაშვებულია, რომ მანქანებში მოთავსებულ 5500 გირვ. სტერლინგიდან არცერთი ნაწილი გაცვეთის სახით არ შედის პროდუქტის ღირებულებაში. აბსოლუტურად შეუძლებელია იმის გაგება, თუ რა გაარკვია ამით რიკარდომ გარდა იმისა, რომ საქონლის წარმოების ფასები, — რამდენადაც ისინი განისაზღვრებიან საქონელში მოთავსებულ კაპიტალთა ღირებულებით პლიუს წლიური მოგების ნორმა, — განსხვავდებიან საქონლის ღირებულებათაგან და რომ ეს განსხვავება გამომდინარეობს საქონელთა ისეთ ფასად გაყიდვიდან, რომელიც ავანსად გაღებულ კაპიტალზე ისეთივე მოგების ნორმას იძლევა; მოკლედ, რომ ეს

განსხვავება წარმოების ფასებსა და ღირებულებათა შორის იდენტიურია მოგების საერთო ნორმასთან. თვით განსხვავება ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის, რომელიც რ ი კ ა რ დ ო ს აქ მოჰყავს, ამ მაგალითში წმინდა წყლის ხრიკია, იმიტომ რომ, თუ, მაგალითად, ბამბეულის ფაბრიკანტის მიერ ზედმეტად დახარჯული 5500 გირვ. სტერლინგი მოთავსებული იქნებოდა ნედლ მასალაში, მაშინ როდესაც მოიჯარადრე არ საჭიროებდა თესლეულს და სხვ. — მივიღებდით სავსებით იმავე შედეგს. მაგალითი არც მას გვიჩვენებს, რასაც რ ი კ ა რ დ ო ამბობს, რომ „მათი[1] პროდუქტები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ღირებულებით ძირითადი კაპიტალის ან დაგროვილი შრომის იმ სხვადასხვა რაოდენობის გამო, რომელსაც თითოეული მათგანი იყენებს“ (l. c., გვ. 31). ვინაიდან, მისი წარმოდგენით ბამბეულის ფაბრიკანტი ძირითად კაპიტალს იყენებს 5500 გირვ. სტერლ. რაოდენობით და მოიჯარადრე კი — 0; ერთი იყენებს მას, მეორე კი — არა. მაშასადამე, ისინი არავითარ შემთხვევაში არ ხარჯავენ ძირითად კაპიტალს „სხვადასხვა რაოდენობით“, და ამის თქმა ისევე არ შეიძლება, როგორც იმისა, რომ ორი ადამიანი, რომელთაგანაც ერთი სჭამს ხორცს და მეორე კი მას სრულებით არ სჭამს, — ხორცს სჭამენ „სხვადასხვა რაოდენობით“. პირიქით, სწორია ის, რომ ისინი იყენებენ „დაგროვილ შრომას“, — ამას რ ი კ ა რ დ ო მეტად ყალბად, შეუმჩნევლად აპარებს სიტყვა „ანუ“-ს საშუალებით, — ე. ი. გასაგნობრივებულ შრომას სხვადასხვა რაოდენობით, სახელდობრ: ერთი — 10 500 გირვ. სტერლ. რაოდენობით და მეორე კი მხოლოდ 5000 გირვ. სტ. რაოდენობით. მაგრამ, რომ ისინი დაგროვილი შრომის სხვადასხვა რაოდენობას იყენებენ, ეს ნიშნავს სხვას არას, გარდა იმისა, რომ ისინი თავიანთ სარეწაოებში აბანდებენ სხვადასხვა რაოდენობის კაპიტალს, რომ მოგების მასა შეფარდებაში იმყოფება მათ მიერ დაბანდებულ კაპიტალთა რაოდენობის განსხვავებასთან, რადგანაც ნაგულისხმევია მოგების ერთიდაიგივე ნორმა, და, ბოლოს, რომ ეს განსხვავება მოგების მასაში, რომელიც შეფარდებულია კაპიტალთა სიდიდესთან, აშკარავდება და ისახება საქონელთა სათანადო წარმოების ფასებში.

მაგრამ [რა] მძიმე გასაგებია რ ი კ ა რ დ ო ს ილუსტრაცია!

„აქ კაპიტალისტები, მაშასადამე, თავიანთ საქონლის საწარმოებლად ყოველწლიურად იყენებენ შრომის სავსებით ერთსა და იმავე რაოდენობას და, მიუხედავად ამისა, მათი პროდუქტები ღირებულებით მაინც სხვადასხვაა“ (l. c., გვ. 30, 31).

---

[1] ბამბეულის ფაბრიკანტის და მოიჯარადრის.

ეს ნიშნავს, რომ ისინი იყენებენ შრომის — ერთად აღებულიუშუალო და დაგროვილი შრომის — არა ერთსა და იგივე რაოდენობას, არამედ იყენებენ შრომის ხელფასზე დახარჯულ ცვალებადიკაპიტალის ერთსა და იგივე რაოდენობას, ე. ი. ცოცხალი შრომისერთსა და იგივე რაოდენობას. და რადგანაც ფული, საქონლის წარმოების კანონის თანახმად, იცვლება მხოლოდ დაგროვილ შრომაზე, ე. ი. მანქანებისა და სხვ. სახით არსებულ საქონელზე და რადგანაც ზედმეტი ღირებულება წარმოიშობა მხოლოდ გამოყენებული ცოცხალი შრომის გადაუხდელი ნაწილის მითვისებიდან, ამიტომ თანახმად იმ წინაპირობისა, რომლის მიხედვითაც მანქანის არც ერთი ნაწილი გაცვეთის სახით საქონელში არ შედის, ნათელი ხდება დასკვნა, რომ ორთავეს ერთიდაიგივე მოგების მიღება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოგება და ზედმეტი ღირებულება იდენტიურია. ბამბეულის ფაბრიკანტს უნდა გაეყიდა თავისი საქონელი 5500 გირვ. სტერლინგად, ისევე როგორც მოიჯარადრეს, თუმცა ის კაპიტალს აბანდებს ორმაგზე მეტი რაოდენობით. და თვით მთელი მანქანის ღირებულებაც რომ შესულიყო საქონელში, ის მაშინაც თავის საქონლის გაყიდვას შესძლებდა მხოლოდ 11 000 გირვ. სტერლინგად, ე. ი. ის ვერ მიიღებდა მოგებას 5 პროცენტსაც კი, მაშინ როდესაც მოიჯარადრე იღებს 10 პროცენტს. მაგრამ ამ არათანასწორ მოგებათა დროს მოიჯარადრე და ფაბრიკანტი საქონელს გაყიდდენ მისი ღირებულების მიხედვით, თუ ვიგულისხმებთ, რომ 10 პროცენტი, რომელსაც მოიჯარადრე ღებულობს, გამოსახავს ნამდვილ, მის საქონელში მოთავსებულ გადაუხდელ შრომას. მაშასადამე, თუ ისინი თავიანთ საქონელს ყიდიან ერთი და იმავე მოგებით, მაშინ ორში ერთია აუცილებელი: ან ფაბრიკანტი თვითნებურად ადებს თავის საქონელს 5 პროცენტს და მაშინ ფაბრიკანტის და მოიჯარადრის საქონელი, ერთად აღებული, იყიდება მათ ღირებულებაზე ზ ე ვ ი თ; ანდა ნამდვილი ზედმეტი ღირებულება, რომელსაც მოიჯარადრე იღებს, უდრის დაახლოებით 15%-ს. და ორივე ადებს თავიანთ საქონელს საშუალოს 10 პროცენტის რაოდენობით. ამ შემთხვევაში, თუმცა სათანადო საქონლის წარმოების ფასი ყოველთვის მის ღირებულებაზე მაღლა ან დაბლა დგას, საქონელთა ჯამი იყიდება მათი ღირებულების მიხედვით და თვით მოგებათა გათანასწორება მათში მოთავსებული ზედმეტი ღირებულების ჯამით განისაზღვრება. აქ, რ ი კ ა რ დ ო ს ზემოაღნიშნული წინადადება, თუ მას სწორად გავუკეთებთ მოდიფიკაციას, ჭეშმარიტებას შეიცავს, სახელდობრ, რომ ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის შე-

ფარდებამ, დაბანდებული კაპიტალის თანასწორი სიდიდის დროს, არათანასწორი ღირებულების და ამიტომ სხვადასხვა მოგების მქონე საქონელნი უნდა წარმოშვას, რომ ამ მოგებათა გათანასწორებამ ამიტომ საქონელთა ღირებულებათაგან განსხვავებული წარმოების ფასები უნდა წარმოშვას.

„მაშასადამე, აქ კაპიტალისტები იყენებენ წლიურად შრომის[1] სწორედ ერთსა და იმავე რაოდენობას თავიანთი საქონლის საწარმოებლად და, მიუხედავად ამისა, მათი პროდუქტები მაინც განსხვავდებიან[2] ერთიმეორისაგან ღირებულებით დაგროვილი შრომის იმ სხვადასხვა რაოდენობის გამო, რომელსაც თითოეული მათგანი იყენებს".

თუმცა რიკარდო აქ ჭეშმარიტებას უახლოვდება, მაგრამ იგი მას შემდეგში ველარ ანვითარებს, იგი მხოლოდ განმარტავს იმ ილიუსტრაციის რყევას და აშკარა სიყალბეს, რომელსაც აქამდე არავითარი კავშირი არ ჰქონდა გამოყენებული ძირითადი კაპიტალის სხვადასხვა რაოდენობასთან.

დავუბრუნდეთ ახლა ანალიზის შემდგომ განვითარებას. ფაბრიკანტი პირველ წელს აგებს მანქანას 100 კაცის საშუალებით; მოიჯარადრე ამავე დროს განმავლობაში აწარმოებს ხორბლეულს აგრეთვე 100 კაცის საშუალებით. მეორე წელს ფაბრიკანტი აგებული მანქანის საშუალებით აწარმოებს ბამბეულს, რისთვისაც ის კვლავ 100 კაცს ამუშავებს. მოიჯარადრე კი, პირიქით, ამუშავებს ისევ 100 კაცს ხორბლეულის საწარმოებლად. დაუშვათო, ამბობს რიკარდო, რომ ხორბლეულის ღირებულება წლიურად შეადგენს 5000 გირვ. სტერლინგს. დაუშვათ, რომ მასში გადაუხდელი შრომა უდრის [გადახდილის] 25 პროცენტს. ამრიგად, პირველი წლის ბოლოს მანქანა სწორედ ასევე ღირებოდა 5000 გირვ. სტერლინგი, საიდანაც 4000 გირვ. სტ. = გადახდილ შრომას და 1000 გირვ. სტერლინგი კი — გადაუხდელი შრომის ღირებულებას. დაუშვათ ახლა, რომ მეორე წლის ბოლოს მთელი მანქანა გაცვდა და გადავიდა ბამბეულის ღირებულებაში. და მართლაც, რიკარდოს ესა აქვს წარმოდგენილი, რადგანაც ის მეორე წლის ბოლოს არა მარტო ბამბეულის ღირებულებას, არამედ ამ უკანასკნელის და მანქანის ღირებულებას ხორბლეულის ღირებულებას ადარებს.

ძალიან კარგი. ბამბეულის ღირებულება ამ შემთხვევაში მეორე წლის ბოლოს უნდა უდრიდეს 10 000 გირვ. სტერლინგს, სახელდობრ:

[1] უშუალო, ცოცხალი შრომის.

[2] ე. ი. მათ აქვთ წარმოების ფასები, რომელნიც მათ ღირებულებათაგან განსხვავდებიან.

5000 მანქანის ღირებულება და 5000 ახლად მიმატებული შრომის ღირებულება. ხორბლეულის ღირებულება, პირიქით, უნდა უდრიდეს 5000 გირვ. სტერლინგს, სახელდობრ: 4000 გირვ. სტერლინგი შრომის ხელფასი და 1000 გირვ. სტერლინგი გადაუხდელი შრომა. აქამდე ეს მაგალითი არ შეიცავს ისეთ რამეს, რაც ღირებულებათა კანონს ეწინააღმდეგებოდეს. ბამბეულის ფაბრიკანტი იღებს 25 პროცენტ მოგებას, სავსებით ისე როგორც ხორბლეულის ფაბრიკანტი; მაგრამ პირველის საქონელი = 10 000 და მეორესი კი = 5000 გირვ. სტ., რადგანაც პირველის საქონელში მოთავსებულია 200 კაცის შრომა და მეორისაში კი ყოველწლიურად მხოლოდ 100 კაცის; და შემდეგ, ის 1000 გირვ. სტ. მოგება (ზედმეტი ღირებულება), რომელიც ბამბეულის ფაბრიკანტმა პირველ წელიწადს მიიღო, მით რომ მანქანის აგებაზე მისი მუშების მიერ დახარჯული სამუშაო დროის ერთი მეხუთედი[1] არ გაისტუმრა, რეალიზაციას პოულობს მისთვის მხოლოდ მეორე წელს, ვინაიდან ის მხოლოდ ახლა ახდენს ბამბეულის საქონლის ღირებულებაში იმავდროულად მანქანის ღირებულების რეალიზაციასაც. მაგრამ ახლა ხდება ახირებული რამ. ბამბეულის ფაბრიკანტი 10 000 გირვ. სტერლინგზე უფრო მეტად ყიდის, მაშასადამე, უფრო მეტი ღირებულებით, ვიდრე ამას მისი საქონელი შეიცავს, მაშინ როდესაც მოიჯარადრე ყიდის 5000 გირვ. სტერლინგად, ე. ი. ხორბლეულის ნაგულისხმევი ღირებულების მიხედვით. ამრიგად, თუ მარტო ამ ორ პირს ექნებოდა ერთმანეთს შორის გასაცვლელი, ე. ი. ფაბრიკანტს მოიჯარადრისაგან მისაღები ხორბალი, ხოლო მოიჯარადრეს კი ფაბრიკანტისაგან ბამბეული, მაშინ ეს იგივე იქნებოდა, რომ მოიჯარადრეს თავისი საქონელი გაეყიდა მის ღირებულებაზე დაბლა, ე. ი. მიელო 25 პროცენტზე ნაკლები მოგება, და ფაბრიკანტს კი გაეყიდა ბამბეული მის ღირებულებაზე ზევით. დავანებოთ თავი ორ კაპიტალისტს: მაუდის ფაბრიკანტს და ბამბეულის ფაბრიკანტს, რომლებიც რ ი კ ა რ დ ო ს აქ სრულიად ზედმეტად გამოყავს და შევცვალოთ მისი მაგალითი იმ მხრივ, რომ ლაპარაკი იყოს მხოლოდ ბამბეულის ფაბრიკანტზე. ილუსტრაციისათვის, რამდენადაც ის ჩვენ აქ გვაინტერესებს, ეს ორმაგი ანგარიში სრულიად უსარგებლოა. ამრიგად:

„მაგრამ მას (ბამბეულს) ექნება ღირებულება ორმაგზე მეტი ხორბალთან შედარებით, რადგანაც... ბამბეულის ფაბრიკანტის კაპიტალის მოგება, მიღებული პირველ წელიწადს, მიემატა მისსავე კაპიტალს, მაშინ როდესაც მოიჯარადრემ

---

[1] ხელნაწერში აღნიშნულია $^1/_4$.—კ.

თავისი მოგება პირადი სიამოვნებისათვის[1] დახარჯა. მაშასადამე, მათი კაპიტალების ხანგრძლივობის სხვადასხვა ხარისხის გამო ანუ, რაც იგივეა, იმ დროის სხვადასხვაობის გამო, რომელმაც უნდა განვლოს, სანამ საქონელთა განსაზღვრული რაოდენობის ბაზარზე გატანა შესაძლებელი გახდებოდეს, ამ საქონელთა ღირებულება არ იქნება ზედმიწევნით სწორ შეფარდებაში მათზე დახარჯული შრომის რაოდენობასთან. ამ შემთხვევაში ის არ იქნება ისეთ შეფარდებაში, როგორც 2 : 1, არამედ იქნება რამდენიმედ მეტი, რათა შესძლოს იმ უფრო ხანგრძლივი დროის ანაზღაურება, რომელმაც უნდა განვლოს, სანამ ყველაზე უფრო ძვირი ღირებულების საქონელი ბაზარზე გასვლას შესძლებდეს" (l. c., გვ. 30).

რომ ფაბრიკანტი საქონელს მისი ღირებულების მიხედვით ყიდდეს, მაშინ ის მას გაყიდდა 10 000 გირვ. სტერლინგად, ორჯერ უფრო ძვირად ხორბალთან შედარებით, რადგანაც მასში ორჯერ მეტი შრომაა მოთავსებული, — 5000 გირვ. სტ. მანქანაში დაგროვილი შრომა, რომლიდანაც მას 1000 გირვ. სტერლინგი არ გადაუხდია, და ბამბეულის დამზადებისათვის საჭირო შრომა — 5000 გირვ. სტ. რომლიდანაც მას აგრეთვე 1000 გირვ. სტ. არ გადაუხდია. მაგრამ ის ასე ანგარიშობს: პირველ წელიწადს მე დავაბანდე 4000 გირვ. სტ., და მუშების ექსპლოატაციის საშუალებით ავაგე მანქანა 5000 გირვ. სტერლინგის ღირებულებისა. ამრიგად, მე მივიღე მოგება 25 პროცენტის რაოდენობით. მეორე წელიწადს მე ვაბანდებ 9000 გირვ. სტერლინგს, სახელდობრ: 5000 აღნიშნულ მანქანაში და 4000 — კვლავ შრომაში. [1000 გირვ. სტერლინგი შეადგენს ზედმეტ შრომას, პროდუქტის საერთო ღირებულება უდრის, მაშასადამე, 10 000 გირვ. სტ.] თუ მე მსურს კვლავ მივიღო მოგება 25 პროცენტის რაოდენობით, მაშინ მე ბამბეულის საქონელი უნდა გავყიდო 11 250 გირვ. სტერლინგად, ე. ი. 1250 გირვ. სტერლინგით უფრო მეტად მის ღირებულებაზე. ვინაიდან ეს 1250 გირვ. სტერლინგი არ წარმოადგენს ბამბეულის საქონელში მოთავსებულ შრომას, არც პირველ წელში დაგროვილს და არც მეორე წელში მიმატებულს. შრომის საერთო რაოდენობა, რომელიც მასშია მოთავსებული, უდრის მხოლოდ 10 000 გირვ. სტერლინგს.

მეორეს მხრივ, წარმოვიდგინოთ, რომ ორივე, მოიჯარადრე და ბამბეულის ფაბრიკანტი ურთიერთშორის აწარმოებენ საქონლის გაცვლას, ანუ კაპიტალისტთა ერთი ნახევარი იმყოფება ბამბეულის ფაბრიკანტის მდგომარეობაში, მეორე ნახევარი კი მოიჯარადრის მდგომარეობაში. საიდან უნდა მიიღოს პირველმა ნახევარმა 1250 გირვ. სტერლინგი? რომელი ფონდიდან? აშკარაა, რასაკვირველია, რომ მხოლოდ მეორე ნახევარისაგან. მაგრამ მაშინ ნათელი უნდა

---

[1] ეს უკანასკნელი ბურჟუაზიულად გალამაზებული ფრაზა თეორიულად აქ სავსებით უაზროა. მორალურ მოსაზრებებს საგანთან არავითარი კავშირი არა აქვს.

იყოს, რომ ეს მეორე ნახევარი არავითარ მოგებას 25 პროცენტის რაოდენობით არ იღებს. მაშასადამე, პირველი ნახევარი მოატყუებდა მეორე ნახევარს მოგების საერთო ნორმის მომიზეზებით, მაშინ როდესაც სინამდვილეში მოგების ნორმა ფაბრიკანტისათვის იქნებოდა შეჩერებული 20 პროცენტზე და მოიჯარადრისათვის — 25 პროცენტზე დაბლა. მაშასადამე, საქმე სხვანაირად უნდა მიმდინარეობდეს.

რათა ილიუსტრაცია უფრო სწორი და თვალსაჩინო გავხადოთ, წარმოვიდგინოთ, რომ მოიჯარადრე ხარჯავს [პირველ წელიწადს 4000 გირვ. სტერლინგს], მეორე წელიწადს — 8000 გირვ. სტერლინგს. ამრიგად, მან პირველ წელიწადს მიიღო 4000 გირვ. სტერლინგზე 25 პროცენტის კვალობაზე 1000 გირვ. სტ. მოგება, მეორე წელიწადს 8000 გირვ. სტერლინგზე — 2000 გირვ. სტერლინგი, სულ — 3000 გირვ. სტერლინგი. ფაბრიკანტმა, პირიქით, პირველ წელიწადს მიიღო 4000 გირვ. სტერლინგზე 25 პროცენტი — 1000 გირვ. სტერლინგი, მაგრამ მეორე წელსაც 9000 გირ. სტერლინგზე [აგრეთვე] მხოლოდ 1000 გირვ. სტერლინგი [მაშასადამე], მხოლოდ $11^{1}/_{9}$ პროცენტი, ვინაიდან მანქანაში დაბანდებული 5000 გირვ. სტერლინგი არავითარ ზედმეტ ღირებულებას არ იძლევა, არამედ ამ უკანასკნელს იძლევა მხოლოდ შრომის ხელფასზე დახარჯული 4000 გირვ. სტერლინგი. ორი წლის განმავლობაში წარმოებაში დაბანდებულ 13 000 გირვ. სტერლინგზე სულ მიიღო 2000 გირვ. სტერლინგი ანუ $15^{5}/_{13}$ პროცენტი. [საშუალო მოგება, მაშასადამე, იქნებოდა 20 პროცენტი [1]. ფაბრიკანტს რომ ეს მოგება მიეღო, უნდა დაემატებია 5 პროცენტი, ხოლო მოიჯარადრეს კი ამდენივე უნდა დაეკლო.] ეს კი მოგვცემდა მოიჯარადრის საქონლისათვის ნაკლებს, ვიდრე 5000 გირ. სტ. და ფაბრიკანტის საქონლისათვის მეტს, ვიდრე 10 000 გირვ. სტერლინგი.

ფაბრიკანტს რომ ბამბეულის წარმოების ნაცვლად სახლი აეშენებია, ე. ი. რომ ის არქიტექტორი ყოფილიყო, მაშინ პირველი წლის ბოლოს დაუმთავრებელ სახლში მოთავსებული ექნებოდა 5000 გირვ. სტერლ. და მას მის დასამთავრებლად კიდევ უნდა დაეხარჯა 4000 გირვ. სტერლინგი. მოიჯარადრეს, რომლის კაპიტალი ერთი წლის განმავლობაში გადაბრუნდა, შეუძლია 1000 გირვ. სტერლინგის მოგებიდან ერთი ნაწილი, მაგალითად, 500 გირვ., კვლავ აქციოს კაპიტალად, ახლად დააბანდოს შრომაში, რაც ფაბრიკანტს დაშვებულ მაგალითში არ შეუძლია. რათა მოგების ნორმა ორივე შემთხვევაში ერთნაირი დარჩეს, — ერთის საქონელი უნდა გაიყიდოს მის ღირებულებაზე

[1] მარქსი ხელნაწერში შეცდომით ანგარიშობს $20^{5}/_{26}$ პროცენტს — რ.

მაღლა და მეორესი კი — მის ღირებულებაზე დაბლა. ვინაიდან კონკურენცია ესწრაფვის ღირებულებანი გაუთანაბროს წარმოების ფასებს, ეს მართლაც ასე ხდება.

მაგრამ შემცდარია, რასაც რ ი კ ა რ დ ო ამბობს, სახელდობრ, რომ აქ ადგილი აქვს შეფარდებით ღირებულებათა ცვლილებებს, „კაპიტალთა ხანგრძლივობის სხვადასხვა ხარისხის გამო“ ანუ იმ „დროის სხვადასხვაობის გამო, რომელმაც უნდა განვლოს, სანამ საქონლის ბაზარზე გატანა შესაძლებელი იქნებოდეს“. პირიქით, ეს უფრო გულისხმობაა მოგების საერთო ნორმისა, რომელიც მიუხედავად ღირებულებათა სხვადასხვაობისა იძლევა თანასწორ და მხოლოდ სამუშაო დროით განსაზღვრულ ღირებულებათაგან განსხვავებულ წარმოების ფასებს.

რ ი კ ა რ დ ო ს ილიუსტრაცია ნაწილდება ორ მაგალითად. უკანასკნელში კაპიტალის ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ა ანუ კაპიტალის ხასიათი, როგორც ძირითადი კაპიტალის, სრულებით მხედველობაში არაა მიღებული. საქმე ეხება მხოლოდ სხვადასხვა სიდიდის კაპიტალებს, რომლებიც შრომის ხელფასზე თანასწორ რაოდენობას ხარჯავენ, ე. ი. ხარჯავენ თანასწორ ცვალებად კაპიტალს, და სადაც მოგება ერთიდაიგივე უნდა იყოს, თუმცა ზედმეტი ღირებულება და ღირებულებანი კი — სხვადასხვა.

არც პირველ მაგალითში აქვს ადგილი კაპიტალის ხანგრძლივობას. აქ საქმე ეხება შრომის უფრო ხანგრძლივ პროცესს — საქონლის უფრო ხანგრძლივად გაჩერებას წარმოების სფეროში, მანამდე სანამ ის შესძლებდეს მიმოქცევაში შესვლას, სანამ ის დამზადდებოდეს.

აქაც, რ ი კ ა რ დ ო ს მაგალითში, ფაბრიკანტი მეორე წელს წარმოებაში აბანდებს უფრო დიდ კაპიტალს, ვიდრე მოიჯარადრე, თუმცა ის ორივე წელიწადს ერთსა და იგივე რაოდენობის ცვალებად კაპიტალს ხარჯავს. მაგრამ მოიჯარადრეს შეეძლო მეორე წელს უფრო მეტი ცვლებადი კაპიტალის გამოყენება, რადგანაც მისმა საქონელმა უფრო მოკლე ხანი დაჰყო შრომის პროცესში და რადგანაც ის უფრო ადრე გარდაიქმნა ფულად. გარდა ამისა, მოგების ნაწილი, რომელიც მოიხმარება როგორც შემოსავალი, მოსახმარი ხდება მოიჯარადრისათვის პირველი წლის ბოლოს, ფაბრიკანტისათვის კი მხოლოდ მეორე წლის ბოლოს. იგი იძულებულია, მაშასადამე, თავის არსებობისათვის დახარჯოს განსაკუთრებული კაპიტალი, გაიღოს ის თავისთვის ავანსად. თუმცა ეს აქ სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქცევენ კვლავ კაპიტალები, რომელნიც ერთი წლის განმავლობაში გადაბრუნდენ, თავიანთ მოგებას.

კაპიტალად. მაშასადამე, დამოკიდებულია წარმოებულ მოგებათა ნამდვილ სიდიდეზე, რათა შესაძლებელი გახდეს მეორე შემთხვევაში ანაზღაურების მიღება და მოგებათა გათანასწორება. სადაც არაფერია, იქ არც არაფერია გასათანასწორებელი. აქ კაპიტალები ხელახლა აწარმოებენ ღირებულებებს, ე. ი. ზედმეტ ღირებულებებს, მაშასადამე, მოგებათ არა მათ სიდიდესთან შეფარდებით. თუ ეს ასეა, მაშინ აუცილებლად უნდა არსებობდეს ღირებულებათაგან განსხვავებული წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს ე ბ ი.

რ ი კ ა რ დ ო იძლევა მესამე ილიუსტრაციას, რომელიც კვლავ პირველი ილიუსტრაციის პირველ მაგალითს ზ ე დ მ ი წ ე ვ ნ ი თ თანაემთხვევა და არც ერთ ახალ სიტყვას არ შეიცავს:

„დავუშვათ, რომ მე რომელიმე საქონლის წარმოებაში ვამუშავებ ერთი წლის განმავლობაში 20 კაცს 1000 გირვ. სტერლინგის დახარჯვით. ერთი წლის შემდეგ მე კვლავ ვქირაობ 20 კაცს სამუშაოდ ერთი წლის განმავლობაში და ახლად ვხარჯავ 1000 გირვ. სტერლინგს იმავე საქონლის საბოლოო დასამზადებლად და მეორე წლის ბოლოს ეს საქონელი გამაქვს ბაზარზე. თუ მოგება უდრის 10%-ს, მაშინ ჩემი საქონელი უნდა გაიყიდოს 2310 გირვ. სტერლინგად, რადგანაც მე ერთი წლის განმავლობაში გამოვიყენე 1000 გირვ. სტ. კაპიტალი და შემდეგი წლის განმავლობაში — 2100 გირვ. სტ. კაპიტალი. მეორე პირი კი, დავუშვათ, იყენებს შრომის სავსებით იმავე რაოდენობას, მაგრამ მთელ ამ რაოდენობას იყენებს ერთი წლის განმავლობაში. ის ამუშავებს 40 კაცს და ხარჯავს 2000 გირვ. სტერლინგს და თავის საქონელს ყიდის პირველი წლის ბოლოს 10 პროცენტის მოგებით, ე. ი. 2200 გირვ. სტერლინგად. ამრიგად, ჩვენ აქ გვაქვს ორი საქონელი, რომლებზეც დაიხარჯა სავსებით თანასწორი რაოდენობის შრომა, და რომელთაგანაც ერთი იყიდება 2310 გირვ. სტერლინგად, მეორე კი — 2200 გირვ. სტერლინგად. ეს შემთხვევა თითქოს განსხვავდება უკანასკნელიდან, მაგრამ სინამდვილეში ეს იგივეა“ (l. c., გვ. 34, 35).

ეს იგივეა არა მარტო „სინამდვილეში“, არამედ გარეგანი სახითაც. მხოლოდ პირველ შემთხვევაში საქონელს ეწოდება „მანქანა“, აქ კი უბრალოდ „საქონელი“. პირველ მაგალითში ფაბრიკანტმა პირველ წელიწადს დახარჯა 4000 გირვ. სტ. და მეორე წელიწადს — 9000 გირვ. სტ.; აქ კი — პირველ წელიწადს—1000 გირვ. სტერლინგი და მეორე წელიწადს — 2100 გირვ. სტერლინგი. მოიჯარადრემ [წინა შემთხვევაში] დახარჯა პირველ წელიწადს 4000 გირვ. სტ. და მეორე წელიწადს — 4000 გირვ. სტ. აქ კი მეორე პირი პირველ წელიწადს აბანდებს 2000 გირვ. სტერლინგს და მეორე წელიწადს სრულებით არაფერს. ამაშია მთელი განსხვავება. მაგრამ fabula docet ორივე შემთხვევაში შეეხება იმას, რომ პირველი პირი მეორე წელიწადს აბანდებს პირველი წლის მთელ პროდუქტს, ზედმეტი ღირებულების ჩართვით, პლიუს დამატებითი თანხა.

ეს მძიმედ გასაგები მაგალითები გვიჩვენებს, რომ რიკარდო ებრძვის სიძნელეს, რომელიც თვით მისთვის ნათელი არ არის და რომელსაც იგი კიდევ უფრო ნაკლებად სძლევს. სიძნელე მდგომარეობს შემდეგში: პირველი ილიუსტრაციის პირველმა მაგალითმა უნდა გამოარკვიოს კაპიტალის ხანგრძლივობის მოქმედება. მაგრამ ის ამის მსგავსს არაფერს არ აკეთებს; რიკარდომ ეს თავისთვის შეუძლებელი გახადა, რადგანაც ის არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ძირითადი კაპიტალის რომელიმე ნაწილი გაცვეთის სახით შევიდეს საქონელში, მაშასადამე, მხედველობიდან უშვებს სწორედ იმ მომენტს, რომელშიც აშკარავდება ძირითადი კაპიტალის მიმოქცევის თავისებური წესი. ის მხოლოდ გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც შრომის პროცესი უფრო ხანგრძლივია, გამოიყენება უფრო დიდი კაპიტალი, ვიდრე იქ, სადაც შრომის პროცესი უფრო ხანმოკლეა. მესამე მაგალითმა ისეთი რამ უნდა დაგვისურათოს, რაც ამისაგან განსხვავდება, მაგრამ სინამდვილეში კი იმასვე გვისურათებს. თუმცა პირველი ილიუსტრაციის მეორე მაგალითს უნდა ეჩვენებია, თუ როგორ განსხვავებებს აქვს ადგილი ძირითადი კაპიტალის სხვადასხვა პროპორციის გამო. ნაცვლად ამისა ის გვიჩვენებს მხოლოდ ორი არათანასწორი სიდიდის კაპიტალების განსხვავებას, თუმცა ორივე შრომის ხელფასზე თანასწორ რაოდენობას ხარჯავს. და ამასთანავე გამოდის ფაბრიკანტი, რომელიც უბამბოდ და უნართოდ მოქმედებს და მოიჯარადრე, რომელიც უთესლოდ და უიარაღოდ მოქმედებს! ამ ილიუსტრაციის სრული უსაფუძვლობა, კიდევ მეტი, უაზრობა, აუცილებლად გამომდინარეობს შინაგანი ბუნდოვანობიდან.

ყველა ამ ილიუსტრაციათა გამოყენებას რიკარდო ბოლოს შემდეგნაირად გამოსთქვამს:

„განსხვავება ღირებულებისა ორივე შემთხვევაში წარმოსდგება იქიდან, რომ მოგება გროვდება კაპიტალის სახით და ეს განსხვავება წარმოადგენს სამართლიან ანაზღაურებას[1] იმ დროისათვის, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა მოგებათა შეჩერებას“ (l. c., გვ. 35).

რას ნიშნავს ეს გარდა იმისა, რომ მიმოქცევის განსაზღვრულ დროში, მაგალითად, ერთ წელიწადში, კაპიტალმა უნდა მოგვცეს 10 პროცენტი მოგება, როგორიც უნდა იყოს მისი მიმოქცევის სპეციფიური დრო და სრულიად დამოუკიდებლად იმ სხვადასხვა ზედმეტ ღირებულებათაგან, რომელნიც უნდა შეიქმნან სხვადასხვა სა-

[1] თითქოს საქმე ეხებოდეს სამართლიანობას!

წარმოო დარგებში, მიმოქცევის პროცესის გარეშე, თანასწორი სიდიდის კაპიტალების მიერ ამ უკანასკნელთა ორგანიული შემადგენელი ნაწილების შეფარდების მიხედვით.

რიკარდოს უნდა გაეკეთებია აქედან შემდეგი დასკვნა:

პირველი: თანასწორი სიდიდის კაპიტალები აწარმოებენ არათანასწორი ღირებულების საქონელს და ამიტომ იძლევიან არათანასწორ ზედმეტ ღირებულებას ანუ მოგებას, რადგანაც ღირებულება განისაზღვრება სამუშაო დროით და სამუშაო დროის მასა, რომელსაც კაპიტალი ანხორციელებს, დამოკიდებულია არა მის აბსოლუტურ სიდიდეზე, არამედ ცვალებადი კაპიტალის სიდიდეზე, იმ კაპიტალისა, რომელიც დახარჯულია შრომის ხელფასზე.

მეორე: კიდევაც რომ დავუშვათ, რომ თანატოლი კაპიტალები თანასწორ ღირებულებას აწარმოებენ, მაშინაც მათი მიმოქცევის პროცესთან შეფარდებით სხვადასხვაა იმ დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მათ შეუძლიათ მიითვისონ თანასწორი გადაუხდელი შრომა და აქციონ იგი ფულად. ეს იძლევა, მაშასადამე, მეორე განსხვავებას ღირებულებაში, ზედმეტ ღირებულებაში და მოგებაში, რომლებიც თანასწორი სიდიდის კაპიტალებმა უნდა მოგვცენ წარმოების სხვადასხვა დარგებში განსაზღვრული დროის განმავლობაში.

ამიტომ, თუ მოგებანი თანასწორი უნდა იქნენ, როგორც პროცენტის ნორმა კაპიტალზე, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში, ისე რომ, მაშასადამე, თანატოლი სიდიდის კაპიტალები თანასწორი დროის განმავლობაში თანასწორ მოგებას იძლევიან, მაშინ აშკარაა, საქონელთა ფასები უნდა გარსხვავდებოდენ მათ ღირებულებათაგან. ყველა საქონელთა ეს წარმოების ფასები, ერთად აღებული, მათი ჯამი უნდა უდრიდეს მათ ღირებულებას. ასევე მთელი მოგება უნდა უდრიდეს მთელ ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც ეს კაპიტალები იძლევიან ერთად, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში. საშუალო მოგება და, მაშასადამე, წარმოების ფასებიც იქნებოდა მხოლოდ მოჩვენებითი და უშინაარსო, თუ ჩვენ ღირებულების განსაზღვრას არ მივიღებდით როგორც საფუძველს. ზედმეტ ღირებულებათა გათანასწორება სხვადასხვა საწარმოო სფეროებში არაფერს არ სცვლის ამ მთელი ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეში, არამედ ის სცვლის მხოლოდ მის განაწილებას წარმოების სხვადასხვა დარგებში. მაგრამ თვით ზედმეტი ღირებულების განსაზღვრა გამომდინარეობს მხოლოდ ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრიდან. უამისოდ საშუალო მოგება არის საშუალო არაფრისაგან, უბ-

რალო ფანტაზიაა. და მაშინ მას შეეძლო ყოფილიყო 1000 პროცენტი ისევე, როგორც 10 პროცენტი.

რ ი კ ა რ დ ო ყველა ილიუსტრაციას იყენებს მხოლოდ იმისთვის, რომ მოგების საერთო ნორმა კონტრაბანდად შემოაპაროს, როგორც წინაპირობა. და ეს ხდება პირველ თავში „ღირებულების შესახებ", მაშინ როდესაც შრომის ხელფასის განხილვა სწარმოებს, როგორც ჩანს, მხოლოდ მე-5 თავში, და მოგებისა კი — მე-6 თავში. თუ როგორ გამომდინარეობს საქონელთა ღირებულების უბრალო განსაზღვრიდან მათი ზედმეტი ღირებულება, მოგება და ამასთანავე თვით მოგების საერთო ნორმაც, — ეს რ ი კ ა რ დ ო ს ა თ ვ ი ს სიბნელით მოცული რჩება. ერთადერთი, რასაც ის ზემომოყვანილ ილიუსტრაციებში მართლაც ამტკიცებს, არის ის, რომ საქონელთა ფასები, რამდენადაც ისინი განისაზღვრებიან მოგების საერთო ნორმით, სავსებით განსხვავდებიან საქონელთა ღირებულებებიდან. და ის ამ განსხვავებამდე მიდის, გულისხმობს რა მოგების ნორმას, როგორც კანონს. აქედან ცხადია, რომ მას უნდა უსაყვედუროთ არა მეტად დიდი აბსტრაქცია, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება, არამედ, პირიქით, უფრო სამართლიანი იქნებოდა წინააღმდეგი საყვედური; ე. ი. აბსტრაქციის ძალის ნაკლებობა: უუნარობა დაივიწყოს საქონელთა ღირებულებების განხილვის დროს მოგება როგორც ფაქტი, რომელიც მის წინაშე იჭრება კონკურენციიდან.

ვინაიდან რ ი კ ა რ დ ო, ნაცვლად იმისა, რომ წარმოების ფასების ღირებულებათაგან განსხვავება განავითაროს თვით ღირებულების განსაზღვრიდან, აღიარებს, რომ თვით ღირებულებებს განსაზღვრავენ სამუშაო დროიდან დამოუკიდებელი გავლენანი, — აქ უადგილო არ იქნებოდა, რომ მას მტკიცედ დაეცვა „აბსოლუტური" ან „რეალური ღირებულების" ანდა უბრალოდ „ღირებულების" ცნება, — და ზოგჯერ არღვევენ მათ კანონს, ამიტომ მისი მოწინააღმდეგენი, როგორც, მაგალითად, მ ა ლ თ უ ს ი, სარგებლობენ ამით, რათა იერიში მიიტანონ მთელ მის ღირებულების თეორიაზე; ამასთანავე მ ა ლ თ უ ს ი სამართლიანად შენიშნავს, რომ განსხვავებანი კაპიტალის ორგანიულ შემადგენელ ნაწილთა შორის და კაპიტალის გადაბრუნების დრონი წარმოების სხვადასხვა დარგებში თანაბრად ვითარდებიან წარმოების პროგრესთან ერთად, ასე რომ ადგილი აქვს ა. ს მ ი ტ ი ს თვალსაზრისზე დაბრუნებას, რომლის მიხედვითაც ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრა უკვე თანდათან აღარ შეეფერება „ცივილიზაციაქმნილ" დროს (იხილე აგრეთვე ტ ო რ ე ნ ს ი). მეორეს მხრივ, მისი მოწაფენი, რათა ეს მოვლენები ადე-

კვატური გაეხადათ ძირითად პრინციპთან (იხ. მ ი ლ ი და უბადრუკი პ ე ტ რ ე მ ა კ - კ უ ლ ო ხ ი) მიმართავენ უბადრუკ სქოლასტიურ ხერხს.

რ ი კ ა რ დ ო არ ჩერდება რა მისი საკუთარი ილიუსტრაციიდან გამომდინარე შედეგზე, რომლის მიხედვითაც საქონელთა წარმოების ფასები, სრულიად დამოუკიდებლად შრომის ხელფასის აწევისა ანუ დაცემისაგან, ნაგულისხმევი მუდმივი შრომის ხელფასის პირობებში, უნდა განსხვავდებოდენ მათ ღირებულებათაგან იმ შემთხვევაში, თუ ეს წარმოების ფასები განისაზღვრება მოგების პროცენტის ერთიდაიგივე ნორმით, — გადადის ამ განყოფილებაში იმ გავლენაზე, რომელსაც ახდენს შრომის ხელფასის აწევა ან დაცემა წარმოების ფასებზე, რომლებთანაც უკვე გათანასწორებულია ღირებულებანი.

ეს ჭკუამახვილობა თავისთავად მეტად მარტივი რამაა.

მოიჯარადრე აბანდებს 5000 გირვ. სტ. კაპიტალს 10 პროცენტის კვალობაზე; [ღირებულება მისი] საქონლისა უდრის 5500 გირვ. სტერლინგს. თუ მოგება ერთი პროცენტით ეცემა, 10-დან 9 პროცენტამდე, ვინაიდან შრომის ხელფასმა აიწია, რამაც გამოიწვია ეს შემცირება, მაშინ ის საქონელს ყიდის, როგორც წინათ, 5500 გირვ. სტერლინგად, რადგანაც ნაგულისხმევია, რომ მან მთელი თავისი კაპიტალი შრომის ხელფასზე დახარჯა. ფაბრიკანტის კაპიტალიც აგრეთვე შესდგება 5500 გირვ. სტერლინგიდან მანქანებისათვის და 5000 გირვ. სტ. შრომის ხელფასისათვის. ეს უკანასკნელი 5000 გირვ. სტერლინგი კაპიტალი გამოიხატება, ისე როგორც უწინ, პროდუქტის ღირებულებაში, რომელიც 5500 გირვ. სტ. უდრის. პირიქით, 5500 გირვ. სტერლინგის ძირითად კაპიტალზე მას აღარ შეუძლია იანგარიშოს 10 პროცენტი მოგება ანუ 550 გირვ. სტერლინგი, არამედ მხოლოდ 9 პროცენტი ანუ 495 გირვ. სტ.. ის გაყიდის, მაშასადამე, თავის საქონელს 5995 გირვ. სტერლინგად ნაცვლად 6050 გირვ. სტერლინგისა და, ამრიგად, შრომის ხელფასის დაცემის გამო მოიჯარადრის საქონლის ფულადი ფასი იგივე დარჩა, ხოლო ფაბრიკანტის საქონლის ფულადი ფასი კი დაეცა; მაშასადამე, მოიჯარადრის საქონლის ღირებულებამ აიწია შედარებით ფაბრიკანტის საქონლის ღირებულებასთან (რ ი კ ა რ დ ო, გვ. 31, 32). საქმის მთელი უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ, თუ ფაბრიკანტი თავის საქონელს იმავე ღირებულების მიხედვით გაყიდდა როგორც უწინ, იგი მიიღებდა საშუალოზე უფრო მეტ მოგებას, იმიტომ რომ შრომის ხელფასის აწევა უშუალოდ ეხება კაპიტალის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც შრომის ხელფასზეა დახარჯული. ამ

ილიუსტრაციის დროს უკვე ნაგულისხმევია საშუალო მოგების 10 პროცენტით მოწესრიგებული და საქონელთა ღირებულებათაგან განსხვავებული წარმოების ფასები. საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მოქმედებს მათზე მოგების აწევა ან დაცემა იმ სხვადასხვა შეფარდების მიხედვით, რომელსაც შეადგენს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი [ერთობლივ კაპიტალში]. არსებით საკითხთან, ღირებულებათა წარმოების ფასებად გადაქცევასთან, ამ ილიუსტრაციას არავითარი საერთო არა აქვს. იგი საინტერესოა, რადგანაც *რიკარდო* საერთოდ აქ გვიჩვენებს, რომ ხელფასის აწევა, რომელსაც შეეძლო კაპიტალთა თანასწორი შედგენილობის დროს გამოეწვია მოგების შემცირება საქონელთა ღირებულებაზე გავლენის მოუხდენლად — წინააღმდეგ ვულგარული შეხედულებისა — იწვევს კაპიტალთა არათანასწორი შედგენილობის დროს მხოლოდ ზოგიერთ საქონელთა ფასების დაცემას, ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ამას ვულგარული შეხედულება ფიქრობს, გამოიწვიოს ყველა საქონლის ფასების აწევა. აქ საქონელთა ფასების დაცემა არის შედეგი მოგების ნორმის დაცემისა ანუ, რაც იგივეა, შრომის ხელფასის აწევისა. საქონლის წარმოების ფასის დიდი ნაწილი ფაბრიკანტის შესახებ მოყვანილ მაგალითში განისაზღვრება იმ საშუალო მოგებით, რომელსაც ის ძირითად კაპიტალზე ანგარიშობს. მაშასადამე, ეცემა თუ იწევს მოგების ეს ნორმა შრომის ხელფასის აწევის ანუ დაცემის გამო, ამ საქონელთა ფასიც შესაბამისად დაეცემა და აიწევს, ფასის იმ ნაწილთან შეფარდებით, რომელიც გამომდინარეობს ძირითად კაპიტალზე გამოანგარიშებული მოგებიდან. ასევე ითქმის „მიმოქცევაში მყოფ კაპიტალების შესახებაც, რომლებიც უფრო ხანგრძლივ პერიოდში მიმოიქცევიან“ (*მაკ-კულოხი*). თუ კაპიტალისტები, რომლებიც ნაკლებ ცვალებად კაპიტალს იყენებენ, განაგრძობენ საქონლის ფასში თავიანთი ძირითადი კაპიტალის მოგების იმავე ნორმის მიხედვით ჩათვლას, მაშინ მათი მოგების ნორმა აიწევდა და აიწევდა იმ შეფარდების მიხედვით, რომლითაც ისინი მეტ ძირითად კაპიტალს იყენებენ, შედარებით მათთან, რომელთა კაპიტალიც უფრო დიდი რაოდენობით ცვალებადი კაპიტალისაგან შესდგება. ამას კონკურენცია გაათანასწორებდა.

*რიკარდო*, ამბობს *მაკ-კულოხი*, პირველი იყო, რომელმაც გამოიკვლია შრომის ხელფასის რყევის გავლენა საქონელთა ღირებულებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მათ საწარმოებლად გამოყენებული კაპიტალები არათანაბარი ხანგრძლივობის არიან. „*რიკარდომ* გვიჩვენა არა მარტო ის, რომ ხელფასის აწევისათვის

შეუძლებელია ავწიოთ ყველა საქონელთა ფასი, არამედ ისიც, რომ მეტწილად შრომის ხელფასის აწევას აუცილებლად მივყევართ ზოგიერთ საქონელთა ფასების დაცემამდე, ხოლო შრომის ხელფასის დაცემას — სხვა საქონელთა ფასების აწევამდე" (The principles of Pol. Economy, ლონდონი 1830 წ. გვ. 341, 342).

რიკარდო თავის დებულებას ამტკიცებს ჯერ ერთი მით, რომ გულისხმობს მოგების საერთო ნორმის მიერ მოწესრიგებულ წარმოების ფასებს. მეორე:

„შრომის ღირებულების აწევა შეუძლებელია მოგების დაცემის გარეშე" (გვ. 31).

მაშასადამე, უკვე პირველ თავში, „ღირებულების შესახებ", ნაგულისხმევია კანონები, რომლებიც მე-5 და მე-6 თავებში, სადაც განიხილება შრომის ხელფასი და მოგება, გამოყვანილ უნდა იქნან იმ თავიდან, რომელიც შეეხება ღირებულებას. გაკვრით უნდა აღინიშნოს, რომ რიკარდო სრულიად ყალბად დაასკვნის, რომ, რადგანაც „შრომის ღირებულების არავითარი აწევა არ შეიძლება მოგების დაცემის გარეშე", ამიტომ შეუძლებელია აგრეთვე მოგების აწევაც შრომის ღირებულების დაუცემლადო. პირველი კანონი შეეხება ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ, ვინაიდან მოგება უდრის ზედმეტი ღირებულების ავანსად გაღებულ ერთობლივ კაპიტალთან შეფარდებას, ამიტომ მოგებას შეუძლია აიწიოს შრომის უცვლელად [დარჩენილ] ღირებულების დროს, თუ მუდმივი კაპიტალის ღირებულება ეცემა.

უკანასკნელი ილიუსტრაციის ზოგადი fabula docet არის შემდეგი:

„დოვლათთა შეფარდებითი ღირებულების იმ ცვლილების ხარისხი, რომელიც შრომის ხელფასის აწევისა ან დაცემისაგან გამომდინარეობს [1], დამოკიდებულია იმ შეფარდებაზე, რომელშიც ძირითადი კაპიტალი ერთობლივ გამოყენებულ კაპიტალთან იმყოფება. ყველა საქონელი, რომელიც იწარმოება ძვირად ღირებული მანქანების საშუალებით ანუ მეტად ძვირად ღირებულ შენობებში ან რომელიც დიდ დროს მოითხოვს, სანამ ის ბაზარზე იქნებოდეს გატანილი, თავის ღირებულებაში დაეცემა, მაშინ როდესაც ყველა ის საქონელი, რომელიც უმთავრესად შრომის საშუალებით იწარმოება ან რომელსაც შეუძლია სწრაფად გავიდეს ბაზარზე, აიწევს თავის შეფარდებით ღირებულებაში" (l. c., გვ. 32).

რიკარდო კვლავ უბრუნდება იმას, რაც მას განსაკუთრებით აინტერესებს თავის გამოკვლევაში. საქონელთა წარმოების ფასების

[1] ანუ, რაც იგივეა, დაცემა ან აწევა მოგების ნორმისა.

ეს ცვლილებანი, გამოწვეული შრომის ხელფასის აწევით ან დაცემით, უმნიშვნელოა შედარებით ამავე წარმოების ფასების იმ ცვლილებებთან, რომელნიც საქონელთა ღირებულებების (რიკარდო მეტად შორსაა იმისგან, რომ ეს ჭეშმარიტება ასეთ სწორ ფორმაში გამოხატოს), ამ საქონელთა საწარმოებლად საჭირო შრომის რაოდენობის ცვლილებათაგან წარმოსდგებიან. მაშასადამე, საერთოდ და მთლიანად შეიძლება ამას აბსტრაქცია უყოთ და ღირებულებათა კანონი კვლავ დარჩება პრაქტიკულადაც სწორი (მას უნდა დაემატებია: რომ თვით წარმოების ფასები, სამუშაო დროით განსაზღვრულ ღირებულებათა გარეშე, აუხსნელი რჩება). ესაა მისი გამოკვლევის ნამდვილი მსვლელობა. მართლაც, ნათელია, რომ მიუხედავად საქონლის ღირებულებათა წარმოების ფასებად გადაქცევისა, რაკი ეს უკანასკნელი უკვე ვიგულისხმეთ, ცვლილება მათში, რამდენადაც ის არ გამომდინარეობს მოგების ნორმის პერმანენტული დაცემისა თუ აწევისაგან, არ გამომდინარეობს ამ ნორმის ხანგრძლივი ცვლილებისაგან, რომლის დამკვიდრებაც მხოლოდ მრავალი წლის განმავლობაშია შესაძლებელი, — შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ იმ ცვლილებით, რომელსაც ადგილი აქვს საქონელთა ღირებულებებში, მათი წარმოებისათვის აუცილებელ სამუშაო დროში.

„მკითხველი შეამჩნევს, რომ საქონელთა[1] ცვლილებების ეს მიზეზი შედარებით მცირე გავლენას ახდენს... პირიქით, სულ სხვაგვარად არის საქმე საქონელთა ღირებულების ცვლილებათა გამომწვევი მეტრე დიდი მიზეზის დროს, სახელდობრ შრომის იმ რაოდენობის გადიდების ან დაკლების დროს, რაც აუცილებელია მათ დასამზადებლად... ცვლილება, რომელსაც ადგილი აქვს მოგების ხანგრძლივი ნორმის დროს, შედეგია იმ მიზეზთა მოქმედებისა, რომლებიც მხოლოდ მრავალი წლის განმავლობაში იჩენენ თავს; პირიქით, საქონლის წარმოებისათვის აუცილებელი შრომის რაოდენობაში ცვლილებებს კი ყოველდღიურად აქვს ადგილი. ყოველი გაუმჯობესება მანქანების, სამუშაო იარაღების, შენობების და ნედლი მასალის წარმოებისა ზოგავს შრომას და შესაძლებლობას გვაძლევს დიდი სიადვილით დავამზადოთ ის საქონელი, რომლის საწარმოებლადაც გამოიყენება გაუმჯობესება და რის გამოც მისი ღირებულება იცვლება. რასაკვირველია, შემცდარი იქნებოდა, რომ ჩვენ საქონელთა ღირებულებაში ცვლილებების გამომწვევი მიზეზების შეფასების დროს სრულიად გაგვეშვა მხედველობიდან შრომის ხელფასის აწევის ან დაცემის მოქმედება, მაგრამ ასევე არასწორი იქნებოდა, რომ მისთვის მიგვეცა დიდი მნიშვნელობა" (l. c., გვ. 32, 33).

ამიტომ [თავისი გამოკვლევის შემდგომ მსვლელობაში] რიკარდო ამ გარემოებას მხედველობაში არ იღებს.

---

[1] უნდა იყოს „წარმოების ფასების" ანუ, როგორც ის ფიქრობს, საქონელთა შეფარდებითი ღირებულებების.

1-ლი თავის—„ღირებულების შესახებ“—მთელი ეს მე-4 განყოფილება ისე არაჩვეულებრივად აბნეულია, რომ, რ ი კ ა რ დ ო, თუმცა შესავალში გვამცნობს, რომ მას სურს გამოიკვლიოს ც ვ ლ ი ლ ე ბ ა თ ა გავლენა, რომელსაც ახდენს ღირებულებაზე შრომის ხელფასის აწევა ან დაცემა კაპიტალის სხვადასხვა შედგენილობის გამო, ფაქტიურად კი ის ამას მხოლოდ გაკვრით გვისურათებს და სინამდვილეში კი, პირიქით, ამ მე-4 განყოფილების უმთავრესი ნაწილი ავსებულია ილიუსტრაციებით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შრომის ხელფასის აწევის ან დაცემისაგან სრულიად დამოუკიდებლად — თვით მის მიერვე ნაგულისხმევ მუდმივი შრომის ხელფასის დროს — მოგების საერთო ნორმის დაშვებამ უნდა მოგვცეს წარმოების ფასები, განსხვავებული საქონელთა ღირებულებათაგან. და სახელდობრ კვლავ დამოუკიდებლად თვით იმ სხვაობათაგან, რომელიც არსებობს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის [შეფარდებაში]. ამას ის კვლავ ივიწყებს განყოფილების ბოლოში.

ის შემდეგი სიტყვებით იწყებს თავის გამოკვლევას მე-4 განყოფილებაში:

„ეს განსხვავებანი ძირითადი კაპიტალის ხანგრძლივობის ხარისხში და განსხვავებანი იმ შეფარდებაში, რომელშიც სწარმოებს ორივე სახის კაპიტალის კომბინაცია, ააშკარავებენ საქონელთა შეფარდებითი ღირებულების ცვლილებათა სხვა მიზეზს, მათი წარმოებისათვის საჭირო შრომის მეტ თუ ნაკლებ რაოდენობასთან ერთად: ე ს მ ი ზ ე ზ ი ა ა წ ე ვ ა ა ნ დ ა ც ე მ ა შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა“ (l. c., გვ. 25, 26).

სინამდვილეში ის თავის მაგალითებით უპირველესად გვიჩვენებს, რომ მხოლოდ მოგების საერთო ნორმა აძლევს შესაძლებლობას კაპიტალის სახეთა, ე. ი. ცვალებადი და მუდმივი და სხვ. კაპიტალთა სხვადასხვაგვარ კომბინაციებს განასხვავონ საქონელთა ფასები მათ ღირებულებათაგან. მაშასადამე, ეს საერთო ნორმა და არა შრომის ღირებულება, რომელიც ნაგულისხმევია უცვლელად, არის ამ ცვლილებათა მ ი ზ ე ზ ი. შემდეგ უკვე, მხოლოდ მეორე ინსტანციაში, ის გულისხმობს ღირებულებათაგან მოგების საერთო ნორმის მეოხებით განსხვავებულ წარმოების ფასებს და იკვლევს, თუ როგორ მოქმედებენ მათზე ცვლილებანი შრომის ღირებულებაში. № 1-ლს, რაც უმთავრესია, ის არ იკვლევს; ამას ის სრულებით ივიწყებს და განყოფილებას ამთავრებს ისე, როგორც დაიწყო:

„ამ განყოფილებაში ნაჩვენებია, რომ შრომის რაოდენობის ცვლილების გარეშე მარტო მისი ღირებულების აწევა გამოიწვევს ისეთ დოვლათთა საცვლელი ღირებულების დაცემას, რომელთა წარმოების დროსაც ძირითადი კაპიტალი გამოიყენება. რამდენად მეტია ძირითადი კაპიტალის რაოდენობა, იმდენად უფრო დიდია ეს დაცემა“ (l. c., გვ. 35).

და 1-ლი თავის შემდგომ — მე-5 განყოფილებაშიც *რიკარდო* ამავე სახით განაგრძობს, ე. ი. ის იკვლევს მხოლოდ იმას, თუ როგორაა შესაძლებელი საქონელთა წარმოების ფასების ვარიაცია *შრომის ხელფასის ღირებულების ცვლილების გამო*, არა იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის შეფარდებანი სხვადასხვანაირია ორი თანასწორი კაპიტალისათვის სხვადასხვა საწარმოო დარგებში, არამედ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს „ძირითადი კაპიტალის არათანასწორ ხანგრძლივობას" ანდა „კაპიტალის მფლობელთან უკანვე დაბრუნების არათანასწორ სისწრაფეს". სწორი წარმოდგენა, რომელსაც ჩვენ მე-4 განყოფილებაში ვხვდებით და რომელიც შეეხება მოგების საყოველთაო ნორმით გამოწვეულ განსხვავებას წარმოების ფასებსა და ღირებულებებს შორის, აქ უკვე აღარ მოსჩანს. სწარმოებს მხოლოდ მეორეხარისხოვან საკითხის განხილვა იმ ცვლილებათა შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ თვით წარმოების ფასებში. ამიტომ საეჭვოა, რომ ამ განყოფილებას სინამდვილეში რაიმე თეორიული ინტერესი ჰქონდეს, გარდა იმ შემთხვევით მოყვანილ შენიშვნებისა, რომლებიც შეეხება საქონელთა მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე კაპიტალთა ფორმების განსხვავებულობას.

„რამდენადაც კლებულობს ძირითადი კაპიტალის ხანგრძლივობა, იმდენად უახლოვდება ის არსებითად საბრუნავ კაპიტალს. ის უფრო მოკლე დროში მოიხმარება და აღადგენს თავის ღირებულებას, რათა ამით შენარჩუნებულ იქნეს მრეწველის კაპიტალი" (l. c., გვ. 36).

მაშასადამე, ნაკლები ხანგრძლივობაც და ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის განსხვავებაც საერთოდ აიხსნება იმ განსხვავებით, რომელსაც ადგილი აქვს რეპროდუქციის დროში. ეს, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი განსაზღვრაა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა ერთადერთი. ძირითადი კაპიტალი შედის მთლიანად შრომის პროცესში, მხოლოდ თანდათანობით და ნაწილ-ნაწილ კი ღირებულების შექმნის პროცესში. ეს არის მეორე მთავარი განსხვავება მის მიმოქცევის ფორმაში. შემდეგ: ძირითადი კაპიტალი შედის მიმოქცევის პროცესში მეტწილად თავისი *საცვლელი ღირებულებით*, მაშინ როდესაც მისი *სახმარი ღირებულება* შედის შრომის პროცესში და არას დროს მას აღარ სტოვებს. ეს არის მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება *მიმოქცევის ფორმაში*. ეს ორივე განსხვავება მიმოქცევის ფორმაში ეხება აგრეთვე მიმოქცევის დროსაც, მაგრამ ისინი არ არიან იდენტიური [ხანგრძლივობის] ხარისხსა და განსხვავებებთან.

„მცირე ხანგრძლივობის ძირითადი კაპიტალი მოითხოვს წლის განმავლობაში ბევრ შრომას, რათა ის შენახულ იქნას თავისი პირველადი უნარიანობის მდგომარეობაში; მაგრამ მაზე გამოყენებულ შრომას შეიძლება შევხედოთ ისე, თითქოს ის ნამდვილად დაიხარჯა იმ საქონლის საწარმოებლად, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ შრომის შესაბამის ღირებულებას“ (l. c., გვ. 36, 37).

„მანქანის გაცვეთა რომ დიდი ყოფილიყო, რომ, მაგალითად, საჭირო ყოფილიყო წლის განმავლობაში ორმოცდაათი კაცი მის ამ უნარიანობის მდგომარეობაში შესანახავად, მაშინ მე ჩემი საქონლისათვის მოვითხოვდი დამატებით ფასს, თანასწორს იმ ფასთან, რომელსაც სხვა მრეწველი მიიღებდა თავის საქონელზე, რომლის საწარმოებლადაც მან ორმოცდაათი კაცი ამუშავა და არავითარი მანქანა არ უხმარია.

„მაგრამ შრომის ხელფასის აწევა არ იმოქმედებდა თანასწორი ზომით საქონელზე, რომელიც მზადდება სწრაფად გასაცვეთი მანქანის საშუალებით, და იმ საქონელზე, რომელიც ნაწარმოებია უფრო ნელა გასაცვეთ მანქანის საშუალებით. პირველის წარმოების დროს წარმოებულ საქონელზე განუწყვეტლივ გადაიტანებოდა შრომის დიდი რაოდენობა [1], — მეორის წარმოების დროს კი ადგილი ექნებოდა ამავე წესით ძლიერ ცოტა შრომის გადატანას [2].

„ამიტომ ხელფასის ყოველი აწევა, ანდა, რაც იგივეა, მოგებათა ყოველი დაცემა, დასცემს იმ საქონელთა შეფარდებით ღირებულებას, რომლებიც წარმოებულია ხანგრძლივი ბუნების მქონე კაპიტალის საშუალებით და სათანადოდ ასწევს იმ საქონელთა ღირებულებას, რომლებიც წარმოებულია უფრო ჩქარა წარმავალი კაპიტალის საშუალებით. ხელფასის დაცემას ექნებოდა პირდაპირ საწინააღმდეგო მოქმედება“ (l. c., გვ. 37, 38).

სხვა სიტყვებით: მრეწველი, რომელიც აბანდებს ნაკლები ხანგრძლივობის ძირითად კაპიტალს, აბანდებს შედარებით ნაკლებ ძირითადს და მეტ შრომის ხელფასზე დახარჯულ კაპიტალს, ვიდრე ის, ვინც მეტი ხანგრძლივობის კაპიტალს აბანდებს. ამრიგად, ეს შემთხვევა თანაემთხვევა იმ წინა შემთხვევას, როდესაც ხელფასის ცვლილება გავლენას ახდენს კაპიტალებზე, რომელთაგანაც ერთი შეფარდებით, პროპორციულად მეტ ძირითად კაპიტალს შეიცავს, ვიდრე მეორე. აქ ახალი არაფერია.

რასაც გარდა ამისა რიკარდო ლაპარაკობს, 38 — 40 გვერდებზე, მანქანების შესახებ, ამის განხილვა უნდა გადავდოთ მანამდე, სანამ არ გადავალთ 31 თავზე „მანქანების“ შესახებ. საკვირველია, თუ რიკარდო ბოლოში როგორ ახლოს მიდის ჭეშმარიტებამდე, რათა იგი მყისვე მიატოვოს, და მისი სწრაფწარმავალი მოხსენიების შემდეგ კვლავ უბრუნდება მაზე გაბატონებულ იდეას,

---

[1] რიკადო თავის მოგების საყოველთაო ნორმის წინააღმდეგ ბრძოლაში ვერ ხედავს, რომ ამასთან ერთად საქონელზე განუწყვეტლად გადადის აგრეთვე ზედმეტი შრომის დიდი რაოდენობა.

[2] ამიტომ მეტად მცირე ზედმეტი შრომისაც და მცირე [ზედმეტი ღირებულებისაც], თუ საქონელთა გაცვლა სწარმოებს მათი ღირებულების მიხედვით-

ე. ი. შრომის ღირებულების ცვლილების გავლენას წარმოების ფასებზე და ამ მეორეხარისხოვანი საკითხის განხილვით საბოლოოდ ამთავრებს გამოკვლევას.

სათანადო ადგილი შემდეგია:

„ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოების არსებობის დასაწყისში, სანამ ადგილი არა აქვს ბევრი მანქანის და ხანგრძლივი კაპიტალის გამოყენებას, *თანასწორი კაპიტალების* მიერ წარმოებული საქონელნი დაახლოებით თანასწორი ღირებულების არიან და ურთიერთ დამოკიდებულებაში აიწევენ ან დაიწევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი წარმოებისათვის აუცილებელი იქნება მეტი ან ნაკლები შრომა[1]. პირიქით, შრომის ამ ძვირად ღირებულ და ხანგრძლივად გამძლე შრომის საშუალებათა შემოღების შემდეგ კი საქონელნი, რომელთა საწარმოებლადაც თანაბარი კაპიტალი დაიხარჯა, არათანასწორი ღირებულების იქნებიან. რასაკვირველია, ისინი ურთიერთ დამოკიდებულებაში მუდამ განაგრძობენ თავიანთ ღირებულებაში აწევას ან დაცემას, თუ მათი წარმოებისათვის საჭირო იქნება მეტი ან ნაკლები შრომა, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან სხვა, თუმცა უფრო მცირე მნიშვნელობის რყევასაც, რომელიც გამომდინარეობს შრომის ხელფასისა და მოგებათა აწევის ან დაცემისაგან. თუ საქონელნი, რომლებიც იყიდება 5000 გირვ. სტერლინგად, წარმოებულია იმ კაპიტალის საშუალებით, რომელიც ისევე დიდია, როგორც ის, რომლის საშუალებითაც დამზადებულია სხვა 10 000 გირვ. სტერლინგის გასაყიდი საქონელი, — მაშინ *მოგება ორივე შემთხვევაში იქნება ერთიდაიგივე*; მაგრამ *ეს მოგებანი იქნებოდა არათანასწორი, რომ საქონელთა ფასები არ განიცდიდენ რყევას მოგების ნორმის აწევასა ან დაცემასთან ერთად*“ (l. c., გვ. 40, 41).

თანასწორი *სიდიდის კაპიტალები* აწარმოებენ *თანასწორი ღირებულების* საქონელთ, თუ მათი ორგანიულ შემადგენელ ნაწილთა შეფარდება *ერთიდაიგივეა*, თუ ისინი შრომის ხელფასზე და საწარმოო საშუალებებზე თანასწორი სიდიდის თანხებს ხარჯავენ. მაშინ მათ საქონელში ხორციელდება შრომის ერთიდაიგივე რაოდენობა, მაშასადამე, — თანასწორი ღირებულებანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ განსხვავებას, რომელიც წარმოსდგება მიმოქცევის პროცესიდან. პირიქით, *თანასწორი სიდიდის* კაპიტალები აწარმოებენ მეტად *არათანასწორი ღირებულების* საქონელთ, თუ მათი ორგანიული შედგენილობა სხვადასხვაა, განსაკუთრებით თუ ძირითადი კაპიტალის სახით არსე-

---

[1] ეს დასკვნა უვარგისია: იგი არ ეხება აგრეთვე ღირებულებას, არამედ საქონელთ და ამასთანავე მას არავითარი აზრი არა აქვს, თუ საქმე არ შეეხება მათ *ფასებს*; ვინაიდან, ის გარემოება, რომ *ღირებულებანი* ეცემიან ან აიწევენ სამუშაო დროსთან შეფარდებით, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ღირებულებანი ეცემიან ან აიწევენ იმ ზომით, რა ზომითაც ისინი ეცემიან ან აიწევენ.

ბული ნაწილი მეტად სხვადასხვა შეფარდებაშია შრომის ხელფასზე დახარჯულ ნაწილთან. ჯერ ერთი — საქონელში შედის ძირითადი კაპიტალის მხოლოდ ერთი ნაწილი, როგორც ღირებულების შემადგენელი ნაწილი, რის გამოც, მაშასადამე, ღირებულების სიდიდენი სხვადასხვანაირი ხდება, იმისდა მიხედვით, ბევრი თუ ცოტა ძირითადი კაპიტალია გამოყენებული საქონლის წარმოების დროს. მეორე, შრომის ხელფასზე დახარჯული ნაწილი — თუ ყოველ 100-ზე, კაპიტალის თანასწორი სიდიდის მასაზე, ვიანგარიშებთ, — ბევრად ნაკლებია, მაშასადამე, ბევრად ნაკლებია ერთობლივი შრომაც, რომელიც განხორციელებულია საქონელში, მაშასადამე, ბევრად ნაკლებია ზედმეტი შრომაც, მოცემული სამუშაო დღის თანასწორი სიდიდის პირობებში, რომელიც აყალიბებს ზედმეტ ღირებულებას. ამიტომ, თუ ამ თანასწორი სიდიდის კაპიტალებმა, რომელთა საქონელს არათანასწორი ღირებულებანი აქვს და რომელთა არათანასწორ ღირებულებებში მოქცეულია არათანასწორი ზედმეტი ღირებულებანი და, ამიტომ, არათანასწორი მოგებანი, თანასწორი მოგებანი უნდა მოგვცენ, მათი თანაბარი სიდიდის გამო, საქონელთა ფასები, რამდენადაც ისინი განისაზღვრებიან მოგების საერთო ნორმით, ძლიერ უნდა განსხვავდებოდენ საქონელთა ღირებულებათაგან. აქედან არ გამომდინარეობს, რომ ღირებულებამ შეიცვალა თავისი ბუნება, არამედ ის, რომ ფასები განსხვავდებიან ღირებულებისაგან. მით უფრო საკვირველია, რომ რ ი კ ა რ დ ო ვერ მივიდა ამ დასკვნამდე, თუმცა ხედავდა, რომ თვით წარმოების ფასები, — რომლებიც განსაზღვრულია მოგების საერთო ნორმით — მოგების ნორმის ანუ ხელფასის ნორმის ცვლილების დროს უნდა შეიცვალონ, რათა მოგების ნორმა იგივე დარჩეს წარმოების სხვადასხვა დარგებში. მაშასადამე, რამდენად უფრო მეტად უნდა შეეცვალა არათანასწორი ღირებულებანი მოგების საყოველთაო ნორმის დამკვიდრებას, ვინაიდან მ ო გ ე ბ ი ს ეს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ა ხომ სხვა არა არის რა, თუ არ გათანასწორება სხვადასხვა ზედმეტ ღირებულებათა ნორმებისა თანასწორი კაპიტალების მიერ წარმოებულ სხვადასხვა საქონელში.

ამრიგად, რ ი კ ა რ დ ო, მას შემდეგ, რაც მან საქონელთა ხარჯებსა და ღირებულებასა, და წარმოების ფასსა და ღირებულებას შორის არსებული განსხვავება ვერ განავითარა და ვერ გაიგო, ყოველ შემთხვევაში თვითვე ფაქტიურად დაადასტურა, ათავებს შემდეგი დებულებით:

„ბატონი მ ა ლ თ უ ს ი, როგორც ჩანს, ჩემი მოძღვრების ნაწილად სთვლის, რომ ხარჯები და ღირებულება საგნისა ერთიდაიგივეა; ეს სწორია, თუ მას ხარ-

ჯები ესმის როგორც „საწარმოო ხარჯები“, მოგების ჩათვლით“ [1] (l. c., 1 თავი მე-6 განყ., გვ. 46, შენიშვნა).

ამ მცდარ და თვით მის მიერვე უარყოფილ წარმოების ფასისა და ღირებულების ცნებათა ერთმანეთში არევით ის შემდგომ გადადის რენტის განხილვაზე.

[მაგრამ ჯერ კიდევ წინათ ლაპარაკობს] რიკარდო 1-ლი თავის მე-6 განყოფილებაში შრომის ღირებულების ვარიაციათა გავლენის შესახებ ოქროს წარმოების ფასებზე:

„ნუთუ არ შეიძლება განვიხილოთ ოქრო როგორც საქონელი, რომელიც იწარმოება კაპიტალის ორივე სახის ისეთი შეფარდებით, რომელიც ყველაზე უფრო უახლოვდება კაპიტალის საშუალო შედგენილობას, რასაც ადგილი აქვს საქონელთა უმეტესი ნაწილის წარმოებაში. ნუთუ არ შეიძლება ეს შეფარდება იყოს დაახლოებით ერთნაირად დაშორებული ორივე კიდურიდან; ერთიდან, როდესაც ნაკლები ძირითადი კაპიტალი იხმარება, და მეორედან, როდესაც ნაკლები შრომა გამოიყენება, — იმდენად, რომ შეიქმნას მათ შორის ნამდვილი შუალედი?“ (l. c., გვ. 44).

ის, რასაც რიკარდო აქ ლაპარაკობს, უფრო შეეხება იმ საქონელთ, რომელთა შედგენილობაშიც სხვადასხვა ორგანიული შემადგენელი ნაწილები შედის საშუალო შეფარდებით, ე. ი. როდესაც მათი მიმოქცევის და რეპროდუქციის დრო საშუალოა. მათთვის წარმოების ფასი და ღირებულება თანაემთხვევიან ერთმანეთს, ვინაიდან მათი საშუალო მოგება თანაემთხვევა მათ ნამდვილ ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ მხოლოდ მათ ზედმეტ ღირებულებას.

რაგინდ არასაკმარისად უნდა ჩაითვალოს 1-ლი თავის მე-4 და მე-5 განყოფილება შრომის ღირებულების ცვლილებათა „შეფარდებით ღირებულებაზე“ გავლენის განხილვის მხრივ, როგორც მეორეხარისხოვანი (თეორიულად) საგანი შედარებით ღირებულებათა მოგების ნორმის საშუალებით წარმოების ფასებად გადაქცევასთან, რიკარდო მაინც აქედან მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს და ამით უარყოფს ერთ იმ შეცდომათაგანს, რომელიც [მუდამ ახლად] მეორდებოდა ა. სმიტის [დროიდან] და რომლის მიხედვითაც, თითქოს შრომის ხელფასის აწევა, ნაცვლად იმისა, რომ დასწიოს მოგება, ადიდებს საქონელთა ფასს. თუმცა ამას უკვე შეიცავს თვით ღირებულების ცნება და სრულიადაც არ განიცდის მოდიფიკაციას მისი წარმოების ფასად გარდაქმნით, ვინაიდან ეს გარდაქმნა საერთოდ შეეხება მხოლოდ ერთობლივი კაპიტალის მიერ შექმნილ ზედმეტი ღირებულების განაწილებას წარმოების სხვადასხვა დარგებზე

[1] მაშასადამე, ხარჯები პლიუს მოგების საერთო ნორმით განსაზღვრული მოგება.

ანუ კაპიტალებზე წარმოების სხვადასხვა სფეროებში. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ რ ი კ ა რ დ ო მ წამოაყენა საკითხი და წინააღმდეგიც კი გვიჩვენა. ამიტომ ის 1-ლი თავის მე-6 განყოფილებაში სამართლიანად ამბობს შემდეგს:

„სანამ ამ საგანს თავს დავანებებდე, დროულად მიმაჩნია შევნიშნო, რომ ა. ს მ ი ტ ი და ყველა მისი მომდევნო ავტორები, ყოველი გამონაკლისის გარეშე— რამდენადაც მე ვიცი — ამტკიცებდენ, რომ შრომის ფასის აწევას სისტემატიურად თან უნდა სდევდეს ყველა საქონლის ფასების აწევა [1].

„მე მგონია შევსძელი მეჩვენებია, რომ მსგავსი შეხედულებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს და რომ მხოლოდ ის საქონელი აიწევს, რომელიც ნაკლები ძირითადი კაპიტალის საშუალებით იწარმოება, ვიდრე ის შუალედი, რომლითაც განიზომება ფასი [2], და რომ ყველა ის საქონელი, რომელიც მეტი ძირითადი კაპიტალით არის წარმოშობილი, აუცილებლად დაიწევს ფასში, თუ შრომის ხელფასი აიწევს. პირიქით, თუ ხელფასი ეცემა, მაშინ დაეცემა მხოლოდ ის საქონელი, რომელიც წარმოებულია ნაკლები ძირითადი კაპიტალით, ვიდრე შუალედი, რომლითაც განიზომება ფასები; ყოველი საქონელი, წარმოებული მეტი ძირითადი კაპიტალით, უეჭველია აიწევს ფასში“ (l. c., გვ. 45).

ეს გვეჩვენება შემცდარად ფულადი ფასებისათვის. თუ ოქრო მაღლა იწევს ან ეცემა ღირებულებაში, როგორიც უნდა იყოს ამის მიზეზი, მაშინ ის თანაბრად ეცემა ყველა საქონლის მიმართ, რომელიც მასში ფასდება. მაშინ როდესაც ოქრო, ამრიგად, მიუხედავად თავისი ცვალებადობისა, შედარებით უცვლელ შუალედს წარმოადგენს, აბსოლუტურად გაუგებარია, თუ როგორ შეუძლია რაიმე შედარებით [კომბინაციას] მასში ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის, საქონლებთან შედარებით, გამოიწვიოს განსხვავება. მაგრამ აქ ხელისშემშლელად გამოდის რ ი კ ა რ დ ო ს მცდარი წინაპირობა იმის შესახებ, რომ ფული, რამდენადაც ის მიმოქცევის საშუალებას წარმოადგენს, იცვლება როგორც საქონელი საქონელზე. საქონელი შეფასებულია მასში მანამდე, სანამ ის მას მიმოქცევაში შეიყვანდეს. წარმოვიდგინოთ, რომ ოქროს მაგიერ შუალედს წარმოადგენს ხორბალი. თუ, მაგალითად, შრომის ხელფასის აწევის გამო ხორბალი, როგორც საქონელი, რომელშიც ცვალებადი კაპიტალი საშუალოზე მეტი რაოდენობით შედის, შედარებით აიწევდა თავის წარმოების ფასში [3],

---

[1] ეს შეეფერება ა. ს მ ი ტ ი ს მიერ ღირებულების მეორე განმარტებას' რომლის მიხედვითაც ღირებულება უდრის შრომის იმ რაოდენობას, რომლის ყიდვაც შეიძლება განსაზღვრული საქონლით.

[2] აქ შეფარდებითი ღირებულება უდრის ღირებულების გამოხატულებას ფულში.

[3] აქ სიტყვა „წარმოების ფასი“ პირველად იხმარება ხელნაწერში, მაგრამ შემდგომ ის აღარაა დაცული. — კ.

მაშინ ყველა საქონელი შეფასდებოდა უფრო მაღალი „შეფარდებითი ღირებულების“ ხორბალში. საქონელი, რომელშიც მოთავსებულია მეტი ძირითადი კაპიტალი, გამოხატულებას ნახავდა უფრო ნაკლები რაოდენობის ხორბალში, ვიდრე წინათ, იმიტომ კი არა, რომ მისი სპეციფიური ფასი დაეცა ხორბალთან შედარებით, არამედ იმიტომ, რომ საერთოდ ხორბალი დაეცა. საქონელი, რომელიც შეიცავდა სწორედ იმდენივე [ცოცხალ] შრომას წინააღმდეგ დაგროვილი შრომისა, რამდენსაც ხორბალი, თავის ზრდას გამოხატავდა მით, რომ ის უფრო მეტ ხორბალში შეფასდებოდა, ვიდრე საქონელი, რომლის ფასიც დაეცა ხორბალთან შედარებით. თუ იგივე მიზეზები, რომელნიც იწვევენ ხორბლის ფასის ზრდას, ზრდიან, მაგალითად, ტანსაცმელის ფასს, მაშინ ტანსაცმელი ვერ ნახავს გამოხატულებას უფრო მეტ ხორბალში, ვიდრე წინათ, ხოლო საქონელი კი, რომლის ფასიც ხორბალთან შედარებით დაეცა, მაგალითად, ბამბეული, ნახავდა თავის გამოხატულებას ნაკლები რაოდენობის ხორბალში. ბამბეული და ტანსაცმელი თავიანთი ფასების განსხვავებას გამოხატავდენ ხორბალში როგორც თავიანთ მოსაშუალეში.

მაგრამ რ ი კ ა რ დ ო ს სულ სხვა რამე აქვს მხედველობაში. იგი ფიქრობს: შრომის ხელფასის აწევის გამო ხორბალმა აიწია ბამბეულთან და არა ტანსაცმელთან შედარებით. ტანსაცმელი, მაშასადამე, მისი შეხედულებით, გაიცვლება ხორბალზე ძველი ფასების მიხედვით, ბამბეული კი ხორბალზე აწეული ფასების მიხედვით. თავისთავად დაშვება იმისა, რომ, ცვლილებანი შრომის ხელფასში, მაგალითად, ინგლისში, გავლენას მოახდენენ ოქროს წარმოების ფასებზე კალიფორნიაში, სადაც შრომის ხელფასი არ აწეულა, უაღრესად დიდი უაზრობაა. ღირებულებათა გათანაბრება სამუშაო დროით და მით უმეტეს წარმოების ფასებისა მოგების საერთო ნორმით, არ არსებობს ამ უშუალო ფორმაში სხვადასხვა ქვეყნებს შორის. მაგრამ ავიღოთ თვით ხორბალი, ადგილობრივი პროდუქტი. დავუშვათ, რომ კვარტერი ხორბალი მაღლა იწევს 40-დან 50 შილინგამდე, ე. ი. 25%-ით. თუ ტანსაცმელიც ასევე იწევს მაღლა 25%-ით, მაშინ იგი ეღირება, ისევე როგორც წინათ, 1 კვარტერი ხორბალი, თუ ბამბეული 25 პროცენტით დაეცა, მაშინ მისი იგივე რაოდენობა, რომელიც უწინ 1 კვარტერი ღირდა, ახლა ღირს მხოლოდ 6 ბუშელი ხორბალი. და ეს გამოსახულება ხორბალში ზედმიწევნით გამოხატავს ბამბეულის და ტანსაცმელის ფასთა შეფარდებას, ვინაიდან ისინი განიზომებიან ერთიდაიმავე საზომით, 1 კვარტერი ხორბალით.

თუმცა *რიკარდოს* შეხედულება სხვა მხრივაც უაზროა. *ფასი* საქონლისა, რომელიც წარმოადგენს ღირებულებათა საზომს და ამიტომ ფულს, არ არსებობს საერთოდ, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდა იმ საქონლისა, რომელიც ფულის როლს ასრულებს, მე უნდა მქონოდა აგრეთვე მეორე საქონელიც, რომელიც იმავე ფულის როლს ასრულებს — ე. ი. ღირებულებათა ორმაგი საზომი. ფულის შეფარდებითი ღირებულება გამოხატულია ყველა საქონლის უამრავ ფასებში; ვინაიდან ყოველ ამ ფასში, რომელშიდაც გამოხატულია საქონელთა საცვლელი ღირებულება ფულად, გამოხატულია ფულის საცვლელი ღირებულება საქონელთა სახმარ ღირებულებაში. ამიტომ ფულის ფასის აწევის ან დაწევის შესახებ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება. მე შემიძლია ვთქვა: ფულის ფასი ხორბალში ანდა ფულის ფასი ტანსაცმელში იგივე დარჩა; მისმა ფასმა კი ბამბეულში აიწია, რაც იგივეს ნიშნავს, რომ ბამბეულის ფულადი ფასი დაეცა. მაგრამ მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ფულის *ფასმა* აიწია ან დაიწია. *რიკარდო* კი მართლა ფიქრობს, რომ, მაგალითად, ფულის ფასმა ბამბეულში აიწიაო, ანუ ბამბეულის ფულადმა ფასმა დაიწიაო, რადგანაც ფულმა შეფარდებით ღირებულებაში ბამბეულის მიმართ აიწია, მაშინ როდესაც მან ტანსაცმელის ანუ ხორბლის მიმართ იგივე ღირებულება შეინარჩუნა. მაშასადამე, ორივე იზომება *არათანასწორი* საზომით.

ეს მე-6 განყოფილება „*ღირებულების უცვლელი საზომის შესახებ*“, რომელიც „*ღირებულებათა საზომს*“ იხილავს, არაფერს მნიშვნელოვანს არ შეიცავს. კავშირი ღირებულებასა, სამუშაო დროით მოცემულ მის იმანენტურ საზომსა და საქონლის ღირებულებათა გარეგანი საზომის აუცილებლობას შორის არ არის გაგებული, ის კითხვის სახითაც კი არაა წამოყენებული. უკვე შესავალი გვიჩვენებს გამოკვლევის ზერელე ხასიათს:

„თუ ადგილი ჰქონდა საქონელთა შეფარდებით ღირებულებებში ცვლილებას, მაშინ სასურველი იქნებოდა გვქონებოდა საშუალება გვენახა, თუ რომელი მათგანი დაეცა და რომელმა აიწია თავის რეალურ ღირებულებაში, ხოლო ამის მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი ერთი მეორის მიმდევნობით შედარება ისეთ უცვლელ და მტკიცე საზომთან რომელიც არ განიცდიდა რყევას, რასაც ექვემდებარება ყველა სხვა საქონელი“ (l. c., გვ. 41, 42). მაგრამ „არ არსებობს არც ერთი საქონელი, რომელიც არ განიცდიდეს იმავე ცვლილებებს... ე. ი. არ არსებობს არც ერთი საქონელი, რომელიც არ ექვემდებარებოდეს იმ გარემოებას, რომ მისი წარმოებისათვის საჭიროა ერთ შემთხვევაში მეტი და მეორეში კი — ნაკლები შრომა“ (l. c., გვ. 42).

მაგრამ რომ ასეთი საქონელი არსებულიყო, მაშინ მას „ღირებულების ისეთ სრულ საზომად ყოფნას, რომლის საშუალებითაც ჩვენ შევძლებდით ყველა სხვა საგნების ცვლილებათა [ღირებულებებში] აღნიშვნას“ (l. c., გვ. 43) ხელს შეუშლიდა ნაწილობრივ ის გავლენა, რომელსაც ახდენს შრომის ხელფასის აწევა ან დაცემა, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სხვადასხვა კომბინაცია, ძირითადი კაპიტალის გამძლეობის სხვადასხვა ხარისხი და ის სხვადასხვა დრო, რომელმაც უნდა განვლოს, სანამ პროდუქტი ბაზარზე გაიტანებოდეს და სხვ. „ეს იქნებოდა ღირებულების სრულყოფილი საზომი ყველა საგნისათვის, რომელიც წარმოებულია სავსებით იმავე პირობებში, როგორშიდაც თვით საზომად მიღებული საქონელი, და არა სხვათათვის“ (l. c.). ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ეს „სხვა საგნები“ შეიცვლებოდეხ, მაშინ ჩვენ შეგვეძლო, თუ ფულის ღირებულება არ აიწევდა ან არ დაიწევდა, თქმა იმისა, რომ ცვლილება გამომდინარეობს მათი ღირებულების აწევის ან დაწევისაგან, ე. ი. მათი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროის [აწევის ან დაწევისგან]. სხვა საგნების მიმართ ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ ხდება თუ არა მათ ფულად ფასებში ცვლილებანი სხვა მიზეზების გავლენის გამო და სხვ. შემდეგში კვლავ მოგვიხდება დაბრუნება ამ სრულიად არადამაკმაყოფილებელ თვალსაზრისზე (ფულის თეორიის შემდგომი გადასინჯვის დროს).

[გადავდივართ პირველი თავის მე-7 განყოფილებაზე.] გარდა მნიშვნელოვანი დოქტრინისა „შეფარდებითი“ ხელფასის, მოგებისა და რენტის შესახებ, რომელსაც შემდეგ დავუბრუნდებით, ეს განყოფილება სხვას არას შეიცავს, გარდა მოძღვრებისა იმის შესახებ, რომ, თუ ფული ღირებულებაში ეცემა ან მაღლა იწევს, მაშინ სათანადო აწევა და დაცემა შრომის ხელფასში და სხვ. არაფერს არ სცვლის შეფარდებებში, არამედ—მხოლოდ მათ ფულად გამოხატულებაში. თუ იგივე საქონელი გამოიხატება გირვანქა სტერლინგის ორმაგ რაოდენობაში, მაშინ ამასვე ექნება ადგილი მისი იმ ნაწილის მიმართ, რომელიც გადადის მოგებაში, შრომის ხელფასში ან რენტაში. მაგრამ ამ სამი ნაწილის შეფარდება ურთიერთშორის და რეალური ღირებულებანი, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, იგივე რჩებიან. სავსებით ასევეა, როდესაც მოგება შეადგენს გირვანქა სტერლინგის ორმაგ რაოდენობას, მაშინ 100 გირვ. სტერლინგიც გამოიხატება 200 გირვ. სტერლინგში; მაშასადამე, შეფარდებაც მოგებასა და კაპიტალს შორის, მოგების ნორმა, უცვლელი რჩება.

მონეტური გამოსახულების ცვლილება მოგებას და კაპიტალს იმავდროულად ეხება: ასევე ეხება იგი მოგებას, შრომის ხელფასს და რენტას. უკანასკნელის მიმართაც მას ადგილი აქვს, რამდენადაც ის გამოიანგარიშება არა აკრზე, არამედ მიწათმოქმედებაში და სხვ. ავანსად გაღებულ კაპიტალზე. მოკლედ, ამ შემთხვევაში ცვლილებას ადგილი აქვს არა საქონელში და სხვ.

„ხელფასთა აწევას ამ მიზეზის გამო, რასაკვირველია, აუცილებლად თან სდევს საქონელთა ფასების აწევა. მაგრამ ასეთ შემთხვევებში ვნახავთ, რომ შრომა და ყველა საქონელი ურთიერთ შეფარდებაში არ შეცვლილან და რომ ცვლილება შეეხო მხოლოდ ფულს“ (l. c., გვ. 47).

## c) წარმოების ფასები და საბაზრო ფასები.

### ა) რიკარდოს შეხედულებანი.

დიფერენციალური რენტის თეორიის განვითარებისათვის რიკარდო მე-2 თავში „მიწის რენტის შესახებ“ შემდეგ დებულებას აყენებს:

„ყველა საქონელთა საცვლელი ღირებულება, სულერთია, არიან ისინი წარმოებული ქარხნებში, სამთო მრეწველობაში, თუ სოფლის მეურნეობაში, განისაზღვრება არა სამუშაო დროის იმ მცირედი რაოდენობით, რომელიც საკმარისია მათ საწარმოებლად უაღრესად ხელსაყრელ და მხოლოდ იმ უმცირესობისათვის ხელმისაწვდომ პირობებში, რომელსაც წილად ხვდა ეს ხელსაყრელი შემთხვევანი. პირიქით, საცვლელი ღირებულება განისაზღვრება შრომის იმ მეტი რაოდენობით, რომელიც აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნას საქონელთა საწარმოებლად მათ მიერ, ვინც მოკლებულია ამ გარემოებებს, ე. ი. მათ მიერ, რომელნიც განაგრძობენ წარმოებას მეტად არახელსაყრელ პირობებში; ამასთანავე მეტად არახელსაყრელ პირობებად უნდა ვიგულისხმოთ ისეთი პირობები, რომლის დროსაც აუცილებელია წარმოების გაგრძელება, თუ კი საჭიროა პროდუქტთა განსაზღვრული რაოდენობის დამზადება“ (l. c., გვ. 60, 61).

უკანასკნელი დებულება სავსებით სწორი არაა. „პროდუქტთა საჭირო რაოდენობა“ (the quantity of produce required) არ წარმოადგენს რაიმე მუდმივ სიდიდეს. [უნდა ყოფილიყო თქმული:] „პროდუქტთა განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც საჭიროა ფასთა განსაზღვრულ ფარგლებს შიგნით“. თუ აიწევს ფასი ამ საზღვრებს ზევით, მაშინ დაიწევს საჭირო რაოდენობა მოთხოვნასთან ერთად.

ზემოაღნიშნული დებულება საერთოდ შეიძლება შემდეგნაირად გამოხატულ იქნას: ღირებულება საქონლისა — რომელიც წარმოების განსაკუთრებული სფეროს პროდუქტს წარმოადგენს — განისაზღვრება იმ შრომით, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ წარმოებულ იქნას ამ სფეროსთვის შესაფერი საქონელთა მთელი მასა, ერთობლივი

ჯამი; და არა განსაკუთრებული სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა ყოველი ცალკე კაპიტალისტისთვის ანუ მესარეწესთვის წარმოების ამ სფეროს შიგნით. წარმოების საერთო პირობები და შრომის საერთო პროდუქტიულობა წარმოების ამ განსაკუთრებულ სფეროში, მაგალითად, ბამბეულის წარმოებაში წარმოადგენენ წარმოების საშუალო პირობებს და საშუალო პროდუქტიულობას ამ სფეროში, ე. ი. ბამბეულის წარმოებაში. მაშასადამე, შრომის რაოდენობა, რომლითაც, მაგალითად, განისაზღვრება ერთი წყრთა ბამბეული, არ წარმოადგენს შრომის იმ რაოდენობას, რომელიც მასშია მოთავსებული და რომელიც ფაბრიკანტმა მასზე დახარჯა, არამედ ის წარმოადგენს იმ საშუალო რაოდენობას, რომ[ლითაც] ბამბეულის ყველა ფაბრიკანტი აწარმოებს ბაზარზე ერთ წყრთა ბამბეულს. ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც აწარმოებენ ცალკე კაპიტალისტები, მაგალითად, ბამბეულის წარმოებაში, იყოფა აუცილებლად სამ კლასად. ერთნი აწარმოებენ საშუალო პირობებში, ე. ი. წარმოების ინდივიდუალური პირობები, რომლებშიც ისინი აწარმოებენ, თანაემთხვევიან წარმოების ამ სფეროს საერთო პირობებს. საშუალო შეფარდება ნამდვილი მათი შეფარდებაა. მათი შრომის პროდუქტიულობა საშუალო დონისაა. მათ საქონელთა ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ღირებულება თანაემთხვევა ამავე საქონელთა ს ა ე რ თ ო ღირებულებას. თუ ისინი, მაგალითად, ერთ წყრთა ბამბეულს ყიდიან 2 შილინგად,— საშუალო ღირებულებად — ისინი ყიდიან მას იმ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით, რომელსაც წარმოებული წყრთა ბამბეული in natura გამოხატავს. მეორე კლასი აწარმოებს საშუალოზე უ კ ე თ ე ს პირობებში. მის საქონელთა ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ღირებულება ამავე საქონელთა საერთო ღირებულებაზე უფრო დ ა ბ ლ ა დგას. თუ ეს კლასი თავის საქონელს ამ საყოველთაო ღირებულების მიხედვით ჰყიდის, მაშინ ის ჰყიდის მას მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე მ ა ღ ლ ა . ბოლოს, მესამე კლასი აწარმოებს საშუალოზე უფრო ც უ დ პირობებში.

და აი, „საჭირო პროდუქტის რაოდენობა“ წარმოების ამ განსაკუთრებული სფეროსათვის არ წარმოადგენს რაიმე მუდმივ სიდიდეს. თუ საქონელთა ღირებულება სცილდება საშუალო ღირებულების განსაზღვრულ საზღვრებს, მაშინ საჭირო პროდუქტის რაოდენობა ეცემა ანდა ეს რაოდენობა საჭიროა მხოლოდ მოცემული ფასის მიხედვით, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ფასის განსაზღვრულ ფარგლებს შიგნით. მაშასადამე [შესაძლებელია], აგრეთვე, რომ მწარმოებელთა უკანასკნელი კლასი ისევე იძულებული ხდება ხოლმე თავისი საქო-

ნელი მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე დაბლა გაჰყიდოს, როგორც ყველაზე უკეთეს პირობებში ჩაყენებული კლასი თავის საქონელს ჰყიდის ყოველთვის მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე მაღლა. ეს დამოკიდებული იქნება განსაკუთრებით კლასების სიდიდეთა რიცხვობრივ შეფარდებაზე ანუ მათ პროპორციულ სიდიდეთა შეფარდებაზე, ე. ი. იმაზე, თუ რომელი კლასი აწესებს საბოლოოდ საშუალო ღირებულებას. თუ შუათანა კლასი რიცხვობრივად გაცილებით სჭარბობს დანარჩენ კლასებს, მაშინ ის დააწესებს ამ საშუალო ღირებულებას; ხოლო, თუ ის რიცხვობრივად მცირეა და საშუალოზე უფრო დაბალ პირობებში მწარმოებელი კლასი კი რიცხვობრივად დიდია და სჭარბობს, მაშინ ის აწესებს წარმოების ამ სფეროს პროდუქტის საერთო ღირებულებას, თუმცა ამით სრულიადაც არაა ის ნათქვამი და მეტად დაუჯერებელიცაა, რომ სწორედ უკანასკნელი კლასის ცალკე კაპიტალისტი, რომელიც აქ თავის მხრივ, სხვებთან შედარებით, კვლავ უფრო არახელსაყრელ პირობებშია ჩაყენებული,— საქმის გადამწყვეტი იყოს (შეად. კ ო რ ბ ე ტ ი).

მაგრამ ეს განზე გადავდოთ. საერთო შედეგია შემდეგი: საერთო ღირებულება, რომელიც ამ კლასის პროდუქტებს აქვთ, ერთიდაიგივეა ყველასათვის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი დამოკიდებულება ყოველი ცალკე საქონლის ინდივიდუალური ღირებულებისადმი. ეს საერთო ღირებულება არის ამ საქონელთა ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რომლითაც ისინი ბაზარზე გამოდიან. ფულში გამოხატული ეს საბაზრო ღირებულება არის ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი, ისევე როგორც ფულში გამოხატული ღირებულება საერთოდ არის ფასი. ნამდვილი საბაზრო ფასი ხან მეტია და ხან ნაკლები ამ საბაზრო ფასთან შედარებით და მას შეესაბამება მხოლოდ შემთხვევით. მაგრამ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ადგილი აქვს რყევათა გაწონასწორებას და შეიძლება იმის თქმა, რომ ნამდვილი საბაზრო ფასთა ს ა შ უ ა ლ ო არის ის საბაზრო ფასი, რომელიც საბაზრო ღირებულებას გამოხატავს. შეესაბამება ამ საბაზრო ღირებულებას მოცემულ მომენტში ნამდვილი საბაზრო ფასი თავისი სიდიდის მიხედვით რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ა დ თუ არა, სულერთია, მას ყოველ შემთხვევაში საბაზრო ღირებულებასთან საერთო აქვს თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ ი განსაზღვრულობა, სახელდობრ, რომ წარმოების ერთიდაიგივე სფეროს ყველა საქონელს (რასაკვირველია, მათი თანასწორი ხარისხის გულისხმობისას), რომელიც ბაზარზე იმყოფება, ერთიდაიგივე ფასი აქვს, ანდა ფაქტიურად ამ სფეროს საქონელთა საერთო ღირებულებას წარმოადგენენ.

ამიტომ რიკარდოს მიერ რენტის თეორიის განსავითარებლად წამოყენებული დებულება, რომელიც ზემოთ იქნა მოყვანილი, მისი მოწაფეების მიერ იმ სახით იქნა გამოთქმული, რომ ერთსადაიმავე ბაზარზე შეუძლებელია არსებობდეს ერთსადაიმავე დროს ორი სხვადასხვა საბაზრო ფასი, ანდა, რომ ერთიდაიგივე სახის პროდუქტებს ერთიდაიგივე ფასი ჰქონდეთ, და, თითოეულს ცალკე, რადგანაც ჩვენ აქ შეგვიძლია მხედველობაში არ მივიღოთ ამ ფასის შემთხვევითი ხასიათი — ერთიდაიგივე საბაზრო ღირებულება. კონკურენცია, რომელსაც ადგილი აქვს ნაწილობრივ კაპიტალისტებს შორის, ნაწილობრივ საქონლის მყიდველთა და კაპიტალისტებს შორის და აგრეთვე თვით ამ მყიდველთა ურთიერთშორის, იწვევს აქ, მაშასადამე, იმას, რომ საქონლის ღირებულება წარმოების განსაკუთრებულ სფეროში განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი სამუშაო დროის ერთობლივი მასით, რომელსაც მოითხოვს წარმოების ამ განსაკუთრებული საზოგადოებრივი სფეროს საქონელთა ერთობლივი მასა, და არა ცალკე საქონელთა ინდივიდუალური ღირებულებით ანუ იმ სამუშაო დროით, რაც ცალკე საქონელი უღირდა მის განსაკუთრებულ მწარმოებელთ და გამყიდველთ.

მაგრამ აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ ყოველგვარ პირობებში კაპიტალისტები, რომლებიც ეკუთვნიან პირველ კლასს, და რომელთაც საწარმოო პირობები უფრო ხელსაყრელია საშუალო საწარმოო პირობებზე, იღებენ გარდამეტ მოგებას, მაშასადამე, მათი მოგება ამ სფეროს მოგების საერთო ნორმაზე უფრო მაღლა დგას. მაშასადამე, კონკურენცია საბაზრო ღირებულებას ანუ საბაზრო ფასს აწესებს არა მოგებათა გათანასწორების საშუალებით წარმოების განსაკუთრებული სფეროს ფარგლებში.

განსხვავებას საბაზრო ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის ამ გამოკვლევისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც წარმოების პირობებში მოცემული განსხვავებანი და ამის შესაბამისად მოგების სხვადასხვა ნორმები განაგრძობენ [არსებობას] ერთიდაიგივე სფეროს ცალკე კაპიტალისტებისათვის, როგორიც უნდა იყოს საბაზრო ფასის შეფარდება საბაზრო ღირებულებასთან.

პირიქით, კონკურენცია აქ სხვადასხვა ინდივიდუალურ ღირებულებებს უთანასწორებს ერთსადაიმავე, თანატოლ, განსხვავებას მოკლებულ საბაზრო ღირებულებას მით, რომ იგი შესაძლებლად ხდის სხვაობას ინდივიდუალურ მოგებათა შიგნით, ცალკე კაპიტალისტების მოგებებს და მათ გადახრას ამა თუ იმ სფეროს მოგების საშუალო ნორ-

მიდან. ის არა მარტო შესაძლებლად ხდის, არამედ კიდევაც ქმნის მათ ერთიდაიგივე საბაზრო ღირებულების დაწესებით იმ საქონელთათვის, რომლებიც წარმოებულია არათანასწორ ხელსაყრელ საწარმოო პირობებში, მაშასადამე, შრომის არათანასწორი პროდუქტიულობის პირობებში და რომლებიც, მაშასადამე, შეიცავენ ინდივიდუალურად სამუშაო დროის არათანასწორ რაოდენობას. საქონელი, დამზადებული უფრო ხელსაყრელ პირობებში, შეიცავს უფრო ნაკლებ სამუშაო დროს, ვიდრე საქონელი, რომელიც წარმოებულია შედარებით უფრო უარეს პირობებში, მაგრამ იგი იყიდება იმავე ფასად და აქვს ისეთი ღირებულება, თითქოს ის შეიცავდეს იმავე სამუშაო დროს.

რ ი კ ა რ დ ო თავისი რენტის თეორიის წამოყენებისათვის საჭიროებს ორ დებულებას, რომლებიც გამოხატავენ კონკურენციის არა მარტო არა ერთსადაიმავეს, არამედ პირდაპირ საწინააღმდეგო მოქმედებას. პირველი დებულებაა, რომ ერთიდაიმავე სფეროს პროდუქტები იყიდება ერთდაიმავე საბაზრო ღირებულების მიხედვით, რომ კონკურენცია, მაშასადამე, იწვევს მოგების სხვადასხვა ნორმებს, გადახრებს მოგების საერთო ნორმებიდან. მეორე დებულებაა, რომ მოგების ნორმა კაპიტალის ყოველ დაბანდებისათვის უნდა იყოს ერთიდაიგივე ანუ, რომ კონკურენცია ჰქმნის მოგების საერთო ნორმას. პირველი კანონი ვრცელდება სხვადასხვა დამოუკიდებელ კაპიტალებზე, რომლებიც დაბანდებულია წარმოების ერთსადაიმავე სფეროში. მეორე კი ვრცელდება იმ კაპიტალებზე, რომლებიც დაბანდებულია წარმოების სხვადასხვა სფეროებში. პირველი მოქმედებით კონკურენცია ჰქმნის საბაზრო ღირებულებას, ე. ი. ერთსადაიმავე ღირებულებას ერთიდაიმავე საწარმოო სფეროს საქონელთათვის, თუმცა ეს გაიგივეებული ღირებულება უნდა ქმნიდეს სხვადასხვა მოგებას, მაშასადამე, ერთსადაიმავე ღირებულებას, მიუხედავად მოგების სხვადასხვა ნორმებისა, ანუ უკეთ, თვით მოგების სხვადასხვა ნორმათა საშუალებით. სულ სხვაა მეორე მოქმედება, რომელიც, სხვათა შორის, სხვაგვარადაც აშკარავდება: ეს არის [აქ] კაპიტალისტების კონკურენცია ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა სფეროებში, რომელიც კაპიტალს ერთი სფეროდან მეორეში ისვრის; მაშინ როდესაც მეორე კონკურენციას, რამდენადაც ის არ ვრცელდება მყიდველებზე, ადგილი აქვს ე რ თ ს ა დ ა ი მ ა ვ ე სფეროს კაპიტალებს შორის. [ამ მეორე მოქმედებით] კონკურენცია ჰქმნის წარმოების ფასს, ე. ი. მოგების ერთსადაიმავე ნორმას წარმოების სხვადასხვა სფეროებში, თუმცა მოგების ეს იდენტიური ნორმა ეწინააღმდეგება ღირებულებათა უთანასწორობას,

მ აშასადამე, მისი შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ღირებულებათაგან განსხვავებული ფასების მიერ.

ვინაიდან რიკარდო თავისი თეორიისთვის მიწის რენტის შესახებ ორივე დებულებას საჭიროებს: თანასწორ ღირებულებას ანუ ფასს არათანასწორი მოგების ნორმით, და თანასწორ მოგებას და ფასებს არათანასწორი ღირებულებით, ამიტომ მეტად საკვირველია, რომ ის ამ ორმაგ განსაზღვრას—ღირებულებისას და ფასისას -- არ იკვლევს დაწვრილებით, და რომ ის კიდევაც იმ განყოფილებაში, სადაც ex professo საბაზრო ფასს იხილავს, მე-4 თავში, „ბუნებრივი და საბაზრო ფასის შესახებ", — სრულებით არ იხილავს საბაზრო ფასს და საბაზრო ღირებულებას, თუმცა ის მას ზემოაღნიშნულ ადგილზე მაინც საფუძვლად უდებს დიფერენციალური რენტის გარდამეტ მოგებათა რენტად ჩამოყალიბების ახსნას. ის აქ, პირიქით, არკვევს მხოლოდ წარმოების სხვადასხვა სფეროებში ფასთა წარმოების ფასებზე დაყვანას, მაშასადამე, წარმოების სხვადასხვა სფეროების საბაზრო ღირებულებებს და მათ ურთიერთშორის დამოკიდებულებას, და არა საბაზრო ღირებულების ჩამოყალიბებას ყოველ განსაკუთრებულ სფეროში, მაშინ როდესაც ამ ჩამოყალიბების გარეშე არავითარი საბაზრო ღირებულება არ არსებობს.

მაშასადამე, საბაზრო ღირებულებანი და [აგრეთვე] საბაზრო ფასები ყოველი განსაკუთრებული სფეროსი, — თუ საბაზრო ფასი შეესაბამება „ბუნებრივ ფასს", ე. ი. ღირებულებას მხოლოდ ფულში გამოხატავს, — მოგვცემდენ მოგების მეტად განსხვავებულ ნორმებს; ვინაიდან ორი თანასწორი სიდიდის კაპიტალი სხვადასხვა სფეროებში — თუ სრულებით განზე დავტოვებთ განსხვავებებს, რომელნიც მათი მიმოქცევის სხვადასხვა პროცესებიდან გამომდინარეობენ — მეტად არათანასწორ პროპორციებში აბანდებენ ძირითად და ცვალებად კაპიტალს, მაშასადამე, იძლევიან მეტად არათანასწორ ზედმეტ ღირებულებებს—და ამიტომ მოგებებს. სხვადასხვა საბაზრო ღირებულებათა გათანასწორება იმ სახით, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროებში მოგების ერთიდაიგივე ნორმა წესდება და თანასწორი სიდიდის კაპიტალები თანასწორ საშუალო მოგებას იძლევიან, ეს გათანასწორება, მაშასადამე, შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ საბაზრო ღირებულებანი გარდაიქმნებიან საბაზრო ფასებად, რომლებიც ნამდვილ ღირებულებათაგან განსხვავდებიან [1]. რასაც კონკურენცია წარმოების ერთსადაიმავე სფეროში ქმნის,

[1] შესაძლებელია, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა წარმოების სხვადასხვა სფეროებში არ განიცდიდეს გათანასწორებას, მაგალითად, საშუა-

—ეს არის საქონლის ღირებულების განსაზღვრა ამავე სფეროში საშუალოდ საჭირო სამუშაო დროის რაოდენობით, მაშასადამე, საბაზრო ღირებულების დადგინება. ის კი, რასაც კონკურენცია წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის ქმნის, — არის მოგების ერთიდაიგივე საერთო ნორმის დადგინება სხვადასხვა სფეროებში სხვადასხვა საბაზრო ღირებულებათა იმ საბაზრო ფასებთან გათანასწორებით, რომელნიც წარმოების ფასებს გამოხატავენ და ნამდვილ საბაზრო ღირებულებათაგან განსხვავდებიან. ამრიგად, ამ მეორე შემთხვევაში კონკურენცია სრულებითაც არ ესწრაფვის მას, რომ მოახდინოს საქონელთა ფასების ასიმილიაცია მათ ღირებულებებთან, არამედ, პირიქით: იგი ესწრაფვის დაიყვანოს საქონელთა ღირებულებანი მათგან განსხვავებულ წარმოების ფასებზე, მოსპოს განსხვავება მათ ღირებულებასა და წარმოების ფასებს შორის. მხოლოდ ეს უკანასკნელი მოძრაობა, რომელსაც რიკარდო იხილავს მე-4 თავში და იხილავს საკვირველი წესით როგორც საქონელთა ფასების დაყვანას — კონკურენციის საშუალებით — მათ ღირებულებაზე, საბაზრო ფასის (ღირებულებიდან განსხვავებული ფასის) დაყვანას ბუნებრივ ფასზე (ფულად გამოხატულ ღირებულებაზე). ეს შეცდომა გამომდინარეობს იმ შეცდომიდან, რომელიც უკვე დაშვებულია 1-ლ თავში „ღირებულების შესახებ", სახელდობრ, წარმოების ფასის და ღირებულების გაიგივეებიდან, რაც თავის მხრივ იქიდან წარმოსდგა, რომ რიკარდო იმ პუნქტში, სადაც ის კვლავ მიზნად ისახავს მხოლოდ ღირებულების განვითარებას, მაშასადამე, კვლავ საქმე აქვს მხოლოდ საქონელთან, უადგილოდ სჩრის მოგების საერთო ნორმას და ყველა იმ წინაპირობას, რომელიც გამომდინარეობს უფრო განვითარებული კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობებიდან.

სავსებით ზერელეა აგრეთვე ის აზრთა მსვლელობა, რომელსაც რიკარდო მე-4 თავში მისდევს. ის გამოდის აქ საქონლის „ფასის შემთხვევითი და დროგამოშვებით ვარიაციათაგან" (l. c., გვ. 80 მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებად შეფარდებათა გამო. „ფასების აწევასა ან დაწევასთან დაკავშირებით მოგება იწევს საშუალო დონეზე მაღლა ან ეცემა მასზე დაბლა; და კაპიტალი ან წახალისებული მიაშურებს მრეწველობის (employment) იმ განსაკუთრებულ დარგს, სადაც ცვლილება მოხდა, ანდა დამფრთხალი გაურბის მას" (გვ. 80). აქ უკვე ნაგულისხმევია „მოგებათა საშუალო დონე" წარმოების სხვა-

ლო დროის არათანასწორი ხანგრძლივობის გამო. ეს გამოკვლევას არ საჭიროებს, რადგანაც ზედმეტი ღირებულებანი თვით თანასწორდებიან.

დასხვა სფეროებს შორის, „განსაკუთრებულ საწარმოებს შორის". მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო განხილვა იმისი, თუ როგორ იქმნება ფასების საშუალო დონე მრეწველობის ერთსადაიმავე დარგში და მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის. მაშინ რიკარდო დაინახავდა, რომ უკანასკნელი ოპერაცია უკვე გულისხმობს კაპიტალის განუწყვეტელ იქით-აქეთ ხეტიალს ანდა კონკურენციის მიერ მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის განსაზღვრულ დანაწილებას მის სხვადასხვა საწარმოო სფეროებს შორის. რაკი ერთხელვე ნაგულისხმევია, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროებში საბაზრო ღირებულებანი ანუ საშუალო საბაზრო ფასები დაყვანილია წარმოების ფასებზე, რომელნიც მოგების ერთსადაიმავე საშუალო ნორმას იძლევიან [1], მაშინ ნათელია, რომ საბაზრო ფასის წარმოების ფასიდან უფრო მუდმივი გადახრა, მისი მაღლა აწევა ან დაბლა დაცემა მასთან შედარებით ცალკე სფეროებში, სოციალური კაპიტალის ახალ ხეტიალს და ახალ დანაწილებას გამოიწვევს. კაპიტალის პირველი მოგზაურობა იწყება იმ მიზნით, რათა დაწესებულ იქნას ღირებულებათაგან განსხვავებული წარმოების ფასები; მეორე მოგზაურობა კი — იმ მიზნით, რომ ნამდვილი საბაზრო ფასები, როგორც კი ეს უკანასკნელნი წარმოების ფასებზე მაღლა იწევენ ან მათზე დაბლა ეცემიან, გათანასწორებულ იქნან წარმოების ფასებთან. პირველი წარმოადგენს ღირებულებათა წარმოების ფასებად გარდაქმნას; მეორე კი—სხვადასხვა სფეროებში ნამდვილ შემთხვევითი საბაზრო ფასების ტრიალს იმ წარმოების ფასის ირგვლივ, რომელიც ახლა „ბუნებრივი ფასის" სახით გვევლინება, თუმცა იგი განსხვავდება ღირებულებისაგან და წარმოადგენს მხოლოდ საზოგადოებრივი მოქმედების შედეგს. სწორედ ამ უკანასკნელ, უფრო ზერელე მოძრაობას იხილავს რიკარდო და ხანდახან შეუგნებლად ურევს მას მეორესთან. რასაკვირველია, ეს არის „თანასწორი პრინციპი", რომელიც ორთავეს იწვევს, სახელდობრ:

პრინციპი, რომ „ყოველი ადამიანი თავისუფალია დააბანდოს კაპიტალი იქ, სადაც მას მოესურვება... რასაკვირველია, ის ცდილობს კაპიტალის ისეთ გამოყენებას, რომელიც უფრო ხელსაყრელია; თავისთავად ცხადია, რომ ის არ კმაყოფილდება 10-პროცენტიანი მოგებით, თუ მას შეუძლია სხვაგან სადმე თავის კაპიტალზე მიიღოს მოგება 15 პროცენტის რაოდენობით. კაპიტალის ყველა გამომყენებელთა ეს დაუცხრომელი სწრაფვა ნაკლებ მომგებიანი სარეწაოს უფრო ხელსაყრელის სასარგებლოდ უარყოფისადმი წარმოშობს ძლიერ ტენდენციას: გაათანასწოროს ყველა კაპიტალისტის მოგება ანდა ფიქსაცია უქნას მათ მოგებას ისეთ

[1] მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ იმ სფეროებს, სადაც მიწის საკუთრების ჩარევის მომენტს ადგილი არა აქვს, [როგორც ამას შემდეგ დავინახავთ].

შეფარდებებში, რომ იგი წარმოებაში მონაწილეთა შეფასებით წარმოადგენდეს ჯილდოს იმ უპირატესობისათვის, რომელიც აქვს ან თითქოს უნდა ჰქონდეს ერთს მეორესთან შედარებით“ (გვ. 81).

ეს ტენდენცია იწვევს მას, რომ საზოგადოებრივი სამუშაო დროის ერთობლივი მასა საზოგადოებრივი მოთხოვნილების შესაბამისად ნაწილდება წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის. ამასთანავე ამის საშუალებით ხდება სხვადასხვა სფეროებში ღირებულებათა გარდაქმნა წარმოების ფასებად და, მეორეს მხრივ კი, ცალკე სფეროებში ნამდვილი ფასების განსხვავებათა გათანასწორება წარმოების ფასების მიერ.

ყველაფერი ეს უკვე ა. სმიტმა განავითარა. ამას თვით რიკარდო ამბობს:

„ვერცერთმა ავტორმა ვერ დაგვანახვა უფრო დამაკმაყოფილებლად და უკეთესად, ვიდრე დ-რ სმიტმა, რომ კაპიტალს აქვს ტენდენცია მოსცილდეს მრეწველობის ისეთ დარგებს, სადაც წარმოებული დოვლათი თავისი ფასით ვერ ფარავს იმ საერთო დანახარჯს, ჩვეულებრივი მოგების ჩართვით[1], რასაც წარმოება და საქონლის ბაზარზე გატანა იწვევს“ (l. c., 21 თავი, გვ. 342, შენიშვნა).

დამსახურება რიკარდოსი, რომლის შეცდომაც საერთოდ იქიდან წარმოდგება, რომ ის აქ კრიტიკულად არ უყურებს ა. სმიტს, იმაში მდგომარეობს, რომ ის უფრო მიახლოებულად არკვევს კაპიტალის ამ დენას ერთი სფეროდან მეორეში ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ოპერაციის იმ წესს, რომლითაც ეს დენა სწარმოებს. მაგრამ მან ეს შესძლო მხოლოდ იმიტომ, რომ მის დროს საკრედიტო ურთიერთობა უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ა. სმიტის დროს. რიკარდო ამბობს:

„შეიძლება მეტად ძნელი იყოს გამოკვლევა იმ წესებისა, რომელთა საშუალებითაც კაპიტალთა ეს გადანაცვლება სწარმოებს; ყველაზე უფრო შესაძლებელია, რომ ეს ხდება შემდეგი წესით: მრეწველი სავსებით კი არ სტოვებს თავის ასპარეზს, არამედ ამცირებს მხოლოდ მასში დაბანდებული კაპიტალის რაოდენობას. ყველა მდიდარ ქვეყანაში არსებობს განსაზღვრული რიცხვი იმ ადამიანებისა, რომლებიც შეადგენენ ფულის მქონეთა კლასს (monied class). ეს ხალხი არავითარ წარმოებას არ ეწევა, არამედ ცხოვრობს იმ თავის ფულის სარგებლით, რომელიც ბანდდება საკრედიტო გარიგებებში ანდა სესხში საზოგადოების სამრეწველო ნაწილისთვის. ბანკებიც ამავე მიზნით იყენებენ დიდ კაპიტალს. ამრიგად, გამოყენებული კაპიტალი ქმნის დიდი მოცულობის საბრუნავ კაპიტალს, რომელიც გამოიყენება უფრო მეტი ან ნაკლები შეფარდებით ქვეყნის ყველა სხვადასხვა სამრეწველო საწარმოთა მიერ. არ არსებობს, შესაძლებელია, არც ერთი ფაბრიკანტი, როგორი მდიდარიც უნდა იყოს იგი, რომელიც თავის მოსაქმეობას არ აფართოვებდეს იმაზე უფრო მეტად, ვიდრე მას ამის შესაძლებლობას აძლევს მისივე საკუთარი საშუალებანი. ის მუდამ იყენებს ამ საბრუნავი კაპიტალის ნაწილს, რომელიც იზრდება ან კლე-

[1] მაშასადამე, წარმოების ფასების.

ბულობს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია მოთხოვნა მის საქონელზე. თუ მოთხოვნა აბრეშუმზე მაღლა იწევს, ხოლო მაუდზე კი კლებულობს, მაშინ მაუდის ფაბრიკანტი არ გადადის თავისი კაპიტალით აბრეშუმის მრეწველობაში, არამედ ანთავისუფლებს ზოგიერთ თავის მუშებს და სწყვეტს სესხის აღებას ფულიან ხალხისაგან და ბანკებისაგან. აბრეშუმის ფაბრიკანტის მიმართ კი საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი: ის ცდილობს გამოიყენოს მეტი მუშა-ხელი და მისი მისწრაფებაც სესხად ფულის აღებისადმი ძლიერდება. იგი მეტს სესხულობს და, ამრიგად, კაპიტალი გადადის წარმოების ერთი დარგიდან მეორეში ისე, რომ მესარეწე არ საჭიროებს თავისი ჩვეულებრივი მოსაქმეობის შეწყვეტას. თუ ჩვენ რომელიმე დიდი ქალაქის ბაზრებს განვიხილავთ და შევამჩნევთ, თუ როგორ რეგულიარულად სწარმოებს მათი საკმაო რაოდენობით მომარაგება შინაური და უცხოეთის საქონლით, მიუხედავად მოთხოვნის ყოველგვარი ცვლილებისა, რაც გამომდინარეობს გემოვნების კაპრიზებიდან ან მოსახლეობის რაოდენობაში მომხდარ ცვლილებათაგან, და ამასთანავე შევამჩნევთ, რომ საქონლის გასაღების შეფერხება უხვი მიწოდების გამო ან ფასების მეტად მაღალი დონე არასაკმარისი მიწოდების გამო ხშირად საგრძნობი არ ხდება, — მაშინ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ პრინციპი, რომლის მიხედვითაც მრეწველობის ყოველ დარგს წილად ხვდება კაპიტალი სწორედ იმ რაოდენობით, რა რაოდენობასაც ის საჭიროებს, უფრო ძლიერად მომქმედია, ვიდრე ამას საერთოდ გულისხმობენ ხოლმე“ (l. c., გვ. 82).

ეს არის, მაშასადამე, კ რ ე დ ი ტ ი, რომლის საშუალებითაც კაპიტალისტთა მთელი კლასის კაპიტალი გადადის თითოეულ სფეროს განკარგულებაში, კაპიტალის არა იმ რაოდენობასთან შეფარდებით, რომელსაც შეადგენს ამ სფეროს კაპიტალისტთა საკუთრება, არამედ ამ სფეროს საწარმოო მოთხოვნილებებთან შეფარდებით — მაშინ როდესაც კონკურენციაში ყოველი ცალკე კაპიტალი წარმოგვიდგება დამოუკიდებლად მეორეს მიმართ; ეს წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების როგორც შედეგს, ისე პირობას და იგი იძლევა საუკეთესო გადასვლას კ ა პ ი ტ ა ლ თ ა კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ი დ ა ნ კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე რ ო გ ო რ ც კ რ ე დ ი ტ ზ ე.

მე-4 თავის შესავალში რ ი კ ა რ დ ო ამბობს, რომ მას ბუნებრივი ფასი ესმის როგორც საქონლის ღირებულება, ე. ი. როგორც მისი შეფარდებითი სამუშაო დროით განსაზღვრული ფასი, ხოლო საბაზრო ფასი კი როგორც შემთხვევითი და წარმავალი გადახრა ამ ბუნებრივი ფასიდან, რომელიც უდრის ღირებულებას. ამ თავის მთელ შემდგომ გაგრძელებაში — სრულიად გარკვეულ გამოთქმებშიც კი — მას ბუნებრივი ფასი სულ სხვაგვარად ესმის, სახელდობრ, როგორც ღირებულებიდან განსხვავებული წარმოების ფასი. ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ მას გადმოეცა, თუ როგორ გარდაქმნის კონკურენცია ღირებულებებს წარმოების ფასებად, მაშასადამე, თუ როგორ ქმნის იგი ხანგრძლივად გადახრებს ღირებულებათაგან, — ის ა. ს მ ი ტ ი ს მსგავსად გვიხატავს, თუ როგორ დაჰყავს კონკურენციას

შრეწველობის სხვადასხვა დარგებში საბაზრო ფასები ურთიერთ მიმართ წარმოების ფასებზე.

მე-4 თავის დასაწყისშივე ნათქვამია შემდეგი:

„თუ ჩვენ საქონელთა ღირებულების საფუძვლად შრომა ავიღეთ და მათი წარმოებისთვის საჭირო შრომის შედარებითი რაოდენობა კი — როგორც საზომი (rule), განმსაზღვრელი იმ დოვლათთა რაოდენობისა, რომლებიც მიცემულ უნდა იქნენ სხვებზე გასაცვლელად, მაშინაც კი ვერ დავუშვებთ მას, რომ ჩვენ უარვყოფთ ფაქტიური ან საბაზრო ფასის შემთხვევით და წარმავალ გადახრებს ამ მათი თავდაპირველი ანუ ბუნებრივი ფასიდან“ (გვ. 80).

აქ, მაშასადამე, „ბუნებრივი ფასი“ უდრის ღირებულებას და საბაზრო ფასი წარმოადგენს მხოლოდ ფაქტიური ფასის გადახრას ღირებულებიდან.

პირიქით, შემდეგში ნათქვამია:

„დავუშვათ, რომ ყველა საქონელნი იმყოფებიან თავიანთი ბუნებრივი ფასის დონეზე და, ამიტომ, კაპიტალის მოგებანი ყველა სარეწაოში სავსებით ერთსადაიმავე დონეზე დგას ანდა გადაიხრება ერთი მეორესაგან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეეფერება წარმოებაში მონაწილეთა შეფასებით ნამდვილ ან წარმოდგენითი უპირატესობას, რომელიც მათ აქვთ ან რომელსაც ისინი ჰკარგავენ“ (გვ. 83).

აქ, მაშასადამე, ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი უ დ რ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს ს, ე. ი. უდრის ფასს, რომელშიდაც მოგების შეფარდება საქონელში მოთავსებულ ავანსად გაღებულ კაპიტალთან ერთიდაიგივეა, თუმცა საქონელთა თანასწორი ღირებულებანი, მოცემული კაპიტალთა მიერ წარმოების სხვადასხვა დარგებში, შეიცავენ მეტად არათანასწორ ზედმეტ ღირებულებებს, მაშასადამე,— არათანასწორ მოგებებს. ფასი, თუ მან იგივე მოგება უნდა მოგვცეს, უნდა იყოს, მაშასადამე, განსხვავებული საქონლის ღირებულებიდან. მეორეს მხრივ, თანასწორი სიდიდის კაპიტალები იძლევიან მეტად სხვადასხვა ღირებულების სიდიდის საქონელს, იმისდა მიხედვით, შედის საქონელში ძირითადი კაპიტალის დიდი თუ პატარა ნაწილი. მაგრამ ამაზე შემდეგ—კაპიტალთა მიმოქცევის განხილვის დროს.

ამიტომაც, რ ი კ ა რ დ ო ს კონკურენციის მიერ გათანასწორება ესმის მხოლოდ როგორც ნამდვილ ფასთა ან ნამდვილ საბაზრო ფასთა ტრიალი წარმოების ფასის ან ბუნებრივი ფასის ვარშემო განსხვავებით ღირებულებიდან, ესმის როგორც წარმოების სხვადასხვა დარგებში საბაზრო ფასების საერთო წარმოების ფასებთან გათანასწორება; მაშასადამე, სწორედ იმ წარმოების ფასებთან, რომლებიც განსხვავდებიან რეალურ ღირებულებათაგან მრეწველობის სხვადასხვა დარგებში.

„ეს არის, მაშასადამე, მისწრაფება, რომელიც ყოველ კაპიტალისტს აღფრთოვანებს თავისი კაპიტალები უფრო ნაკლებ მომგებიან სარეწაოდან გადაიტანოს უფრო მომგებიანში, მისწრაფება, რომელიც საქონელთა საბაზრო ფასებს ხელს უშლის შეჩერდენ უფრო ხანგრძლივი დროისათვის მათ ბუნებრივ ღიოებულებაზე მაღლა ან დაბლა. ეს კონკურენცია ისე ათანასწორებს საქონელთა საცვლელ ღირებულებებს [1], რომ, წარმოებისათვის საჭირო მუშების ხელფასისა და ყველა იმ დანახარჯის გასტუმრების შემდეგ, რომელიც აუცილებელია გამოყენებულ კაპიტალის მის თავდაპირველ უნარიანობის მდგომარეობაში აღსადგენად, — დარჩენილი ნაშთი ან გარდამეტი ღირებულებისა ყოველ სარეწაოში შეფარდებაშია გამოყენებული კაპიტალის ღირებულებასთან“ (l. c., გვ. 84).

ეს სავსებით სწორია. კონკურენცია ისე ათანასწორებს ფასებს წარმოების სხვადასხვა დარგებში, რომ ღირებულების ნაშთი ან გარდამეტი, მოგება, შეესაბამება გამოყენებული კაპიტალის ღირებულებას, მაგრამ არა საქონლის რეალურ ღირებულებას, არა ღირებულების ნამდვილ გარდამეტს, რომელსაც ის შეიცავს ყველა ხარჯების გამოკლების შემდეგ. რათა ეს გათანასწორება მოხდეს, ერთი საქონლის ფასი უნდა იდგეს მაღლა და მეორესი კი დაბლა მათ რეალურ ღირებულებასთან შედარებით. ეს არის არა საქონელთა ღირებულება, არამედ მათი წარმოების ფასი, რომლის გარშემოც კონკურენცია იძულებით ატრიალებს საბაზრო ფასებს წარმოების სხვადასხვა დარგებში.

რ ი კ ა რ დ ო განაგრძობს:

„«Wealth of Nations»-ის მე-7 თავში საუცხოვოდ არის გარჩეული ყველაფერი ის, რაც ამ საკითხს შეეხება“ (გვ. 84).

სრული სიმართლეა. ეს არის უკრიტიკო რწმენა ს მ ი ტ ი ს ტრადიციისა, რაც რ ი კ ა რ დ ო ს აქ სწორი გზიდან აცდენს. რ ი კ ა რ დ ო ამ თავს ამთავრებს იმით, რომ მას შემდგომ გამოკვლევებში „განზრახვა აქვს სრულიად განხილვის გარეშე დასტოვოს“ (გვ. 85) საბაზრო ფასთა შემთხვევითი გადახრები წარმოების ფასებიდან, — მაგრამ რ ი კ ა რ დ ო ვერ ამჩნევს, რომ ის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს საბაზრო ფასების მუდმივ გადახრებს, რამდენადაც ისინი წარმოების ფასებს შეესაბამებიან, — საქონელთა რეალურ ღირებულებათაგან და რომ მან წარმოების ფასი ღირებულებით შესცვალა.

მე-30 თავი არკვევს „მოთხოვნისა და მიწოდების გავლენას ფასებზე“.

დებულება, რომელსაც რ ი კ ა რ დ ო აქ იცავს, მდგომარეობს იმაში, რომ პერმანენტული ფასი განისაზღვრება წარმოების ფასით და არა მოთხოვნა-მიწოდებით, რომ, მაშასადამე, პერმანენტული

---

[1] აგრეთვე სხვადასხვა რეალურ ღირებულებებსაც.

ფასი საქონელთა ღირებულებით მხოლოდ იმდენად განისაზღვრება, რამდენადაც ეს ღირებულება წარმოების ფასს განსაზღვრავს. თუ ვიგულისხმებთ, რომ საქონელთა ფასები ისეა გათახასწორებული, რომ ყველა ისინი იძლევა 10 პროცენტ მოგებას, მაშინ ყოველი მუდმივი გადახრა მათში განისაზღვრება გადახრით მათ ღირებულებებში, მათი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროში. როგორც ეს ღირებულება განაგრძობს მოგების საერთო ნორმის განსაზღვრას, ისე მისი ცვლილებებიც განაგრძობენ წარმოების ფასების ვარიაციათა განსაზღვრას, თუმცა ამით, რასაკვირველია, არ ისპობა ამ წარმოების ფასთა ღირებულებათაგან განსხვავება. ისპობა მხოლოდ ერთი: განსხვავება ღირებულებასა და ნამდვილ ფასს შორის არ უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე მოგების საერთო ნორმით გამოწვეული განსხვავება წარმოების ფასებსა და ღირებულებებს შორის. საქონელთა ღირებულების ცვლილებებთან ერთად იცვლება მათი წარმოების ფასები. იქმნება „ახალი ბუნებრივი ფასი“ (გვ. 460). თუ, მაგალითად, მუშას შეუძლია დაამზადოს ოცი ქუდი იმავე დროის განმავლობაში, რომელშიდაც ის წინათ ათ ქუდს ამზადებდა, და თუ შრომის ხელფასი შეადგენდა ქუდზე გაღებული ხარჯების ნახევარს, მაშინ ოცი ქუდისათვის საჭირო საწარმოო ხარჯები, რამდენადაც ისინი შრომის ხელფასიდან შესდგება, სანახევროდ დაეცემა. ვინაიდან ოცი ქუდის დასამზადებლად ახლა იგივე შრომის ხელფასია გადასახდელი, რაც წინათ საჭირო იყო ათი ქუდის დასამზადებლად. თითოეულ ქუდში აღარაა, მაშასადამე, მოთავსებული შრომის ხელფასისთვის გასაღები ხარჯების ნახევარი. თუ მექუდე ქუდს ყიდდა იმავე ფასში, მაშინ ის ყიდდა მას წარმოების ფასზე მეტად. თუ მოგება იყო 10 პროცენტი, ახლა ეს მოგება იქნებოდა $46^{2}/_{3}$ პროცენტი, რადგანაც ჩვენ ვღებულობთ, რომ ქუდების განსაზღვრული რაოდენობის წარმოებისთვის საჭირო ხარჯებიდან თავდაპირველად 50 უწევდა ნედლ მასალას და სხვ. და 50 კი — შრომას. ახლა ამ ხარჯებიდან ნედლ მასალას და სხვ. უწევს 50, შრომის ხელფასს კი — 25. თუ საქონელი ძველ ფასში იყიდება, მაშინ მოგება უდრის $46^{2}/_{3}$ პროცენტს [1]. ახალი ბუნებრივი ფასი, მაშასადამე, ღირებუ-

[1] ხელნაწერში აქ და ზემოთ აღნიშნულია $13^{1}/_{3}$ პროცენტი $47^{2}/_{3}$ პროცენტის მაგივრად. ცხადია, რომ ეს ემყარება შემცდარ გამოანგარიშებას. ათი ქუდის წარმოების ფასი პირველად იყო $50 + 50 + 10 = 110$. მექუდე ახალ საწარმოო პირობებში ყიდის ძველი ფასების მიხედვით. მისი საწარმოო ხარჯები ახლა შეადგენს 75, მისი ფასი კი 110, მაშასადამე, მოგება უდრის 35 პროცენტს, მოგების ნორმა რომელიც უწინ იყო $^{10}/_{100}$=10 პროცენტს, ახლა არის $^{35}/_{75}$= $46^{2}/_{8}$ პროცენტს.—კ.

ლების დაცემის გამო იმდენად დაეცემა, რომ ფასი მოგვცემს მხოლოდ 10 პროც. მოგებას. ღირებულების ან საქონლის წარმოებისთვის საჭირო სამუშაო დროის დაწევა აშკარავდება იმაში, რომ საქონლის ერთიდაიმავე რაოდენობისთვის ნაკლები სამუშაო დრო გამოიყენება, მაშასადამე, გამოიყენება ნაკლები გადახდილი სამუშაო დრო და ნაკლები შრომის ხელფასიც, და რომ ამიტომ ეცემა საწარმოო ხარჯები და შრომის ხელფასი, რომელიც გადახდილია (რაოდენობის მიხედვით; ეს არ გულისხმობს შრომის ხელფასის ნორმის არავითარ დაცემას) პროპორციულად ყოველი ცალკე საქონლის წარმოებისთვის. ეს ძალაში რჩება, თუ ადგილი ჰქონდა ღირებულებაში ცვლილებას თვით ქუდების წარმოებაში. რომ ეს ცვლილება მომხდარიყო ნედლი მასალის ან შრომის იარაღთა წარმოებაში, მაშინ ეს თავის გამოხატულებას ჰპოვებდა ამ სფეროებში სწორედ ასევე შრომის ხელფასისთვის საჭირო იმ ხარჯების შემცირებით, რომელსაც პროდუქტთა მოცემული რაოდენობა მოითხოვს, მაგრამ ქუდის ფაბრიკანტს კი ეს წარმოუდგებოდა ისე, თითქოს მას თავისი ძირითადი კაპიტალი ნაკლები დაუჯდა. წარმოების ფასებს ანუ „ბუნებრივ ფასებს“, რომლებსაც სრულიად არაფერი საერთო არა აქვთ „ბუნებასთან“, შეუძლიათ დაწევა [ან აწევა] საქონელთა ღირებულების დაწევის ან აწევის გამო ორნაირად.

ჯ ე რ ე რ თ ი იმით, რომ შრომის ხელფასი, რომელიც დახარჯულია საქონელთა განსაზღვრული რაოდენობის წარმოებაზე, დაბლა იწევს [ან მაღლა იწევს], რადგანაც დაბლა დაიწია [ან მაღლა აიწია] ამ რაოდენობაზე დახარჯული შრომის, გადახდილის და გადაუხდელის, აბსოლუტური რაოდენობის ერთობლივმა მასამ.

მ ე ო რ ე: როდესაც შრომის გაზრდილი ან შემცირებული პროდუქტიულობის გამო (ორივეს შეიძლება ჰქონდეს ადგილი; პირველს, თუ ცვალებადი კაპიტალი ეცემა მუდმივთან შეფარდებით, მეორეს კი, თუ შრომის ხელფასი იზრდება საარსებო საშუალებათა გაძვირების გამო) იცვლება ზედმეტი ღირებულების შეფარდება საქონლის ღირებულებასთან ან მასში მოთავსებული შრომის ღირებულებასთან, მაშასადამე, იზრდება ან ეცემა მოგების ნორმა.

ამ უკანასკნელ გარემოებას შეეძლო წარმოების ფასების ვარიაცია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათზე გავლენას ახდენენ შრომის ღირებულებაში მომხდარი ვარიაციები. პირველ შემთხვევაში შრომის ღირებულება იგივე რჩება. მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში იცვლებიან არა საქონელთა ღირებულებანი, არამედ მხოლოდ განაწილება [აუცილებელ] შრომასა და ზედმეტ შრომას შორის. თუმცა ამ შემთხვევაშიც

ადგილი ექნებოდა ცვლილებას პროდუქტიულობაში, მაშასადამე, ცალკე საქონელთა ღირებულებაში. იგივე კაპიტალი მოგვცემს ერთ შემთხვევაში მეტს და მეორე შემთხვევაში კი ნაკლებ საქონელს შედარებით წინანდელთან. საქონელთა მასას, რომელშიდაც ეს კაპიტალი გამოიხატებოდა, ექნებოდა იგივე ღირებულება, მაგრამ ცალკე საქონელს კი განსხვავებული ღირებულება. მართალია, შრომის ხელფასის ღირებულება არ განსაზღვრავს საქონელთა ღირებულებას, მაგრამ ღირებულება საქონლისა კი, რომელიც მუშის მოხმარებაში შედის, განსაზღვრავს შრომის ხელფასის ღირებულებას.

რაკი ერთხელვე წარმოების ფასები წარმოების სხვადასხვა სფეროებში მოცემულია, ისინი იწევენ მაღლა ან ეცემიან·შედარებით ერთი მეორის მიმართ იმ ცვლილებასთან ერთად, რომელსაც ადგილი აქვს საქონელთა ღირებულებაში. თუ შრომის პროდუქტიულობა იზრდება, ე. ი. მცირდება განსაზღვრული საქონლის წარმოებისთვის სამუშაო დრო, მაშასადამე, ეცემა საქონლის ღირებულება, სულერთია, ექნება პროდუქტიულობის ამ ცვლილებას ადგილი უკანასკნელად გამოყენებულ შრომაში თუ მის მუდმივ კაპიტალში,— მაშინ ამ საქონლის წარმოების ფასიც შესაბამისად უნდა დაეცეს. მასზე დახარჯული შრომის აბსოლუტური რაოდენობა შემცირდა, მაშასადამე, შემცირდა მასში მოთავსებული გადახდილი შრომის რაოდენობაც, ე. ი. მასზე დახარჯული შრომის ხელფასის რაოდენობა, თუმცა შრომის ხელფასის ნორმა იგივე დარჩა. საქონელი რომ იყიდებოდეს თავისი ძველი წარმოების ფასის მიხედვით, მაშინ ის მოგვცემდა მოგების საერთო ნორმაზე უფრო მაღალ მოგებას, რადგანაც უწინ ეს მოგება უდრიდა 10 პროცენტს უფრო დიდი ხარჯების დროს. ახლა კი, მაშასადამე, შემცირებულ ხარჯებს მოუწევდა 10 პროცენტზე მეტი მოგება. საქმე სულ საწინააღმდეგო სახეს ღებულობს, როდესაც შრომის პროდუქტიულობა მცირდება და საქონლის რეალური ღირებულებანი მაღლა იწევენ. მოგების მოცემული ნორმის დროს — ანუ, რაც იმავეს ნიშნავს — მოცემული წარმოების ფასების პირობებში — მათი შედარებითი ზრდა ან დაცემა დამოკიდებულია საქონელთა რეალურ ღირებულებათა ზრდაზე ან დაცემაზე, მათ ვარიაციაზე. ამის გამო ძველი წარმოების ფასების ადგილზე გამოდიან ახალი წარმოების ფასები, ანუ, როგორც რიკარდო სმიტის გამოთქმით ამბობს, „ახალი ბუნებრივი ფასები".

რიკარდო ახლახან ზემოთ მოყვანილ მე-30 თავში სახელწოდების მიხედვითაც აიგივეებს ბუნებრივ ფასს, ე. ი. წარმოების ფასს, ბუნებრივ ღირებულებასთან, ე. ი. სამუშაო დროით გან-

საზღვრულ ღირებულებასთან. „ფასს (მონოპოლიზაციაქმნილ საქონლისას) არავითარი აუცილებელი კავშირი არა აქვს საქონლის ბუნებრივ ფასთან; მაგრამ იმ საქონელთა ფასები, რომელნიც კონკურენციას ექვემდებარებიან, ...დამოკიდებული იქნება... ბოლოს და ბოლოს მათი წარმოებისთვის საჭირო ხარჯებზე“ (l. c., გვ. 465). აქ, მაშასადამე, ადგილი აქვს პირდაპირ წარმოების ფასების ან ბუნებრივი ფასების გაიგივეებას „ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ფ ა ს თ ა ნ“, ე. ი. „ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს თ ა ნ“. რ ი კ ა რ დ ო არავითარ სხვა განსხვავებას არ სცნობს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა და ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ფ ა ს ს შორის, გარდა იმისა, რომ უკანასკნელი ღირებულების ფულად გამოხატულებას წარმოადგენს, მაშასადამე, შეიძლება შეცვლილ იქნას ძვირფას ლითონთა ღირებულების ცვლილების გამო ღირებულების შეუცვლელად. მაგრამ ეს ცვლილება ეხება მხოლოდ შეფასებას, ღირებულების გამოხატულებას ფულში.

მაგალითად, ის ამბობს:

„იგი (საგარეო ვაჭრობა) შეიძლება მოწესრიგებულ იქნას მხოლოდ ბუნებრივი ფასის ცვლილებათა მეოხებით და არა ბუნებრივი ღირებულების საშუალებით, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია იმ ქვეყნებში საქონელთა წარმოება, და ამ მოწესრიგებას იწვევენ ცვლილებანი ძვირფას ლითონთა განაწილებაში“ (l. c., გვ. 409).

ამ არევ-დარევით უნდა აიხსნას ის გარემოება, თუ რატომ შეეძლოთ შემდგომ ვაჟბატონებს post Ricardum, თვით ს ე ი ს ა ც, მიეღოთ „საწარმოო ხარჯები“ ფასების საბოლოო რეგულიატორად, და ეს იმ დროს, როცა მათ მცირეოდენი წარმოდგენაც არა აქვთ სამუშაო დროით ღირებულების განსაზღვრის შესახებ და ამ განსაზღვრას კიდევაც უარყოფდენ, მაშინ როდესაც მას სხვანი აღიარებენ.

რ ი კ ა რ დ ო ს მთელი ეს შეცდომა და აქედან გამომდინარე მცდარი წარმოდგენა მიწის რენტაზე და სხვ., ასევე ყალბი კანონები მოგების ნორმის შესახებ და სხვ. წარმოსდგება იქიდან, რომ ის ზედმეტ ღირებულებას არ ანსხვავებს მოგებისაგან, როგორც ის საერთოდ, სხვა ეკონომისტების მსგავსად, უხეშად და გაუგებრად ექცევა ფორმათა განსაზღვრებს. თუ რამდენად არის იგი შებოჭილი ს მ ი ტ ი ს გავლენით, ამას შემდეგიდან დავინახავთ.

**β) სმიტი წარმოების ფასებისა და საბაზრო ფასების შესახებ.**

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ა. ს მ ი ტ ი ს მიმართ, რომ მისი შეხედულებით „არსებობს აგრეთვე მუდამ ზოგიერთი საქონელი, რომლის ფასიც ორ ნაწილად იყოფა, შრომის ხელფასსა

და კაპიტალის მოგებად“ (I წიგნი, მე-6 თავი). ეს განსხვავება რ ი კ ა რ დ ო ს თ ა ნ შეიძლება აქ სრულიად უყურადღებოდ დავტოვოთ.

პირველად ს მ ი ტ ი ანვითარებს იმ აზრს, რომ საცვლელი ღირებულება გადადის შრომის რაოდენობაში, რომ საცვლელ ღირებულებაში მოთავსებული ღირებულება, ნედლი მასალის და სხვ. გამოკლების შემდეგ, იყოფა შრომის ორ ნაწილად: ერთი ნაწილი, რომლითაც მუშის გასტუმრება ხდება, და მეორე ნაწილი, რომელიც მუშას არ ეძლევა და რომელიც იყოფა მოგებად და რენტად და მოგება კიდევ თავის მხრივ შესაძლებელია დაიყოს მოგებად და სარგებლად; შემდეგ ს მ ი ტ ი ბედნიერად ახდენს შემოტრიალებას და ნაცვლად იმისა, რომ საცვლელი ღირებულება შრომის ხელფასსა, მოგებასა და რენტად დაანაწილოს, იგი, პირიქით, ამ უკანასკნელთ, ე ი. შრომის ხელფასს, მოგებას და რენტას აღიარებს საცვლელი ღირებულების შემქმნელად, აიძულებს მათ, როგორც დამოუკიდებელ საცვლელ ღირებულებებს, შექმნან პროდუქტის საცვლელი ღირებულება, ადგენს საცვლელ ღირებულებას მისგან დამოუკიდებლად განსაზღვრულ ღირებულებათაგან, ე. ი. შრომის ხელფასის, მოგების და რენტის ღირებულებათაგან. იმის მაგივრად, რომ ღირებულება იყოს მათი წყარო, თვით ისინი ხდებიან ღირებულების წყარო. „ხელფასი, მოგება და რენტა — აი სამი თავდაპირველი წყარო ყოველი შემოსავლის, ისე როგორც ყოველი ღირებულების“ (l. c., წიგნი 1-ლი, მე-6 თავი). ამ შინაგანი კავშირის გამოსახვის შემდეგ ს მ ი ტ ს მყისვე იმორჩილებს მოვლენის გარეგნობიდან მიღებული წარმოდგენა, საგანთა კავშირი იმ სახით, როგორც იგი კონკურენციაში გვევლინება; კონკურენციაში კი ყველაფერი გვევლინება მუდამ შებრუნებულად და ყირაზე დაყენებულად.

ორივე ეს გაგება გულუბრყვილოდ ეჯვარედინება ერთი მეორეს ა. ს მ ი ტ ი ს აზროვნებაში; იგი ვერ ამჩნევს ამ წინააღმდეგობას. რ ი კ ა რ დ ო კი, პირიქით, რათა შეიცნოს კ ა ნ ო ნ ე ბ ი, რ ო გ ო რ ც ა ს ე თ ნ ი, თავის ცნობიერებაში აბსტრაქტებს კონკურენციის ფორმას, კონკურენციის გარეგან სახეს. ერთის მხრივ, მას შეიძლება ვუსაყვედუროთ, რომ იგი საკმაოდ შორს ვერ მიდის, რომ მისი აბსტრაქცია საკმაოდ სრული არაა, მეორეს მხრივ კი, — რომ მას მოვლენის გამოაშკარავების ფორმა ესმის მხოლოდ უ შ უ ა ლ ო დ, პ ი რ დ ა პ ი რ, როგორც დადასტურება საერთო კანონებისა ანუ როგორც მათი უშუალო გამოხატულება, და იგი მას არავითარ შემთხვევაში აღარ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ს ამ კანონებიდან. პირველის მიმართ მისი აბსტრაქცია მეტად არასრულია, მეორის მიმართ კი ის ფორმალური აბსტრაქციაა, რომელიც თავისთავად მცდარია.

აი, ამ უკუღმა შებრუნებული გამოსავალი წერტილიდან [კონკურენციიდან] გამომდინარე, ს მ ი ტ ი ანვითარებს განსხვავებას „საქონელთა ბუნებრივ ფასსა“ და მათ „საბაზრო ფასს“ შორის. რ ი კ ა რ დ ო ამას ღებულობს ა. ს მ ი ტ ი ს ა გ ა ნ, მაგრამ ივიწყებს, რომ ა. ს მ ი ტ ი ს „ბუნებრივი ფასი“, ს მ ი ტ ი ს წარნამძღვარის მიხედვით, სხვა არაფერია, გარდა კონკურენციიდან გამომდინარე წარმოების ფასისა და რომ ეს წარმოების ფასი თვით ს მ ი ტ ი ს მიერვე არის გაიგივებული საქონლის „ღირებულებასთან“ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ს მ ი ტ ი ივიწყებს თავის უფრო ღრმა შეხედულებას და ჩერდება საგანთა ზერელე კავშირიდან მიღებულ იმ შემცდარ თვალსაზრისზე, რომლის მიხედვითაც საქონელთა საცვლელი ღირებულება იქმნება ხელფასის, მოგების და რენტის დამოუკიდებლად განსაზღვრულ ღირებულებათა შეერთებით. მაშინ როდესაც რ ი კ ა რ დ ო ამ შეხედულებას ყოველგან უარყოფს, ის იღებს ამავე შეხედულებაზე დამყარებულ ა. ს მ ი ტ ი ს არევას ანუ გაიგივეებას საცვლელი ღირებულებისას წარმოების ფასთან ანუ ბუნებრივ ფასთან. ს მ ი ტ ი ს მხრივ ამ არევას თავისი გამართლება აქვს, ვინაიდან მისი მთელი გამოკვლევა ბუნებრივი ფასის შესახებ გამომდინარეობს მისი მეორე მცდარი შეხედულებიდან ღირებულებაზე. მაგრამ რ ი კ ა რ დ ო ს მიმართ კი ეს სრულიად გაუმართლებელია, რადგანაც იგი არსად არ ღიარებს ს მ ი ტ ი ს ამ შემცდარ შეხედულებას, არამედ ებრძვის მას ex professo როგორც არა ლოგიკურს. მაგრამ ს მ ი ტ მ ა მაინც შესძლო მისი ბუნებრივი ფასის ანკესზე წამოგება.

მას შემდეგ, რაც ს მ ი ტ მ ა საქონლის ღირებულება შეადგინა მისგან დამოუკიდებლად და თავისთავად განსაზღვრულ ღირებულებათაგან, ე. ი. შრომის ხელფასის, მოგების და რენტის ღირებულებათაგან, ის ეკითხება თავის თავს, თუ როგორ განისაზღვრებიან ეს ელემენტარული ღირებულებანი? და აქ ს მ ი ტ ი გამოდის მოვლენისაგან, როგორც იგი კონკურენციაში მჟღავნდება.

„Wealth of Nations“-ის 1-ლი წიგნის მე-7 თავი იხილავს „საქონელთა ბუნებრივ და საბაზრო ღირებულებას“. იქ ნათქვამია:

„ყოველ საზოგადოებაში ან ქვეყანაში არსებობს საშუალო ნორმ ხელფასისა, მოგებისა და რენტისათვის“. ამ „საშუალო ნორმას შეიძლება ვუწოდოთ შრომის ხელფასის, მოგების და რენტის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ნ ო რ მ ა იმ დროსა და ადგილისათვის, რომლის განმავლობაშიც და სადაც ის საერთოდ გაბატონებულია“. „თუ რომელიმე საქონლის ფასი სწორედ იმდენად დიდია, რომ იგი საკმაოა გაისტუმროს მხოლოდ რენტა, შრომის ხელფასი და მოგება მათი ბუნებრივი ნორმის მიხედვით, მაშინ საქონელი იყიდება მისი ბუნებრივი ფასის მიხედვით“.

ეს ბუნებრივი ფასი წარმოადგენს მაშინ საქონლის წარმოების ფასს, ხოლო წარმოების ფასი თანაემთხვევა საქონლის ღირებულებას, რადგანაც უკვე ნაგულისხმევია, რომ უკანასკნელის ღირებულება შრომის ხელფასისა, მოგებისა და რენტის ღირებულებათაგან იქმნება.

„საქონელი მაშინ იყიდება სწორედ იმდენად, რამდენიც ის ღირს [1], იყიდება იმდენად, რაც ის მართლა დაუჯდა მათ, ვისაც ის ბაზარზე გააქვს [2]; ვინაიდან, თუმცა ჩვეულებრივი სიტყვის ხმარებაში, როდესაც ლაპარაკია რომელიმე საქონლის წარმოების ხარჯებზე, მასში არ გულისხმობენ გამყიდველის მოგებას, მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ მაინც იზარალებდა ვაჭრობაში, თუ იგი საქონელს არ გაყიდდა მისი ქვეყნისთვის ჩვეულებრივი მოგებით. ვინაიდან მას შეეძლო ამ მოგების მიღება თავისი კაპიტალის სხვა ადგილას გამოყენების საშუალებით".

აქ ჩვენ გვაქვს ბუნებრივი ფასის წარმოშობის მთელი ისტორია და ამასთანავე კიდევ გადმოცემული სრულიად სათანადო ენით და დალაგებული სათანადო ლოგიკით, ვინაიდან, თუ საქონლის ღირებულება იქმნება ხელფასის, მოგების და რენტის ფასთაგან, ხოლო ამ უკანასკნელთა ნამდვილი ღირებულება კი კვლავ თავის მხრივ შექმნილია, და თუ ისინი, ე. ი. ხელფასი, მოგება და რენტა, თავიანთ ბუნებრივ ნორმაზე დგანან, მაშინ ცხადია, რომ საქონლის ღირებულება იდენტიურია მის წარმოების ფასთან, ხოლო უკანასკნელი — საქონლის ბუნებრივ ფასთან. მოგების ნორმა, სწორედ ისევე, როგორც შრომის ხელფასის ნორმა, იგულისხმება როგორც მოცემული. ეს სწორია რაც შეეხება წარმოების ფასის შექმნას. ეს ნორმები წარმოების ფასის წინაპირობას შეადგენენ. ამრიგად, ისინი მოცემული არიან ცალკე კაპიტალისტისთვისაც. თუ როგორ, სად და როდის [წარმოიშობიან ისინი], ეს მას არ აინტერესებს. ს მ ი ტ ი აქ დგება ცალკე კაპიტალისტის თვალსაზრისზე, კაპიტალისტური წარმოების აგენტის თვალსაზრისზე, რომელიც თავისი საქონლის წარმოების ფასს აწესებს შემდეგნაირად: ამდენი შრომის ხელფასისათვის და სხვ., ამდენს შეადგენს მოგების საერთო ნორმა. E r g o. ასე წარმოუდგება ამ კაპიტალისტს ოპერაცია, რომლის საშუალებითაც მყარდება საქონლის წარმოების ფასი, ანუ, როგორც ის მას შემდეგში წარმოუდგება, საქონლის ღირებულება, ვინაიდან მან იცის აგრეთვე, რომ საბაზრო ფასი ხან უფრო მაღლა დგას და ხან დაბლა ამ წარმოების ფასთან შედარებით, რომელიც მას ამიტომ ეჩვენება როგორც საქონლის იდეალური ფასი, მისი აბსოლუტური ფასი განსხვავებით მისი ფასების რყევათაგან, ერთი სიტყვით, ეჩვენება როგორც ღირებულება, რამდენადაც მას საერთოდ დრო აქვს ასეთ რამეებზე იფიქროს. იჭრება

[1] საქონელი მაშინ იყიდება მისი ღირებულების მიხედვით.

[2] მისი ღირებულების ა ნ უ მისი წარმოების ფასის მიხედვით.

რა ს მ ი ტ ი კონკურენციის შუაგულში, იგი მაშინვე იწყებს მსჯელობას ამ სფეროთი შებოჭილი კაპიტალისტის სპეციფიური ლოგიკით. ის ასე სვამს საკითხს: ხარჯები ჩვეულებრივ ცხოვრებაში არ ესმით როგორც მოგება, რომელსაც გამყიდველი იღებს და რომელიც აუცილებლად შეადგენს გარდამეტს მის ხარჯებთან შედარებით. მაშასადამე, რატომ შეგაქვს შენ მოგება წარმოების ფასში? ა. ს მ ი ტ ი ღრმა მოაზროვნე კაპიტალისტთან ერთად, რომელსაც ეს საკითხი დაუსვა, შემდეგი სახით უპასუხებს:

(რატომ შემაქვს მე მოგება ხარჯებში? რომ მე ჩემი საქონელი გამეყიდა ისეთ ფასად, რომელიც მომცემდა საშუალო მოგებაზე ნაკლებს, იმ საშუალო მოგებაზე, რომელსაც ამ ადგილის სხვა კაპიტალისტები იღებენ, მაშინ მე მოტყუებული ვიქნებოდი. თუ კი მე ჩემს კაპიტალს სხვა სარეწაოში დავაბანდებდი, მივიღებდი საშუალო მოგებას. ს მ ი ტ ი, ამრიგად, უპასუხებს იმ საკითხზე, თუ რატომ შედის საზოგადოდ მოგება წარმოების ფასში: „რადგანაც მე დავრჩებოდი მოტყუებული, რომ განსაზღვრული სიმაღლის მოგება არ შედიოდეს ხარჯებში"-ო. ეს სწორი პასუხია კონკურენციის უბრალო გამოძახილის თვალსაზრისით) [1].

მოგება საერთოდ უნდა შევიდეს წარმოების ფასში, რადგანაც მე მოტყუებული დავრჩებოდი, თუ წარმოების ფასში შევიდოდა მოგება 9 პროცენტის რაოდენობით, ნაცვლად 10 პროცენტისა.

ეს გულუბრყვილობა, რომლითაც ს მ ი ტ ი, ერთის მხრივ, კაპიტალისტური წარმოების აგენტის სულისკვეთებას გადმოგვცემს და საგნებს სავსებით ისე გვიხატავს, როგორც ისინი ამ აგენტს ეჩვენება, როგორც ისინი მის მიერ შეიცნობიან და მის პრაქტიკულ საქმიანობას განსაზღვრავენ, ე. ი. როგორც ისინი სინამდვილეში მათი გარეგანი სახის მიხედვით არსებობენ, მაშინ როდესაც ის, მეორეს მხრივ, ალაგ-ალაგ უფრო ღრმა კავშირს ააშკარავებს, — აი ეს გულუბრყვილობა აძლევს მის წიგნს დიდ მიმზიდველობას.

აქვე ვხედავთ აგრეთვე, თუ რატომაა, რომ ს მ ი ტ ი — მიუხედავად დიდი შინაგანი ეჭვისა ამ პუნქტის შესახებ — საქონლის ღირებულებას ანაწილებს მხოლოდ რენტასა, მოგებასა და შრომის ხელფასზე და უყურადღებოდ სტოვებს ძირითად კაპიტალს, თუმცა მას, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი ყოველი ცალკე კაპიტალისტის მიმართ დასაშვებად მიაჩნია; ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ

[1] ფრჩხილებში ჩასმული ადგილი წაშლილია ხელნაწერში. მე მომყავს ეს ადგილი, რადგანაც ის საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლად გავიგოთ აზრთა ის მსვლელობა, რომელსაც მ ა რ ქ ს ი მისდევს. — კ.

ნათქვამი იქნებოდა: საქონლის ღირებულება შესდგება შრომის ხელფასსა, მოგებასა და საქონლის ღირებულების იმ ნაწილიდან, რომელიც არ შესდგება შრომის ხელფასსა, მოგებასა და რენტიდან. ამრიგად, საჭირო იქნებოდა ღირებულების განსაზღვრა ხელფასისა, მოგებისა და რენტისაგან დამოუკიდებლად.

რაკი სმიტი ერთხელვე შუაგულ კონკურენციაში მოექცა და მოგების ნორმა და სხვ. მოცემულად იგულისხმა, ის დანარჩენში სწორად ანვითარებს ბუნებრივ ფასს ანუ წარმოების ფასს; სახელდობრ — ამ წარმოების ფასს განსხვავებით საბაზრო ფასისაგან.

„საქონლის ბუნებრივი ფასი ანუ რენტის, მოგების და შრომის ხელფასის ერთობლივი ღირებულება, რომელიც უნდა გადახდილ იქნას, თუ საქონელი ბაზარზე გაიტანება“ (l. c.).

საქონლის ეს წარმოების ფასი განსხვავდება საქონლის ნამდვილი ფასიდან ანუ საბაზრო ფასიდან. უკანასკნელი დამოკიდებულია მოთხოვნასა და მიწოდებაზე.

საწარმოო ხარჯების [ჯამი] ანუ საქონლის წარმოების ფასი არის სწორედ „რენტის, მოგების და შრომის ხელფასის ერთობლივი ღირებულება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას, თუ საქონელი ბაზარზე გაიტანება“. თუ მოთხოვნა და მიწოდება ერთი მეორეს შეესაბამება, მაშინ საბაზრო ფასი უდრის ბუნებრივ ფასს.

„თუ ბაზარზე გატანილი რაოდენობა სწორედ საკმარისია იმისთვის, რომ არსებული მოთხოვნილება დაფაროს და იგი მის ფარგლებს არ სცილდება, მაშინ საბაზრო ფასი სავსებით თანასწორი იქნება ბუნებრივი ფასის. ბუნებრივი ფასი, მაშასადამე, წარმოადგენს, რამდენიმედ, ცენტრს, რომლისკენაც მუდმივ მიილტვიან ყველა საქონელთა ფასები. სხვადასხვა მოულოდნელ შემთხვევებს შეუძლიათ ხანდახან ასწიონ ეს ფასები მასზე მაღლა, ხანდახან კი დასწიონ მასზე დაბლა“ (l. c.).

აქედან შემდეგ სმიტი ასკვნის, რომ საერთოდ „იმ სარეწაო მოქმედების ერთობლივი ჯამი, რომელიც წლიურად გამოიყენება, რათა საქონელი გატანილ იქნას ბაზარზე“, უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების მოთხოვნილებებს ანუ „ნამდვილ მოთხოვნას“ (l. c.). ის, რაც რიკარდოს ერთობლივი კაპიტალის სხვადასხვა სარეწაოებს შორის დანაწილებად ესმის, აქ აშკარავდება იმ „სარეწაო მოქმედების“ კიდევ უფრო გულუბრყვილო ფორმაში, რომელიც საჭიროა „განსაზღვრული საქონლის“ საწარმოებლად. ერთიდაიმავე საქონლის გამყიდველთა შორის ფასების გათანასწორება საბაზრო ფასთან და სხვადასხვა საქონელთა საბაზრო ფასების გათანასწორება წარმოების ფასთან აქ ჯერ კიდევ მეტად ჰრელად იხლართება ერთი მეორეში.

სმიტი აქ სრულიად შემთხვევით იწყებს [ლაპარაკს] იმ გავლენის შესახებ, რომელსაც ახდენს საქონელთა რეალური ღირებულების ცვლილება ბუნებრივ ფასებზე ანუ წარმოების ფასებზე.

„მრეწველობის ზოგიერთ დარგებში შრომის ერთიდაიგივე რაოდენობა სხვადასხვა წლებში საქონელთა მეტად სხვადასხვა რაოდენობას მოგვცემს, მაშინ როდესაც ის წარმოების სხვა დარგებში მუდამ ერთსადაიმავე ანუ დაახლოებით ერთსადაიმავე რაოდენობას აწარმოებს, ისე როგორც უწინ. მუშათა ერთიდაიგივე რაოდენობა სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა წლებში ხორბლის, ღვინის, ზეთის, სვიის და სხვ. მეტად სხვადასხვა რაოდენობას შექმნის. მაგრამ მრთველთა და ფეიქართა ერთიდაიგივე რიცხვი ყოველწლიურად დაამზადებს ტილოს ან მაუდის ერთსადაიმავე ან თითქმის ერთსადაიმავე რაოდენობას... წარმოების სხვა (არა სასოფლო-სამეურნეო) დარგებში, სადაც შრომის თანასწორ რაოდენობათა პროდუქტი ყოველთვის თანასწორი ან დაახლოებით თანასწორი რჩება [1], შესაძლებელია ბევრად უფრო ზედმიწევნით შეგუება ნამდვილ მოთხოვნასთან" (l. c.).

აქ სმიტი ხედავს, რომ უბრალო ცვლილება შრომის თანასწორ რაოდენობათა პროდუქტიულობაში, მაშასადამე, საქონელთა ნამდვილ ღირებულებებში, სცვლის წარმოების ფასებს. ის კვლავ ავულგარებს ამას მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდებაზე დაყვანით. მისივე საკუთარი შეხედულებების მიხედვით საქმე იმ სახით, როგორც ის ამას გვისახავს, შემცდარია. იმიტომ რომ, თუ მიწათმოქმედებაში შრომის თანასწორი რაოდენობანი წლის დროთა და სხვ. გამო პროდუქტთა სხვადასხვა მასას იძლევიან, მაშინ ის თვით ამტკიცებს, რომ მანქანათა, შრომის დანაწილებასა და სხვ. გამო შრომის თანასწორი რაოდენობანი პროდუქტის მეტად სხვადასხვა მასას იძლევიან მრეწველობაში და სხვ. მაშასადამე, ეს განსხვავება არაა ის, რაც მიწათმოქმედებას ანსხვავებს მრეწველობის დანარჩენ დარგთაგან. ამ განსხვავებას იწვევს ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში „საწარმოო ძალა წინასწარ განსაზღვრული ხარისხით" გამოიყენება, მეორე შემთხვევაში კი ის დამოკიდებულია ბუნების შემთხვევით მოვლენებზე. მაგრამ შედეგის სახით რჩება: რომ საქონელთა ღირებულება ან შრომის რაოდენობა, რომელიც შრომის პროდუქტიულობის მიხედვით გამოყენებულ უნდა იქნეს განსაზღვრულ საქონელზე, სცვლის ამ საქონლის წარმოების ფასებს.

შემდეგ დებულებაში ა. სმიტმა უკვე გვიჩვენა, თუ როგორ ამყარებს კაპიტალთა ხეტიალი წარმოების ერთი დარგიდან მეორეში წარმოების ფასს სხვადასხვა საწარმოო დარგებში. თუმცა ეს მისთვის ისე ნათელი არაა როგორც რიკარდოსთვის; ვინაიდან, თუ

---

[1] ე. ი., სანამ წარმოების პირობები იგივე რჩება.

საქონლის ფასი მის ბუნებრივ ფასზე დაბლა ეცემა, ეს ხდება თანახმად მისი დასკვნისა, იმიტომ რომ ამ ფასის ერთი ელემენტთაგანი ბუნებრივ ნორმაზე დაბლა ეცემა. ამრიგად, ეს ხდება არა მარტო კაპიტალთა განშორების ანუ მათი გადანაცვლების გამო, არამედ იმის გამო, რომ შრომა, კაპიტალი და მიწა ერთი დარგიდან მეორეში გადადიან. აქ მისი შეხედულება უფრო თანმიმდევარია, ვიდრე რ ი კ ა რ დ ო ს ი, მაგრამ შემცდარი.

„როგორიც უნდა იყოს ის ნაწილი (ბუნებრივი ფასის), რომელიც გაისტუმრება თავის ბუნებრივ ნორმაზე უფრო დაბლა, ხალხი, რომელიც დაინტერესებულია ამაში, მაშინვე იგრძნობს წაგებას და უყოყმანოდ იმდენ მიწას ან შრომას, ან კაპიტალს ამოიღებს წარმოების სათანადო დარგიდან, რომ ბაზარზე გატანილ მის პროდუქტთა რაოდენობა მალე სწორედ საკმაო იყოს ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, მათი საბაზრო ფასი კვლავ მალე მიაღწევდა ბუნებრივ ფასს, ყოველ შემთხვევაში იქ მაინც, სადაც სრული თავისუფლება ბატონობს".

ესაა არსებითი განსხვავება ს მ ი ტ ს ა და რ ი კ ა რ დ ო ს შორის იმაში, თუ როგორ ესმით მათ ბუნებრივ ფასთან გათანასწორება. ს მ ი ტ ი ს გაგებიდან გამომდინარე გათანასწორება ემყარება მის მცდარ წინაპირობას, რომ სამი ელემენტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას, მაშინ როდესაც რ ი კ ა რ დ ო ს მიერ გაგებული გათანასწორება დამყარებულია სწორ წინაპირობაზე, რომ საწარმოო ფასებს ამყარებს მხოლოდ მოგების (ამასთანავე შრომის ხელფასი მოცემულად იგულისხმება) საშუალო ნორმა.

„ბუნებრივი ფასი იცვლება ყოველივე მისი შემადგენელი ნაწილის: შრომის ხელფასის, მოგების და რენტის ბუნებრივ ნორმასთან ერთად".

და აი ს მ ი ტ ი ც 1-ლი წიგნის მე-8, 9, 10 და 11 თავებში ცდილობს განსაზღვროს ამ შემადგენელი ნაწილების — შრომის ხელფასის, რენტის და მოგების ბუნებრივი ნორმა და ამ ნორმის გარდაქმნანი.

მე-8 თავი იხილავს შ რ ო მ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ს.

ამ თავის დასაწყისშივე, რომელიც ხელფასს ეხება, ს მ ი ტ ი, სტოვებს რა კონკურენციის მოჩვენებით თვალსაზრისს, — ანვითარებს, უწინარეს ყოვლისა, ზედმეტი ღირებულების ნამდვილ ბუნებას, ხოლო მოგებას და რენტას სახავს ამ ზედმეტი ღირებულების უბრალო ფორმებად.

შრომის ხელფასის განხილვის დროს, მისი ბუნებრივი ნორმის განსაზღვრისათვის, მას ერთი თვალსაზრისი აქვს, სახელდობრ, სამუშაო ძალის ღირებულება, აუცილებელი შრომის ხელფასი.

„ადამიანს მუდამ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა იცხოვროს საკუთარი შრომით, და მისი შრომის ხელფასი საკმაო უნდა იყოს მის შესანახავად მაინც. იგი უმრავლეს შემთხვევაში უფრო მეტიც კი უნდა იყოს, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთ-

ჯვევაში, მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ოჯახის შენახვა და ასეთ მუშათა შთამომავლობა ერთ მოდგმაზე მეტს ვერ იარსებებდა“.

ეს კვლავ მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას, იმიტომ რომ სმიტი არასდროს არ ლაპარაკობს, თუ როგორ განისაზღვრება საზოგადოდ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულება, ე. ი. საქონლის ღირებულება? და აი აქ სმიტი, რადგანაც მან თავის მთავარ შეხედულებას გადაუხვია, იძულებულია განაცხადოს: შრომის ხელფასის ფასი განისაზღვრება საარსებო საშუალებათა ფასით, ხოლო საარსებო საშუალებათა ფასი კი — შრომის ხელფასის ფასითო. რაკი სმიტმა ერთხელვე იგულისხმა, რომ შრომის ხელფასის ღირებულება ფიქსაციაქმნილია, ის კვლავ აგვიწერს ზედმიწევნით ამ უკანასკნელის რყევას, იმ სახით, როგორც ის კონკურენციაში მჟღავნდება, და იმ გარემოებებს, რომელნიც ამ რყევას იწვევენ. ეს შეეხება ეგზოტერულ ნაწილს და ჩვენ აქ არ გვაინტერესებს[1]. მას სურს საქონლის ღირებულება განავითაროს შრომის ღირებულებიდან როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიდან. და იგი, მეორეს მხრივ, შრომის ხელფასის სიმაღლეს ანვითარებს იქიდან, რომ „შრომის ხელფასი... არ განიცდის საარსებო საშუალებათა ფასებთან ერთად არავითარ რყევას მაღლა ან დაბლა“, და რომ „შრომის ხელფასი სხვადასხვა ადგილას უფრო მეტ განსხვავებებს უნდა იძლეოდეს, ვიდრე საარსებო საშუალებათა ფასები“. მართლაც, ეს თავი არაფერს ისეთს არ შეიცავს, რაც საგანს შეეხებოდეს, გარდა შრომის ხელფასის მინიმუმის განსაზღვრისა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრისა. აქ სმიტი ხელახლა ინსტინქტიურად უბრუნდება თავის უფრო ღრმა შეხედულებას, მაგრამ შემდეგ ისევე სტოვებს მას, ასე რომ თვით ზემოაღნიშნული განსაზღვრაც არაფერს არ [ნიშნავს]. არ ნიშნავს, ვინაიდან რით

---

[1] განსაკუთრებით ის იხილავს კაპიტალის დაგროვების [გავლენას შრომის ხელფასზე], მაგრამ არ გვეუბნება, თუ რა განსაზღვრავს ამ დაგროვებას, ვინაიდან მას შეუძლია სწრაფად წავიდეს წინ ან მაშინ, როდესაც შრომის ხელფასის ნორმა შედარებით დაბალია და შრომის პროდუქტიულობა კი მაღალი — ამ შემთხვევაში შრომის ხელფასის აწევა მუდამ შედეგია მისივე იმ პერმანენტული დაბალი დონისა, რომელიც ამ აწევას წინუძღოდა — ანდა მაშინ, როდესაც ნორმა [მოგებისა] (ხელნაწერში სწერია: „დაგროვებისა“.—კ.) დაბალია, ხოლო შრომის პროდუქტიულობა კი — დიდი. პირველ შემთხვევაში მას [დაგროვების] (ხელნაწერში სწერია: „შრომის ხელფასის“.—კ.) ნორმა მისივე თვალსაზრისის მიხედვით მოგების ნორმიდან, ე. ი. შრომის ხელფასის ნორმიდან უნდა გამოეყვანა, მეორე შემთხვევაში კი — მოგების მასიდან, რაც ხომ კვლავ საქონლის ღირებულების გამოკვლევის აუცილებლობას გამოიწვევდა.

[სურს მას] განსაზღვროს აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულება — მაშასადამე, საქონლის ღირებულება საერთოდ? ნაწილობრივად შრომის ბუნებრივი ფასის საშუალებით. და რითღა განისაზღვრება ეს უკანასკნელი? საარსებო საშუალებათა ან საერთოდ საქონელთა ღირებულებით. მაგრამ ეს ხომ უბადრუკი წყლის ნაყვაა. დანარჩენში ეს თავი ერთ სიტყვასაც არ შეიცავს საგანზე, შრომის ბუნებრივ ფასზე, არამედ ის არკვევს მხოლოდ შრომის ხელფასის აწევას მისი ბუნებრივი ნორმის დონეზე უფრო მაღლა; სახელდობრ არკვევს იმ გარემოებას, რომ შრომის ხელფასის აწევა ხდება იმასთან შეფარდებით, თუ როგორ სწრაფად გროვდება კაპიტალი, თუ როგორ პროგრესიულია კაპიტალის დაგროვება. შემდეგ, ადგილი აქვს იმ სხვადასხვა საზოგადოებრივ მდგომარეობათა განხილვას, სადაც ხელფასის ეს აწევა ხდება, და, დასასრულ, ს მ ი ტ ი ლახვარს სცემს საქონლის ღირებულების განსაზღვრას შრომის ხელფასის საშუალებით — და შრომის ხელფასის განსაზღვრას აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებით — იმაზე მითითებით, რომ ინგლისში ამ შემთხვევას, როგორც ჩანს, ადგილი არა აქვს. აქვე ცოტა არ იყოს გამოსჭვივის მ ა ლ თ უ ს ი ს მოსახლეობის თეორიაც; იმიტომ რომ შრომის ხელფასი საარსებო საშუალებათა იმ რაოდენობით განისაზღვრება, რომელიც საჭიროა არა მარტო არსებობისთვის, არამედ მოსახლეობის რეპროდუქციისთვისაც.

სწორედ მას შემდეგ, რაც ა. ს მ ი ტ ი შეეცადა დაემტკიცებია, რომ შრომის ხელფასმა მეთვრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით ინგლისში, აიწია, აყენებს საკითხს იმის შესახებ, „შეიძლება თუ არა ეს განხილულ იქნას როგორც ხელსაყრელი ანუ საზარალო საზოგადოებისთვის". როცა შემთხვევა ეძლევა, იგი კვლავ უბრუნდება გაკვრით თავის ღრმა შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მოგება და რენტა უბრალო ნაწილებს შეადგენენ მუშის პროდუქტში. მუშები, ამბობს ის:

„შეადგენენ უმრავლეს შემთხვევაში საზოგადოების გაცილებით უფრო დიდ ნაწილს. მაშასადამე, ნუთუ შეგვიძლია ოდესმე განვიხილოთ როგორც საზარალო მთელისათვის ის, რაც ამ მთელის უდიდესი ნაწილის ბედს აუმჯობესებს? საზოგადოება, რასაკვირველია, არ შეიძლება ჩაითვალოს ბედნიერად და წარმატებულად, თუ მის წევრთა საგრძნობლად მომეტებული ნაწილი ღარიბი და დაბეჩავებულია. გარდა ამისა, უბრალო სამართლიანობა მოითხოვს, რომ მათ, ვინც მთელ ერს კვებავს, მოსავს და საცხოვრებელ ბინას აძლევს, თავიანთ საკუთარ შრომის პროდუქტში ჰქონდეთ იმდენი წილი მაინც, რაც საკმარისი იქნება თვით მათივე გამოსაკვებად, შესამოსად და თავშესაფარებლად".

ამასთანავე ს მ ი ტ ი ეხება მოსახლეობის თეორიას.

„თუმცა სიღარიბე აფერხებს ქორწინებას, მაგრამ ის მას შეუძლებლად მაინც არ ხდის. ის თითქოს კიდევაც ხელს უწყობს მოდგმის გაგრძელებას... უზნეობა, რომელიც მეტად ხშირი მოვლენაა მაღალი წრის მანდილოსნებს შორის, არაჩვეულებრივად იშვიათია დაბალი კლასების დედაკაცებში... მაგრამ თუ სიღარიბე ხელს არ უშლის შვილოსნობას, სამაგიეროდ ის მეტად აძნელებს მათ აღზრდას. ნაზი მცენარე ჩნდება ქვეყნად, მაგრამ ისეთ ცივ ნიადაგზე და ისეთ მკაცრ ჰავაში, რომ იგი მალე ჭკნება და კვდება... ყოველი სახის ცხოველი მრავლდება ბუნებრივი წესით არსებულ საარსებო საშუალებათა რაოდენობასთან შეფარდებით და ცხოველთა არც ერთ სახეს არ შეუძლია გამრავლდეს ამ საზღვრების გარეშე. მაგრამ ცივილიზაციის მქონე საზოგადოებაში საარსებო საშუალებათა ნაკლებობას ხალხის მხოლოდ დაბალ კლასებში შეუძლია კაცობრიობის გამრავლებას საზღვარი დაუდოს... მოთხოვნილება ადამიანებზე, მაშასადამე, აწესრიგებს ბუნებრივი აუცილებლობით ადამიანთა წარმოებას იმავე წესით, როგორც ამას ადგილი აქვს ყოველი სხვა საქონლის მიმართ; იგი აჩქარებს მას, თუ ის მეტად ნელა მიმდინარეობს, და ანელებს, თუ სწრაფად მიემართება წინ“.

შრომის ხელფასის მინიმუმის კავშირი სხვადასხვა საზოგადოებრივ მდგომარეობასთან შემდეგში გამოიხატება:

„ხელფასი, რომლითაც ფიზიკურ მუშებს და ყოველი სახის მოსამსახურეთ ისტუმრებენ, უნდა საკმაო იყოს საეთოდ იმისათვის, რომ შეიძლებოდეს მათი მოდგმის იმ რაოდენობით გაგრძელება, როგორც ამას მოითხოვს საზოგადოების მზარდი, კლებადი ან უცვლელად დარჩენილი მოთხოვნა“.

საზოგადოების, ე. ი. კაპიტალის!

შემდეგ ის გვიჩვენებს, რომ მონა „უფრო ძვირია“ თავისუფალ მუშაზე, რადგანაც ეს უკანასკნელი თვით უგდებს ყურს თავის გაცვეთას (wear and tear), მაშინ როდესაც მონის გაცვეთას „თვალყურს ადევნებს ნაკლები ყურადღების მქონე პატრონი ან დაუდევარი ზედამხედველი“. „ფონდი“, რომელიც დანიშნულია გაცვეთის შესაკეთებლად, დაზოგვით მოიხმარება თავისუფალი მუშის მიერ, მაშინ როდესაც მონის მიერ ეს ფონდი იფლანგება მოუწესრიგებელი მართველობის გამო.

„ფონდს, რომელიც დანიშნულია, ასე ვთქვათ, მონის გაცვეთის აღსადგენად ანუ შესაკეთებლად, ჩვეულებრივად განაგებს ნაკლები ყურადღების მქონე ბატონი ან დაუდევარი ზედამხედველი. პირიქით, იმ ფონდს კი, რომელიც იმავე მიზანს ემსახურება თავისუფალი მუშის მიმართ, თვით თავისუფალი მუშა განაგებს. ის უწესრიგობა, რომელიც ჩვეულებრივად მდიდართა მეურნეობაშია გამეფებული, აშკარავდება, რასაკვირველია, პირველი ფონდის გამგებლობაშიც. ღარიბის მტკიცე ზომიერება და ზუსტი მომჭირნეობა თავის ძალაში რჩება, რასაკვირველია, მეორე ფონდის მიმართაც“.

შრომის ხელფასის მინიმუმის ან შრომის ბუნებრივი ფასის განსაზღვრაში შედის ის, რომ ეს ფასი თავისუფალი დაქირავებული მუშის მიმართ უფრო მცირეა, ვიდრე მონის მიმართ. ამ შეხედულებას ს მ ი ტ ი ს სისტემაში ადგილი აქვს.

„თავისუფალი ადამიანის შრომა საბოლოოდ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მონის შრომა... თუ შრომის გულუხვი გასტუმრება სიმდიდრის ზრდის შედეგია, იგი მოსახლეობის ზრდის მიზეზიც ხდება. ამის გამო წუხილი ნიშნავს ისეთ რამეზე ჩივილს, რაც აუცილებელი შედეგია და მიზეზი უაღრესი საყოველთაო კეთილდღეობისა".

სმიტი განაგრძობს მაღალი შრომის ხელფასის დასაცავად შემდეგს:

„ის ხელს უწყობს არა მარტო მოსახლეობის ზრდას, არამედ აქეზებს აგრეთვე მდაბიო ხალხის შრომისმოყვარეობას... შრომის ხელფასი წაქეზებაა ბეჯითობისათვის, რომელიც, ისე როგორც ყველა სხვა ადამიანური თვისება, ვითარდება იმ ზომითაც, რა ზომითაც ის ამ წაქეზებას პოულობს. უხვი კვება ამაგრებს მუშის სხეულს და გამამხნევებელი იმედია თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისა... აიძულებს მას უაღრესად დაჭიმოს თავისი ძალა. ამიტომაცაა ჩვენ ვხედავთ, რომ სადაც კი ხელფასი მაღალია, მუშებიც უფრო მომქმედნი, დაულალავი და სწრაფი არიან, ვიდრე იქ, სადაც ხელფასი დაბალია".

მაგრამ მაღალი ხელფასი აქეზებს აგრეთვე მუშებს გადაჭარბებულად დახარჯონ თავისი სამუშაო ძალა და ნაადრევად გაანადგურონ იგი.

„მუშები, რომელნიც მაღალ სანაჭრო ხელფასს იღებენ, მეტად განწყობილი არიან დაიუძლურონ თავი გადაჭარბებული მუშაობით, დაანგრიონ თავიანთი ჯანმრთელობა მცირე წლების განმავლობაში... მეპატრონენი რომ მუდამ მისდევდნენ გონებისა და ჰუმანიურობის კარნახს, მაშინ მათ უფრო ხშირად ექნებოდათ შემთხვევა ნაცვლად წაქეზებისა შეენელებიათ ბევრი თავიანთი მუშების სწრაფვა ამ გადაჭარბებული ბეჯითობისადმი".

შემდეგ სმიტი ილაშქრებს იმ შეხედულების წინააღმდეგ, თითქოს „რამოდენიმედ მეტ კეთილდღეობას შეეძლოს მუშების გაზარმაცება".

შემდეგ ის იკვლევს, თუ რამდენად მართალია, რომ მუშები მოსავლიან წლებში უფრო ზარმაცი არიან, ვიდრე მოუსავლიანში და საერთოდ როგორია ის შეფარდება, რომელიც არსებობს შრომის ხელფასსა და საარსებო საშუალებათა ფასს შორის. აქ კვლავ თავს იჩენს ულოგიკობა.

„შრომის ფულადი ფასი აუცილებლად ისაზღვრება ორი გარემოებით: შრომაზე მოთხოვნით და საარსებო საშუალებათა და ფუფუნების საგნების ფასით... შრომის ფულადი ფასი, მაშასადამე, განისაზღვრება ფულადი თანხით, რომელიც საჭიროა (საარსებო საშუალებათა და ფუფუნების საგნების) ამ რაოდენობის შესაძენად".

შემდეგ ის არკვევს, თუ რატომ შეუძლია შრომის ხელფასს — შრომაზე მოთხოვნის გამო — აიწიოს მაღლა მოსავლიან წლებში და დაიწიოს მოუსავლიან წლებში, და გვიჩვენებს, რომ [აწევის და დაწევის] მიზეზები კარგსა და ცუდ წლებში ერთიმეორეს აბათილებენ.

„ნაკლებობა ძვირ წელიწადში ამცირებს მოთხოვნას შრომაზე და, ამრიგად, მას აქვს ტენდენცია დასცეს მისი ფასი, მაშინ როდესაც საარსებო საშუალებათა მაღალი ფასი ესწრაფვის მის გადიდებას. იაფ წლებში კი, პირიქით, საარსებო საშუალებათა სიუხვეს, რომელიცადიდებს შრომაზე მოთხოვნას, ტენდენცია აქვს ასწიოს შრომის ფასი; მაგრამ საარსებო საშუალებათა სიიაფე მოქმედებს იმ მიმართულებით, რომ დასცეს შრომის ფასი. ეს ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო მიზეზი საარსებო საშუალებათა ფასების ჩვეულებრივ ვარიაციათა პროცესში, ჩანს, ერთი მეორეს აწონასწორებს, რაც, ალბათ, ნაწილობრივ მიზეზია იმისა, თუ რატომაა, რომ შრომის ხელფასი ყველგან გაცილებით უფრო ნაკლებ რყევას განიცდის და უფრო ხანგრძლივად უცვლელი რჩება, ვიდრე საარსებო საშუალებათა ფასები".

ბოლოს, ყველა ამ ხვეული გზების შემდეგ, სმიტი კვლავ უპირდაპირებს შრომის ხელფასს, როგორც საქონელთა ღირებულების წყაროს, თავის თავდაპირველ უფრო ღრმა შეხედულებას იმის შესახებ, რომ საქონელთა ღირებულება შრომის რაოდენობით განისაზღვრება. თუ მუშა კარგ წლებში ანუ კაპიტალის ზრდასთან ერთად მეტ საქონელს ღებულობს, სამაგიეროდ ის გაცილებით მეტ საქონელსაც აწარმოებს; ანდა ყოველი ცალკე საქონელი შრომის ნაკლებ რაოდენობას შეიცავს. მას შეუძლია, მაშასადამე, მიიღოს საქონლის უფრო მეტი რაოდენობა უკანასკნელის უფრო მცირე ღირებულებით და, ამრიგად, — რაც ლოგიკურ დასკვნას შეადგენს — შეიძლება მოგება გაიზარდოს მიუხედავად აბსოლუტური შრომის ხელფასის აწევისა.

„შრომის ხელფასის აწევა აუცილებლად მაღლა სწევს ბევრ საქონელთა ფასს მისი იმ შემადგენელი ნაწილის გაზრდის გამო, რომელიც შრომის ხელფასში გადადის და ამით ეს აწევა ესწრაფვის იმას, რომ შეზღუდოს ამ საქონელთა მოხმარება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. მაგრამ იმავე მიზეზს, რომელიც შრომის ხელფასის აწევას იწვევს, ე. ი. კაპიტალის გადიდებას, თანსდევს ტენდენცია ასწიოს შრომის საწარმოო ძალაც, ასე რომ შრომის მცირე რაოდენობას შეუძლია მოგვცეს პროდუქტთა დიდი რაოდენობა". ეს ხდება შრომის დანაწილების, მანქანათა გამოყენების, გამოგონებათა და სხვ. მეოხებით. „ყველა ამ გაუმჯობესებათა გამო შესაძლებელია ახლა ბევრი საქონელი დამზადდეს გაცილებით უფრო ნაკლები შრომის გამოყენებით, ვიდრე ოდესმე წინათ ჰქონდა ამას ადგილი, ასე რომ შეიძლება ითქვას შრომის ფასის აწევა არამც თუ წონასწორდება შრომისავე რაოდენობის შემცირებით, არამედ მას მეტიც მოსდის".

შრომას უკეთ უხდიან, მაგრამ ყოველ ცალკე საქონელში ნაკლები შრომაა მოთავსებული, მაშასადამე, ცალკე საქონლისათვის გადახდილ იქნება უფრო ნაკლები. ამრიგად, სმიტი თავის მცდარ თეორიას იმის შესახებ, რომ საქონლის ღირებულებას საზღვრავს შრომის ხელფასი როგორც ღირებულების ჩამომყალიბებელი ელემენტი, სპობს ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, აბათილებს, სცვლის თავისი სწორი

თეორიით, რომლის მიხედვითაც საქონლის ღირებულება განისაზღვრება ამ საქონელში მოთავსებული შრომის რაოდენობით.

მე-9 თავი იხილავს კაპიტალის მოგებას. აქ, მაშასადამე, განსაზღვრულ უნდა იქნას იმ მეორე ელემენტის ბუნებრივი ნორმა, რომელიც ბუნებრივ ფასს ანუ საქონელთა ღირებულებას საზღვრავს და აყალიბებს. ის, რასაც სმიტი მოგებას ნორმის დაცემის მიზეზის შესახებ ლაპარაკობს, განხილულ იქნება შემდგომ.

აქ კი სმიტი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ის ამბობს, რომ უკვე საშუალო შრომის ხელფასის განსაზღვრა იმას ნიშნავს, რომ ეს ხელფასი „ჩვეულებრივი შრომის ხელფასია", ფაქტიურად გასასტუმრებელი ხელფასი. „მაგრამ ასეთი განსაზღვრულობის მიღწევაც კი კაპიტალის მოგების მიმართ იშვიათადაა შესაძლებელი". გარდა მესარეწეს ბედისა და უბედობისა, „ეს მოგება დამოკიდებულია საქონელთა ფასების ყოველ ცვლილებაზე", მაშინ როდესაც ჩვენ სწორედ ამ საქონელთა ბუნებრივი ფასი უნდა განვსაზღვროთ მოგების ბუნებრივი ნორმით, ე. ი. მოგების ნორმით, რომელიც „ღირებულების" ერთ-ერთ ჩამომყალიბებელ ელემენტთაგანს წარმოადგენს. ამის გამორკვევა კი ცალკე სარეწაოში ცალკე კაპიტალისტისათვის უკვე ძნელია.

„კიდევ უფრო ძნელი უნდა იყოს საშუალო მოგების განსაზღვრა ყველა იმ სხვადასხვა სარეწაოში, რომელიც არსებობს დიდ სახელმწიფოში".

მაგრამ „კაპიტალების საშუალო მოგებათა" შესახებ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ „ფულის სარგებლის სიმაღლის მიხედვით".

„შეიძლება შემდეგი პრინციპის წამოყენება: იქ, სადაც ფულის საშუალებით შესაძლებელია დიდი მოგების მიღება, ჩვეულებრივ ფულის სარგებლობისთვისაც ბევრის გადახდაა საჭირო, ხოლო იქ კი, სადაც შესაძლებელია უმნიშვნელო მოგების მიღწევა, ფულით სარგებლობისთვისაც ნაკლები სარგებელია გადასახდელი".

სმიტი არ ლაპარაკობს, რომ სარგებლის ნორმა მოგების ნორმას საზღვრავს. იგი გარკვევით ლაპარაკობს წინააღმდეგს. მაგრამ სარგებლის განაკვეთის შესახებ სხვადასხვა ეპოქებში და სხვ. არსებობს მატიანეები, რასაც მოგების ნორმის მიმართ ადგილი არა აქვს. სარგებლის განაკვეთები, მაშასადამე, სიმპტომებია, რომელთა მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოგების ნორმის დაახლოებითი მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ამოცანას შეადგენდა არა მოგების მოცემულ სხვადასხვა ნორმათა მდგომარეობის შედარება, არამედ მოგების ნორმის ბუნებრივი სიმაღლის განსაზღვრა. სმიტი გაურბის ამას მით, რომ მიმართავს მეორეხარისხოვან გამოკვლევას სხვადასხვა დროს მოცემული სარგებლის განაკვეთის შესახებ, რაც

სრულებით არ ეხება იმ პრობლემას, რომლის გადაჭრაც მან მიზნად დაისახა. ის იხილავს სხვადასხვა ეპოქებს ინგლისში, ადარებს შემდეგ ამ უკანასკნელს შოტლანდიას, საფრანგეთს, ჰოლანდიას და ნახულობს, რომ „შრომის მაღალი ხელფასი და კაპიტალის დიდი მოგება ეს, რასაკვირველია, ორი ისეთი საგანია, რომელთა ერთად ნახვა იშვიათადაა შესაძლებელი, თუ არ მხოლოდ ახალი კოლონიის თავისებურ ურთიერთობებში“.

აქ უკვე ცდილობს ა. სმიტი, რიკარდოს მსგავსად, მაგრამ რამოდენიმედ უკეთ, ახსნას მაღალი მოგება:

„განსაზღვრული დროის განმავლობაში ახალი კოლონია მუდამ იძულებულია დაკმაყოფილდეს მცირე კაპიტალით თავის ტერიტორიასთან შედარებით და ხალხის ნაკლები რაოდენობით შედარებით თავის კაპიტალთან, ვიდრე ამას ადგილი აქვს სხვა ქვეყნების უდიდესი ნაწილის მიმართ. დასამუშავებლად გამოსადეგი მიწა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე შესაძლებელია მისი გამოყენება არსებული კაპიტალის საშუალებით. ამიტომ მთელი კაპიტალი ხმარდება მხოლოდ უნაყოფიერესი და დასამხრისად მდებარე ადგილების, ე. ი. ზღვასთან და სანაოსნო მდინარეებთან ახლო მდებარე მიწის ნაკვეთების დამუშავებას. ასეთი მიწის ყიდვა ხშირად ხდება ისეთი ფასის მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ უფრო დაბალია, ვიდრე ამავე მიწაზე თავისთავად — მის დაუმუშავებლად — მოსულ პროდუქტთა ღირებულება[1]. კაპიტალმა, რომელიც ასეთი მიწის ნაკვეთების საყიდლად და გასაუმჯობესებლად გამოიყენება, მეტად მაღალი მოგება უნდა მოგვცეს და ამიტომ დიდი სარგებლის გადახდაც უნდა შესძლოს. მისი სწრაფი დაგროვება წარმოების ასეთ ხელსაყრელ დარგში საშუალებას აძლევს პლანტატორს გაამრავლოს თავისი მუშათა რიცხვი უფრო სწრაფად, ვიდრე მას შეუძლია მათი პოვნა ახალ დასახლებულ ადგილებში. ამიტომ ის იძულებულია უხვად მისცეს ხელფასი მათ, ვისაც კი იპოვის.

„იმ ზომით, რა ზომითაც კოლონია იზრდება, კაპიტალის მოგებაც კლებულობს. თუ უნაყოფიერესი და ყველაზე უფრო დასამხრისად მდებარე მიწის ნაკვეთები დაკავებულია, მაშინ ნაყოფიერებისა და დასამხრისობის მხრივ ნაკლებად ხელსაყრელი მიწების დამუშავებისაგან შეიძლება მივიღოთ მხოლოდ მცირე მოგება და გამოყენებული კაპიტალისთვის კი გადახდილ იქნეს მცირე სარგებელი... ამიტომ სარგებლის განაკვეთმა ჩვენი კოლონიების უდიდეს ნაწილში ამ საუკუნის განმავლობაში საგრძნობლად დაიწია“.

ეს არის ერთი იმ საფუძველთაგანი, — თუმცა სხვაგვარად აგებული, — რომლითაც რიკარდო მოგების დაცემას ხსნის. საერთოდ სმიტი აქ ყველაფერს ხსნის კაპიტალთა კონკურენციით; ამ კაპიტალთა მატებასთან ერთად მოგება ეცემა და მათ დაცემასთან ერთად იგი იზრდება[2], რის შესაბამისადაც შემდეგ შრომის ხელფასი, პირუკუღმა, იწევს მაღლა ან ეცემა დაბლა.

[1] მაშასადამე, სინამდვილეში ეს მიწა არაფერი არა ღირს.

[2] ხელნაწერში ნათქვამია: „საერთოდ სმიტი აქ ყველაფერს ხსნის კაპიტალთა კონკურენციით, რომელიც იზრდება ამ კაპიტალთა accroissement-თან ერთად და ეცემა მათ დაცემასთან ერთად“. ეს არის აშკარად lapsus calami. — კ.

„საზოგადოების კაპიტალის მარაგის ანუ ფონდის შემცირება, რომლის დანიშნულებასაც წარმოების მსვლელობის შენარჩუნება შეადგენს, სწევს დაბლა ერთის მხრივ, მუშათა ხელფასს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ადიდებს კაპიტალის მოგებას და ამიტომ კაპიტალის სარგებელსაც. რადგანაც შრომის ხელფასი ეცემა, ამიტომ საზოგადოებაში კიდევ დარჩენილი კაპიტალის მფლობელთ შეუძლიათ გაიტანონ თავიანთი საქონელი ბაზარზე ნაკლები ხარჯების გაწევით წინანდელთან შედარებით და, რადგანაც ნაკლები კაპიტალი გამოიყენება ბაზრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამიტომ შეუძლიათ მისი უფრო ძვირად გაყიდვა“.

სმიტი შემდეგ ლაპარაკობს მოგების შესაძლებელ მაღალ და შესაძლებელ დაბალ ნორმების შესახებ.

„კაპიტალთა ჩვეულებრივ მოგების ყველაზე უფრო დაბალმა ნორმამ მუდამ მეტი უნდა მოჰვცეს, ვიდრე ეს აუცილებელია იმ დანაკარგთა დასაფარავად, რომელთაც ყოველი კაპიტალი განიცდის ხოლმე შემთხვევით. მხოლოდ გარდამეტი ამ ხარჯებზე ზევით შეადგენს წმინდა მოგებას... მოგების ყველაზე უფრო მაღალი ჩვეულებრივი ნორმა შეიძლება იყოს ის ნორმა, რომელიც საქონელთა უდიდესი ნაწილის ფასიდან შთანთქავს ყველაფერს, რაც მიწის რენტას უნდა რგებოდა და სტოვებს მხოლოდ იმდენს, რამდენიც აუცილებელია, რომ მათი წარმოებისა და ბაზარზე გატანისათვის დახარჯული შრომა გადახდილ იქნას იმ ყველაზე უფრო მცირე ხელფასის ნორმის მიხედვით, რომლის გადახდაც კი სადმე შესაძლებელია, ე. ი. სტოვებს იმდენს, რამდენიც ზედმიწევნით კმარა მხოლოდ მუშის შესანახავად“.

სმიტი თვით ახასიათებს მას, რასაც ის მოგების ბუნებრივ ნორმაზე ლაპარაკობს.

„დიდ-ბრიტანეთში სარგებლის ორმაგ რაოდენობად სთვლიან მას, რასაც ვაჭარი ხალხი წესიერ, ზომიერ, გონიერ მოგებას უწოდებს — ესაა განმარტებანი, რომელნიც, ჩემის აზრით, გამოხატავენ მხოლოდ ქვეყნისათვის ჩვეულებრივ მოგებას“.

და მართლაც, სმიტი თუმცა არ უწოდებს ამ „ქვეყნისთვის ჩვეულებრივ მოგებას“ არც ზომიერს და არც წესიერს, მაგრამ ის აძლევს მას „მოგების ბუნებრივი ნორმის“ სახელწოდებას, და ამასთანავე სრულებით არ გვეუბნება, თუ რას ნიშნავს ეს უკანასკნელი და როგორ განისაზღვრება იგი; თუმცა ჩვენ ამ „მოგების ბუნებრივი ნორმის“ საშუალებით უნდა განვსაზღვროთ საქონლის „ბუნებრივი ფასი“.

„ქვეყნებში, სადაც სიმდიდრე სწრაფად იზრდება, მოგების დაბალ ნორმას შეუძლია შრომის ხელფასის მაღალი დონე ზოგიერთ საქონელთა ფასებში გააწონასწოროს და ამ ქვეყნებს შესაძლებლობა მისცეს გაყიდონ თავისი საქონელი ისევე იაფად, როგორც ყიდიან მათი ნაკლებად წარმატების მქონე მეზობლები, თუმცა ამ უკანასკნელთა შრომის ხელფასი უფრო მცირეა“.

[დაბალი] მოგება და [მაღალი] შრომის ხელფასი უპირისპირდებიან ერთი მეორეს არა როგორც ურთიერთმოქმედება, არამედ

ერთიდაიგივე მიზეზი — კაპიტალის სწრაფი ზრდა ან დაგროვება — იწვევს ორთავეს. ორივე შედის ფასში, ა ყ ა ლ ი ბ ე ბ ს მას. ამიტომ როცა ერთი მაღალია, ხოლო მეორე დაბალი, ფასი უცვლელი რჩება და სხვ.

ს მ ი ტ ს აქ მოგება ესმის მარტოოდენ როგორც ფასის დამატება, ვინაიდან ის შემდეგს ლაპარაკობს:

„ფაქტიურად მაღალ მოგებას გაცილებით მეტი ტენდენცია აქვს ასწიოს ფასები, ვიდრე მაღალ ხელფასს. თუ, მაგალითად, სელის წარმოებაში ჩაბმულ ყველა მუშების შრომის ხელფასი... ყოველდღიურად მოიმატებდა 2 პენსით, ეს ნაჭერი ტილოს ფასს მხოლოდ იმდენჯერ 2 პენსით ასწევდა, რამდენი მუშაც ჩაბმული იყო მის წარმოებაში, გამრავლებული იმ დღეთა რიცხვზე, რომლის განმავლობაშიც ისინი მასზე მუშაობდნენ. საქონელთა ფასის ის ნაწილი, რომელიც ხელფასში გადადის, იმატებდა წარმოების ყველა სხვადასხვა პროცესების მსვლელობაში შრომის ხელფასთა აწევის გამო მხოლოდ არითმეტიკული პროპორციის მიხედვით. მაგრამ თუ ამ მუშების ყველა სხვადასხვა გამომყენებელთა მოგებანი 5 პროცენტით გაიზრდებოდა, მაშინ საქონლის ფასის ის ნაწილი, რომელიც მოგებაში გადადის, გაიზრდებოდა წარმოების ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლისას მოგების აწეულ ნორმასთან ერთად გეომეტრიული პროგრესიის მიხედვით... შრომის ხელფასის აწევა ადიდებს საქონელთა ფასებს ისევე, როგორც უბრალო სარგებელი ადიდებს ვალს. მოგებათა გადიდება მოქმედობს როგორც სარგებლის სარგებელი".

ამ თავის დასასრულს ს მ ი ტ ი იმასაც გვეუბნება ჩვენ, თუ საიდან აქვს მას აღებული მთელი ეს შეხედულება იმის შესახებ, რომ საქონლის ფასი — ან მისი ღირებულება — ხელფასთა და მოგებათა ღირებულებათაგან იქმნება, სახელდობრ, რომ მას იგი აღებული აქვს amis du commerce-დან, კონკურენციის პრაქტიკულ მათაყვახებელთაგან.

„ჩვენი ვაჭრები და საწრეწველო მესარეწენი ბევრს ჩივიან იმ მაღალი ხელფასის მავნე გავლენაზე, რომელიც ფასებს სწევს მაღლა და ამით ხელს უშლის საქონელთა გასაღებას ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. ისინი არაფერს არ ლაპარაკობენ მაღალი მოგების მავნე გავლენაზე. ისინი სდუმან თავიანთი საკუთარი შემოსავლის დამღუპველი მოქმედების შესახებ. ისინი ჩივიან მხოლოდ სხვა ხალხის შემოსავალზე".

მე-10 თავში ს მ ი ტ ი იკვლევს შრომის ხელფასს და მოგებას კაპიტალის და შრომის გამოყენების სხვადასხვა დარგებში. ეს გამოკვლევა ეხება მხოლოდ დეტალებს; მაშასადამე, [ეკუთვნის იმ] თავს, რომელიც კონკურენციას იხილავს, და ეს ერთგვარად — ძლიერ კარგიცაა. ეს სავსებით ეგზოტერიულია.

ის აქ ლაპარაკობს აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ საეჭვო და გამოურკვეველია წარმატება თავისუფალ პროფესიებში, მაგალითად, იურისტებში.

„სამართლის მეცნიერების ლოტერეია თავის წყალობას სავსებით სამართლიანად ვერ ანაწილებს. იურისტების პროფესია, ისე როგორც ბევრი სხვა ლიბერალური და საპატივცემლო პროფესიები, ფულის თვალსაზრისით მეტისმეტად ცუდად არიან დაჯილდოებულნი".

ასევე ლაპარაკობს იგი ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი ს შესახებ:

„მათი ჯამაგირი ნაკლებია, ვიდრე დღიური მუშის ხელფასი, ხოლო მათი ძალღონის დახარჯვა აქტიურ სამსახურში კი — გაცილებით მეტია".

შემდეგ მეზღვაურებზე:

„თუმცა მათი დახელოვნება და სიმარჯვე გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე დახელოვნება და სიმარჯვე ფიზიკურ მუშების უმრავლესობისა, და თუმცა მთელი მათი ცხოვრება წარმოადგენს მძიმე შრომისა და საშიშროებათა უწყვეტ ჯაჭვს... მათი შრომის ხელფასი არ... აღემატება ნავთსადგურში დღიურ მომუშავეთა ხელფასს, რომელიც მეზღვაურთა ხელფასს განსაზღვრავს".

აგრეთვე ირონიულად:

„უეჭველია, უმართებულო იქნებოდა შეგვედარებია პასტორი ანუ კაპელანი დღიურ მუშასთან. მიუხედავად ამისა, სრული უფლებით შეგვიძლია დავუშვათ, რომ პასტორის ანუ კაპელანის ჯამაგირი იგივე ბუნებისაა, როგორც დღიური მუშის ხელფასი".

ლიტერატორების შესახებ ის გარკვევით ლაპარაკობს, რომ ისინი ძლიერ ცუდად ჯილდოვდებიან მათი მეტად დიდი რიცხვის გამო და იხსენებს იმ გარემოებას, რომ ბეჭდვითი სიტყვის გამოგონებამდე გამოთქმები: „ს ტ უ დ ე ნ ტ ი" და „მ ა თ ხ ო ვ ა რ ი" იდენტიური იყვნენ, და ს მ ი ტ ი ც, როგორც ჩანს, ამას განსაზღვრული აზრით იყენებს ლიტერატორების მიმართ.

აღნიშნული თავი სავსეა გონებამახვილი დაკვირვებით და მნიშვნელოვანი შენიშვნებით.

„ერთსადაიმავე საზოგადოებში ან ადგილზე მოგების საშუალო და ჩვეულებრივი ნორმები კაპიტალის დაბანდების სხვადასხვა დარგებში გაცილებით უფრო დიდხანს არიან შეჩერებული ერთსადაიმავე დონეზე, ვიდრე სხვადასხვა სახის შრომის ფულადი ხელფასი...

„ბაზრის უფრო მეტი გაფართოვება, რომელიც უფრო მეტი კაპიტალების გამოყენების საშუალებას იძლევა, ამცირებს ხილულ მოგებას; მაგრამ, რადგანაც ეს გაფართოვება მოითხოვს უფრო დიდად დაშორებული მანძილიდან მოზიდვას, იგი ადიდებს საწარმოო ხარჯებს. ეს შემცირება, ერთის მხრივ, და გადიდება, მეორეს მხრივ, როგორც ჩანს, უმეტეს შემთხვევაში ერთი მეორეს აწონასწორებს (ისეთი საქონლის მიმართ, როგორიცაა პური, ხორცი და სხვ.).

„პატარა ქალაქებსა და სოფლებში ბაზრის შეზღუდულობის გამო სარეწაოთ არ ძალუძთ ყოველთვის გაფართოვება იმ ზომით, რა ზომითაც კაპიტალები იზრდება. განსაზღვრული ინდივიდუუმის მოგებათა ნორმამ იქ შეიძლება აიწიოს მეტად მაღლა, მაგრამ მისი ჯამი ანუ მასა და ამიტომ მისი წლიური დაგროვების ოდე-

ნობაც არასდროს დიდი არ იქნება. პირიქით, დიდ ქალაქებში კი შესაძლებელია სარეწაოთა იმ ზომით გაფართოვება, რითაც კაპიტალი იზრდება და მეურნეობის უნარმქონე და ამ მხრივ წარმატებით მოსაქმე ადამიანის კრედიტი გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი კაპიტალი. მისი სარეწაო იზრდება ორთავეს გადიდებასთან შეფარდებით".

სმიტი მეტად სწორად შენიშნავს შრომის ხელფასის არასწორ სტატისტიკურ გამოანგარიშებათა შესახებ, მაგალითად, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და სხვ. საუკუნეებში, რომ იმ დროს შრომის ხელფასი მხოლოდ შინამსახურთა შრომის ხელფასი იყო. თავისი დროის ერთ ნაწილს ეს შინამსახურნი ანდომებდნენ თავიანთ cottages-ზე მუშაობას ანდა მუშაობდნენ თავისი ბატონისათვის, რომელიც მათ აძლევდა „სახლს, პატარა ბოსტანს, სათიბს, იმდენს, რამდენიც საკმაო იყო ერთი ძროხის გამოსაკვებად, და შეიძლება კიდევ ერთ ან ორ აკრ უვარგის სახნავ მიწას", და — თუ იგი მათ სამუშაოზეც იყენებდა — მეტად მცირე ხელფასსაც აძლევდა.

„თავიანთ გარდამეტ დროს ისინი სიამოვნებით ხარჯავდნენ უმნიშვნელო ქირისთვის და მუშაობდნენ უფრო მცირე ხელფასზე, ვიდრე სხვა მუშები... ბევრი ავტორი, რომლებიც ადრინდელი დროის შრომისა და საარსებო საშუალებათა ფასების შესახებ ცნობებს აგროვებდნენ, ჩანს, ამ დღიურ და კვირეულ ხელფასს იხილავდნენ ისე, როგორც შინამსახურთა შემოსავლის მთელ ჯამს და სიამოვნებით მიგვითითებდნენ ამ ხელფასთა საკვირველ დაბალ დონეზე".

იგი საზოგადოდ სწორად შენიშნავს:

„ამ გათანასწორებას (equality) შრომის და კაპიტალის სხვადასხვა საზარალო და სასარგებლო გამოყენების საერთო ჯამში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მოქმედების იმ დარგებში, რომელნიც ერთადერთ და უმთავრეს მოსაქმეობას შეადგენენ მათთვის, ვინც მასშია ჩაბმული".

სხვათა შორის, ეს დებულება ძლიერ კარგად იყო განვითარებული სტიუარტის მიერ, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო ხელფასის შესახებ, — როგორც კი სოფლის მეურნეობაში დრო ძვირფასი ხდება.

საშუალო საუკუნეების განმავლობაში საქალაქო კაპიტალის დაგროვების შესახებ სმიტი სრულიად სწორად შენიშნავს ამ თავში, რომ ეს დაგროვება უმთავრესად შედეგი იყო სოფლის ექსპლოატაციისა როგორც ვაჭრობის, ისე ხელოსნობის მიერ. ამ უკანასკნელთ ემატება აგრეთვე მევახშენი და შემდეგ უკვე haute finance, ერთი სიტყვით, ფულით მოვაჭრენი.

„ყოველი კლასი (საამქრო ქალაქებს შიგნით), რასაკვირველია, იძულებული იყო ამ (საამქრო) წესების ძალის გამო ის საქონელი, რომელსაც ის პოულობდა

ქალაქის სხვა კლასებში, რამდენიმედ უფრო ძვირად ეყიდნა, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა სხვა პირობებში. მაგრამ სამაგიეროდ მას შესაძლებლობა ჰქონდა ამდენითვე უფრო ძვირად გაეყიდნა თავისი საკუთარი საქონელი, ისე რომ ეს მისთვის ამ მხრივ არავითარ განსხვავებას არ შექმნიდა. ცალკე კლასთა ურთიერთდამოკიდებულებაში ქალაქის ფარგლებში ამ სამქრო წესების გამო არც ერთი არაფერს არ ჰკარგავდა. მაგრამ სოფელთან ურთიერთობაში კი ყველა ისინი ძლიერ ბევრს იგებდენ; და სწორედ ამ სოფელთან ურთიერთობაში გამოიხატება მთელი ვაჭრობა, რომელიც ქალაქს ინახავს და ამდიდრებს.

„ყოველი ქალაქი მთელ თავის საარსებო საშუალებებს და ყველა ნედლ მასალას თავისი მრეწველობისათვის სოფლიდან იღებს. ამისთვის ის სოფელს უხდის ორნაირი გზით: ჯერ ერთი იმით, რომ ამ ნედლი მასალის ნაწილს გადამუშავებული სახით უკანვე უბრუნებს მას; ამ შემთხვევაში ნედლეულის ფასი იზრდება მუშათა ხელფასით და იმ მოგებით, რომელსაც მათი ოსტატები ან უშუალოდ გამომყენებელნი იღებენ. შემდეგ იმით, რომ ქალაქი სოფლად აგზავნის ნედლი მასალის და ფაბრიკატების იმ ნაწილს, რომელიც მოტანილია ქალაქში საზღვარგარეთიდან ანდა ქვეყნისავე შორეული ადგილებიდან; ამ შემთხვევაში ასეთ საქონელთა პირველი ფასები იზრდება გადამზიდველთა ან მეზღვაურთა შრომის ხელფასით და ამ უკანასკნელთა დამქირავებელ ვაჭართა მოგებით. პირველი სახის ვაჭრობიდან დარჩენილ მოგებაში მდგომარეობს ის სარგებლობა, რომელსაც ქალაქი ღებულობს მრეწველობიდან; მეორე სახის ვაჭრობიდან დარჩენილ მოგებაში კი — ის სარგებლობა, რომელიც მიიღება შინაური და საგარეო ვაჭრობიდან. მუშების შრომის ხელფასი და ამ მუშების სხვადასხვა გამომყენებელთა მოგებანი შეადგენენ ორივე სახის ვაჭრობიდან მიღებული მოგების საერთო ჯამს. ყველა დადგენილებანი, რომელნიც მიზნად ისახავენ ასწიონ შრომის ხელფასი და მოგება უფრო მაღლა, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა სხვა პირობებში, მოქმედებენ იმ მიმართულებით, რომ შესაძლებლობა მისცენ ქალაქს შრომის ნაკლები რაოდენობით შეიძინოს სოფლის შრომის მეტი რაოდენობის პროდუქტი. ეს დადგენილებანი ქალაქის ვაჭრებს და ხელოსნებს უპირატესობას ანიჭებს მიწისმფლობელებთან, მოიჯარადრეებთან და სოფლად დაქირავებულ მუშებთან შედარებით და სპობს იმ ბუნებრივ თანასწორობას, რომელიც იბატონებდა ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ ურთიერთობაში, თუ ამ დადგენილებებს ადგილი არ ექნებოდა. შრომის ყოველწლიური ერთობლივი პროდუქტი ყოველწლიურად ნაწილდება მოსახლეობის ამ ორ ჯგუფს შორის. ამ (ქალაქის) წესების მეოხებით ქალაქის მცხოვრებნი ღებულობენ ამ პროდუქტის მეტ ნაწილს, ვიდრე ისინი მიიღებდენ სხვა, ე. ი ამ წესების არ არსებობის პირობებში, ხოლო სოფელს კი წილად ხვდება მცირე ნაწილი.

„ფასი, რომელსაც ქალაქი ფაქტიურად იხდის ყოველწლიურად შემოსატან საარსებო საშუალებებსა და ნედლეულზე, მოქცეულია იმ ფაბრიკატების და სხვა საქონელთა განსაზღვრულ რაოდენობაში, რომელიც მას ყოველწლიურად გააქვს. რამდენადაც უფრო ძვირად იყიდება ეს უკანასკნელნი, იმდენად უფრო იაფად შეიძინება პირველნი. ქალაქის სარეწაო მოქმედება სულ უფრო და უფრო მომგებიანი ხდება, ხოლო სოფლისა კი — თანდათან ნაკლებ მომგებიანი".

როდესაც ა. ს მ ი ტ ი აცხადებს, რომ ქალაქი შრომის ნაკლები რაოდენობით სოფლის შრომის მეტი რაოდენობის პროდუქტს ყიდულობსო, ამით ის, მაშასადამე, [უკან] უბრუნდება ღირებულების

სწორ განსაზღვრას, ე. ი. ღირებულების განსაზღვრას შრომის რაოდენობით. ეს შეიძლება მაგალითის სახით მოყვანილ იქნას მის მიერ განვითარებული ზედმეტი ღირებულების თეორიის მიმართ. თუ იმ საქონელთა ფასები, რომელთა გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის სწარმოებს, ისეა [განსაზღვრული], რომ ადგილი აქვს შრომის თანასწორი რაოდენობის გაცვლას, მაშინ საქონელთა ფასები უდრის მათ ღირებულებას. მოგებას და ხელფასს ორივე მხარეზე არ შეუძლიათ, მაშასადამე, ამ ღირებულებათა განსაზღვრა, არამედ ამ ღირებულებათა დანაწილება საზღვრავს მოგების და შრომის ხელფასს. ამიტომ სმიტი ფიქრობს, რომ ქალაქი, რომელიც შრომის მცირე რაოდენობას სცვლის სოფლის შრომის დიდ რაოდენობაზე, დამატებით მოგებას და დამატებით ხელფასს ღებულობს შედარებით სოფელთანო. ამ მოვლენას ადგილი არ ექნებოდა, რომ ქალაქი სოფელს თავის საქონელს მის ღირებულებაზე ზევით არ ყიდდეს. თუ მოგებანი და შრომის ხელფასნი არ იწევენ „უფრო მაღლა, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა სხვა პირობებში“, თუ, მაშასადამე, მოგება და შრომის ხელფასი ისეთ დონეზე დგანან, რომელზედაც ისინი [ხელოვნური ჩარევის გარეშე] იდგომებოდენ, მაშინ ისინი კი არ განსაზღვრავენ საქონლის ღირებულებას, არამედ თვით განისაზღვრებიან ამ უკანასკნელით. მოგების და შრომის ხელფასის წარმოშობა მაშინ შესაძლებელია მხოლოდ საქონლის მოცემული იმ ღირებულების დანაწილებიდან, რომელიც მათ წინაპირობას შეადგენს, მაგრამ ეს ღირებულება არ შეიძლება გამომდინარეობდეს მისთვის ნაგულისხმევი მოგებისა და შრომის ხელფასისაგან.

ა. სმიტი განაგრძობს:

„ქალაქის მცხოვრებთ, რომელნიც მცირე ფართობზე მჭიდროდ არიან დასახლებულნი, ადვილად შეუძლიათ შექმნან ურთიერთშორის კავშირები. ამიტომ თვით უმნიშვნელო სარეწაონიც კი, რომელთა საქმიანობასაც ადგილი აქვს ქალაქად, ამქრული წესით არიან შეკავშირებული...

„სოფლის მცხოვრებთ კი, რომელნიც დაფანტული ცხოვრობენ ერთიერთმანეთისაგან ძლიერ მოშორებულ ადგილებზე, არ შეუძლიათ ადვილად კავშირებში გაერთიანება. მათ არამც თუ არას დროს არ შეუქმნიათ საამქროები, არამედ მათში არასდროს არ ყოფილა გამეფებული ამქრული სული. არასდროს არ ყოფილა საპიროდ აღიარებული სოფლის მეურნეობისათვის — სოფლის ამ დიდი საწარმოო დარგისათვის — რაიმე სწავლების ვადის დაწესება“.

ამასთან დაკავშირებით სმიტი იწყებს ლაპარაკს შრომის დანაწილების საზარალო შედეგებზე. გლეხი ეწევა უფრო აზრიან საქმიანობას, ვიდრე შრომის დანაწილებას დაქვემდებარებული მანუფაქტურის მუშა.

„ისეთი სამუშაოების შესრულება, რომლებიც ამინდის ყოველი შეცვლისა და სხვა უთვალავ შემთხვევითი მოვლენების გამო აუცილებლად სხვაგვარ ხასიათს უნდა ატარებდენ, მოითხოვს გაცილებით მეტ გონებრივ სიმახვილეს და მოფიქრებას, ვიდრე იმ სამუშაოთა შესრულება, რომლებიც მუდამ ერთნაირი ან დაახლოებით ერთნაირი წესით მეორდებიან".

შრომის დანაწილება ანვითარებს შრომის საზოგადოებრივ საწარმოო ძალას ან საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალას, მაგრამ ანვითარებს მუშის საერთო საწარმოო უნარიანობის ხარჯზე. ამიტომ, საზოგადოებრივი საწარმოო ძალის ეს ზრდა მუშას წარმოუდგება როგორც გაზრდილი საწარმოო ძალა არა მისი შრომისა, არამედ მის შრომაზე გაბატონებული ძალისა, კაპიტალისა. თუ ქალაქის მუშა უფრო განვითარებულია, ვიდრე სოფლის მუშა, ეს იმ გარემოებას მიეწერება, რომ პირველს მისი შრომის ხასიათი აიძულებს იცხოვროს საზოგადოებაში, მაშინ როდესაც მეორეს მისი შრომის ხასიათი აიძულებს იცხოვროს უშუალოდ ბუნებასთან დაკავშირებით.

„ის უპირატესობა, რომელსაც ყველგან ევროპაში საქალაქო სამრეწველო ცხოვრებამ მიაღწია შედარებით სოფლის ცხოვრებასთან, არ მიეწერება მარტო ამქრებს და მათ წესებს. მას ხელს უწყობს აგრეთვე უამრავი სხვა დაწესებულებანი. მაღალი ბაჟები უცხოეთის ფაბრიკატებზე და უცხოეთის ყველა საქონელზე, რაც კი უცხო ვაჭრებს შემოაქვთ, იმავე მიზანს ემსახურებიან".

ეს „დაწესებულებანი იცავენ მათ (ქალაქებს) უცხოეთის კონკურენციიდან". ეს უკვე აღარ წარმოადგენს ქალაქის ბურჟუაზიის ოპერაციას, არამედ ეს არის საქმე იმ ბურჟუაზიისა, რომელიც კანონმდებლობას ეწევა ნაციონალური მასშტაბით როგორც corps de nation ანდა როგორც მესამე წოდება სახელმწიფო ყრილობისა ანუ როგორც ქვედა პალატა. ქალაქის ბურჟუაზიის სპეციფიურ თავისებურებას — მიმართულს სოფლის წინააღმდეგ — წარმოადგენს ქალაქის ჰიშკართან გადასახდელი აქციზები და ვამოსაღები, საერთოდ არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც ქალაქური წარმოშობის არიან (იხ. Hüllmann-ი), მაშინ როდესაც პირდაპირი გადასახადები სოფლური წარმოშობისაა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ, მაგალითად, აქციზი არის ერთგვარი გადასახადი, რომლითაც ქალაქი არაპირდაპირი სახით თავის თავს იბეგრავს. სოფლის მცხოვრები იძულებულია ეს ხარჯი ავანსის სახით გადაიხადოს, მაგრამ ის მას უკანვე იბრუნებს პროდუქტის ფასში. თუმცა საშუალო საუკუნეებში ამას ადგილი არ ჰქონია. მოთხოვნა მის პროდუქტებზე — რამდენადაც იგი ამ პროდუქტებს საერთოდ საქონლად ანუ ფულად აქცევდა — ნაძა-

ლადევად განისაზღვრებოდა ქალაქის ფარგლებით, ასე რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა გაედიდებია თავისი პროდუქტის ფასი საქალაქო გადასახადთა მთელი ჯამით.

„დიდ ბრიტანეთში ქალაქის სამრეწველო მოქმედებას, ჩანს, ოდესღაც მეტი უპირატესობა ჰქონდა სოფლის სამრეწველო მოქმედებასთან შედარებით, ვიდრე ახლა აქვს ამას ადგილი. სოფლის მუშების ხელფასი უახლოვდება სამრეწველო მუშების ხელფასს და სასოფლო მეურნეობაში დაბანდებული კაპიტალის მოგებაც უფრო მეტად უახლოვდება სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალთა მოგებას, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა უკანასკნელ საუკუნეში (მეჩვიდმეტე საუკუნეში) ან ამ (მეთვრამეტე) საუკუნის დასაწყისში. ეს ცვლილება შეიძლება განვიხილოთ როგორც აუცილებელი, მაგრამ დაგვიანებული შედეგი იმ არაჩვეულებრივი გაცხოველებისა, რომელიც საქალაქო მრეწველობამ განიცადა. ქალაქებში დაგროვებული კაპიტალი დროთა ვითარებაში ხდება იმდენად დიდი, რომ მისი წინანდელი მოგების მიხედვით გამოყენება მისთვის დამახასიათებელ სარეწაო დარგებში აღარ შეიძლება. ამ სარეწაოებს, ისე როგორც ყველა სხვა სარეწაოს, თავისი საზღვარი აქვთ და კაპიტალთა გადიდება მათში იწვევს კონკურენციას და მოგებას დაბლა სწევს. ქალაქებში მოგების დაცემა სოფლად ერეკება კაპიტალს, სადაც ეს უკანასკნელი მოთხოვნას ქმნის სასოფლო-სამეურნეო შრომაზე და ამით ადიდებს შრომის ხელფასს. ეს კაპიტალი ვრცელდება შემდეგ, ასე ვთქვათ, ქვეყნის მთელ ზედაპირზე და გამოყენებას პოულობს სოფლის მეურნეობაში. ამრიგად, კაპიტალი უკანვე უბრუნდება სოფელს, რომლის ხარჯზეც ის უმეტეს ნაწილად თავდაპირველად ქალაქებში დაგროვდა“.

1-ლი წიგნის მე-11 თავში *სმიტი* ცდილობს განსაზღვროს *მიწის რენტის ბუნებრივი ნორმა*, ე. ი. ნორმა იმ მესამე ელემენტისა, რომელიც საქონლის ღირებულებას ქმნის. ამის განხილვას ჩვენ შემოვინახავთ შემდეგისათვის, როდესაც *რიკარდოს* კვლავ დავუბრუნდებით. წინა ნათქვამიდან კი ნათელი გახდა შემდეგი: თუ ა. *სმიტი* აიგივეებს საქონლის *ბუნებრივ ფასს* ანუ *წარმოების ფასს* იმავე საქონლის ღირებულებასთან, ეს ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან წინასწარ უკვე უარყო თავისი სწორი შეხედულება *ღირებულებაზე* და შესცვალა იგი კონკურენციის გარეგანი მოვლენებით ნაკარნახევი შეხედულებით. კონკურენციაში გვევლინება წარმოების ფასი, და არა ღირებულება, როგორც საბაზრო ფასების რეგულიატორი, ასე ვთქვათ, როგორც იმანენტური ფასი — როგორც საქონელთა ღირებულება. მაგრამ თვით ეს წარმოების ფასი კვლავ გვევლინება ამ კონკურენციაში ისეთი ფასის სახით, რომელიც მოცემულია ხელფასის, მოგების და რენტის არსებული საშუალო ნორმის მიერ. ამიტომ *სმიტი* ცდილობს ეს უკანასკნელი, ე. ი. ხელფასი, მოგება და რენტა დაადგინოს თავისთავად, საქონლის ღირებულებისაგან დამოუკიდებლად და უფრო კი როგორც

ბუნებრივი ფასის ელემენტები. რიკარდო, რომლის მთავარ საქმეს სმიტის ამ შეცდომის უარყოფა შეადგენდა, ღებულობს ამ სმიტისათვის აუცილებელ, ხოლო მისთვის კი ლოგიკურად შეუძლებელ შედეგს — ღირებულებათა და წარმოების ფასთა იდენტიურობას.

### 3. რიკარდოს შეხედულება ზედმეტ ღირებულებაზე.

#### a) ზედმეტი ღირებულება და მოგება.

რიკარდო არსად არ იხილავს ზედმეტ ღირებულებას მის განსაკუთრებულ ფორმათაგან — მოგების, სარგებლის და რენტისაგან — გამოცალკევებულად და გამოყოფილად. ამიტომ მისი ესოდენ ღრმა მნიშვნელობის მოსაზრებანი კაპიტალის ორგანიული შედგენილობის შესახებ განისაზღვრება ა. სმიტისგან, განსაკუთრებით კი ფიზიოკრატებისგან, ტრადიციით ნიღებული განსხვავებებით კაპიტალის ორგანიულ შედგენილობაში, განსხვავებებით იმ სახით, როგორც ისინი გამომდინარეობენ მიმოქცევის პროცესიდან, ე. ი. ძირითად კაპიტალსა და საბრუნავ კაპიტალს შორის არსებულ განსხვავებებით, მაშინ როდესაც იგი არსად არ ეხება ანდა არ იცნობს იმ განსხვავებებს, რომელთაც ადგილი აქვთ საკუთრივ საწარმოო პროცესის ფარგლებში. აქედან წარმოსდგება მის მიერ ღირებულების და წარმოების ფასის ერთმანეთში არევა, მისი შემცდარი თეორია რენტის შესახებ, შემცდარი კანონები მოგების ნორმის ზრდისა და დაცემის მიზეზების შესახებ და სხვ.

თავის მოსაზრებებში მოგებასა და შრომის ხელფასის შესახებ რიკარდო მხედველობაში არ იღებს აგრეთვე კაპიტალის მუდმივ ნაწილს, რომელიც შრომის ხელფასზე არ იხარჯება. იგი იმგვარად იხილავს საქმეს, თითქოს მთელი კაპიტალი შრომის ხელფასზე იყოს დახარჯული. მაშასადამე, რამდენადაც ეს ასეა, იმდენად იგი არკვევს ზედმეტ ღირებულებას და არა მოგებას და ამიტომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მისი ზედმეტი ღირებულების თეორიაზე. მაგრამ, მეორეს მხრივ, ის ფიქრობს, რომ ლაპარაკობს მოგებაზე, როგორც ასეთზე და მართლაც ყველგან ადგილი აქვს მისი ისეთი თვალსაზრისის გამოაშკარავებას, რომელიც გულისხმობს მოგებას და არა ზედმეტ ღირებულებას. სადაც იგი სწორად გადმოგვცემს ზედმეტი ღირებულების კანონებს, ამ უკანასკნელთ აყალბებს იმით, რომ უშუალოდ ღებულობს მათ როგორც მოგების კანონებს. მეორეს მხრივ,

მას სურს გადმოგვცეს მოგების კანონები უშუალოდ, შუალედ რგოლების გარეშე, როგორც კანონები ზედმეტი ღირებულებისა.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მისი ზედმეტი ღირებულების თეორიის შესახებ, ვლაპარაკობთ, მაშასადამე, მისი მოგების თეორიის შესახებ, რამდენადაც ის ამ უკანასკნელს ზედმეტ ღირებულებაში ურევს, მაშასადამე, მოგებას იხილავს მხოლოდ ცვალებად კაპიტალთან დაკავშირებით, ე. ი. კაპიტალის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც შრომის ხელფასზეა დახარჯული. რასაც იგი მოგებაზე ლაპარაკობს ზედმეტი ღირებულებიდან განსხვავებით, — ამას ჩვენ შემდეგ განვიხილავთ.

საგნის ბუნებას ეს გარემოება იმდენად შეეფერება, რომ ზედმეტი ღირებულების განხილვა შეიძლება მხოლოდ ცვალებად კაპიტალთან, შრომის ხელფასზე უშუალოდ დახარჯულ კაპიტალთან დაკავშირებით — და ზედმეტი ღირებულების გაგების გარეშე შეუძლებელია მოგების რაიმე თეორიის არსებობა, — რომ რ ი კ ა რ დ ო მთელ კაპიტალს იხილავს როგორც ცვალებად კაპიტალს და მუდმივ კაპიტალს მხედველობაში არ იღებს, თუმცა ეს უკანასკნელი შემთხვევით წინასწარი ავანსების ფორმაში მოიხსენიება.

მე-26 თავში, რომელიც ეხება საერთო და წმინდა შემოსავალს, იგი ლაპარაკობს იმ:

„საწარმოო დარგებზე (trades), სადაც მოგებანი იმყოფებიან კაპიტალთან და არა გამოყენებული შრომის რაოდენობასთან შეფარდებაში" (l. c., გვ. 418).

რას ნიშნავს მთელი მისი მოძღვრება საშუალო მოგების შესახებ, რაზედაც მისი რენტის თეორია ემყარება, თუ არა იმას, რომ მოგება „იმყოფება კაპიტალთან შეფარდებაში და არა გამოყენებული შრომის რაოდენობასთან შეფარდებაში"? მოგება რომ „გამოყენებული შრომის რაოდენობასთან შეფარდებაში იმყოფებოდეს, მაშინ თანასწორი კაპიტალები მეტად არათანასწორ მოგებებს მოგვცემდენ, რადგანაც მათი მოგება თანასწორი იქნებოდა მათსავე საკუთარ საწარმოო დარგში შექმნილი ზედმეტი ღირებულებისა; ეს ზედმეტი ღირებულება კი დამოკიდებულია არა კაპიტალის სიდიდეზე საერთოდ, არამედ ცვალებადი კაპიტალის სიდიდეზე, რომელიც უდრის გამოყენებული შრომის რაოდენობას. მაშასადამე, რას უნდა ნიშნავდეს, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალის განსაკუთრებულ გამოყენებას, განსაკუთრებულ სარეწაო დარგებს აწერენ, რომ მათში მოგებანი შეეფარდება გამოყენებული კაპიტალის რაოდენობას და არა გამოყენებული შრომის რაოდენობას? ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის პირობებში ზედმეტი ღირებულების მასა განსა-

ზღვრული კაპიტალისათვის ყოველთვის დამოკიდებული უნდა იყოს არა კაპიტალის აბსოლუტურ სიდიდეზე, არამედ გამოყენებული შრომის რაოდენობაზე. მეორეს მხრივ, თუ მოგების საშუალო ნორმა მოცემულია, მოგების მასა ყოველთვის დამოკიდებული უნდა იყოს დახარჯული კაპიტალის მასაზე და არა გამოყენებული შრომის რაოდენობაზე. რ ი კ ა რ დ ო გარკვევით ლაპარაკობს ისეთ სარეწაო დარგებზე, როგორიცაა „საქონელთა საზღვაო ტრანსპორტი, საგარეო ვაჭრობა შორეულ ქვეყნებთან და წარმოების დარგები, სადაც ძვირფასი მანქანებია საჭირო“(l. c., გვ. 418). ე. ი. ის ლაპარაკობს ისეთ სარეწაო დარგებზე, რომლებიც შედარებით მეტ მუდმივს და ნაკლებ ცვალებად კაპიტალს იყენებენ. ეს ამასთანავე წარმოების ის დარგებია, სადაც, სხვებთან შედარებით, ავანსად გაღებული კაპიტალის ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი მ ა ს ა დიდია ანდა რომელთა წარმართვაც შესაძლებელია მხოლოდ დიდი კაპიტალების საშუალებით. მოგების მოცემული ნორმის დროს მოგების მასა საერთოდ დამოკიდებულია ავანსად გაღებული კაპიტალის სიდიდეზე. მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ ანსხვავებს წარმოების დარგებს, სადაც ადგილი აქვს დიდი კაპიტალების და მეტი მუდმივი კაპიტალის გამოყენებას (ეს კი ყოველთვის ერთად მიმდინარეობს), წარმოების იმ დარგებისაგან, სადაც მცირე კაპიტალები გამოიყენება, არამედ იგი წარმოადგენს მხოლოდ იმ დებულების გამოყენებას, რომლის მიხედვითაც თანასწორი სიდიდის კაპიტალები თანასწორი სიდიდის მოგებას იძლევიან, და რომ, მაშასადამე, უფრო დიდ კაპიტალს მეტი მოგება მოაქვს, ვიდრე უფრო მცირეს. ამას არაფერი საერთო არა აქვს „გამოყენებული შრომის რაოდენობასთან“. მაგრამ საერთოდ დიდია თუ პატარა მოგების ნორმა — ეს სინამდვილეში დამოკიდებულია შრომის იმ საერთო რაოდენობაზე, რომელსაც კაპიტალისტთა მთელი კლასი იყენებს, დამოკიდებულია გამოყენებული გადაუხდელი შრომის შეფარდებითი რაოდენობაზე და ბოლოს იმ შეფარდებაზე, რომელსაც ადგილი აქვს შრომაში გამოყენებულ კაპიტალსა და მხოლოდ საწარმოო საშუალებების სახით რეპროდუქციაქმნილ კაპიტალს შორის.

მე-7 თავში რ ი კ ა რ დ ო თვით ეკამათება იმ შეხედულებას, „რომ დიდი მოგებანი, რომელთაც ზოგიერთი ვაჭრები ხანდახან საგარეო ვაჭრობაში ღებულობენ, მოგების საერთო ნორმას ქვეყნის შიგნით მაღლა სწევენო“.

„... ამტკიცებენ, თითქოს მოგებათა თანასწორობა შეიძლება მიღწეულ იქნას მოგებათა საერთო აწევით; თუმცა მე იმ შეხედულებისა ვარ, რომ ხელსა-

ყრელ მდგომარეობაში მყოფ სარეწაო დარგების მოგებანი მალე დაიწევენ საყოველთაო დონემდე" (l. c., 132, 133).

თუ რამდენად სწორია მისი შეხედულება იმის შესახებ, რომ არაჩვეულებრივი მოგებანი, თუ ესენი გამოწვეული არ არიან საბაზრო ფასის ღირებულებაზე ზევით გადიდებით, მიუხედავად მათი გათანასწორებისა არ სწევენ მაღლა მოგების საერთო ნორმას; შემდეგ, თუ რამდენად სწორია მისი შეხედულება, რომ საგარეო ვაჭრობას და ბაზრის გაფართოებას არ შეუძლიათ მოგების ნორმის აწევა,— ყველა ამას ჩვენ შემდეგში დავინახავთ. ჩვენ ვაღიარებთ მისი შეხედულების სისწორეს, ვაღიარებთ საერთოდ „მოგებათა თანასწორობას"; მაგრამ იბადება საკითხი: როგორ შეუძლია მას განასხვაოს, ერთის მხრივ, სარეწაო დარგები, „სადაც მოგება შეფარდებაშია კაპიტალთან" და, მეორეს მხრივ, სარეწაოს სხვა დარგები, სადაც ეს მოგება „შეფარდებაშია გამოყენებულ შრომასთან"?

იმავე მე-26 თავში — „საერთო და წმინდა შემოსავლის შესახებ" — რ ი კ ა რ დ ო ამბობს:

„მე ვაღიარებ, რომ რენტის ბუნების გამო სოფლის მეურნეობაში მოცემულ კაპიტალს ყოველ მიწაზე, გარდა იმ მიწისა, რომელიც ყველაზე უფრო უკანასკნელად იქნა დამუშავებული, მოძრაობაში მოჰყავს შრომის მეტი რაოდენობა, ვიდრე იმავე სიდიდის კაპიტალს ვაჭრობაში და მრეწველობაში (l. c., გვ. 419).

მთელი ეს დებულება უაზრობაა. ჯერ ერთი რომ „ყველაზე უკანასკნელად დამუშავებულ მიწაზე" — რ ი კ ა რ დ ო ს შეხედულების მიხედვით — შრომის უფრო დიდი რაოდენობა გამოიყენება, ვიდრე ყველა სხვა მიწის ნაკვეთებზე. აქედან წარმოსდგება, მისი აზრით, რენტა მიწის ყველა სხვა ნაკვეთებზე. როგორაა, მაშასადამე, შესაძლებელი, რომ მიწის ყველა სხვა ნაკვეთებზე, გ ა რ დ ა „უკანასკნელად დამუშავებულთა", მოცემულმა კაპიტალმა უფრო მეტი შრომა უნდა მოიყვანოს მოძრაობაში, ვიდრე მას მოჰყავს ვაჭრობასა და მრეწველობაში? ის გარემოება, რომ საუკეთესო მიწის ნაკვეთების პროდუქტს უფრო მაღალი საბაზრო ღირებულება აქვს, ვიდრე მისი ინდივიდუალური ღირებულებაა, განსაზღვრული შრომის იმ რაოდენობით, რომელსაც იყენებს ამ მიწის ნაკვეთების დამუშავებაზე დახარჯული კაპიტალი,— ეს ხომ იდენტიური არაა იმ გარემოებასთან, რომ ამ კაპიტალს „შრომის უფრო დიდი რაოდენობა მოჰყავს მოძრაობაში, ვიდრე თანასწორი სიდიდის კაპიტალს ვაჭრობასა და მრეწველობაში"? მაგრამ, რასაკვირველია, სწორი იქნებოდა რ ი კ ა რ დ ო ს ეთქვა, რომ რენტა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიწის ნაკვეთების ნაყოფიერებაში მოცემულ განსხვავებას, საერთოდ

იქიდან წარმოსდგება, რომ სამიწათმოქმედო კაპიტალს კაპიტალის მუდმივ ნაწილთან შედარებით შრომის უფრო დიდი რაოდენობა მოჰყავს მოძრაობაში, ვიდრე საშუალო კაპიტალს არა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო სფეროებში.

ამა თუ იმ მიზეზებს რომ შეუძლიათ ასწიონ ან შეამცირონ მოგება, რომ მათ საერთოდ შეუძლიათ გავლენის მოხდენა, თუ ზედმეტი ღირებულება მოცემულია,— ამას რ ი კ ა რ დ ო ვერ ამჩნევს, რადგანაც იგი ზედმეტ ღირებულებას და მოგებას აიგივებს, რადგანაც მას სურს თანამიმდევრობით დაამტკიცოს, რომ მოგების ნორმის აწევა ან დაცემა მხოლოდ იმ გარემოებებით განისაზღვრება, რომლებიც ზედმეტი ღირებულების ნორმის აწევას ან დაცემას იწვევენ. შემდეგ ის ვერ ამჩნევს, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებებს, რომლებიც ზედმეტი ღირებულების მოცემული მასის დროს გავლენას ახდენენ მოგების ნორმაზე, თუმცა არა მოგების მ ა ს ა ზ ე,—მას, რომ მოგების ნორმა დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების მასაზე და არავითარ შემთხვევაში არა ზედმეტი ღირებულების ნორმაზე. ზედმეტი ღირებულების მასა დამოკიდებულია კაპიტალის ორგანიულ შედგენილობაზე, როდესაც ზედმეტი ღირებულების ნორმა, ზედმეტი შრომის ნორმა, მოცემულია, ე. ი. დამოკიდებულია მუშების რიცხვზე, რომელსაც მოცემული ღირებულების კაპიტალი, მაგალითად, 100 გირვ. სტერლინგი, ამუშავებს. იგი დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების ნორმაზე, თუ კაპიტალის ორგანიული შედგენილობა მოცემულია. მაშასადამე, ის განისაზღვრება ორივე ფაქტორით: იმავდროულად საქმეში ჩაბმულ მუშათა რიცხვით და ზედმეტი შრომის ნორმით. თუ კაპიტალი იზრდება, იზრდება ზედმეტი ღირებულების მასაც, სულერთია, როგორიც უნდა იყოს ამ კაპიტალის ორგანიული შედგენილობა, თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ უცვლელი რჩება. მაგრამ ეს არ სცვლის საქმის ვითარებას იმ მხრივ, რომ ეს მასა განსაზღვრული ღირებულების კაპიტალისათვის, მაგალითად, 100 გირვ. სტერლინგისათვის, იგივე რჩება. თუ ის ამ შემთხვევაში 10 გირვ. სტერლინგს უდრის, მაშინ 1000 გირვ. სტერლინგისათვის ის უდრის 100 გირვ. სტერლინგს; მაგრამ ამით შეფარდება არ იცვლება.

მეორე ადგილას, მე-12 თავში, რომელიც მიწის გადასახადს ეხება, რ ი კ ა რ დ ო ამბობს:

„სარეწაოს ერთსადაიმავე დარგში (employement) შეუძლებელია მოგების ორი სხვადასხვა ნორმის არსებობა; მაშასადამე, თუ პროდუქტის ღირებულება

სხვადასხვა შეფარდებაშია კაპიტალთან, სხვადასხვა იქნება მიწის რენტა და არა მოგება“ (l. c., გვ. 212).

ეს სწორია მხოლოდ მოგების ნორმალური ნორმისათვის „სარეწაოს ერთსადაიმავე დარგში“. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება მე-2 თავიდან ზემომოყვანილ დებულებას რენტის შესახებ (l. c., გვ. 60, 61).

მე-12 თავში, მიწის გადასახადის შესახებ, რ ი კ ა რ დ ო, სხვათა შორის, შემდეგს შენიშნავს ს ე ი ს წინააღმდეგ, — და აქედან ვხედავთ, თუ როგორ მკაფიოდ აქვს მუდამ მხედველობაში ინგლისელს ეკონომიური განსხვავება, მაშინ როდესაც კონტინენტის მცხოვრები მას მუდამ ივიწყებს:

„ბატონი ს ე ი ფიქრობს, რომ მიწის მესაკუთრე თავისი ბეჯითობით, მომჭირნეობით და დახელოვნებით ადიდებს თავის წლიურ შემოსავალს 5000 ფრანკით“, მაგრამ მიწის მესაკუთრეს არავითარი შესაძლებლობა არა აქვს თავისი ბეჯითობა, მომჭირნეობა და დახელოვნება მოქმედებაში მოიყვანოს, თუ ის არ ხდება თავის საკუთარ მოიჯარადრედ. და ის მაშინ აუმჯობესებს მიწის კულტურას როგორც კაპიტალისტი და მოიჯარადრე და არა როგორც მიწის მესაკუთრე. წარმოუდგენელია, რომ მან შესძლოს თავისი წარმოების შემოსავლის გადიდება ასეთი დიდი მასშტაბით მხოლოდ ა რ ა ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი დახელოვნების[1] მეოხებით, თუ მან, უწინარეს ყოვლისა, არ გაადიდა წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის რაოდენობა“ (l. c., გვ. 209).

მე-13 თავში, „გადასახადი ოქროზე“, რომელიც მნიშვნელოვანია რ ი კ ა რ დ ო ს თეორიისათვის ფულის შესახებ, რ ი კ ა რ დ ო იძლევა ზოგიერთ დამატებებს ან შემდგომ განმარტებებს ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს ა და ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი ს შესახებ. ამ დამატებათა და განმარტებათა აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებრივი და საბაზრო ფასის გათანასწორება უფრო სწრაფად ან ნელა მყარდება იმისდა მიხედვით, იძლევა თუ არა სარეწაოს განსაკუთრებული დარგი მიწოდების სწრაფი თუ ნელი ზრდის ან შემცირების საშუალებას, რაც თავის მხრივ იმავეს ნიშნავს, რასაც კაპიტალის ჩქარი თუ ნელი მოდინება სარეწაოს განსაზღვრულ დარგში ანდა მისი ამ დარგიდან გასვლა.

„საქონელთა ფასების აწევა წარმოების ხარჯებისა ან სიძნელეთა გამო ყოველ შემთხვევაში ბოლოს და ბოლოს ფაქტი ხდება; მაგრამ იმ პერიოდის ხანგრძლივობა, სანამ საბაზრო ფასი ბუნებრივ ფასს შეეგუებოდეს, დამოკიდებულია საქონლის ბუნებაზე და მისი რაოდენობის შემცირების სიადვილეზე. ხარკდადებული საქონლის შემცირება რომ შეუძლებელი ყოფილიყო, რომ, მაგალითად, მოიჯარადრის ან მექუდეს კაპიტალის წარმოების სხვა დარგებში გადატანა შეუძლებელი

[1] მაშასადამე, „დახელოვნების“ საშუალებითაც, რომელიც მეტად თუ ნაკლებად ფრაზას წარმოადგენს.

ყოფილიყო, მაშინ არაფრის ქნა არ შეიძლებოდა, თუ მათი მოგება გადასახადის გამო საერთო დონეზე დაბლა დაიწევდა. თუ მათ საქონელზე მოთხოვნა არ გაიზრდებოდა, ისინი ვერასდროს ვერ შესძლებდენ ხორბლის და ქუდების საბაზრო ფასი აეყვანათ მათ ამაღლებულ ბუნებრივ ფასამდე. მათ განცხადებას, რომ მათ სურთ ლიკვიდაცია უყონ თავიანთ წარმოებას და თავისი კაპიტალები შოათავსონ უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ სარეწაო დარგებში, შეხედავდენ როგორც ცარიელ და განუხორციელებელ მუქარას; ამიტომ ფასები არ აიწევდა წარმოების შემცირების გამო. მაგრამ სხვადასხვაა მარტოოდენ სისწრაფე, რომლითაც შესაძლებელია სხვადასხვა საქონელთა რაოდენობის შემცირება და კაპიტალის წარმოების ნაკლებმომგებიანი დარგებიდან მეტმომგებიან დარგებში გადატანა. იმავე ზომით, რა ზომითაც შესაძლებელია განსაზღვრული საქონლის მიწოდების შეზღუდვა მწარმოებლისათვის ზარალის მიუყენებლად, საქონლის ფასიც უფრო სწრაფად გაიზრდება, მას შემდეგ რაც მისი წარმოების სიძნელე ახალი ხარჯის გამო სხვა გზით გადიდდება“ (l. c., გვ. 214, 215).

„საბაზრო ფასის და ბუნებრივი ფასის შეთანხმებულობა ყოველი საქონლისათვის მუდამ დამოკიდებულია იმ სიადვილეზე, რომლითაც შესაძლებელია მისი მიწოდების გადიდება ან შემცირება. ოქროს, სახლების და შრომის მიმართ, ისე როგორც ბევრ სხვა საგანთა მიმართაც, ზოგიერთ გარემოებებში ამის გამოწვევა ადვილი არაა. სულ სხვაგვარადაა საქმე იმ საქონელთა შესახებ, რომელთა მოხმარებას და წარმოებას ყოველწლიურად აქვს ადგილი, როგორიცაა, მაგალითად, ქუდები, ფეხსაცმელი, ხორბალი, ტანსაცმელი. მათი რაოდენობა შეიძლება, თუ ეს აუცილებელია, შემცირებული იქნეს და არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს მანამ, სანამ მათი მიწოდება შეიზღუდებოდეს წარმოების გადიდებულ ხარჯებთან შეფარდებულად“ (l. c., გვ. 220, 221).

იმავე მე-13 თავში, „ოქროზე გადასახადის შესახებ“, რ ი კ ა რ დ ო ამბობს:

„მიწის რენტა არ წარმოადგენს რაიმე ახალის შექმნას, არამედ ის არის მხოლოდ არსებული სიმდიდრის გადაცემა“ (გვ. 221).

რას წარმოადგენს მოგება, სიმდიდრის ქმნილებას, თუ, პირიქით, ზედმეტი შრომის გადატანას მუშიდან კაპიტალისტზე? შრომის ხელფასიც არ წარმოადგენს სინამდვილეში ღირებულების ქმნილებას; მაგრამ ის არ წარმოადგენს ამასთანავე არავითარ გადატანასაც. ეს შრომის ხელფასი წარმოადგენს პროდუქტის ერთი ნაწილის მითვისებას მათ მიერ, ვინც ეს პროდუქტი აწარმოვა.

იმავე თავში რ ი კ ა რ დ ო ლაპარაკობს:

„მიწის ხედაპირის მიერ მოცემულ ნედლ პროდუქტებზე დაწესებული გადასახადი... ტვირთად დააწვება მომხმარებელთ და არავითარი გზით არ შეეხება რენტას, თუ არ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დაბლა სწევს შრომის ხელფასს მუშების შესანახავად საპირო ფონდის შემცირებით, ამცირებს მოსახლეობას და ზღუდავს ხორბალზე მოთხოვნას“ (l. c., გვ. 221).

არის თუ არა მართალი რ ი კ ა რ დ ო იმაში, რომ „მიწის ზედაპირის პროდუქტებზე დადებული გადასახადი“ არ ხვდება არც

მიწისმფლობელს, არც მოიჯარადრეს, არამედ ხვდება მხოლოდ მომხმარებელს, — ეს ჩვენ აქ არ გვაინტერესებს. მაგრამ მე მაინც ვამტკიცებ, რომ, თუ იგი მართალია, მაშინ ასეთ ხარკს შეუძლია რენტა ასწიოს, მაშინ როდესაც რ ი კ ა რ დ ო ს სწამს, რომ ის მასზე არავითარ გავლენას არ ახდენს, გარდა იმისა, რომ საარსებო საშუალებათა და სხვ. გაძვირებით აცცირებს კაპიტალს, მოსახლეობას და ხორბალზე მოთხოვნას. სახელდობრ რ ი კ ა რ დ ო ს წარმოუდგენია, რომ ნედლი პროდუქტის გაძვირება იმდენად ეხება მოგების ნორმას, რამდენადაც ის მუშის საარსებო საშუალებებს აძვირებს. და აქ სწორია ის, რომ ნედლი მასალის გაძვირებას მხოლოდ ამ გზით შეუძლია მოახდინოს გავლენა ზედმეტი ღირებულების ნორმაზე და ამიტომ თვით ზედმეტ-ღირებულებაზე, მაშასადამე, ამით მოგების ნორმაზეც. მაგრამ მიწის ზედაპირის ნედლი პროდუქტის გაძვირება, თუ ზედმეტ ღირებულებას მოცემულად ვიგულისხმებთ, ასწევდა მუდმივი კაპიტალის ღირებულებას შედარებით ცვალებად კაპიტალთან, გაადიდებდა მუდმივი კაპიტალის შეფარდებას ცვალებადთან და ამიტომ დასწევდა მოგების ნორმას, მაშასადამე, ასწევდა რენტას. რ ი კ ა რ დ ო გამოდის იმ შეხედულებიდან, რომ, რამდენადაც ნედლი პროდუქტის გაძვირება ან გაიაფება არ ახდენს შრომის ხელფასზე გავლენას, იმდენად ის არც მოგებაზე ახდენს გავლენას; ვინაიდან, მსჯელობს იგი (ერთი ადგილის გამოკლებით, რომელსაც ჩვენ შემდეგში დავუბრუნებდით), ნორმა იგივე რჩება, ავანსად გაღებული კაპიტალის ღირებულება ეცემა ან მაღლა იწევს. თუ ავანსად გაღებული კაპიტალის ღირებულება იზრდება, იზრდება, მაშასადამე, პროდუქტიც თავის ღირებულებაში და აგრეთვე პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ზედმეტ პროდუქტს, ე. ი. მოგებას ქმნის. საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი ავანსად გაღებული კაპიტალის ღირებულების დაცემის დროს; ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნედლი მასალის გაძვირების, გადასახადების და სხვ. გამო, ცვალებადი და მუდმივი კაპიტალი თანასწორი შეფარდებით სცვლიან თავიანთ ღირებულებას. ამ შემთხვევაში ნორმა იგივე რჩება, რადგანაც კაპიტალის ორგანიულ შედგენილობაში [არავითარი] ცვლილება არ მომხდარა. და მაშინაც კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ — რასაც ადგილი აქვს წარმავალ ცვლილებათათვის — შრომის ხელფასი იგივე რჩება, სულერთია, იწევს მაღლა, თუ ეცემა ნედლი პროდუქტი, რომ შრომის ხელფასი, მაშასადამე, იგივე რჩება დამოუკიდებლად იმისგან, იწევს მაღლა, თუ ეცემა მისი სახმარი ღირებულება მოცემული, უცვლელი ღირებულების დროს. შესაძლებელია შემდეგი შემთხვევები:

ჯერ ერთი, ორი მთავარი განსხვაება:

A. წარმოების წესში მომხდარი ცვლილების გამო იცვლება შეფარდება მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის გამოსაყენებელ მასათა შორის. აქ ზედმეტი ღირებულების ნორმა იგივე რჩება, თუ შრომის ხელფასი ნაგულისხმევია როგორც უცვლელი თავისი ღირებულების მიხედვით. მაგრამ თვით ზედმეტი ღირებულება ცვლილებას განიცდის, თუ ერთიდაიმავე კაპიტალის მიერ — ე. ი. ერთიდაიმავე ცვალებადი კაპიტალის მიერ — საქმეში ჩაბმულ მუშათა რიცხვი იცვლება. თუ წარმოების წესში მომხდარი ცვლილების გამო მუდმივი კაპიტალი შედარებით ეცემა, მაშინ ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, მოგების ნორმა იზრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირიქით.

აქ მუდამ ნაგულისხმევია, რომ ღირებულება pro tanto, მაგალითად, მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ყოველ 100-ზე იგივე რჩება.

აქ შესაძლებელია, რომ წარმოების წესში მომხდარი ცვლილება თანაბარ ზეგავლენას ახდენდეს მუდმივ და ცვალებად კაპიტალზე; მაშასადამე, მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი — ღირებულების შეუცვლელად — მაგალითად, თანაბრად უნდა იზრდებოდეს ან ეცემოდეს, ვინაიდან დაცემისა და აწევის აუცილებლობა აქ მუდამ დაკავშირებულია შრომის შეცვლილ პროდუქტიულობასთან. ეს არის სხვაობა და არა თანასწორი ზემოქმედება, რომელიც წარმოების წესში ცვლილებას იწვევს, და რასაც არავითარი საერთო არა აქვს იმასთან, — თუ კი წინასწარ ვიგულისხმებთ კაპიტალის ორგანიულ შედგენილობას, — უნდა იქნას გამოყენებული უფრო დიდი თუ პატარა კაპიტალი.

B. წარმოების წესი უცვლელი რჩება. ადგილი აქვს ცვლილებას მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის შეფარდებაში მათ რელატიურ მასათა უცვლელობის პირობებში (ისე რომ თითოეული უწინდებურად იმავე ჯერად ნაწილს შეადგენს ერთობლივი კაპიტალისას), იმ საქონელთა ღირებულების შეცვლის გამო, რომელნიც მუდმივ კაპიტალში ან ცვალებად კაპიტალში შედიან. აქ შესაძლებელია შემდეგი:

1. მუდმივი კაპიტალის ღირებულება რჩება იგივე; ცვალებადი კაპიტალის ღირებულება კი — იწევს მაღლა ან ეცემა. ეს ყოველთვის მოახდენდა გავლენას ზედმეტ ღირებულებაზე და ამით, მაშასადამე, მოგებაზე.

2. ცვალებადი კაპიტალი რჩება იგივე; მუდმივი კაპიტალის ღირებულება იწევს მაღლა ან ეცემა. მაშინ მოგების ნორმა პირველ შემთხვევაში დაეცემოდა, მეორეში კი — აიწევდა. თუ ორივე ერთსადაიმავე დროს ეცემა, მაგრამ არა თანასწორი შეფარდებით, მაშინ ერთი მეორეს მიმართ მუდამ იწევს მაღლა ან ეცემა.

3. მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულება თ ა ნ ა ბ ა რ ა დ იცვლება; სულერთია, იწევს ორივე მაღლა თუ ეცემა ძირს. თუ ორთავე მაღლა იწევს, მაშინ მოგების ნორმა ეცემა, მაგრამ არა იმიტომ, რომ იზრდება მუდმივი კაპიტალი, არამედ იმიტომ, რომ იზრდება ცვალებადი კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება ეცემა მასთან შეფარდებით, რადგანაც მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის ღირებულება იზრდება, თუმცა ამ ცვალებად კაპიტალს უწინდებურად მუშათა იგივე რაოდენობა, შესაძლებელია უფრო ნაკლებიც კი, — მოჰყავს მოძრაობაში. თუ ორივე ეცემა, მოგების ნორმა იწევს მაღლა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მუდმივი კაპიტალი ეცემა, არამედ იმიტომ, რომ ცვალებადი კაპიტალი ეცემა ღირებულების მიხედვით, მაშასადამე, იზრდება ზედმეტი ღირებულება.

C. ც ვ ლ ი ლ ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს შ ი და ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ი მ ე ლ ე მ ე ნ ტ თ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც მ უ დ მ ი ვ და ც ვ ა ლ ე ბ ა დ კ ა პ ი ტ ა ლ ს ქ მ ნ ი ა ნ. აქ ერთ ცვლილებას შეუძლია მეორე ცვლილება გააბათილოს, როცა, მაგალითად, მუდმივი კაპიტალის მასა იზრდება, მაშინ როდესაც მისი ღირებულება ეცემა, ანდა როცა მისი მასა ეცემა, მაგრამ მისი ღირებულება კი იმავე პროპორციით იზრდება. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა სრულიად არავითარ ცვლილებას არ ჰქონოდა ადგილი კაპიტალის ორგანიულ შედგენილობაში. მოგების ნორმა დარჩებოდა უცვლელი. მაგრამ გარდა სამიწათმოქმედო კაპიტალისა არასდროს არ შეიძლება მოხდეს, რომ კაპიტალის მასა შემცირდეს ცვალებადი კაპიტალის მიმართ, მაშინ როდესაც მისი ღირებულება ი ზ რ დ ე ბ ა.

მაშასადამე, თუ ამ ერთ შემთხვევას გამოვრიცხავთ, შესაძლებელია მხოლოდ ის, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება და მასა რელატიურად ერთსადაიმავე დროს ეცემიან ან იწევენ მაღლა ცვალებადი კაპიტალის მიმართ; მაშასადამე, მისი ღირებულება აბსოლუტურად იწევს მაღლა ან ეცემა ცვალებადი კაპიტალის მიმართ. ეს შემთხვევა უკვე განხილულია. ანდა შესაძლებელია, რომ ისინი ერთსადაიმავე დროს ეცემიან ან იწევენ მაღლა, მაგრამ არათანასწორი შეფარდებით, ეს კი ყოველთვის იმას უდრის, თანახმად ნა-

გულისხმევისა, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება იზრდება ან ეცემა შეფარდებით ცვალებად კაპიტალთან. ეს შეიცავს აგრეთვე მეორე შემთხვევას. ვინაიდან, თუ იზრდება მუდმივი კაპიტალის მასა, შეფარდებით კლებულობს ცვალებადი კაპიტალის მასა და, პირიქით. იგივე ითქმის ღირებულების შესახებაც.

შემთხვევა C-ს მიმართ საჭირო იქნებოდა კიდევ შემდეგის შენიშვნა:

შეიძლებოდა, რომ შრომის ხელფასს აეწია მაღლა, მაგრამ მუდმივი კაპიტალი კი დაცემულიყო, დაცემულიყო ღირებულებისა და არა მასის მიხედვით. თუ აწევა და დაცემა ერთი მეორეს შესაბამისი იქნებოდა ორივე კიდურზე, მაშინ მოგების ნორმას შეეძლო იგივე დარჩენილიყო.

ავიღოთ მაგალითად:

| მუდმივი კაპიტალი | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება | პროდუქტის ღირებულება | ავანსად გაღ. კაპიტალი | მოგების ნორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 60 £ | 40 £ | 20 £ | 120 £ | 100 £ | 20% |

თუ მუდმივი კაპიტალი ეცემა ცვალებადი კაპიტალის იმავდროულ ზრდასთან ერთად, მაშინ შეიძლება ადგილი ექნეს მრავალგვარ კომბინაციას:

| მუდმივი კაპიტალი | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება | პროდუქტის ღირებულება | ავანსად გაღ. კაპიტალი | მოგების ნორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 40 | 50 | 10 | 100 | 90 | $11^1/_9$% |

მოგების ნორმა 20%-ზე კიდევ უფრო ძირს დაეცემოდა.

პირიქით მოხდებოდა, თუ იქნებოდა:

| მუდმივი კაპიტალი | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება | პროდუქტის ღირებულება | ავანსად გაღ. კაპიტალი | მოგების ნორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 30 | 45 | 15 | 90 | 75 | 20% |

ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ორივე მოძრაობა სრულიად აბათილებს ერთი მეორეს.

ავიღოთ შემდეგ:

| მუდმივი კაპიტალი | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება | პროდუქტის ღირებულება | ავანსად გაღ. კაპიტალი | მოგების ნორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 20 | 45 | 15 | 80 | 65 | $23^1/_{13}$%. |

ამრიგად, ამ შემთხვევაში მოგების ნორმა თვით ზედმეტ ღირებულების დაცემის დროსაც კი შესძლებდა მაღლა აწევას მუდმივი

კაპიტალის ღირებულებაში მომხდარი უფრო დიდი დაცემის გამო. იმავე 100 გირვ. სტერლინგის კაპიტალით შეიძლებოდა მეტი მუშახელის გამოყენება, მიუხედავად გადიდებული შრომის ხელფასისა და ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემისა. თვით ზედმეტი ღირებულება და ამიტომ მოგებაც, მიუხედავად ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემისა, გაიზრდებოდა, იმიტომ რომ გაიზრდებოდა მუშათა რიცხვი. ზემომოყვანილი შეფარდება: 20 c + 45 v გვაძლევს ჩვენ სახელდობრ 100 გირვ. სტერლინგის კაპიტალის დახარჯვის დროს შემდეგ შეფარდებას:

| მუდმივი კაპიტალი | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება | პროდუქტის ღირებულება | ავანსად გად. კაპიტალი | მოგების ნორმა |
|---|---|---|---|---|---|
| $30^{10}/_{13}$ | $69^{3}/_{13}$ | $23^{1}/_{13}$ | $123^{1}/_{13}$ | 100 | $23^{1}/_{13}$ |

ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მუშათა რიცხვის შეფარდება აქ მეტად მნიშვნელოვანი ხდება. რ ი კ ა რ დ ო ამას არასდროს არ იხილავს.

ნათელია, რომ ის, რაც აქ განხილული იყო როგორც ვარიაცია ერთი კაპიტალის ორგანიული შედგენილობის შიგნით, შეიძლება ძალაში დარჩეს აგრეთვე როგორც განსხვავება ორგანიული შედგენილობისა სხვადასხვა კაპიტალებს შორის, კაპიტალთა შორის სხვადასხვა სფეროებში.

ჯ ე რ - ე რ თ ი: ე რ თ ი კაპიტალის ორგანიულ შედგენილობაში ვარიაციის ნაცვლად — განსხვავება სხვადასხვა კაპიტალთა ორგანიულ შედგენილობაში.

მ ე ო რ ე: ღირებულების შეცვლით გამოწვეული ორგანიული შედგენილობის შეცვლა ერთი კაპიტალის ორივე ნაწილში და სწორედ ასევე სხვაობა სხვადასხვა კაპიტალებისათვის გამოყენებულ ნედლი მასალისა და მანქანათა ღირებულებაში. ეს არ ეხება ცვალებად კაპიტალს, ვინაიდან წარმოების სხვადასხვა დარგებში ნაგულისხმევია თანასწორი შრომის ხელფასი. სხვადასხვა სამუშაო დღეთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი მოცემულ განსხვავებას წარმოების სხვადასხვა დარგებში საქმის ვითარებასთან არავითარი საერთო არა აქვს. თუ ოქრომჭედლის შრომა უფრო ძვირია დღიური მუშის შრომაზე, მაშინ პირველის ზედმეტი სამუშაო დრო იმავე შეფარდებით უფრო ძვირია, ვიდრე ზედმეტი სამუშაო დრო მეორესი, ე. ი. დღიური მუშისა.

მე-15 თავში, „გადასახადი მოგებაზე“, რ ი კ ა რ დ ო ამბობს:

„გადასახადი იმ საქონელზე, რომელიც ჩვეულებრივად ფუფუნების საგნად ითვლება, ტვირთად აწვება მხოლოდ მათ, ვინც მას ხმარობს... მაგრამ გადასა-

ხადი აუცილებელ საარსებო საშუალებებზე კი მთელი სიმძიმით აწვება მათ მომხმარებელთ არა მარტო იმ რაოდენობასთან შეფარდებით, რომელსაც ისინი მოიხმარენ, არამედ ხშირად უფრო მეტი ზომითაც, პურეულზე დადებული გადასახადი ეხება მრეწველს, როგორც ჩვენ შევნიშნეთ, არა მარტო იმ შეფარდებით, რომლითაც ის და მისი ოჯახი პურეულს მოიხმარს, არამედ ეს გადასახადი სცვლის კაპიტალის მოგების ნორმასაც და ამით ამცირებს კაპიტალისტის შემოსავალს. რაც შრომის ხელფასს მაღლა სწევს, ის კაპიტალის მოგებას ამცირებს; ამიტომ ყოველ გადასახადს საქონელზე, რომელიც მუშების მიერ მოიხმარება, ტენდენცია აქვს დასწიოს მოგების ნორმა" (l. c., გვ. 231).

მომხმარებელზე დაკისრებული გადასახადი იმავე დროს წარმოადგენს მწარმოებლის გადასახადსაც, რამდენადაც გადასახადის ობიექტი შედის არა მარტო ინდივიდუალურ მოხმარებაში, არამედ აგრეთვე სამრეწველო მოხმარებაშიც. მაგრამ ეს ძალაში რჩება არა მარტო იმ საარსებო საშუალებათა მიმართ, რომლებსაც მუშა ხმარობს. ეს შეეხება ყველა იმ მასალას, რომელიც კაპიტალისტისათვის სამრეწველო მოხმარების საგანს შეადგენს. ყოველი ასეთი გადასახადი ამცირებს მოგების ნორმას, რადგანაც ის მუდმივი კაპიტალის ღირებულებას ადიდებს ცვალებად კაპიტალთან შედარებით. ავიღოთ, მაგალითად, გადასახადი სელზე და მატყლზე. სელი მაღლა იწევს ფასში. სელის მრთველს, რომელსაც 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობის კაპიტალი აქვს, აღარ შეუძლია, მაშასადამე, დააბანდოს ფულის იგივე თანხა სელის წარმოებაში. რადგანაც წარმოების წესი უცვლელი დარჩა, ამიტომ იგი საჭიროებს მუშათა იმავე რაოდენობას, რათა დაართოს სელს იგივე რაოდენობა. მაგრამ სელს ახლა მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე წინათ, შედარებით შრომის ხელფასზე დახარჯულ კაპიტალთან. მაშასადამე, ეცემა მოგების ნორმა. სელის ნართზე ფასის აწევა მას არაფერს შველის. ამ ფასის აბსოლუტურ სიმაღლეს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ეხება მხოლოდ ფასის გარდამეტს ავანსად გაღებულ კაპიტალზე ზევით. თუ სელის მრთველი მოისურვებდა მთელი პროდუქტის ფასის გადიდებას არა მარტო სელის ფასამდე, არამედ ისე, რომ მისთვის ნართის იმავე რაოდენობას იგივე მოგება მიეცა, როგორც უწინ, მაშინ მოთხოვნა, რომელიც უკვე ეცემა ნართის ნედლი მასალის ფასის დაცემის გამო, კიდევ უფრო დაეცემოდა მოგების აწევით გამოწვეული ხელოვნური ზრდის გამო. მიუხედავად იმისა, რომ მოგების ნორმა საშუალოდ მოცემულია, ეს დამატება ასეთ შემთხვევაში არ ხდება.

იმავე თავში რ ი კ ა რ დ ო ამბობს:

„ამ ნაწარმოების ერთ წინა ნაწილში ჩვენ განვიხილეთ კაპიტალის ძირითად და საბრუნავ ან, უკეთ რომ ვთქვათ, ხანგრძლივ და წარმავალ კაპიტალად

დაყოფის გავლენა საქონელთა ფასებზე. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ორ ფაბრიკანტს შეუძლია კაპიტალის სწორედ ერთიდაიგივე რაოდენობა დახარჯოს და აქედან მოგების ერთიდაიგივე მასა მიიღოს და მაინც, მიუხედავად ამისა, ორივე თავიანთ საქონელს მეტად სხვადასხვა ფულად თანხაზე გაჰყიდის იმისდა მიხედვით, სწარმოებს სწრაფად თუ ნელა მათ მიერ გამოყენებულ კაპიტალთა მოხმარება და რეპროდუქცია. წარმოვიდგინოთ, რომ ერთი ყიდის თავის საქონელს, ვთქვათ, 4000 გირვ. სტერლინგად, მეორე კი — 10 000 გირვ. სტერლინგად, და თითოეული ხარჯავს კაპიტალს 10 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით და იღებს 20% მოგებას ანუ 2000 გირვ. სტერლინგს. ვთქვათ, ერთის კაპიტალი შესდგება, მაგალითად, 2000 გირვ. სტერლინგის საბრუნავი კაპიტალისაგან, რომლის რეპროდუქცია უნდა მოხდეს, და 8000 გირვ. სტერლინგის ძირითადი კაპიტალისაგან, შენობებისა და მანქანების სახით. მეორეს კაპიტალი კი, პირიქით, შესდგება 8000 გირვ. სტერლინგის საბრუნავი კაპიტალისაგან და 2000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით მხოლოდ მანქანებსა და შენობებში ფიქსაციაქმნილი კაპიტალისაგან. თუ თითოეული ამ ორიდან დაბეგრილი იქნება თავისი შემოსავლის 10%-ით ანუ 200 გირვ. სტერლინგით, მაშინ პირველმა, რათა მისმა სარეწაომ მას ჩვეულებრივი მოგების ნორმა მისცეს, თავისი საქონლის ფასი უნდა ასწიოს 10 000 გირვ. სტერლინგიდან 10 200 გირვ. სტერლინგამდე; მეორეც ასევე იძულებული იქნებოდა თავისი საქონლის ფასი აეწია 4000 გირვ. სტერლინგიდან 4200 გირვ. სტერლინგამდე. გადასახადის შემოღებამდე საქონელი, რომელსაც ერთი ამ ფაბრიკანტთაგანი ჰყიდდა, $2^1/_2$-ჯერ უფრო მეტი ღირებულების იყო, ვიდრე მეორეს საქონელი; გადასახადის შემოღების შემდეგ კი ის იქნება მხოლოდ 2,42-ჯერ უფრო მეტი ღირებულების. ერთი ჯურის საქონელი იწევს მაღლა ფასში 2 პროცენტით, მეორე კი — 5 პროცენტით. ამიტომ გადასახადი შემოსავალზე შესცვლის საქონელთა რელატიურ ფასებს და ღირებულებებს, თუ ფულის ღირებულება უცვლელი რჩება" (l. c., გვ. 234, 235).

ამ უკანასკნელ „და"-ში — „ფასებს და ღირებულებებს" — შეცდომაა. ფასთა ამ ცვლილებას შეეძლო მხოლოდ დაემტკიცებია — სავსებით ისე, როგორც კაპიტალის ძირითად და საბრუნავ კაპიტალად სხვადასხვა დანაწილების შემთხვევაში — შემდეგი: რათა მოგების საშუალო ნორმა დამყარდეს, საჭიროა მოგების მიერ განსაზღვრული და მოწესრიგებული ფასები ანუ წარმოების ფასები ძლიერ განსხვავდებოდენ საქონელთა ღირებულებათაგან. და ეს უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისი არსად არ არსებობს რიკარდოსთვის:

იმავე თავში ის განაგრძობს:

„თუ ამათუიმ ქვეყანაში გადასახადი არ იქნებოდა და ფულიც დაეცემოდა ღირებულებაში, მაშინ ამ ფულის სიჭარბე ყოველ ბაზარზე[1] გამოიწვევდა მსგავს შედეგებს. თუ ხორცი გაძვირდება 20 პროცენტით, მაშინ 20 პროცენტით აიწევდა აგრეთვე პური, ლუდი, ფეხსაცმელი, შრომა და ყველა სხვა საქონელი. ეს ბუნებრივი აუცილებლობით უნდა მოხდეს, რათა წარმოების ყოველმა დარგმა მოგების თანასწორი ნორმა მიიღოს. მაგრამ ეს უკვე აღარ რჩება ძალაში, როგორც

[1] აქ მას სასაცილო წარმოდგენა აქვს, თითქოს ფულის დაცემას ღირებულებაში — თან უნდა ახლდეს მისი უსაზღვრო სიჭარბე ყოველ ბაზარზე.

კი ერთი ამ საქონელთაგანი იბეგრება; ყველა საქონელი რომ ამ შემთხვევაში ეცემოდეს ფულის ღირებულების დაცემასთან შეფარდებით, მაშინ ამის გამო მოგებანი გახდებოდენ არათანასწორი. გადასახადით დაბეგრილ საქონელთათვის მოგება აიწევდა საერთო დონეზე უფრო მაღლა და კაპიტალიც დაიწყებდა წარმოების ერთი დარგიდან მეორეში დენას, სანამ მოგებათა წონასწორობა კვლავ არ დამყარდებოდა, რასაც შეეძლო მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, როგორც კი შეფარდებითი ფასები შეიცვლებოდა" (l. c., გვ. 237).

ამრიგად, მოგებათა წონასწორობა საერთოდ მყარდება იმით, რომ საქონელთა შეფარდებითი *ღირებულებანი*, *ნამდვილი ღირებულებანი* იცვლებიან და ერთმანეთს შორის ისე თანასწორდებიან, რომ საქონელნი ერთი მეორეს შეესაბამებიან არა მათი ნამდვილ ღირებულებათა, არამედ იმ საშუალო მოგების მიხედვით, რომელსაც ისინი უნდა იძლეოდენ.

b) *შრომის რაოდენობა და შრომის ღირებულება.*

*რიკარდო* პირველ თავსავე — „*ღირებულების შესახებ*" — იწყებს 1-ლი განყოფილების სათაურით:

„საქონლის ღირებულება ანუ მეორე საქონლის რაოდენობა, რომელზედაც ის იცვლება, დამოკიდებულია შრომის იმ შეფარდებით რაოდენობაზე, რომელიც აუცილებელია მის საწარმოებლად და არა იმ უფრო დიდ ან უფრო მცირე გასამრჯელოზე, რომლითაც ეს შრომა გაისტუმრება".

იმ მანერის შესაბამისად, რომელიც მთელ მის გამოკვლევას ზოლივით მისდევს, *რიკარდო* აქ თავის წიგნს იწყებს იმით, რომ საქონელთა ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით შრომის ხელფასს ანუ სხვადასხვა კომპენსაციას ამ სამუშაო დროისათვის ანუ ამ შრომის რაოდენობისათვის არ ეწინააღმდეგება. ის იმთავითვე ილაშქრებს ა. *სმიტის* მიერ დაშვებული შერევის წინააღმდეგ, რომელიც საქონელთა ღირებულების განსაზღვრას მათ საწარმოებლად საჭირო შრომის შეფარდებითი რაოდენობით და შრომის ღირებულებას (ანუ შრომის გასამრჯელოს) ერთმანეთში ურევს.

ცხადია, რომ შრომის პროპორციულ რაოდენობას, რომელიც მოთავსებულია ორ საქონელში, A-სა და B-ში, აბსოლუტურად არ შეეხება ის გარემოება, იღებენ ამ A-ს და B-ს მწარმოებელი მუშები თავიანთი შრომის პროდუქტიდან ბევრს თუ ცოტას. A და B-ს ღირებულება განისაზღვრება შრომის იმ რაოდენობით, რაც მათი წარმოება ღირს და არა შრომის იმ ხარჯებით, რასაც A და B ეწევიან. შრომის რაოდენობა და შრომის ღირებულება ორი სხვადასხვა საგანია. შრომის რაოდენობას, რომელიც A და B-ში შესაბამისად მოთავსებულია, არავითარი საერთო არა აქვს მასთან, თუ A

და B-ს მფლობელთაგან რამდენი გადახდილი შრომა ანდა მათ მიერვე დახარჯული შრომაა A-სა და B-ში მოთავსებული. A-ს და B-ს ერთი მეორეზე გაცვლა სწარმოებს არა მათში მოთავსებულ გადახდილ შრომასთან შეფარდებით, არამედ მათში მოქცეული შრომის, გადახდილის და გადაუხდელის, საერთო რაოდენობასთან შეფარდებით.

„თუმცა ადამ სმიტმა საცვლელი ღირებულების თავდაპირველი წყარო ასე ზედმიწევნით განსაზღვრა, და თუმცა იგი, — თუ მას სურდა დარჩენილიყო თანამიმდევარი, — მტკიცედ უნდა შერჩენოდა იმ თვალსაზრისს, რომ ყველა საგანი მეტად თუ ნაკლებად ღირებულების მქონეა იმასთან შეფარდებით, თუ რამდენად მეტ ან ნაკლებ შრომას შეიცავს, — მან, მაინც კიდევ ღირებულების სხვა საზომიც წამოაყენა და საგნებს სთვლის მეტი თუ ნაკლები ღირებულების მქონედ იმისდა მიხედვით, იცვლებიან ისინი ღირებულების იმ საზომის მეტ თუ ნაკლებ რაოდენობაზე... თითქოს ეს ორი თანასწორი მნიშვნელობის გამოთქმანი იყოს და თითქოს ადამიანი, თუ მისი შრომის პროდუქტიულობა ორკეცდება და მას ამიტომ შეუძლია საქონლის ორმაგი რაოდენობა აწარმოოს, — ამისათვის (სახელდობრ თავისი შრომისათვის) გაცვლის გზით საქონლის ორმაგ რაოდენობას იღებდეს წინანდელთან შედარებით. ეს რომ სწორი ყოფილიყო, მუშათა გასამრჯელო რომ ყოველთვის შეფარდებაში ყოფილიყო მათი პროდუქტის სიდიდესთან, მაშინ, რასაკვირველია, შრომის რაოდენობა, რომელიც საქონლის საწარმოებლად იხარჯება. და შრომის რაოდენობა, რომლის ყიდვაც ამ საქონლით შეიძლება, თანასწორი იქნებოდა და თითოეული მათგანი თანასწორი ზედმიწევნილობით გაზომავდა სხვა საგნების ღირებულებათა ცვლილებებს“ (l. c., გვ. 5).

ა. სმიტი არსად არ ამტკიცებს, რომ „ეს ორი თანასწორი მნიშვნელობის გამოთქმებია“. პირიქით, ის ლაპარაკობს: რადგანაც კაპიტალისტურ წარმოებაში მუშის ხელფასი უკვე აღარ უდრის მის პროდუქტს, მაშასადამე, შრომის რაოდენობა, რომელიც საქონელი ღირს და საქონლის რაოდენობა, რომლის ყიდვაც მუშას ამ შრომით შეუძლია, ორი სხვადასხვა საგანია, ამიტომ სწორედ ამ საფუძვლით საქონელში მოთავსებული შრომის შეფარდებითი ღირებულება სწყვეტს საქონელთა ღირებულების განსაზღვრას; ეს უკანასკნელი, ე. ი. საქონელთა ღირებულება, პირიქით, განისაზღვრება შრომის ღირებულებით, შრომის იმ რაოდენობით, რომლის ყიდვაც და ჩემს განკარგულებაში მიღებაც მე შემიძლია საქონელთა განსაზღვრული მასის საშუალებით. ამიტომ ხდება შრომის ღირებულება ღირებულებათა საზომად ნაცვლად შრომის შეფარდებითი რაოდენობისა [რომელიც აუცილებელია მათ საწარმოებლად]. რიკარდო სწორად უპასუხებს ა. სმიტს, რომ შრომის შეფარდებითი რაოდენობა, რომელიც მოთავსებულია ორ საქონელში, სრულებით არ განიცდის არავითარ გავლენას იმით, თუ რამდენი ხვდება წილად შრომის ამ რაოდენობიდან თვით მუშებს, თუ როგორი გასამრჯელო ეძლევა

შრომას; მაშასადამე, თუ კი შრომის შეფარდებითი ღირებულება საქონელთა ღირებულების საზომი იყო შრომის ხელფასის მოვლინებამდე (ხელფასის, რომელიც თვით პროდუქტის ღირებულებიდან განსხვავდება), მაშინ არავითარი საფუძველი არ მოიპოვება იმისთვის, თუ რატომ არ უნდა დარჩეს შრომის ეს შეფარდებითი რაოდენობა იმავე საზომად შრომის ხელფასის მოვლინების შემდეგაც. იგი სწორად უპასუხებს, რომ ა. სმიტს შეეძლო ორივე გამოთქმა ეხმარა, სანამ ისინი ეკვივალენტური გამოთქმები იყვნენ. მაგრამ ეს არავითარ საფუძველს არ იძლევა სწორი გამოთქმის ნაცვლად არასწორი გამოთქმა ვიხმაროთ, მას შემდეგ, რაც ისინი უკვე ეკვივალენტები აღარ არიან.

მაგრამ რიკარდომ ამით სრულიადაც ვერ გადასჭრა ის პრობლემა, რომელიც ა. სმიტის წინააღმდეგობის შინაგან საფუძველს წარმოადგენს. შრომის ღირებულება და შრომის რაოდენობა თანასწორი მნიშვნელობის „გამოთქმები“ რჩებიან, რამდენადაც საქმე გასაგნობრივებულ შრომას შეეხება. ისინი აღარ რჩებიან ასეთ „გამოთქმებად“ როგორც კი გასაგნობრივებული შრომა და ცოცხალი შრომა ერთი მეორეზე იცვლება. ორი საქონელი ერთი მეორეზე იცვლება მათში გასაგნობრივებულ შრომასთან შეფარდებით. ერთი მეორეზე იცვლება გასაგნობრივებული შრომის თანასწორი რაოდენობანი. სამუშაო დრო წარმოადგენს მათი ღირებულების საზომს, და სწორედ ამიტომ არიან ისინი „მეტი ან ნაკლები ღირებულების მქონენი იმ შეფარდებით, რითაც ისინი ერთი მეორეს უცვლიან ღირებულების ამ საზომის მეტ თუ ნაკლებ რაოდენობას“. თუ საქონელ A-ში მოთავსებულია ერთი სამუშაო დღე, მაშინ ეს საქონელი გაიცვლება სხვა საქონლის ყოველ რაოდენობაზე, რომელშიც ასევე მოთავსებულია ერთი სამუშაო დღე, და იგი არის „მეტი ან ნაკლები ღირებულების მქონე“ იმასთან შეფარდებით, იცვლება ის სხვა საქონელში გასაგნობრივებული შრომის უფრო მეტ თუ ნაკლებ რაოდენობაზე, ვინაიდან ეს საცვლელი ურთიერთობა გამოხატავს და იდენტიურია შრომის იმ შეფარდებითი რაოდენობის, რომელიც თვით ამ საქონელშია მოთავსებული.

მაგრამ დაქირავებული შრომა ხომ საქონელია. იგი ბაზასაც კი წარმოადგენს, რომელზედაც ხდება პროდუქტთა, როგორც საქონელთა, წარმოება. და მის მიმართ ძალა არა აქვს ღირებულებათა კანონს. მაშასადამე, ის საერთოდ არ ბატონობს კაპიტალისტურ წარმოებაზე. აქ ადგილი აქვს წინააღმდეგობას.

ეს არის ერთი პრობლემა ა. სმიტისათვის. მეორე პრობლემა, რომელსაც შემდეგ მალთუსი ანვითარებს, [მდგომარეობს

იმ ფაქტში, რომ] საქონლის გამოყენება კაპიტალის სახით სწარმოებს არა იმ შეფარდებით, რითაც ეს საქონელი შრომას შეიცავს, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ბრძანებლობს ის სხვის შრომას, იძლევა სხვისი შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე ბატონობის შესაძლებლობას, ვიდრე თვით მასშია ის მოთავსებული. ეს არის ფაქტიურად მეორე ფარული მოტივი იმის დასამტკიცებლად, რომ კაპიტალისტური წარმოების დამყარებიდან საქონელთა ღირებულება განისაზღვრება არა შრომით, რომელსაც ისინი შეიცავენ, არამედ ცოცხალი შრომით, რომელსაც ისინი ბრძანებლობენ, მაშასადამე, შრომის ღირებულებით.

რიკარდო მარტივად უპასუხებს, რომ ეს ასეც ხდება კაპიტალისტურ წარმოებაში. იგი არამც თუ არ სწყვეტს პრობლემას. ის ვერც კი გრძნობს მის არსებობას ა. სმიტის სისტემაში. მისი მთელი გამოკვლევის გეგმის მიხედვით, მისთვის საკმაოა დაამტკიცოს, რომ შრომის ცვალებადი ღირებულება — მოკლედ, შრომის ხელფასი — არ უარყოფს თვით შრომისაგან განსხვავებულ საქონელთა ღირებულების განსაზღვრას მათში რელატიურად მოთავსებული შრომის რაოდენობით. „ისინი არ არიან თანასწორი“, სახელდობრ: „შრომის რაოდენობა, რომელიც საქონლის დასამზადებლად გამოიყენება, და შრომის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია ამ საქონლით“. ამ ფაქტის აღნიშვნით იგი კმაყოფილდება. მაგრამ რით განსხვავდება საქონელი შრომა სხვა საქონელთაგან? ერთია ცოცხალი შრომა, მეორე კი — განივთებული შრომა. ეს არის, მაშასადამე, შრომის ორი სხვადასხვა ფორმა. რატომაა, რომ ერთისთვის ძალაში რჩება კანონი, ხოლო მეორესთვის — არა; თუ განსხვავება მხოლოდ ფორმალურია? რიკარდო კითხვაზე პასუხს არ იძლევა; ის არც კი აყენებს ამ საკითხს.

საქმეს სრულებით არაფერს შველის, როდესაც ის ლაპარაკობს:

„ნუთუ შრომის ღირებულება... უცვლელია? მასზე, როგორც ყველა სხვა საგნებზე[1], გავლენას ახდენს არა მარტო მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული შეფარდება, რომელიც მუდამ საზოგადოების მდგომარეობაში ყოველ ცვლილებასთან ერთად იცვლება, არამედ გავლენას ახდენს აგრეთვე იმ საკვების და სხვა საარსებო საშუალებათა ფასების ცვლილება, რისთვისაც შრომის ხელფასი იხარჯება“ (l. c., გვ. 7).

შრომის ფასი რომ მსგავსად სხვა საქონელთა ფასებისა მოთხოვნასა და მიწოდებასთან დაკავშირებით იცვლება, არაფერს არ ამტკიცებს თვით რიკარდოს შეხედულებითაც იქ, სადაც საქმე

---

[1] უნდა იყოს საქონელზე.

შრომის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ე ხ ე ბ ა. სწორედ ისევე როგორც [ცოტა-რამეს ამტკიცებს] ფასთა ეს ცვლილება მოთხოვნა-მიწოდებასთან შეფარდებით სხვა საქონელთა ღირებულებისათვის. მაგრამ ის ფაქტი, რომ „შრომის ხელფასზე“, რომელიც შრომის ღირებულების გამოსახატავად მხოლოდ სხვა გამოთქმას წარმოადგენს, გავლენას ახდენს „იმ საკვების და სხვა საარსებო საშუალებათა ფასების ცვლილება, რისთვისაც შრომის ხელფასი იხარჯება“, ისევე ნაკლებად გვიმტკიცებს, თუ რატომაა, რომ შრომის ღირებულება სხვაგვარად განისაზღვრება (ანუ გვეჩვენება განსაზღვრული), ვიდრე სხვა საქონელთა ღირებულება. ვინაიდან ამ საქონლებზეც გავლენას ახდენს იმ საქონელთა ფასებში მომხდარი ცვლილება, რომლებიც მათ წარმოებაში შედიან და რომლებზეც ისინი გაიცვლებიან. და შრომის ხელფასის დ ა ხ ა რ ჯ ვ ა კვებაზე და სხვა საარსებო საშუალებებზე სხვას ხოლო არაფერს არ ნიშნავს, გარდა შრომის ღირებულების გ ა ც ვ ლ ი ს ა საკვებსა და საარსებო საშუალებებზე. აქ საკითხი სწორედ იმაშია, თუ რატომ შრომა და საქონელნი, რომელზედაც იგი გაიცვლება, — არ იცვლებიან ერთი მეორეზე ღირებულებათა კანონის მიხედვით, შრომის შეფარდებით რაოდენობათა მიხედვით?

საკითხი, დასმული ამ სახით, თავისთავად გადაუჭრელია — რაკი ღირებულებათა კანონი წინასწარ ნაგულისხმევია — და გადაუჭრელია იმის გამო, რომ შრომა, როგორც ასეთი, უპირდაპირდება საქონელს, უშუალო შრომის განსაზღვრული რაოდენობა, როგორც ასეთი, უპირდაპირდება გასაგნობრივებული შრომის განსაზღვრულ რაოდენობას.

რ ი კ ა რ დ ო ს შეხედულებათა განვითარების ამ სისუსტემ, როგორც ჩვენ ამას შემდეგ დავინახავთ, ხელი შეუწყო მისი სკოლის დაშლას და შედეგად უაზრო ჰიპოტეზები მოგვცა.

უ ე კ ფ ი ლ დ ი (Wakefield) სამართლიანად შენიშნავს;

„თუ შრომას განვიხილავთ როგორც ერთ საქონელს, შრომის პროდუქტს კი როგორც მეორე საქონელს, მაშინ, — თუ ამ ორი საქონლის ღირებულება თანასწორი შრომის რაოდენობით განისაზღვრება, — შრომის მოცემული რაოდენობა ყველა პირობებში გაიცვლება კაპიტალის იმ რაოდენობაზე, რომელიც შრომის თანატოლი რაოდენობითაა წარმოებული: წარსული შრომა... მუდამ გაიცვლებოდა აწმყო შრომის იმავე რაოდენობაზე... მაგრამ შრომის ღირებულება სხვა საქონელთან შედარებით განისაზღვრება, — ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ხელფასი პროდუქტის ერთ ნაწილს შეადგენს (as wages depend upon share), — არა მასში მოთავსებული შრომის რაოდენობით, არამედ იმ შეფარდებით, რომელიც მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებობს“ (W a k e f i e l d, E. G. შენიშვნა მის მიერ გამოცემულ ა. ს მ ი ტ ი ს წიგნის „Wealth of Nation“-ის პირველი ტომის 2ე-231 გვერდისადმი, ლონდონი, 1836).

ეს არის აგრეთვე ბელის ერთი ორჩოფეხათაგანი, როგორც შემდეგ დავინახავთ. მას იყენებს სეიც, რომელსაც მეტად უხარია-ის გარემოება, რომ აქ, დაბოლოს, მოთხოვნა-მიწოდებამ გადამ-ჰრელი როლი უნდა შეასრულოს.

აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: რიკარდოს წიგნის 1-ლი თავის მე-3 განყოფილება შემდეგ სათაურს ატარებს:

„საქონლის ღირებულება განისაზღვრება არა მარტო იმ შრომით, რომელიც უშუალოდ მასზე იხარჯება, არამედ იმ შრომითაც, რომელიც ნის დამხმარე, ხელსაწყოებსა, სამუშაო იარაღებსა და შენობებშია განხორციელებული".

მაშასადამე, საქონლის ღირებულება თანაბრად განისაზღვრება როგორც გასაგნობრივებული (წარსული) შრომის რაოდენობით, ისე ცოცხალი (აწმყო) შრომის რაოდენობით, რომელიც საჭიროა მისი წარმოებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შრომის რაოდენობას სრულიად არ ეხება ფორმალური განსხვავება, არის შრომა გასაგნობრივებული თუ ცოცხალი, არის იგი წარსული თუ აწმყო უშუალო). თუ ეს ფორმალური განსხვავება საქონელთა ღირებულე-(ბის განსაზღვრისათვის სულერთია, მაშინ საკითხავია, თუ რატომ ხდება ის გადამჭრელი მნიშვნელობის მქონედ, როდესაც წარსული შრომა, კაპიტალი, ცოცხალ შრომაზე გაიცვლება? რატომ უნდა გააუქმოს მან აქ ღირებულების კანონი, მაშინ როდესაც განსხვავებას, როგორც ასეთს, როგორც ის საქონლის მიმართ თავს იჩენს, ღირებულების განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს? რიკარდო არ უპასუხებს ამ კითხვას, არც კი სვამს მას.

## c) სამუშაო ძალის ღირებულება და შრომის ღირებულება.

რათა საბაზრო ღირებულება განსაზღვროს, რიკარდომ, ისე როგორც ფიზიოკრატებმა, ა. სმიტმა და სხვ., უწინარეს ყოვლისა უნდა განსაზღვროს სამუშაო ძალის ღირებულება, ანუ, როგორც ის ა. სმიტის და მისი წინამორბედების მსგავსად ლაპარაკობს, შრომის ღირებულება. როგორღა განისაზღვრება შრომის ღირებულება ანუ ბუნებრივი ფასი? რიკარდოს შეხედულებით სახელდობრ ბუნებრივი ფასი სხვას არას წარმოადგენს თუ არ ღირებულების ფულად გამოხატულებას. მე-5 თავი „შრომის ხელფასის" შესახებ შემდეგი სიტყვებით იწყება:

„ისე როგორც ყველა სხვა საგნები, რომელთა ყიდვა-გაყიდვას ადგილი აქვს და რომელთა რაოდენობა შეიძლება გადიდებულ და შემცირებულ იქნას[1]

[1] ე. ი. ყველა სხვა საქონლის მსგავსად.

შრომასაც აგრეთვე თავისი ბუნებრივი და საბაზრო ფასი აქვს. შრომის ბუნებრივი ფასი — ეს ის ფასია, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ საერთოდ მუშებს საშუალება მიეცეთ იარსებონ და განაგრძონ მოდგმა, მოუმატებლად და შეუმცირებლად [1].

„მუშის შეძლება, გამოკვებოს თავისი თავი და ოჯახი, რომელიც საჭიროა მუშათა რიცხვის თანასწორ დონეზე შესანარჩუნებლად... დამოკიდებულია იმ საკვების, სხვა საარსებო საშუალებების და ფუფუნების საგნების ფასზე, რომელნიც მუშის და მისი ოჯახის შენახვას ემსახურებიან. თუ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასები მაღლა იწევს, მაშინ მაღლა იწევს შრომის ბუნებრივი ფასიც; თუ ეცემა პირველი, ეცემა უკანასკნელიც“ (l. c., გვ. 86).

„არ უნდა ვიფიქროთ, რომ შრომის ბუნებრივი ფასი, თვით მაშინაც კი, როცა იგი აუცილებელ საარსებო საშუალებებით განიზომება, აბსოლუტურად ურყევი და მუდმივი იყოს. ის იცვლება სხვადასხვა დროს ერთსადაიმავე ქვეყანაში და მეტად საგრძნობლად სხვადასხვა ქვეყნებში. არსებითად ის დამოკიდებულია ხალხის ზნე-ჩვეულებებზე“ (l. c., გვ. 91).

ამრიგად, *შრომის ღირებულება* განისაზღვრება იმ საარსებო საშუალებებით, რომლებიც მოცემულ საზოგადოებაში ტრადიციის მიხედვით აუცილებლად ითვლება მუშათა არსებობის შესანარჩუნებლად და მათი მოდგმის გასაგრძელებლად.

მაგრამ რატომ? რომელი კანონით განისაზღვრება შრომის ღირებულება ამგვარად?

*რიკარდოს* სინამდვილეში ამაზე არავითარი პასუხი არ გაუცია, გარდა იმისა, რომ მოთხოვნისა და მიწოდების კანონს შრომის საშუალო ფასი მუშის შესანახავად აუცილებელ, ე. ი. განსაზღვრულ საზოგადოებაში ფიზიკურად და სოციალურად აუცილებელ, საარსებო საშუალებებამდე დაჰყავს. ის აქ ღირებულებას განსაზღვრავს, მთელი სისტემის საფუძველში, მოთხოვნით და მიწოდებით, როგორც ამას *სეი* ნიშნის მოგებით აღნიშნავს (იხ. *კონსტანციოს* თარგმანი).

*რიკარდოს*, ნაცვლად შრომისა, უნდა სამუშაო ძალის შესახებ ელაპარაკნა. მაგრამ ამით ის დაგვიხატავდა აგრეთვე კაპიტალს როგორც შრომის იმ ნივთიერ პირობებს, რომლებიც მუშას დამოუკიდებლად გამხდარი ძალის სახით უპირდაპირდებიან. და კაპიტალი მაშინვე წარმოგვიდგებოდა როგორც *განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა*. ამრიგად, ეს კაპიტალი *რიკარდოსათვის* განსხვავდება მხოლოდ როგორც „დაგროვებული შრომა“ „უშუალო შრომისაგან“. და იგი წარმოგვიდგება რაღაც მარტო ნივთიერ რამედ, მარტო ელემენტად შრომის პროცესში,

[1] აქ უნდა ყოფილიყო: მატების იმ ნორმით, რომელსაც წარმოების პროგრესი მოითხოვს.

საიდანაც არას დროს არ შეიძლება განვითარებულ იქნას შრომისა და კაპიტალის, ხელფასისა და მოგების დამოკიდებულება.

„კაპიტალი წარმოადგენს ქვეყნის სიმდიდრის იმ ნაწილს, რომელიც წარმოებაში გამოიყენება და რომელიც შესდგება საკვებისა, ტანსაცმელისა, ხელსაწყო-იარაღებისა და მანქანებისა და სხვა საგნებისაგან, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ შრომა ამოქმედებულ იქნას“ (l. c., გვ. 89).

„ნაკლები კაპიტალი, და ეს იგივეს ნიშნავს, რასაც ნაკლები შრომა“ (l. c., გვ. 73).

„შრომა და კაპიტალი, ე. ი. დაგროვილი შრომა“ (l. c., გვ. 499).

ნახტომი, რომელსაც რიკარდო აქ აკეთებს, სწორად არის გამომჟღავნებული ბელის მიერ.

„ბატონი რიკარდო საკმაოდ მოხერხებულად იცილებს თავიდან ერთ სიძნელეს, რომელიც პირველი შეხედვით მის მოძღვრებას ემუქრება, რომ ღირებულება დამოკიდებულია წარმოებაში გამოყენებული შრომის რაოდენობაზე. ეს პრინციპი რომ თანამიმდევრობით განვავითაროთ, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ შრომის ღირებულება დამოკიდებულია შრომის რაოდენობაზე, რომელიც მისი წარმოების დროს იქნა გამოყენებული — რაც, ცხადია, აბსურდია. ამიტომ მოხერხებული შემოტრიალებით რიკარდო შრომის ღირებულებას დამოკიდებულად ხდის შრომის იმ რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა ხელფასის საწარმოებლად, ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, შრომის ღირებულება უნდა გაზომილ იქნას შრომის იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა შრომის ხელფასის საწარმოებლად, და რომელიც მას ისე ესმის, როგორც შრომის რაოდენობა, რაიცა საჭიროა იმ ფულისა ან საქონლის საწარმოებლად, რასაც მუშა იღებს. ასეთივე საფუძვლით შეიძლებოდა იმის თქმა, რომ მაუდის ღირებულება განიზომება არა შრომის იმ რაოდენობით, რომელიც მისი წარმოების დროს დაიხარჯა, არამედ შრომის იმ რაოდენობით, რომელიც გამოიყენება იმ ვერცხლის საწარმოებლად, რომელზედაც მაუდი იცვლება“ (A critical Dissertation on the Nature, Measures and Causes of value etc. გვ. 50, 51).

ეს შეპასუხება, რიკარდოს წინაამდეგ მიმართული, სიტყვა-სიტყვით სწორია. რიკარდო ნომინალურ ხელფასსა და რეალურ ხელფასს შორის განსხვავებას უშვებს. ნომინალური ხელფასი ფულში გამოსახული შრომის ხელფასია, ფულადი ხელფასი. ნომინალური ხელფასი წარმოადგენს „გირვანქა სტერლინგების იმ რაოდენობას, რომლითაც მუშა გაისტუმრება წლის განმავლობაში“, ხოლო რეალური ხელფასი კი — „სამუშაო დღეთა რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამ გირვანქების საწარმოებლად“ (l. c., გვ. 152).

რადგანაც შრომის ხელფასი მუშისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა [ღირებულებას] უდრის, და ამ ხელფასის (რეალური ხელფასის) ღირებულება კი ამ საარსებო საშუალებათა ღი-

-რებულებას უდრის, ამიტომ ნათელია აგრეთვე, რომ ამ საარსებო საშუალებათა ღირებულება ეთანასწორება რეალურ ხელფასს, ეთანასწორება შრომას, რომლის ბრძანებლობაც მას შეუძლია. თუ საარსებო საშუალებათა ღირებულება იცვლება, იცვლება რეალური ხელფასის ღირებულებაც. დავუშვათ, რომ მუშის საარსებო საშუალებანი შესდგება მხოლოდ ხორბლისაგან და მისთვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა რაოდენობა თვიურად შეადგენს 1 კვარტერ ხორბალს, ამრიგად, მისი შრომის ხელფასის ღირებულება [ერთი თვისთვის] უდრის 1 კვარტერი ხორბლეულის ღირებულებას. თუ იწევს მაღლა ან ეცემა ერთი კვარტერი ხორბლის ღირებულება, მაშინ აიწევს ან დაეცემა თვიური შრომის ღირებულებაც. მაგრამ როგორც არ უნდა აიწიოს ან დაეცეს კვარტერი ხორბლის ღირებულება, რამდენი შრომაც, ცოტა თუ ბევრი, არ უნდა იყოს მოთავსებული კვარტერ ხორბალში, ის ყოველთვის უდრის ერთი თვის შრომის ღირებულებას. და აქ გვაქვს ჩვენ ფარული საფუძველი იმისა, თუ რატომ ამბობს ა. სმიტი, რომ, როგორც კი საქმეში ერევა კაპიტალი და, მაშასადამე, დაქირავებული შრომა, პროდუქტის ღირებულებას აწესრიგებს არა მის დასამზადებლად დახარჯული შრომის რაოდენობა, არამედ შრომის ის რაოდენობა, რომელსაც იგი ბრძანებლობს. სამუშაო დროით განსაზღვრული ხორბლის (და სხვა საარსებო საშუალებათა) ღირებულება იცვლება; მაგრამ სანამ შრომის ბუნებრივი ფასის გადახდა ხდება, შრომის რაოდენობა, რომელიც ერთ კვარტერ ხორბალს ბრძანებლობს, იგივე რჩება. მაშასადამე, ხორბალთან შედარებით, შრომას აქვს პერმანენტული შეფარდებითი ღირებულება. ამიტომ სმიტისათვის შრომა და ხორბალი [როგორც წარმომადგენელი] საკვებისა [საერთოდ] (იხილე დ. იუმი) წარმოადგენს ღირებულების საზომს, რადგანაც ხორბლის განსაზღვრული რაოდენობა, სანამ შრომის ბუნებრივი ფასის გადახდა სწარმოებს, შრომის განსაზღვრულ რაოდენობას ბრძანებლობს, რამდენიც არ უნდა იყოს შრომის რაოდენობა, რომელიც ერთ კვარტერ პურზე იხარჯება. შრომის ერთიდაიგივე რაოდენობა ბრძანებლობს ყოველთვის ერთსადაიმავე სახმარ ღირებულებას, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ერთიდაიგივე სახმარი ღირებულება ბრძანებლობს მუდამ შრომის ერთსადაიმავე რაოდენობას. ამით რიკარდო თვით საზღვრავს შრომის ღირებულებას, მის ბუნებრივ ფასს. ის ამბობს: კვარტერ ხორბალს მეტად სხვადასხვა ღირებულება აქვს, თუმცა იგი ყოველთვის შრომის ერთსადაიმავე რაოდენობას ბრძანებლობს ანუ თვით მას ბრძანებლობს შრომის ერთიდაიგივე რაოდენობა. დიახ, ამბობს ა. სმი-

ტი, როგორც არ უნდა შეიცვალოს სამუშაო დროის მიერ განსაზღვრული ერთი კვარტერი ხორბლის ღირებულება, მუშამ მუდამ უნდა გადაიხადოს (მსხვერპლად გაიღოს) მის საყიდლად შრომის ერთიდაიგივე რაოდენობა. მაშასადამე, ხორბლის ღირებულება იცვლება, ხოლო შრომის ღირებულება უცვლელი რჩება, ვინაიდან შრომის ერთი თვე ერთ კვარტერ ხორბალს უდრის. მაგრამ ხორბლის ღირებულებაც იცვლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ მისი წარმოებისათვის საჭირო შრომას განვიხილავთ. თუ ჩვენ, პირიქით, განვიხილავთ შრომის რაოდენობას, რომელზედაც ის გაიცვლება, რომელიც მას მოძრაობაში მოჰყავს, მაშინ მისი ღირებულება არ იცვლება. და სწორედ ამიტომ შრომის ის რაოდენობა, რომელზედაც ერთი კვარტერი ხორბლის გაცვლა ხდება, წარმოადგენს ღირებულების ნორმალურ საზომს. მაგრამ სხვა საქონელთა ღირებულებანი ისე შეეფარდებიან შრომას, როგორც შეეფარდებიან ისინი ხორბალს. ხორბლის მოცემული რაოდენობა ბრძანებლობს შრომის მოცემულ რაოდენობას. ყოველი სხვა საქონლის მოცემული რაოდენობა ბრძანებლობს ხორბლის განსაზღვრულ რაოდენობას. მაშასადამე, ყოველი სხვა საქონელი, ანუ უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ყოველი სხვა საქონლის ღირებულება გამოიხატება შრომის იმ რაოდენობით, რომელსაც ის ბრძანებლობს, რადგანაც შრომის ეს რაოდენობა გამოიხატება ხორბლის რაოდენობით, რომელსაც ის ბრძანებლობს, ხოლო ხორბლის რაოდენობა კი — შრომის რაოდენობით, რომელიც მისი ბრძანებლობის ქვეშ იმყოფება.

მაგრამ როგორ განისაზღვრება სხვა საქონელთა ღირებულების შეფარდება ხორბალთან (აუცილებელ საარსებო საშუალებებთან)? შრომის იმ რაოდენობით, რომელსაც ისინი ბრძანებლობენ. და როგორ-ღა განისაზღვრება შრომის რაოდენობა, რომელსაც ისინი ბრძანებლობენ? ხორბლის რაოდენობით, რომელსაც შრომა ბრძანებლობს. აქ ს მ ი ტ ი აუცილებლად ვარდება cercle vicieux-ში. მიუხედავად ამისა, ის, გაკვრით შევნიშნავთ, ა რ ა ს დ რ ო ს არ იყენებს ღირებულების ამ საზომს იქ, სადაც მართლა ანვითარებს თავის აზრს. მაგრამ როდესაც იგი და რ ი კ ა რ დ ო ამბობენ, რომ შრომა „არის საქონლის ღირებულების საფუძველი"-ო, მაშინ როდესაც „შრომის შეფარდებითი რაოდენობა, რომელიც საჭიროა მის საწარმოებლად, შეადგენს საზომს, რომელიც ერთი მეორეზე გასაცვლელად მისაცემ საქონელთა რაოდენობას განსაზღვრავს (რ ი კ ა რ დ ო, l. c., გვ. 80), — მაშინ აქ ს მ ი ტ ი, როგორც ამას ხშირად რ ი კ ა რ დ ო ც ჩადის, — ერთმანეთში ურევს შრომის ამ ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ საზომს, და ფ უ ლ ს,

როგორც გარეგნულ საზომს, რაც უკვე ღირებულების განსაზღვრას გულისხმობს.

ა. სმიტი აქ შეცდომას უშვებს, როდესაც შრომის განსაზღვრული რაოდენობის სახმარ ღირებულებათა განსაზღვრულ რაოდენობაზე გაცვლის ფაქტიდან დასკვნას აკეთებს, რომ შრომის ეს განსაზღვრული რაოდენობა წარმოადგენს ღირებულების საზომს, რომ მას მუდამ ერთიდაიგივე ღირებულება აქვს, მაშინ როდესაც სახმარ ღირებულებათა ერთიდაიგივე რაოდენობა შეიძლება გამოხატავდეს მეტად სხვადასხვა საცვლელ ღირებულებას. მაგრამ რიკარდო ორნაირად სცდება: ჯერ ერთი, მით, რომ არ ესმის ის პრობლემა, რომელიც ა. სმიტის შეცდომის საბაბს წარმოადგენს; მეორე მით, რომ თვითონ, სტოვებს რა სრულიად მხედველობის გარეშე საქონელთა ღირებულების კანონს და მიმართავს რა მოთხოვნისა და მიწოდების კანონს, შრომის ღირებულებას საზღვრავს არა შრომის იმ რაოდენობით, რომელიც სამუშაო ძალის წარმოებაზე იხარჯება, არამედ შრომის იმ რაოდენობით, რომელიც მუშისთვის მისაცემი შრომის ხელფასის საწარმოებლად იხარჯება, ე. ი. სინამდვილეში ის ამბობს: შრომის ღირებულება განისაზღვრება ოქროს იმ ღირებულებით, რომლითაც შრომა გაისტუმრება! მაგრამ რითღა განისაზღვრება ეს ღირებულება? რით განისაზღვრება ოქროს მასა, რომელიც გადასახდელია? სახმარ ღირებულებათა რაოდენობით, რომელიც შრომის განსაზღვრულ რაოდენობას ბრძანებლობს ანდა თვით იმყოფება მისი ბრძანებლობის ქვეშ; ამით რიკარდო სიტყვა-სიტყვით ვარდება იმ ულოგიკობაში, რომელსაც იგი უწუნებს ა. სმიტს.

ამავე დროს, ეს გარემოება მას ხელს უშლის, როგორც ჩვენ დავინახეთ, გაიგოს საქონელთა გაცვლის კანონის შესაბამისად საქონლის და კაპიტალის სპეციფიური განსხვავება, გაიგოს გაცვლის განსხვავება, ერთის მხრივ, საქონელსა და საქონელს შორის და, მეორეს მხრივ, კაპიტალსა და საქონელს შორის.

### d) ზედმეტი ღირებულება.

მიუხედავად შრომისა და სამუშაო ძალის ერთმანეთში არევისა, რიკარდო სწორად განმარტავს საშუალო ხელფასს ანუ შრომის ღირებულებას. სახელდობრ, ეს უკანასკნელი, ამბობს რიკარდო, არ განისაზღვრება არც ფულით და არც საარსებო საშუალებებით, რომელთაც მუშა იღებს, არამედ განისაზღვრება იმ სამუშაო დროით, რომელიც მისი წარმოება ღირს, შრომის იმ რაოდენობით,

რომელიც გასაგნობრივებულია მუშის საარსებო საშუალებებში. რიკარდო ამას რეალურ ხელფასს უწოდებს (იხილე ქვევით).

ეს განსაზღვრა, სხვათა შორის, აუცილებლად თავს იჩენს რიკარდოს აზროვნებაში. ვინაიდან შრომის ღირებულება განისაზღვრება იმ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებით, რომლებზეც ეს ღირებულება უნდა იქნეს გაღებული, ხოლო საარსებო საშუალებათა ღირებულება, ისე როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულება, მათზე დახარჯული შრომის რაოდენობით განისაზღვრება, ამიტომ აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ შრომის ღირებულება უდრის აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებას, უდრის მათზე დახარჯული შრომის რაოდენობას.

რამდენადაც სწორი არ უნდა იყოს ეს ფორმულა, თუ არას ვიტყვით შრომისა და კაპიტალის უშუალო დაპირისპირებაზე, იგი საკმარისი მაინც არაა. ცალკე მუშას შეუძლია აწარმოოს პროდუქტები, რომლებიც სრულიად მის მოხმარებაში არ შედის; და მაშინაც კი, როდესაც ის აუცილებელ საარსებო საშუალებებს აწარმოებს, ის აწარმოებს, შრომის დანაწილების გამო, მხოლოდ განსაზღვრული სახის საარსებო საშუალებებს, მაგალითად, ხორბლეულს და აძლევს მას მხოლოდ განსაკუთრებულ ფორმას, მაგალითად, ხორბლის ფორმას და არა პურისას; მაგრამ თუ ის უშუალოდ არ აწარმოებს პროდუქტებს, რომლებითაც იგი ცხოვრობს, მაშინ ის თავისი შრომის ხელფასის ასანაზღაურებლად აწარმოებს — რეპროდუქციას უშვება, იღებს რა მხედველობაში ამ პროცესის უწყვეტლობას — თავის საარსებო საშუალებათა ღირებულების ოდენობის საქონელს, ანუ აწარმოებს თავის საარსებო საშუალებათა ღირებულებას. ეს კი ნიშნავს, მაშასადამე, — თუ ჩვენ მის ყოველდღიურ საშუალო მოხმარებას განვიხილავთ, — შემდეგს: სამუშაო დრო, რომელიც ყოველდღიურ საარსებო საშუალებებშია მოთავსებული, შეადგენს მისი სამუშაო დღის ერთ ნაწილს. სამუშაო დღის ერთ ნაწილს ის მუშაობს თავის საარსებო საშუალებათა რეპროდუქციისათვის; სამუშაო დღის ამ ნაწილის განმავლობაში შექმნილ საქონელს იგივე ღირებულება აქვს, ანდა თანატოლია იმ სამუშაო დროის, რომელიც მოთავსებულია მუშის ყოველდღიურ საარსებო საშუალებებში. ამ საარსებო საშუალებათა ღირებულებაზე, მაშასადამე, შრომის საზოგადოებრივ პროდუქტიულობაზე და არა ცალკე დარგის პროდუქტიულობაზე, რომელშიც ის მუშაობს, დამოკიდებულია ის, თუ მისი სამუშაო დღის რამდენად დიდი ნაწილი ხმარდება ღირებულების, ე. ი. მისი საარსებო საშუ-

ალებისათვის ეკვივალენტის რეპროდუქციას ანუ პროდუქციას. რ ი კ ა რ დ ო, რასაკვირველია, გულისხმობს, რომ ყოველდღიურ საარსებო საშუალებებში მოთავსებული სამუშაო დრო უდრის იმ ყოველდღიურ სამუშაო დროს, რომელიც მუშამ უნდა იმუშაოს, რათა რეპროდუქცია უყოს ამ საარსებო საშუალებათა ღირებულებას.

მაგრამ რადგანაც რ ი კ ა რ დ ო უშუალოდ მუშის სამუშაო დღის ერთ ნაწილს არ გვიხატავს გარკვევით, როგორც მისი საკუთარი სამუშაო ძალის ღირებულების რეპროდუქციას, ამიტომ მას ამით გაძნელება შეაქვს და აბნელებს მოცემული ურთიერთობის ნათელ გაგებას. აქედან გამომდინარეობს ორმაგი არევ-დარევა. ზედმეტი ღირებულების წარმოშობა ბუნდოვანი ხდება, და ამიტომ უსაყვედურებენ რ ი კ ა რ დ ო ს მისი თანამომდევნონი, რომ მან ზედმეტი ღირებულების ბუნება ვერ გაიგო, ვერ განავითარაო. აქედან წარმოსდგება ნაწილობრივ მათი სქოლასტიური ცდებიც ზედმეტი ღირებულების ასახსნელად. ამრიგად, რადგანაც ზედმეტი ღირებულების წარმოშობის და ბუნების ნათელი გაგება არ ხდება, ამიტომ ზედმეტი შრომა პლიუს აუცილებელი შრომა, მოკლედ, მთელი სამუშაო დღე, განიხილება როგორც მუდმივი სიდიდე, განსხვავებანი ზედმეტი ღირებულების სიდიდეში შეუმჩნეველი რჩება და კაპიტალის პროდუქტიულობა, მის მიერ გამოწვეული იძულება ზედმეტი შრომისადმი, აბსოლუტური ზედმეტი შრომისადმი, ერთის მხრივ, და შემდეგ მისი შინაგანი იმპულსი აუცილებელი სამუშაო დროის შესამოკლებლად, — აი, ყველა ეს შეუცნობელი რჩება, მაშასადამე, ადგილი არა აქვს კაპიტალის ისტორიული გამართლების დასაბუთებას. ა. ს მ ი ტ მ ა, პირიქით, უკვე სწორი ფორმულა გამოსთქვა. რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო ღირებულების შრომაზე დაყვანა, ასევე მნიშვნელოვანი იყო ზედმეტი ღირებულების ზედმეტ შრომაზე დაყვანა და ამასთანავე ამის გამოსახვა სრულიად გარკვეულ გამოთქმებში.

რ ი კ ა რ დ ო გამოდის კაპიტალისტური წარმოების არსებული ფაქტიდან. შრომის ღირებულება უფრო მცირეა, ვიდრე ღირებულება პროდუქტისა, რომელსაც შრომა ქმნის. ამიტომ პროდუქტის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე ღირებულება შრომისა, რომელიც მას აწარმოებს, ან ვიდრე შრომის ხელფასის ღირებულება. პროდუქტის ღირებულების გარდამეტი შრომის ხელფასის ღირებულებაზე უდრის ზედმეტ ღირებულებას. რ ი კ ა რ დ ო უმართებულოდ მოგებას ხმარობს, მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, აქ მოგებას და ზედმეტ ღირებულებას აიგივებს და სინამდვილეში ლაპარაკობს

უკანასკნელზე, ე. ი. ზედმეტ ღირებულებაზე. მისთვის ფაქტია, რომ პროდუქტის ღირებულება უფრო დიდია, ვიდრე შრომის ხელფასის ღირებულება. თუ როგორ წარმოსდგება ეს ფაქტი — ეს მისთვის გაურკვეველი რჩება. საერთო სამუშაო დღე მეტია, ვიდრე სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელიც ხელფასის წარმოებისათვის არის საჭირო. რატომ? ამის პასუხი არ ჩანს. ამიტომ საერთოდ სამუშაო დღის სიდიდე იგულისხმება როგორც მუდმივი, საიდანაც პირდაპირ მცდარი დასკვნები გამომდინარეობს. ამიტომ ზედმეტი ღირებულების გადიდება ან შემცირება შეიძლება მ ხ ო ლ ო დ ახსნილ იქნას იმ საზოგადოებრივი შრომის მზარდი ანდა კლებადი პროდუქტიულობიდან, რომელიც საარსებო საშუალებას აწარმოებს. ე. ი. ადგილი აქვს მხოლოდ შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების გაგებას.

ნათელია, რომ თუ მუშას მთელი მისი სამუშაო დღე დასჭირდებოდა თავის საკუთარ საარსებო საშუალებათა, ე. ი. ამ საკუთარ საარსებო საშუალებათა ღირებულების თანასწორი საქონლის საწარმოებლად, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, შეუძლებელი იქნებოდა კაპიტალისტური წარმოება და დაქირავებული შრომა. რათა ამ უკანასკნელმა იარსებოს, უნდა საზოგადოებრივი შრომის პროდუქტიულობა საკმაოდ განვითარებული იყოს იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს საერთო სამუშაო დღის რაიმე გარდამეტი იმ სამუშაო დროსთან შედარებით, რომელიც აუცილებელია შრომის ხელფასის რეპროდუქციისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ამა თუ იმ სიდიდის ზედმეტი შრომის არსებობა. მაგრამ ასევე ნათელია ის, რომ, თუ მოცემული სამუშაო დროისა და სამუშაო დღის სიდიდის პირობებში შრომის პროდუქტიულობა შეიძლება მეტად სხვადასხვა იყოს, მაშინ, მეორეს მხრივ, შრომის მოცემული პროდუქტიულობის პირობებში, შესაძლებელია მეტად სხვადასხვა იყოს სამუშაო დრო, სამუშაო დღის სიდიდე. შემდეგ, ნათელია, რომ, თუ შრომის პროდუქტიულობის განსაზღვრული განვითარება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ზედმეტი შრომის არსებობისათვის, მაშინ ამ ზედმეტი შრომის უბრალო შესაძლებლობა, მაშასადამე, შრომის პროდუქტიულობის ზემოაღნიშნული აუცილებელი მინიმუმის არსებობა ჯერ კიდევ ვერ ქმნის ამ შრომის სინამდვილეს, ვერ ქმნის ზედმეტი შრომის რეალურ არსებობას. ამასთანავე მუშაც, უწინარეს ყოვლისა, იძულებული უნდა გახდეს იმუშაოს ზემოაღნიშნულ საზღვარს ზევით, და ამ იძულებას ახდენს კაპიტალი. ეს აკლია სწორედ რ ი კ ა რ დ ო ს და აქედან წარმოსდგება მთელი ბრძოლა ნორმალური სამუშაო დღის განსაზღვრის გარშემო.

შრომის საზოგადოებრივი საწარმოო ძალის განვითარების დაბალ საფეხურზე, როდესაც, მაშასადამე, ზედმეტი შრომა შედარებით მცირეა, სხვისი შრომით მცხოვრებთა კლასი საერთოდ მცირე იქნება მუშათა რიცხვთან შედარებით. ამ კლასს შეუძლია პროპორციულად მეტად მნიშვნელოვნად გაიზარდოს და გაიზარდოს იმ ზომით, რა ზომითაც პროდუქტიულობა, მაშასადამე, შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება, ვითარდება.

გამორკვეულია შემდეგ, რომ შრომის ღირებულება სხვადასხვა ეპოქებში ერთსადაიმავე ქვეყანაში და ერთსადაიმავე ეპოქაში სხვადასხვა ქვეყნებში ძლიერ იცვლება. მიუხედავად ამისა კაპიტალისტური წარმოების სამშობლოს წარმოადგენენ საშუალო ზონები. შრომის საზოგადოებრივი საწარმოო ძალა შეიძლება ძლიერ განვითარებული იყოს და, მიუხედავად ამისა, სწორედ საარსებო საშუალებათა წარმოებაში მოხვდეს ამის კომპენსაცია, ერთის მხრივ, ბუნებრივ ფაქტორთა ნაყოფიერების გამო, როგორიცაა, მაგალითად, მიწის და წიაღის ნაყოფიერება, მეორეს მხრივ კი, მცხოვრებთა მოთხოვნილებების დაბალი დონით, ჰავის გამო და სხვ., — როგორც ორთავე ამ შემთხვევას, მაგალითად, ადგილი აქვს ინდოეთში. პირველყოფილ მდგომარეობაში, ჯერ კიდევ განუვითარებელ სოციალურ მოთხოვნილებათა გამო, შრომის ხელფასის მინიმუმი რაოდენობრივად, სახმარ ღირებულებათა მიხედვით, შეიძლება მეტად მცირე იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა ბევრი შრომა ღირდეს. მაგრამ კიდევაც რომ მის საწარმოებლად აუცილებელი შრომა მხოლოდ საშუალო სიდიდის იყოს, წარმოებული ზედმეტი ღირებულება, თუმცა იგი დიდ შეფარდებაში იქნებოდა შრომის ხელფასთან, აუცილებელ სამუშაო დროსთან, მაშასადამე, თვით ზედმეტი ღირებულების მაღალი ნორმის დროსაც, სახმარ ღირებულებებში გამოხატული, პროპორციულად ისევე მცირედი იქნებოდა, როგორც თვით შრომის ხელფასია.

ვთქვათ, აუცილებელი სამუშაო დრო $= 10$, ზედმეტი შრომა $= 2$; მთელი სამუშაო დღე $= 12$ საათს. თუ აუცილებელი სამუშაო დრო $= 12$-ს, ზედმეტი შრომა $= 2^{2}/_{5}$ და მთელი სამუშაო დღე $= 14^{2}/_{5}$ საათს, მაშინ წარმოებული ღირებულებანი მეტად სხვადასხვა იქნებოდა. პირველ შემთხვევაში $= 12$ საათს, მეორე შემთხვევაში $= 14^{2}/_{5}$ საათს. სწორედ იგივე ითქმის ზედმეტ ღირებულებათა აბსოლუტურ სიდიდეზე. ერთ შემთხვევაში $= 2$ საათს, მეორეში $= 2^{2}/_{5}$ საათს. მიუხედავად ამისა, ზედმეტი ღირებულების ნორმა ანუ ზედმეტი შრომა იქნებოდა იგივე, რადგანაც $2 : 10 = 2^{2}/_{5} : 12$.

მაგრამ, თუ დაბანდებული ცვალებადი კაპიტალი მეორე შემთხვევაში მეტი იქნებოდა, მაშინ მეტი იქნებოდა მის მიერ მითვისებული ზედმეტი ღირებულებაც ანუ ზედმეტი შრომა. თუ გაიზრდებოდა უკანასკნელ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულება ნაცვლად $^2/_5$-სა $^5/_5$ საათით, ისე რომ ის თანასწორი იქნებოდა 3 საათის, ხოლო მთელი სამუშაო დღე კი — 15 საათის, მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმა აიწევდა, მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელი სამუშაო დრო ანუ შრომის ხელფასის მინიმუმი გაიზრდებოდა, რადგანაც $2 : 10 = ^1/_5$, ხოლო $3 : 12 = ^1/_4$. ერთიც და მეორეც შეიძლება მომხდარიყო, თუ რომ, ხორბლეულის და სხვ. გაძვირების გამო, შრომის ხელფასის მინიმუმი გაიზრდებოდა 10-დან 12 საათამდე. თვით ამ შემთხვევაშიც, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმას შეეძლო არა მარტო დარჩენილიყო იგივე, არამედ შეეძლო გაზრდა ზედმეტი ღირებულების მასას და ნორმას.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ აუცილებელი შრომის ხელფასი წინანდებურად უდრის 10, ზედმეტი შრომა = 2; ყველა დანარჩენი პირობები უცვლელი რჩება, მაშასადამე, აქ სრულიად მხედველობაში არაა მიღებული შემცირებული საწარმოო ხარჯები მუდმივი კაპიტალისათვის. დავუშვათ, რომ მუშა ახლა $2^2/_5$ საათით მეტს მუშაობს, საიდანაც ის თვითონ 2 საათს ითვისებს, $^2/_5$ კი ზედმეტ შრომას შეადგენს. ამ შემთხვევაში შრომის ხელფასი და ზედმეტი ღირებულება თანასწორად გაიზრდებიან, მაგრამ პირველი გამოხატავს მეტს, ვიდრე აუცილებელ შრომის ხელფასს ანუ აუცილებელ სამუშაო დროს.

თუ ავიღებთ განსაზღვრულ სიდიდეს და მას ორ ნაწილად დავყოფთ, დავინახავთ ნათლად, რომ ერთ ნაწილს შეუძლია გაიზარდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მეორე მცირდება და vice versa. მაგრამ მზარდ სიდიდეთა (რხევათა) დროს ამას არავითარ შემთხვევაში ადგილი არა აქვს. და სამუშაო დღე ასეთ მზარდ სიდიდეს წარმოადგენს მანამ, სანამ ნორმალური სამუშაო დღე ბრძოლით მოპოვებული არაა. ასეთ სიდიდეთა დროს ორივე ნაწილს შეუძლია გაიზარდოს, სულერთია თანასწორად თუ არა თანასწორად. ერთის გაზრდა არაა გამოწვეული მეორეს შემცირებით და vice versa. ეს არის კიდეც ერთადერთი შემთხვევა, როდესაც შრომის ხელფასს და ზედმეტ ღირებულებას შეუძლიათ იმავდროულად გაიზარდონ და გაიზარდონ ამასთანავე, შესაძლებელია, თანასწორად საცვლელი ღირებულების მიხედვით. სახმარი ღირებულების მიხედვით ეს ზრდა თავისთავად გასაგებია; ამ სახმარ ღირებულებას შეუძლია გაიზარდოს, თუმცა შრომის ღირებულება, მაგალითად, კლებულობს. 1797 —1815

წლების პერიოდში, როდესაც ინგლისში ხორბლის ფასმა და შრომის ნომინალურმა ხელფასმა საგრძნობლად აიწია, ყოველდღიური სამუშაო საათების რიცხვმა მრეწველობის მთავარ დარგებში, რომელნიც აგრეთვე უცილობელი განვითარების ფაზისში იმყოფებოდენ, ძლიერ იმატა და მე ვფიქრობ, რომ ამ გარემოებამ შეაჩერა მოგების ნორმის დაცემა, რადგანაც შეაჩერა ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემა. მაგრამ ამ შემთხვევაში ხდება ყოველგვარ პირობებში ნორმალური სამუშაო დღის გაგრძელება და ამის შესაბამისად მოკლდება მუშის სასიცოცხლო პერიოდი, მაშასადამე, მოკლდება მისი სამუშაო ძალის არსებობის ნორმალური ხანგრძლივობა. ამ მოვლენას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო დღის ასეთი გაგრძელება მუდმივი რჩება. თუ კი გაგრძელება მხოლოდ დროებითია, რათა სამუშაო ხელფასის დროებით გაძვირებას კომპენსაცია უქნას, მაშინ მას არ შეუძლია, ბავშთა და ქალთა [შრომის] გამოკლებით, რაიმე შედეგი ჰქონდეს, გარდა იმისა, რომ ის ხელს უშლის მოგების ნორმის დაცემას იმ სარეწაოებში, სადაც სამუშაო დღის გაგრძელება მათი ხასიათის მიხედვით შესაძლებელია. ყველაზე უფრო ნაკლებად ამას ადგილი აქვს მიწათმოქმედებაში.

რიკარდოს ეს სრულებით მხედველობაში არ მიუღია, რადგანაც ის არც ზედმეტი ღირებულების წყაროს და არც აბსოლუტურ ზედმეტ ღირებულებას არ იკვლევს, და ამიტომ სამუშაო დღეს იხილავს როგორც მოცემულ სიდიდეს. ამ შემთხვევისათვის, მაშასადამე, მისი კანონი, რომ ზედმეტ ღირებულებას — ის შეცდომით მოგებას უწოდებს — და შრომის ხელფასს შეუძლიათ, თუ მათ საცვლელი ღირებულების მიხედვით განვიხილავთ, აიწიონ ან დაეცენ მხოლოდ შებრუნებულ შეფარდებაში, შემცდარია.

ავიღოთ ორი შემთხვევა: პირველში აუცილებელი სამუშაო დრო უდრის 10 საათს, ზედმეტი შრომა — 2-ს; სამუშაო დღე = 12 ს., ზედმეტი ღირებულება = 2 საათს; ზედმეტი ღირებულების ნორმა შეადგენს $^1/_5$-ს. მეორე შემთხვევაში კი აუცილებელი სამუშაო დრო იგივე რჩება. ზედმეტი ღირებულება იზრდება 2-დან 4 საათამდე, მაშასადამე, ჩვენ გვაქვს 14 საათის სამუშაო დღე; ზედმეტი ღირებულება უდრის 4 საათს; ზედმეტი ღირებულების ნორმა — $^2/_5$-ს.

ორივე შემთხვევაში აუცილებელი სამუშაო დრო ერთიდაიგივეა; მაგრამ ზედმეტი ღირებულება ერთ შემთხვევაში ორჯერ მეტია, ვიდრე მეორეში, და სამუშაო დღე მეორეში ერთი მეექვსედით მეტია, ვიდრე პირველში. შემდეგ, წარმოებული ღირებულებანი, შრომის რაოდენობის შესაბამისად, ძლიერ სხვადასხვა იქნებოდენ, თუმცა შრომის

ხელფასი იგივე დარჩებოდა. პირველ შემთხვევაში ეს ღირებულე-ბანი = 12 საათს, მეორეში = 14 საათს. მაშასადამე, შემცდარია, რომ, — თუ იმავე შრომის ხელფასს (ღირებულების, აუცილებელი სამუშაო დროის მიხედვით) ვიგულისხმებთ, — ორ საქონელში მოთავ-სებული ზედმეტი ღირებულება ისეთსავე შეფარდებაშია, როგორც მათში მოთავსებული შრომის რაოდენობანი. ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნ ო რ მ ა ლ უ რ ი  ს ა მ უ შ ა ო  დ ღ ე ერთიდაიგივეა.

დავუშვათ შემდეგ, რომ შრომის საწარმოო ძალის აწევის გამო აუცილებელი სამუშაო დრო ეცემა 10-დან 9 საათამდე, თუმცა იგი, სახმარ ღირებულებებში გამოხატული, მუდმივი რჩება, და სწორედ ასევე ეცემა ზედმეტი სამუშაო დროც 2-დან $1^{4}/_{5}$ საათამდე. ამ შემ-შემთხვევაში $10:9 = {}^{10}/_{5}:{}^{9}/_{5}$. მაშასადამე, ზედმეტი სამუშაო დრო იმავე პროპორციით დაეცემოდა, როგორც აუცილებელი სამუშაო დრო. ზედმეტი ღირებულების ნორმა ორივე შემთხვევაში იგივე დარ-ჩებოდა, რადგანაც $^{10}/_{5}:10 = {}^{9}/_{5}:9$. სახმარ ღირებულებათა რაოდე-ნობა, რომლის ყიდვაც ზედმეტი ღირებულებით შესაძლებელი იქნე-ბოდა, დარჩებოდა აგრეთვე, თანახმად ნაგულისხმევი პირობისა, იგივე, მაგრამ ამას ძალა ექნებოდა მხოლოდ იმ სახმარ ღირებულებათა მიმართ, რომლებიც აუცილებელ საარსებო საშუალებებს წარმოად-გენენ, სამუშაო დღე დაეცემოდა 12 საათიდან $10^{4}/_{5}$ საათამდე. ღირებულებათა მასა, რომელიც მეორე შემთხვევაში იწარმოება, უფრო მცირე იქნებოდა, ვიდრე პირველში. და მიუხედავად შრომის ამ არა-თანასწორ რაოდენობათა, ზედმეტი ღირებულების ნორმა ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე დარჩებოდა.

ზედმეტი ღირებულების განხილვისას ჩვენ განვასხვავეთ: ზედ-მეტი ღირებულება და ზედმეტი ღირებულების ნორმა. ერთი დღისა-თვის განხილული ზედმეტი ღირებულება უდრის საათთა აბსოლუტურ რაოდენობას, რომელსაც ის გამოხატავს, 2-ს, 3-ს და სხვ. ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის საათთა ამ რიცხვის შეფარდებას იმ საათთა რიცხვთან, რომლისგანაც აუცილებელი სამუშაო დრო შეს-დგება. ეს განსხვავება უკვე ძლიერ მნიშვნელოვანია, რადგანაც ის სამუშაო დღის სხვადასხვა ხანგრძლივობას გვიჩვენებს. თუ ზედმეტი ღირებულება = 2 საათს, მაშინ ის = $^{1}/_{5}$-ს, თუ აუცილებელი სამუ-შაო დრო = 10, და = $^{1}/_{6}$-ს, თუ აუცილებელი სამუშაო დრო = 12-ს. ერთ შემთხვევაში სამუშაო დღე = 12 საათს; მეორეში კი = 14 საათს. პირველ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმა უფრო დიდია და ამასთანავე მუშა დღის განმავლობაში საათების ნაკლებ რიცხვს მუშაობს. მეორე შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმა უფრო

ნაკლებია, სამუშაო ძალის ღირებულება კი მეტი, და ამასთანავე მუშა დღის განმავლობაში საათების მეტ რიცხვს მუშაობს. აქ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ შეიძლება, უცვლელი ზედმეტი ღირებულების დროს, მაგრამ არათანასწორი სამუშაო დღის პირობებში, ზედმეტი ღირებულების ნორმა სხვადასხვა იყოს. წინა შემთხვევაში — $10:{}^{10}/_{5}$ და $9:{}^{9}/_{5}$ — ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ შეიძლება, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას, მაგრამ არათანასწორი სამუშაო დღის პირობებში, თვით ზედმეტი ღირებულება სხვადასხვა იყოს: პირველ შემთხვევაში 2, მეორეში კი $1^{4}/_{5}$.

წინათ მე აღვნიშნე, რომ, თუ სამუშაო დღის ხანგრძლივობა, აგრეთვე აუცილებელი სამუშაო დრო, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა, მოცემულია, მაშინ ზედმეტი ღირებულების მასა დამოკიდებულია ერთიდაიმავე კაპიტალისტის მიერ იმავდროულად მუშაობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვზე. ეს იყო ტავტოლოგიური დებულება; ვინაიდან, თუ 1 სამუშაო დღე მე მაძლევს 2 ზედმეტ სამუშაო საათს, მაშინ 12 სამუშაო დღე მომცემს 24 ასეთ საათს ანუ 2 ზედმეტ სამუშაო დღეს. მაგრამ ეს დებულება მეტად მნიშვნელოვანი ხდება მოგების განსაზღვრის დროს, მოგების, რომელიც უდრის ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ავანსად გაღებულ კაპიტალთან, მაშასადამე, დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეზე. მნიშვნელოვანი ხდება ეს იმიტომ, რომ თანასწორი სიდიდის კაპიტალები, მაგრამ სხვადასხვა ორგანიული შედგენილობისა, მუშათა არათანასწორ რაოდენობას იყენებენ, რომ მათ, მაშასადამე, არათანასწორი ზედმეტი ღირებულებანი, მაშასადამე, არათანასწორი მოგება უნდა აწარმოონ. ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემის დროს მოგებას შეუძლია აიწიოს, ხოლო ზედმეტი ღირებულების მზარდი ნორმის დროს კი — დაეცეს ანდა მოგებას შეუძლია უცვლელი დარჩეს, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმის აწევის ან დაცემის კომპენსაცია ხდება შებრუნებული მოძრაობით საქმეში ჩაბმულ მუშათა რიცხვში. აქ ჩვენ იმთავითვე ვხედავთ, თუ როგორ უაღრესად შემცდარია ზედმეტი ღირებულების აწევის და დაცემის კანონების გაიგივეება მოგების აწევისა და დაცემის კანონებთან. თუ ზედმეტი ღირებულების მხოლოდ მარტივ კანონს განვიხილავთ, მაშინ ის დებულება, რომ ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური მასა, ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის და მოცემული სამუშაო დროის პირობებში, დამოკიდებულია გამოყენებული კაპიტალის მასაზე, ტავტოლოგიურად მოგვეჩვენება. ვინაიდან კაპიტალის ამ მასის ზრდა და იმავდროულად გამოყენებულ მუშათა რიცხვის ზრდა, ნაგულისხმევის

შიხედვით, იდენტიური არიან ანდა წარმოადგენენ მხოლოდ ერთიდაიგივე ფაქტორის გამოხატულებას. მაგრამ თუ მოგების განხილვაზე გადავალთ, სადაც გამოყენებული ერთობლივი კაპიტალის მასა და გამოყენებულ მუშათა რიცხვის მასა მეტად სხვადასხვაა თანასწორი სიდიდის კაპიტალთათვის, მაშინ გასაგები ხდება კანონის მნიშვნელობა.

რ ი კ ა რ დ ო გამოდის მოცემული ღირებულების მქონე საქონელთა განხილვიდან, ე. ი. ისეთ საქონელთაგან, რომელნიც შრომის განსაზღვრულ რაოდენობას გამოხატავენ. და ასეთი გამოსავალი წერტილისათვის გვეჩვენება, რომ აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება მუდამ თანამთხვევნი არიან. ეს შუქს ფენს ყოველ შემთხვევაში რ ი კ ა რ დ ო ს კვლევის წესის ცალმხრივობას და თანაემთხვევა მისი გამოკვლევის მთელ მეთოდს, რომელიც გამოდის საქონელთა ღირებულებიდან, როგორც მათში მოთავსებული სამუშაო დროით განსაზღვრული ღირებულებიდან, რათა შემდეგ გამოარკვიოს, თუ რა გავლენას ახდენენ მასზე შრომის ხელფასი, მოგება და სხვ. ნამდვილად კი ეს გარეგნული თანამთხვევა შემცდარია, რადგანაც აქ საქმე ეხება არა საქონელს, არამედ კაპიტალისტურ წარმოებას, ე. ი. საქონელს როგორც კაპიტალის პროდუქტს.

ვთქვათ, მოცემული კაპიტალი იყენებს მუშათა განსაზღვრულ რაოდენობას, მაგალითად, 20 კაცს, და შრომის ხელფასი შეადგენს 20 გირვ. სტერლინგს. გამარტივების გულისთვის დავუშვათ, რომ მუდმივი კაპიტალი $=0$, ე. ი. მას სათვალავში არ ვიღებთ. წარმოვიდგინოთ, რომ ეს 20 მუშა 1600 გირვანქა ბამბას ნართად აქცევს, თუ ისინი ყოველდღიურად 12 საათს მუშაობენ. თუ გირვანქა ბამბა 1 შილინგი ღირს, მაშინ 20 გირვანქა ეღირება 1 გირვ. სტერლინგი, და 1600 გირვ. კი — 80 გირვ. სტერლინგი. თუ 20 მუშა 12 საათში 1600 გირვ. ბამბას ართავს, მაშინ ერთ საათში ისინი ართავენ $^{1600}/_{12}=133^{1}/_{3}$ გირვანქას. მაშასადამე, თუ აუცილებელი სამუშაო დრო $=10$ საათს, ზედმეტი სამუშაო დრო $=2$ საათს და ეს ორი საათი$=$ $266^{2}/_{3}$ გირვ. ნართს. 1600 გირვ. ნართის ღირებულება იქნებოდა $=104$ გირვ. სტერლინგი. რადგანაც, თუ 10 სამუშაო საათი 20 გირვ. სტერლინგის ღირებულებას ქმნის, 1 სამუშაო საათი შექმნის 2 გირვ. სტერლინგის ღირებულებას, მაშასადამე, 12 სამუშაო საათი — 24 გირვ. სტერლინგს. ამას ემატება 80 გირვ. სტერლინგის ნედლი მასალა.

მაგრამ, თუ დავუშვებთ, რომ მუშები 4 ზედმეტ-სამუშაო საათს მუშაობენ, ამ ოთხი საათის პროდუქტი შეადგენს 8 გირვ. სტერ-

ლინგს: ერთობლივ პროდუქტს აქვს $121^1/_3$ გირვ. სტერლინგის ღირებულება[1]. და ეს $121^1/_3$ გირვ. სტერლინგი უდრის $1866^2/_3$ გირვ. ბამბას. ერთ გირვანქა ნართს წინანდებურად ექნებოდა, რადგანაც წარმოების პირობები უცვლელი დარჩა, იგივე ღირებულება [$1^3/_{10}$ შილინგი]; მასში მოთავსებული იქნებოდა იმდენივე სამუშაო დრო. ასევე, თანახმად ნაგულისხმევისა, აუცილებელი შრომის ხელფასიც მუდმივი დარჩებოდა, ე. ი. მუდმივი დარჩებოდა ამ ხელფასის ღირებულება, მასში მოთავსებული სამუშაო დრო.

მიუხედავად ამისა, ღირებულების და ზედმეტი ღირებულების შეფარდება თითოეულ გირვანქა ნართში, ნაგულისხმევ პირობებში, მეტად სხვადასხვა იქნებოდა. პირველ შემთხვევაში, ვინაიდან აუცილებელი შრომა = 20 გირვ. სტერლინგს, ზედმეტი შრომა = 4 გირვ. სტერლინგს, ანდა პირველი = 10 საათს, მეორე კი = 2 საათს, — ზედმეტი შრომის შეფარდება აუცილებელ შრომასთან = 2 : 10. ამ შემთხვევაში $^3/_{10}$ შილინგში = [ერთ გირვანქა ნართში ახლად მიმატებულ შრომაში მოთავსებულია, მაშასადამე] $^1/_5$ გადაუხდელი შრომა = $^3/_{50}$ შილინგს. პირიქით, მეორე შემთხვევაში აუცილებელი შრომა უდრის 20 გირვ. სტერლინგს, ზედმეტი შრომა — 8 გირვ. სტერლინგს. ზედმეტი შრომის შეფარდება აუცილებელ შრომასთან იქნებოდა როგორც 8 : 20. მაშასადამე, გირვანქა ნართის $^3/_{10}$ შილინგში [ახლად მიმატებულ შრომაში] მოთავსებული იქნებოდა $^2/_5$ გადაუხდელი შრომა, ე. ი. $^6/_{50}$ შილინგი. ზედმეტი ღირებულება ერთ გირვანქა ნართში, თუმცა მას ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე ღირებულება აქვს და ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე შრომის ხელფასის გადახდას აქვს ადგილი, პირველ შემთხვევაში ორჯერ მეტია, ვიდრე მეორეში.

რიკარდოს მოეპოვება, მაშასადამე, მხოლოდ განვითარება იმისი, რასაც მე შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება ვუწოდე. ის გამოდის იქიდან, რასაც აგრეთვე ადგილი ჰქონდა როგორც ჩანს ა. სმიტისა და მისი წინამორბედების მხრივ, რომ სამუშაო დღის სიდიდე მოცემულია. სულ დიდი, რასაც სმიტი იხსენიებს, ეს არის შრომის სხვადასხვა დარგებში მოცემული სამუშაო დღის სიდიდეში არსებული განსხვავებანი, განსხვავებანი, რომელნიც ისპობიან ანუ

---

[1] ხელნაწერში სწერია 108 გირვ. სტერლინგი. ეს შეცდომაა. ნართად დაირთვის უკვე არა 1600 გირვ., არამედ $1866^2/_3$ გირვ. ბამბა, რომლის ღირებულებაც $93^1/_3$ გირვ. სტერლინგს უდრის. თუ ამას მივუმატებთ 28 გირვ. სტერლინგის ახალ ღირებულებას, მივიღებთ $121^1/_3$ გირვ. სტერლინგს. — კ.

ბათილდებიან შრომის შედარებით უფრო დიდი ინტენსივობით, მისივე სიძნელით და აუტანლობით და სხვ. ამ წინაპირობიდან გამომდინარე, რ ი კ ა რ დ ო სწორად ანვითარებს საერთოდ შეფარდებით ზედმეტ ღირებულებას. სანამ ჩვენ ამ განვითარებიდან მთავარ პუნქტებს გადმოვცემდეთ, მოვიყვანთ კიდევ რამოდენიმე ციტატს რ ი კ ა რ დ ო ს შეხედულების დასახასიათებლად.

„ერთი მილიონი ხალხის შრომა მრეწველობაში ყოველთვის აწარმოებს ერთსადაიმავე ღირებულებას, მაგრამ არა ყოველთვის ერთსადაიმავე სიმდიდრეს" (l. c., გვ. 321).

ეს ნიშნავს იმას, რომ მათი ყოველდღიური შრომის პროდუქტი მუდამ შეადგენს ერთი მილიონი სამუშაო დღის პროდუქტს, რომელიც მუდამ ერთსადაიმავე სამუშაო დროს შეიცავს, რაც შემცდარია, ანდა სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ერთიდაიგივე ნორმალური სამუშაო დღე, შრომის სხვადასხვა დარგებისა, სხვადასხვა სიძნელეთა და სხვ. მხედველობაში მიღებით, საყოველთაოდ დაწესებული იქნებოდა.

მაგრამ თვით მაშინაც კი ეს დებულება იმ საერთო ფორმაში, რომელშიც ის აქ გამოთქმულია, სწორი არაა. ვთქვათ, ნორმალური სამუშაო დღე = 12 საათს; ერთი ადამიანის წლის პროდუქტი, ფულად გამოხატული = 50 გირვ. სტერლინგს და ფულის ღირებულება რჩება უცვლელი. ამ შემთხვევაში ერთი მილიონი ადამიანის პროდუქტი წლიურად მუდამ 50 მილ. გირვ. სტერლინგი ეღირება. თუ წარმოვიდგენთ, რომ აუცილებელი სამუშაო დრო = 6 საათს, მაშინ ამ ერთი მილიონი ადამიანისათვის დახარჯული ცვალებადი კაპიტალი წლიურად = 25 მილ. გირვ. სტერლინგს. ზედმეტი ღირებულებაც აგრეთვე უდრის 25 მილ. გირვ. სტერლინგს. პროდუქტი მუდამ იქნებოდა = 50 მილ. გირვ. სტერლინგისა, სულერთია, მიიღებენ მუშები 25, 30, თუ 40 მილ. გირვ. სტერლინგს. მხოლოდ პირველ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულება იქნებოდა = 25 მილ., მეორეში = 20 მილ. და მესამეში = 10 მილ. ავანსად გაღებული კაპიტალი რომ მხოლოდ ცვალებადი კაპიტალისაგან შესდგებოდეს, ე. ი. მხოლოდ იმ კაპიტალისაგან, რომელიც ამ ერთი მილიონი კაცის შრომის ხელფასზეა დახარჯული, მაშინ რ ი კ ა რ დ ო მართალი იქნებოდა. [მაგრამ] ის მართალია მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც ერთობლივი კაპიტალი ცვალებად კაპიტალს უდრის; ეს ის წინაპირობაა, რომელიც მის აზროვნებას, ისე როგორც ა. ს მ ი ტ ი ს ა ს, რამდენადაც იგი მთელი საზოგადოების კაპიტალზე ლაპარაკობს, წითელი ზოლივით გასდევს და რომელიც კაპიტალისტური წარმოების დროს არცერთ

მის ცალკე დარგში არ არსებობს; კიდევ უფრო ნაკლებად არსებობს იგი მთელი საზოგადოების წარმოებისათვის.

მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც შრომის პროცესში შედის, ღირებულების ზრდის პროცესში შეუსვლელად, არ შედის პროდუქტში, პროდუქტის ღირებულებაში, და ამიტომ აქ, სადაც ლაპარაკია ყოველწლიური პროდუქტის ღირებულებაზე, ის ჩვენ სრულებით არ გვაინტერესებს, რაგინდ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის მხედველობაში მიღება მოგების საერთო ნორმის განსაზღვრისათვის. მაგრამ სულ სხვაგვარადაა საქმე მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ყოველწლიურ პროდუქტში შედის. ჩვენ დავინახეთ, რომ მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის ერთი ნაწილი ანუ ის, რაც მუდმივი კაპიტალის სახით გვევლინება წარმოების ერთ სფეროში, წარმოების მეორე სფეროს შიგნით ერთი წლის ერთსადაიმავე საწარმოო პერიოდის განმავლობაში გვევლინება შრომის უშუალო პროდუქტის სახით. მაშასადამე, წლიურად დაბანდებული კაპიტალის დიდი ნაწილი, რომელიც ცალკე კაპიტალისტის ანუ წარმოების განსაკუთრებული სფეროს თვალსაზრისით მუდმივი კაპიტალის სახით წარმოგვიდგება, საზოგადოების ანუ კაპიტალისტთა კლასის თვალსაზრისით ცვალებად კაპიტალად გარდაიქმნება. ეს ნაწილი, მაშასადამე, შესულია 50 მილიონში, ე. ი. 50 მილიონის იმ ნაწილში, რომელიც ცვალებად კაპიტალს შეადგენს ანდა დახარჯულია შრომის ხელფასზე. სულ სხვაგვარადაა საქმე მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მოიხმარება მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში შთანთქმული ძირითადი კაპიტალის შესანაცვლებლად, ე. ი. სხვაგვარადაა საქმე წარმოების ისეთ დარგებში დაბანდებული ძირითადი კაპიტალის მოხმარებული ნაწილის შესახებ, რომელნიც მუდმივ კაპიტალს, ნედლ მასალას მის პირველად ფორმაში, ძირითად კაპიტალს და დამხმარე ნივთიერებას აწარმოებენ. ამ ნაწილის ღირებულება კვლავ გვევლინება, იგი რეპროდუქციაქმნილია პროდუქტში. და დამოკიდებულია სავსებით მის არსებულ სიდიდეზე (თუ ვიგულისხმებთ, რომ შრომის პროდუქტიულობა არ იცვლება; მაგრამ როგორც არ უნდა შეიცვალოს ის, მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის ღირებულებას განსაზღვრული სიდიდე აქვს), თუ როგორი შეფარდებით შედის იგი მთელი პროდუქტის ღირებულებაში (საშუალოდ, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გამონაკლისებს მიწათმოქმედებაში, რასაკვირველია, პროდუქტთა მასაც, მაშასადამე, ერთი მილიონი ადამიანის მიერ შექმნილი სიმდიდრე, რამდენადაც მას რიკარდო განა-

სხვავებს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ, — დამოკიდებული იქნება ამ ძირითადი კაპიტალის სიდიდეზე, როგორც წარმოების წინაპირობაზე). ერთი მილიონი ადამიანის ახალი წლიური შრომის გარეშე პროდუქტის ღირებულების ეს ნაწილი ვერ იარსებებდა. მეორეს მხრივ, მილიონი ადამიანის შრომაც, მათი წლიური შრომიდან დამოუკიდებლად არსებული ამ მუდმივი კაპიტალის გარეშე, ვერ მოგვცემდა პროდუქტების იმავე მასას. მუდმივი კაპიტალი შედის შრომის პროცესში საწარმოო საშუალებების სახით, მაგრამ არცერთი საათი მუშაობა აღარ სწარმოებს შემდეგ იმისთვის, რომ მოხდეს ამ ნაწილის რეპროდუქცია მისი ღირებულების მიხედვით. ამიტომ, ის, როგორც ღირებულება, არ წარმოადგენს წლიური შრომის შედეგს, თუმცა ამ წლიური შრომის გარეშე მისი ღირებულება არ იქნებოდა რეპროდუქციაქმნილი. თუ დავუშვებთ, რომ პროდუქტში შემავალი მუდმივი კაპიტალის ნაწილი = 25 მილიონს, მაშინ ერთი მილიონი ადამიანის პროდუქტის ღირებულება იქნებოდა = 75 მილიონის; თუ ის იქნებოდა = 10 მილ., მაშინ ერთი მილიონი ადამიანის პროდუქტის ღირებულება შეადგენდა მხოლოდ 60 მილიონს და სხვ. და, რადგანაც კაპიტალისტური წარმოების განვითარების მსვლელობაში მუდმივი კაპიტალის შეფარდება ცვალებადთან იზრდება, ამიტომ მილიონი ადამიანის წლიური პროდუქტის ღირებულებას ტენდენცია ექნება განუწყვეტლივ გაიზარდოს და გაიზარდოს იმ შეფარდებით, რომლითაც იზრდება წარსული შრომა, რომელიც ფაქტორის სახით თანამონაწილეობს მათ წლიურ წარმოებაში. აქედან უკვე ნათლად ვხედავთ, რომ რ ი კ ა რ დ ო ს არ შეეძლო გაეგო არც დაგროვების არსება და არც მოგების ბუნება. მუდმივი კაპიტალის პროპორციის ზრდასთან ერთად ცვალებადი კაპიტალის მიმართ, იზრდება შრომის პროდუქტიულობაც, იზრდება წარმოებული საწარმოო ძალები, რომელთა საშუალებითაც საზოგადოებრივი შრომა სამეურნეო საქმიანობას ეწევა. თუმცა შრომის იმავე მზარდი პროდუქტიულობის გამო არსებული მუდმივი კაპიტალის ერთი ნაწილი ღირებულებას ჰკარგავს, რადგანაც მისი ღირებულება განისაზღვრება არა იმ სამუშაო დროის მიხედვით, რომელიც ის თავდაპირველად ღირდა, არამედ იმ სამუშაო დროის მიხედვით, რომლის საშუალებითაც მისი რეპროდუქცია შეიძლება, ხოლო ეს სამუშაო დრო კი განუწყვეტლად მცირდება შრომის მზარდ პროდუქტიულობასთან ერთად. ამიტომ თუმცა მუდმივი კაპიტალის ღირებულება არ იზრდება პროპორციულად მისსავე მასასთან შეფარდებით, მაგრამ ის მაინც იზრდება, რადგანაც მისი მასა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ეცემა მისი

ღირებულება. მაგრამ რ ი კ ა რ დ ო ს შეხედულებებს დაგროვების შესახებ ჩვენ შემდეგ დავუბრუნდებით. აქ კი სავსებით ნათელი ხდება, რომ თუ სამუშაო დღეს მოცემულად ვიგულისხმებთ, ერთი მილიონი ადამიანის წლიური შრომის პროდუქტის ღირებულება მეტად სხვადასხვა იქნება იმისდა მიხედვით, თუ როგორ განსხვავებულია პროდუქტში შემავალი მუდმივი კაპიტალის მასა და რომ ეს ღირებულება, მიუხედავად შრომის მზარდი პროდუქტიულობისა, იქ უფრო დიდი იქნება, სადაც მუდმივი კაპიტალი ერთობლივი კაპიტალის დიდ ნაწილს შეადგენს, ვიდრე იმ საზოგადოებრივ მდგომარეობაში, სადაც ის ერთობლივი კაპიტალის შედარებით მცირე ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ საზოგადოებრივი შრომის პროდუქტიულობის პროგრესთან ერთად, რომელსაც თან ახლავს — როგორც ეს ხდება მართლაც სინამდვილეში — მუდმივი კაპიტალის ზრდა, კაპიტალს, როგორც ასეთს, წილად ხვდება აგრეთვე შრომის წლიური პროდუქტის შედარებით მუდამ დიდი ნაწილი და, მაშასადამე, კაპიტალის საკუთრება (თუ არაფერს ვიტყვით შემოსავალზე) მუდმივად გაიზრდება და ღირებულების იმ ნაწილის პროპორცია, რომელსაც ცალკე მუშა და თვით მუშათა კლასი ქმნის, სულ უფრო და უფრო დაეცემა შედარებით მათივე წარსული შრომის პროდუქტთან, რომელიც მათ კაპიტალის სახით უპირისპირდება. ამით მუდმივად იზრდება დაშორება და წინააღმდეგობა სამუშაო ძალასა და შრომის იმ ობიექტიურ პირობებს შორის, რომელნიც კაპიტალში დამოუკიდებელ არსებობას პოულობენ. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ცვალებად კაპიტალზე, წლიური შრომის პროდუქტის იმ ნაწილზე, რომელიც საჭიროა მუშათა კლასის რეპროდუქციისათვის, და რომელიც მას კაპიტალის სახით უპირდაპირდება.

რ ი კ ა რ დ ო ს შეხედულება, რომ სამუშაო დღე წარმოადგენს მოცემულ, განსაზღვრულ, მუდმივ ოდენობას, სხვა ფორმაშიც პოულობს მის მიერ გამოხატულებას, მაგალითად, როდესაც იგი ამბობს: „შრომის ხელფასს და მოგებას ერთად ყოველთვის ერთიდაიგივე ღირებულება ექნებათ“ (l. c., თავი მე-32, გვ. 499); ეს კი სხვა სიტყვებით ნიშნავს მხოლოდ შემდეგს: ყოველდღიური სამუშაო დრო, რომლის პროდუქტიც შრომის ხელფასსა და მოგებას შორის ნ ა წ ი ლ დ ე ბ ა, ყოველთვის ერთიდაიგივეა, მუდმივია.

ამ შემთხვევაში არ ვსაჭიროებ განვიმეორო, რომ აქ მოგების ნაცვლად მუდამ უნდა წავიკითხოთ ზედმეტი ღირებულება.

„შრომის ხელფასი უნდა გაიზომოს მისი რეალური ღირებულების მიხედვით, ე. ი. შრომისა და კაპიტალის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც მის წარმო-

ებაზე დაიხარჯა, და არა მისი ნომინალური ღირებულების მიხედვით, სულერთია, იქნება ეს ღირებულება გამოხატული ტანსაცმელში, ქუდებში ან ფულში, თუ ხორბალში" (l. c., 1 თავი, მე-7 განყოფილება, გვ. 50).

იმ საარსებო საშუალებათა ღირებულება, რომლებსაც მუშა ყიდულობს, მაგალითად, ღირებულება პურის, ტანსაცმელის და სხვ., განისაზღვრება იმ ერთობლივი სამუშაო დროით, — როგორც უშუალო შრომის, ისე გასაგნობრივებული შრომის რაოდენობით, — რომელიც მათი წარმოებისათვის არის საჭირო. მაგრამ რიკარდო საკითხს აძნელებს, რადგანაც მას წმინდა გამოხატულებას არ აძლევს, არ ამბობს: „მისი რეალური ღირებულება, ე. ი. სამუშაო დღის ნაწილი, რომელიც საჭიროა [მუშის] აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულების რეპროდუქციისათვის, ამ საარსებო საშუალებათა იმ ეკვივალენტის რეპროდუქციისათვის, რომლითაც გაცვლის გზით მისი შრომის გადახდა სწარმოებს". რეალური ხელფასი უნდა განისაზღვროს იმ საშუალო დროით, რომლის განმავლობაშიც მუშამ ყოველდღიურად უნდა იმუშაოს, რათა თავისი საკუთარი ხელფასი აწარმოოს ანდა მას რეპროდუქცია უყოს.

„მუშა თავისი შრომისათვის იღებს მართლა მაღალ ფასს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ხელფასი შრომის დიდი რაოდენობის პროდუქტს ყიდულობს" (l. c., მე-20 თავი, გვ. 322, შენიშვნა).

## e) შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება.

შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს მართლაც ზედმეტი ღირებულების ერთადერთ ფორმას, რომელსაც რიკარდო მოგების სახელწოდებით ანვითარებს. [მისი შეხედულება შემდეგია:]

საქონლის წარმოებისათვის საჭირო და მასში მოთავსებული შრომის რაოდენობა განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას, რომელიც, ამრიგად, მოცემულ, განსაზღვრულ სიდიდეს წარმოადგენს. ეს სიდიდე ნაწილდება დაქირავებულ მუშასა და კაპიტალისტს შორის. რიკარდო, ისე როგორც სმიტი, მხედველობაში არ იღებს მუდმივ კაპიტალს. ნათელია, რომ ერთის წილი შეიძლება გაიზარდოს ან დაეცეს მხოლოდ იმ შეფარდებით, რითაც ეცემა ანუ იზრდება მეორეს წილი. რადგანაც საქონელთა ღირებულების წარმოშობა მუშათა შრომას მიეწერება, ამიტომ ყველა პირობებში აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს თვით ეს შრომა, ხოლო ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, შეუძლებელია უიმისოდ, თუ მუშა არ იცხოვრებს და არ შეინახავს თავის თავს, მაშასადამე, არ მიიღებს აუცილებელ შრომის ხელფასს, ე. ი. შრომის ხელფასის მინიმუმს, რომელიც სამუ-

შაო ძალის ღირებულებას უდრის. მაშასადამე, შრომის ხელფასი და ზედმეტი ღირებულება — ეს ორი კატეგორია, რომელთა შორისაც იყოფა საქონლის ღირებულება ანუ თვით პროდუქტი — იმყოფებიან არა მარტო შებრუნებულ შეფარდებაში ერთი მეორის მიმართ, არამედ აქ prius-ი და განმსაზღვრელი მომენტია შრომის ხელფასის მოძრაობა. მისი აწევა ან დაცემა იწვევს შებრუნებულ მოძრაობას მოგების (ზედმეტი ღირებულების) მხრივ. შრომის ხელფასი იწევს მაღლა ან ეცემა არა იმიტომ, რომ მოგება (ზედმეტი ღირებულება) ეცემა ან იწევს მაღლა, არამედ, პირიქით, ზედმეტი ღირებულება (მოგება) ეცემა ან იწევს მაღლა იმიტომ, რომ შრომის ხელფასი აიწევს ან დაეცემა. ზედმეტი პროდუქტი, — არსებითად უნდა გვეთქვა ზედმეტი ღირებულება, — რომელიც რჩება მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა უკვე მიიღო თავისი ხვედრი წილი თავისივე საკუთარი წლიური წარმოებიდან, შეადგენს იმ სუბსტანციას, რომლითაც კაპიტალისტთა კლასი ცხოვრობს.

რადგანაც საქონელთა ღირებულება განისაზღვრება მათში მოთავსებული შრომის რაოდენობით, და შრომის ხელფასი და ზედმეტი ღირებულება (მოგება) მხოლოდ ნაწილებია, პროპორციები, რომელთა მიხედვითაც მწარმოებელთა ორი კლასი საქონლის ღირებულებას ერთმანეთს შორის იყოფს, ამიტომ, ცხადია, რომ შრომის ხელფასის აწევა ან დაწევა მართალია ზედმეტი ღირებულების (მოგების) ნორმას განსაზღვრავს, მაგრამ საქონლის ღირებულებაზე ანუ მის ფასზე, როგორც საქონლის ღირებულების ფულად გამოხატულებაზე, გავლენას არ ახდენს. ის შეფარდება, რომლის მიხედვითაც მთელი ორ მონაწილეთა შორის იყოფა, ამ მთელს არც ადიდებს უფრო და არც აპატარავებს. მაშასადამე, ეს არის შემცდარი ცრუ შეხედულება, თითქოს შრომის ხელფასის აწევა საქონელთა ფასებს მაღლა სწევდეს; იგი დაბლა სწევს მხოლოდ მოგებას (ზედმეტ ღირებულებას). თვით ის გამონაკლისებიც, რომლებიც **რიკარდოს** მოჰყავს და რომლებიც იმაში მდგომარეობს, თითქოს ხელფასის ზრდა იწვევდეს ზოგიერთ საქონელთა საცვლელ ღირებულებათა დაცემას, ხოლო ზოგიერთ საქონელთა მიმართ კი ამ საცვლელ ღირებულებათა აწევას, შემცდარია, რამდენადაც საქმე ეხება **ღირებულებებს** და სწორია მხოლოდ **წარმოების ფასების** მიმართ.

ამრიგად, რადგანაც ზედმეტი ღირებულების (მოგების) ნორმა განისაზღვრება შრომის ხელფასის შეფარდებითი სიმაღლით, ამიტომ ისმის საკითხი, თუ როგორ განისაზღვრება თვით ეს სიმაღლე? თუ კონკურენციას მხედველობის გარეშე დავტოვებთ, ხელფასის ეს შეფარ-

დებითი სიმაღლე განისაზღვრება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასით. ეს ფასი კი თავის მხრივ კვლავ დამოკიდებულია შრომის პროდუქტიულობაზე, რომელიც იმდენად უფრო მეტია, რამდენადაც უფრო ნაყოფიერია მიწა; ამასთანავე რ ი კ ა რ დ ო გულისხმობს კაპიტალისტურ წარმოებას. ყოველი ტეხნიკური პროგრესი (improvement) ამცირებს საქონელთა, საარსებო საშუალებათა ფასებს. მაშასადამე, შრომის ხელფასი ანუ შრომის ღირებულება იწევს მაღლა ან ეცემა შებრუნებულ შეფარდებაში შრომის საწარმოო ძალის განვითარებასთან, რამდენადაც ეს შრომა იმ აუცილებელ საარსებო საშუალებებს აწარმოებს, რომელნიც მუშათა კლასის საშუალო მოხმარებაში შედის. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების (მოგების) ნორმა ეცემა ან იწევს მაღლა პირდაპირ შეფარდებაში იმასთან, თუ როგორ ვითარდება შრომის საწარმოო ძალა, ვინაიდან ეს განვითარება სცემს ან მაღლა სწევს შრომის ხელფასს.

მოგების (ზედმეტი ღირებულების) ნორმას არ შეუძლია დაეცეს უიმისოდ, თუ არ აიწია შრომის ხელფასმა, და მას არ შეუძლია აიწიოს უიმისოდ, თუ არ დაეცა შრომის ხელფასი.

შრომის ხელფასის ღირებულება უნდა შეფასდეს არა იმ საარსებო საშუალებათა რაოდენობის მიხედვით, რომელთაც მუშა ღებულობს, არამედ შრომის იმ რაოდენობის მიხედვით, რაც ეს საარსებო საშუალებანი ღირს, სინამდვილეში იმ პროპორციის მიხედვით, რომელსაც მუშა ითვისებს, იმ პროპორციული წილის მიხედვით, რომელსაც მუშა იღებს ერთობლივი პროდუქტიდან ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ამ პროდუქტის ერთობლივი ღირებულებიდან. შესაძლებელია, რომ მისი ხელფასი, შეფასებული სახმარ ღირებულებებში (საქონლის ან ფულის რაოდენობაში), მაღლა იწევდეს მზარდი პროდუქტიულობის დროს და, მიუხედავად ამისა, ღირებულების მიხედვით მაინც ეცემოდეს, და პირიქით. რ ი კ ა რ დ ო ს ერთ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან შეფარდებითი შრომის ხელფასი განიხილა და მას როგორც კატეგორიას ფიქსაცია უყო. მანამდე შრომის ხელფასი მუდამ განიხილებოდა ხოლმე მხოლოდ უბრალოდ და მუშასაც ამიტომ უყურებდენ როგორც ცხოველს. აქ კი ის განიხილება თავის სოციალურ ურთიერთობაში. კლასთა მდგომარეობა ერთი მეორის მიმართ განისაზღვრება უფრო პროპორციულ ხელფასთა მიერ, ვიდრე ხელფასთა აბსოლუტური მასით.

ზემომოყვანილი დებულებანი საჭიროა ახლა დავამტკიცოთ სათანადო ციტატებით რ ი კ ა რ დ ო ს ნაწარმოებიდან.

„ღირებულება ირმისა, რომელიც მონადირის ერთი დღის შრომის პროდუქტს შეადგენს, უდრის იმ თევზის ღირებულებას, რომელიც აგრეთვე მეთევზის ერთი დღის შრომის პროდუქტს წარმოადგენს. თევზისა და გარეული ცხოველის შეფარდებითი ღირებულება სავსებით განისაზღვრება თითოეულ მათგანში განხორციელებული შრომის რაოდენობით, როგორი დიდიც უნდა იყოს პროდუქტის რაოდენობა ან აგრეთვე რაგინდ მაღალი ან დაბალი უნდა იყოს ჩვეულებრივი ხელფასი და მოგება. თუ... მეთევზე ათ კაცს ამუშავებს, რომელთა წლიური შრომაც 100 გირვ. სტერლინგი ღირს, და რომელთა შრომაც მას ყოველდღიურად ოც ორაგულს აძლევს; შემდეგ, თუ... ასევე მონადირეც ათ კაცს ამუშავებს, რომელთა წლიური შრომა 100 გირვ. სტერლინგი ღირს და რომელნიც მას ყოველდღიურად ათ ირემს აძლევენ, — მაშინ ირმის ბუნებრივი ფასი უდრის ორ ორაგულს, რაგინდ დიდი ან პატარა იყოს ერთობლივი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მის მწარმოებელ მუშებს ერგება. იმ ნაწილის სიდიდე, რომელიც ხელფასისათვის გაიღება, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა მოგების სიდიდისათვის, ვინაიდან იმთავითვე ნათელია, რომ მოგება მაღალი ან დაბალია იმავე შეფარდებით, რა შეფარდებითაც ხელფასი დაბალი ან მაღალია. მაგრამ ეს გარემოება თევზის და ნადირის შეფარდებით ღირებულებაზე არავითარ შემთხვევაში გავლენას არ ახდენს, რადგანაც შრომის ხელფასი წარმოების ორივე დარგში იმავდროულად მაღალი ან დაბალი იქნება“ (l. c., 1-ლი თავი, მე-3 განყოფილება, გვ. 21).

•

ჩვენ ვხედავთ, რომ *რიკარდოს* საქონლის მთელი ღირებულება მოსაქმეობაში ჩაბმულ პირთა *შრომიდან* გამოჰყავს. ის, რაც მუშებსა და კაპიტალს შორის ნაწილდება — ეს არის მათი საკუთარი შრომა ანუ ამ შრომის პროდუქტი, ანუ ამ პროდუქტის ღირებულება.

„არავითარ ცვლილებას შრომის ხელფასში არ შეეძლოთ გამოეწვიათ ცვლილება ამ საქონელთა შეფარდებით ღირებულებაში. თუ შრომის ხელფასი აიწევდა, ამით სრულიადაც არ იქნებოდა საჭირო შრომის უფრო დიდი რაოდენობა წარმოების თითოეულ ამ დარგში, არამედ საჭირო იქნებოდა მხოლოდ ამ შრომის უფრო მაღალი ფასით გადახდა. შესაძლებელია შრომის ხელფასმა აიწიოს 20%-ით და მოგებამ კი დაიწიოს მეტი თუ ნაკლები პროპორციით, ისე რომ ამან სულ მცირეოდენი გავლენაც კი არ გამოიწვიოს საქონელთა შეფარდებით ღირებულებაში“ (l. c., გვ. 23).

„შრომის ღირებულების აწევა შეუძლებელია მოგების დაცემის გარეშე. თუ ხორბალი მოიჯარადრესა და მუშას შორის იყოფა, მაშინ პირველისათვის იმდენად ნაკლები დარჩება, რამდენადაც უფრო დიდი ნაწილი ხვდება მეორეს. იგივე ხდება, როდესაც მაუდი ან ჩითეული იყოფა დაქირავებულ მუშასა და მესარეწეს შორის: რამდენადაც დიდია პირველის ხვედრი წილი, იმდენად ნაკლებია უკანასკნელის“ (l. c., 1-ლი თავი, მე-4 განყოფილება, გვ. 31).

„*ადამ სმიტი* და ყველა მისი თანამომდევნო ავტორი ყოველი გამონაკლისის გარეშე, — წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამონაკლისი მე მეცოდინებოდა, — ამტკიცებდნენ, რომ შრომის ფასის აწევა ყოველთვის იწვევს ყველა საქონელთა ფასების აწევასაც. ვიმედოვნებ, მე შევძელი მეჩვენებია, რომ ეს შეხედულება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია“ (l. c., 1-ლი თავი, მე-6 განყოფილება, გვ. 45).

„ხელფასის აწევას მუშის მდგომარეობის გაუმჯობესების გამო ან იმ აუცილებელ საარსებო საშუალებების დამზადებაში წამოჭრილ მხარდ სიძნელეთა გამო, რომელზედაც ხელფასი იხარჯება, არ მოსდევს შედეგად, ზოგიერთ შემთხვევებს გარდა, ფასების აწევა, მაგრამ სამაგიეროდ ის უაღრესად დიდ გავლენას ახდენს მოგების დაწევაზე" (l. c., 1-ლი თავი, მე-7 განყოფილება, გვ. 48).

სულ სხვაგვარადაა საქმე, როდესაც შრომის ხელფასის აწევა გამომდინარეობს „ფულის ღირებულებაში მომხდარი ცვლილებიდან".

„ერთ (სახელდობრ, უკანასკნელად დასახელებულ) შემთხვევაში ამათუიმ ქვეყნის წლიური შრომის დიდი ნაწილი არ გამოიყენება მუშების შესანახავად, მეორე შემთხვევაში კი — ამ შრომის უდიდესი ნაწილი ამ მიზნისათვის გამოიყენება" (l. c.).

რიკარდო რომ სრული შეგნებით აიგივეებს ღირებულებას და წარმოების ხარჯებს, ამას [გვიჩვენებს შემდეგი ადგილი]:

„ბატონი მალთუსი, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ ჩემი მოძღვრების ნაწილს შეადგენს ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც საგნის ხარჯები და ღირებულება ერთიდაიგივეა. ეს სწორია, თუ მას ხარჯები ესმის როგორც წარმოების ხარჯები, მოგების ჩართვით" (l. c., 1-ლი თავი, მე-6 განყოფილება, გვ. 46, შენიშვნა).

„თუ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასი მაღლა იწევს, მაშინ შრომის ბუნებრივი ფასიც იზრდება; პირიქით, თუ ეცემა პირველი, ეცემა უკანასკნელიც" (l. c., მე-5 თავი, გვ. 86).

„პროდუქტთა გარდამეტი, რომელიც რჩება მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილებულია არსებული მოსახლეობის მოთხოვნილებანი, უნდა ბუნებრივი აუცილებლობით შეფარდებაში იმყოფებოდეს წარმოების შემოსავლიანობასთან ან წარმოებაში ჩაბმულ პირთა მცირე რიცხვთან" (l. c., გვ. 93).

„არც მოიჯარადრე, რომელიც ფასის განმსაზღვრელ მიწის ნაკვეთს ამუშავებს, და არც ფაბრიკანტი, რომელიც აწარმოებს სამრეწველო საქონელს, არ სწირავს თავისი პროდუქტის არცერთ ნაწილს რენტის სახით. მათი საქონლის ღირებულება მხოლოდ ორ ნაწილად იყოფა: ერთი ნაწილი შეადგენს კაპიტალის მოგებას, მეორე კი — შრომის ხელფასს" (l. c., მე-6 თავი, გვ. 107).

„დავუშვათ, რომ აბრეშუმის, ხავერდის, ავეჯის და სხვა საქონელთა ფასმა, იმ საქონელთა, რომლებსაც მუშა არ ყიდულობს, აიწია, რადგანაც მათზე მეტი შრომის დახარჯვა შეიქნა საჭირო; შეეხებოდა თუ არა ეს გარემოება მოგებას? არავითარ შემთხვევაში, რადგანაც მხოლოდ შრომის ხელფასის გადიდებას შეუძლია დასწიოს მოგება: მაგრამ აბრეშუმი და ხავერდი არ მოიხმარება მუშის მიერ და ამიტომაც მათ არ შეუძლიათ ასწიონ მისი ხელფასი" (l. c., მე-6 თავი, გვ. 118).

„თუ ათი კაცის შრომა განსაზღვრული ხარისხის მიწის ნაკვეთზე 180 კვარტერ ხორბალს იძლევა და აქედან თითოეული კვარტერის ღირებულება 4 გირვანქა სტერლინგს უდრის, მაშასადამე, საერთოდ 720 გირვ. სტერლინგს (გვ. 110)... მაშინ ყოველ შემთხვევაში ხელფასსა და მოგებას შორის უნდა გაიყოს 720 გირვ. სტერლინგის თანასწორი თანხა... ხელფასს ან მოგებას შეუძლია აიწიოს ან დაიწიოს, მაგრამ ორთავეს გასტუმრება მაინც უნდა მოხდეს 720 გირვ. სტერლინგის თანხი-

დან. ერთის მხრივ, მოგებას არასდროს არ შეუძლია მიაღწიოს ისეთ სიმაღლეს, რომელიც შთანთქავს ამ 720 გირვ. სტერლინგიდან იმდენს, რომ აღარ რჩება საკმაო რაოდენობა მუშათა აუცილებელ საარსებო საშუალებებით უზრუნველსაყოფად; მეორეს მხრივ, შრომის ხელფასი ვერას დროს ვერ აიწევს ისე მაღლა, რომ მან ამ თანხიდან აღარაფერი დასტოვოს მოგებისათვის" (l. c., მე-6 თავი, გვ. 113).

„მოგება დამოკიდებულია მაღალ ან დაბალ შრომის ხელფასზე, შრომის ხელფასი — აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასზე, ხოლო აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასი კი, უმთავრესად, — კვების საშუალებათა ფასზე, ვინაიდან ყველა სხვა აუცილებელი საგნები შეიძლება გამრავლებულ იქნას უსაზღვრო რაოდენობით" (l. c., მე-6 თავი, გვ. 119).

„თუმცა უფრო დიდი ღირებულება იქმნება [1], მაგრამ სამაგიეროდ დიდი ნაწილი იმისი, რაც ამ ღირებულებიდან რჩება რენტის გადახდის შემდეგ, მწარმოებლების [2] მიერ მოიხმარება, და ესაა სწორედ ის, რაც მარტოოდენ მოგებას საზღვრავს" (l. c., მე-6 თავი, გვ. 127).

„ტეხნიკური პროგრესის (improvement) არსებით თვისებას შეადგენს შემციროს შრომის რაოდენობა, რომელიც წინათ საჭირო იყო რომელიმე საქონლის საწარმოებლად; და ამ შემცირებას კი არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს საქონლის ფასის ანუ შეფარდებითი ღირებულების დაუწევლად" (l. c., მე-2 თავი, გვ. 70).

„შეამცირეთ ქუდების საწარმოო ხარჯები და მათი ფასიც, დაბოლოს, დაიწევს მათი ახალი ბუნებრივი ფასის დონემდე, კიდევაც რომ მოთხოვნა ორჯერ, სამჯერ ან ოთხჯერ გაიზარდოს. შეამცირეთ ადამიანთა შესანახი ხარჯები მისი კვებისა და ტანსაცმელის ბუნებრივი ფასის შემცირების გზით, რაც სიცოცხლის შენარჩუნებას ემსახურება, და ხელფასიც, დაბოლოს, დაეცემა, კიდევაც რომ მუშებზე მოთხოვნა ძლიერ გაიზარდოს" (l. c., მე-30 თავი, გვ. 460).

„რამდენადაც ნაკლები რჩება ხელფასისათვის, იმდენად მეტი რჩება მოგებისათვის და, პირიქით" (l. c., მე-32 თავი, გვ. 500).

„ამ ნაწარმოების ერთ ამოცანათაგანს შეადგენდა ჩვენება იმისი, რომ აუცილებელ საარსებო საშუალებათა რეალური ღირებულების ყოველი დაცემის დროს შრომის ხელფასი ეცემა, ხოლო კაპიტალის მოგება კი მაღლა იწევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: მოცემული წლიური ღირებულებიდან მუშათა კლასს უფრო მცირე ნაწილი ეძლევა და უფრო დიდი ნაწილი კი ხვდება მათ, ვისი ფონდის საშუალებითაც ამ მუშათა კლასის გამოყენებას აქვს ადგილი [3]. წარმოვიდგინოთ, რომ მრეწველობის განსაზღვრულ დარგში წარმოებულ საქონელთა ღირებულება უდრის 1000 გირვ. სტერლინგს, რომელიც მესარეწესა და მის მუშებს შორის ნაწილდება ისეთი პროპორციით, რომ 800 გირვანქა სტერლინგი ხვდება მუშებს და 200 გირვ. სტერლინგი კი — მესარეწეს. თუ ამ საქონელთა ღირებულება 900 გირვ. სტერლინგამდე ეცემა და 100 გირვ. სტერლინგი შრომის ხელფასიდან დაიზოგება საარსებო საშუალებათა ფასების დაწევის გამო, მაშინ მესარეწის წმინდა შემოსავალი არავითარი სახით არ შემცირდება" (l. c., მე-32 თავი, გვ. 512).

---

[1] მიწის გაუარესების დროს.

[2] ის აქ აიგივებს მუშას და მწარმოებელს.

[3] სწორედ ამ დებულებაში, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში სავსებით აღიარებულია, რ ი კ ა რ დ ო თუ ვერ ხვდება, ყოველ შემთხვევაში გამოხატავს მაინც კაპიტალის ბუნებას. ეს არის არა დაგროვილი შრომა, რომელიც მუშათა

„თუ მანქანების გაუმჯობესების გამო შესაძლებელი იქნებოდა მუშის ფეხსაცმელის და ტანსაცმელის დამზადება იმ შრომის ერთი მეოთხედის დახარჯვით, რომელიც ამჟამად საჭიროა მათ საწარმოებლად, მაშინ მათი ფასი, ალბათ, დაეცემოდა 75 პროცენტით. მაგრამ ამით მუშას არავითარ შემთხვევაში შესაძლებლობა არ მიეცემოდა, რომ მას ხანგრძლივად მოეხმარა ოთხი ტანსაცმელი და ოთხი ფეხსაცმელი ნაცვლად ერთისა; პირიქით, უფრო შესაძლებელია, რომ მისი ხელფასი სულ მოკლე დროში კონკურენციისა და მოსახლეობის გამრავლების გამო შეეგუებოდა იმ საარსებო საშუალებათა ახალ ღირებულებას, რომლებზედაც იგი იხარჯება. თუ კი ეს ტექნიკური გაუმჯობესებანი გავრცელდებოდა მუშის მოხმარების ყველა საგანზე, მაშინ ჩვენ, ალბათ, ვნახავდით, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ ის თავის მოხმარებას გაადიდებდა სულ მცირე ნაწილით, თუ საერთოდ რაიმე გადიდებას ადგილი ექნებოდა, თუმცა ამ საქონელთა საცვლელი ღირებულება, შედარებით სხვა საქონლებთან, საგრძნობლად შემცირდებოდა და თუმცა ისინი შრომის ნეტად შემცირებული რაოდენობის პროდუქტს წარმოადგენენ" (l. c., 1-ლი თავი, 1-ლი განყოფილება, გვ. 8).

„თუ ხელფასი მაღლა იწევს, ეს ხდება ყოველთვის მოგების ხარჯზე; და როდესაც იგი ეცემა, მოგება ყოველთვის იზრდება" (l. c., მე-32 თავი, გვ. 491, შენიშვნა).

„ამ ნაწარმოებში მე გადაჭრით ვესწრაფოდი მეჩვენებია, რომ მოგების ნორმამ შეიძლება აიწიოს მხოლოდ ხელფასის დაცემის გამო, და, რომ ხელფასის ხანგრძლივი დაცემა შეუძლებელია, თუ მას წინ არ უსწრებს იმ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასების დაცემა, რომლებზედაც ხელფასი იხარჯება. ამრიგად, თუ საგარეო ვაჭრობის გაფართოვებისა ან მანქანათა გაუმჯობესების გამო მუშის საკვები და სხვა საარსებო საშუალებანი შეიძლება უფრო მცირე ფასად გატანილ იქნან ბაზარზე, მაშინ მოგება აიწევს. თუ ჩვენ, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნის შიგნით თვითვე ვაწარმოოთ ხორბლეული ან ტანსაცმელი და მუშათა კლასისათვის საჭირო სხვა აუცილებელი საარსებო საშუალებანი, აღმოვაჩენთ ბაზარს, სადაც ჩვენ შეგვეძლება ამ საქონელთა უფრო იაფად ყიდვა, მაშინ შრომის ხელფასი დაეცემა და მოგება კი აიწევს. პირიქით, თუ საქონელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის გაფართოვებისა ან მანქანების გაუმჯობესების გამო უფრო იაფად გაიტანება ბაზარზე, მხოლოდ და მხოლოდ მდიდართა მოხმარების საგანს შეადგენს, მაშინ მოგების ნორმაში არავითარ ცვლილებას ადგილი არ ექნება. ხელფასის ნორმა არ იცვლება, როდესაც ღვინის, ხავერდის, აბრეშუმის ფასი, ვთქვათ, 50 პროცენტით ეცემა, და, მაშასადამე, მოგება უცვლელი დარჩება.

„ყოველ შემთხვევაში საგარეო ვაჭრობა უაღრესად სასარგებლოა ამათუიმ ქვეყნისათვის, რადგანაც იგი ამრავლებს იმ საგანთა რაოდენობას და მრავალსახეობას, რომლებზედაც შეიძლება დახარჯულ იქნას შემოსავალი და საქონელთა სიუხვით და სიიაფით კაპიტალის დაზოგვისათვის [1] და დაგროვებისათვის სტიმულს იძლევა, მაგრამ ამ საგარეო ვაჭრობას არა აქვს ტენდენცია ასწიოს კაპიტალის მოგება, თუ რომ შემოზიდული საქონელი საგანთა იმ კატეგორიას არ ეკუთვნის, რომელზედაც შრომის ხელფასი იხარჯება.

---

კლასის მიერ, თვით მუშების მიერ, გამოიყენება, არამედ ეს არის ფონდი, რომელიც ამ კლასს იყენებს, არის დაგროვილი შრომა, რომელიც ცოცხალ, უშუალო შრომას იყენებს.

[1] და რატომ არა დახარჯვის სტიმულს?

„შენიშვნები, რომლებიც საგარეო ვაჭრობას შეეხება, ერთნაირად ეხება აგრეთვე საშინაო ვაჭრობასაც. მოგების ნორმა არას დროს არ იზრდება შრომის უკეთესი დანაწილებისა, მანქანათა გამოგონებისა, გზების და არხების მოწყობისა ან სხვა იმ საშუალებათა გამო, რომლებიც ამცირებენ შრომას საქონელთა წარმოებისა და ტრანსპორტის დროს[1]. ეს ის მიზეზებია, რომლებიც ფასზე მოქმედებენ და ამიტომ მომხმარებლისათვის მუდამ ხელსაყრელი არიან, ვინაიდან ისინი მას საშუალებას აძლევენ იმავე შრომის საშუალებით და გაცვლის გზით მიიღოს ამ საქონელთა უფრო დიდი რაოდენობა, რომლებსაც ტეხნიკური გაუმჯობესებანი შეეხენ; მაგრამ მოგებაზე ისინი არავითარ გავლენას არ ახდენენ. მეორეს მხრივ, შრომის ხელფასის ყოველი შემცირება ადიდებს მოგებას, მაგრამ არავითარ გავლენას არ ახდენს საქონელთა ფასზე. ერთი ხელსაყრელია ყველა კლასისთვის, რადგანაც ყველა მომხმარებელნი არიან[2]; მეორე კი სასარგებლოა მხოლოდ მწარმოებელთათვის. ისინი მეტს იგებენ, თუმცა ყველა ფასები უცვლელი რჩება[3]. პირველ შემთხვევაში ისინი იმდენსავე იღებენ, რამდენსაც უწინ, მაგრამ ყველაფერი[4] ის, რაზედაც ისინი თავიანთ მოგებას ხარჯავენ, ეცემა თავის საცვლელ ღირებულებაში" (l. c., მე-7 თავი, გვ. 137, 138).

ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ადგილი უაღრესად დაუდევრად არის დაწერილი. მაგრამ, თუ ამ ფორმალურ მხარეზე არას ვიტყვით, ყველაფერი ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაცვლად მოგების ნორმისა წავიკითხავთ „ზედმეტი ღირებულების ნორმას", ისე როგორც ამას ადგილი აქვს მთელ ამ გამოკვლევაში შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების შესახებ. თვით ფუფუნების საგნების მიმართაც აღნიშნულ ტეხნიკურ გაუმჯობესებებს შეუძლიათ ასწიონ მოგების საერთო ნორმა, ვინაიდან მოგების ნორმა ამ სფეროებში, ისე როგორც ყოველ სხვა სფეროში, შედის მოგების ყველა განსაკუთრებულ ნორმათა გათანასწორებასა და მათ მოგების ერთ საშუალო ნორმაზე დაყვანაში. თუ ასეთ შემთხვევებში ზემოაღნიშნულ

[1] ეს-ესაა, რაც მან სულ წინააღმდეგი სთქვა; ცხადია, იგი ფიქრობს: არას დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ გაუმჯობესებათა გამო შრომის ღირებულება მცირდება.

[2] მაგრამ როგორაა ეს მუშათა კლასისათვის ხელსაყრელი, თუ რომ რიკარდო გულისხმობს, რომ ეს საქონელნი, თუ ისინი შრომის ხელფასის მოხმარებაში შედიან, ამცირებენ ამ ხელფასს, ხოლო, თუ ისინი მას თავისი გაიაფებით არ ამცირებენ, მაშინ არც შედიან მასში?

[3] აგრეთვე როგორაა ეს კვლავ შესაძლებელი, რაკი რიკარდო გულისხმობს, რომ შრომის ხელფასის შემცირება, რომელიც მოგებას ადიდებს, სწორედ იმიტომ ხდება, რომ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასი დაეცა, მაშასადამე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ „ყველა ფასები უცვლელი რჩება".

[4] არც ესაა კიდევ სწორი. სახელდობრ, უნდა ყოფილიყო ნათქვამი: ყველაფერი, გარდა აუცილებელ საარსებო საშუალებათა.

გავლენათა გამო მუდმივი კაპიტალის ღირებულება ეცემა შედარებით ცვალებად კაპიტალთან ან მოკლდება გადაბრუნების დროის ხანგრძლივობა, მაშასადამე, ხდება ცვლილება მიმოქცევის პროცესში, მაშინ მოგების ნორმა მაღლა იწევს. შემდეგ, საგარეო ვაჭრობის გავლენა სრულიად ცალმხრივად არის გაგებული. კაპიტალისტური წარმოებისთვის მთავარი და არსებითია პროდუქტის საქონლად განვითარება, განვითარება, რომელიც არსებითად დაკავშირებულია ბაზრის გაფართოებასთან, მსოფლიო ბაზრის შექმნასთან და, მაშასადამე, საგარეო ვაჭრობასთან.

სტოვებს რა ყველა ამას განზე, რ ი კ ა რ დ ო აყენებს, მაშასადამე, სწორ დებულებას, რომ ყველა ტეხნიკური პროგრესი, სულ-ერთია, არის იგი გამოწვეული შრომის დანაწილებით, მანქანათა და სატრანსპორტო საშუალებათა გაუმჯობესებით, საგარეო ვაჭრობის საშუალებით, თუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა იმ საშუალებათა გამო, რომლებიც კი მრეწველობაში ანდა საქონლის ტრანსპორტში აუცილებელ სამუშაო დროს ამოკლებენ,— ადიდებს ზედმეტ ღირებულებას (მაშასადამე, მოგებას) და, ამრიგად, ამდიდრებს კაპიტალისტთა კლასს, რადგანაც და რამდენადაც ეს „პროგრესი“ შრომის ღირებულებას დაბლა სწევს.

დასასრულ, ამ განყოფილებაში ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ციტატის სახით რამოდენიმე ადგილს, სადაც რ ი კ ა რ დ ო შეფარდებითი ხელფასის ბუნებას ანვითარებს.

„თუ მე ერთი მუშა ერთი კვირით დავიქირავე და 10 შილინგის ნაცვლად მას ვაძლევ მხოლოდ 8 შილინგს, და ეს ისე, რომ ფულის ღირებულებაში არავითარ ცვლილებას ადგილი არ ჰქონია, მაშინ შეიძლება მოხდეს ის, რომ მუშა ამ 8 შილინგით მეტ საარსებო საშუალებებს იძენს, ვიდრე ის იძენდა წინათ 10 შილინგის საშუალებით. მაგრამ ეს გარემოება უნდა მიეწეროს არა მისი ხელფასის რეალური ღირებულების გადიდებას, როგორც ამას ა. ს მ ი ტ ი და ახლახან კი ბატონი მ ა ლ თ უ ს ი ამტკიცებდა, არამედ იგი უნდა მიეწეროს იმ საგანთა — სრულიად განსაზღვრულ საგანთა — ღირებულების დაცემას, რომლებზეც ის თავის ხელფასს ხარჯავს; და მიუხედავად ამისა. მისაყვედურებენ, როდესაც მე ამას ხელფასის რეალური ღირებულების დაცემას ვუწოდებ, რომ ახალი და არაჩვეულებრივი ენით ლაპარაკობ, რომელიც მეცნიერების ნამდვილ პრინციპებს არ ეგუებაო“ (l. c., 1-ლი თავი. 1-ლი განყოფილება, გვ. 11, 12).

„მოგების, რენტის და შრომის ხელფასის ნორმის სწორად გაზომვა ჩვენ შეგვიძლია არა პროდუქტთა იმ აბსოლუტური რაოდენობის მიხედვით, რომელიც ყოველ კლასს წილად ხვდება, არამედ შრომის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც საჭიროა ამ პროდუქტთა დასამზადებლად. მანქანათა და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებათა საშუალებით ერთობლივი პროდუქტი შეიძლება გაორკეცდეს, მაგრამ თუ ხელფასი, რენტა და მოგებაც ასევე გაორკეცდება, მაშინ ესენი სამნივე ურთიერთ მიმართ წინანდებურ შეფარდებაში დარჩებიან და არცერთ

მათგანზე არ შეიძლება ვთქვათ, რომ იგი რელატიურად შეიცვალაო. მაგრამ, თუ ხელფასი არ იღებდა მონაწილეობას საერთო მომატებაში, თუ ის, მაშასადამე, ნაცვლად გაორკეცებისა ნახევრად გადიდდა... მაშინ მე სწორად ჩავთვლიდი მეთქვა, რომ... ხელფასმა დაიწია, მაშინ როდესაც მოგებამ აიწია. ვინაიდან, თუ ჩვენ პროდუქტის ღირებულების გასაზომავად უცვლელი საზომი გვქონოდა, დავინახავდით, რომ მუშათა კლასს უფრო მცირე ღირებულება ერგო, ხოლო კაპიტალისტთა კლასს კი უფრო მეტი, ვიდრე მათ წინათ მიიღეს" (l. c., 1-ლი თავი მე-7 განყოფილება, გვ. 49).

„დაცემა [შრომის ხელფასისა] იმიტომ კი არ იქნება ნაკლებად რეალური, რომ ახალი ხელფასი მუშას იაფ საქონელთა უფრო დიდი რაოდენობით ამარაგებს, ვიდრე მას ამარაგებდა წინანდელი ხელფასი" (l. c., გვ. 51).

კვინსი (Quincey), წინააღმდეგ სხვა ეკონომისტებისა, ხაზს უსვამს რიკარდოს მიერ განვითარებულ ზოგიერთ დებულებებს.

„რიკარდომდე ეკონომისტები იმ კითხვაზე, თუ რით განისაზღვრება ყველა საქონლის ღირებულება, იძლეოდენ პასუხს, რომ იგი განისაზღვრება უმთავრესად ხელფასითო. თუ კი შევეკითხებოდით: რით-და განისაზღვრება ეს ხელფასი? მიგვითითებდენ იმაზე, რომ ხელფასი შეეფარდება იმ საქონელთა ღირებულებას, რომლებზედაც იგი იხარჯება; მაშასადამე, პასუხი არსებითად იმაში მდგომარეობდა, რომ ხელფასი საქონელთა ღირებულებით განისაზღვრება" („Dialogues of Three Templars on Political Economy chiefly in relation to the principles of Mr. Ricardo". London Magazine 1824. Vol. XI. p. 560).

იმავე „Dialogues"-ში ლაპარაკია ღირებულების შრომის რაოდენობით და შრომის ღირებულებით გაზომვის კანონის შესახებ:

„ორივე ეს ფორმულა ძლიერ დაცილებულია იმას, რომ ერთიდაიმავე კანონის სხვადასხვა გამოხატულებას წარმოადგენდეს, ასე რომ საუკეთესო საშუალება ბატონი რიკარდოს კანონის ნეგატიურ ფორმაში გამოსახატავად [1] იქნებოდა ის, რომ გვეთქვა: A-ს ღირებულება ისე არ შეეფარდება B-ს ღირებულებას, როგორც შეეფარდებიან ერთმანეთს მათი მწარმოებელი შრომის ღირებულებანი [2]" (l. c., გვ. 348).

---

[1] სახელდობრ, A-ს ღირებულება ისე შეეფარდება B-ს ღირებულებას, როგორც შეეფარდებიან ერთმანეთს მათი მწარმოებელი შრომის ღირებულებანი.

[2] კაპიტალის ორგანიული შედგენილობა რომ A-სა და B-ში ერთიდაიგივე ყოფილიყო, მაშინ, მართლაც შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ისინი ერთმანეთს ისე შეეფარდებიან, როგორც მათი მწარმოებელი შრომის ღირებულებანი, ვინაიდან ორივეში დაგროვილი შრომა ისეთსავე შეფარდებაში იქნებოდა ერთი მეორის მიმართ, როგორც უშუალო შრომა ორივეში. მაგრამ გადახდილი შრომის რაოდენობანი ორივეში ისეთივე შეფარდებაში იქნებოდენ ერთმანეთთან, როგორც მათზე დახარჯული უშუალო შრომის საერთო რაოდენობანი. წარმოვიდგინოთ, რომ ორივე კაპიტალის ორგანიული შედგენილობა არის 80 c + 20 v და ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის 50 პროცენტს. თუ ერთი კაპიტალი იქნებოდა = 500 და მეორე კი = 300, მაშინ პროდუქტი იქნებოდა პირველ შემთხვევაში = 550, მეორეში = 330. მაგრამ ისინი მაშინაც იმავე ურთიერთ შეფარდებაში იქნებოდენ,

„თუ ფასი 10 შილინგს უდრის, მაშინ ხელფასს და მოგებას ერთად არ შეუძლიათ შეადგინონ 10 შილინგზე მეტი. მაგრამ ნუთუ უფრო სწორი არაა, რომ ხელფასი და მოგება, ერთად აღებული, არის ის, რაც ფასს განსაზღვრავს? არა, ეს არის ძველი და უარყოფილი მოძღვრება“ (Th. de Quincey, The Logic of Political Economy. Edinburg 1844. გვ. 204).

„ახალმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გვიჩვენა, რომ ყოველი ფასი განისაზღვრება წარმოების დროს გამოყენებული შრომის შეფარდებითი რაოდენობით და მხოლოდ და მხოლოდ ამ უკანასკნელით. რაკი ერთხელვე ეს ფასი დადგენილია, შემდეგ ეს ფასი სწორედ ამით განსაზღვრავს იმ ფონდს, საიდანაც ხელფასი და მოგება თავიანთ წილს იღებენ“ (l. c., გვ. 204). „ყოველი ცვლილება, რომელსაც კი შეუძლია დაარღვიოს ხელფასსა და მოგებას შორის არსებული შეფარდება, უნდა გამომდინარეობდეს ხელფასიდან“ (l. c., გვ. 205). „რიკარდომ... სცადა რენტის შესახებ საკითხი უშუალოდ დაეკავშირებია ღირებულებასთან, წამოაყენა რა მან საკითხი შემდეგი სახით: იწვევს თუ არა მიწის მითვისება და აქედან გამომდინარე შექმნა რენტისა საქონელთა შეფარდებით ღირებულებაში რაიმე ცვლილებას, დამოუკიდებლად მათი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროისა“ (l. c., გვ. 158).

## 4. მოგების ნორმა.

### a) მოგების მასა და ნორმა.

უკვე დაწვრილებით იქნა დამტკიცებული, რომ ზედმეტი ღირებულების — ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ზედმეტი ღირებულების ნორმის — კანონები, თუ სამუშაო დღეს მოცემულად ვიგულისხმებთ, არც ისე უშუალოდ და უბრალოდ თანაემთხვევიან მოგების კანონებს ანდა გამოიყენებიან მათზე, როგორც ამას რიკარდო ჩადის, რომ რიკარდო ზედმეტ ღირებულებას და მოგებას შეცდომით აიგივეებს, რომ ეს უკანასკნელნი იდენტიური არიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ერთობლივი კაპიტალი ცვალებადი კაპიტალისაგან შესდგება ანუ შრომის ხელფასზეა უშუალოდ დახარჯული; და ამიტომ ის, რასაც რიკარდო „მოგების“ სახელწოდებით იხილავს, საერთოდ მხოლოდ ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აგრეთვე ერთობლივი პროდუქტი უშუალოდ შრომის ხელფასად და ზედმეტ ღირებულებად იშლება. რიკარდო იზიარებს აშკარად სმიტის შეხედულებას, რომ წლიური პროდუქტის ერთობლივი ღირებულება შემოსავალში გადადის. აქედანვე წარმოსდგება აგრეთვე მის მიერ ღირებულების და წარმოების ფასის ერთმანეთში არევა.

როგორც შრომის ხელფასნი, როგორც 100 : 60 ანუ როგორც 5 : 3. მაგრამ თვით მაშინაც კი გვეცოდინებოდა მხოლოდ მათი შეფარდება და არა მათი ნამდვილი ღირებულებანი, რადგანაც შეფარდებას 5 : 3 ღირებულების მეტად სხვადასხვა რაოდენობანი შეესაბამება.

აქ არაა საჭირო განმეორებულ იქნას, რომ მოგების ნორმა უშუალოდ არ ემორჩილება იმავე კანონებს, რომლებსაც ექვემდებარება ზედმეტი ღირებულების ნორმა.

ჯ ე რ ე რ თ ი, მოგების ნორმას შეუძლია აიწიოს ან დაეცეს რენტის დაცემის ან აწევის გამო, სრულიად დამოუკიდებლად შრომის ღირებულებაში მომხდარი ცვლილებისაგან.

მ ე ო რ ე: მოგების აბსოლუტური მასა უდრის ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ მასას. მაგრამ ზედმეტი ღირებულების მასა განისაზღვრება არა მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმით, არამედ ასეთივე ზომით განისაზღვრება იგი გამოყენებულ მუშების რაოდენობითაც. ამიტომ შესაძლებელია, რომ მოგების ერთსადაიმავე მასას ჰქონდეს ადგილი ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემისა და მუშათა რიცხვის გადიდების პირობებში და პირიქით, და სხვ.

მ ე ს ა მ ე: ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის დროს მოგების ნორმა დამოკიდებულია კაპიტალის ორგანიულ შედგენილობაზე.

მ ე ო თ ხ ე: მოცემული ზედმეტი ღირებულების პირობებში, რითაც ნაგულისხმევია მოცემულად აგრეთვე კაპიტალის ორგანიული შედგენილობა ყოველ 100-ზე, მოგების ნორმა დამოკიდებულია კაპიტალის იმ სხვადასხვა ნაწილების ღირებულების შეფარდებაზე, რომელთაც შეუძლიათ განიცადონ გავლენა სხვადასხვა სახით, ნაწილობრივ საწარმოო პირობების გამოყენებაში ძალთა დაზოგვის გამო, ნაწილობრივ კი ღირებულებაში მომხდარ იმ ცვლილებათა გამო, რომლებიც შეიძლება შეეხონ კაპიტალის ერთ ნაწილს, მაშინ როდესაც მის მეორე ნაწილს ხელშეუხებლად სტოვებენ.

დასასრულ, სათვალავში მისაღები იქნებოდენ მიმოქცევის პროცესიდანაც გამომდინარე განსხვავებანი კაპიტალის ორგანიულ შედგენილობაში.

ზოგიერთ მოსაზრებებს, რომელნიც თვით რ ი კ ა რ დ ო ს ა ც მოეპოვება, შეეძლოთ იგი მიეყვანათ ზედმეტი ღირებულების და მოგების განსხვავებამდე. იმის გამო, რომ იგი ამას არ ჩადის, იგი, როგორც ეტყობა — როგორც ეს უკვე 1-ლი თავის ანალიზის დროს ღირებულებასთან დაკავშირებით აღნიშნული იყო, — ალაგ-ალაგ იმ ვულგარულ შეხედულებაში ვარდება, რომლის მიხედვითაც მოგება წარმოადგენს უბრალო დამატებას საქონლის ღირებულებაზე; ასე, მაგალითად, როდესაც ის ისეთი კაპიტალის მოგების განსაზღვრაზე ლაპარაკობს, რომელშიც ძირითადი კაპიტალი სჭარბობს და სხვ. აქედან წარმოსდგება მის მემკვიდრეთა დიდი უაზრობა. თუ დებუ-

ლება, რომელიც პრაქტიკულად სწორია და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თანასწორი სიდიდის კაპიტალებმა საშუალოდ თანასწორი მოგება უნდა მოგვცენ ანდა, რომ მოგება დამოკიდებულია გამოყენებული კაპიტალის სიდიდეზე, — თუ ეს დებულება არაა დაკავშირებული მთელი რიგი შუალედი რგოლების მეშვეობით საყოველთაო კანონებთან ღირებულების შესახებ და სხვ., ერთი სიტყვით, თუ მოგება და ზედმეტი ღირებულება გაიგივეებულია, რაც სწორია მხოლოდ საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალისათვის, — მაშინ ვულგარულმა შეხედულებამ აუცილებლად თავი უნდა იჩინოს. ამიტომ რ ი კ ა რ დ ო ს თ ვ ი ს გადაჰრილია ყოველი გზა მოგების საერთო ნორმის განსაზღვრისაკენ.

რ ი კ ა რ დ ო ხედავს, რომ საქონელთა ღირებულების [ანუ ფასის] ისეთი ცვლილებების გამო, რომელნიც კაპიტალის ყველა ნაწილზე თანაბრად მოქმედებენ, როგორც, მაგალითად, ცვლილებანი ფულის ღირებულებაში, — მოგების ნორმა გავლენას არ განიცდის. ამიტომ მას უნდა გაეკეთებია დასკვნა, რომ მოგების ნორმა გავლენას განიცდის საქონლის ღირებულების ისეთ ცვლილებათა გამო, რომელნიც კაპიტალის ყველა ნაწილებზე არათანაბრად მოქმედებენ; რომ, მაშასადამე, მოგების ნორმის ცვლილებანი შესაძლებელია შრომის ღირებულების უცვლელობის დროს და თვით საწინააღმდეგო მიმართულების დროსაც კი, ე. ი. შრომის ღირებულების ცვლილებებთან ერთად. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ის მტკიცედ უნდა მდგარიყო იმაზე, რომ ის აქ ზედმეტ პროდუქტს ანუ, რაც მისთვის იგივეა, ზედმეტ ღირებულებას ანუ, რაც კვლავ იგივეა, ზედმეტ შრომას, — რაკი იგი მას მოგების sub specie-თ იხილავს, — ანგარიშობს არა მარტო ცვალებად კაპიტალთან შეფარდებით, არამედ მთელ ავანსად გაღებულ კაპიტალთან შეფარდებით. ფულის ღირებულებაში ცვლილების შესახებ ის შემდეგს ამბობს:

„ფულის ღირებულებაში მომხდარი ცვლილება, როგორი დიდიც უნდა იყოს იგი, მოგების ნორმის არავითარ შეცვლას არ იწვევს. ვინაიდან, თუ წარმოვიდგენთ, რომ ფაბრიკანტის დოვლათი იზრდება 1000 გირვ. სტერლინგიდან 2000 გირვ. სტერლინგამდე ანუ 100%-ით, მაშინ ფულის ღირებულების ცვლილებას მის კაპიტალზე იგივე გავლენა აქვს, როგორც მის პროდუქტზე. თუ მისი კაპიტალი, მისი მანქანები, შენობები და მარაგი ასევე 100%-ით იზრდება, მაშინ მისი მოგების ნორმა იგივე დარჩება... თუ მას შეუძლია მოცემული ღირებულების კაპიტალის საშუალებით შრომის დაზოგვის გზით აწარმოოს პროდუქტთა ორჯერ მეტი რაოდენობა წინანდელთან შედარებით და პროდუქტის წინანდელი ფასი სანახევროდ ეცემა, მაშინ ეს პროდუქტი იმავე შეფარდებაში იქნება მის მწარმოებელ კაპიტალთან, როგორ შეფარდებაშიც უწინ იყო და, მაშასადამე, მოგება იმავე დონეზე

დარჩება. თუ იმავე დროს განმავლობაში, რომელშიც ის იმავე კაპიტალის საშუალებით წარმოებულ პროდუქტთა რაოდენობას აორკეცებს, ფულის ღირებულება რაიმე შემთხვევითი მოვლენის ზეგავლენით სანახევროდ დაეცემა, მაშინ პროდუქტი წინანდელ ფასთან შედარებით ორჯერ მეტად გაიყიდება; მაგრამ წარმოებაში გამოყენებულ კაპიტალსაც ასევე ორჯერ მეტი ფულადი ღირებულება ექნება; და, ამრიგად, ამ შემთხვევაშიც პროდუქტის ღირებულება იმავე შეფარდებაში დარჩება კაპიტალის ღირებულებასთან, როგორც უწინ იყო" (l. c., 1-ლი თავი, მე-7 განყოფილება, გვ. 51, 52).

თუ რიკარდოს უკანასკნელ დებულებაში პროდუქტი ესმის როგორც ზედმეტი პროდუქტი, მაშინ საქმის ვითარება სწორია. ვინაიდან მოგების ნორმა უდრის ზედმეტ პროდუქტს (ზედმეტ ღირებულებას), გაყოფილს გამოყენებულ კაპიტალზე. ხოლო თუ მას აქ ერთობლივი პროდუქტი აქვს მხედველობაში, მაშინ საგანი ვერ არის ზედმიწევნით გამოხატული. მაშინ მას პროდუქტის ღირებულების შეფარდება კაპიტალის ღირებულებასთან აშკარად ისე ესმის, როგორც მხოლოდ საქონლის ღირებულების გარდამეტი ავანსად გაღებულ კაპიტალის ღირებულებაზე. ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ ის აქ არ აიგივეებს მოგებას და ზედმეტ ღირებულებას, არ აიგივეებს მოგების ნორმას ზედმეტი ღირებულების ნორმასთან, რომელიც უდრის ზედმეტ ღირებულებას, გაყოფილს შრომის ღირებულებაზე ანუ ცვალებად კაპიტალზე.

მე-32 თავში რიკარდო ამბობს:

„თუ ნედლი პროდუქტი, რომლიდანაც საქონელი მზადდება, ფასში ეცემა, მაშინ ამის გამო ამ საქონელთა ფასიც ეცემა. ისინი უეჭველად დაეცემიან, მაგრამ მათ დაცემას თან არ მოსდევს მწარმოებლისათვის მისი ფულადი შემოსავლის რაიმე შემცირება. თუ იგი მათ ნაკლებ ფულზე ყიდის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმა იმ მასალათაგანმა, რომლისგანაც ის საქონელი მზადდება, თავის ღირებულებაში დაიწია. თუ მაუდის ფაბრიკანტი თავის მაუდს, ნაცვლად 1000 გირვ. სტერლინგისა, 900 გირვ. სტერლინგად ყიდის, მაშინ მისი შემოსავალი არ იქნება ამიტომ უფრო ნაკლები, თუ ღირებულება მატყლისა, რომლიდანაც მაუდი მზადდება, თავის ღირებულებაში ამავე 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობით ეცემა" (l. c., გვ. 518).

მომენტი, რომელსაც რიკარდო აქ საკუთრივ იხილავს, ე. ი. შედეგები ამ პრაქტიკულ შემთხვევაში, ჩვენ აქ სრულებით არ გვაინტერესებს. მატყლის ღირებულების ანაზდეული დაცემა, ყოველ შემთხვევაში, უარყოფით გავლენას მოახდენდა მაუდის იმ მწარმოებელთა ფულად შემოსავალზე, რომელთაც საწყობში ექნებოდათ მზა მატერიის დიდი მარაგი, მარაგი, რომელიც იმ დროსაა გაკეთებული, როდესაც მატყლი უფრო ძვირი ღირდა და რომელიც იმ დროს უნდა გაიყიდოს, როდესაც უკვე მატყლის ღირებულება დაეცა.

თუ მაუდის მწარმოებელთ, როგორც ამას აქ *რიკარდო* გულისხმობს, შრომის იგივე რაოდენობა მოჰყავთ მოძრაობაში, როგორც წინათ (მათ შეუძლიათ მეტი რაოდენობის ამოქმედებაც, რადგანაც განთავისუფლებული კაპიტალის ერთი ნაწილი, რომელიც უწინ მხოლოდ ნედლ მასალაზე იყო დახარჯული, ახლა შეიძლება დახარჯულ იქნას ნედლ მასალასა და შრომაზე), მაშინ ცხადია, რომ მათი „ფულადი შემოსავალი", განხილული აბსოლუტურად, არ იქნება უფრო ნაკლები, მაგრამ მათი მოგების ნორმა უფრო მეტი იქნება წინანდელთან შედარებით; ვინაიდან იგივე, ვთქვათ, 100 გირვ. სტერლინგი უნდა გვეანგარიშებია ახლა ნაცვლად 1000 გირვ. სტერლინგისა, 900 გირვ. სტერლინგზე. პირველ შემთხვევაში მოგების ნორმა იქნებოდა 10 პროცენტი. მეორე შემთხვევაში კი — $11^1/_9$ პროცენტი. და აი *რიკარდოც* ფიქრობს, რომ თუ ნედლი პროდუქტი, რომელიდანაც საქონელი მზადდება, საერთოდ ეცემა ფასში, მაშინ მაღლა იწევს მოგების საერთო ნორმა და არა მარტო მოგების ნორმა წარმოების რომელიმე დარგში. მით უფრო საკვირველია, რომ *რიკარდო* ამას ვერ ხედავს, მაშინ როდესაც საწინააღმდეგო შემთხვევა მისთვის სრულიად ნათელია.

სწორედ მე-6 თავში, „მოგების შესახებ", *რიკარდო* იხილავს იმ შემთხვევას, როდესაც აუცილებელ საარსებო საშუალებათა გაძვირებისა, უმდარესი მიწის დამუშავებისა და, მაშასადამე, მზარდი დიფერენციალური რენტის გამო, მაღლა იწევს, ჯერ ერთი, შრომის ხელფასი და მეორე — მიწის ზედაპირზე მოპოვებული ყველა ნედლი პროდუქტის ღირებულება; ეს გულისხმობა სრულიადაც საჭირო არაა. ბამბას შეუძლია ძლიერ კარგად დაეცეს ფასში, აგრეთვე აბრეშუმს, მატყლს და სელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ხორბლეულის ფასი მატულობს.

*რიკარდო* ამბობს, ჯერ ერთი, იმას, რომ ზედმეტი ღირებულება (ის ამბობს: მოგება) მოიჯარადრისა დაეცემა, რადგანაც იმ 10 კაცის შრომის პროდუქტის ღირებულება, რომელთაც ის იყენებს, წინანდებურად შეადგენს 720 გირვ. სტერლინგს და მან ამ 720 გირვ. სტერლინგის ფონდიდან უფრო მეტი უნდა გაიღოს. შემდეგ *რიკარდო* განაგრძობს:

„მაგრამ მოგების ნორმა კიდევ უფრო დაეცემა, რადგანაც მოიჯარადრის კაპიტალი უმეტეს ნაწილად შესდგება ისეთი ნედლი პროდუქტებიდან, როგორიცაა პურეულის და თივის ზვინები, დაუფქვავი ხორბალი და ქერი, ცხენები და ძროხები, რომელთა ფასიც პროდუქტის ფასის აწევის გამო მაღლა იწევს. მისი აბსოლუტური მოგება 480 გირვ. სტერლინგიდან 445 გირვ. სტერლინგსა და 18 შილინგამდე

დაიწევს; მაგრამ თუ იმ მიზეზის გამო, რომელიც მე ეს-ესაა მოვიყვანე, მისი კაპიტალი გაიზრდება 3000 გირვ. სტ.-დან 3200 გირვ. სტერლინგამდე, მაშინ მისი მოგების ნორმა, პურის 5 გირვ. სტერლინგის, 2 შილინგის და 10 პენსის კვალობაზე, 14 პროცენტზე დაბლა დაიწევს.

„ფაბრიკანტსაც რომ ასევე თავის სარეწაოში 3000 გირვ. სტერლინგი დაებანდებია, ხელფასის აწევის გამო იგი იძულებული შეიქნებოდა გაედიდებია თავისი კაპიტალი, რათა მას შესძლებოდა იმავე სარეწაოს წარმართვა. თუ მისი საქონელი წინათ 720 გირვ. სტერლინგად იყიდებოდა, იგი აწიც იმავე ფასად გასაღდება; მაგრამ შრომის ხელფასი, რომელიც წინათ 240 გირვ. სტერლინგს შეადგენდა, ახლა 274 გირვ. სტერლინგსა და 5 შილინგამდე აიწევდა, თუ პურეულის ფასი 5 გირვ. სტერლ. 2 შილინგი და 10 პენსი იქნებოდა. პირველ შემთხვევაში ფაბრიკანტს ექნებოდა გარდამეტი 480 გირვ. სტერლინგი როგორც მოგება 3000 გირვ. სტერლინგიდან, მეორეში კი — მხოლოდ 445 გირვ. სტერლინგი და 15 შილინგი მოგება უფრო გადიდებულ კაპიტალზე, და ამიტომ მისი მოგების ნორმა შეეგუებოდა მოიჯარადრის შეცვლილ მოგების ნორმას“ (l. c., მე-6 თავი, გვ. 116, 117).

აქ რიკარდო, მაშასადამე, ანსხვავებს ერთი მეორისაგან აბსოლუტურ მოგებას (ზედმეტ ღირებულებას) და მოგების ნორმას და გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ავანსად გაღებული კაპიტალის ღირებულების ცვლილების გამო მოგების ნორმა უფრო ეცემა, ვიდრე ეცემა აბსოლუტური მოგება (ზედმეტი ღირებულება) შრომის ღირებულების აწევის გამო. მოგების ნორმა აქ სწორედ ასევე დაეცემოდა, თუ შრომის ღირებულება იგივე დარჩებოდა, რადგანაც იგივე აბსოლუტური მოგება უნდა ყოფილიყო გამოანგარიშებული უფრო დიდ კაპიტალზე. მოგების ნორმის აწევის (განსხვავებით ზედმეტი ღირებულების და აბსოლუტური მოგების აწევისაგან) საწინააღმდეგო შემთხვევას ექნებოდა ადგილი, მაშასადამე, წინათ მოყვანილ შემთხვევაში, როდესაც ნედლი პროდუქტის ღირებულება ეცემა. ამრიგად, ირკვევა, რომ მოგების ნორმის აწევა ან დაცემა კიდევ სხვა გარემოებებით განისაზღვრება, ვიდრე აბსოლუტური მოგების და მისი ნორმის აწევა ან დაცემა, — იმ ნორმისა, რომელიც შრომის ხელფასზე დახარჯულ კაპიტალზე გამოიანგარიშება.

ამ უკანასკნელ ციტატის სახით მოყვანილ ადგილას რიკარდო განაგრძობს:

„ძვირფასი სამკაულის, რკინის, ვერცხლის და სპილენძის საქონლის ფასი არ აიწევდა, რადგანაც მათ წარმოებაში მიწის ზედაპირის არცერთი ნედლი პროდუქტი არ შედის“ (l. c., გვ. 117).

ამ საქონლის ფასები არ აიწევს, მაგრამ მოგების ნორმა წარმოების ამ დარგებში უფრო მაღლა აიწევდა შედარებით მოგების ნორმასთან წარმოების სხვა დარგებში. იმიტომ, რომ სხვა დარგებში შრომის ხელფასის აწევის გამო უფრო ნაკლები ზედმეტი ღირებუ-

ლება უწევს ავანსად გაღებულ კაპიტალს, რომელიც თავისი ღირებულებით ორი მიზეზის გამო გაიზარდა; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გაიზარდა ხარჯები შრომის ხელფასზე, მეორე, იმიტომ, რომ გაიზარდა ხარჯები ნედლი მასალისათვის. მეორე შემთხვევაში ავანსად გაღებულ კაპიტალს, რომელიც შრომის ხელფასის აწევის გამო მხოლოდ თავის ცვალებად ნაწილში გაიზარდა, უფრო ნაკლები ზედმეტი ღირებულება უწევს. თავისი ნაწარმოების ამ ადგილებში რ ი კ ა რ დ ო თვითვე უარყოფს მთელ თავის მოგების თეორიას, რომელიც დამყარებულია ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მოგების ნორმის გაიგივეებაზე.

„ყოველ შემთხვევაში როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამრეწველო მოგება მცირდება ნედლი პროდუქტის ფასის აწევის გამო, თუ ამ აწევას თან ახლავს შრომის ხელფასის აწევა“ (l. c., გვ. 113, 114).

თვით რ ი კ ა რ დ ო ს ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ, კიდევაც რომ ნედლი პროდუქტის ფასის აწევას თან არ ახლდეს შრომის ხელფასის აწევა, მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა მაინც დაეცემოდა ავანსად გაღებული კაპიტალის იმ ნაწილის ფასის აწევის გამო, რომელიც ნედლი პროდუქტიდან შესდგება.

„წარმოვიდგინოთ, რომ ფასი აბრეშუმის, ხავერდის, ავეჯის და სხვა საქონელთა, რომელთაც მუშა არ ყიდულობს, იწევს მაღლა, რადგანაც მეტი შრომის დახარჯვაა მათზე საჭირო; შეეხება თუ არა ეს მოგებას? არავითარ შემთხვევაში. ვინაიდან მოგების შემცირება შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ შრომის ხელფასის აწევას. აბრეშუმი და ხავერდი არ მოიხმარება მუშების მიერ და ამიტომაც მათ არ შეუძლიათ მათი ხელფასის აწევა“ (l. c., გვ. 118).

უეჭველია, რომ მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა აღნიშნულ განსაკუთრებულ საწარმოო დარგებში დაეცემოდა, თუმცა შრომის ღირებულება, შრომის ხელფასი უცვლელი დარჩებოდა. ნედლი მასალა აბრეშუმის ფაბრიკანტისათვის, პიანინოს ფაბრიკანტისათვის, ავეჯეულობის ფაბრიკანტისათვის და სხვ. გაძვირდებოდა; მაშასადამე, იმავე ზედმეტი ღირებულების შეფარდება დახარჯულ კაპიტალთან და ამიტომ მოგების ნორმა დაეცემოდა. მოგების საერთო ნორმა კი შესდგება წარმოების ყველა დარგში მოცემულ მოგების ცალკე ნორმათა საშუალოდან. ანდა აღნიშნული ფაბრიკანტები, რათა წინანდებურად საშუალო მოგება მიეღოთ, ასწევდენ თავიანთი საქონლის ფასებს. ფასების ასეთი ნომინალური აწევა არ ახდენს უშუალოდ გავლენას მოგების ნორმაზე, მაგრამ იგი გავლენას ახდენს მოგების დახარჯვაზე.

რ ი კ ა რ დ ო ერთხელ კიდევ უბრუნდება ზემოთ განხილულ შემთხვევას, სადაც ზედმეტი ღირებულება (აბსოლუტური მოგება)

ეცემა, რადგანაც მაღლა იწევს აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასი (და ამასთანავე მიწის რენტა).

„მე ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ მოგების ნორმა ბევრად უფრო სწრაფად დაეცემა, ვიდრე ეს ჩემს გამოანგარიშებაში დავუშვი; ვინაიდან, თუ პროდუქტის ღირებულება ისე მაღალია, როგორც მე ეს აღებულ პირობებში ვიგულისხმე, მაშინ მოიჯარადრის კაპიტალის ღირებულება ძლიერ აიწევს მაღლა, რადგანაც ეს კაპიტალი აუცილებლად შესდგება მრავალ იმ საქონელთაგან, რომელთა ღირებულებაც გადიდებულია. ხორბალს, ალბათ, არ შეეძლო 4 გირვ. სტერლინგიდან 12 გირვ. სტერლინგამდე აეწია უიმისოდ, თუ მისი კაპიტალის საცვლელი ღირებულება არ გაორკეცდებოდა და ნაცვლად 3000 გირვ. სტერლინგისა 6000 გირვ. სტერლინგი არ გახდებოდა. თუ კი მისი მოგება შემდეგ 180 გირვ. სტერლინგი იქნებოდა ანუ თავდაპირველი კაპიტალის 6 პროცენტი, მაშინ მისი მოგების ნორმა სინამდვილეში არ იქნებოდა 3 პროცენტზე უფრო მაღალი, იმიტომ რომ 6000 გირვ. სტერლინგი 3 პროცენტის კვალობაზე იძლევა 180 გირვ. სტერლინგს; და მხოლოდ ასეთ პირობებში შეეძლო ახალ მოიჯარადრეს 6000 გირვ. სტერლინგით ჯიბეში საიჯარო მოსაქმეობის დაწყება.

„წარმოების მრავალი დარგი მიიღებდა იმავე წყაროდან რამოდენიმე მეტ თუ ნაკლებ სარგებლობას. ლუდის მხდელი, არაყის მხდელი, მაუდის ფაბრიკანტი და სელის ფაბრიკანტი თავიანთი მოგების შემცირების ანაზღაურებას მიიღებენ ნაწილობრივ მათი იმ კაპიტალის ღირებულების აწევით, რომელიც შესდგება ნედლი და გადამუშავებული მასალიდან. მაგრამ რკინეულის, ოქრომჭედლის და მრავალ სხვა საქონელთა ფაბრიკანტები განიცდიდენ მოგების ნორმის მთელ დაცემას ყოველივე კომპენსაციის გარეშე" (l. c., გვ. 123, 124).

მნიშვნელოვანია აქ მხოლოდ ის, რასაც რიკარდო ვერ ამჩნევს; სახელდობრ, რომ იგი მოგებისა და ზედმეტი ღირებულების თავისსავე გაიგივეებას აყირავებს და აგრეთვე ვერ ამჩნევს, რომ მოგების ნორმას, შრომის ღირებულებიდან დამოუკიდებლად, შეუძლია გავლენა განიცადოს მუდმივი კაპიტალის ღირებულებაში მომხდარი ცვლილების გამო. დანარჩენში მისი ილიუსტრაცია სწორია მხოლოდ ნაწილობრივ. ის მოგება, რომელსაც მოიჯარადრე, მაუდის მწარმოებელი და სხვ. მიიღებდენ ხელზე ქონებულ და ბაზარზე მყოფ საქონელთა მარაგის ფასის აწევის გამო, შესწყდებოდა, რასაკვირველია, მაშინვე, როგორც კი ისინი ამ საქონელს გაასაღებდენ. სწორედ ასევე მათი კაპიტალის ღირებულების აწევა აღარ იქნებოდა მათთვის არავითარი მოგება, როგორც კი ის კაპიტალი მოხმარებული იქნებოდა და უნდა კვლავ რეპროდუქციაქმნილი ყოფილიყო. მაშინ ყველა ისინი მოხვდებოდენ რიკარდოს მიერ მაგალითის სახით მოყვანილ ახალი მოიჯარადრის მდგომარეობაში, რომელსაც 6000 გირვ. სტერლინგის კაპიტალი უნდა გაეღო ავანსის სახით, რათა მიეღო მოგება 3 პროცენტის რაოდენობით. პირიქით, ოქრომჭედელი, რკინეულის საქონელთა ფაბრიკანტი, ფულის კაპიტალისტი და სხვ., მიუ-

ხედავად იმისა, რომ მათ დასაწყისში ვერ მიიღეს დანაკარგის ვერავითარი კომპენსაცია, შესძლებდენ მოგების უფრო მაღალი ნორმის რეალიზაციას, ვიდრე 3 პროცენტია, რადგანაც გაიზრდებოდა მათი იმ კაპიტალის ღირებულება, რომელიც შრომის ხელფასზეა დახარჯული.

აქ, კაპიტალის ღირებულების გადიდების საშუალებით მოგების დაცემის კომპენსაციის დროს, რასაც რ ი კ ა რ დ ო იხსენიებს, მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ კაპიტალისტებისათვის — და საერთოდ წლიური შრომის პროდუქტის დანაწილების დროს — საქმე ეხება არა მარტო პროდუქტის დანაწილებას შემოსავლის სხვადასხვა თანამონაწილეთა შორის, არამედ ამ პროდუქტის დანაწილებასაც კაპიტალსა და შემოსავალზე.

## b) მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ი ს შ ე ქ მ ნ ა.

რ ი კ ა რ დ ო ს თეორიული შეხედულება აქ სრულებითაც არაა ნათელი.

„მე უკვე აღვნიშნე, რომ რომელიმე საქონლის საბაზრო ფასი შეიძლება აღემატოს მის ბუნებრივ ანუ აუცილებელ ფასს, თუ კი ის უფრო ნაკლებ რაოდენობით იწარმოება, ვიდრე ამას ახალი მოთხოვნა მოითხოვს. თუმცა ეს მხოლოდ წარმავალი მოვლენაა. ამ საქონლის წარმოებაზე დახარჯული კაპიტალის მაღალი მოგება ბუნებრივად მიიზიდავს კაპიტალს წარმოების ამ დარგში; და როგორც კი საჭირო ფონდი შეიქმნება და საქონლის რაოდენობა საკმაოდ გაიზრდება, მაშინ მისი ფასი დაეცემა და წარმოების ამ დარგის მოგება საერთო დონეს შეეგუება. მოგების საერთო ნორმის დაცემა სრულებითაც არაა შეუთავსებელი მოგების ნაწილობრივ აწევასთან სარეწაოს ცალკე დარგებში. სწორედ მოგებათა არათანასწორობაა ის, რაც კაპიტალს წარმოების ერთი დარგიდან მეორეში ერეკება. თუ, მაშასადამე, მოგება საყოველთაოდ ეცემა და დიდის თანდათანობით უფრო დაბალ დონემდე ხელფასთა აწევისა და მზარდი მოსახლეობის საარსებო საშუალებებით მომარაგების მხრივ სიძნელეთა გადიდების გამო, მოიჯარადრის მოგებას შეუძლია დროის მოკლე პერიოდისათვის აიწიოს თავის წინანდელ დონეზე უფრო მაღლა. ასევე შეიძლება, რომ საგარეო ან კოლონიალური ვაჭრობის რომელიმე განსაზღვრულმა დარგმა მიიღოს არაჩვეულებრივი სტიმული“ (l. c., მე-6 თავი, გვ. 118, 119).

„უნდა გავიხსენოთ, რომ ფასები ბაზარზე მუდამ რყევას განიცდის, სახელდობრ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული შეფარდების გამო. კიდევაც რომ მაუდის მიწოდება 40 შილინგის კვალობაზე ხდებოდეს და ის ჩვეულებრივ კაპიტალმოგებას იძლეოდეს, ის მაინც აიწევდა 60 ან 80 შილინგამდე იმ საყოველთაო ცვლილების გამო, რომელიც მოდაში ხდება... მაუდის ფაბრიკანტები განსაზღვრული დროის განმავლობაში ჩაიჯიბავენ არაჩვეულებრივ მოგებას, მაგრამ კაპიტალი აუცილებლად მოედინება ამ დარგს მანამ, სანამ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის კვლავ არ დამყარდება ნამდვილი შეფარდება, რის შემდეგაც მაუდის

ფასი ხელახლა დაიწევს 40 შილინგამდე, თავის ბუნებრივ ანუ აუცილებელ ფასამდე. სწორედ ამავე სახით შეუძლია ხორბალს მოთხოვნის ყოველ გადიდებასთან ერთად ისე მაღლა აიწიოს ფასში, რომ მოიჯარადრეს მისცეს საერთო მოგებაზე მეტი. თუ ნაყოფიერი მიწა საკმარისად არსებობს, პურეულის ფასი კვლავ დაიწევს თავის წინანდელ დონემდე, მას შემდეგ რაც მის საწარმოებლად საკმაო კაპიტალი დაიხარჯა, და მოგებაც კვლავ წინანდელი გახდება. მაგრამ თუ ნაყოფიერი მიწა საკმაოდ არ მოიპოვება, თუ ხორბლეულის დამატებითი რაოდენობის საწარმოებლად უფრო მეტი კაპიტალის და შრომის დახარჯვაა საჭირო, ვიდრე ეს უწინ იყო, მაშინ ხორბლეული არ დაიწევს თავის პირვანდელ დონეზე. მისი ბუნებრივი ფასი აიწევს და მოიჯარადრე, ნაცვლად იმისა, რომ მან ხანგრძლივად უფრო მეტი მოგება მიიღოს, იძულებული დარჩება დაკმაყოფილდეს ამ მოგების უფრო შემცირებული ნორმით, რაც გარდაუვალი შედეგია საარსებო საშუალებათა ფასების გადიდებით გამოწვეული შრომის ხელფასის აწევისა" (l. c., გვ. 119, 120).

თუ *სამუშაო დღე* მოცემულია (ან თუ წარმოების სხვადასხვა დარგებში არსებულ სამუშაო დღის ხანგრძლივობაში ადგილი აქვს ისეთ განსხვავებებს, რომელთა კომპენსაციაც შრომის სხვადასხვა სახეთა თავისებურებანით შეიძლება), მაშინ მოცემულია ზედმეტი ღირებულების საერთო ნორმა, ე. ი. ზედმეტი შრომის ნორმა, რადგანაც შრომის ხელფასი საშუალოდ ერთიდაიგივეა. *რიკარდოს* მუდამ ეს აზრი უტრიალებს თავში. და ის ზედმეტი ღირებულების ამ საერთო ნორმას და მოგების საერთო ნორმას ერთმანეთში ურევს. მე აღვნიშნე, რომ ზედმეტი ღირებულების ერთიდაიგივე საერთო ნორმის დროს წარმოების სხვადასხვა დარგებში მოგების ნორმა სრულიად სხვადასხვა უნდა იყოს, თუ კი საქონელი მისი სათანადო ღირებულების მიხედვით გაიყიდება.

მოგების საშუალო ნორმა იქიდან წარმოსდგება, რომ ერთობლივი წარმოებული ზედმეტი ღირებულება საზოგადოების (კაპიტალისტთა კლასის) ერთობლივ კაპიტალზე გამოიანგარიშება; ამიტომ ყოველი კაპიტალი წარმოების ყოველ ცალკე დარგში გვეხატება როგორც *ჯერადი* ნაწილი ერთობლივი კაპიტალისა ერთიდაიმავე *ორგანიული შედგენილობით*, როგორც ამ კაპიტალის მუდმივ და ცვალებად ნაწილებად, ისე საბრუნავ და ძირითად ნაწილებად დაყოფის აზრით. როგორც ასეთი ჯერადი ნაწილი, ყოველი ცალკე კაპიტალი თავის სიდიდესთან შეფარდებულად იღებს თავის დივიდენდს კაპიტალის საერთო ჯამის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულებიდან. ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრული დროის განმავლობაში, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში, განსაზღვრული სიდიდის კაპიტალის ნაწილს, მაგალითად, 100-ს ერგება, შეადგენს *საშუალო მოგებას* ანუ *მოგების საერთო ნორმას*, და ამ სახით იგი შედის წარმოების ყოველი

დარგის საწარმოო ხარჯებში. თუ ეს ნაწილი ყოველ 100-ზე = 15, მაშინ ჩვეულებრივი მოგება = 15 პროცენტს, ხოლო წარმოების ფასი = 115. იგი შეიძლება ნაკლები იყოს, თუ, მაგალითად, ავანსად გაღებული კაპიტალის მხოლოდ ერთი ნაწილი შედის გაცვეთის გამო ღირებულების ზრდის პროცესში. მაგრამ წარმოების ფასი მუდამ უდრის მოხმარებულ კაპიტალს + 15, ავანსად გაღებული კაპიტალის საშუალო მოგებას. თუ ერთ შემთხვევაში პროდუქტში შევიდოდა 100 და მეორეში კი მხოლოდ — 50, მაშინ პირველ შემთხვევაში წარმოების ფასი იქნებოდა 100 + 15 = 115 და მეორეში კი = 50 + 15 = 65; ორივე კაპიტალი გაყიდდა ამ შემთხვევაში თავის საქონელს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ი მ ა ვ ე ფ ა ს ი ს მიხედვით, ე. ი. იმ ფასის მიხედვით, რომელიც ორთავეს მოუტანდა მოგების ერთსადაიმავე ნორმას. ცხადია, რომ გამომჟღავნება, განხორციელება და შექმნა მოგების საერთო ნორმისა, აუცილებელს ხდის ღირებულებათა გარდაქმნას მათგან განსხვავებულ წარმოების ფასებად. რ ი კ ა რ დ ო კი, პირიქით, ღირებულებათა და წარმოების ფასების იდენტიურობას გულისხმობს, რადგანაც იგი მოგების ნორმას და ზედმეტი ღირებულების ნორმას ერთმანეთში ურევს. ამიტომაც მას ოდნავი წარმოდგენაც არა აქვს იმ საყოველთაო ცვლილებაზე, რომელიც ხდება საქონელთა ფასებში მოგების საერთო ნორმის შექმნის გამო, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ასეთ მოგებაზე ლაპარაკი შეიძლებოდეს. ის ღებულობს მოგების ამ ნორმას როგორც prius-ს, რომელიც მას ღირებულების განსაზღვრაშიც კი შეაქვს (იხილე 1-ლი თავი ღირებულების შესახებ). იგულისხმა რა მოგების საერთო ნორმა, რ ი კ ა რ დ ო იხილავს ფასების მხოლოდ განსაკუთრებული ხასიათის მოდიფიკაციებს, რომლებიც აუცილებელნი არიან ამ საერთო ნორმის შენარჩუნებისა და მისი არსებობის გაგრძელებისათვის. მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რომ მოგების საერთო ნორმის შ ე ს ა - ქ მ ნ ე ლ ა დ აუცილებელია წინასწარ ღირებულებათა წარმოების ფასებად გარდაქმნა; რომ ის, მაშასადამე, იღებს რა ბაზად მოგების ამ საერთო ნორმას, აღარ მიმართავს უშუალოდ საქონელთა ღირებულებებს.

რ ი კ ა რ დ ო ს ნაწარმოების წინათ მოყვანილ ნაწყვეტშიც გაბატონებულია მ ხ ო ლ ო დ ა. ს მ ი ტ ი ს წარმოდგენა, მაგრამ თვით იგიც ცალმხრივად, რადგანაც რ ი კ ა რ დ ო მაგრად ებღაუჭება ფარულ აზრს თავისი ზედმეტი ღირებულების საერთო ნორმის შესახებ. მისი შეხედულებით მოგების ნორმა საშუალო დონეზე ზევით იწევს მხოლოდ წარმოების განსაკუთრებულ დარგებში, რადგანაც საბაზრო

ფასი ბუნებრივ ფასზე ზევით იწევს მიწოდებისა და მოთხოვნის შეფარდებისა, არა საკმაო წარმოებისა ან [ფასთა საწინააღმდეგო მოძრაობის დროს] ჭარბი წარმოების გამო განსაკუთრებულ საწარმოო დარგებში. კონკურენცია, ახალი კაპიტალის დენა წარმოების ერთ დარგში, ანდა ძველი კაპიტალის მიერ მიტოვება წარმოების მეორე დარგისა ათანასწორებს მაშინ საბაზრო ფასს და ბუნებრივ ფასს ერთმანეთთან და წარმოების განსაკუთრებული დარგების მოგება დაჰყავს საერთო დონემდე. აქ მოგების ნამდვილი დონე ნაგულისხმევია როგორც მუდმივი და მოცემული, და საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ ამ დონემდე დაყვანილ იქნას მოგება წარმოების იმ განსაკუთრებულ დარგებში, რომელნიც მოთხოვნა-მიწოდების გამო ან აიწევენ ამ დონეზე მაღლა ან დაიწევენ მასზე დაბლა. ამასთანავე რ ი კ ა რ დ ო იმასაც კი გულისხმობს მუდამ, რომ საქონელნი, რომელთა ფასიც საშუალო მოგებაზე მეტს იძლევა, იმყოფებიან თავიანთ ღირებულებაზე მაღლა, ხოლო საქონელნი, რომელთა ფასიც საშუალო მოგებაზე ნაკლებს იძლევა, — თავიანთ ღირებულებაზე დაბლა. თუ მათი საბაზრო ღირებულება კონკურენციის მეოხებით მათ ღირებულებას უთანასწორდება, მაშინ აღდგენილია საშუალო დონე.

თვით ამ დონეს კი, რ ი კ ა რ დ ო ს შეხედულებით, შეუძლია აიწიოს ან დაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეცემა ან იწევს (შედარებით პერმანენტულად) შრომის ხელფასი, ე. ი. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების ნორმა, რაც ხდება ფასების შეუცვლელად, თუმცა თვით რ ი კ ა რ დ ო ც აქ აღიარებს ფასთა მეტად მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოების სხვადასხვა დარგებში იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი შედგენილობა საბრუნავ და ძირითად კაპიტალთაგან.

მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მოგების საერთო ნორმა, და ამიტომ წარმოების ფასებიც, დამყარებულია, მოგების ნორმას შეუძლია წარმოების განსაკუთრებულ დარგებში აიწიოს, რადგანაც აქ უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწარმოებს მუშაობა; აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების ნორმა იწევს მაღლა. რომ მუშების კონკურენციას არ შეუძლია ამის გათანასწორება, ამას ამტკიცებს სახელმწიფოს ჩარევა. აქ, წარმოების ამ განსაკუთრებულ დარგში, მოგების ნორმა აიწევს საბაზრო ფასის გაუდიდებლად ბუნებრივ ფასზე ზევით. კაპიტალთა კონკურენციას შეუძლია, რასაკვირველია, და კიდევაც გამოიწვევს იმას, რომ ეს გარდამეტი მოგება მთლიანად არ ერგოს კაპიტალისტებს წარმოების ამ განსაკუთრებულ დარგებში. მათ უნდა დასწიონ თავიანთი საქონლის ფასები მათ „ბუნებრივ ფასებზე“ და-

ბლა, ანდა წარმოების სხვა დარგები ასწევენ რაოდენიმედ თავიანთ ფასებს; ყოველ შემთხვევაში, თუ ისინი ფაქტიურად არ ასწევენ — რაც შეიძლება გაბათილებულ იქნას ამ საქონელთა ღირებულების დაცემით, — ისე ძირს მაინც ვერ დასწევენ, როგორც ამას შესაძლებელია მოითხოვდა შრომის საწარმოო ძალის განვითარება მათ საკუთარ საწარმოო დარგებში. მოგების ნორმის საერთო დონე აიწევს და წარმოების ფასები შეიცვლება.

შემდეგ: თუ ჩნდება წარმოების ახალი დარგი, სადაც არაშესაბამისად მეტი ცოცხალი შრომა გამოიყენება შედარებით დაგროვილ შრომასთან, სადაც, მაშასადამე, კაპიტალის შედგენილობა გაცილებით უფრო დაბლა დგას იმ საშუალო შედგენილობაზე, რომელიც საშუალო მოგებას განსაზღვრავს, მაშინ მიწოდებისა და მოთხოვნის შეფარდებას შეუძლია ამ ახალ საწარმოო დარგს შესაძლებლობა მისცეს გაჰყიდოს მან თავისი პროდუქტი მისი წარმოების ფასზე ზევით, მის ნამდვილ ღირებულებასთან უფრო მეტი მიახლოვებით. თუ კონკურენცია იწვევს აქ გათანასწორებას, ეს შესაძლებელია მხოლოდ [მოგების ნორმის] საერთო დონის აწევის საშუალებით, რადგანაც კაპიტალი საერთოდ გადაუხდელი ზედმეტი შრომის უფრო დიდ რაოდენობას ანხორციელებს, ამ შრომის უფრო მეტი რაოდენობა მოჰყავს მოძრაობაში. მიწოდების და მოთხოვნის შეფარდებანი არ მოქმედობენ პირველ შემთხვევაში იმ მნიშვნელობით, როგორც ამას რიკარდო ფიქრობს, თითქოს საქონელი მის ღირებულებაზე მაღლა იყიდებოდეს, არამედ ისინი იწვევენ იმას, რომ საქონელი იყიდება მის ღირებულებასთან მიახლოვებით, მისი წარმოების ფასზე ზევით. მაშასადამე, გათანასწორებას არ შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ მოგების ნორმა დავიდეს ძველ დონეზე, არამედ იგი იწვევს ახალი დონის შექმნას.

სწორედ ასეთივე მდგომარეობაა, მაგალითად, კოლონიებთან ვაჭრობაშიც, იმ კოლონიებთან, სადაც, ერთის მხრივ, მონობისა და ბუნების ნაყოფიერების გამო, ხოლო, მეორეს მხრივ, მიწის საკუთრების ფაქტიური ანუ ლეგალური განუვითარებლობის გამოც შრომის ღირებულება უფრო დაბლა დგას, ვიდრე ძველ ქვეყანაში. თუ მეტროპოლიის კაპიტალები თავისუფლად გადაიტანება ამ ახალ ვაჭრობაში, მაშინ ისინი, მართალია სპეციფიურ გარდამეტ მოგებას მოსაქმეობის ამ დარგში დასწევენ, მაგრამ მოგების საერთო ნორმას ასწევენ, როგორც ამას ა. სმიტი სრულიად სწორად შენიშნავს.

რიკარდო აქ მუდამ თავს შველის შემდეგი ფრაზით: მაგრამ ძველ სარეწაო დარგებში გამოყენებული შრომის რაოდენობა, აგრეთვე

შრომის ხელფასიც ხომ მაინც იგივე რჩება. მაგრამ მოგების საერთო ნორმა განისაზღვრება გადაუხდელი შრომის შეფარდებით გადახდილ შრომასთან და ავანსად გაღებულ კაპიტალთან არა ამათუიმ სარეწაო დარგში, არამედ ყველა დარგში, სადაც კი კაპიტალის გადატანა თავისუფლად შეიძლება. შეფარდება შეიძლება იგივე დარჩეს ცხრა მეათედში; მაგრამ, თუ ის შეიცვლება ერთ მეათედში, მაშინ მოგების საერთო ნორმა უნდა შეიცვალოს ათ მეათედში. ყოველთვის, როდესაც კი გადაუხდელი შრომის მასა, რომელიც მოძრაობაში მოიყვანება განსაზღვრული სიდიდის კაპიტალის მიერ, იზრდება, კონკურენციას შეუძლია დაამყაროს მხოლოდ ის, რომ თანასწორი სიდიდის კაპიტალები თანატოლ დივიდენდებს და თანასწორ წილს იღებენ ამ გადიდებულ ზედმეტ შრომაში, მაგრამ არა ის, რომ, მიუხედავად უფრო გადიდებულ ზედმეტი შრომისა შეფარდებით ავანსად გაღებულ ერთობლივ კაპიტალთან, ყოველი ცალკე კაპიტალის დივიდენდი იგივე რჩება, იგი დაიყვანება ძველი წილის ოდენობამდე ზედმეტ შრომაში. თუ რ ი კ ა რ დ ო ამას ღებულობს, მაშინ მას არავითარი საფუძველი არა აქვს უარჰყოს ა. ს მ ი ტ ი ს შეხედულება, რომ კაპიტალთა მხარდი კონკურენცია, გამოწვეული მათი დაგროვებით, მოგებას ამცირებს. ვინაიდან აქ ის თვითვე აღიარებს, რომ მოგების ნორმა მცირდება მხოლოდ კონკურენციის გამო, თუმცა ზედმეტი ღირებულების ნორმა იზრდება. რასაკვირველია, ეს დაკავშირებულია მის მიერ დაშვებულ შემცდარ გულისხმობასთან, რომ მოგების ნორმას, — თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ შრომის ხელფასის გადიდებას ან შემცირებას, — არასდროს არ შეუძლია აიწიოს ან დაეცეს, თუ არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს საბაზრო ფასის ბუნებრივი ფასიდან დროებით გადახრებს. და რა არის ბუნებრივი ფასი? ეს არის ფასი, რომელიც უდრის ავანსად გაღებულ კაპიტალს პლიუს საშუალო მოგება. ეს, მაშასადამე, კვლავ იმავე გულისხმობას ნიშნავს, რომ საშუალო მოგებას არასდროს არ შეუძლია დაეცეს ან აიწიოს სხვაგვარად, თუ არ ისე, როგორც ეცემა ან იწევს მაღლა შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება. ამიტომ შემცდარია, როდესაც რ ი კ ა რ დ ო, წინააღმდეგ ს მ ი ტ ი ს ა, ამბობს:

„არავითარ გადასვლას საგარეო ვაჭრობის ერთი დარგიდან მეორეზე ან საშინაო ვაჭრობიდან საგარეო ვაჭრობაზე არ შეუძლია, ჩემი შეხედულებით, მოახდინოს გავლენა მოგების ნორმაზე“ (l. c., მე-25 თავი, გვ. 413).

სწორედ ასევე შემცდარია, როდესაც ის ფიქრობს, რომ მოგების ნორმა გავლენას არ ახდენს წარმოების ფასზე, იმიტომ რომ ის გავლენას არ ახდენს ღირებულებაზე.

რ ი კ ა რ დ ო ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ [თუ უფრო ხელსაყრელ პირობებში მყოფი სარეწაო დარგი მოგების ნორმის საერთო დონეზე დროგამოშვებით მაღლა იწევს], ეს საერთო დონე მუდამ იქმნება მოგების ნორმის ძველ დონეზე დაყვანის საშუალებით და არა აწევის მეოხებით.

„ისინი [ზოგიერთი ეკონომისტები] ამტკიცებენ, რომ, [თუ ხელსაყრელ პირობებში მყოფ სარეწაო დარგში დიდ მოგებას აქვს ადგილი,] მოგებათა თანასწორობა მყარდება მოგებათა საერთო აწევის საშუალებითო; და მე კი იმ აზრისა ვარ, რომ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი სარეწაო დარგის მოგება მალე დაიწევს საერთო დონემდე“ (l. c., მე-7 თავი, გვ. 132, 133).

რ ი კ ა რ დ ო ს, მის მიერ მოგების ნორმის სავსებით შემცდარი გაგების გამო, სრულიად არ ესმის საგარეო ვაჭრობის გავლენა, თუ იგი უშუალოდ არ ამცირებს მუშათა საარსებო საშუალებათა ფასებს. რ ი კ ა რ დ ო ვერ ხედავს, თუ როგორ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისისათვის, მაგალითად, უფრო იაფი ნედლი მასალის მოპოვებას მრეწველობისათვის და რომ ასეთ შემთხვევაში მოგების ნორმა მაღლა იწევს, თუმცა ფასები ეცემა, მაშინ როდესაც წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. მზარდი ფასების დროს, მოგების ნორმას შეუძლია დაიწიოს, კიდევაც რომ ორივე შემთხვევაში შრომის ხელფასი უცვლელი დარჩეს.

„ამრიგად, თუ მოგების ნორმა იზრდება, ეს ხდება არა ბაზრის გაფართოების გამო“ (l. c., გვ. 136).

მოგების ნორმა დამოკიდებულია არა ცალკე საქონლის ფასზე, არამედ ზედმეტი შრომის მასაზე, რომლის რეალიზაციაც შესაძლებელია მოცემული კაპიტალის საშუალებით. რ ი კ ა რ დ ო ს აგრეთვე სხვა მხრივაც არ ესმის ბაზრის მნიშვნელობა, იმიტომ რომ მას არ ესმის ფულის ბუნება.

ამას კიდევ უნდა დავუმატოთ შემდეგი შენიშვნა: ყველა ამ შეცდომას რ ი კ ა რ დ ო უშვებს იმიტომ, რომ მას სურს ნაძალადევ აბსტრაქციათა საშუალებით გაატაროს ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მოგების ნორმის გაიგივება. ვულგარულმა გაგებამ აქედან დაასკვნა, რომ თეორიული ჭეშმარიტებანი წარმოადგენენ აბსტრაქციებს, რომელნიც ნამდვილ ურთიერთობებს ეწინააღმდეგებიანო. ნაცვლად იმისა, რომ მას, პირიქით, დაენახა: რ ი კ ა რ დ ო საკმაოდ შორს ვერ მიდის ნამდვილ აბსტრაქციაში და ამიტომაა, რომ იგი ძალაუნებურად მიდის არასწორ აბსტრაქციამდე.

## II. მიწის რენტა.

### 1. როდბერტუსი.

#### a) მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა  დ ა  მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ: თუ ჩვენ ვიტყვით, რომ [ერთობლივი სამუშაო დღე, ვთქვათ, 12 საათს უდრის], ხოლო აუცილებელი შრომის ხელფასი კი 10 საათს შეადგენს, მაშინ ყველაზე უფრო მარტივად ამის ნათელყოფა შეიძლება შემდეგი სახით: თუ 10 საათის შრომა (ე. ი. ფულის ჯამი, [რომელიც ღირებულებით უდრის] 10 საათს), შესაძლებლობას აძლევს საშუალოდ სოფლის დღიურ მუშას იყიდოს ყველა აუცილებელი საარსებო საშუალებანი, მიწათმოქმედების, მრეწველობის პროდუქტები და სხვ., მაშინ ეს წარმოადგენს შრომის საშუალო ხელფასს არაკვალიფიციური შრომისათვის. აქ, მაშასადამე, საქმე ეხება მისი ყოველდღიური პროდუქტის ღირებულებას, რომელიც მას უნდა ერგოს. ეს ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, არსებობს იმ საქონლის ფორმაში, რომელსაც ის აწარმოებს, მაშასადამე, ამ საქონლის განსაზღვრულ რაოდენობაში, რომლითაც მას, — იმ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რასაც იგი ამ საქონლიდან თვითვე ხმარობს, — შეუძლია შეიძინოს აუცილებელი საარსებო საშუალებანი. მაშასადამე, აქ მისი აუცილებელი „შემოსავლის“ შეფასებაში შედის მრეწველობა, მიწათმოქმედება და სხვ. და არა მარტო ს ა ხ მ ა რ ი  ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რომელსაც ის თვით აწარმოებს. მაგრამ ეს თვით ს ა ქ ო ნ ლ ი ს ცნებაშია მოთავსებული. ის აწარმოებს საქონელს და არა პროდუქტს უბრალოდ. ამაზე, მაშასადამე, მეტი ლაპარაკი არაა საჭირო.

[თავის „მესამე წერილში ფ ო ნ-კ ი რ ხ მ ა ნ ი ს ა დ მ ი“, რომელსაც ეწოდება: „უარყოფა რ ი კ ა რ დ ო ს მოძღვრებისა მიწის რენტის შესახებ და დასაბუთება რენტის ახალი თეორიისა“ (ბერლინი, 1851 წ.)], ბატონი რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი უპირველესად [არკვევს] იმას, თუ როგორია საქმის ვითარება იმ ქვეყანაში, სადაც მიწისა და კაპიტალის მფლობელობა ერთი მეორისაგან გათიშული არაა, და მიდის მნიშვნელოვან შედეგამდე, რომ რენტა (რომელიც მას ისე ესმის, როგორც მთელი ზ ე დ მ ე ტ ი  ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა) უდრის გადაუხდელ

შრომას ან პროდუქტთა რაოდენობას, რომელშიდაც ეს გადაუხდელი შრომა გამოიხატება.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ როდბერტუსს [მხედველობაში აქვს] მხოლოდ შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების ზრდა, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ზრდა, რამდენადაც იგი შრომის მზარდი პროდუქტიულობიდან გამომდინარეობს, და არა ზედმეტი ღირებულების ზრდა, რამდენადაც იგი თვით სამუშაო დღის გაგრძელებიდან გამომდინარეობს. ყოველი აბსოლუტური ღირებულება, რასაკვირველია, ერთის მხრივ შეფარდებითია. შრომა უნდა საკმაოდ პროდუქტიული იყოს, რათა მუშას არ დასჭირდეს მთელი თავისი დროს მოხმარა თავისივე საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. მაგრამ, აი, აქედან იწყება განსხვავება. ესეც კია, რომ თუ შრომა თავდაპირველად ცოტა პროდუქტიულია, სამაგიეროდ მოთხოვნილებანიც აგრეთვე უაღრესად მარტივია, როგორც, მაგალითად, მონის მოთხოვნილებანია, და ბატონები ბევრად უკეთ ვერ ცხოვრობენ, ვიდრე მათი მსახურნი. შრომის შეფარდებითი პროდუქტიულობა, რომელიც აუცილებელია, რათა გაჩნდეს მოგების შთანმთქმელი, როგორც პარაზიტი, ძლიერ მცირეა. თუ ჩვენ ვპოულობთ მოგების მაღალ ნორმას იქ, სადაც შრომა ჯერ კიდევ მეტად არაპროდუქტიულია, სადაც არავითარი მანქანების, შრომის დანაწილების და სხვათა გამოყენებას ადგილი არა აქვს, ეს ხდება მხოლოდ ან იმიტომ, რომ, ერთის მხრივ, მუშის მოთხოვნილებანი — როგორც ინდოეთშია ეს — აბსოლუტურად მცირეა და მას აიძულებენ კიდევ თვით ამ მცირე მოთხოვნილების [დონეზე] დაბლა დაიწიოს, ანდა, მეორეს მხრივ, იმიტომ, რომ შრომის არაპროპორციულობა იდენტიურია ძირითადი კაპიტალის [სიმცირესთან], კაპიტალის იმ ნაწილთან [შედარებით], რომელიც დახარჯულია შრომის ხელფასზე, ანუ, რაც იგივეა, იდენტიურია შრომაზე დახარჯული კაპიტალის დიდ [გაფართოვებასთან] ერთობლივ კაპიტალთან შედარებით, ანდა, დაბოლოს, იმიტომ, რომ სამუშაო დრო არაჩვეულებრივად გრძელდება. უკანასკნელს, ე. ი. სამუშაო დღის გაგრძელებას, ადგილი აქვს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრია და სხვ., სადაც უკვე კაპიტალისტური წარმოების წესი არსებობს, მაგრამ ეს ქვეყნები იძულებულნი არიან კონკურენცია გაუწიონ ბევრად უფრო განვითარებულ ქვეყნებს. შრომის ხელფასი აქ შეიძლება იყოს მცირე, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მუშის მოთხოვნილებანი ნაკლებად განვითარებულია, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ სამიწათმოქმედო პროდუქტები უფრო იაფია ანუ, რაც კაპიტალისტებისთვის იგივეა, მათ

ნაკლები ფულადი ღირებულება აქვთ. ამის შესაბამისად მცირეპროდუქტის ის რაოდენობა, რომელიც, მაგალითად, 10 საათის განმავლობაში მიდის როგორც აუცილებელი ნაწილი მუშის შრომის ხელფასისათვის. [მოგებაც სწორედ ასევე მეტად მცირე იქნებოდა, თუ მუშა მარტო 12 საათს იმუშავებდა.] მაგრამ, თუ იგი 12 საათის მაგივრად 17 საათს მუშაობს, მაშინ ამის შევსება შესაძლებელია. საერთოდ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ, რადგანაც მოცემულ ქვეყანაში შრომის შეფარდებითი ღირებულება [მაღლა იწევს ან ეცემა] [შებრუნებულ] შეფარდებაში [შრომის] პროდუქტიულობასთან, ამიტომ [შრომის ხელფასი] სხვადასხვა ქვეყნებში შებრუნებულ შეფარდებაში [იმყოფება] შრომის პროდუქტიულობასთან. სწორედ წინააღმდეგ მოვლენას აქვს ადგილი. რამდენადაც უფრო პროდუქტიულია ერთი ქვეყანა შედარებით მეორესთან მსოფლიო ბაზარზე, იმდენად უფრო მაღალია იქ შრომის ხელფასი შედარებით სხვა ქვეყნებთან. არა მარტო ნომინალური, არამედ რეალური შრომის ხელფასიც უფრო მაღალია ინგლისში, ვიდრე კონტინენტზე. მუშა მეტ ხორცეულს ჭამს, მეტ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, თუმცა ეს შეეხება არა სამიწათმოქმედო, არამედ მხოლოდ სამრეწველო მუშას. მაგრამ [შრომის ხელფასი ინგლისში] არაა უფრო მაღალი ინგლისელ მუშათა პროდუქტიულობასთან შედარებით.

მიწის რენტა საერთოდ — მაშასადამე, მიწის საკუთრების თანამედროვე ფორმა — მისი უბრალო არსებობა, თუ არას ვიტყვით მიწის რენტის სხვაობაზე მიწის ნაკვეთების ნაყოფიერების მიხედვით, უკვე შესაძლებელი იქნებოდა, იმიტომ რომ სოფლის მეურნეობის მუშათა საშუალო ხელფასი უფრო დაბლა დგას სამრეწველო მუშათა საშუალო ხელფასზე. რადგანაც აქ კაპიტალისტი იმთავითვე ტრადიციულად (როდესაც ძველი მოიჯარადრე კაპიტალისტი ხდება, კაპიტალისტებიც აგრეთვე მოიჯარადრეები ხდებიან) თავისი მოგებიდან ერთ ნაწილს მიწის მესაკუთრეს აძლევს, ამიტომ ის ამის ასანაზღაურებლად შრომის ხელფასს მის დონეზე უფრო დაბლა სწევს. სოფლიდან მუშების გაქცევის გამო შრომის ხელფასმა უნდა აიწიოს და ის მართლაც მაღლა იწევს. მაგრამ როგორც კი ასეთი ზეგავლენა საგრძნობი ხდება, მაშინვე შემოაქვთ მანქანები და სხვ. და სოფლად კვლავ იქმნება (რელატიური) ჭარბი მოსახლეობა (იხილე ინგლისი). ზედმეტი ღირებულება შეიძლება გაიზარდოს, თუმცა არც სამუშაო დრო გაგრძელებულა და არც შრომის საწარმოო ძალა განვითარებულა. სახელდობრ, ეს შეიძლება მოხდეს შრომის ხელფასის დაწევის საშუალებით მის ტრადიციულ დონეზე დაბლა. და, მართლაც, ამას

ადგილი აქვს იქ, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება კაპიტალისტური წესით წარიმართება. სადაც ეს მანქანების საშუალებით არ ხერხდება, იქ ეს ხდება სახნავ-სათესის ცხვრებისათვის საძოვრებად გადაქცევის მეოხებით. აქ, მაშასადამე, ადგილი ექნებოდა მიწის რენტის შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს, რადგანაც სოფლის მეურნეობის მუშათა ხელფასი ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ საშუალო ხელფასს არ უდრის. მიწის რენტის ეს შესაძლებლობა სრულიად დამოუკიდებელი იქნებოდა პროდუქტის ფასიდან, ე. ი. მისი ღირებულებიდან.

მიწის რენტის აწევის [მეორე მიზეზიც], სახელდობრ, რომ ეს რენტა მიიღება იმავე ფასად გასაყიდ პროდუქტთა უფრო დიდი რაოდენობიდან, რ ი კ ა რ დ ო მ იცის, მაგრამ მას სათვალავში არ იღებს, რადგანაც მიწის რენტას ანგარიშობს კვარტერისა და არა აკრის მიხედვით. რ ი კ ა რ დ ო არ იტყოდა, რომ მიწის რენტამ აიწია (ამ მხრივ მიწის რენტას შეუძლია აიწიოს ფასის დაცემასთან ერთად) იმიტომ, რომ 20 კვარტერი 2 შილინგის კვალობაზე თითო მეტს იძლევა, ვიდრე 10 კვარტერი 3 შილინგის კვალობაზე.

ესეცაა, რომ როგორი წესითაც არ უნდა აიხსნას მიწის რენტა, მაინც რჩება ერთი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა მრეწველობასთან შედარებით, განსხვავება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მრეწველობაში გარდამეტი ზედმეტი ღირებულება უფრო იაფი პროდუქტების საშუალებით იქმნება, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობაში იგი უფრო ძვირი პროდუქტების შედეგია. თუ ერთი გირვანქა ნართის საშუალო ფასი 2 შილინგს უდრის და მე კი შემიძლია ის ვაწარმოო ერთ შილინგად, მაშინ მე [შესაძლებელია] გავყიდო, ბაზრის დაპყრობის მიზნით, $1^1/_2$ შილინგად, ყოველ შემთხვევაში [უეჭველად] 2 შილინგზე [რამოდენიმედ] ნაკლებად. ეს აბსოლუტურად აუცილებელიცაა, ვინაიდან უფრო იაფი წარმოება არის არსებითად წარმოება უფრო დიდი მასშტაბით. მაშასადამე, მე, წინანდელთან შედარებით, ბაზარს ვავსებ რელატიურად. მე უფრო მეტი უ ნ დ ა გავყიდო წინანდელთან შედარებით. [თუ მე] ერთი გირვანქა ნართი მხოლოდ 1 შილინგი მიღირს, ამას ადგილი აქვს მხოლოდ [იმიტომ, რომ] მე ვაწარმოებ, ვთქვათ, 10 000 გირვანქას, წინანდელი 8000 გირვანქის ნაცვლად. სიიაფე გამოდის მხოლოდ იმიტომ, რომ ძირითადი კაპიტალი ნაწილდება 10 000 გირვანქაზე. თუ კი მხოლოდ 8000 გირვანქას გავყიდდი, მაშინ მანქანათა გაცვეთა ცალკე გირვანქის ფასს უკვე $^1/_5$-ით ასწევდა. მაშასადამე, მე ვყიდი 2 შილინგზე უფრო დაბლა, [ვთქვათ, $1^1/_2$ შილ.], რათა შევძლო 10 000 გირვანქის გაყიდვა. მე ვიღებ ამასთანავე კიდევ მხოლოდ ზედმეტ ღირებულებას

$^1/_2$ შილ. რაოდენობით, მაშასადამე, $50^0/_0$-ს ჩემი პროდუქტის ღირებულებაზე, რომელიც უკვე შეიცავს ჩვეულებრივ მოგებას. ყოველ შემთხვევაში, მე ამით დაბლა ვსწევ საბაზრო ფასს და ამის შედეგია ის, რომ მომხმარებელი საერთოდ პროდუქტს უფრო იაფად ღებულობს.

მაგრამ მიწათმოქმედებაში მე პროდუქტს [სათანადო შემთხვევაში] 2 შილინგად ვყიდი, რადგანაც, თუ ჩემი ნაყოფიერი მიწა საკმაო იქნებოდა, ნაკლებად ნაყოფიერი მიწა აღარ დამუშავდებოდა, თუ კი ნაყოფიერი მიწა ანუ [უფრო მდარე] მიწის ნაყოფიერება გაიზრდებოდა ისე, რომ შევძლებდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაშინ მთელი ამბავი ამით გათავდებოდა. ამას რ ი კ ა რ დ ო არამც თუ არ უარყოფს, არამედ გარკვევით ხაზს უსვამს.

მაშასადამე, თუ ვაღიარებთ, რომ არა თვით მიწის რენტა, არამედ ამ რენტათა სხვაობაა ის, რაც მიწის სხვადასხვა ნაყოფიერებით აიხსნება, რჩება ის წინააღმდეგობა, რომ, მაშინ როდესაც მრეწველობაში საშუალოდ გარდამეტი მოგება პროდუქტის გაიაფებასთან დაკავშირებით იქმნება, მიწათმოქმედებაში რენტის შეფარდებითი სიდიდე იქმნება არა მარტო უფრო ნაყოფიერი მიწის პროდუქტის ფასის მის ღირებულებაზე ზევით შედარებითი გაძვირებისა და მაღლა აწევიდან, არამედ იგი წარმოსდგება იმ გარემოებიდან, რომ უფრო იაფი პროდუქტი უფრო ძვირი პროდუქტის ხარჯების მიხედვით იყიდება. მაგრამ ეს არის, როგორც მე უკვე ვუჩვენე (პ რ უ დ ო ნ ი), კონკურენციის უბრალო კანონი, რომელიც არა „მიწიდან“, არამედ თვით „კაპიტალისტური წარმოებიდან“ გამომდინარეობს.

შემდეგ, მეორე პუნქტში, რ ი კ ა რ დ ო მართალია, მხოლოდ ის ისტორიულ მოვლენას, ეკონომისტების ჩვეულებრივი წესისამებრ, მარადიულ კანონად აქცევს. ეს ისტორიული მოვლენა წარმოადგენს მანუფაქტურის (ამ საკუთრივ ინგლისის მრეწველობის დარგის) შედარებით უფრო სწრაფ განვითარებას წინააღმდეგ მიწათმოქმედებისა. მიწათმოქმედება უფრო პროდუქტიული გახდა, მაგრამ არა იმ შეფარდებით, რა შეფარდებითაც მრეწველობა გახდა პროდუქტიული. სადაც მრეწველობის პროდუქტიულობა 10-ჯერ გაიზარდა, იქ მიწათმოქმედების პროდუქტიულობა შეიძლება ორჯერ გაიზარდა. მაშასადამე, მიწათმოქმედება რ ე ლ ა ტ ი უ რ ა დ ნაკლებად პროდუქტიული გახდა, თუმცა პოზიტიურად უფრო პროდუქტიული. ეს ამტკიცებს მხოლოდ ბურჟუაზიული წარმოების უაღრესად თავისებურ განვითარებას და მის თანდაყოლილ წინააღმდეგობათ [1].

---

[1] [თუ რამდენად შეიძლება კიდევ სამიწათმოქმედო შრომის პროდუქტიულობა გაიზარდოს, ამის შესახებ მხოლოდ ერთი მაგალითი:] ბატონმა ჰ ა ლ ე ტ მ ა

მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის იმ დებულების სისწორეს, რომ მიწათმოქმედება შედარებით ნაკლებად პროდუქტიული ხდება, მაშასადამე, შედარებით სამრეწველო პროდუქტთან სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულება და ამით აგრეთვე მიწის რენტა იზრდება. სამიწათმოქმედო შრომა რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარების პროცესში შედარებით ნაკლებად პროდუქტიული გახდა, ვიდრე სამრეწველო შრომა, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მიწათმოქმედების პროდუქტიულობა იმავე სისწრაფით და იმავე ზომით ვერ განვითარდა. ვთქვათ, მრეწველობა A-ს შეფარდება მრეწველობა B-სთან ისეთია, როგორც 1 : 1. თავდაპირველად მიწათმოქ-

---

(H a l l e t t) ბრაიტონიდან 1862 წლის გამოფენაზე გამოფინა საჯიშე ხორბალი (pedigree nursery wheat). ბატონი ჰ ა ლ ე ტ ი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პურის თავთავი, სწორედ ისე, როგორც სამარულე ცხენები, განსაკუთრებულად მოვლილი უნდა იქნას, ნაცვლად იმისა, რომ მას, როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში ხდება, უწესრიგოდ ამუშავებენ, ისე, რომ ბუნებრივი შერჩევის თეორიას მხედველობაში არ იღებენ. იმის მაგალითად, თუ რა შედეგის მოტანა შეუძლია კარგ კულტურას თვით ხორბლის მიმართ, მოყვანილია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. 1857 წელში ბატონმა ჰ ა ლ ე ტ მ ა [დათესა] საუკეთესო ხარისხის წითელი ხორბლის თავთავის [მარცვალი], ისეთი თავთავის, რომლის სიგრძეც $4^3/_8$ დიუიმს უდრიდა და რომელიც 47 მარცვალს შეიცავდა. ამ პატარა ნათესის პროდუქტიდან მან 1858 წელში კიდევ ამოარჩია საუკეთესო თავთავი, რომელიც $6^1/$ დიუიმის სიგრძის იყო და 79 მარცვალს შეიცავდა. ასეთი ცდა ხელახლა განმეორებულ იქნა ახალი თავთავებიდან ამორჩეული საუკეთესო თავთავის შემწეობით, რომელიც ამ შემთხვევაში $7^3/_4$ დიუიმის სიგრძის იყო და 91 მარცვალს შეიცავდა. შემდეგი წელი, 1860, ცუდი წელი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების ცდებისათვის და ხორბალი არ გაუმჯობესდა; მაგრამ ერთი წლის შემდეგ, 1861 წელში, საუკეთესო თავთავი იყო $8^3/_4$ დიუიმის სიგრძით და შეიცავდა არა ნაკლებ 123 მარცვლისა. ამრიგად, ხორბალი 5 წლის განმავლობაში გაიზარდა თითქმის ორჯერ და იწყო სამჯერ მეტი მარცვლის მოცემა. ეს შედეგები მიღწეულ იქნა ხორბლის დამუშავების ისეთი სისტემის საშუალებით, რომელსაც ბატონი ჰ ა ლ ე ტ ი „ბუნებრივს“ უწოდებს, ე. ი. ცალკე მარცვალთა ასეთი დაშორებითი დარგვის საშუალებით — დაახლოვებით 9 დიუიმის მანძილით დაშორებით ერთიმეორისაგან, — რომ თითოეულს საკმაო ფართობი რჩება თავისი სრული განვითარებისათვის. იგი ამტკიცებს, რომ მარცვლეულის მოსავალს ინგლისში „ჯიშიანი ხორბლის“ „ბუნებრივი სისტემის“ მიხედვით დამუშავების გამო შეეძლო გაორკეცებულიყო. ის ადასტურებს ფაქტის სახით, რომ მან ცალკე მარცვალთაგან, რომელნიც თავის დროზე დათესა ცალ-ცალკე მიწის ერთ კვადრატ. ფუტზე, მიიღო საშუალოდ 23 თავთავი, რომელთაგანაც თითოეული დაახლოებით 36 მარცვალს შეიცავდა. ამის შესაბამისად ერთი აკრის პროდუქტს, ზუსტი გამოანგარიშებით, უნდა მოეცა ხორბლის 1 001 880 თავთავი, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი წესით 20-ჯერ მეტი თესლის დახარჯვისას მოსავალი იძლეოდა მხოლოდ 934 120 თავთავს, მაშასადამე, 67 760 თავთავით ნაკლებს.

მედება უფრო პროდუქტიული იყო, იმიტომ რომ აქ შრომის პროცესს დახმარებას უწევდა ბუნების მიერ შექმნილი მანქანა, იმიტომ რომ ყოველი ცალკე მუშა აქ ერთი მანქანით მუშაობს. ამიტომ უძველეს დროში და საშუალო საუკუნეებში სამიწათმოქმედო პროდუქტები შედარებით ბევრად უფრო იაფი იყო, ვიდრე სამრეწველო პროდუქტები, რაც უკვე ნათლად ჩანს იქიდან (იხილე უ ე დ ი), თუ როგორია ორთავეს შეფარდება შრომის საშუალო ხელფასში.

1 : 1 გვიჩვენებს იმავე დროს ორივე [საწარმოო დარგის] ნაყოფიერებას. თუ ახლა მრეწველობა A [აათკეცებს] თავის ნაყოფიერებას, მაშინ როდესაც მრეწველობა B მხოლოდ ასამკეცებს, ორივე მრეწველობის შეფარდება, რომელიც წინათ ისეთი იყო როგორც 1 : 1, ახლა იქნება ისეთი, როგორც 10 : 3.

მრეწველობა B-ს ნაყოფიერება შედარებით შემცირდა 70 პროცენტით, თუმცა იგი აბსოლუტურად სამჯერ გაიზარდა. ყველაზე უფრო მაღალი რენტისათვის ეს იგივეა — მრეწველობასთან შეფარდებით — თითქოს იგი იმიტომ გაიზარდა, რომ ყველაზე უფრო მდარე მიწა 70 პროცენტით ნაკლებად ნაყოფიერი შეიქნა. მაგრამ აქედან არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს, როგორც ამას რ ი კ ა რ დ ო ფიქრობს, რომ მოგების ნორმამ დაიწია, იმიტომ რომ შრომის ხელფასმა სამიწათმოქმედო პროდუქტების შეფარდებითი გაძვირების გამო აიწია, ვინაიდან შრომის საშუალო ხელფასი განისაზღვრება მასში შემავალ პროდუქტთა არა რელატიური, არამედ აბსოლუტური ღირებულებით. მაგრამ ყოველ შემთხვევაში აქედან გამომდინარეობს ის, რომ მოგების ნორმა (საკუთრივ ზედმეტი ღირებულების ნორმა) არ გაზრდილა იმ შეფარდებით, რითაც მრეწველობის საწარმოო ძალა გაიზარდა, და სახელდობრ მიწათმოქმედების და არა მიწის შედარებით უფრო დიდი უნაყოფობის გამო. და ეს აბსოლუტურად სწორია. აუცილებელი სამუშაო დროის დაწევა უმნიშვნელოდ გვეჩვენება შედარებით მრეწველობის პროგრესთან. ეს ჩანს იქიდან, რომ ისეთ ქვეყნებს, როგორც რუსეთია და სხვ. შეუძლიათ დაამარცხონ ინგლისი სამიწათმოქმედო პროდუქტების სფეროში. ფულის მცირე ღირებულება მდიდარ ქვეყნებში, ე. ი. ფულის წარმოების მცირე რელატიური ხარჯები უფრო მდიდარი ქვეყნებისათვის აქ სრულებით არავითარ როლს არ ასრულებს, ვინაიდან საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ რატომ არა აქვს ამ ღირებულებას გავლენა სამრეწველო პროდუქტებზე მათ კონკურენციაში უფრო ღარიბ ქვეყნებთან, არამედ იგი გავლენას ახდენს მათ სამიწათმოქმედო პროდუქტებზე. სხვათა შორის ეს არ ამტკი-

ცებს იმას, რომ ღარიბი ქვეყნები უფრო იაფად აწარმოებენ, რომ მათი სამიწათმოქმედო შრომა უფრო პროდუქტიულია.

თვით შეერთებულ შტატებშიც, როგორც ეს ახლახან სტატისტიკური ცნობებით დამტკიცებულ იქნა, მართალია ხორბლის მასამ მოცემული ფასის მიხედვით მოიმატა, მაგრამ არა იმიტომ, რომ აკრმა მეტი მოგვცა, არამედ იმიტომ, რომ მეტი აკრი იქნა დამუშავებული.

იქ, სადაც ბევრი მიწაა en masse და დიდი ფართობი, დამუშავებული ზერელედ, ერთიდაიგივე შრომის დახარჯვით აბსოლუტურად მეტ პროდუქტს იძლევა, ვიდრე ბევრად უფრო მცირე ფართობი უფრო პროგრესიულ ქვეყნებში, არ შეიძლება ითქვას, რომ მიწა უფრო პროდუქტიული იყოს.

გადასვლა უფრო ნაკლებ პროდუქტიულ მიწაზე არ ამტკიცებს აუცილებლად იმას, რომ მიწათმოქმედება უფრო არაპროდუქტიული გამხდარიყოს. პირიქით, ამას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ის გახდა უფრო პროდუქტიული; რომ უნაყოფო მიწა [მარტო იმიტომ] კი არ მუშავდება, რომ სამიწათმოქმედო პროდუქტის ფასებმა საკმაოდ მაღლა აიწია, რათა ანაზღაურებულ იქნას კაპიტალის დაბანდება, არამედ, პირიქით, [იმიტომ] აგრეთვე, რომ საწარმოო საშუალებანი იმდენად განვითარდენ, რომ არაპროდუქტიული მიწა „პროდუქტიული“ შეიქნა და მას უნარი მიეცა გადაიხადოს არა მარტო ჩვეულებრივი მოგება, არამედ მიწის რენტაც. ის, რაც ნაყოფიერია საწარმოო ძალის განვითარების ერთი [საფეხურისათვის], არანაყოფიერია განვითარების მეორე — უფრო დაბალი საფეხურისათვის.

მიწათმოქმედებაში სამუშაო დროის აბსოლუტური გაგრძელება — მაშასადამე, აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების გადიდება — შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული ზომით. მიწათმოქმედებაში არ შეიძლება გაზის სინათლეზე მუშაობა და სხვ. რასაკვირველია, ზაფხულში და გაზაფხულზე შეიძლება ადრე ადგომა. მაგრამ ამის კომპენსაცია ხდება ზამთრის უფრო მოკლე დღეების საშუალებით, როდესაც საერთოდ შესაძლებელია მხოლოდ შრომის შედარებით მცირე რაოდენობის შესრულება. ამ მხრივ, მაშასადამე, აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება მრეწველობაში უფრო დიდია, თუ ნორმალური სამუშაო დღე არ წესრიგდება კანონმდებლობითი იძულების საშუალებით.

გრძელი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პროდუქტი წარმოების პროცესში რჩება, მასზე შრომის გამოუყენებლად, წარმოადგენს იმ ზედმეტი ღირებულების მცირე მასის მეორე მიზეზს, რო-

მელიც მიწათმოქმედებაში იქმნება. პირიქით, მიწათმოქმედებაში, ზოგიერთ დარგების გამოკლებით, მაგალითად, როგორც მესაქონლეობა, მეცხვარეობა და სხვ., სადაც მოსახლეობის აბსოლუტური გაძევება ხდება — თვით უაღრესად განვითარებულ მსხვილ მიწათმოქმედებაშიც კი — გამოყენებულ ადამიანთა რაოდენობის შეფარდება შედარებით გამოყენებულ მუდმივ კაპიტალთან ჯერ კიდევ უფრო დიდია, ბევრად უფრო დიდი, ვიდრე მრეწველობაში, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე მრეწველობის გაბატონებულ დარგებში. ამიტომაც ამ მხრივ მოგების ნორმა მიწათმოქმედებაში შეიძლება უფრო დიდი იყოს, ვიდრე მრეწველობაში, კიდევაც რომ მოყვანილი მიზეზების გამო ზედმეტი ღირებულების მასა შედარებით უფრო მცირე იყოს, ვიდრე ის [იქნებოდა] მრეწველობაში ადამიანთა იმავე რაოდენობის გამოყენების დროს — რაც ნაწილობრივ ხელახლა ბათილდება შრომის ხელფასის დაწევით მის საშუალო დონეზე დაბლა. მაგრამ, თუ მიწათმოქმედებაში არსებობს რაიმე მიზეზები (ჩვენ აღვნიშნავთ ზემომოყვანილ მიზეზებს) მოგებათა არა დროებითი, არამედ საშუალოდ აწევისათვის მრეწველობასთან შედარებით, მაშინ მიწის მესაკუთრეთა მხოლოდ არსებობის ფაქტს თან უნდა მოყოლოდა შედეგად, რომ ეს გარდამეტი მოგება, ნაცვლად მისი მოგების საერთო ნორმის გათანასწორებაში შესვლისა, დამკვიდრდებოდა და ერგებოდა მიწის მესაკუთრეს.

### b) როდბერტუსის მიერ საკითხის დასმა. ნედლი მასალა სოფლის მეურნეობაში.

[თავის „მესამე წერილში" როდბერტუსი ქვემორე ახსნა-განმარტებას თავისი მიწის რენტის თეორიის „ძირითად პუნქტს და ქვაკუთხედს" უწოდებს:

იგი გულისხმობს, რომ პროდუქტები ერთი მეორეზე იცვლება მათზე „დახარჯული შრომის" შესაბამისად, ე. ი. იმ შრომის შესაბამისად, რაც ეს პროდუქტები დაჯდა. მაგრამ „რენტა", ე. ი. ზედმეტი ღირებულება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის ნაწილდება ნედლი პროდუქტის და დამუშავებული პროდუქტის ღირებულებასთან შეფარდებით. დამუშავებულ პროდუქტში უშუალო შრომასთან ერთად მოთავსებულია ხელსაწყო-იარაღების, მანქანების და ნედლი მასალის ღირებულებაც, ნედლ პროდუქტს კი აკლია ეს უკანასკნელი ღირებულება. ამის შესაბამისად, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება, რომელიც მრეწველობას ხვდება, ნაწილდება უფრო დიდ კაპიტალღირებულებაზე, ვიდრე ზედმეტი ღირებულება, რო-

მელიც სოფლის მეურნეობას უწევს წილად, მაგრამ ზედმეტი ღირებულების ნორმის, „რენტის“ სიდიდის მიხედვით გამოიანგარიშება მრეწველობაში კაპიტალის მოგება როგორც მრეწველობისათვის, ისე სოფლის მეურნეობისათვის. ცხადია, მაშასადამე, რომ სოფლის მეურნეობის წილმა ერთობლივ საზოგადოებრივ ზედმეტ ღირებულებაში, იმ „ჩვეულებრივი“ მოგების გამოკლებით, რომელიც ამ სოფლის მეურნეობაში მოთავსებულ კაპიტალს ერგება, კიდევ უნდა მოგვცეს რამოდენიმე გარდამეტი, განსაკუთრებული მოგება, რომელიც მიწის რენტას შეადგენს. ეს მიწის რენტა შედეგია იმისი, რომ სოფლის მეურნეობა, წინააღმდეგ მრეწველობისა, „არ საჭიროებს მასალად ძისი წინამორბედი წარმოების პროდუქტს, არამედ ის საერთოდ პირველად იწყებს წარმოებას. მასალის ანალოგიური ქონების ნაწილად სოფლის მეურნეობაში თვით მიწა იქნებოდა, მაგრამ იგი იგულისხმება ღირებულების უქონლად“ (l. c., გვ. 97)].

ზოგადად დასმული საკითხი, რომელსაც როდბერტუსმა პასუხი უნდა გასცეს, შემდეგია:

ავანსად გაღებული კაპიტალის ზოგადი ფორმა ასეთია:

მუდმივი კაპიტალი: მანქანები — ნედლი მასალა; ცვალებადი კაპიტალი: შრომის ხელფასი.

მუდმივი კაპიტალის ორ ელემენტს საერთოდ შეადგენენ: შრომის საშუალებანი და შრომის საგანი. უკანასკნელი არ საჭიროებს იყოს საქონელი, შრომის პროდუქტი. მას შეუძლია, მაშასადამე, არ იარსებოს კაპიტალის ელემენტის სახით, თუმცა როგორც შრომის პროცესის ელემენტი ის მუდამ არსებობს. მიწა არის ნედლი მასალა მიწის მუშის, მადნები — ქვანახშირის მრეწველის, წყალი — მეთევზესი და თვით ტყე — მონადირის. მაგრამ კაპიტალის ყველაზე უფრო დასრულებული ფორმა არის მოცემული [იქ, სადაც] შრომის პროცესის აღნიშნული სამი ელემენტი არსებობს იმავე დროს კაპიტალის სამი ელემენტის სახითაც, ე. ი. იქ, სადაც ეს სამივე ელემენტი საქონელს წარმოადგენს, ისეთ სახმარ ღირებულებას, რომელსაც საცვლელი ღირებულება აქვს და შრომის პროდუქტია. ამ შემთხვევაში ყველა ეს სამი ელემენტი შედის ღირებულების ზრდის პროცესშიც, თუმცა მანქანა შედის იქ არა იმ რაოდენობით, რითაც ის შრომის პროცესში შედის, არამედ იმდენად, რამდენადაც ის მის მიერ მოიხმარება. საკითხი ახლა შემდეგში მდგომარეობს: შეუძლია თუ არა ამ სამი ელემენტიდან ერთი რომელიმეს მოცილებას გაადიდოს მოგების ნორმა (არა ზედმეტი

ღირებულების ნორმა) მრეწველობის იმ დარგში, რომელსაც ის აკლდება? ზოგადად უპასუხებს ამაზე თვით ფორმულა:

მოგების ნორმა უდრის ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ავანსად გაღებული კაპიტალის ერთობლივ ჯამთან.

მთელი გამოკვლევა ხდება იმ წინაპირობის საფუძველზე, რომ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა, ე. ი. პროდუქციის ღირებულების დანაწილება კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის უცვლელი რჩება. ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის $\frac{m}{v}$; მოგების ნორმა უდრის $\frac{m}{c+v}$. რადგანაც m, ზედმეტი ღირებულების ნორმა, მოცემულია, ამიტომ v მოცემულია და $\frac{m}{v}$ ნაგულისხმევი როგორც მუდმივი სიდიდე. ამრიგად, $\frac{m}{c+v}$-ს შეუძლია გამოიცვალოს თავისი სიდიდე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ c + v იცვლება და ვინაიდან v მოცემულია, ამ სიდიდეს შეუძლია მატება ან შემცირება, იმიტომ რომ c მცირდება ან იზრდება. და სწორედ $\frac{m}{c+v}$ [მეიცვლება] არა c : v-ს შეფარდებით, არამედ იმ შეფარდებით, რომლითაც c შეეფარდება c + v-ს ჯამს. თუ c = 0, მაშინ $\frac{m}{c+v} = \frac{m}{v}$. ანდა მოგების ნორმა ამ შემთხვევაში იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ნორმის თანასწორი და ეს წარმოადგენს მის უაღრესად შესაძლებელ გამოხატულებას, რადგანაც m და v-ს არავითარი გამოანგარიშების წესით არ შეუძლიათ შესცვალონ თავიანთი სიდიდე. ახლა თუ v = 100 და m = 50, მაშინ $\frac{m}{v} = \frac{50}{100} = 50$ პროცენტს. თუ ახლა ამას მიემატებოდა მუდმივი კაპიტალი 100-ს რაოდენობით, მაშინ მოგების ნორმა შეადგენდა $\frac{50}{100+100} = 25$ პროცენტს. მოგების ნორმა შემცირდებოდა სანახევროდ. თუ კი 100 v-ს 150 c მიემატებოდა, მოგების ნორმა იქნებოდა $= \frac{50}{150+100} = 20$ პროცენტი. პირველ შემთხვევაში ერთობლივი კაპიტალი უდრის v-ს, უდრის ცვალებად კაპიტალს, ამიტომაც მოგების ნორმა უდრის ზედმეტი ღირებულების ნორმას. მეორე შემთხვევაში ერთობლივი კაპიტალი უდრის 2 × v, ამიტომ მოგების ნორმა უდრის ზედმეტი ღირებულების ნორმის მხოლოდ ნახევარს. მესამე შემთხვევაში ერთობლივი კაპიტალი უდრის

$2^1/_2 \times v$, [ზედმეტი ღირებულების ნორმა $2^1/_2$-ჯერ მეტია მოგების ნორმაზე].

მაშასადამე, ეს იმთავითვე ურყევია. თუ v და $\frac{m}{v}$ უცვლელი რჩება, მაშინ სავსებით სულერთია, თუ როგორი იქნება c-ს სიდიდე. თუ c განსაზღვრული სიდიდისაა, მაგალითად, 100 უდრის, მაშინ სავსებით სულერთია ნაწილდება ეს c 50 ნედლ მასალაზე და 50 მანქანაზე, თუ 10 ნედლ მასალაზე და 90 მანქანაზე, ან 0 ნედლ მასალაზე და 100 მანქანაზე, თუ, პირიქით, ვინაიდან ეს არის $\frac{m}{c+v}$-ს შეფარდება, რომელიც მოგების ნორმას საზღვრავს. თუ როგორ შეეფარდებიან წარმოების ელემენტები, რომელთაგანაც c შესდგება, როგორც ღირებულების ნაწილნი მთელ c-ს, ეს ამ შემთხვევაში სულერთია. მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობაში ნედლი მასალა, ნახშირის გამოკლებით, რომელიც თავის მხრივ კვლავ დამხმარე მასალის როლს ასრულებს, შეიძლება მივიღოთ 0-ს თანასწორად და დავუშვათ, რომ მთელი მუდმივი კაპიტალი მანქანებისაგან შესდგება, შენობებისა და შრომის იარაღების ჩართვით. მეორეს მხრივ, შეიძლება მკერვალის მანქანები უდრიდეს 0-ს და მთელი მისი მუდმივი კაპიტალი დაიშალოს საკერავ მასალად, განსაკუთრებით, როდესაც მსხვილი მკერავები ჯერ კიდევ არავითარ საკერავ მანქანებს არ იყენებენ და, მეორეს მხრივ, ისინი, როგორც ამჟამად ამას ნაწილობრივ ლონდონში აქვს ადგილი, თვით შენობებზეც კი ხარჯების ეკონომიას სწევენ იმით, რომ თავიანთ მუშებს შინამუშების სახით ამუშავებენ. ეს არის ერთგვარი [ახალი წესის შემოღება], რომლის დროსაც შრომის მეორე სახის დაყოფა ხელახლა გვევლინება მის თავდაპირველ ფორმაში. თუ ქვანახშირის მრეწველი 1000 მანქანებზე ხარჯავს და 1000 დაქირავებულ შრომაზე, ხოლო მკერავიც 1000 ნედლ მასალაზე და 1000 დაქირავებულ შრომაზე, მაშინ მოგების ნორმა, — ზედმეტი ღირებულების თანასწორი ნორმის პირობებში, — ორივე შემთხვევაში თანასწორი იქნება. ვთქვათ, ზედმეტი ღირებულება $= 20\%$-ს, მაშინ მოგების ნორმა ორივე შემთხვევაში 10 პროცენტი იქნებოდა.

მაშასადამე, თუ c-ს შემადგენელ ნაწილთა, ნედლი მასალის და მანქანების, შეფარდებამ რაიმე გავლენა უნდა მოახდინოს მოგების ნორმაზე, მაშინ ეს შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1. როდესაც ამ შეფარდებაში მომხდარ ცვლილებების გამო c-ს აბსოლუტური სიდიდე იცვლება; 2. როდესაც c-ს შემადგენელ ნაწილთა ამ შეფარდების გამო v-ს სიდიდე იცვლება. აქ უნდა მომხ-

დარიყო ორგანიული ცვლილებანი თვით წარმოებაში; აქ არ კმარა უბრალო ტავტოლოგია, რომ თუ c-ს რომელიმე განსაზღვრული ნაწილი მთელი ჯამის პატარა ნაწილს შეადგენს, მაშინ მეორე ნაწილმა უფრო დიდი ნაწილი უნდა შეადგინოსო.

ინგლისელი ფერმერის ნამდვილ ბალანსში შრომის ხელფასი შეადგენს 1690 გირვ. სტერლინგს, სასუქი — 686 გირვ. სტერლ., თესლეული — 150 გირვ. სტერლ., საკვები ძროხებისათვის — 100 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, „ნედლი მასალისათვის" 936 გირვ. სტერლინგი იხარჯება, ე. ი. შრომის ხელფასის ნახევარზე უფრო მეტი (იხილე F. W. Newman, Lectures on Political Economy, ლონდონი, 1851. გვ. 166). ბელგიის ფლანდრიის შესახებ ნათქვამია: სასუქი და თივა შემოაქვთ ამ მხარეში ჰოლანდიიდან (სელის მოსაყვანად, მოსაშენებლად და სხვ.; პირიქით, აქედან გააქვთ სელი, სელის თესლი და სხვ). ჰოლანდიის ქალაქებში ნაგავი წარმოადგენს სავაჭრო საქონელს და სისტემატიურად იყიდება მაღალ ფასებში ბელგიაში. დაახლოებით 20 მილის მანძილზე ანტვერპენის ზემოთ, შელდაზე, შეგიძლიათ დაინახოთ რეზერვუარები სასუქისათვის, რომელიც ჰოლანდიიდან შემოაქვთ. ვაჭრობას აწარმოებს კაპიტალისტთა საზოგადოება ჰოლანდიის ნავებით და სხვ. (ბ ო ნ ფ ი ლ დ ი).

ამრიგად, თვით სასუქიც, ეს მიწის ჩვეულებრივი პატივი, დამით უმეტეს ძვლის ფქვილი, გუანო, კალი და სხვ. ვაჭრობის საგანი გახდა. ეს მარტო ფორმალური ცვლილება როდია წარმოებაში, როდესაც წარმოების ელემენტი ფულით ფასდება. ნაყოფიერების აწევის მიზნით მიწას ეძლევა ახალი ნივთიერებანი, ხოლო მისი ძველი ნივთიერებანი კი იყიდება. აქაც ადგილი აქვს არა მარტო ფორმალურ განსხვავებას წარმოების კაპიტალისტურსა და წინანდელ წესს შორის. თვით თესლეულით ვაჭრობა უფრო მნიშვნელოვანი გახდა იმდენად, რამდენადაც გასაგები შეიქნა თესლის ცვლის მნიშვნელობა. მაშასადამე, სასაცილო იქნებოდა გვეთქვა საკუთრივ მიწათმოქმედების შესახებ, რომ მასში არავითარი „ნედლი მასალა", და სწორედ ნედლი მასალა როგორც საქონელი, არ შედისო, სულერთია, ახდენს თვით მიწათმოქმედება ამ მასალის რეპროდუქციას თუ ყიდულობს მას როგორც საქონელს, შემოაქვს გარედან. სწორედ ასევე სასაცილო იქნებოდა გვეთქვა, რომ მანქანათა მწარმოებლის მანქანა, რომელსაც ის თვით ხმარობს, არ შედის მის კაპიტალში როგორც ელემენტი ღირებულებისა.

გერმანელმა გლეხმა, რომელიც წლიდან წლამდე თავისი წარმოების ელემენტებს, თესლეულს, გაპოხიერების საშუალებებს და სხვ.

თვითონ ქმნის და რომელიც თავისი მოსავლის ერთ ნაწილს თვითონვე თავისი ოჯახითურთ ხმარობს, უნდა გაიღოს [წარმოების პროცესში] ფული თავის რამოდენიმე ცალ სამიწათმოქმედო იარაღისა და შრომის ხელფასისთვის. ვთქვათ, რომ მთელი მისი ხარჯების ღირებულება შეადგენს 100 [, და აქედან ნახევარი უნდა გასტუმრებულ იქნას ფულით]. ის ხმარობს [პროდუქტის] ნახევარს in natura. მეორე ნახევარს ყიდის და ღებულობს, ვთქვათ, 100. მისი საერთო შემოსავალი მაშინ იქნებოდა = 100. და თუ ის ამ შემოსავალს ანგარიშობს 50-ის რაოდენობის კაპიტალზე, [მაშინ ის იძლევა გარდამეტს 50-ს რაოდენობით] = 100 პროცენტს. თუ ერთი მესამედი ამ 50-დან რენტაზე მოდის ($16^2/_3$), ხოლო ერთი მესამედი გადასახადებზე (ორივეზე ერთად $33^1/_3$), მაშინ მას 50-ზე დარჩება $16^2/_3$, რაც $33^1/_3$ პროცენტს შეადგენს. სინამდვილეში კი მან მარტო $16^1/_3$ პროცენტი მიიღო [, რადგანაც მისი ხარჯების ღირებულება უდრის არა 50-ს, არამედ 100-ს]. გლეხმა შემცდარად გამოიანგარიშა [, რადგანაც მან მხოლოდ ფულადი ხარჯები მიიღო სათვალავში,] და თავის თავი მოატყუა. სოფლის მეურნე კაპიტალისტის მხრივ გამოანგარიშების ასეთ შეცდომებს ადგილი ხრა აქვს.

საზიარო იჯარის ხელშეკრულებით (ბერიში, მაგალითად), ამბობს მატიე დე დომბალი, „Annales agricoles etc.", პარიზი, 1829 (მე-4 livraison, 1828), მიწისმფლობელი იძლევა მიწას, შენობებს და ჩვეულებრივად მთლად ან ნაწილობრივ მუშა-საქონელს და ხელსაწყო იარაღებს, რაც წარმოებისათვის აუცილებელია; მოიჯარადრე, თავის მხრივ, იძლევა თავის შრომას და სხვას არაფერს ან თითქმის არაფერს. მიწის პროდუქტები სანახევროდ იყოფა (გვ. 301). ნაწილობრივი მოიჯარადრენი ჩვეულებრივ წარმოადგენენ სიღატაკეში ჩაფლულ ხალხს (გვ. 302). თუ მოიჯარადრე 1000 ფრანკის დახარჯვით საერთო პროდუქტის 1500 ფრანკამდე გადიდებას აღწევს, ისე რომ 500 ფრანკი გამოხატავს საერთო მოგებას, მაშინ მან ეს მოგება სანახევროდ უნდა გაუყოს მიწისმფლობელს, მაშასადამე, მიიღებს 1500 ფრანკის რაოდენობის საერთო პროდუქტიდან 750-ს, მაშასადამე, თავის კაპიტალიდან ჰკარგავს 250 ფრანკს (გვ. 304). მიწის წინანდელი დამუშავების სისტემის დროს წარმოების გასავალი ანუ ხარჯები, რაც პირუტყვის, გლეხის და მისი ოჯახის მოხმარებაში შედიოდა, იფარებოდა მხოლოდ და მხოლოდ თვით პროდუქტების საშუალებით in natura. თითქმის არავითარი ნაღდი ფული არ იხარჯებოდა. მხოლოდ ამ გარემოებას შეეძლო მოეცა საბაბი გვეფიქრა, რომ მიწისმფლობელს და მოიჯარადრეს შეეძლოთ ერთმანეთს შორის

გაეყოთ მიწის პროდუქტი, რომელიც წარმოების დროს არ იქნა მოხმარებული; მაგრამ ამ პროცესის გამოყენება შეიძლება მხოლოდ სოფლის მეურნეობის აღნიშნული სახის მიმართ, ე. ი. ბეჩავი სოფლის მეურნეობის მიმართ (agriculture misérable); მაგრამ როგორც კი ჩნდება მიწათმოქმედებაში გაუმჯობესებით შეტანის სურვილი, მაშინვე ნათელი ხდება, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის ავანსების გაღების საშუალებით. ამ ავანსების რაოდენობა უნდა გამოაკლდეს საერთო პროდუქტს, რათა მათი გამოყენება შემდგომი წლის წარმოებისათვის კვლავ შესაძლებელი იყოს. ამიტომ საერთო პროდუქტის ყოველივე დანაწილება დაუძლეველ დაბრკოლებად ხდება ყოველი გაუმჯობესებისათვის (გვ. 307).

### c) ღირებულება, წარმოების ფასი და რენტა.

ბატონ როდბერტუსს საერთოდ, როგორც ჩანს, კონკურენციის მიერ ნორმალური მოგების, ანუ საშუალო მოგების, ანდა მოგების საერთო ნორმის მოწესრიგება ისეთი სახით წარმოუდგენია, რომ კონკურენციას საქონელნი დაყავს მათ ნამდვილ ღირებულებამდე, ე. ი. მათ ფასთა ურთიერთობებს, მაშასადამე, ისე აწესრიგებს, რომ სამუშაო დროის თანაფარდობითი რაოდენობანი, რომელნიც რეალიზაციაქმნილი არიან სხვადასხვა საქონელში, თავიანთ გამოხატულებას ფულში, ანუ სულერთია ღირებულების სხვა რომელიმე საზომში, პოულობენ. ეს ხდება, რასაკვირველია, არა იმის გამო, რომ საქონლის ფასი ოდესმე რომელსამე მოცემულ მომენტში, მის ღირებულებას უდრიდეს ან საჭირო იყოს, რომ უდრიდეს მას. მაგალითად, საქონელ A-ს ფასი მის ღირებულებაზე მაღლა იწევს, და სახელდობრ ისე, რომ იგი განსაზღვრული დროის განმავლობაში ამ მაღალ დონეზე მტკიცედ ჩერდება, ანდა განუწყვეტლად განაგრძობს მაღლა აწევას. ამის გამო A-ს მოგება იზრდება საშუალო მოგებაზე ზევით, რადგანაც ის ითვისებს არა მარტო თავის საკუთარ „გადაუხდელ“ სამუშაო დროს, არამედ იმ გადაუხდელი სამუშაო დროის ნაწილსაც, რომელიც სხვა კაპიტალისტებმა „აწარმოეს“. ამის შევსება უნდა მოხდეს — სხვა საქონელთა ფულადი ფასის უცვლელობის დროს — მოგების დაცემით წარმოების ამათუიმ სფეროში. თუ საქონელი მუშის მოხმარებაში მიდის საერთო საარსებო საშუალებათა სახით, მაშინ ის ყველა სხვა დანარჩენ დარგებში დაბლა დასწევს მოგების ნორმას, ხოლო თუ ის შედის როგორც ნაწილი მუდმივი კაპიტალისა, მაშინ ის შეამცირებს მოგების ნორმას წარმოების იმ სფეროებში,

სადაც ის მუდმივი კაპიტალის ელემენტს შეადგენს. დაბოლოს, შესაძლებელი იქნებოდა შემდეგი შემთხვევა: იგი არც რომელიმე მუდმივ კაპიტალში შედის როგორც ელემენტი და არც შეადგენს მუშათა აუცილებელ საარსებო საშუალებას (ვინაიდან საქონელს, რომელიც მუშას შეუძლია იყიდოს ან არ იყიდოს, თავისი სურვილისამებრ, იგი მოიხმარს როგორც მომხმარებელი საერთოდ და არა როგორც მუშა), არამედ მოხმარების საგანს წარმოადგენს, საერთოდ ინდივიდუალური მოხმარების საგანს. თუ საქონელი შედის როგორც მოხმარების საგანი თვით მრეწველ კაპიტალისტების მოხმარებაში, მაშინ მისი ფასის აწევა არავითარ შემთხვევაში არ მოახდენდა გავლენას ზედმეტი ღირებულების ჯამზე ან ზედმეტი ღირებულების ნორმაზე. მაგრამ, თუ კაპიტალისტი მოისურვებდა თავისი მოხმარების ძველი დონის შენარჩუნებას, მაშინ მოგების (ზედმეტი ღირებულების) ნაწილი, რომელსაც ის იყენებს ინდივიდუალური მოხმარებისათვის, გაიზრდებოდა იმ ნაწილთან შეფარდებით, რომელსაც ის იყენებს სამრეწველო რეპროდუქციაზე. ეს უკანასკნელი ნაწილი, მაშასადამე, დაეცემოდა. ამრიგად, მოგების მასა განსაზღვრული დროის პერიოდში (რომელიც აგრეთვე რეპროდუქციით განისაზღვრება) დაეცემოდა B-ში, C-ში და სხვ. ფასების აწევის გამო A-ში, ანდა მოგების აწევის გამო იმავე A-ში მის საშუალო ნორმაზე ზევით. საგანი A რომ შედიოდეს მხოლოდ და მხოლოდ არამრეწველ კაპიტალისტთა მოხმარებაში, მაშინ ისინი, შედარებით წინანდელთან, მეტს მოიხმარდენ საქონელ A-ში, ვიდრე B, C და სხვ. საქონელში. მოთხოვნა საქონელზე B, C და სხვ. შემცირდებოდა; მათი ფასი დაეცემოდა, და ამ შემთხვევაში A-ს ფასის ანუ A-ს მოგების აწევა საშუალო ნორმაზე ზევით გამოიწვევდა მოგების დაცემას საშუალო ნორმაზე დაბლა B-ში, C-ში და სხვ. იმით, რომ დასცემდა B-ს, C-ს და სხვ. ფულად ფასებს, განსხვავებით იმ წინაშემთხვევებიდან, როდესაც B-ს, C-ს და სხვ. ფულადი ფასები უცვლელი რჩებოდა. კაპიტალები B, C და სხვა საქონელთა წარმოების დარგებში, სადაც მოგების ნორმა დონეზე დაბლა დაეცა, მიატოვებდენ თავიანთ საკუთარ საწარმოო სფეროებს და გადაბარგდებოდენ საქონელ A-ს წარმოების სფეროში; მაგრამ განსაკუთრებით ამას ადგილი ექნებოდა იმ კაპიტალის ნაწილის მიმართ, რომელიც მუდმივად ახლად და ახლად გამოდის ბაზარზე და რომელიც, რასაკვირველია, განსაკუთრებულად მიაშურებდა A-ს უფრო მომგებიან სფეროს. ამის გამო საგანი A-ს ფასი რამდენიმე ხნის შემდეგ დაეცემოდა მის ღირებულებაზე დაბლა და ხანგრძლივ თუ უფრო მოკლე დროის განმავლობაში გააგრძელებდა ამ

დაცემას მანამდე, სანამ თავს არ იჩენდა კვლავ საწინააღმდეგო მოძრაობა. B, C და სხვ. სფეროებში ადგილი ექნებოდა წინააღმდეგ მოვლენას, ნაწილობრივ B, C და სხვ. საგნების მიწოდების შემცირების გამო კაპიტალის გასვლასთან დაკავშირებით, მაშასადამე, ნაწილობრივ იმ ორგანიულ ცვლილებათა გამო, რომელნიც თვით ამ სფეროებში სწარმოებს, ხოლო ნაწილობრივ კი იმ ცვლილებათა გამო, რომელთაც ადგილი ჰქონდათ A-ში და რომელნიც B, C და სხვებზე ამჟამად მოქმედებენ საწინააღმდეგო მიმართულებით.

გაკვრით შევნიშნოთ: შესაძლებელია, რომ ზემოთ დასურათებული მოძრაობის დროს, თუ ფულის ღირებულება ნაგულისხმევია როგორც უცვლელი, B-ს, C-ს და სხვ. ფულადი ფასები ვერასდროს ვერ მიაღწევენ თავიანთ წინანდელ სიმაღლეს, თუმცა B-ს, C-ს და სხვ. ფულადი ფასები აიწევენ B, C და სხვ. საქონელთა ღირებულებაზე ზევით, მაშასადამე, მოგების ნორმაც B-ში, C-ში და სხვ. აიწევს მოგების საერთო ნორმაზე ზევით. გაუმჯობესებათა, აღმოჩენათა, საწარმოო საშუალებებში უდიდესი ეკონომიისა და სხვათა გამოყენება [ხდება] არა იმ დროში, როდესაც ფასები იწევს მათ საშუალო დონეზე მაღლა, არამედ მაშინ, როდესაც ფასები ეცემა მათ საშუალო დონეზე დაბლა, მაშასადამე, მაშინ, როდესაც მოგება ეცემა მის ჩვეულებრივ ნორმაზე დაბლა. B-ს, C-ს და სხვათა ფასების დაცემის პერიოდის განმავლობაში შესაძლებელია, მაშასადამე, დაეცეს მათი ნამდვილი ღირებულება ან შემცირდეს სამუშაო დროის მინიმუმი, რომელიც საჭიროა ამ საქონლის წარმოებისათვის. ამ შემთხვევაში საქონელს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ძველი ფულადი ფასი მხოლოდ მაშინ, თუ მისი ფასის აწევა მის ღირებულებაზე ზევით უდრის იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს მის ახალ ღირებულების გამომხატველ ფასს და იმ ფასს შორის, რომელიც მის ძველ უფრო მაღალ ღირებულებას გამოხატავდა. ამ შემთხვევაში საქონლის ფ ა ს ი შესცვლიდა მის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს მიწოდებაზე და საწარმოო ხარჯებზე ზეგავლენის გამო.

მაგრამ ზემოაღნიშნული მოძრაობის შედეგია შემდეგი: თუ ავიღებთ საშუალო დონეს საქონლის ფასის აწევათა და დაწევათაგან მის ღირებულებაზე მაღლა ან დაბლა, ანდა ავიღებთ ამ აწევათა და დაწევათა გათანასწორების პერიოდს — ასეთი პერიოდები მუდამ მეორდება — მაშინ ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი უდრის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, მაშასადამე, რომელიმე განსაზღვრული სფეროს საშუალო მოგებაც უდრის მოგების საერთო ნორმას; ვინაიდან, თუმცა ამ სფეროში ფასების აწევასთან და დაცემასთან ერთად — ანუ აგრეთვე საწარმოო

ხარჯების გადიდებასთან ან შემცირებასთან ერთად ფასის უცვლელობის დროს — მოგებამ აიწია ან დაეცა თავის ძველ ნორმაზე მაღლა ან დაბლა, მაგრამ საქონელი მაინც საშუალოდ მოცემული პერიოდისათვის გაიყიდა მისი *ღირებულების* მიხედვით, *მაშასადამე*, მიღებული მოგება უდრის მოგების საერთო ნორმას. ეს არის ა. *სმიტის* და კიდევ უფრო *რიკარდოს* შეხედულება, რადგანაც *რიკარდო* უფრო გარკვეულად და მაგრად იცავს ღირებულების ნამდვილ ცნებას. მისგან იღებს მას ბატონი *როდბერტუსიც*. მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, ეს წარმოდგენა შემცდარია.

რას იწვევს კაპიტალების კონკურენცია? საქონელთა საშუალო ფასი გათანასწორების ერთი პერიოდთაგანის განმავლობაში ისეთია, რომ ეს ფასები საქონლის მწარმოებელთ ყოველ სფეროში აძლევენ ერთსადაიმავე მოგების ნორმას, მაგალითად, 10 პროცენტს. რას ნიშნავს ეს შემდეგ? იმას, რომ ყოველი საქონლის ფასი ერთი მეათედით მაღლა დგას იმ საწარმოო ხარჯების ფასზე, რაც საქონელი კაპიტალისტს დაუჯდა, რაც მან უნდა გაიღოს, რათა საქონელი აწარმოოს. საერთო ფორმაში გამოხატული — ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ თანასწორი სიდიდის კაპიტალები თანასწორ მოგებას იძლევიან, რომ ყოველი საქონლის ფასი ერთი მეათედით უფრო დიდია, ვიდრე მასზე ავანსად გაღებული, მოხმარებული ანუ მასში გამოხატული კაპიტალის ფასი. მაგრამ სავსებით შემცდარია, თითქოს კაპიტალები თავიანთ სიდიდესთან შეფარდებით სხვადასხვა სფეროებში ერთსადაიმავე ზედმეტ ღირებულებას აწარმოებდენ[1], თვით მაშინაც კი, როდესაც იგულისხმება, რომ აბსოლუტური სამუშაო დღე თანასწორია ყველა სფეროებში, ე. ი. როდესაც ზედმეტი ღირებულების ნორმა იგულისხმება როგორც მოცემული. კაპიტალთა *თანასწორი სიდიდის* დროს — თანახმად დაშვებული წინაპირობისა — ზედმეტი ღირებულების მასა, რომელსაც ეს კაპიტალები აწარმოებენ, სხვადასხვაა, *ჯერ ერთი*, მათი ორგანიულ შემადგენელ ნაწილთა, ე. ი. ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის შეფარდების მიხედვით;

---

[1] აქ სრულიად მხედველობის გარეშეა დატოვებული ის გარემობა — ამუშავებს თუ არა ერთი კაპიტალისტი მუშას უფრო ხანგრძლივად, ვიდრე მეორე, არამედ ნაგულისხმევია, რომ *აბსოლუტური* სამუშაო დღე თანასწორია ყველა სფეროებისათვის. ნაწილობრივ განსხვავება აბსოლუტურ სამუშაო დღეებში გათანაბრებულია სხვადასხვა დღეებში შრომის და სხვ. ინტენსივობით, ნაწილობრივ კი განსხვავებანი წარმოადგენენ თვითნებურ გარდამეტ მოგებათ, გამონაკლისებს და სხვ.

მ ე ო რ ე , მათი შემოტრიალების დროის მიხედვით, რამდენადაც ეს შემოტრიალების დრო განისაზღვრება ძირითად და საბრუნავ კაპიტალთა და სხვადასხვა სახის ძირითადი კაპიტალის რეპროდუქციის სხვადასხვა პერიოდთა შეფარდებით; მ ე ს ა მ ე , საკუთრივ საწარმოო პერიოდის ხანგრძლივობის თვით სამუშაო დროის ხანგრძლივობასთან შეფარდების მიხედვით, საიდანაც აგრეთვე არსებითი განსხვავება გამომდინარეობს წარმოების პერიოდის და მიმოქცევის პერიოდის შეფარდებაშიც.

თვით პირველად დასახელებული შეფარდება, შეფარდება მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის, შეიძლება გამომდინარეობდეს მეტად სხვადასხვა მიზეზებიდან, მაგალითად, შეიძლება იყოს მხოლოდ ფორმალური, ასე რომ წარმოების ერთ სფეროში დამუშავებული ნედლი მასალა უფრო ძვირია, ვიდრე მეორე სფეროში დამუშავებული; ანდა ეს შეფარდება შეიძლება წარმოსდგებოდეს შრომის სხვადასხვა პროდუქტიულობიდან და სხვ.

მაშასადამე, საქონელი რომ მისი ღირებულების მიხედვით იყიდებოდეს ან, საქონელთა საშუალო ფასები რომ მათ ღირებულებას უდრიდეს, მაშინ მოგების ნორმა სხვადასხვა სფეროებში უნდა ყოფილიყო მეტად სხვადასხვა; ერთ შემთხვევაში ის იქნებოდა 50, სხვებში — 40, 30, 20, 10 და სხვ.

თუ ავიღებთ რომელიმე სფეროს, მაგალითად, A-ს საქონელთა ერთობლივ მასას მთელი წლის განმავლობაში, მაშინ მისი ღირებულება თანასწორი იქნებოდა მასში ავანსად გაღებული კაპიტალის პლიუს მასში მოთავსებული გადაუხდელი შრომა. ამასვე ექნებოდა ადგილი B, C სფეროებშიც. მაგრამ, რადგანაც A-სა, B-ს და C-ში მოთავსებული გადაუხდელი შრომის მასა სხვადასხვაა, მაგალითად, A-ში მეტი, ვიდრე B-ში, B-ში მეტი, ვიდრე C-ში, ამიტომ საქონელნი თავიანთ მწარმოებელთ მოუტანდენ, ვთქვათ, A სფეროში 3 M (= ზედმეტ ღირებულებას), B სფეროში = 2 M და C სფეროში = 1M. და რადგანაც მოგების ნორმა განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების შეფარდებით მთელ ავანსად გაღებულ კაპიტალთან, ხოლო ეს უკანასკნელი კი ნაგულისხმევია როგორც თანასწორი A, B, C — და სხვ. სფეროებში, ამიტომ, თუ ავანსად გაღებულ კაპიტალს C-თი ავღნიშნავთ, მოგების სხვადასხვა ნორმებისათვის მივიღებთ შემდეგ გამოხატულებას: $\frac{3M}{C}$, $\frac{2M}{C}$, $\frac{M}{C}$. კაპიტალთა კონკურენციას, მაშასადამე, შეუძლია მხოლოდ მოგების ნორმათა გათანასწორება, იმით რომ ის, მაგალითად, ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში დაამყა-

რებს A, B, C სფეროებში მოგების ნორმებს $= \frac{2M}{C}, \frac{2M}{C}, \frac{2M}{C}$. A ამ შემთხვევაში თავის საქონელს გაყიდდა 1 M-ით უფრო იაფად და C, პირიქით, 1 M-ით უფრო ძვირად შედარებით მათ ღირებულებასთან. საშუალო ფასი A-ში იქნებოდა უფრო დაბლა და C-ში კი უფრო მაღლა A და C-ს საქონელთა ღირებულებაზე. როგორც B-ს შემთხვევა გვიჩვენებს, შ ე ი ძ ლ ე ბ ა მოხდეს, რომ რომელიმე საქონლის საშუალო ფასი და ღირებულება ერთმანეთს თანაემთხვევა. ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც თვით B სფეროში წარმოებული ზედმეტი ღირებულება საშუალო მოგებას უდრის, მაშასადამე, ამ სფეროში კაპიტალის სხვადასხვა ნაწილები ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც ისინი შეეფარდებიან ერთმანეთს, თუ ჩვენ კაპიტალისტთა საერთო ჯამს, კაპიტალისტთა კლასის მთელ კაპიტალს წარმოვიდგენთ რ ო გ ო რ ც ე რ თ ს ი დ ი დ ე ს, რომელზედაც გამოიანგარიშება მთელი ზედმეტი ღირებულება, სულერთია, ერთობლივი კაპიტალის რომელ სფეროშიც უნდა იყოს ეს ზედმეტი ღირებულება შექმნილი. ამ ერთობლივ კაპიტალში ხდება შემოტრიალების დროთა და სხვ. გათანასწორება; მთელი ეს კაპიტალი, მაგალითად, გამოიანგარიშება როგორც ერთი წლის განმავლობაში შემოტრიალებული და სხვ. მაშინ მართლაც ამ ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი დ ა ნ თითოეული ნაწილი თავისი სიდიდის შესაბამისად მიიღებდა მონაწილეობას ერთობლივ ზედმეტ ღირებულებაში, მიიღებდა ამ უკანასკნელიდან ჯერად ნაწილს. და, რადგანაც ყოველი ცალკე კაპიტალი უნდა განხილულიყო როგორც თანამონაწილე ამ ერთობლივ კაპიტალში, ამიტომ სწორი იქნებოდა ის, რომ, ჯ ე რ ე რ თ ი, მოგების ნორმა იმისთვის იგივეა, რაც სხვა კაპიტალისათვის, რომ სიდიდით თანასწორი კაპიტალები თანასწორი სიდიდის მოგებას იძლევიან და, მ ე ო რ ე, რაც თავისთავად პირველიდან გამომდინარეობს — რომ მოგების მასა დამოკიდებულია კაპიტალის სიდიდეზე, დამოკიდებულია იმ წილადების რიცხვზე ერთობლივ კაპიტალში, რომელთაც კაპიტალისტი ფლობს. ამრიგად, კაპიტალთა კონკურენცია ცდილობს ყოველ ცალკე კაპიტალს მოექცეს ისე, როგორც ერთობლივი კაპიტალის ნაწილს და ამის მიხედვით მოაწესრიგოს მისი მონაწილეობა ზედმეტ ღირებულებაში და, მაშასადამე, მისი მოგებაც. კონკურენცია ამას მეტად თუ ნაკლებად აღწევს თავის გათანასწორებათა საშუალებით[1]. მაგრამ ეს გერმანულად სხვას არაფერს

---

[1] აქ ვერ განვიხილავთ იმ მიზეზებს, თუ რატომ აწყდება კონკურენცია წარმოების ცალკე სფეროებში განსაკუთრებულ დაბრკოლებებს.

ნიშნავს, გარდა იმისა, რომ კაპიტალისტები ესწრაფვიან (და ეს შისწრაფებაა კონკურენცია) გადაუხდელი შრომის ის რაოდენობა, რომელსაც ისინი მუშათა კლასს სწოვენ, ანუ შრომის ამ რაოდენობის პროდუქტები დაინაწილონ ერთმანეთს შორის არა იმ შეფარდებით, რომლითაც ყოველი განსაკუთრებული კაპიტალი უშუალოდ აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, არამედ, *ჯერ ერთი*, იმ შეფარდების მიხედვით, რომლითაც ეს განსაკუთრებული კაპიტალი ერთობლივი კაპიტალის ჯერად ნაწილს შეადგენს და, *მეორე*, იმ შეფარდებით, რომლითაც თვით ერთობლივი კაპიტალი ზედმეტ შრომას აწარმოებს. კაპიტალისტები მტრულ-მოყვრულად იყოფენ ერთმანეთს შორის მათ მიერ მითვისებული სხვისი შრომის ნადავლს, ისე რომ ერთი საშუალოდ იმდენსავე გადაუხდელ შრომას ითვისებს, რამდენსაც მეორე. ამ გათანასწორებას ამყარებს კონკურენცია საშუალო ფასების მოწესრიგების საშუალებით. მაგრამ თვით ამ საშუალო ფასების დროსაც საქონელი იწევს თავის ღირებულებაზე ან მაღლა ან დაბლა, ასე რომ იგი მოგების უფრო დიდ ნორმას არ იძლევა, ვიდრე სხვა რომელიმე საქონელი. მაშასადამე, შემცდარია ის აზრი, თითქოს კაპიტალთა კონკურენცია იმით ქმნის მოგების საერთო ნორმას, რომ ის საქონელთა ფასებს ათანასწორებს მათ ღირებულებებთან. პირიქით, იგი ამყარებს საერთო ნორმას იმით, *რომ ის საქონელთა ღირებულებებს გარდაქმნის წარმოების ფასებად, რომლებშიდაც ერთი საქონლის ზედმეტი ღირებულების ნაწილი გადატანილია მეორე საქონელზე* და სხვ. საქონლის *ღირებულება* უდრის მასში *მოთავსებული* შრომის, გადახდილის და გადაუხდელის, რაოდენობას. საქონლის *საშუალო ფასი [წარმოების ფასი]* უდრის მასში *მოთავსებული* გადახდილი შრომის (გასაგნობრივებულის ანუ ცოცხალის) რაოდენობას პლიუს გადაუხდელი შრომის ის საშუალო ნაწილი, რომელიც არაა იმაზე დამოკიდებული — იყო იგი თვით საქონელში იმავე რაოდენობით მოთავსებული თუ მეტად ან ნაკლებად არის იგი მოქცეული ამ საქონლის ღირებულებაში.

[*როდბერტუსი*, ისე როგორც *რიკარდო*, გამოდის იმ შეხედულებიდან, რომ ღირებულება და საშუალო ფასი ერთმანეთს ფარავს. ჩვენ ვიცით, რომ ამას ჩვეულებრივი წესის სახით ადგილი არა აქვს, არამედ მხოლოდ გამონაკლისის სახით იჩენს ხოლმე თავს კაპიტალის საშუალო ორგანიული შედგენილობის დროს.] [მაგრამ] შესაძლებელია, რომ — ამას მე ვდებ შემდეგი გამოკვლევისათვის,

რომელიც ამ წიგნის საგანს არ ეკუთვნის — წარმოების განსაზღვრული სფეროები ისეთ პირობებში ეწეოდენ საქმიანობას, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მათ ღირებულებათა დაყვანას საშუალო ფასებამდე ზ ე მ ო ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი აზრით, რომელნიც კონკურენციას ამ გამარჯვების საშუალებას არ აძლევენ. ამას რომ ადგილი ჰქონდეს სამიწათმოქმედო რენტის ან სამთამადნო რენტის მიმართ (არსებობს ისეთი რენტა, რომელიც აბსოლუტურად მხოლოდ მონოპოლიით აიხსნება, მაგალითად, წყლის რენტა ლომბარდიაში და აზიის ზოგიერთ ნაწილებში, აგრეთვე სახლების რენტა, რამდენადაც ის წარმოადგენს მიწის საკუთრების რენტას), აქედან შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ, მაშინ როდესაც ყველა სამრეწველო კაპიტალის პროდუქტი აიწევს ან დაიწევს საშუალო ფასამდე [ზემოაღნიშნული აზრით, ე. ი. წარმოების ფასამდე], მიწათმოქმედების პროდუქტი იქნებოდა თანასწორი თავისი ღირებულების, რომელიც წარმოების ფასზე მაღლა იდგომებოდა. ექნებოდა თუ არა აქ ადგილი დაბრკოლებებს, რომელთა საშუალებითაც ამ საწარმოო სფეროში შ ე ქ მ ნ ი ლ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი დ ა ნ მითვისებული იქნებოდა ამავე სფეროს საკუთრების სახით მეტი, ვიდრე ამას ადგილი უნდა ჰქონოდა კონკურენციის კანონების მიხედვით და იმ კაპიტალის ჯამის შესაბამისად, რომელიც მრეწველობის ამ დარგშია დაბანდებული? თუ რომ სამრეწველო კაპიტალები, რომლებიც არა დროებით, არამედ მ ა თ ი საწარმოო სფეროების ბუნების მიხედვით, სხვებთან შედარებით, აწარმოებენ 10 ან 20 ან 30 პროცენტით მეტ ზედმეტ ღირებულებას, ვიდრე თანასწორი სიდიდის სამრეწველო კაპიტალები წარმოების სხვა სფეროებში, თუ რომ მათ, ვამბობ მე, უნარი ექნებოდათ კონკურენციის წინააღმდეგ მტკიცედ შეინარჩუნონ ეს გარდამეტი ზედმეტი ღირებულება და თავიდან აიშორონ მისი შესვლა საერთო გამოანგარიშებაში, დანაწილებაში, რომელიც ამყარებს მოგების საერთო ნორმას, მაშინ ამ შემთხვევაში ამ კაპიტალთა წარმოების სფეროში ადგილი ექნებოდა შემოსავლის ორი სხვადასხვა მიმთვისებლის არსებობას, ერთი, რომელიც მოგების საერთო ნორმას იღებს, და მეორე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ სფეროსთვის დამახასიათებელ გარდამეტს ღებულობს. ყოველ კაპიტალისტს შეეძლო გადაეხადა, მიეცა ამ პრივილეგიის მქონე პირისთვის ეს გარდამეტი, რათა თავისი კაპიტალი ამ სფეროში დაებანდებია, დათვითონ კი თავისთვის დაეტოვებია მოგების საერთო ნორმა, როგორც ყველა სხვა კაპიტალისტს, და იმავე შანსებით მომავლისთვის. თუ ეს შემთხვევა მიწათმოქმედებაში და სხვ. მოხდა, მაშინ ზ ე დ -

მეტი ღირებულების მოგებად და რენტად დაშლა აქ სრულებით არ გვაჩვენებდა, რომ შრომა თავისთავად უფრო პროდუქტიულია — ზედმეტი ღირებულების მოცემის აზრით — ვიდრე მრეწველობაში. მაშასადამე, საჭირო არ იქნებოდა მიწისათვის არავითარი ჯადოსნური ძალის მიწერა, რაც, სხვათა შორის, თავისთავად სასაცილოა, რადგანაც ღირებულება იქმნება შრომით, მაშასადამე, შეუძლებელია, რომ ზედმეტი ღირებულება იქმნებოდეს მიწის საშუალებით; თუმცა შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება შეიძლება იყოს მიწის ბუნებრივი ნაყოფიერების შედეგი, მაგრამ აქედან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მიწის პროდუქტების უფრო მაღალი ფასის მიღება. უფრო კი, პირიქით მოვლენას ექნებოდა ადგილი. ასევე არ იქნებოდა საჭირო მიგვემართა რიკარდოს თეორიისათვის, რომელიც თავისთავად არასასიამოვნოდ დაკავშირებულია მალთუსის ჭუჭყთან, აქვს „საძაგელი“ შედეგები და თუმცა თეორიულად არ უპირდაპირდება ჩემს სპეციალურ მოძღვრებას შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად იგი მაინც ართმევს მას მისი მნიშვნელობის დიდ ნაწილს.

რიკარდოს მთელი ოინი აი რაში მდგომარეობს: მიწის რენტა, მაგალითად, მიწათმოქმედებაში, იმ შემთხვევებში, როდესაც, — როგორც ის გულისხმობს ამას, — მიწათმოქმედება კაპიტალისტური წესით სწარმოებს და მოიჯარადრე არსებობს, არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა საერთო მოგების გარდამეტი. სავსებით სულერთია, უდრის თუ არა მართლა ამ რენტას ეკონომიურ-ბურჟუაზიული აზრით ის, რასაც მიწის მესაკუთრე იღებს. ეს შეიძლება იყოს უბრალო გამოკლება შრომის ხელფასიდან (იხილე ირლანდია) ანდა მიღებული იქნას ნაწილობრივ მოიჯარადრის მოგების საშუალო მოგების დონეზე დაბლა დაწევის გზით. ყველა ეს შესაძლებლობანი აბსოლუტურად უმნიშვნელოა, ზედმეტი ღირებულების განსაკუთრებულ, დამახასიათებელ ფორმას რენტა შეადგენს ბურჟუაზიულ სისტემაში იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს საერთო მოგების გარდამეტს.

მაგრამ როგორ არის ეს შესაძლებელი? საქონელი ხორბალი, მსგავსად ყველა სხვა საქონლისა, იყიდება [რიკარდოს აზრით] მისი ღირებულების მიხედვით, ე. ი. იცვლება სხვა საქონელზე მათში მოთავსებულ სამუშაო დროსთან შეფარდებით.

ეს არის პირველი შემცდარი წინაპირობა, რომელიც უკვე ხელოვნურად პრობლემას უფრო აძნელებს. საქონელნი იცვლებიან

ერთი მეორეზე მათი ღირებულებების მიხედვით მხოლოდ გამონაკლისის სახით. მათი წარმოების ფასები სხვაგვარად განისაზღვრება. Vide supra.

მოიჯარადრე, რომელიც ხორბალს ამუშავებს, იმავე მოგებას აკეთებს, რასაც ყველა სხვა კაპიტალისტი. ეს ამტკიცებს, რომ იგი, ისე როგორც ყველა სხვა, თავის მუშათა გადაუხდელ სამუშაო დროს ითვისებს. საიდანაა, მაშასადამე, კიდევ რენტა? ის უნდა წარმოადგენდეს სამუშაო დროს. რატომ უნდა დაიშალოს ზედმეტი შრომა მიწათმოქმედებაში მოგებად და რენტად, მაშინ როდესაც მრეწველობაში ის მხოლოდ მოგებას უდრის? და როგორაა ეს საერთოდ შესაძლებელი, რომ მოგება მიწათმოქმედებაში უდრის მოგებას წარმოების ყოველ სხვა სფეროში? რ ი კ ა რ დ ო ს უვარგისი წარმოდგენა მოგებაზე და ამ მოგების უშუალოდ არევა ზედმეტ ღირებულებაში აქაც მავნებელია და მისთვის საქმის გამაძნელებელი.

რ ი კ ა რ დ ო სწყვეტს საკითხს, გულისხმობს რა მას პრინციპში როგორც არარსებულს, და ეს არის მართლაც ერთადერთი საშუალება სიძნელის პრინციპიალურად გადაწყვეტისათვის. მხოლოდ ეს შეიძლება მოხდეს ორნაირი წესით. ან გვიმტკიცებენ, რომ წინააღდეგობა პრინციპის მიმართ მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ა, რაიცა თვით საგნის განვითარებიდან გამომდინარეობს, ანდა, მაშინ როდესაც ამ სიძნელეს, როგორც ამას რ ი კ ა რ დ ო შვება, ე რ თ პ უ ნ ქ ტ შ ი უ ა რ ყ ო ფ ე ნ, ამ პუნქტს შემდეგ იღებენ გამოსავალ წერტილად, საიდანაც შესაძლებელი ხდება სიძნელის მეორე პუნქტში არსებობის ახსნა.

რ ი კ ა რ დ ო თავის გამოსავალ წერტილად იღებს ისეთ პუნქტებს, სადაც მოიჯარადრის კაპიტალი უდრის ყველა სხვის კაპიტალს, რომელიც მხოლოდ მოგებას იძლევა, სულერთია, ცხადდება მოიჯარადრის ეს კაპიტალი როგორც ცალკე იჯარა, რომელიც მიწის რენტას არ იხდის, თუ როგორც ნაწილი მიწის იჯარისა, რომელიც ასევე რენტას არ იხდის, მაშასადამე, საერთოდ როგორც მიწის კულტურაში ზოგადად დაბანდებული კაპიტალი, რომელიც არავითარ რენტას არ იხდის. ეს გამოსავალ წერტილსაც კი შეადგენს და შეიძლება შემდეგი სახითაც იქნას გამოხატული: თავდაპირველად მოიჯარადრის კაპიტალი იხდის მხოლოდ მოგებას, და არავითარ რენტას. ეს ყალბი ისტორიული ფორმა [სხვათა შორის] არაა არსებითი და იგი სხვა კანონების დაწესების დროსაც საერთოა ყველა ბურჟუაზიული ეკონომისტისათვის. მოიჯარადრის ეს კაპიტალი არ განსხვავდება ყველა სხვა სამრეწველო კაპიტალისაგან. რენტა აქ ჩნდება მხოლოდ იმიტომ, რომ მოთხოვნა ხორბალზე იზრდება და,

განსხვავებით მრეწველობის სხვა დარგებისგან, აქ აუცილებელი ხდება ნაკლებად ნაყოფიერი მიწის დამუშავებაზე გადასვლა. საარსებო საშუალებათა ფასების აწევის გამო ზარალობს მოიჯარადრე, ნაგულისხმევი თავდაპირველი მოიჯარადრე, ისე როგორც ყველა სხვა სამრეწველო კაპიტალისტი, რამდენადაც მან თავის მუშებს მეტი უნდა გადაუხადოს. მაგრამ იგი იგებს მისი საქონლის ფასის აწევით ღირებულებაზე ზევით, ჯერ ერთი, რამდენადაც მის მუდმივ კაპიტალში შემავალი სხვა საქონელი თავისი შეფარდებითი ღირებულების მიხედვით, შედარებით მის საქონელთან ეცემა, იგი მას, მაშასადამე, უფრო იაფად ყიდულობს; მეორე, რამდენადაც ის თავის ზედმეტ ღირებულებას უფრო ძვირ საქონელში ფლობს. მაშასადამე, ამ მოიჯარადრის მოგება იწევს მოგების საშუალო ნორმაზე მაღლა, თუმცა ეს უკანასკნელი, ე. ი. საშუალო ნორმა დაეცა.

შემდეგ მეორე კაპიტალისტი მიმართავს უფრო ცუდი მიწის ნაკვეთის, № 2-ს, დამუშავებას, რომელსაც მოგების ამ მცირე ნორმის დროს შეუძლია პროდუქტის მოცემა I-ლის ფასად ანდა, შესაძლებელია, უფრო იაფადაც. როგორიც უნდა იყოს მდგომარეობა, ჩვენ ახლა II-ში კვლავ ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, რომ ზედმეტი ღირებულება მხოლოდ მოგებაში გადადის, მაგრამ I-თვის ჩვენ უკვე რენტა ავხსენით, და ავხსენით იმითი, რომ არსებობს წარმოების ორნაირი ფასი, მაგრამ II-ს წარმოების ფასი არის იმავე დროს I-ლის საბაზრო ფასი. სავსებით ისე, როგორც საფაბრიკო საქონელი, რომელიც უფრო ხელსაყრელ პირობებში იწარმოება, დროებით გარდამეტ მოგებას იძლევა. ხორბლის ფასიც, რომელიც მოგების გარდა რენტასაც შეიცავს, მართალია, შესდგება მხოლოდ გასაგნობრივებული შრომისაგან, თანასწორია თავისი ღირებულების, მაგრამ თანასწორია არა თვით მასში მოთავსებული ღირებულების, არამედ თანასწორია მე-II-ს ღირებულების. ორი საბაზრო ფასის [ერთი მეორის გვერდით ყოფნა] შეუძლებელია.

მაშინ როდესაც რ ი კ ა რ დ ო ს მოიჯარადრე მე-II სარბიელზე გამოჰყავს მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ი ს დაცემის შედეგად, ს ტ ი რ ლ ი ნ გ ს იგი გამოჰყავს, იმიტომ, რომ შ რ ო მ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ი კი არ გაზრდილა ხორბლის ფასის გადიდების გამო, არამედ დაეცა. ეს დაცემული შრომის ხელფასი საშუალებას აძლევს II-ს დაამუშაოს [მიწა] № 2 მოგების ძველი ნორმით, თუმცა ეს მიწა ნაკლებად ნაყოფიერია.

რაკი ამ სახით ერთხელვე დამტკიცებულია მიწის რენტის არსებობის შესაძლებლობა, დანარჩენი აქედან სულ ადვილად გამომდინარეობს.

*მიწის რენტის განსხვავება* შეფარდებით მზარდ ნაყოფიერებასთან და სხვ., რასაკვირველია, სწორი რჩება. უკანასკნელი გარემოება არ შეიცავს იმას, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს აუცილებლად მუდამ უფრო და უფრო ცუდ მიწაზე გადასვლას.

ესაა, მაშასადამე, *რიკარდოს* თეორია.

რადგანაც ხორბლის აწეული ფასი, რომელიც I-ლს გარდამეტ მოგებას აძლევს, ხოლო მე-II-ს კი მოგების იმდენსავე ნორმასაც ვერ აძლევს, როგორც უწინ, არამედ უფრო მცირეს, ამიტომ ცხადია, რომ პროდუქტი № 2 მეტ ღირებულებას შეიცავს, ვიდრე პროდუქტი № 1, ანუ, რომ ის უფრო დიდი სამუშაო დროის პროდუქტს წარმოადგენს, რომ მასში მეტი შრომის რაოდენობაა მოთავსებული, მაშასადამე, უფრო მეტი სამუშაო დრო უნდა იქნას გამოყენებული ერთიდაიმავე პროდუქტის, მაგალითად, კვარტერი ხორბლის, საწარმოებლად. და რენტის მაღლა აწევა შეფარდებაში დარჩება მიწის უნაყოფობის ამ აწევასთან ან შრომის იმ რაოდენობის ზრდასთან, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნას, მაგალითად, ერთი კვარტერი ხორბლის საწარმოებლად. *რიკარდო*, რასაკვირველია, არ ილაპარაკებდა აქ რენტის „აწევაზე", თუ რომ მარტო კვარტერის რიცხვი გაიზრდებოდა, საიდანაც რენტის გადახდა სწარმოებს, არამედ მისი აზრით ამ აწევას ადგილი ექნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც [ფასი იმავე] *ერთი* კვარტერისა მაღლა იწევს, მაგალითად, 30 შილინგიდან 60 შილინგამდე. ყოველ შემთხვევაში ის ივიწყებს ზოგჯერ, რომ რენტის აბსოლუტურ სიდიდეს შეუძლია გაიზარდოს რენტის დაწეული ნორმის დროს, ისე როგორც მოგების აბსოლუტურ მასას შეუძლია გაიზარდოს მოგების კლებადი ნორმის დროს.

სხვები ცდილობენ გვერდი აუხვიონ სიძნელეს (მაგალითად, *კერი*), როდესაც ამ სიძნელეს სხვანაირად უარყოფენ. მიწის რენტა წარმოადგენს მხოლოდ სარგებელს მიწასთან უწინ შესისხლხორცებულ კაპიტალისათვის. მაშასადამე, წარმოადგენს აგრეთვე მხოლოდ მოგების ფორმას. აქ, მაშასადამე, ხდება *მიწის რენტის არსებობის* უარყოფა, რითაც სინამდვილეში მის ახსნას *გვერდი ექცევა*.

სხვები, მაგალითად, *ბუხანანი*, იხილავენ მას როგორც მონოპოლიის უბრალო შედეგს. იხილე აგრეთვე *ჰოპკინსი*. აქ რენტა *ღირებულების* უბრალო *დამატებაა*.

ბატონ *ოპდეიკის* (Opdyke) აზრით, — და ეს დამახასიათებელია იანკისათვის, — მიწის საკუთრება ანუ მიწის რენტა

ხდება „კაპიტალის ღირებულების ლეგალიზაციაქმნილ ანარეკლად“. [ასევე კარგად შეგვეძლო გვეწოდებია] „კაპიტალისთვის სხვისი შრომის ღირებულების ლეგალიზაციაქმნილი ანარეკლი“.

რიკარდო არაა რენტის თეორიის გამომგონებელი. ვესტმა და მალთუსმა [თავიანთი შრომები ამ საგანზე] მასზე უწინ გამოაქვეყნეს. მაგრამ წყარო კი ამ თეორიისა — ანდერსონია. ის, რაც რიკარდოს სხვებისგან განარჩევს და განასხვავებს (თუმცა ვესტიც არაა მთლად მოკლებული სწორ კავშირს), ესაა მისი მიწის რენტის კავშირი მისსავე ღირებულების თეორიასთან. მალთუსმა, როგორც ამას მისი შემდგომი პოლემიკა რიკარდოსთან მიწის რენტის შესახებ გვიჩვენებს, თვითვე ვერ გაიგო მის მიერ ანდერსონიდან გადმოღებული თეორია.

[რიკარდოს გამოკვლევას ხელს უშლის ორი მცდარი წინაპირობა]. გამოდის რა სწორი პრინციპიდან, რომ საქონელთა ღირებულება განისაზღვრება მათ საწარმოებლად აუცილებელ სამუშაო დროით, და რომ ღირებულება საერთოდ სხვა არა არის რა, თუ არ რეალიზაციაქმნილი საზოგადოებრივი სამუშაო დრო, რიკარდო ასკვნის აქედან, რომ საქონლის საშუალო ფასი მისი წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროით განისაზღვრებაო. ეს დასკვნა სწორი იქნებოდა, უკეთუ დამტკიცებული ყოფილიყო, რომ საშუალო ფასი ღირებულებას უდრის. მაგრამ აქ ვამტკიცებ, რომ სწორედ იმიტომ, რომ საქონლის ღირებულება სამუშაო დროით განისაზღვრება, საქონლის საშუალო ფასი [ანუ წარმოების ფასი] არასდროს არ შეიძლება უდრიდეს მის ღირებულებას (ერთადერთი შემთხვევის გამოკლებით, როდესაც, ასე ვთქვათ, მოგების ინდივიდუალური ნორმა რომელიმე წარმოების განსაზღვრულ სფეროში ერთობლივი კაპიტალის მოგების საშუალო ნორმას უდრის), თუმცა წარმოების ფასის ეს განსაზღვრა გამოყვანილია მხოლოდ ღირებულებიდან, რომელიც თავის მხრივ სამუშაო დროით განსაზღვრაზეა დამყარებული. აქედან, უწინარეს ყოვლისა, გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია თავის საკუთარ ღირებულებაზე მაღლა ან დაბლა გაიყიდონ ის საქონელნიც, რომელთა წარმოების ფასი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მუდმივი კაპიტალის ღირებულებას) მხოლოდ შრომის ხელფასად და მოგებად იშლება, ასე რომ, როგორც შრომის ხელფასი, ისე მოგებაც თავიანთ ნორმალურ დონეზე დგანან, საშუალო შრომის ხელფასს და საშუალო მოგებას წარმოადგენენ. ის გარემოება, რომ საქონლის ზედმეტი ღირებულება მხოლოდ ნორმალური მოგების რუბრიკაში გამოისახება [ჯერ კიდევ

არ] ამტკიცებს, რომ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება; ის გარემოებაც, რომ საქონელი გარდა მოგებისა კიდევ მიწის რენტას იძლევა, [ასევე ნაკლებად] ამტკიცებს იმას, რომ საქონელი მის იმანენტურ ღირებულებაზე მაღლა იყიდება. თუ კაპიტალის მოგების საშუალო ან საერთო ნორმა, რომელსაც საქონელი რეალიზაციას უშვება, შეიძლება იმყოფებოდეს თავისი საკუთარი მოგების ნორმაზე დაბლა, იმ ნორმაზე, რომელიც მისივე ნამდვილი ზედმეტი ღირებულებით განისაზღვრება, მაშინ აქედან გამომდინარეობს შემდეგი: თუ წარმოების განსაკუთრებულ სფეროს საქონელნი, გარდა მოგების ამ საშუალო ნორმისა, კიდევ ზედმეტი ღირებულების მეორე რაოდენობას იძლევიან, რომელიც განსაკუთრებულ სახელწოდებას ატარებს, მაშასადამე, ვთქვათ, იძლევიან მიწის რენტას, მაშინ მოგება პლიუს მიწის რენტა, ე. ი. მოგების და მიწის რენტის ჯამი, არ საჭიროებს უფრო მეტი იყოს, ვიდრე თვით საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულებაა. ვინაიდან მოგება შეიძლება უფრო პატარა იყოს, ვიდრე საქონლის იმანენტური ზედმეტი ღირებულება ანუ მასში მოთავსებული გადაუხდელი შრომის რაოდენობა, ამიტომ მოგება პლიუს მიწის რენტა არ უნდა იყოს მეტი, ვიდრე საქონლის იმანენტური ზედმეტი ღირებულებაა. ყოველ შემთხვევაში ასახსნელი დარჩებოდა ის მოვლენა, თუ რატომ ხდება ასეთი რამ წარმოების ერთ განსაკუთრებულ სფეროში განსხვავებით წარმოების სხვა სფეროთაგან. მაგრამ პრობლემა უკვე მეტად გაადვილდებოდა.

[წარმოების ამ განსაკუთრებული სფეროს] საქონელი განსხვავდება სხვებისაგან შემდეგით:

სხვა საქონელთა ერთ ნაწილში მათი წარმოების ფასი მათ იმანენტურ ღირებულებაზე მაღლა იმყოფება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მოგების ნორმა მოგების საერთო ნორმამდე ასწიოს; სხვა საქონელთა მეორე ნაწილში მათი წარმოების ფასი მათ იმანენტურ ღირებულებაზე დაბლა დგას, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მარტო საჭიროა მათი მოგების ნორმის მოგების საერთო ნორმამდე დასაწევად; დაბოლოს, ამ საქონელთა მესამე ნაწილში მათი წარმოების ფასი მათ იმანენტურ ღირებულებას უდრის, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოგების საერთო ნორმას იძლევიან, თუ კი თავიანთი იმანენტური ღირებულების მიხედვით იყიდებიან. ის საქონელი, რომელიც მიწის რენტას იძლევა, განსხვავდება ყველა ამ სამი შემთხვევიდან. ყოველ შემთხვევაში ფასი, რომლის მიხედვითაც ის იყიდება, ისეთია, რომ

იგი მეტს იძლევა იმ საშუალო მოგებაზე, რომელიც განსაზღვრულია კაპიტალის მოგების საერთო ნორმის მიერ.

[ახლა შევადაროთ ჩვენ ზემომოყვანილი სამი შემთხვევა იმ შემთხვევებს, რომლებიც შესაძლებელია იმ საქონლისათვის, რომელიც რენტას იძლევა.] ხდება თუ არა ამ საქონლის ფასში მთელი ამავე საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია? აქ გამორიცხული უნდა იქნას ზემოაღნიშნული მესამე შემთხვევა იმ საქონელთა მიმართ, რომელთა მთელი ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია მათი წარმოების ღირებულებაში ხდება, იმიტომ რომ ისინი ამ სახით მხოლოდ ჩვეულებრივ მოგებას იძლევიან. ეს შემთხვევა, მაშასადამე, არ მიიღება სათვალავში განხილვისათვის. ასევე ნაკლებად მიიღება მხედველობაში, თუ ზემოაღნიშნულს ვიგულისხმებთ, პირველი შემთხვევაც, როდესაც საქონლის ფასში რეალიზაციაქმნილი ზედმეტი ღირებულება მის იმანენტურ ზედმეტ ღირებულებაზე მაღლა დგას. ვინაიდან, სწორედ ნაგულისხმევია, რომ მასში მოთავსებული ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია მის ფასში ხდება. მაშასადამე, აქ შემთხვევა ანალოგიურია მეორე შემთხვევის, იმ საქონელთა მიმართ შემთხვევის, რომლებშიც მათი იმანენტური ზედმეტი ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე მათი წარმოების ფასში რეალიზაციაქმნილი ზედმეტი ღირებულება. ისე როგორც ამ საქონელთათვის მოგება ამ ზედმეტი ღირებულების ფორმას შეადგენს; ეს ზედმეტი ღირებულება დაწევის მეოხებით გათანასწორებულია მოგების საერთო ნორმასთან. თუმცა საქონლის იმანენტური ზედმეტი ღირებულების გარდამეტი მოგებაზე ამ განსაკუთრებულ საქონლებშიც, განსხვავებით საქონლისაგან № 2, რეალიზაციაქმნილია, მაგრამ ეს გარდამეტი წილად ხვდება არა კაპიტალის, არამედ სხვა, სახელდობრ, მიწის, ბუნებრივი საწარმოო საშუალების, მთის მადნეულის და სხვ. მფლობელს.

ანდა მათი ფასი ისე მაღლა იწევს, რომ იგი მოგების საშუალო ნორმაზე მეტს იძლევა. ამას ადგილი აქვს, მაგალითად, საკუთრივ მონოპოლიური ფასების დროს. წარმოების ყოველი სფეროს მიმართ, სადაც კი კაპიტალის და შრომის გამოყენება ადვილად და უხვად შეიძლება და წარმოებაც, რაც შეეხება გამოყენებული კაპიტალის მასას, დაქვემდებარებულია საერთო კანონებს, ასეთი წინასწარი დაშვება იქნებოდა არა მარტო petitio principii, არამედ იგი პირდაპირ წინააღმდეგი იქნებოდა მეცნიერებისა და იმ კაპიტალისტური წარმოების საფუძვლების, რომლის თეორიულ გამოხატულებასაც ეს მეცნიერება წარმოადგენს. ვინაიდან ასეთ წინასწარ დაშვებას უნდა

ეგულისხმებია ის, რაც სწორედ ახსნილი უნდა იქნას, სახელდობრ ის, რომ წარმოების განსაკუთრებულ სფეროში საქონლის ფასმა მოგების საერთო ნორმაზე, საშუალო ფასზე მეტი უ ნ დ ა მოგვცეს და ამისათვის საქონელი მის ღირებულებაზე მაღლა უნდა გაიყიდოს. მაშასადამე, ამ წინაპირობის მიერ უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, რომ მიწათმოქმედების პროდუქტები გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი არიან ზედმეტი ღირებულების და კაპიტალისტური წარმოების კანონებიდან. და ის ამას იგულისხმებდა სწორედ იმიტომ, რომ რენტის განსაკუთრებული არსებობა მოგების გვერდით prima facie ასეთ ილიუზიას ქმნის. მაგრამ ეს აბსურდი იქნებოდა.

ამიტომ სხვა აღარაფერი არ რჩება, გარდა იმის გულისხმობისა, რომ წარმოების ამ განსაკუთრებულ სფეროში განსაკუთრებული პირობები არსებობს, განსაკუთრებული გავლენანი, რომელთა მეოხებითაც საქონელთა ფასები [მთელ] მათ იმანენტურ ზედმეტ ღირებულებას მათ ფასში ანხორციელებენ, ნაცვლად იმისა, რომ რეალიზაცია უქნან მხოლოდ იმდენს, რამდენსაც იძლევა მოგების საერთო ნორმა; ნაცვლად იმისა, რომ მათმა წარმოების ფასებმა იძულებით დაიწიონ მათ ზედმეტ ღირებულებაზე დაბლა, რომ მარტო მოგების საერთო ნორმა მოგვცენ, ანდა რომ მათი საშუალო მოგება არ იყოს იმ საშუალო მოგებაზე მეტი, რაც მოცემულია კაპიტალის ყველა სხვა წარმოების დარგებში. ამით უკვე პრობლემა მეტად გამარტივდა. საქმე უკვე იმას კი აღარ ეხება, რომ ავსხნათ, თუ როგორ ხდება, რომ საქონლის ფასი გარდა მოგებისა კიდევ მიწის რენტასაც იძლევა, მაშასადამე, თითქოს გ ა რ ე გ ნ უ ლ ა დ ღირებულებათა ზოგად კანონს არღვევს და საქონლის ფასის აწევით მისი იმანენტური ზედმეტი ღირებულების მიერ [მოცემულ დონეზე] მაღლა მეტს იძლევა მოგების იმ საერთო ნორმაზე, რომელიც მოცემული სიდიდის კაპიტალს უწევს; არამედ, პირიქით, საქმე ეხება იმას, თუ როგორ ხდება, რომ ეს საქონელი, საქონელთა წარმოების ფასებთან გათანასწორების პროცესში, იმდენს არ აძლევს თავისი იმანენტური ზედმეტი ღირებულებიდან სხვა საქონელს, რომ მან მარტო საშუალო მოგების მოტანა შესძლოს, არამედ იგი რეალიზაციას უშვება თავისი საკუთარი ზედმეტი ღირებულების კიდევ ერთ ნაწილსაც, რომელიც წარმოადგენს გარდამეტს საშუალო მოგებაზე? როგორაა ამიტომ შესაძლებელი, რომ მოიჯარადრე, რომელიც კაპიტალს წარმოების ამ სფეროში აბანდებს, საქონელს ისეთი ფასის მიხედვით ყიდის, რომ ის მას ჩვეულებრივ მოგებას აწვდის და ამასთან ერთად შესაძლებლობას აძლევს საქონლის ზედმეტი ღირებულების რეალიზა-

ციაქმნილი გარდამეტი ამ მოგებაზე მესამე პირს, მიწის მესაკუთრეს, გადაუხადოს. ასეთ ფორმაში პრობლემის თვით მარტო ფორმულირებას თან მოსდევს მისივე საკუთარი გადაწყვეტა. ეს მხოლოდ განსაზღვრულ პირთა კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა ა მიწაზე, მადნებზე, წყლებზე და სხვ., რაც მათ შესაძლებლობას აძლევს წარმოების ამ განსაკუთრებული სფეროს, კაპიტალის ამ განსაკუთრებული დაბანდების საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულების გარდამეტი მოგებაზე, საშუალო მოგებაზე, გარდამეტი მოგების საერთო ნორმით განსაზღვრულ მოგების ნორმაზე დაიჭირონ, მიიჩემონ, ხელთ იგდონ და ხელი შეუშალონ მას შევიდეს იმ საერთო პროცესში, რომლის საშუალებითაც მოგების საერთო ნორმა იქმნება. ამ ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილის დაჩემებას ყოველ სამრეწველო სარეწაოშიც კი აქვს ადგილი, რადგანაც ყველგან ფაბრიკის შენობისა, მუშათა ბინის და სხვათა მიერ დაკავებული მიწის ფართობის სარგებლობისათვის სწარმოებს მიწის რენტის გადახდა, რადგანაც თვით [იქაც] კი, სადაც მიწის თავისუფლად ქონება შეიძლება, ფაბრიკები შენდება მხოლოდ უკვე მეტად თუ ნაკლებად დასახლებულ და მიმოსვლის საშუალებათა მხრივ მდიდარ ადგილებში.

თუ საქონელი, რომელსაც ყველაზე უფრო მდარე მიწა იძლევა, მე-3 კატეგორიის ეკუთვნის, ე. ი. იმ საქონელთა კატეგორიას, რომელთა საშუალო ფასიც მათ ღირებულებას უდრის, ე. ი. რომელნიც მთელ თავის იმანენტურ ზედმეტ ღირებულებას თავიანთ ფასებში უშვებიან რეალიზაციას, რადგანაც ისინი მხოლოდ ამ სახით იძლევიან ჩვეულებრივ მოგებას, — მაშინ ეს მიწა არავითარ რენტას არ გადაიხდიდა, მიწის საკუთრება აქ იქნებოდა მხოლოდ ნომინალური. აქ რომ იჯარის გადახდა სწარმოებდეს, მაშინ ეს დაამტკიცებდა მხოლოდ იმას, რომ წვრილი კაპიტალისტები, როგორც ამას ნაწილობრივ ინგლისში აქვს ადგილი (იხილე ნ ი უ მ ა ნ ი), კმაყოფილდებიან მიიღონ საშუალო მოგებაზე უფრო დაბალი მოგება. ასეთივე შემთხვევას აქვს ყოველთვის ადგილი, როდესაც მიწის რენტის ნორმა უფრო დიდია, ვიდრე განსხვავება საქონლის იმანენტურ ზედმეტ ღირებულებასა და საშუალო მოგებას შორის. არსებობს ისეთი მიწაც კი, რომელიც დამუშავების დროს იძლევა სულ დიდიდიდი იმდენს, რამდენიც საკმარისია ხელფასის გასასტუმრებლად, ვინაიდან, თუმცა მუშა აქ მთელ თავის სამუშაო დღეს თავისთვის მუშაობს, მისი სამუშაო დრო მეტია საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროზე. ეს სამუშაო დრო იმდენად არაპროდუქტიულია შედარებით შრომის ამ დარგში გაბატონებულ პროდუქტიულო-

ბასთან, — რომ, თუმცა ადამიანი თორმეტ საათს თავისთვის მუშაობს, მაინც ძნელად თუ შეუძლია [მიიღოს] იმდენი პროდუქტი, რამდენსაც იღებს მუშა წარმოების უფრო ხელსაყრელ პირობებში 8 საათის განმავლობაში. ეს იგივე მოვლენაა, რასაც ადგილი აქვს ხელოსან ფეიქარის მიმართ, რომელიც კონკურენციას უწევდა ორთქლის საქსოვ დაზგას. რასაკვირველია, ამ ხელოსან ფეიქრის პროდუქტი უდრიდა 12 სამუშაო საათს, მაგრამ ის უდრიდა მხოლოდ რვა საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო საათს ან უფრო ნაკლებს, და ამიტომაც მის პროდუქტს ჰქონდა მხოლოდ 8 აუცილებელი სამუშაო საათის ღირებულება. თუ მსგავს შემთხვევაში ბოგანო იჯარას იხდის, მაშინ ეს იჯარა წარმოადგენს უბრალო გამოკლებას მისი აუცილებელი შრომის ხელფასიდან და არ შეადგენს არავითარ ზედმეტ ღირებულებას და კიდევ უფრო ნაკლებად რაიმე გარდამეტს საშუალო მოგებაზე.

დავუშვათ, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც შეერთებული შტატებია, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ ფერმერთა რიცხვი ჯერ კიდევ ისე მცირეა და მიწის მითვისება საკუთრებად ისე ფორმალური, რომ ყოველი მათგანი პოულობს ადგილს, მიწის წინანდელ დამმუშავებელ მესაკუთრეთა ან მოიჯარადრეთა უნებართვოდ, დააბანდოს თავისი კაპიტალი მიწის კულტურაში. ასეთ პირობებში შესაძლებელია ხანგრძლივი დროის განმავლობაში, — ისეთი მიწის ნაკვეთების გამოკლებით, რომელთა მდებარეობა მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში მათ მონოპოლიას ანიჭებს, — რომ ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ფერმერი აწარმოებს საშუალო მოგებაზე ზევით, რეალიზაციას არ პოულობს მისი პროდუქტის ფასში, არამედ ფერმერი იძულებულია იგი გაუზიაროს თავის ძმებს — კაპიტალისტებს, როგორც ამას ადგილი აქვს ყველა საქონლის ზედმეტი ღირებულების მიმართ, რომელი ზედმეტი ღირებულებაც, თუ კი ის რეალიზაციას პოულობს ამ საქონლის ფასში, გარდამეტ მოგებას მისცემდა მათ და მათი მოგების ნორმას მოგების საერთო ნორმაზე ზევით ასწევდა. ამ შემთხვევაში მოგების საერთო ნორმა აიწევდა, რადგანაც ხორბალი და სხვ., სხვა სამრეწველო საქონლის მსგავსად, თავის ღირებულებაზე დაბლა გაიყიდებოდა. ეს გაყიდვა ღირებულებაზე უფრო დაბლა არ შექმნიდა არავითარ გამონაკლისს, არამედ, პირიქით, ხელს შეუშლიდა ხორბალს შეექმნა რაიმე გამონაკლისი ამავე კატეგორიის სხვა საქონელთაგან.

დავუშვათ მეორედ, რომ რომელიმე ქვეყანაში მხოლოდ ერთი ხარისხის მიწაა, მხოლოდ პირობები ისეთია, რომ, თუ საქონლის

მთელი ზედმეტი ღირებულება თავის რეალიზაციას ნახავდა მის ფასში, იგი კაპიტალს ჩვეულებრივ მოგებას მისცემდა. ამ შემთხვევაში არავითარი მიწის რენტის გადახდას არ ექნებოდა ადგილი. მიწის რენტის ეს მოშორება სრულიად არავითარ გავლენას არ მოახდენდა მოგების საერთო ნორმაზე, არც ასწევდა და არც დასწევდა მას, სწორედ ისე, როგორც მასზე არავითარ გავლენას არ ახდენს ის გარემოება, რომ სხვა, არა სასოფლო-სამეურნეო, პროდუქტები, იმავე კატეგორიაში იმყოფებიან. ეს საქონელნი ამ კატეგორიაში იმყოფებიან სწორედ იმიტომ, რომ მათი იმანენტური ზედმეტი ღირებულება საშუალო მოგებას უდრის; მათ, მაშასადამე, არ შეუძლიათ შესცვალონ სიმაღლე ამ მოგებისა, რომელსაც ისინი უფრო შეეფერებიან და რომელზედაც არავითარ გავლენას არ ახდენენ, თუმცა თვით მოგება მათზე მოქმედებს.

დავუშვათ, მესამედ, რომ ქვეყანა შესდგება მხოლოდ ერთი ხარისხის მიწისაგან, მაგრამ ეს მიწა იმდენად უნაყოფოა და მასზე გამოყენებული კაპიტალი იმდენად არაპროდუქტიული, რომ მისი პროდუქტი ეკუთვნის იმ საქონელთა რიგს, რომელთა ზედმეტი ღირებულება საშუალო მოგებაზე დაბლა დგას. ზედმეტ ღირებულებას შეეძლო აქ, რასაკვირველია, — რადგანაც შრომის ხელფასი [მაღალი იქნებოდა] მიწათმოქმედების არაპროდუქტიულობის გამო, — უფრო მაღალი ყოფილიყო მხოლოდ იქ, სადაც შესაძლებელი იქნებოდა აბსოლუტური სამუშაო დროის გაგრძელება, და შემდეგ, მხოლოდ იქ, სადაც ნედლი მასალა, როგორც რკინა და სხვ. არ იქნებოდა მიწათმოქმედების პროდუქტი, ანდა როგორც ბამბა, აბრეშუმი და სხვ. იმპორტის საგანი და უფრო ნაყოფიერი მიწის პროდუქტი იქნებოდა. ამ შემთხვევაში საქონლის ფასი იქნებოდა უფრო მაღალი ზედმეტი ღირებულების შემცველი, ვიდრე საქონლის იმანენტური ღირებულება, რათა მას შესძლებოდა ჩვეულებრივი მოგების მოცემა. მოგების საერთო ნორმა ამით დაეცემოდა, თუმცა არავითარი რენტა არ იარსებებდა.

ანდა დავუშვათ მე-2 შემთხვევაში, რომ მიწა ძლიერ არაპროდუქტიულია; მაშინ ამ სამიწათმოქმედო პროდუქტის ზედმეტი ღირებულება თავისი თანასწორობით საშუალო მოგებასთან დაგვანახვებდა, რომ ეს საშუალო მოგება საერთოდ დაბალია, რადგანაც მიწათმოქმედებაში, შეიძლება, თორმეტი სამუშაო საათიდან საჭიროა თერთმეტი საათი, რომ წარმოებულ იქნას მხოლოდ შრომის ხელფასი, ზედმეტი ღირებულება კი უდრის ერთ საათს, ან უფრო მცირეა.

ეს სხვადასხვა შემთხვევები გვისურათებენ შემდეგს:

პირველ შემთხვევაში მიწის რენტის ჩამოშორება ან მისი არარსებობა — შედარებით იმ ქვეყნებთან, სადაც მიწის რენტა განვითარებულია — დაკავშირებულია მოგების [მაღალ] ნორმასთან და მასთან ერთად არსებობს.

მეორე შემთხვევაში მიწის რენტის ჩამოშორება ან არარსებობა სრულიად არავითარ გავლენას არ ახდენს მოგების ნორმაზე.

მესამე შემთხვევაში კი ეს ჩამოშორება ან არარსებობა რენტისა შედარებით სხვა ქვეყნებთან, სადაც მიწის რენტა არსებობს, დაკავშირებულია მოგების უფრო დაბალ, შედარებით უფრო დაბალ ნორმასთან.

ამრიგად, აქედან გამომდინარეობს, რომ თავისთავად განსაკუთრებული მიწის რენტის განვითარებას არავითარი საერთო არა აქვს სამიწათმოქმედო შრომის პროდუქტიულობასთან, რადგანაც რენტის არარსებობა ან ჩამოშორება შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგების ნორმასთან, რომელიც ან მაღლა იწევს, ან უცვლელი რჩება, ანდა ეცემა.

საკითხი აქ იმაში კი არ არის, თუ რატომ მიწათმოქმედებაში და სხვ. ადგილი აქვს საშუალო მოგებაზე ზედმეტი ღირებულების გარდამეტის დაჩემებას, არამედ, პირიქით, საკითხავი უნდა ყოფილიყო სწორედ ის, თუ რა საფუძვლით უნდა ჰქონოდა აქ ადგილი წინააღმდეგ მოვლენას?

ზედმეტი ღირებულება სხვა არა არის რა, თუ არ გადაუხდელი შრომა. საშუალო მოგება ანუ ნორმალური მოგება არის მხოლოდ გადაუხდელი შრომის რაოდენობა, რომელსაც რეალიზაციას უშვება მოცემული ღირებულების სიდიდის მქონე ყოველი კაპიტალი. როდესაც ლაპარაკია, რომ საშუალო მოგება შეადგენს 10 პროცენტსო, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ კაპიტალ 100-ს უწევს 10 გადაუხდელი შრომა, ანდა, რომ გასაგნობრივებული შრომა, რომელიც 100-ს უდრის, ბრძანებლობს გადაუხდელ შრომას თავისი საკუთარი ჯამის $^1/_{10}$-ს რაოდენობით. მაშასადამე, საშუალო მოგებაზე ზედმეტი ღირებულების გარდამეტი ნიშნავს იმას, რომ საქონელში (მის ფასში ანუ მისი ფასის იმ ნაწილში, რომელიც ზედმეტი ღირებულებისაგან შესდგება) მოთავსებულია გადაუხდელი შრომის რაოდენობა, უფრო დიდი გადაუხდელი შრომის იმ რაოდენობაზე, რომელიც საშუალო მოგებას ქმნის, მოგებას, რომელიც საქონლის წარმოების ფასში გამოსახავს საქონლის ფასის გარდამეტს მის საწარმოო ხარჯებთან შედარებით. ყოველ ცალკე საქონელში წარმოების

ხარჯები წარმოადგენენ ავანსად გაღებულ კაპიტალს და გარდამეტი წარმოების ამ ხარჯებზე გამოხატავს გადაუხდელ შრომას, რომელსაც ბრძანებლობს ავანსად გაღებული კაპიტალი, მაშასადამე, ფასის ამ გარდამეტის შეფარდებაც წარმოების ხარჯების ფას[თან] გამოხატავს ნ ო რ მ ა ს, რომლის მიხედვითაც მოცემული სიდიდის კაპიტალი — დახარჯული საქონლის წარმოების პროცესში — გადაუხდელ შრომას ბრძანებლობს, სულერთია, უდრის თუ არა ამ ნორმას წარმოების გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი სფეროს საქონელში მოთავსებული გადაუხდელი შრომა.

მაშ რა აიძულებს ცალკე კაპიტალისტს გაყიდოს, მაგალითად, თავისი საქონელი წარმოების ფასის მიხედვით — რომ ეს წარმოების ფასი იქნება და მას თ ა ვ ს ე ხ ვ ე ვ ა, ეს არ არის მისი თავისუფალი მოქმედება; ის ამჯობინებდა გაეყიდნა საქონელი მის ღირებულებაზე ზევით — წარმოების ისეთი ფასის მიხედვით, რომელსაც მისთვის მხოლოდ საშუალო მოგება მოაქვს და რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს რეალიზაცია უქნას ნაკლებ გადაუხდელ შრომას, ვიდრე ეს უკანასკნელი ფაქტიურად მის საკუთარ საქონელშია მოთავსებული? ესაა კონკურენციის საშუალებით განხორციელებული იძულებითი ზეგავლენა სხვა კაპიტალების მხრივ.— იმავე სიდიდის ყოველ კაპიტალსაც შეეძლო ხომ მიეშურებია A წარმოების დარგში, სადაც გადაუხდელი შრომის შეფარდება ავანსად გაღებულ კაპიტალთან უფრო დიდია, ვიდრე B, C და სხვ. საწარმოო დარგებში, რომელთა პროდუქტებიც აგრეთვე თავისი სახმარი ღირებულებით სწორედ ისევე აკმაყოფილებენ სოციალურ მოთხოვნილებას, როგორც A წარმოების სფეროს საქონელნი.

[არსებობს] წარმოების სფეროები, რომლებშიაც განსაზღვრული ბუნებრივი საწარმოო საშუალებანი, როგორც, მაგალითად, სახნავი მიწა, ქვანახშირის ბუდობები, რკინის მადნები, ჩანჩქერები და სხვ., ურომლისოდაც არ შეიძლება საწარმოო პროცესის შესრულება და რომელთა გარეშეც შეუძლებელია წარმოების ამ სფეროს საქონლის წარმოება, ეკუთვნიან არა მესაკუთრეთ ანუ გასაგნობრივებული შრომის მფლობელთ კაპიტალისტებს, არამედ სხვებს. და აი საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეების ეს მეორე კატეგორია ამბობს: თუ მე გაძლევ შენ ამ საწარმოო საშუალებებს სარგებლობისათვის, მაშინ შენ უნდა მიიღო შენი საშუალო მოგება, მიითვისო გადაუხდელი შრომის ნორმალური რაოდენობა. მაგრამ შენი წარმოება იძლევა ზედმეტი ღირებულების, ე. ი. გადაუხდელი შრომის, გარდამეტს მოგების ნორმაზე. ამ გარდამეტს ვერ შეიტან შენ, ისე როგორც

ეს ჩვეულებრივად, თქვენ, კაპიტალისტებს, შორის ხდება, საერთო ანგარიშში, არამედ მას მე ვითვისებ, იგი მე მეკუთვნის. ეს გარიგება შეიძლება შენთვის ხელსაყრელი იყოს, რადგანაც კაპიტალი წარმოების ამ სფეროში შენ გაძლევს იმდენს, რამდენსაც ყველა სხვა სფეროში მოგცემდა და გარდა ამისა ეს წარმოადგენს წარმოების მეტად სერიოზულ დარგს. შენ კაპიტალს აქ შენთვის მოაქვს გარდა იმ გადაუხდელი შრომის 10 პროცენტისა, რომელიც საშუალო მოგებას ქმნის, კიდევ გარდამეტი გადაუხდელი შრომის 20 პროცენტი. ამ გარდამეტს შენ მიხდი მე და, რათა ეს შესძლო, შენ უმატებ გადაუხდელი შრომის ამ 20 პროცენტს საქონლის ფასს და არ შეგაქვს იგივე საერთო ანგარიშში სხვა კაპიტალისტებთან. როგორც შენი საკუთრება ერთ საწარმოო საშუალებაზე — კაპიტალზე, გასაგნობრივებულ შრომაზე — შენ შესაძლებლობას გაძლევს მიითვისო მუშებისაგან გადაუხდელი შრომის განსაზღვრული რაოდენობა, ისე ჩემი საკუთრება სხვა საწარმოო საშუალებებზე, მიწაზე და სხვ. მე მაძლევს შესაძლებლობას შენ და მთელი კაპიტალისტების კლასს გამოვტაცო გადაუხდელი შრომის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს გარდამეტს შენს საშუალო მოგებაზე. თქვენი კანონი მოითხოვს, რომ ნორმალურ პირობებში თანასწორმა კაპიტალმა გადაუხდელი შრომის თანასწორი რაოდენობა მიითვისოს და ამის ერთმანეთშორის იძულებით განხორციელება თქვენ, კაპიტალისტებს, შეგიძლიათ კონკურენციის საშუალებით. ძალიან კარგი! მე ვიყენებ ამ კანონს სწორედ შენს მიმართ. შენ უნდა მიითვისო შენი მუშების გადაუხდელი შრომიდან არა მეტი იმაზე, რისი მითვისებაც შენ შეგეძლო იმავე კაპიტალით წარმოების ყოველ სხვა დარგში. მაგრამ კანონს არავითარი საქმე არ აქვს იმ გადაუხდელი შრომის გარდამეტთან, რომელიც შენ „აწარმოე" მისივე ნორმალურ რაოდენობაზე ზევით. ვის შეუძლია შემიშალოს მე ხელი მივითვისო ეს „გარდამეტი"? რატომ უნდა [დამეთმო ის თქვენთვის], თუ კი თქვენს შორის არსებობს ჩვეულება გადაისროლოთ იგი კაპიტალის საერთო სალაროში კაპიტალისტთა კლასს შორის გასანაწილებლად, რათა თითოეულმა მიიღოს იქიდან ჯერადი ნაწილი იმ წვლილის შესაბამისად, რასაც ის ერთობლივ კაპიტალში ფლობს? მე კაპიტალისტი არა ვარ. საწარმოო საშუალება, რომლით სარგებლობასაც მე შენ განიჭებ, არ წარმოადგენს გასაგნობრივებულ შრომას, არამედ იგი ბუნებისგან ნაბოძვარია. შეგიძლიათ თქვენ აწარმოოთ მიწა, ანდა წყალი, ანდა მადნები, ანდა ქვანახშირის მალაროები? Quod non. მაშასადამე, ჩემს მიმართ არ არსებობს ის იძულებითი საშუალება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შენს

შიმართ, რათა თვით შენს მიერვე ჩაყლაპული ზედმეტი შრომის ერთი ნაწილი ხელახლა ამოგაცოხნებიოს! მაშასადამე, მოიტა ხელი! ერთადერთი, რაც შეუძლიათ ქნან შენმა ძმებმა — კაპიტალისტებმა, ეს არის ის, რომ კონკურენცია გაგიწიონ შენ და არა მე. თუ შენ მე უფრო ნაკლებ გარდამეტ მოგებას გადამიხდი, ვიდრე ამას შეადგენს განსხვავება შენს მიერ შექმნილ ზედმეტ შრომასა და ზედმეტი შრომის იმ ნაწილს შორის, რომელიც შენ გერგება კაპიტალის კანონის მიხედვით, მაშინ გამოჩნდებიან შენი ძმები — კაპიტალისტები და გაიძულებენ შენ თავიანთი კონკურენციით კეთილსინდისიერად გადამიხადო სრული რაოდენობა იმისა, რის გამოწურვაც კი მე შენგან შემიძლია.

ახლა საჭირო იქნებოდა შემდეგის განვითარება: 1. გადასვლა ფეოდალური მიწათმფლობელობიდან სხვა, კომერციულ, კაპიტალისტური წარმოების მიერ მოწესრიგებულ, მიწის რენტაზე და, მეორეს მხრივ, გადასვლა ამ ფეოდალური მიწათმფლობელობისა თავისუფალ გლეხურ მიწათმფლობელობაზე; 2. როგორ წარმოსდგება მიწის რენტა ისეთ ქვეყნებში, როგორიც შეერთებული შტატებია, სადაც მიწა თავდაპირველად არ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას და სადაც, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად, თავიდანვე გაბატონებულია წარმოების ბურჟუაზიული წესი; 3. მიწის საკუთრების აზიური ფორმები, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას. ყველაფერი ეს აქ მოსატანი არაა.

ამ თეორიის მიხედვით, მაშასადამე, კერძო საკუთრება ბუნებრივ ობიექტებზე, როგორიცაა მიწა, წყალი, მადნები და სხვ., საკუთრება ამ საწარმოო საშუალებებზე, წარმოების ამ ბუნებრივ პირობებზე, არ წარმოადგენს წყაროს, საიდანაც ღირებულება გამომდინარეობს, რადგანაც ღირებულება უდრის მხოლოდ განაგნობრივებულ სამუშაო დროს, არ წარმოადგენს იმ წყაროსაც, საიდანაც ზედმეტი ღირებულება მომდინარეობს, ე. ი. გადაუხდელი შრომის გარდამეტი მოგებაში მოთავსებულ გადაუხდელ შრომაზე. მაგრამ ეს საკუთრება წარმოადგენს შემოსავლის წყაროს. იგი წარმოადგეხს კანონიერ საფუძველს, საშუალებას, რომელიც საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს წარმოების იმ სფეროში, რომელშიაც მისი საკუთრების საგანი საწარმოო საშუალებას წარმოადგენს, მიითვისოს კაპიტალისტის მიერ გამოწურული გადაუხდელი შრომის ნაწილი, რომელიც სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივ მოგებაზე გარდამეტის სახით კაპიტალის სალაროში იქნებოდა შეტანილი. ეს საკუთრება საშუალებაა იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს

იმ პროცესს, რომელსაც ადგილი აქვს წარმოების სხვა კაპიტალისტურ სფეროებში და წარმოების ამ განსაკუთრებულ სფეროში წარმოებული ზედმეტი ღირებულება თვით ამ სფეროშივე შეაჩეროს, ასე რომ ეს ზედმეტი ღირებულება ახლა ნაწილდება კაპიტალისტსა და მიწის მესაკუთრეს შორის. ამით მიწის საკუთრება ხდება ასიგნობად გადაუხდელ შრომაზე, მუქთ შრომაზე, ხდება ისეთივე ასიგნობად, როგორიც არის კაპიტალი. [და როგორც კაპიტალი იმის გამო გვევლინება ღირებულების წყაროდ, რომ მას ძალა აქვს გამოსწუროს მუშას გადაუხდელი შრომა, ასევე გვევლინება მიწის საკუთრებაც ღირებულების წყაროდ იმ გარემოების გამო], რომ იგი შესაძლებლობას აძლევს მესაკუთრეს გამოსტაცოს კაპიტალისტს გადაუხდელი შრომის ერთი ნაწილი.

ეს გვიხსნის თანამედროვე რენტას, მის არსებობას. მიწის რენტის სხვადასხვა სიდიდე კაპიტალის თანასწორი დაბანდების პირობებში აიხსნება მხოლოდ მიწის ნაკვეთების სხვადასხვა ნაყოფიერებით. ხოლო მიწის რენტის სხვადასხვა სიდიდე კი მიწის თანასწორი ნაყოფიერების პირობებში შეიძლება აიხსნას მხოლოდ დაბანდებულ კაპიტალთა სხვადასხვა სიდიდით. პირველ შემთხვევაში მიწის რენტა იზრდება იმიტომ, რომ მისი ნორმა დაბანდებული კაპიტალის მიმართ (და მიწის ფართობის მიმართაც) მაღლა იწევს. მეორე შემთხვევაში იგი იზრდება იმიტომ, რომ თანასწორი ანუ თავისივე ცალკე ნაწილებში სხვადასხვა ნორმის დროსაც კი (იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის მეორე დოზა არათანასწორად პროდუქტიულია) მისი მასა იზრდება.

ამ თეორიის მიხედვით აუცილებელი არაა არც ის, რომ ყველაზე მდარე მიწა არ იხდიდეს მიწის რენტას და არც ის, რომ იგი იხდიდეს მას. შემდეგ, სრულებით აუცილებელი არაა, რომ მიწათმოქმედების ნაყოფიერება კლებულობდეს, [კიდევაც რომ] სხვაობა ნაყოფიერებაში [საუკეთესო და ყველაზე მდარე მიწას შორის],— იმ შემთხვევაში, თუ ის თავიდან აცილებული არაა ხელოვნურად, რაც შესაძლებელია, — გაცილებით დიდი იყოს, ვიდრე წარმოების თანასწორ სამრეწველო სფეროებში. სულერთია, ელაპარაკობთ თუ არა უფრო მეტ თუ ნაკლებ ნაყოფიერებაზე, საქმე ეხება [ერთიდაიმავე სახის პროდუქტებს]. თუ როგორ შეეფარდებიან ერთი მეორეს სხვადასხვა პროდუქტები — ეს სხვა საკითხია.

მიწის რენტა, გამოანგარიშებული თვით მიწაზე, არის სარენტო ფონდი — რენტის მასა. მას შეუძლია გაიზარდოს რენტის ნორმის გაუდიდებლად. თუ ფულის ღირებულება უცვლელი რჩება, სა-

მიწათმოქმედო პროდუქტებს შეუძლიათ აიწიონ შეფარდებით ღირებულებაში არა იმიტომ, რომ მიწათმოქმედება არანაყოფიერი ხდება, არამედ იმიტომ, რომ, თუმცა იგი უფრო ნაყოფიერი ხდება, მაგრამ არა იმავე ზომით, როგორც მრეწველობა. პირიქით, სამიწათმოქმედო პროდუქტების ფულადი ფასების აწევა, ფულის ღირებულების უცვლელობის პირობებში, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თვით მათი ღირებულება იწევს მაღლა, მაშასადამე, თუ მიწათმოქმედება არანაყოფიერი ხდება, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც მოთხოვნა დროებით ზეგავლენას ახდენს მიწოდებაზე, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა საქონლის მიმართ.

ბამბის მრეწველობაში ნედლი მასალა მუდამ ეცემოდა ფასში თვით მრეწველობის განვითარებასთან ერთად, ასევე აგრეთვე რკინის, ქვანახშირის და სხვ. მრეწველობაში. რენტის ზრდა აქ შესაძლებელი იყო არა იმიტომ, რომ მისმა ნორმამ აიწია, არამედ იმიტომ, რომ მეტი კაპიტალი იქნა გამოყენებული.

რ ი კ ა რ დ ო ფიქრობს: ბუნების ძალები, როგორიცაა ჰაერი, სინათლე, ელექტრონი, ორთქლი, წყალი, მუქთად მოცემულია, მიწა კი, მისი განსაზღვრულობის გამო, არა. მაშასადამე, მიწათმოქმედება უკვე მარტო ამის გამო ნაკლებად პროდუქტიულია, ვიდრე სხვა მრეწველობა. მიწა რომ ისეთივე უპატრონო საერთო ქონება იყოს, და რომ შეიძლებოდეს გვქონდეს იგი ისეთივე განუსაზღვრელი რაოდენობით, როგორც სხვა ელემენტები და ბუნების ძალები, მაშინ წარმოება ბევრად უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.

პირველ ყოვლისა, მიწა რომ ყველას თავისუფალ განკარგულებაში იმყოფებოდეს, ისე როგორც სხვა სტიქია, მაშინ არ იარსებებდა მთავარი ელემენტი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შ ე ს ა ქ მ ნ ე ლ ა დ. მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საწარმოო საშუალებისა და, გარდა თვით ადამიანისა და მისი შრომისა, ერთადერთი ორიგინალური საწარმოო საშუალების, გასხვისება და მითვისება და, ამრიგად, იგი ვერ დაუპირდაპირდებოდა მუშას როგორც სხვისი საკუთრება და ვერ გახდიდა მას დაქირავებულ მუშად. შრომის პროდუქტიულობა რ ი კ ა რ დ ო ს გაგებით, ე. ი. კაპიტალისტური გაგებით, „წარმოება" სხვისი გადაუხდელი შრომისა ამის გამო შეუძლებელი იქნებოდა, ამით კაპიტალისტურ წარმოებას საერთოდ ბოლო მოეღებოდა.

რაც შეეხება რ ი კ ა რ დ ო ს მიერ აღნიშნულ ბუნებრივ ძალებს, ისინი, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მუქთად არიან მოცემული და კაპიტალისტს ისინი არაფერი არ უღირს. ნახშირი უღირს მას,

მაგრამ ორთქლი კი არაფერი არ ღირს, თუ წყალი მუქთად აქვს. მაგრამ ავიღოთ ახლა, მაგალითად, ორთქლი. ორთქლის თვისებანი მუდამ არსებობდენ. მისი სამრეწველო სარგებლიანობა ახალი მეცნიერული აღმოჩენაა, რომელიც კაპიტალისტმა მიითვისა. ამ აღმოჩენის გამო შრომის პროდუქტიულობამ და ამით შედარებითმა ზედმეტმა ღირებულებამაც აიწია. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაუხდელი შრომის რაოდენობა, რომელსაც კაპიტალისტი ერთი სამუშაო დღიდან ითვისებს, გაიზარდა ორთქლის საშუალებით. განსხვავება ორთქლის საწარმოო ძალასა და მიწის საწარმოო ძალას შორის მდგომარეობს, მაშასადამე, იმაში, რომ პირველს მოაქვს [კაპიტალისტისათვის] გადაუხდელი შრომა, მეორეს კი — [არა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ], მიწის მესაკუთრეართმევს [გადაუხდელ შრომას] არა მუშას, არამედ კაპიტალისტს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ [კაპიტალისტები ოცნებობენ] ნეტავ ეს ელემენტი „არავის საკუთრებას“ არ შეადგენდესო.

ამ მსჯელობაში სწორია მხოლოდ შემდეგი: თუ კაპიტალისტური წარმოების წესს ვიგულისხმებთ, კაპიტალისტი წარმოადგენს წარმოების არა მარტო აუცილებელ, არამედ მის გაბატონებულ აგენტსაც. პირიქით, მიწის მესაკუთრე წარმოების ამ წესში სრულებით ზედმეტია. კაპიტალისტური წარმოების წესისათვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ მიწა არ შეადგენდეს საერთო საკუთრებას, რომ იგი უპირდაპირდებოდეს მუშათა კლასს, როგორც არა მისი კუთვნილი საწარმოო საშუალება და ეს მიზანი სავსებით მიღწეულია, თუ მიწა სახელმწიფო საკუთრება ხდება და, მაშასადამე, სახელმწიფო იღებს მიწის რენტას. მიწის მესაკუთრე, ეს წარმოების მნიშვნელოვანი აგენტი ანტიურ და საშუალო საუკუნეების მსოფლიოში, სამრეწველო სამყაროში უსარგებლო ხორცმეტს წარმოადგენს. ამიტომ რადიკალი ბურჟუა, რომელსაც ამასთანავე მალულად ცალი თვალი ყველა სხვა გადასახადების მოსპობისაკენ უჭირავს, თეორიულად მიდის კერძო მიწათსაკუთრების უარყოფამდე, რაიცა მას სურს სახელმწიფო საკუთრების ფორმაში გადააქციოს ბურჟუაზიული კლასის, კაპიტალის საერთო საკუთრებად. მაგრამ სინამდვილეში მას არ ჰყოფნის ამისთვის გამბედაობა, ვინაიდან იერიშის მიტანა კერძო საკუთრების ერთ ფორმაზე — შრომის პირობებზე არსებულ კერძო საკუთრების ფორმაზე — მეტად სახიფათო იქნებოდა მეორე ფორმისთვისაც. ამას გარდა, ბურჟუამ თვით შეიძინა მიწა და მოიკალათა მასზე.

### d) როდბერტუსის რენტის თეორიის კრიტიკა.

ახლა დავუბრუნდეთ ბატონ როდბერტუსს.

როდბერტუსის აზრით მიწათმოქმედებაში ნედლი მასალა სათვალავში არ მიიღება, რადგანაც გერმანელი გლეხი, როგორც როდბერტუსი გვარწმუნებს, არ ანგარიშობს თავისთვის ხარჯებად თესლს, საკვებს და სხვ., არ შეაქვს ანგარიშში წარმოების ეს ხარჯები, მაშასადამე, შემცდარად ანგარიშობს. ინგლისში, სადაც მოიჯარადრე 150 წელზე მეტია რაც სწორად ანგარიშობს, ამისდა მიხედვით არ უნდა არსებობდეს არავითარი მიწის რენტა. მაშასადამე, დასკვნა იქნებოდა არა ისეთი, როგორც ეს როდბერტუსს გამოჰყავს, სახელდობრ, რომ მოიჯარადრე რენტას იხდის თითქოს იმიტომ, რომ მისი ნორმა უფრო მაღალია, ვიდრე მრეწველობაში, არამედ დასკვნა იქნებოდა ისეთი, რომ მოიჯარადრე რენტას ისტუმრებს იმიტომ, რომ იგი, შემცდარი ანგარიშის გამო, მოგების უფრო დაბალი ნორმით კმაყოფილდება. Dr-ი კენე, რომელიც თვითონ მოიჯარადრის შვილი იყო და საფრანგეთის საიჯარო სისტემას ზედმიწევნით იცნობდა, უკმაყოფილო დარჩებოდა ამ მხრივ როდბერტუსით. კენე [თავის Tableau économique-ში] სათვალავში იღებს „ნედლ მასალას“, რომელსაც მოიჯარადრე საჭიროებს, თუმცა ის მას რეპროდუქციას უშვებს in natura 1000 მილ. რაოდენობის „avances annuelles“ შორის.

თუ მრეწველობის ერთ ნაწილში არავითარი ძირითადი კაპიტალის და მანქანების მონაწილეობას არა აქვს ადგილი, სამაგიეროდ მეორე ნაწილში — როგორც, მაგალითად, ტრანსპორტის მრეწველობა, მრეწველობა, რომელიც ადგილის გამოცვლას მოითხოვს, ვაგონები, რკინისგზები, გემები და სხვ. — არ შედის არავითარი ნედლი მასალა, არამედ მხოლოდ საწარმოო იარაღები. იძლევიან თუ არა მრეწველობის ეს დარგები გარდა მოგებისა მიწის რენტას? რითი განირჩევიან მრეწველობის ეს დარგები, ვთქვათ, სამთამადნო მრეწველობიდან? ორთავე დარგში წარმოებაში შედის მხოლოდ მანქანები და დამხმარე ნივთიერებანი, როგორც, მაგალითად, ნახშირი გემებისა და ლოკომოტივებისათვის და მადნებისათვის, საკვები ცხენებისათვის და სხვ. რატომ უნდა ყოფილიყო მოგების ნორმა მრეწველობის ერთ დარგში სხვაგვარად გამოანგარიშებული, ვიდრე მეორეში? დავუშვათ, რომ გლეხის მიერ წარმოებისათვის ავანსად გაღებული ხარჯები in natura უდრის მისგან ავანსად გაღებული ერთობლივი კაპიტალის ერთ მეხუთედს, რასაც შემდეგ ემატება [ფულადი ავანსების] ოთხი

მეხუთედი მანქანებისა და შრომის ხელფასისათვის და, ვთქვათ, ეს ხარჯები უდრის 150 კვარტერს. თუ ის შემდეგ მოგებას იღებს 10 პროცენტის რაოდენობით, მაშინ ეს შეადგენდა 15 კვარტერს. მაშასადამე, საერთო პროდუქტი იქნებოდა 165 კვარტერი. თუ იგი კაპიტალს მეხუთე ნაწილს გამოაკლებდა, ე. ი. 30 კვარტერს, და 15 კვარტერს იანგარიშებდა მხოლოდ 120 კვარტერზე, მაშინ ის მიიღებდა მოგებას $12^1/_2$ პროცენტის რაოდენობით. ანდა ჩვენ შეგვეძლო აგრეთვე გვეთქვა, რომ მისი პროდუქტის ღირებულება ანუ მისი პროდუქტი 165 კვარტერის რაოდენობით = 330 გირვ. სტერლინგსო. ის ანგარიშობს თავის ავანსად გაღებულ ხარჯებს 120 კვარტერის რაოდენობით = 240 გირვ. სტერლინგს. აქედან 10%-ი = 12 კვარტერს (24 გირვ. სტერლ.). მაგრამ მისი საერთო პროდუქტი შეადგენს 165 კვარტერს, რასაც, მაშასადამე, აკლდება 132 კვარტერი, რჩება 33 კვარტერი. ამ უკანასკნელსაც აკლდება 30 კვარტერი in natura. მაშასადამე, რჩება არაჩვეულებრივი მოგება 3 კვარტერი = 6 გირვ. სტერლინგს. მთელი მისი მოგება უდრის 15 კვარტერს (30 გირვ. სტერლ.), ნაცვლად 12 კვარტერისა (24 გირვ. სტერლ.). ამრიგად, მას შეუძლია გადაიხადოს 3 კვარტერი ანუ 6 გირვ. სტერლინგი რენტა და წარმოიდგინოს თავისთვის, რომ მან მიიღო 10% მოგება, ისე როგორც ყველა სხვა კაპიტალისტმა. მაგრამ ეს 10% არსებობს მხოლოდ წარმოდგენაში. ფაქტიურად მან ავანსად გაიღო არა 120 კვარტერი, არამედ 150 კვარტერი და 10%-ი ამათგან შეადგენს 15 კვარტერს ანუ 30 გირვ. სტერლინგს. ფაქტიურად მან მიიღო 3 კვარტერით ნაკლები, მის მიერ მიღებულ 12 კვარტერიდან ერთი მეოთხედით ნაკლები, ანუ ერთი მეხუთედით ნაკლები საერთო მოგებიდან, რომელიც მას უნდა მიეღო, იმიტომ რომ მან სწორედ თავისი ავანსადგაღებული ხარჯების ერთი მეხუთედი ნაწილი არ მიიღო ანგარიშში, როგორც ასეთი. ამიტომ, როგორც კი ის ისწავლიდა კაპიტალისტურად გამოანგარიშებას, მაშინვე დაანებებდა თავს გადაეხადა მიწის რენტა, რომელიც თანასწორი იქნებოდა **მისი** მოგების ნორმასა და მოგების ჩვეულებრივ ნორმას შორის არსებული განსხვავების.

გლეხს რომ სცოდნოდა, რომ მის მიერ ავანსად გაღებული ხარჯების ფულით შეფასებისათვის და ამიტომ მათთვის საქონლის ხასიათის მიცემისათვის სრულებით არაა საჭირო, რომ მან ისინი წინასწარ **ნამდვილ ფულად** აქციოს, ე. ი. **გაჰყიდოს** ისინი, — მაშინ მთელი საქმე ამით გათავდებოდა. ამ **საანგარიშო**

შ ე ც დ ო მ ი ს გ ა რ ე შ ე, შეცდომის, რაც შეუძლია დაუშვას გერმანელ გლეხთა მასამ და არა კაპიტალისტურმა მოიჯარადრემ, შეუძლებელი იქნებოდა რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ს რენტა. იგი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ნედლი მასალა შედის წარმოებაში [1] და არა იქ, სადაც [არავითარი] ნედლი მასალა არ შედის მასში. იგი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ნედლი მასალა შედის [წარმოებაში], მაგრამ მისი [წარმოების ხარჯებში] ჩაურთველად. მაგრამ იგი შეუძლებელია იქ, სადაც [არავითარი ნედლი მასალა წარმოებაში] არ შედის, თუმცა ბატონ რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ს სურს გამოიყვანოს იგი არა საანგარიშო შეცდომიდან, არამედ ავანსად გაღებულ ხარჯებში ერთი მნიშვნელოვანი მუხლის უქონლობიდან.

ავიღოთ სამთამადნო მრეწველობა ანდა თევზის ჭერა. თუ აქ ნედლი მასალა შედის წარმოების ხარჯებში, ის შედის მხოლოდ როგორც დამხმარე მასალა, და ეს შემთხვევა ჩვენ შეგვიძლია განზე დავტოვოთ, რადგანაც მანქანათა გამოყენება მუდამ, მეტად მცირე გამონაკლისს გარდა, გულისხმობს იმავე დროს დამხმარე ნივთიერებათა, მანქანის საარსებო საშუალებათა მოხმარებასაც. ვთქვათ, 10%-ი შეადგენს მოგების საერთო ნორმას. 100 გირვანქა სტერლინგი დაბანდებულია მანქანებში და შრომის ხელფასზე. რატომ უნდა მოეცა მოგებას 100-ზე მეტი, ვიდრე 10, იმიტომ რომ 100 გირვ. სტერლინგი დაბანდებულია, ვთქვათ, არა ნედლ მასალაზე, მანქანებზე და შრომის ხელფასზე, [არამედ მხოლოდ მანქანებსა და შრომის ხელფასზე, თუ] ნედლ მასალაზე და შრომის ხელფასზე? თუ რაიმე განსხვავებას ადგილი უნდა ჰქონდეს, იგი შეიძლებოდა მხოლოდ იქიდან გამომდინარეობდეს, რომ სხვადასხვა შემთხვევაში მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებათა შეფარდება სხვადასხვა სახით ჩამოყალიბდებოდა. ეს სხვადასხვა შეფარდება მოგვცემდა სხვადასხვა ზედმეტ ღირებულებას, კიდევაც რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა მუდმივად იყოს ნაგულისხმევი. და სხვადასხვა ზედმეტი ღირებულების შეფარდებას თანასწორი სიდიდის კაპიტალებთან უნდა მოეცა, რასაკვირველია, არათანასწორი მოგებანი. მაგრამ, მეორეს მხრივ, მოგების საერთო ნორმა ხომ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არ ამ უთანასწორობათა გათანასწორებას, აბსტრაქციას კაპიტალის ორგანიული შემადგენელი ნაწილებიდან და ზედმეტი ღირებულების რედუქციას ისეთი სახით, რომ თანასწორი სიდიდის კაპიტალები თანასწორ მოგებას იძლევიან. ზედმეტი ღირებულების

[1] ხელნაწერში სწერია „წარმოების ხარჯები". — კ.

მასა რომ დამოკიდებულია დაბანდებული კაპიტალის სიდიდეზე, ეს დებულება სრულიად არ შეიძლება გამოყენებულ იქნას — ზედმეტი ღირებულების ზოგადი კანონების მიხედვით — კაპიტალთა მიმართ წარმოების სხვადასხვა სფეროებში, არამედ იგი ვრცელდება სხვადასხვა კაპიტალებზე წარმოების ერთსადაიმავე სფეროში, სადაც ნაგულისხმევია კაპიტალის ორგანიულ შემადგენელ ნაწილთა ერთიდაიგივე შეფარდებანი. თუ მე ვამბობ: მოგების მასა შეესაბამება, მაგალითად, სართავი მრეწველობის დარგში, დახარჯულ კაპიტალთა იდიდეს მეთქი, რაც აგრეთვე თავის მხრივ მთლად სწორი არაა, თუ მასვე თან არ დავუმატე: თუ ვიგულისხმებთ პროდუქტიულობას როგორც მუდმივს მეთქი, — მაშინ მე სინამდვილეში ვამბობ მხოლოდ იმას, რომ მრთველთა ექსპლოატაციის ნაგულისხმევი ნორმის პირობებში ექსპლოატაციის ჯამი დამოკიდებულია ექსპლოატაციაქმნილ მრთველთა რიცხვზე. პირიქით, თუ მე ვამბობ: მოგების ნორმა წარმოების სხვადასხვა სფეროებში შეესაბამება გამოყენებულ კაპიტალთა სიდიდეს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მოგების ნორმა მოცემული სიდიდის მქონე ყოველი კაპიტალისათვის ერთიდაიგივეა, მაშასადამე, მოგების ნორმას შეუძლია შეიცვალოს მხოლოდ ამ კაპიტალის სიდიდესთან ერთად და ეს კი სხვა სიტყვებით კვლავ ნიშნავს იმას, რომ მოგების ნორმა დამოკიდებულია კაპიტალის შემადგენელ ნაწილთა ორგანიული შეფარდებისაგან წარმოების განსაკუთრებულ სფეროში; რომ იგი საერთოდ დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების სიდიდისაგან, იმ სახით, როგორითაც ეს ზედმეტი ღირებულება რეალიზაციას პოულობს წარმოების ამ განსაკუთრებულ დარგებში.

სამთამადნო მრეწველობა იმთავითვე უნდა ყოფილიყო მითვლილი მრეწველობაზე და არა მაწათმოქმედებაზე. რა საფუძვლით? იმ საფუძვლით, რომ მადნის არავითარი პროდუქტი in natura, იმ სახით, როგორც ის მადნიდან გამოდის, აღარ შედის ხელახლა მადნის ექსპლოატაციის მუდმივ კაპიტალში როგორც წარმოების ელემენტი. ასევე ითქმის თევზის ჭერისა და ნადირობის შესახებაც, სადაც კიდევ უფრო შეუდარებლად დიდი რაოდენობით აქვს ადგილი ხარჯების მხოლოდ შრომის საშუალებებზე და შრომის ხელფასზე ანუ თვით უშუალო შრომაზე დაყვანას. მაშასადამე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: იმ საფუძვლით, რომ საქონლის წარმოების ყოველმა ელემენტმა, მაშინაც კი, თუ მისი ნედლი მასალა მადნიდანაა ამოღებული, წინასწარ არა მარტო ფორმა უნდა შეიცვალოს, არამედ საქონლად იქცეს, უნდა შ ე ს ყ ი დ უ ლ იქნეს, მანამ ის ელემენტის სახით ხელახლა შესძლებდეს სამთამადნო მრეწველობაში შესვლას.

ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს ნახშირი. მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც წარმოების ელემენტი, პირველად გვევლინება განვითარების იმ სტადიაში, რომელშიაც მაღაროს ექსპლოატატორი განვითარებული კაპიტალისტია, რომელიც აწარმოებს იტალიურ ბუხჰალტერიას, რომლის წესის მიხედვითაც ის არა მარტო თავის თავს უწერს ვალად თავის ავანსად გაღებულ ხარჯებს, არა მარტო დებიტორს წარმოადგენს თავისი საკუთარი სალაროს მიმართ, არამედ მისი საკუთარი სალაროც თვით მის მიმართ დებიტორს წარმოადგენს. სწორედ აქ, მაშასადამე, სადაც მართლა არავითარი ნედლი მასალა არ შედის ხარჯებში, უნდა იმთავითვე კაპიტალისტური ანგარიში სჭარბობდეს, მაშასადამე, გლეხის შეცდომაც შეუძლებელი უნდა იყოს.

გავუკეთოთ ახლა ბატონ როდბერტუსის აზრთა მსვლელობას მოკლე რეზიუმე.

პირველად ის ასურათებს მდგომარეობას იმ სახით, როგორც ის მას წარმოუდგენია, ე. ი. მდგომარეობას, სადაც დამოუკიდებელი (self supporting) მიწის მესაკუთრე იმავე დროს კაპიტალისტი და მონათმფლობელია. შემდეგ ხდება გათიშვა. „შრომის პროდუქტის" ის ნაწილი, რომელსაც მუშას ართმევენ—„ნატურალური რენტა"—ნაწილდება ახლა მიწის რენტად და კაპიტალის მოგებად" (გვ. 81, 82)[1].

შემდეგ ბატონი როდბერტუსი ანაწილებს „ნედლ პროდუქტს" და „დამუშავებულ პროდუქტს" მიწის მესაკუთრესა და კაპიტალისტს შორის — petitio principii. ერთი კაპიტალისტი აწარ-

---

[1] ბატონი ჰოპკინსი (Hopkins) ამას უფრო მარტივად და უხეშად ხსნის. იგი მიწის რენტას განიხილავს როგორც ზედმეტი ღირებულების თავდაპირველ ფორმას და მოგებას როგორც იქიდან გამომდინარეს. სათანადო ადგილი გადმოგვცემს:

„სანამ მწარმოებელნი იმავდროულად წარმოადგენდენ როგორც სოფლის მეურნეებს, ისე მრეწველებს, მიწისმფლობელი იღებდა მიწის რენტის სახით ღირებულებას 10 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. დავუშვათ, რომ ამ ღირებულების გადახდა სწარმოებს სანახევროდ ნედლი პროდუქტისა და სანახევროდ კი სამრეწველო პროდუქტის საშუალებით. მწარმოებელთა ორ კლასად, სოფლის მეურნეებად და მრეწველებად, გათიშვის შემდეგ მიწისმფლობელთ შეეძლოთ დაედგინათ, რომ მრეწველებს მათი ხვედრი წილი რენტიდან გადაეხადათ საფაბრიკო საქონლით, ხოლო სოფლის მეურნეებს კი თავიანთი ნაწილი მიეცათ ნედლი პროდუქტებით. მაგრამ სინამდვილეში უფრო პრაქტიკული აღმოჩნდა, რომ სოფლის მეურნეებმა რენტა იხადონ და იგი დაარიცხონ პროდუქტს, რომელსაც მრეწველის პროდუქტებზე სცვლიან, ასე რომ რენტის გადახდა თანასწორი ნაწილებით ორივე მხარეს ხვდება და შრომის ხელფასი და მოგება თითოეულ სფეროში თანასწორი რჩება" (Th. Hopkins. Enquiries relative to the Laws which regulate Rent, Profit etc. ლონდონი 1822. გვ. 26).

მოებს ნედლ პროდუქტებს და მეორე — დამუშავებულ პროდუქტებს. მიწის მესაკუთრე, პირიქით, არაფერს არ აწარმოებს, იგი არც „ნედლი პროდუქტების მფლობელია". ეს არის ისეთი გერმანელი „მემამულეს" წარმოდგენა, როგორიც ბატონი როდბერტუსია. კაპიტალისტური წარმოება დაიწყო ინგლისში ერთსადაიმავე დროს მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში.

„კაპიტალის მოგების ნორმის" შექმნის წესს ბატონი როდბერტუსი უბრალოდ იქიდან ანვითარებს, რომ ჩვენ ახლა ფულის სახით მოცემული გვაქვს მოგების მასშტაბი, რათა „მოგების შეფარდება კაპიტალთან გამოვხატოთ" (l. c., გვ. 94), რითაც გვეძლევა „სანიმუშო საზომი კაპიტალის მოგებათა გასათანასწორებლად" (l. c., გვ. 94). მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ როგორ ეწინააღმდეგება მოგების ეს თანასწორობა გადაუხდელი შრომის [ნორმის უთანასწორობას] [1] წარმოების ყოველ დარგში, რომ საქონელთა ღირებულებანი და წარმოების ფასები ამიტომ ერთმანეთს უნდა დასცილდენ. მოგების ეს ნორმა ნომინალური ხდება მიწათმოქმედებაშიც, იმიტომ რომ „ქონების შემოსავალი არ შეიძლება სხვა რამეზე იქნას გამოანგარიშებული, თუ არა კაპიტალზე" (l. c., გვ. 95). და საქონელთა ფაბრიკაციის დროს ადგილი აქვს „ნაციონალური კაპიტალის გაცილებით უფრო დიდი ნაწილის გამოყენებას" (l. c., გვ. 95). კრინტიც არაა დაძრული იმის შესახებ, რომ კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად თვით მიწათმოქმედება არა მარტო ფორმალურად, არამედ მატერიალურადაც გადატრიალებას განიცდის და რომ [მიწის] მესაკუთრე იძულებული ხდება მხოლოდ უბრალო ფულის მიმღებამდე ჩამოქვეითდეს, და შესწყვიტოს წარმოების აგენტად ყოფნა. როდბერტუსის შეხედულებით „ფაბრიკაციის დროს სოფლის მეურნეობის ერთობლივი პროდუქტის ღირებულებაც" გამოდის სხვებთან ერთად „კაპიტალის შემადგენლობაში როგორც მასალა, მაშინ როდესაც კაპიტალს არ შეუძლია შედიოდეს ნედლი პროდუქტის წარმოებაში" (l. c., გვ. 95).

[ყველაფერი ეს] შემცდარია.

როდბერტუსი ეკითხება ახლა თავის თავს, რჩება თუ არა კიდევ სამრეწველო მოგების, კაპიტალის მოგების, გარდა „რენტის ნაწილი" ნედლი მასალისათვის და „რა საფუძველით" (l. c., გვ. 96).

დიახ, ის გულისხმობს, „რომ ნედლი პროდუქტი, ისე როგორც დამუშავებული პროდუქტიც, გაიცვლება სხვაზე მასზე დახარჯული შრომის მიხედვით, რომ ნედლი პროდუქტის ღირებულება უდრის

[1] ხელნაწერში სწერია: „რენტის თანასწორობასთან". — კ.

მხოლოდ მასზე დახარჯულ შრომას“ (l. c., გვ. 96). რასაკვირველია, რ ი კ ა რ დ ო ც აღიარებს ამას, რასაც როდბ ე რ ტ უ ს ი ამბობს. მაგრამ ეს დებულება მცდარია, ყოველ შემთხვევაში prima facie; ვინაიდან საქონელთა ერთი-მეორეზე გაცვლა ხდება არა მათი ღირებულების, არამედ ამ ღირებულებიდან განსხვავებული წარმოების ფასის მიხედვით და ეს გამომდინარეობს სწორედ საქონელთა ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრიდან, ამ კანონიდან, რომელიც თითქოს გარეგნულად ეწინააღმდეგება აღნიშნულ მოვლენას. თუ გარდა საშუალო მოგებისა ნედლ პროდუქტს მოაქვს კიდევ მისგან განსხვავებული მიწის რენტა, მაშინ ეს შესაძლებელი [ხდება] მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნედლი პროდუქტი იყიდება არა წარმოების ფასის მიხედვით; და თუ რატომ ხდება ეს — აი სწორედ ამის გამორკვევა იქნებოდა საჭირო. მაგრამ შევხედოთ, თუ როგორ მსჯელობს რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი.

„მე ვიგულისხმე, რომ რენტა (ზედმეტი ღირებულება, გადაუხდელი სამუშაო დრო) იყოფა ნედლი პროდუქტისა და სამრეწველო პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს თ ა ნ შეფარდებით და რომ ეს ღირებულება განისაზღვრება დ ა ხ ა რ ჯ უ ლ ი შ რ ო მ ი თ (სამუშაო დროით)“ (l. c., გვ. 96, 97).

უწინარეს ყოვლისა საჭიროა ამ პირველი წინაპირობის გასინჯვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს დებულება ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საქონლებში მოთავსებული ზედმეტი ღირებულებანი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც მათი ღირებულებანი, ანუ, სხვა სიტყვებით: საქონლებში მოთავსებული გადაუხდელი შრომა ისე შეეფარდება, როგორც მათში საერთოდ მოთავსებული შრომის რაოდენობანი. თუ A და B საქონელში მოთავსებული შრომის რაოდენობანი ისე შეეფარდებიან ერთი მეორეს, როგორც 3 : 1, მაშინ მათში მოთავსებული გადაუხდელი შრომაც ისე შეეფარდება — ანუ შეეფარდებიან ზედმეტი ღირებულებანი — როგორც 3 : 1. აღარ შეიძლება ამაზე უფრო მცდარი დებულების წარმოდგენა. მოცემული აუცილებელი სამუშაო დროის პირობებში, რომელიც, მაგალითად, უდრის 10 საათს, ერთი საქონელი [A] შეიძლება იყოს 30 მუშის პროდუქტი, მეორე საქონელი [B] კი — 10 მუშის პროდუქტი. თუ 30 მუშა, [რომელიც A საქონელს აწარმოებს] მხოლოდ 12 საათი მუშაობს, მაშინ მათ მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება უდრის 60 საათს, ხოლო თუ მუშაობს 10 მუშა, [რომელიც B-ს აწარმოებს], 16 საათს მუშაობს ყოველდღიურად, მაშინ მათ მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულებაც აგრეთვე 60 საათს უდრის. ამის მიხედვით საქონელ A-ს ღირებულება იქნებოდა $= 30 \times 12 = 360$ სამუშაო სა-

ათს, ხოლო საქონელ B-ს ღირებულება კი = 160 სამუშაო საათს. მაშასადამე, A და B საქონელთა ღირებულებანი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 360 : 160 ანუ როგორც 9 : 4. მათში მოთავსებული ზედმეტი ღირებულებანი კი, პირიქით, ისე შეეფარდებიან ერთმანეთს როგორც 60 : 60 ანუ როგორც 1 : 1. ეს ზედმეტი ღირებულებანი იქნებოდენ თანასწორი, თუმცა ღირებულებანი ერთმანეთს ისე შეეფარდებოდენ როგორც 9 : 4.

ამრიგად, [იმთავითვე ცხადია], რომ საქონელთა ზედმეტი ღირებულებანი არ შეეფარდებიან ერთმანეთს ისე, როგორც მათი ღირებულებანი, თუ აბსოლუტური ღირებულებანი, სამუშაო დროის გაგრძელება აუცილებელი შრომის ფარგალს იქით და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმებიც სხვადასხვაა.

მეორე, თუ ვიგულისხმებთ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმები ერთიდაიგივეა, მაშინ ზედმეტი ღირებულებანი, — ჩვენ აქ მხედველობის გარეშე ვტოვებთ მიმოქცევასთან და საწარმოო პროცესთან დაკავშირებულ გარემოებებს, — დამოკიდებული არიან არა შრომის შეფარდებით რაოდენობაზე, რომელიც მოთავსებულია საქონელში, არამედ შრომის ხელფასზე დახარჯული კაპიტალის ნაწილის შეფარდებაზე იმ ნაწილთან, რომელიც დახარჯულია მუდმივ კაპიტალზე, ნედლ მასალასა და მანქანებზე; და ეს შეფარდება შეიძლება სრულიად სხვადასხვა იყოს თანასწორი ღირებულების საქონელთათვის, სულერთია, იქნება ეს საქონელი „სამიწათმოქმედო პროდუქტები“, თუ „სამრეწველო პროდუქტები“, რასაც საერთოდ სრულიად არავითარი დამოკიდებულება საგანთან არა აქვს, ყოველ შემთხვევაში არა prima facie.

ამიტომ ბატონ როდბერტუსის მიერ დაშვებული წინაპირობა, რომ საქონელთა ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრიდან თითქოს გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა საქონელში მოთავსებული გადაუხდელი შრომის რაოდენობანი — ანუ მათი ზედმეტი ღირებულებანი — პირდაპირ შეფარდებაში იმყოფებიან ღირებულებებთან — ძირშივე შემცდარია. მაშასადამე, შემცდარია ისიც, რომ, „რენტა ნაწილდება ნედლი პროდუქტისა და სამრეწველო პროდუქტის ღირებულებასთან შეფარდებით“, თუ რომ „ეს ღირებულება დახარჯული შრომით განისაზღვრება“ (l. c., გვ. 96, 97).

„ამით, რასაკვირველია, ნათქვამია ისიც, რომ რენტის ამ ნაწილების სიდიდე განისაზღვრება არა იმ კაპიტალის სიდიდით, რომელზედაც მოგება გამოიანგარიშება, არამედ უშუალო შრომით, სულერთია, არის ეს შრომა სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო შრომა, პლიუს ის შრომა,

რომელიც ხელსაწყო-იარაღების და მანქანების გაცვეთის გამო მას უნდა დაერიცხოს“ (l. c., გვ. 97).

ესეც შემცდარია. ზედმეტი ღირებულების სიდიდე, და აქ სწორედ ეს ჩაითვლება „რენტის ნაწილად“, — ვინაიდან რენტა განსხვავებით მოგებასა და მიწის რენტიდან შეიცნობა როგორც ზოგადი რამ, — დამოკიდებულია მარტოოდენ უშუალო შრომაზე, არა ძირითადი კაპიტალის გაცვეთაზე, არც ნედლი მასალის ღირებულებაზე, საერთოდ ძირითადი კაპიტალის არცერთ ნაწილზე.

ეს გაცვეთა, ყოველ შემთხვევაში, განსაზღვრავს იმ შეფარდებას, რომლითაც უნდა ხდებოდეს ძირითადი კაპიტალის რეპროდუქცია. მაგრამ ზედმეტი შრომა, რომელიც ძირითადი კაპიტალის წარმოებაში იქმნება, ისევე ნაკლებად ეხება წარმოების იმ სფეროს, რომელშიაც ეს ძირითადი კაპიტალი როგორც ასეთი შედის, როგორც, ვთქვათ, ის ზედმეტი შრომა, რომელიც ნედლი მასალის წარმოებაში შედის. პირიქით, ყველას, მიწათმოქმედებას, მანქანათწარმოებას და მანუფაქტურას, თანასწორად შეეხება ის კანონი, რომ ყველა მათში ზედმეტი ღირებულება განისაზღვრება მხოლოდ დახარჯული შრომის მასით, თუ მოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმა, და ზედმეტი ღირებულების ნორმით, თუ მოცემულია გამოყენებული შრომის მასა. ბატონი როდბერტუსი ცდილობს „შემოიტანოს ბუქსირით“ გაცვეთის მომენტი, რათა „ნედლი მასალა“ გაიტანოს ბუქსირითვე.

პირიქით, ფიქრობს ბ-ნი როდბერტუსი, „კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც შესდგება მასალის ღირებულებიდან“, [არასდროს] არ შეუძლია იქონიოს გავლენა რენტის ნაწილთა სიდიდეზე, რადგანაც „მაგალითად, განსაკუთრებული პროდუქტის მიმართ, რომელიც ნართი ან ქსოვილია, გაწეული შრომის ხარჯები არ შეიძლება აგრეთვე განსაზღვრულ იქნას შრომის იმ ხარჯებით, რომელიც მატყლს, როგორც ნედლ პროდუქტს, უნდა მიეთვალოს“ (l. c., გვ. 97). სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა რთვისა და ქსოვისათვის, დამოკიდებულია იმდენად დიდად ან, უკეთ რომ ვთქვათ, იმდენად ნაკლებად არის დამოკიდებული იმ სამუშაო დროზე, [რომელიც საჭიროა მანქანის დასამზადებლად, მაშასადამე, დამოკიდებულია მის ღირებულებაზე], როგორც იმ სამუშაო დროზე, რაც ნედლი მასალა ღირს. ორთავე, მანქანა და ნედლი მასალა, შედის შრომის პროცესში, მაგრამ არცერთი მათგანი, [ზედმეტი ღირებულების შემქმნელნი], არ შედის ღირებულების ზრდის პროცესში.

„პირიქით, ნედლი პროდუქტის ღირებულება ანუ მასალის ღირებულება ხომ გვევლინება, როგორც კაპიტალის დანახარჯი, იმ კაპიტალშეძლებაში, რო-

მიუხედავად მფლობელმა უნდა გამოიანგარიშოს მოგების სახით რენტის ის ნაწილი, რომელიც წილად ხვდება სამრეწველო პროდუქტს. *მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალს აკლია კაპიტალის ეს ნაწილი.* სოფლის მეურნეობა *არ საჭიროებს მისი წინამორბედი წარმოების პროდუქტებს მასალად, არამედ იგი თვით იწყებს პირველად, წარმოებას,* და სოფლის მეურნეობაში მასალის ანალოგიურ ქონების ნაწილად თვით მიწა იქნებოდა, მაგრამ იგი იგულისხმება ღირებულების უქონლად (l. c., გვ. 97, 98).

ეს არის გერმანელი გლეხის წარმოდგენა. სოფლის მეურნეობაში, მადნების, თევზის ჭერის, ნადირობის (მაგრამ არა მესაქონლეობის) გამოკლებით, თესლეული, საკვები, პირუტყვი, მინერალური სასუქი და სხვ. შეადგენენ მასალას, საიდანაც პროდუქტი იწარმოება, და ეს მასალა წარმოადგენს შრომის პროდუქტს. სამრეწველო მიწათმოქმედების განვითარებასთან შეფარდებით ვითარდება ეს „ხარჯებიც“. ყოველი პროდუქცია — როგორც კი უკვე უბრალო მოტაცებასა და მითვისებაზე აღარ შეიძლება ლაპარაკი — წარმოადგენს რეპროდუქციას და ამიტომ საჭიროებს „წინამორბედი წარმოების პროდუქტებს მასალად“. ყველაფერი, რაც წარმოებაში შედეგია, იგი იმავე დროს წინაპირობაცაა. და რამდენადაც უფრო ვითარდება მსხვილი მიწათმოქმედება, იმდენად უფრო მეტად ყიდულობს ის „მისი წინამორბედი წარმოების“ პროდუქტებს და ყიდის თავის საკუთარ პროდუქტებს. ფორმალურად, როგორც საქონელნი — საანგარიშო ფულის საშუალებით საქონლად გარდაქმნილი — შედის ეს ხარჯები მიწათმოქმედებაში, როგორც კი მოიჯარადრე საერთოდ დამოკიდებული ხდება თავის პროდუქტის გაყიდვაზე, როგორც კი ხდება მიწათმოქმედების სხვადასხვა პროდუქტების, როგორც, მაგალითად, თივის, ფასის ფიქსაცია შეფარდებით წარმოების სფეროების დაყოფასთან, რაც მიწათმოქმედებაშიც იჩენს თავს. თვით გლეხისათვისაც კი საკვირველი იქნებოდა, რომ იგი კვარტერ ხორბალს, რომელსაც ყიდის, *შემოსავლად* სთვლიდეს, ხოლო კვარტერ ხორბალს კი, რომელსაც მიწას აბარებს, „*ხარჯად*“ არ სთვლიდეს. სხვათა შორის, შეიძლება ბატონი *როდბერტუსი* კიდევაც „იწყებს“ სადმე, მაგალითად, ძელის ან აბრეშუმის „წარმოებას წინამორბედი წარმოების პროდუქტების“ გარეშე. ეს წმინდა უაზრობაა.

მაშასადამე, ასევე უაზრობაა *როდბერტუსის* მთელი შემდგომი დასკვნაც:

„ამრიგად, მართალია სოფლის მეურნეობას მრეწველობასთან საერთო აქვს კაპიტალის ორივე ნაწილი, რომლებიც რენტის ნაწილთა *სიდიდის* განსაზღვრაზე გავლენას ახდენენ, მაგრამ მას აკლია კაპიტალის ის ნაწილი, რომელსაც ამაში

წვლილი არ შეაქვს, მაგრამ რომელზედაც სხვებთან ერთად გამოიანგარიშება მოგების სახით კაპიტალის ხემოაღნიშნული ნაწილების მიერ განსაზღვრული რენტის ნაწილი; კაპიტალის ეს ნაწილი იმყოფება მხოლოდ სამრეწველო კაპიტალის შედგენილობაში. ამრიგად, თუმცა ნაგულისხმევის თანახმად ნედლი პროდუქტის, ისე როგორც დამუშავებული პროდუქტის, ღირებულება დახარჯული შრომის მიხედვით განისაზღვრება და რენტაც ამ ზედმეტ ღირებულებასთან შეფარდებით ნაწილდება ნედლი პროდუქტის და დამუშავებული პროდუქტის მფლობელთა შორის და შემდეგ, თუმცა ამიტომ რენტის ის ნაწილებიც, რომელნიც წილად ხვდება ნედლეულის წარმოებას და მრეწველობას, შეფარდებაში იმყოფებიან შრომის იმ რაოდენობასთან, რაც სათანადო პროდუქტი დაჯდა, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობაში და მრეწველობაში დახარჯული კაპიტალები, რომლებზედაც რენტის ნაწილები მოგების სახით ნაწილდებიან, — და ამასთანავე მრეწველობაში მთლიანად, ხოლო სოფლის მეურნეობაში კი დამყარებული მოგების ნორმის შესაბამისად, — არ იმყოფებიან იმავე შეფარდებაში, როგორც შრომის ხემოაღნიშნული რაოდენობანი და მათ მიერ განსაზღვრული რენტის ნაწილები. პირიქით, რენტის იმ ნაწილების თანატოლი სიდიდის პირობებში, რომლებიც წილად უწევს ნედლ პროდუქტს და დამუშავებულ პროდუქტს, სამრეწველო კაპიტალი უფრო დიდია სასოფლო-სამეურნეო კაპიტალზე მთელი მასში მოთავსებული მასალის ღირებულებით. რადგანაც მასალის ეს ღირებულება, მართალია, ადიდებს *სამრეწველო კაპიტალს, რომელზედაც გამოიანგარიშება მისი კუთვნილი ნაწილი რენტისა როგორც მოგება, მაგრამ არ ადიდებს თვით ამ მოგებასაც* და, მაშასადამე, იწვევს ამასთან ერთად კაპიტალის მოგების ნორმის შემცირებასაც, ნორმის, რომელიც სოფლის მეურნეობაშიც მომწესრიგებლად გამოდის, ამიტომ რენტის იმ ნაწილიდანაც, რაც სოფლის მეურნეობას წილად ხვდება, აუცილებლად უნდა დარჩეს ერთი ნაწილი, რომელიც არ შთაინთქება *მოგების გამოანგარიშებით* მისი ა₴ *მოგების ნორმის მიხედვით*“ (l. c., გვ. 98, 99).

*პირველი მცდარი წარნამძღვარი*: თუ სამრეწველო პროდუქტი და სამიწათმოქმედო პროდუქტი ერთი მეორეზე იცვლება მათი ღირებულების მიხედვით, ე. ი. მათი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროსთან შეფარდებით, მაშინ ისინი აძლევენ თავიანთ მფლობელთ თანასწორი სიდიდის ზედმეტ ღირებულებებს ანუ გადაუხდელი შრომის თანასწორ რაოდენობას. ზედმეტი ღირებულებანი არ შეეფარდებიან ერთმანეთს, ისე როგორც ღირებულებანი.

*მეორე მცდარი წარნამძღვარი*: რადგანაც *როდბერტუსი* გულისხმობს უკვე მოგების ნორმას, რომელსაც ის „კაპიტალის მოგების ნორმას“ უწოდებს, ამიტომ მცდარია ის გულისხმობაც, რომ საქონელნი იყიდება მათ *ღირებულებებთან* შეფარდებით. ერთის გულისხმობა უარყოფს მეორეს. საქონელთა ღირებულებანი უნდა შეიცვალონ, გარდაიქმნან წარმოების ფასებად ანდა უნდა იმყოფებოდენ ამ მოდიფიკაციის განუწყვეტელ პროცესში, რათა მოგების (საერთო) ნორმამ [შესძლოს] არსებობა. ამ საერთო

ნორმაში თანასწორდებიან მოგების განსაკუთრებული ნორმები, რომლებიც წარმოების ყოველ დარგში ზედმეტი ღირებულების ავანსადგაღებულ კაპიტალთან შეფარდების საშუალებით იქმნებიან. მაშასადამე, რატომ მიწათმოქმედებაშიც არ ხდება ასე? აი სწორედ ესაა საკითხავი. მაგრამ **როდბერტუსი** მას ვერც კი სვამს სწორად, რადგანაც ის გულისხმობს, ჯერ ერთი, იმას, რომ მოგების საერთო ნორმა მოცემულია და, მეორე, იმას, რომ მოგების განსაკუთრებული ნორმები, მაშასადამე, მათი განსხვავებანიც, გათანასწორებული არ არიან, მაშასადამე, საქონელნი იცვლებიან ერთი მეორეზე მათი ღირებულების მიხედვით.

**მესამე მცდარი წარნამძღვარი: ნედლი მასალის ღირებულება არ შედის მიწათმოქმედებაში.** ავანსადგაღებული ხარჯები, ამ შემთხვევაში თესლეულზე და სხვ., შეადგენენ უფრო მუდმივი კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს და მოიჯარადრის მიერ ისინი იანგარიშება კიდევაც როგორც ასეთნი. იმავე ზომით, რაზომითაც მიწათმოქმედება ხდება მრეწველობის უბრალო დარგი, კაპიტალისტური წარმოებაც მყარდება სოფლად; რა ზომითაც მიწათმოქმედება ბაზრისათვის აწარმოებს — აწარმოებს საქონელს, საგნებს გასაყიდად და არა საკუთარი მოხმარებისათვის — სწორედ იმავე ზომით ანგარიშობს ის თავის ხარჯებს და იხილავს თითოეულ მუხლს მათგან როგორც საქონელს, სულერთია, ყიდულობს ის მათ თავის თავისაგან, ე. ი. თავის წარმოებაში, თუ მესამე პირისაგან. რა ზომითაც პროდუქტები საქონელი ხდება, იმ ზომითვე ხდება საქონელი, რასაკვირველია, წარმოების ელემენტებიც; ვინაიდან ეს ელემენტებიც ხომ იგივე პროდუქტებია, იდენტიური მათთან. მაშასადამე, რადგანაც ხორბალი, თივა, პირუტყვი, ყოველი ჯიშის თესლეული და სხვ. იყიდება როგორც საქონელი — და, რადგანაც ეს გაყიდვა, და არა კვება მათი საშუალებით [როგორც სახმარი ღირებულების საშუალებით] შეადგენს არსებით მომენტს, — ამიტომაც ისინი შედიან წარმოებაში როგორც საქონელნი და მოიჯარადრეც დიდი ბრიყვი იქნებოდა, რომ არ შესძლებოდა ფულის გამოყენება საანგარიშო ფულის სახით. მხოლოდ ეს მაინც, უწინარეს ყოვლისა, ანგარიშის ფორმალური მხარეა. მაგრამ იმავე ზომით ვითარდება ის [გარემოება], რომ მოიჯარადრე თავის წარმოებისათვის საჭირო ხარჯებს, თესლს, სხვის პირუტყვს, სასუქს, მინერალურ ნივთიერებათ და სხვ. ყიდულობს, მაშინ როდესაც ის თავის შემოსავალს ყიდის; ასე რომ, მაშასადამე, ეს ხარჯები ცალკე მოიჯარადრისათვის ფორმალურადაც ხარჯებია, რადგანაც ისინი ნაყიდი საქონელია. მისთვის

ისინი უკვე მუდამ საქონლად რჩება, მისი კაპიტალის შემადგენელ ნაწილებად. და, მაშასადამე, თუ იგი მათ უკან უბრუნებს წარმოების პროცესს in naturali, მაშინ თავის თავს უანგარიშებს მათ იმავე ფორმით, qua მათ მწარმოებელი ჰყიდის. და ამას სწორედ ადგილი აქვს იმასთან შეფარდებით, თუ როგორ ვითარდება მიწათმოქმედება და როგორ იწყება საბოლოო პროდუქტის უფრო და უფრო ფაბრიკის წესით და კაპიტალისტური წარმოების თავისებურობის მიხედვით წარმოება.

ამრიგად, შემცდარია, თითქოს ამ შემთხვევაში მრეწველობაში შედიოდეს კაპიტალის ისეთი ნაწილი, რომელიც მიწათმოქმედებაში არ შედის.

თუ, მაშასადამე, როდბერტუსის შემცდარი ნაგულისხმევის თანახმად „რენტის ნაწილები", ე. ი. ის ჯერადი წილი ზედმეტ ღირებულებაში, რომელსაც სამიწათმოქმედო და სამრეწველო პროდუქტები იძლევა, ნაწილდება სამიწათმოქმედო და სამრეწველო პროდუქტების ღირებულებებთან შეფარდებით, თუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამრეწველო პროდუქტები და სამიწათმოქმედო პროდუქტები აძლევენ თავიანთ მფლობელთ თანასწორი სიდიდის ზედმეტ ღირებულებას, ე. ი. შეიცავენ გადაუხდელი შრომის თანასწორ რაოდენობათ, — მაშინ სრულიად არავითარ შეუსაბამობას არ ექნება ადგილი იმის გამო, რომ მრეწველობაში შედის კაპიტალის ერთი ნაწილი ნედლ მასალაზე დასახარჯავი, რომელიც თითქოს მიწათმოქმედებაში არ უნდა შედიოდეს, რის გამოც, მაგალითად, იგივე ზედმეტი ღირებულება მრეწველობაში, [გამოანგარიშებული] აღნიშნული შემადგენელი ნაწილით გადიდებულ კაპიტალზე, [უნდა იძლეოდეს მოგების შემცირებულ ნორმას]. ვინაიდან კაპიტალის იგივე ნაწილი შედის მიწათმოქმედებაშიც, ამიტომ დარჩებოდა მხოლოდ ერთი საკითხი გადასაჭრელად: შედის თუ არა კაპიტალის ეს ნაწილი მიწათმოქმედებაში იმავე შეფარდებით? მაგრამ ჩვენ აქ უკვე საქმე გვაქვს წმინდა რაოდენობრივ განსხვავებებთან, მაშინ როდესაც ბატონ როდბერტუსს სურს დაინახოს „თვისებრივი" განსხვავება.

ასეთივე რაოდენობრივი განსხვავებანი განიცდიან დიფერენციაციას წარმოების სხვადასხვა სამრეწველო სფეროებში. ისინი თანასწორდებიან მოგების საერთო ნორმაში. რატომ არა აქვს ადგილი ასეთ გათანასწორებას მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის, თუ ასეთი სხვაობანი არსებობენ აქ? თუ კი ბატონი როდბერტუსი მიწათმოქმედებას მონაწილედ ხდის მოგების საერთო ნორ-

მაში, რატომ აღარ აღებიებს იგი მას მონაწილეობას მის შექმნაშიც?[1] მაგრამ ამით იგი, რასაკვირველია, ჩიხში მოხვდებოდა.

მეოთხე მცდარი წარნამძღვარი: ეს არის მცდარი და თვითნებური ნაგულისხმევი, როდესაც როდბერტუსს მანქანების და სხვ. გაცვეთა, მუდმივი კაპიტალის ეს ერთი ნაწილი, ცვალებად კაპიტალში შეაქვს, ე. ი. კაპიტალის იმ ნაწილში, რომელიც ზედმეტ ღირებულებას ქმნის და სპეციალურად კი ზედმეტი ღირებულების ნორმას განსაზღვრავს, მაშინ როდესაც ნედლი მასალა მისი აზრით აქ არ შედის. ეს საანგარიშო შეცდომა მან დაუშვა, რათა თავიდანვე უზრუნველჰყოს გამოანგარიშების სასურველი შედეგის მიღება.

მეხუთე მცდარი წარნამძღვარი: რაკი როდბერტუსს ერთხელვე სურს დაუშვას განსხვავება მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის, მაშინ მან უნდა მხედველობაში მიიღოს, რომ კაპიტალის ის ელემენტი, რომელიც მანქანებისა, იარაღებისა და ძირითადი კაპიტალისაგან შესდგება, მთლიანად მრეწველობას ეკუთვნის. კაპიტალის ეს ელემენტი, რამდენადაც ის შედის კაპიტალში როგორც ელემენტი, შედის მუდამ მხოლოდ მუდმივ კაპიტალში და არასდროს არ შეუძლია მას ასწიოს ზედმეტი ღირებულება იოტისოდენადაც კი. მეორეს მხრივ, იგი, როგორც მრეწველობის პროდუქტი, წარმოადგენს წარმოების განსაზღვრული სფეროს შედეგს. მისი ფასი ან ღირებულების ნაწილი, რომელსაც ის შეადგენს საზოგადოების მთელ კაპიტალში, წარმოადგენს, მაშასადამე, იმავე დროს ზედმეტი ღირებულების განსაზღვრულ რაოდენობას, სწორედ ისე, როგორც ამას ადგილი აქვს ნედლი მასალის მიმართ. ახლა იგი შედის, მართალია, სამიწათმოქმედო პროდუქტში; მაგრამ იგი მოდის მრეწველობიდან. თუ ბატონი როდბერტუსი ნედლ მასალას ანგარიშობს, როგორც გარედან მომავალ კაპიტალის ელემენტს მრეწველობაში, მაშინ მან მანქანები, იარაღები, ჭურჭლეული, შენობები უნდა ჩასთვალოს როგორც გარედან მომავალი ელემენტი კაპიტალისა მიწათმოქმედებაში. და [მან, მაშასადამე, უნდა] სთქვას, რომ მრეწველობაში შედის მხოლოდ შრომის ხელფასი და ნედლი მასალა, რადგანაც ძირითადი კაპიტალი, რამდენადაც ის ნედლი მასალა არაა, წარმოადგენს მრეწველობის პროდუქტს, მის საკუთარ პროდუქტს. მიწათმოქმედებაში, პირიქით, შედის შრომის ხელფასი და მანქანები და სხვ. ძირითადი კაპიტალი, ვინაიდან ნედლი მასალა, რამდენადაც ის იარაღებში და სხვ. არაა მოთავსებული, მიწათმოქმედების პროდუქტია. მაშინ საჭირო იქნებოდა იმის გამოკვლევა, თუ როგორ სა-

ჯეს მიიღებდა ანგარიში მრეწველობაში წარმოების ხარჯების ერთი მუხლის ჩამოცილების გამო.

შეეძვსე: სავსებით მართალია, რომ სამთამადნო მრეწველობაში, მეთევზეობაში, ხე-ტყის მეურნეობაში, რამდენადაც ტყის ზრდა ბუნებრივია, და სხვ., ერთი სიტყვით, ექსტრაქტიულ მრეწველობაში, ნედლი პროდუქტების ექსტრაქტიულ წარმოებაში, სადაც ამ ბუნებრივი პროდუქტების რეპროდუქციას ადგილი არა აქვს, არავითარი ნედლი მასალა არ შედის, თუ არ მხოლოდ დამხმარე ნივთიერებათა სახით. ეს არ შეეხება მიწათმოქმედებას.

მაგრამ არა ნაკლებად [სწორია], რომ ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი მრეწველობის ერთ დიდ ნაწილში, სატრანსპორტო მრეწველობაში. აქ წარმოების ხარჯები შესდგება მხოლოდ მანქანათა, დამხმარე მასალათა და შრომის ხელფასისაგან. დაბოლოს, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მრეწველობის სხვა დარგებში, თუ შედარებით ვილაპარაკებთ, შედის მხოლოდ ნედლი მასალა და შრომის ხელფასი, მაგრამ არ შედის: მანქანები, ძირითადი კაპიტალი და სხვ., როგორც, მაგალითად, სამკერვალო დარგში და სხვ.

ყველა ამ შემთხვევაში მოგების სიდიდე, ე. ი. ზედმეტი ღირებულების შეფარდება ავანსად გაღებულ კაპიტალთან, დამოკიდებული იქნებოდა არა იმაზე, შესდგება თუ არა ავანსად გაღებული კაპიტალი — კაპიტალის ცვალებადი ნაწილის გამოკლებით — მანქანებისაგან, ან ნედლი მასალისაგან, ანდა ორთავეთაგან, არამედ იმაზე, თუ რამდენად დიდია ის შედარებით კაპიტალის იმ ნაწილთან, რომელიც შრომის ხელფასზეა დახარჯული. ამის გამო წარმოების სხვადასხვა სფეროებში, თუ არას ვიტყვით მიმოქცევის მიერ გამოწვეულ ცვლილებებზე, იარსებებდა მოგების სხვადასხვა ნორმები, რომელთა გათანასწორებაც სწორედ მოგების საერთო ნორმას ქმნის.

ის, რაც ბატონ როდბერტუსს მხედველობაში აქვს, — ეს არის ზედმეტი ღირებულების განსხვავება მის სპეციალურ ფორმათაგან, განსაკუთრებით მოგებისაგან. მაგრამ ის სწორ ნიშანს აცილებს, რადგანაც მისი აზრით იმთავითვე საქმე ეხება განსაზღვრული მოვლენის, მიწის რენტის, გაგებას და არა საერთო კანონის აღმოჩენას.

წარმოების ყველა დარგში ადგილი აქვს რეპროდუქციას; მაგრამ ეს სამრეწველო რეპროდუქცია თანაემთხვევა იმავე დროს ბუნებრივ რეპროდუქციას მხოლოდ მიწათმოქმედებაში, მაგრამ არა ექსტრაქტულ მრეწველობაში. ამიტომაც ამ უკანასკნელში პროდუქტი თავის ბუნებრივ ფორმაში აღარ იქცევა ხელახლა თავისი რეპრო-

დუქციის ელემენტად, თუ არ მხოლოდ დამხმარე ნივთიერებათა სახით. რაც მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას და სხვ. მრეწველობის სხვა დარგებიდან განასხვავებს, ეს არის, ჯ ე რ ე რ თ ი , ა რ ა ის, რომ პროდუქტი საწარმოო საშუალება ხდება, ვინაიდან ამას ადგილი აქვს ყველა სხვა სამრეწველო პროდუქტების მიმართ, რომელთაც კი ინდივიდუალურ საარსებო საშუალებათა საბოლოო ფორმა არ მიუღიათ; მაგრამ ამ უკანასკნელი სახითაც კი პროდუქტები იქცევიან საწარმოო საშუალებებად მწარმოებლისათვის, რომელიც მათი მოხმარების საშუალებით რეპროდუქციას უშვებს თავის თავს ანუ ინარჩუნებს თავის სამუშაო ძალას; მ ე ო რ ე , ა რ ც ის, რომ ეს პროდუქტები, როგორც საქონელნი, მაშასადამე, როგორც კაპიტალის შემადგენელი ნაწილები, წარმოებაში შედიან; ისინი შედიან წარმოებაში ისე, როგორც იქიდან გამოდიან; ისინი წარმოებიდან გამოდიან როგორც საქონელნი და შედიან მასში კვლავ როგორც საქონელნი; საქონელი წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების როგორც წინაპირობას, ისე შედეგს. მაშასადამე, მ ე ს ა მ ე: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და სხვ. განსხვავდებიან მრეწველობის სხვა დარგთაგან მხოლოდ იმითი, რომ ისინი როგორც თავისივე საკუთარი საწარმოო საშუალებანი, შედიან წარმოების პროცესში, რომლის პროდუქტებსაც თვით წარმოადგენენ. ეს ხდება აგრეთვე მემანქანეობის მიმართაც. მანქანა აგებს მანქანას. ნახშირი დახმარებას უწევს ნახშირის ამოღებას მაღაროდან, ნახშირს გადააქვს ნახშირი და სხვ. მიწათმოქმედებაში ეს გვეჩვენება ბუნებრივი პროცესის სახით, რომელსაც ხელმძღვანელობს ადამიანი, თუმცა ეს პროცესი „ცოტათი" მასაც აწარმოებს. მრეწველობის სხვა დარგებში ეს [გვევლინება] როგორც პირდაპირ მრეწველობის მოქმედება. მაგრამ, როდესაც ბატონი რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ამის გამო არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი შედიოდეს როგორც „ს ა ქ ო ნ ე ლ ნ ი" რეპროდუქციაში იმ თავისებური ფორმის გამო, რომელშიაც ისინი, როგორც „სახმარი ღირებულებანი" (ტექნოლოგიური აზრით) მასში შედიან, მაშინ იგი მთლიანად იმყოფება მოლიპულ გზაზე და ემყარება, ცხადია, მოგონებას [იმ დროის შესახებ], როდესაც მიწათმოქმედება ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა კაპიტალისტურ მოსაქმეობას (trade), როდესაც მხოლოდ მისი პროდუქტის გ ა რ დ ა მ ე ტ ი მწარმოებლის მოხმარებაზე საქონელი ხდებოდა და როდესაც ეს პროდუქტებიც, რამდენადაც ისინი წარმოებაში შედიოდნენ, არ ეჩვენებოდნენ მას როგორც საქონელნი. ეს არის ძირითადი გაუგებრობა კაპიტალისტური წარმოების წესის მრეწველობაში გამოყენების

შესახებ. მრეწველობისათვის ყველა პროდუქტი, რომელსაც ღირებულება აქვს — მაშასადამე, თავისი ბუნების მიხედვით, საქონელია — ანგარიშში მიიღება აგრეთვე როგორც საქონელი.

ვიგულისხმოთ, რომ, მაგალითად, სამთამადნო მრეწველობაში მუდმივი კაპიტალი, რომელიც მხოლოდ მანქანებიდან შესდგება, უდრის 500 გირვ. სტერლინგს, ხოლო შრომის ხელფასზე დახარჯული კაპიტალიც აგრეთვე უდრის 500 გირვ. სტერლინგს; თუ ზედმეტი ღირებულება = 40 პროცენტს, ე. ი. = 200 გირვ. სტერლინგს, მაშინ მოგება შეადგენდა = 20 პროცენტს. ამრიგად, გვექნებოდა:

| მუდმივი კაპიტალი მანქანები | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება |
|---|---|---|
| 500 | 500 | 200 |

ავიღოთ ახლა მრეწველობის დარგი, ანდა მიწათმოქმედების დარგი, სადაც იგივე ცვალებადი კაპიტალი იქნება დახარჯული, ე. ი. 500 გირვ. სტერლინგი, შემდეგ, ვთქვათ, მისი გამოყენება, ე. ი. მუშათა განსაზღვრული რიცხვის საქმეში ჩაბმა მოითხოვს მანქანებს და სხვ. 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით; ამ შემთხვევაში, მართლაც, — ვინაიდან აქ წარმოების პროცესში ნედლი მასალა შედის, — მესამე ელემენტის სახით უნდა მიემატოს ნედლი მასალის ღირებულება, ვთქვათ, ისევე 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. ამრიგად, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს:

| მუდმივი კაპიტალი მანქანები ნედლი მასალა | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება |
|---|---|---|
| 500 + 500 = 1000 | 500 | 200 |

ეს 200 ახლა უნდა გვეანგარიშნა 1500-ზე, და ეს შეადგენდა მხოლოდ $13^1/_3$ პროცენტს. პირველი შემთხვევა რჩება უცვლელი, თუ იგი ტრანსპორტის მრეწველობის ერთი ნიმუშთაგანი უნდა იყოს. პირიქით, თუ მეორე შემთხვევაში შეფარდება იქნებოდა ისეთი, რომ მანქანები ეღირებოდა 100 გირვ. სტერლ., ხოლო ნედლი მასალა კი — 400 გირვ. სტერლინგი, მაშინ მოგების ნორმა იგივე დარჩებოდა, რაც პირველ შემთხვევაში.

ამრიგად, ის, რაც როდბერტუსს წარმოუდგენია, შემდეგია: იქ, სადაც მიწათმოქმედებაში იხარჯება 100 შრომის ხელფასზე + 100 მანქანებზე, მრეწველობაში იხარჯება 100 მანქანებზე, 100 შრომის ხელფასზე და X ნედლ მასალაზე. ამისთვის შემდეგი სქემა გვექნებოდა:

## I. მიწათმოქმედება.

| მუდმივი კაპიტალი მანქანები | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება | მოგების ნორმა |
|---|---|---|---|
| 100 | 100 | 50 | $\frac{50}{200}=25$ პროც. |

## II. მრეწველობა.

| მუდმივი კაპიტალი ნედლი მასალა | მანქანები | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება | მოგების ნორმა |
|---|---|---|---|---|
| X | 100 | 100 | 50 | $\frac{50}{200+X}$ |

მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში ნაკლები, ვიდრე 25 პროცენტი. აქედან წარმოსდგება მიწის რენტა I-ში.

ამრიგად, ჯერ ერთი — ეს განსხვავება მიწათმოქმედებასა და მანუფაქტურას შორის წარმოდგენითია, არარსებული, მაშასადამე, ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული მიწის რენტის იმ ფორმისათვის, რომელიც ყველა სხვას საზღვრავს.

მეორე, ბატონ როდბერტუსს შეეძლო [იგივე] განსხვავება მოგების ნორმათა შორის ეპოვნა მრეწველობის ყოველ ორ დარგში; ეს იქნებოდა განსხვავება, რომელიც დამოკიდებულია მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის შეფარდებაზე, შეფარდებაზე, რომელიც თავის მხრივ კვლავ შეიძლება განისაზღვრებოდეს ან არ განისაზღვრებოდეს ნედლი მასალის წარმოებაში შესვლით. მრეწველობის იმ დარგებში, სადაც ნედლი მასალა და იმავე დროს მანქანებიც შედის, ნედლი მასალის ღირებულება, მაშასადამე, შეფარდებითი სიდიდე, რომელსაც ის ერთობლივ კაპიტალში შეადგენს, რასაკვირველია, მეტად მნიშვნელოვანია, როგორც მე ეს წინათ აღვნიშნე. ამას არავითარი საქმე არა აქვს მიწის რენტასთან.

როდბერტუსი განაგრძობს:

„მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნედლი პროდუქტის ღირებულება შრომის ხარჯებზე დაბლა ეცემა, არის შესაძლებელი, რომ სოფლის მეურნეობაშიც რენტის მთელი ის ნაწილი, რომელიც ნედლ პროდუქტს წილად ხვდება, შთაინთქმება კაპიტალზე მოგების გამოანგარიშებით, რადგანაც მაშინაა შესაძლებელი რენტის ამ ნაწილის ისე შემცირება, რომ ამის გამო მასსა და სასოფლო-სამეურნეო კაპიტალს შორის, თუმცა ამ უკანასკნელს აკლია მასალის ღირებულება, მაინც იქმნება ისეთივე შეფარდება, როგორიც არსებობს სამრეწველო კაპიტალსა და რენტის იმ ნაწილს შორის, რომელიც წილად ხვდება სამრეწველო პროდუქტს, თუმცა ამ სამრეწველო კაპიტალში მოთავსებულია მასალის ღირებულება; ამრიგად, მხოლოდ მაშინ არის

შესაძლებელი, რომ სოფლის მეურნეობაშიც, გარდა კაპიტალის მოგებისა, აღარ რჩება არავითარი რენტა. მაგრამ, რამდენადაც გრავიტაცია იმ კანონისადმი, რომლითაც ღირებულება დახარჯულ შრომას უდრის, ერთგვარ წესს შეადგენს, ყოველ შემთხვევაში რეალურ სამეურნეო ურთიერთობაში, იმდენად შეადგენს ამ წესს მიწის რენტაც, და თუ არავითარი მიწის რენტა არ არსებობს, არამედ მხოლოდ კაპიტალის მოგება რჩება, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს თავდაპირველ მდგომარეობად, როგორც ამას რ ი კ ა რ დ ო გულისხმობს, არამედ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ანორმალობად“ (l. c., გვ. 100).

აზრის ცოტა უფრო ნათელყოფისათვის დავუშვათ, რომ ნედლი მასალა = 100 გირვ. სტერლინგს. [მაშინ ჩვენ როდბერტუსის წარმოდგენით გვექნება:]

## I. მიწათმოქმედება.

| მუდმივი კაპიტალი მანქ. ნები | ცვალებადი კაპიტალი | ზედმ. ღირებულება | პროდუქტის ღირებულება | პროდუქტის ფასი | მოგება |
|---|---|---|---|---|---|
| 100 £ | 100 £ | 50 £ | 250 £ | $233^1/_6$ £ | $33^1/_6$ £ = $16^2/_3$%-ს |

## II. მრეწველობა.

| მუდმივი კაპიტალი ნედლი მას. | მანქანები | ცვალებადი კაპიტალი | ზედმ. ღირებულება | პროდუქ. ღირებულ. | პროდუქტის ფასი | მოგება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 100 £ | 100 £ | 100 £ | 50 £ | 350 £ | 350 £ | 50 £ = $16^2/_3$%-ს. |

აქ მოგების ნორმა მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში გათანასწორდებოდა, მაშასადამე, მიწის რენტისათვის აღარაფერს არ დასტოვებდა, რადგანაც სამიწათმოქმედო პროდუქტი თავის ღირებულებაზე $16^5/_6$ გირვ. სტერლინგით დაბლა იყიდება. კიდევაც რომ ეს მაგალითი იმდენადვე სწორი იყოს მიწათმოქმედებისათვის, რამდენადაც ის არაა სწორი მისთვის, მაშინ ის გარემოება, რომ ნედლი პროდუქტის ღირებულება „შრომის ხარჯებზე დაბლა“ ეცემა, სავსებით შესაბამისი იქნებოდა მხოლოდ წარმოების ფასთა კანონისათვის. პირიქით, უფრო საჭიროა ავხსნათ ის საკითხი, თუ რატომ ამ „გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი ს ს ა ხ ი თ“ ნაწილობრივ ადგილი არა აქვს მიწათმოქმედებაში და რატომაა, რომ აქ ერთობლივი ზედმეტი ღირებულება ანდა, ყოველ შემთხვევაში, [მისი] მეტი ნაწილი, შედარებით მრეწველობის სხვა დარგებთან, ე. ი. გარდამეტი მოგების საშუალო ნორმაზე რჩება წარმოების ამ განსაკუთრებული დარგის

პროდუქტის ფასში, ნაცვლად იმისა, რომ ის შევიდეს მოგების საერთო ნორმის შექმნის ანგარიშში. აქ ვხედავთ, რომ როდბერტუსმა არ იცის რა არის მოგების საერთო ნორმა და წარმოების ფასი.

რასაც კონკურენცია იწვევს — ესაა მოგებათა გათანასწორება, ე. ი. საქონლის ღირებულებათა დაყვანა წარმოების ფასებამდე. ცალკე კაპიტალისტი მოელის, როგორც მალთუსი ამბობს, შესაბამისს მოგებას თავისი კაპიტალის ყოველი ნაწილიდან, რაც სხვა სიტყვებით ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ის კაპიტალის ყოველ ნაწილს, მისი ეკონომიური ფუნქციისაგან დამოუკიდებლად, უყურებს როგორც მოგების დამოუკიდებელ წყაროს, რომ [თითოეული ამ ნაწილთაგანი მას ასეთ წყაროდ] ეჩვენება. ამრიგად, ყოველი კაპიტალისტი კაპიტალისტთა კლასის მიმართ, თავის კაპიტალს უყურებს როგორც ისეთივე — რაოდენობის მხრივ — მოგების წყაროს, რასაც ქმნის ყველა სხვა იმავე სიდიდის მქონე კაპიტალი. ეს ილუზია არწმუნებს კაპიტალისტს — რომელსაც საერთოდ კონკურენციაში ყველაფერი უკუღმა ეჩვენება, ვიდრე ეს სინამდვილეშია — და არწმუნებს არა მარტო იმას, არამედ ზოგიერთ მის უერთგულეს ფარისეველთ და მწიგნობართ იმაში, რომ კაპიტალი წარმოადგენს შრომისაგან დამოუკიდებელ შემოსავლის წყაროს, რადგანაც მართლაც კაპიტალის მოგება წარმოების ყოველ განსაკუთრებულ სფეროში არავითარ შემთხვევაში არ განისაზღვრება გადაუხდელი შრომის მარტოოდენ იმ რაოდენობით, რომელსაც თვით კაპიტალი „აწარმოებს“.

ამრიგად, როდბერტუსის [დასკვნები] უაზრობაა. გაკვრით უნდა აღინიშნოს კიდევ, რომ მიწათმოქმედების ზოგიერთ დარგებში — როგორც, მაგალითად, დამოუკიდებელ მესაქონლეობაში — ცვალებადი კაპიტალი, ე. ი. შრომის ხელფასზე დახარჯული კაპიტალი არაჩვეულებრივად მცირეა შედარებით კაპიტალის მუდმივ ნაწილთან.

„თავისი ბუნების მიხედვით იჯარა მუდამ მიწის რენტას წარმოადგენს“ (l. c., გვ. 113).

ეს არაა სწორი. იჯარა ეძლევა მუდამ მიწის მესაკუთრეს; ესაა და ეს. მაგრამ თუ ის, როგორც ეს ძლიერ ხშირად პრაქტიკაში ხდება, წარმოადგენს ნაწილობრივ ანდა მთლიანად გამოკლებას ნორმალური მოგებიდან ანდა გამოკლებას ნორმალური შრომის ხელფასიდან (ნამდვილი ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, მოგება პლიუს რენტა, არას დროს არ წარმოადგენს შრომის ხელფასიდან გამოკლებას, არამედ ის მუშის [მთელი] პროდუქტის [ის ნაწილია],

რომელიც რჩება შრომის ხელფასის ამ პროდუქტიდან გამოკლების შემდეგ), — მაშინ იგი, თუ ეკონომიურად განვიხილავთ, არაა მიწის რენტა, და ეს პრაქტიკულად მაშინვე მტკიცდება, როგორც კი კონკურენციის ურთიერთობანი ნორმალურ შრომის ხელფასს და ნორმალურ მოგებას ამყარებენ.

რასაც მე მოგების ნორმას და სარგებლის ნორმას ვუწოდებ, *როდბერტუსი* მას „კაპიტალის მოგების და სარგებლის სიმაღლეს“ უწოდებს (l. c., გვ. 113).

„იგი გამომდინარეობს მათი შეფარდებიდან კაპიტალთან... ყველა განათლებულ ერში კაპიტალის თანხა 100-ის რაოდენობით აღებულია როგორც ერთეული, რომელიც იძლევა საზომს გამოსაანგარიშებელი სიმაღლისათვის. რამდენადაც დიდია, მაშასადამე, ის შეფარდების ციფრი, რომელსაც იძლევა კაპიტალის ხვედრი მოგების ანუ სარგებლის რაოდენობა ყოველი 100-ის მიმართ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენადაც „მეტ პროცენტს“ იძლევა კაპიტალი, იმდენად *უფრო მაღლა* დგანან მოგება და სარგებელი“.

„*მიწის რენტის და იჯარის სიმაღლე* მიიღება მათი შეფარდებიდან მიწის განსაზღვრულ ნაკვეთთან“ (l. c., გვ. 113, 114).

ეს ძლიერ სუსტია. მიწის რენტის ნორმა პირველ ყოვლისა გამოანგარიშებულ უნდა იქნას კაპიტალზე, ე. ი. საქონლის ფასის გარდამეტის ნაწილზე. შედარებით საქონლის საწარმოო ხარჯების ფასთან და ფასის იმ ნაწილთან, რომელიც მოგებას ქმნის. ბატონი *როდბერტუსი* გამოანგარიშებას აწარმოებს აკრისა და მორგენის საშუალებით, რის დროსაც შინაგანი კავშირი იკარგება და *გარეგანი* ფორმა საგნის არსებად იქცევა, რადგანაც იგი მას განსაზღვრულ მოვლენებს უხსნის. რენტა, რომელსაც აკრი იძლევა, არის სარენტო ფონდი, მიწის რენტის მასა. *მას შეუძლია აიწიოს, თუ მიწის რენტის ნორმა უცვლელი რჩება ანდა თუ იგი ეცემა კიდეც*.

„*მიწის ღირებულების სიმაღლე* მიიღება მიწის განსაზღვრული ნაკვეთის რენტის კაპიტალიზაციიდან. რამდენად უფრო დიდია კაპიტალის თანხა, რომელსაც განსაზღვრული სივრცის მიწის ნაკვეთის რენტა იძლევა, იმდენად *უფრო მაღალია* მიწის ღირებულება“ (l. c., გვ. 114).

ღირებულების „სიმაღლეზე“ ლაპარაკი უაზრობაა. ვინაიდან რასთან გამოხატავს [მიწის ღირებულება] შეფარდებას? რომ 10 პროცენტიდან წარმოებული კაპიტალიზაცია მეტია, ვიდრე 20 პროცენტიდან — ეს ნათელია; მაგრამ აქ საზომს 100 წარმოადგენს. „მიწის ღირებულების სიმაღლე“ იგივე ზოგადი ფრაზაა, როგორც საქონელთა ფასების სიმაღლე ანდა დაბალი დონე საერთოდ.

## ე) კრიტიკის გაგრძელება. როდბერტუსის სამი ფორმულა.

### α) პირველი ფორმულა.

*„რა არის გადამწყვეტი კაპიტალის მოგებისა და მიწის რენტის სიმაღლისათვის?“* (l. c., გვ. 115).

პირველ ყოვლისა, *როდბერტუსი* სვამს საკითხს: რა განასხვავებს *„რენტის სიმაღლეს საერთოდ“*, მაშასადამე, რა განსაზღვრავს *ზედმეტი ღირებულების ნორმას*? [ამ კითხვაზე პასუხს იგი გამოხატავს ფორმულებში:]

I. „პროდუქტის *მოცემული* ღირებულების დროს ანუ შრომის *მოცემული* რაოდენობის პროდუქტის დროს, ანუ, რაც კვლავ იგივეს ნიშნავს, *მოცემული* ნაციონალური პროდუქტის პირობებში, რენტის სიმაღლე საერთოდ შებრუნებულ შეფარდებაში იმყოფება შრომის ხელფასის სიმაღლესთან და პირდაპირ შეფარდებაში შრომის პროდუქტიულობის სიმაღლესთან საერთოდ. რამდენადაც დაბალია შრომის ხელფასი, იმდენად მაღალია რენტა; რამდენად მაღალია შრომის პროდუქტიულობა საერთოდ, იმდენად უფრო დაბალია შრომის ხელფასი და იმდენად მაღალი რენტა“ (l. c., გვ. 115, 116).

რენტის *„სიმაღლე“* — ზედმეტი ღირებულების ნორმა — ამბობს *როდბერტუსი* [თავისი ფორმულის დამტკიცების დროს], დამოკიდებულია „იმ ნაწილის სიდიდეზე, რომელიც რენტისთვის რჩება“ (l. c., გვ. 117), სახელდობრ, — შრომის ხელფასის საერთო პროდუქტიდან გამოკლების შემდეგ, ამასთანავე განზე უნდა დავტოვოთ „პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც კაპიტალის ანაზღაურებას ემსახურება და რომელიც აქ შეიძლება ყურადღების გარეშე იქნას დატოვებული“. ეს კარგია, სახელდობრ, რომ ზედმეტი ღირებულების ამ განხილვისას კაპიტალის მუდმივი ნაწილი „ყურადღების გარეშე რჩება“.

რამოდენიმედ უცნაურია ის შეხედულება,

„რომ, თუ შრომის ხელფასი ეცემა, ე. ი. თუ იგი პროდუქტის მთელი ღირებულების სულ უფრო და უფრო პატარა ნაწილს შეადგენს, მაშინ *ერთობლივი კაპიტალი*, რომელზედაც *რენტის მეორე ნაწილი* (ე. ი. სამრეწველო მოგება) მოგების სახით უნდა გამოანგარიშებულ იქნას, მცირდება. მაგრამ ეს არის ნორმა შეფარდებისა, ერთის მხრივ, იმ ღირებულებასა, რომელიც კაპიტალად ან მიწის რენტად ხდება და, მეორეს მხრივ, იმ კაპიტალსა ანუ სათანადოდ მიწის ფართობს შორის, რომლებზეც ეს ღირებულება *გამოიანგარიშება* კაპიტალის მოგებისა და რენტის სახით, — რაც მარტოოდენ ამ უკანასკნელთა, ე. ი. კაპიტალის მოგებისა და რენტის *სიმაღლეს* აყალიბებს. თუ, მაშასადამე, შრომის ხელფასი უფრო დიდ ღირებულებას სტოვებს რენტის სახით, მაშინ იგი *შემცირებულ კაპიტალზეც* და უცვლელად დარჩენილ მიწის ფართობზე

უნდა გამოანგარიშებულ იქნას უფრო დიდი ღირებულება მოგებისა და მიწის რენტის სახით; აქედან მიღებული ორთავეს რიცხვობრივი შეფარდება უფრო დიდი ხდება და, ამრიგად, ორივე ერთად აღებული, ანუ რენტა საერთოდ მაღლა იწევს... ნაგულისხმევია, რომ პროდუქტის ღირებულება უცვლელი რჩება... შრომა, რადაც პროდუქტი ღირს, ჯერ კიდევ არ მცირდება იმიტომ, რომ მცირდება ხელფასი, რადაც შრომა ღირს" (l. c., გვ. 117, 118).

ეს უკანასკნელი სწორია. მაგრამ შემცდარია ის, რომ, თუ ცვალებადი კაპიტალი ეცემა, მუდმივი კაპიტალი უნდა შემცირდეს; სხვა სიტყვებით: არაა სწორი, რომ მოგების ნორმამ უნდა აიწიოს (სრულიად უადგილო მითითებას მიწის ფართობზე და სხვ. ჩვენ აქ განზე ვტოვებთ) იმიტომ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა იწევს მაღლა. შრომის ხელფასი ეცემა, მაგალითად, იმიტომ, რომ შრომა ხდება უფრო პროდუქტიული და პროდუქტიულობის ეს აწევა ყველა შემთხვევაში გამოიხატება იმაში, რომ იმავე დროს განმავლობაში იმავე მუშის მიერ მეტი ნედლი მასალა მუშავდება; მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი იზრდება; ამასვე აქვს ადგილი მანქანების და მათი ღირებულების მიმართ. ამრიგად, მოგების ნორმას შეუძლია დაეცეს შრომის ხელფასის შემცირებასთან ერთად. მოგების ნორმა დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების სიდიდეზე, რომელიც განისაზღვრება არა მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმით, არამედ გამოყენებულ მუშათა რიცხვითაც.

როდბერტუსი სწორად განსაზღვრავს შრომის აუცილებელ ხელფასს, როგორც ხელფასს, რომელიც უდრის „აუცილებელი არსებობის ჯამს, ე. ი. უდრის განსაზღვრული ქვეყნისა და დროის განსაზღვრული პერიოდისათვის პროდუქტების თითქმის თანასწორ, განსაზღვრულ რეალურ რაოდენობას" (l. c., გვ. 118).

შემდეგ რიკარდოს მიერ წამოყენებულ დებულებებს მოგებისა და შრომის ხელფასის შებრუნებული შეფარდებისა და ამ შეფარდების შრომის პროდუქტიულობით განსაზღვრის შესახებ ბატონი როდბერტუსი გვიხატავს უაღრესად აბნეულ-არეულად და უმწეოდ. აბნეულობა ნაწილობრივ იქიდან მომდინარეობს, რომ იგი, ნაცვლად იმისა, რომ სამუშაო დრო აიღოს როგორც საზომი, უხეშად იღებს პროდუქტის რაოდენობას და უშვებს უაზრო განსხვავებებს „პროდუქტის ღირებულების სიმაღლესა" და „პროდუქტის ღირებულების სიდიდეს" შორის.

ჰაბუკს „პროდუქტის ღირებულების სიმაღლე" ესმის მხოლოდ როგორც პროდუქტის შეფარდება სამუშაო დროსთან. თუ ერთიდა-

იგივე სამუშაო დრო ბევრ პროდუქტს იძლევა, პროდუქტის ღირებულება, ე. ი. ცალკე ნაწილობრივი პროდუქტის ღირებულება, დაბალია; თუ პირიქითაა, მაშინ საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი. თუ ერთი სამუშაო დღე პირველად იძლეოდა 100 გირვანქას და შემდეგ კი — 200 გირვანქას, მაშინ მეორე შემთხვევაში ნართის ღირებულება ორჯერ უფრო მცირე იქნებოდა, ვიდრე პირველ შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში მისი ღირებულება იქნებოდა თანასწორი სამუშაო დღის $^1/_{100}$-ის, მეორე შემთხვევაში გირვანქა ნართის ღირებულება იქნებოდა = სამუშაო დღის $^1/_{200}$-ს. ვინაიდან მუშა იღებს პროდუქტის ერთსადაიმავე რაოდენობას, სულერთია, არის ამ პროდუქტის ღირებულება მაღალი თუ დაბალი, ე. ი. შეიცავს იგი მეტ თუ ნაკლებ შრომას, ამიტომ შრომის ხელფასი და მოგება შებრუნებულ შეფარდებაში იმყოფებიან და შრომის ხელფასი იღებს ერთობლივი პროდუქტიდან მეტს ან ნაკლებს იმისდა მიხედვით, თუ როგორია შრომის პროდუქტიულობა. იგი ამას გამოხატავს შემდეგ აბნეულ დებულებებში:

„...თუ შრომის ხელფასი, როგორც აუცილებელი საარსებო საშუალება, წარმოადგენს პროდუქტის განსაზღვრულ რეალურ რაოდენობას, მაშინ მასვე უნდა ჰქონდეს, თუ პროდუქტის ღირებულება მაღალია, უფრო დიდი ღირებულება, ხოლო, თუ პროდუქტის ღირებულება დაბალია, უფრო მცირე ღირებულება; მაშასადამე, მან აგრეთვე, რადგანაც განაწილებისათვის მისაღებად აღებულია პროდუქტის თანასწორი ღირებულება, უნდა შთანთქას პროდუქტის ღირებულების დიდი ნაწილი, თუ ეს უკანასკნელი დიდია, ხოლო მცირე ნაწილი — თუ იგი დაბალია; და, ბოლოს, მაშასადამე, მანვე უნდა დასტოვოს აგრეთვე რენტისათვის პროდუქტის ღირებულების სათანადოდ დიდი ან მცირე რაოდენობა.

„მაგრამ, თუ ის წესი ძალაში რჩება, რომლითაც პროდუქტის ღირებულება თანასწორია შრომის იმ რაოდენობის, რაც პროდუქტი დაჯდა, მაშინ *პროდუქტის ღირებულების სიმაღლის* მიმართ კვლავ გადამწყვეტ მომენტად რჩება *მხოლოდ და მხოლოდ შრომის პროდუქტიულობა*, ანდა პროდუქტის რაოდენობის შეფარდება შრომის იმ რაოდენობასთან, რომელიც მის საწარმოებლადაა დახარჯული. ვინაიდან, თუ შრომის იგივე რაოდენობა მეტ პროდუქტს აწარმოებს, სხვა სიტყვებით: თუ შრომის პროდუქტიულობა მაღლა იწევს, მაშინ პროდუქტის იმავე რაოდენობაში მოთავსებული რჩება ნაკლები შრომა. მაგრამ *შრომის რაოდენობა* განსაზღვრავს *პროდუქტის ღირებულებას, ხოლო პროდუქტის განსაზღვრული რაოდენობის შეფარდებითი ღირებულება პროდუქტის ღირებულების სიმაღლეს*“... *ამრიგად* „რენტა საერთოდ“... უნდა „*იყოს იმდენად უფრო მაღალი, რამდენადაც უფრო მაღლა დგას შრომის პროდუქტიულობა საერთოდ*“ (l. c., გვ. 119, 120).

მაგრამ ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი, რომლის წარმოებისათვის მუშა გამოყენებულია, პროდუქტთა

იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც მის მოხმარებაში შედის საარსებო საშუალების სახით, აუცილებლობისა და ტრადიციის მიხედვით. თუ ეს ასე არაა, მაშინ შრომის ხელფასის და მოგების შეფარდებითი სიმაღლისათვის, ისე როგორც ზედმეტი ღირებულების სიდიდისათვის საერთოდ, ამ შრომის პროდუქტიულობა სავსებით უმნიშვნელოა. მთელი პროდუქტის ღირებულების იგივე ნაწილი ერგება წილად მუშას შრომის ხელფასის სახით, [სულერთია,] არის პროდუქტის რიცხვი ანუ რაოდენობა, რომელშიაც ღირებულების ეს ნაწილი გამოიხატება, დიდი თუ პატარა. პროდუქტის ღირებულების განაწილებაში ამ შემთხვევაში არაფერი არ იცვლება როგორ ცვლილებასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი შრომის პროდუქტიულობაში.

β) მეორე ფორმულა.

[მეორე ფორმულა იმ კითხვაზე საპასუხოდ, თუ „რაა გადამწყვეტი კაპიტალის მოგებისა და მიწის რენტის სიმაღლისათვის", ამბობს შემდეგს:]

II. „თუ პროდუქტის მოცემული ღირებულების დროს რენტის სიმაღლე მოცემულია საერთოდ, მაშინ მიწის რენტის სიმაღლე ანუ შესაბამისად კაპიტალის მოგების სიმაღლე, შებრუნებულ შეფარდებაშია როგორც ურთიერთ მიმართ, ისე აგრეთვე შრომის პროდუქტიულობასთან ანუ შესაბამისად ნედლეულის მწარმოებელ შრომასა და სამრეწველო შრომასთან. რამდენად უფრო მაღალი ანდა დაბალია მიწის რენტა, იმდენად უფრო დაბალია ანდა მაღალი კაპიტალის მოგება, და პირიქით: რამდენადაც უფრო მაღალია ან დაბალი ნედლეულის მწარმოებელი შრომის ან სამრეწველო შრომის პროდუქტიულობა, იმდენად უფრო დაბალია ან მაღალი მიწის რენტა ანდა კაპიტალის მოგება და შენაცვლებით, მაშასადამე, აგრეთვე იმდენად უფრო მაღალი ან დაბალია კაპიტალის მოგება ანდა მიწის რენტა" (l. c., გვ. 116).

ჯერ ჩვენ გვქონდა [I-ლ ფორმულაში] რიკარდოს [კანონი] იმის შესახებ, რომ შრომის ხელფასი და მოგება შებრუნებულ შეფარდებაში იმყოფებიან.

ახლა [ჩვენ გვაქვს] რიკარდოს მეორე [კანონი] — სხვაგვარად დახვეული ან, უკეთ რომ ვთქვათ, დახლართული — იმის შესახებ, რომ მოგება და რენტა შებრუნებულ შეფარდებაში იმყოფებიან. სრულიად ნათელია, რომ, როდესაც კაპიტალისტსა და მიწის მესაკუთრეს შორის მოცემული ზედმეტი ღირებულება ნაწილდება, ერთის ხვედრი წილი იმდენად უფრო დიდი [უნდა იყოს], რამდენადაც უფრო მცირეა მეორეს წილი და vice versa. მაგრამ როდბერტუსსაც შეაქვს აქ ცოტა რამ თავისი საკუთარი, რაც უფრო ახლო განხილვას საჭიროებს.

უწინარეს ყოვლისა, ბატონი როდბერტუსი [თავის „დამტკიცებაში ad II"] ახალი აღმოჩენის სახით იხილავს იმ გარემოებას, რომ ზედმეტი ღირებულება საერთოდ („შრომის პროდუქტის ღირებულება, რომელიც განაწილებისათვის შემოდის, როგორც რენტა საერთოდ"), კაპიტალისტების მიერ მოპოვებული მთელი ზედმეტი ღირებულება, „შესდგება ნედლი პროდუქტის ღირებულებიდან პლიუს დამუშავებული პროდუქტის ღირებულება" (l. c., გვ. 120).

პირველ ყოვლისა, ბატონი როდბერტუსი მხოლოდ იმეორებს კვლავ თავის „აღმოჩენას" მიწათმოქმედებაში „მასალის ღირებულების" უქონლობის შესახებ. ამ შემთხვევაში ეს განმეორება მოცემულია შემდეგ სიტყვათა ნაკადში:

„რენტის ნაწილი, რომელიც სამრეწველო პროდუქტს ხვდება და კაპიტალის მოგების ნორმას განსაზღვრავს, ნაწილდება როგორც მოგება არა მარტო კაპიტალზე, რომელიც ნამდვილად გამოყენებულ იქნა ამ პროდუქტის დამზადებისათვის, არამედ ნედლი პროდუქტის მთელ ღირებულებაზეც, რომელიც მასალის ღირებულების სახით ფაბრიკანტის სარეწაო ფონდში გამოდის სხვებთან ერთად; პირიქით, რენტის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ნედლ პროდუქტს ხვდება და რომლიდანაც სწარმოებს მოგების გამოანგარიშება ნედლი მასალის წარმოებაში გამოყენებული კაპიტალისათვის მრეწველობაში მოცემული მოგების ნორმის მიხედვით[1], მაგრამ ამასთანავე მაინც რჩება გარდამეტი მიწის რენტის სახით, — მასალის ასეთი ღირებულება არ არსებობს" (l. c., გვ. 121).

ჩვენ ვიმეორებთ: quod non!

დავუშვათ, — რაც ბატონმა როდბერტუსმა ვერ დაამტკიცა და თავისი არგუმენტაციის წესის საშუალებით არც შეუძლია დაამტკიცოს, — რომ არსებობს მიწის რენტა, ე. ი., რომ ნედლი პროდუქტის ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული ნაწილი მიწის მესაკუთრეს ხვდება.

შემდეგ დავუშვათ: „რენტის სიმაღლე (ზედმეტი ღირებულების ნორმა) მოცემულია საერთოდ პროდუქტის მოცემული ღირებულებით" (l. c., გვ. 121).

[ახლა ავიღოთ შემდეგი მაგალითი:]

100 გირვ. სტერლინგის [ღირებულების] საქონელში მოთავსებულია, ვთქვათ, გადაუხდელი შრომა 50 გირვ. სტერლინგის რაოდენობით; [ეს თანხა] შეადგენს, მაშასადამე, ფონდს, საიდანაც ზედმეტი ღირებულების ყველა რუბრიკები, რენტა, მოგება და სხვ., გაისტუმრება. ამრიგად, მეტად ნათელია, რომ ამ 50 გირვ. სტერ-

[1] დიახ, მოგების მოცემული ნორმის მიხედვით!

ლინგში მონაწილეთაგან ერთი იმდენად მეტს იღებს, რამდენადაც მეორე ნაკლებს იღებს და vice versa, ანდა, რომ მოგება და მიწის რენტა შებრუნებულ შეფარდებაში იმყოფებიან. აქ ახლა საკითხავია, თუ რა განსაზღვრავს ამ ორ მონაწილეს შორის განაწილებას?

ყოველ შემთხვევაში სწორი რჩება ის, რომ კაპიტალისტის შემოსავალი, სულერთია, არის იგი სოფლის მეურნე თუ ფაბრიკანტი, უდრის იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც ის იღებს თავისი სამრეწველო პროდუქტის გაყიდვიდან და რომ მიწის რენტა (სადაც იგი პირდაპირ არ გამომდინარეობს სამრეწველო პროდუქტიდან, როგორც ჩანჩქერის მიმართ, რომელსაც მრეწველს მიჰყიდიან ხოლმე და რასაც აგრეთვე ადგილი აქვს საბინაო შენობებისათვის რენტის გადახდის დროს და სხვ., ვინაიდან სახლები არ წარმოადგენენ არავითარ ნედლ პროდუქტს) მხოლოდ გარდამეტი მოგებიდან გამომდინარეობს, ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილიდან, რომელიც მოგების საერთო ნორმაში არ შედის, არამედ მოთავსებულია ნედლ პროდუქტებში და მოიჯარადრის მიერ მიწის მესაკუთრეს ეძლევა.

სავსებით სწორია [ისიც], რომ, თუ ნედლი პროდუქტის ღირებულება იწევს მაღლა [ანდა ეცემა], მაშინ მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც ნედლ მასალას იყენებენ, მოგების ნორმა დაეცემა ან აიწევს შებრუნებულ შეფარდებაში ნედლი პროდუქტის ღირებულებასთან. თუ ბამბის ღირებულება ორკეცდება, მაშინ, მოცემული შრომის ხელფასის და ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის პირობებში, მოგების ნორმა დაეცემა. მაგრამ ასევე ითქმის მიწათმოქმედების შესახებაც. თუ პურეულის მოსავალი მომცდარი იყო, და მისი წარმოება კი გაგრძელებულ უნდა იქნეს იმავე საფეხურზე (ჩვენ აქ ვგულისხმობთ, რომ საქონელნი იყიდებიან მათი ღირებულების მიხედვით), მაშინ ერთობლივი პროდუქტის ანუ მისი ღირებულების დიდი ნაწილი უნდა კვლავ მიწას დაუბრუნდეს უკანვე და, შრომის ხელფასის გამოკლების შემდეგ, თუ ის უცვლელი დარჩებოდა, მოიჯარადრის ზედმეტ ღირებულებას შეადგენდა პროდუქტის უფრო მცირე რაოდენობა და ამრიგად, მასსა და მიწის მესაკუთრეს შორის გასანაწილებელი ღირებულებაც უფრო მცირე რაოდენობის იქნებოდა. თუმცა პროდუქტის თანასწორ რაოდენობას უფრო მაღალი ღირებულება ექნებოდა წინანდელთან შედარებით, მაგრამ უფრო მცირე იქნებოდა არა მარტო პროდუქტის [დარჩენილი] რაოდენობა, არამედ ღირებულების დარჩენილი ნაწილიც. ცოტა სხვაგვარად არის საქმის ვითარება იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი მოთხოვნის გამო თავის ღირებულებაზე მაღლა იწევს და ამასთანავე იწევს

იმდენად მაღლა, რომ პროდუქტის უფრო მცირე რაოდენობას უფრო მაღალი ფასი აქვს, ვიდრე მის უფრო დიდ რაოდენობას ჰქონდა წინათ. მაგრამ ეს ხომ ეწინააღმდეგება იმ ნაგულისხმევს, რომ პროდუქტები მათი ღირებულების მიხედვით იყიდება.

ავიღოთ წინააღმდეგი [შემთხვევა]. ბამბის მოსავალი ორჯერ [უფრო] ნაყოფიერია [ვიდრე წინათ] და ამავე მოსავლის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ უკანვე უბრუნდება მიწას, მაგალითად, როგორც სასუქი და თესლი, ნაკლები ღირს, ვიდრე წინათ. ამ შემთხვევაში ღირებულების ის ნაწილი, რომელიც შრომის ხელფასის გამოკლების შემდეგ პლანტატორისათვის რჩება, უფრო დიდია, ვიდრე წინათ. მოგების ნორმა აქ, მაშასადამე, აიწევდა, ისე როგორც ბამბის მრეწველობაში. ეს, რასაკვირველია, სრულიად მართალია. კალენკორის ერთ წყრთაში მოთავსებული ღირებულების ნაწილი, რომელიც ნედლ პროდუქტს შეადგენს, უფრო პატარა იქნებოდა ახლა, ვიდრე წინათ, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ფაბრიკაციის ღირებულებას ქმნის, იქნებოდა უფრო დიდი წინანდელთან შედარებით. დავუშვათ, რომ წყრთა კალენკორი ღირს 2 შილინგი, თუ მასში მოთავსებული ბამბის ღირებულება 1 შილინგს უდრის. თუ ბამბა ეცემა (რაც იმ ნაგულისხმევის მიხედვით, რომ მისი ღირებულება მის ფასს უდრის, შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კულტურა უფრო პროდუქტიული გახდა) 1 შილინგიდან $^1/_2$ შილინგამდე, მაშინ ერთი წყრთა კალენკორის ღირებულება შეადგენს $1^1/_2$ შილინგს. იგი დაეცა $25^0/_0$-ით. მაგრამ იქ, სადაც უწინ პლანტატორი 100 გირვანქას ყიდდა ერთ შილინგის კვალობაზე, ახლა მან უნდა გაყიდოს 200 გირვანქა თითო $^1/_2$ შილინგის მიხედვით. ბამბის მთელი მოსავლის ღირებულება 100 შილინგი რჩება. თუმცა უწინ ბამბა პროდუქტის ღირებულების უფრო დიდ ნაწილს შეადგენდა, ბამბის პლანტატორი თავის 100 შილინგის ღირებულების ბამბაზე, გირვანქის 1 შილინგის ფასის კვალობაზე, იღებდა მხოლოდ 50 წყრთა კალენკორს; ახლა კი, როდესაც გირვანქა ბამბას $^1/_2$ შილინგად ყიდის, იგი იღებს თავის 100 შილინგზე $66^2/_3$ წყრთას[1].

---

[1] მარქსი შეცდა ხელნაწერში. იქ ნათქვამი იყო: „მაგრამ იქ, სადაც წინათ ბამბის პლანტატორი 100 გირვანქას ყიდდა თითოს 1 შილინგის ფასის კვალობაზე, ახლა მან უნდა გაყიდოს 400 გირვანქა 6 პენსის ფასის კვალობაზე. წინათ ღირებულება = 100 შილინგს, ახლა უდრის 200. თუმცა წინათ ბამბა პროდუქტის ღირებულების უფრო დიდ ნაწილს შეადგენდა (იმავდროულად დაეცა ზედმეტი ღირებულების ნორმაც თვით ბამბის კულტურაში), ბამბის პლანტატორი თავის 100 შილინგის ბამბაზე იღებდა, როცა გირვანქა ერთი შილინგი ღირდა, მხოლოდ

თუ ვიგულისხმებთ, რომ საქონელი იყიდება მისი ღირებულების მიხედვით, მაშინ სწორი არაა ის, რომ იმ მწარმოებელთა შემოსავალი, რომელნიც პროდუქტის წარმოებაში მონაწილეობენ, აუცილებლად დამოკიდებულია ღირებულების შემადგენელ ნაწილებზე, რომელთაც მათი პროდუქტები ქმნიან პროდუქტის ერთობლივ ღირებულებაში.

დავუშვათ, რომ ყველა სამრეწველო საქონელში, მანქანების ჩართვით, ერთობლივი პროდუქტის ღირებულება შესდგება ერთ დარგში 300 გირვ. სტერლინგიდან, მეორეში — 900 გირვ. სტერლინგიდან, და მესამეში — 1800 გირვ. სტერლინგიდან.

თუ მართალია, რომ ის შეფარდება, რომლის მიხედვითაც მთელი პროდუქტის ღირებულება ნაწილდება ნედლი პროდუქტის ღირებულებასა და დამუშავებული პროდუქტის ღირებულებას შორის, განსაზღვრავს იმ შეფარდებას, რომლის მიხედვით ზედმეტი ღირებულება — რენტა, როგორც რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ამბობს — მოგებად და მიწის რენტად ნაწილდება, მაშინ ეს მართალი უნდა იყოს წარმოების სხვადასხვა სფეროების სხვადასხვა პროდუქტებისთვისაც, რომლებშიც ნედლი მასალა და დამუშავებული პროდუქტი სხვადასხვა შეფარდებით მონაწილეობენ.

თუ 900 გირვ. სტერლინგის ღირებულებიდან 300 გირვ. სტერლინგი დამუშავებულ პროდუქტს უწევს, ხოლო 600 გირვ. სტ. — ნედლ პროდუქტს, თუ 1 გირვ. სტერლინგი 1 სამუშაო დღეს უდრის; თუ, შემდეგ, ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია, მაგალითად, 2 საათი 10-ზე, თუ ნორმალური სამუშაო დღე 12 საათია, მაშინ დამუშავებული პროდუქტის 300 გირვ. სტერლინგში მოთავსებულია 300 სამუშაო დღე, ნედლი პროდუქტის 600 გირვ. სტერლინგში კი — ორჯერ მეტი. ზედმეტი ღირებულების ჯამი პირველში შეადგენს 600 საათს, მეორეში კი — 1200 საათს. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ, როდესაც ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია, მისი სიდიდე დამოკიდებულია წარმოებაში იმავდროულად ჩაბმულ მუშათა რიცხვზე. რადგანაც, შემდეგ, ნ ა გ უ ლ ი ს ხ მ ე ვ ი ა, და არა დამტკიცებული, რომ ზედმეტი ღირებულებიდან, რომელიც სამიწათმოქმედო პროდუქტების ღირებულებაში შედის, [განსაზღვრული] ნაწილი მიწის რენტის სახით მიწის მესაკუთრეს ხვდება წილად, ამიტომ ამას შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ მართლაც მიწის რენტის სიდიდე იზრდება იმავე შეფარდებით, რა შეფარდებაშიც სა-

50 წყრთა კალენკორს; ახლა, როდესაც გირვანქა 6 პენსი ღირს, ის იღებს თავის 200 შილინგით $133^1/_3$ წყრთას". — კ.

მიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულება იმყოფება „სამრეწველო პროდუქტთან“. ზემომოყვანილ მაგალითში სამიწათმოქმედო პროდუქტი ისე შეეფარდება სამრეწველო პროდუქტს, როგორც 2 : 1. [ავიღოთ ახლა მეორე მაგალითი, სადაც ეს შეფარდება ისეთივეა, როგორც 1 : 2; ამ შემთხვევაში ნედლ პროდუქტს უწევს მხოლოდ 300, ხოლო დამუშავებულ პროდუქტს — 600 გირვ. სტერლინგი]. ვინაიდან მიწის რენტა მოქცეულია სამიწათმოქმედო პროდუქტში მოთავსებულ ზედმეტ ღირებულებაში, ამიტომ ნათელია, რომ, თუ ეს ზედმეტი ღირებულება პირველ შემთხვევაში = 1200 საათს, ხოლო მეორეში, პირიქით, 600-ს, მაშინ მიწის რენტა, თუ ის ამ ზედმეტ ღირებულების ერთ ნაწილს შეადგენს, პირველ შემთხვევაში უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე მეორეში. ანდა, რამდენადაც სამიწათმოქმედო პროდუქტი ღირებულების უფრო დიდ ნაწილს შეადგენს მთელი პროდუქტის ღირებულებიდან, იმდენად უფრო დიდია მისი ის წილი, რომელიც მას ერგება მთელი პროდუქტის ზედმეტი ღირებულებიდან, ვინაიდან პროდუქტის ღირებულების ყოველ ნაწილში მოთავსებულია ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული ნაწილი; და რამდენადაც მეტია სამიწათმოქმედო პროდუქტის ხვედრი ნაწილი მთელი პროდუქტის ზედმეტ ღირებულებიდან, იმდენად უფრო დიდია მიწის რენტა, რადგანაც სამიწათმოქმედო პროდუქტის ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული პროპორციული ნაწილი მიწის რენტაში გამოისახება. ვთქვათ, რომ მიწის რენტა შეადგენს სამიწათმოქმედო ზედმეტი ღირებულების ერთ მეათედს; მაშინ ის უნდა უდრიდეს 60 გირვ. სტერლინგს, თუ სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულება 900 გირვ. სტერლინგიდან 600 გირვ. სტ. უდრის და მხოლოდ 30 გირვ. სტერლინგს მაშინ, თუ სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულება 300 გირვ. სტერლინგს შეადგენს. მიწის რენტა ამის მიხედვით მართლაც შეიცვლებოდა სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულების სიდიდესთან ერთად, მაშასადამე, სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულების რელატიურ სიდიდესთანაც ერთად სამრეწველო პროდუქტთან შეფარდებით. მაგრამ მიწის რენტისა და მოგების „სიმაღლეს“, მათ ნორმებს, აბსოლუტურად არავითარი საქმე ამასთან არ ექნებოდათ. პირველ შემთხვევაში პროდუქტის ღირებულება იქნებოდა 900 გირვ. სტერლინგი, საიდანაც 300 გირვ. სტერლინგს შეადგენს სამრეწველო პროდუქტი და 600 გირვ. სტერლინგს — სამიწათმოქმედო პროდუქტი. ამ ჯამიდან 600 საათი ზედმეტი ღირებულება მოდის სამრეწველო პროდუქტისათვის და 1200 საათი — სამიწათმოქმედო პროდუქტისათვის. ორი-

ვე ერთად აღებული უდრის 1800 საათს. ამ 1800 საათიდან უწევს: მიწის რენტას 120 საათი და მოგებას — 1680. მეორე შემთხვევაში პროდუქტის ღირებულება უდრის 900 გირვ. სტერლინგს, მაგრამ აქედან: 600 გირვ. სტ. სამრეწველო პროდუქტი და 300 გირვ. სტ. კი — სამიწათმოქმედო პროდუქტია. ამრიგად, მრეწველობას უწევს ზედმეტი ღირებულება 1200 გირვ. სტერლინგის რაოდენობით და მიწათმოქმედებას — 600 გირვ. სტერლინგი. ორივე ერთად უდრის 1800. აქედან ხვდება: მიწის რენტას 60 და მოგებას — 1740. მეორე შემთხვევაში სამრეწველო პროდუქტი ორჯერ მეტია (ღირებულების მიხედვით), ვიდრე სამიწათმოქმედო პროდუქტი, პირველ შემთხვევაში კი, პირიქით. მეორე შემთხვევაში მიწის რენტა უდრის 60-ს, პირველში — 120-ს. იგი უბრალოდ გაიზარდა იმავე შეფარდებით, როგორითაც გაიზარდა სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულება. რამდენადაც გაიზარდა ამ ღირებულების სიდიდე, იმდენად გაიზარდა რენტის სიდიდეც.

თუ აქ ღირებულების იმ ნაწილის სიდიდესთან ერთად, რომელიც წილად უწევს სამიწათმოქმედო პროდუქტს, მიწის რენტის სიდიდეც იზრდება და ამ მის სიდიდესთან ერთად მისი პროპორციული წილი ერთობლივ ღირებულებაში; თუ, მაშასადამე, ნორმაც, რომლის შესაბამისად ზედმეტი ღირებულება ხვდება მიწის რენტას იწევს მაღლა შეფარდებით იმ ნორმასთან, რომლის მიხედვითაც მოგება მონაწილეობს ზედმეტ ღირებულებაში, მაშინ ამას ადგილი აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ როდბერტუსი გულისხმობს მიწის რენტის განსაზღვრული პროპორციით მონაწილეობას სამიწათმოქმედო პროდუქტის ზედმეტ ღირებულებაში. ამას მართლაც უნდა ჰქონდეს ადგილი, თუ კი ეს ფაქტი მოცემული ან ნაგულისხმევია. მაგრამ თვით ეს ფაქტი კი არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს იმისგან, რასაც როდბერტუსი კვლავ ჩმახავს „მასალის ღირებულების“ შესახებ და რაც მე ზევით მოვიყვანე. მაგრამ მიწის რენტის „სიმაღლე“ არ იზრდება იმ პროდუქტთან შეფარდებითაც, რომელშიდაც ის მონაწილეობს, რადგანაც ეს შეფარდება, ისე როგორც უწინ, ერთ მეათედს შეადგენს; მისი სიდიდე იზრდება, იმიტომ, რომ იზრდება ეს პროდუქტი, და რადგანაც მისი სიდიდე იზრდება მისი „სიმაღლის“ გაუდიდებლად, იზრდება მისი „სიმაღლე“ შედარებით მოგების რაოდენობასთან ანუ შედარებით მოგების წილთან ამ ერთობლივი პროდუქტის ღირებულებაში. რადგანაც ნაგულისხმევია, რომ ერთობლივი პროდუქტის ღირებულების უფრო დიდი ნაწილი რენტას იძლევა, რომ ზედმეტი

ღირებულების დიდი ნაწილი რენტაბელური (rentable) გახდა, ამიტომ რენტად გარდაქმნილი ნაწილი ზედმეტი ღირებულებისა, რასაკვირველია, უფრო დიდია. საქმეს აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს „მასალის ღირებულებასთან“. მაგრამ, რომ რენტის უფრო დიდი ნაწილი, რომელიც მიწის რენტისათვის რჩება, „უფრო მაღალ მიწის რენტას“ იძლევა, „იმიტომ რომ ფართობი ანუ მორგენის რიცხვი, რომელზედაც ის გამოიანგარიშება, უცვლელი დარჩა და, მაშასადამე, ყოველ ცალკე მორგენს ღირებულების უფრო დიდი რაოდენობა უწევს“ (l. c., გვ. 122), — ეს უაზრობაა. ეს არის რენტის „სიმაღლის“ გაზომვა ისეთი „საზომით“, რომლის საშუალებითაც გვერდს უხვევენ თვით საკითხის სიძნელეს.

ჩვენ რომ სხვაგვარად აგვეღო ზემომოყვანილი მაგალითი, ვინაიდან ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით რა არის რენტა, — და სამიწათმოქმედო პროდუქტისათვის დაგვეტოვებია მოგების იგივე ნორმა, როგორც სამრეწველო პროდუქტისათვის, მხოლოდ მიწის რენტისსათვის მიგვემატებია ერთი მეათედი, მაშინ საქმე სულ სხვა სახეს მიიღებდა და უფრო ნათელი გახდებოდა, რაც სწორედ აუცილებლობას წარმოადგენს, რადგანაც ნაგულისხმევია მოგების იგივე ნორმა.

მაშინ ჩვენ გვექნებოდა:

| I. სამრეწველო პროდუქტი | სამიწათმოქმედო პროდუქტი | [ზედმეტი ღირებულება] |
|---|---|---|
| 600 გირვ. სტ. = [7200 შრომის საათს] | 300 გირვ. სტ. = [3600 შრომის საათს] | [100 გირვ. სტ. =] 1200 [შრომის საათს] მრეწველობის [მოგებისათვის], [50 გირვ. სტ.=] 600 [შრომის საათს] მიწათმოქმედების [მოგებისათვის], [5 გირვ. სტ. =] 60 [შრომის საათს] მიწის რენტისათვის.<br>ერთად [155 გირვ. სტ. =] 1860 [შრომის საათს]; აქედან [150 გირვ. სტ.=] 1800 საათს მოგებისათვის. |
| II. 300 გირვ. სტ. = [3600 შრომის საათს] | 600 გირვ. სტ. = [7200 შრომის საათს] | [50 გირვ. სტ. =] 600 [შრომის საათს] მრეწველობის [მოგებისათვის], [100 გირვ. სტ. =] 1200 [შრომის საათს] მიწათმოქმედების [მოგებისათვის], [10 გირვ. სტ. =] 120 [შრომის საათს] მიწის რენტისათვის.<br>ერთად [160 გირვ. სტ. =] 1920 [შრომის საათს]; აქედან [150 გირვ. სტ. =] 1800 საათს მოგებისათვის. |

მიწის რენტა მე-II შემთხვევაში ორჯერ მეტია, ვიდრე I-ლ შემთხვევაში, იმიტომ რომ პროდუქტის ღირებულების ნაწილი, რომელსაც ის მკბენარის სახით აზის, სამიწათმოქმედო პროდუქტი, [სწორედ ასევე ორჯერ მეტია, ვიდრე] სამრეწველო პროდუქტი. მოგების მასა ორივე შემთხვევაში უცვლელი რჩება = 1800.

თუ როდბერტუსს სურს აუცილებლად „მასალის ღირებულება“ გახადოს მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობის საკუთრებად, მაშინ მის მოვალეობას შეადგენდა, პირველ ყოვლისა, მუდმივი კაპიტალის ნაწილი, რომელიც მანქანებისა და სხვათაგან შესდგება, თავს მოეხვია მარტოოდენ მიწათმოქმედებისათვის. კაპიტალის ეს ნაწილი შედის მიწათმოქმედებაში, როგორც მრეწველობის მიერ მიწოდებული პროდუქტი, როგორც „დამუშავებული პროდუქტი“, რომელიც „ნედლი პროდუქტისათვის“ საწარმოო საშუალებას შეადგენს.

რაც შეეხება მრეწველობას, აქ მანქანათა ღირებულების ნაწილი, რომელიც „ნედლი მასალისაგან“ შესდგება, უკვე გატარებულია — ვინაიდან აქ საქმე შეეხება ორი ფორმის შორის ანგარიშის გასწორებას — მის დებეტში „ნედლი მასალის“ და „მასალის ღირებულების“ რუბრიკის სახით. ამრიგად, მისი ორჯერ ჩაწერა შეუძლებელია. მანქანათა ღირებულების მეორე ნაწილი, რომელიც მრეწველობაში მოიხმარება, შესდგება დამატებითი „სამრეწველო შრომისაგან“, წარსული და აწმყო შრომისაგან, რომელიც იშლება შრომის ხელფასად და მოგებად გადახდილ და გადაუხდელ შრომად. მაშასადამე, კაპიტალის ნაწილი, რომელიც აქ ავანსად გაღებულია, გარდა ნედლ მასალაში მოთავსებულ მანქანისა, შესდგება მ ხ ო ლ ო დ შრომის ხელფასიდან და, ამრიგად, ადიდებს არა მარტო ავანსად გაღებული კაპიტალის ოდენობას, არამედ ადიდებს ზედმეტი ღირებულების მასასაც, რომელიც ამ ავანსადგაღებულ კაპიტალზეა გამოსაანგარიშებელი, ე. ი. ადიდებს მოგებასაც [1].

---

[1] შეცდომა ასეთი ანგარიშის დროს ყოველთვის იმაში მდგომარეობს, რომ, მაგალითად, თუმცა მანქანების ანუ საწარმოო იარაღების გაცვეთა, რაც თვით მანქანაში, მის ღირებულებაშია მოთავსებული, საბოლოო ანალიზით შეიძლება დაყვანილ იქნას შ რ ო მ ა ზ ე, სულერთია, არის ეს ის შრომა, რომელიც მოთავსებულია ნედლ მასალაში, თუ ის შრომა, რომელიც ნედლ მასალას მანქანად გარდაქმნის და სხვ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს წარსული შრომა არასდროს აღარ შედის კვლავ არც მოგებაში და არც შრომის ხელფასში, არამედ იგი მოქმედებს — რამდენადაც რეპროდუქციისათვის საჭირო სამუშაო დრო არ შეცვლილა, — მხოლოდ როგორც წარმოებული საწარმოო საშუალება, რომელიც, როგორიც უნდა იყოს მისი სახმარი ღირებულება შრომის პროცესში, ღირებულების ზრდის პროცესში მხოლოდ მუდმივი კაპიტალის ღირებულების სახით გამოდის. ეს მეტად მნიშვნელოვანია და ჩემ მიერ უკვე გამორკვეული იყო მუდმივ კაპიტალსა და შე-

პირიქით, რაც შეეხება მიწათმოქმედებას, — ე. ი. ნედლი პროდუქტების უბრალო წარმოებას ანუ ეგრეთწოდებულ პირველადს წარმოებას, — აქ, ორი ფირმის — „პირველადი წარმოების“ და „ფაბრიკაციის“ — შორის ანგარიშის გასწორების დროს, მიწათმოქმედებაში შემავალი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მანქანებს, იარაღებს და სხვ. გამოხატავს, ე. ი. მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სხვაგვარად იქნას გაგებული თუ არ როგორც ისეთი მუხლი, რომელიც შედის სამიწათმოქმედო კაპიტალში, მაგრამ შედის იმ სახით, რომ მის ზედმეტ ღირებულებას არ ადიდებს. თუ სამიწათმოქმედო შრომა უფრო პროდუქტიული ხდება მანქანათა და სხვ. გამოყენების გამო, იგი ხდება ასეთად იმდენად უფრო ნაკლებად, რამდენადაც უფრო მაღალია ამ მანქანათა და სხვ. ფასები. ესაა მანქანათა სახმარი ღირებულება და არა მისი ღირებულება, რომელიც სამიწათმოქმედო შრომის ანდა სხვა რომელიმე შრომის პროდუქტიულობას ადიდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა იმის თქმაც, რომ სამრეწველო შრომის პროდუქტიულობა, პირველ ყოვლისა, განისაზღვრება ნედლი მასალის არსებობით და მისი თვისებებით. მაგრამ ეს ხომ ისევ ნედლი მასალის სახმარი ღირებულებაა, და არა მისი ღირებულება, რომელიც მრეწველობისათვის წარმოების პირობას შეადგენს. ღირებულება, პირიქით, წარმოადგენს ბნელ მხარეს. ამრიგად, mutatis mutandis შეიძლება ითქვას მანქანებისა და სხვ. შესახებ სიტყვა-სიტყვით იგივე, რასაც ბატონი **როდბერტუსი** ლაპარაკობს „მასალის ღირებულებაზე“ სამრეწველო კაპიტალის მიმართ. [საკმარისია მხოლოდ სიტყვები: „ნართი და ქსოვილი“ შეცვლილ იქნას სიტყვებით: „ხორბალი და ბამბა“ და, მაშინ დებულებანი, რომლებიც **როდბერტუსმა** მე-97 გვერდზე წამოაყენა, მიიღებენ შემდეგ სახეს:]

„განსაკუთრებული პროდუქტის, როგორიცაა ხორბალი ან ბამბა, **შრომის ხარჯების** განსაზღვრაში არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება შრომის იმ ხარჯებს, რომელნიც გუთანს ან ჯინს [ბამბის საწმენდ მანქანას], როგორც მანქანებს, წილად ხვდება (ანდა შრომის იმ ხარჯებსაც, რომლებიც ეთვლება რომელიმე საგდებ არხს ან თავლას). პირიქით, მანქანის ღირებულება ანუ სამანქანო ღირებულება მაინც გამოდის მონაწილეთ კაპიტალის დანახარჯის სახით იმ კაპიტალშეძლებაში, რომელზედაც მფლობელმა უნდა გამოიანგარიშოს მოგების სახით რენტის ის ნაწილი, რაც წილად უწევს ნედლ პროდუქტს“.

---

მოსავალს შორის საცვლელი ურთიერთობის განხილვის დროს. მაგრამ, ამას გარდა, ის კიდევ საჭიროებს შემდგომ გარკვევას იმ განყოფილებაში, რომელიც კაპიტალის დაგროვებას შეეხება.

სხვა სიტყვებით: ხორბლის ან ბამბის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც გაცვეთილი გუთნის ან ჯინის ღირებულებას წარმოადგენს, არის შედეგი არა იმ შრომისა, რომელიც ხვნაზე ან ბამბის ბოჭკოს მისი თესლისაგან მოცილებაზეა დახარჯული, არამედ იგი შედეგია იმ შრომისა, რომელმაც გუთანი და ჯინი აწარმოვა. ღირებულების ეს შემადგენელი ნაწილი შედის სამიწათმოქმედო პროდუქტში ისე, რომ ის არაა [მიწათმოქმედებაში] წარმოებული. იგი მხოლოდ გზად გაივლის მის ხელში; ვინაიდან მიწათმოქმედება მხოლოდ მისი მეოხებით [იძენს] ახალ გუთანს და ჯინს, რომელთაც ის მანქანათმშენებლობისაგან ყიდულობს. ეს, მიწათმოქმედებაში გამოყენებული მანქანები, ხელსაწყო-იარაღები, შენობები და სხვა სამრეწველო პროდუქტები შესდგება ორი შემადგენელი ნაწილიდან: 1. ამ სამრეწველო პროდუქტთა ნედლ მასალათაგან [2. ნედლ მასალაზე დამატებული შრომისაგან]. ეს ნედლი მასალა, მართალია, შეადგენს მიწათმოქმედების პროდუქტს, მაგრამ იგი წარმოადგენს მისი პროდუქტის ისეთ ნაწილს, რომელიც არასდროს არ შედის არც შრომის ხელფასში და არც მოგებაში. კაპიტალისტი რომ სრულიად არ არსებობდეს, მაშინ მიწის დამმუშავებელს არ შეეძლო უწინდებურად თავის ანგარიშში ჩაეწერა თავისი პროდუქტის ეს ნაწილი. მას იგი, მართლაც, მუქთად უნდა მიეცა მანქანათა ფაბრიკანტისათვის, რათა ამ უკანასკნელმა მას აქედან გაუკეთოს მანქანა, და, გარდა ამისა, მას უნდა გაესტუმრებია ამ ნედლ მასალაზე დამატებული შრომა, მაშასადამე, შრომის ხელფასი პლიუს მოგება. სინამდვილეში ასეც ხდება. მანქანის ფაბრიკანტი ყიდულობს ნედლ მასალას, მაგრამ მანქანის ყიდვისას სოფლის მეურნეს უკანვე უხდება ამ ნედლი მასალის ყიდვა. და ეს კი, მაშასადამე, იმავეს ნიშნავს, თითქოს მას იგი სრულიად არ გაეყიდოს, არამედ ენათხოვრებიოს მანქანათა ფაბრიკანტისათვის, [რათა ამ უკანასკნელს] მასალისათვის მანქანის ფორმა მიეცა. ამრიგად, მიწათმოქმედებაში გამოყენებულ მანქანათა ღირებულების ნაწილი, რომელიც ნედლ მასალად იშლება, მართალია სამიწათმოქმედო შრომის პროდუქტს წარმოადგენს, მაგრამ ეკუთვნის წარმოებას და არა მწარმოებელს, და ამიტომ მონაწილედ გამოდის მის ხარჯებს შორის, ისე როგორც თესლეული. პირიქით, მეორე მისი ნაწილი, რომელიც სამრეწველო შრომას გამოხატავს მანქანებში, წარმოადგენს „სამრეწველო პროდუქტს", რომელიც საწარმოო საშუალებების სახით მიწათმოქმედებაში შედის, სავსებით ისე, როგორც ნედლი მასალა შედის მიწათმოქმედებაში საწარმოო საშუალებების სახით.

თუ, მაშასადამე, სწორია, რომ ფირმა „ნედლეულის წარმოება" ფირმა „მრეწველობას" აწვდის „მასალის ღირებულებას", რომელიც კაპიტალის ნაწილის სახით ფაბრიკანტის კაპიტალშეძლებაში შედის, მაშინ არანაკლებ მართალია ისიც, რომ ფირმა „მრეწველობა" ფირმა „ნედლეულის წარმოებას" აწვდის მანქანათა ღირებულებას, რომელიც მთლიანად, ნედლი მასალისაგან შემდგარი ნაწილის ჩართვით, შედის მოიჯარადრის კაპიტალშეძლებაში, მაგრამ შედის იმ სახით, რომ „ღირებულების ეს შემადგენელი ნაწილი" მას ზედმეტ ღირებულებას არ აძლევს. ეს არის ის გარემოება, თუ რატომაა, რომ „high agriculture"-ში, როგორც ამას ინგლისელები უწოდებენ, მოგების ნორმა უფრო პატარად გვეჩვენება, ვიდრე ნამდვილ მიწათმოქმედებაში, მიუხედავად იმისა, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა უფრო დიდია.

ამასთანავე ეს აძლევს ბატონ როდბერტუსს დამარწმუნებელ საბუთს იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად სულერთია ავანსად გაღებული კაპიტალის არსებისათვის ანაზღაურდება თუ არა პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალში ბანდდება in natura და ამიტომ იანგარიშება იგი როგორც საქონელი, როგორც ფულადი ღირებულება, თუ ის მართლაც გასხვისდება და ყიდვა-გაყიდვის პროცესს გაივლის. თუ, მაგალითად, ნედლი პროდუქტების მწარმოებელი თავის მანქანაში მოთავსებულ რკინას, სპილენძს, ხეს და სხვ. მუქთად მისცემდა მანქანათა მწარმოებელს, ისე რომ ეს უკანასკნელი მას მანქანის გაყიდვის დროს მხოლოდ დამატებით შრომას და თავისი საკუთარი მანქანის გაცვეთას უანგარიშებდა, მაშინ ეს მანქანა ეღირებოდა სოფლის მეურნეობისათვის სწორედ იმდენი, რამდენიც ახლა უღირს მას იგი, და ღირებულების იგივე შემადგენელი ნაწილი მუდმივი კაპიტალის სახით, დანახარჯის სახით, გამოვიდოდა მონაწილედ მის წარმოებაში. სავსებით ასევე ხდება მაშინაც, თუ გლეხი თავის მოსავალს ყიდის და მისი ღირებულების იმ ნაწილით, რომელიც თესლს, ნედლ მასალას წარმოადგენს, სხვა თესლს ყიდულობს, რათა ამით, ასე ვთქვათ, გამოიწვიოს სასარგებლო ცვლილება თესლის ჯიშში და შერჩევის საშუალებით თავიდან აიცდინოს დეგენერაცია, ანდა, თუ ის ღირებულების ამ შემადგენელ ნაწილს პირდაპირ აკლებს თავის პროდუქტს და ხელახლა უბრუნებს მას მიწას.

მაგრამ ბატონი როდბერტუსი შემცდარად იგებს მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც მანქანებიდან შესდგება, რათა აქედან თავისი ანგარიში გამოიყვანოს.

მეორე თვალსაზრისი, რომელიც ბატონი რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ს მე-II [შემთხვევაშია] განსახილველი, შემდეგია: რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ლაპარაკობს სამრეწველო და სამიწათმოქმედო პროდუქტებზე, რომელთაგანაც შესდგება შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი, რაც უკვე სავსებით სხვა რამეს ნიშნავს, ვიდრე მას რომ ელაპარაკნა იმ სამრეწველო და სამიწათმოქმედო პროდუქტებზე, რომელთაგანაც ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი წ ლ ი უ რ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი შესდგება. [დავუშვათ, რომ] უკანასკნელ შემთხვევაში უფრო სწორი [იქნებოდა] გვეთქვა ასე: სამიწათმოქმედო კაპიტალის მთელი იმ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რომელიც მანქანებისა და სხვათაგან შესდგება, და აგრეთვე სამიწათმოქმედო პროდუქტის იმ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რომელიც უშუალოდ ხელახლა უბრუნდება სამიწათმოქმედო წარმოებას, და მოიჯარადრისათვის ხვედრი ზედმეტი ღირებულების თვით მოიჯარადრესა და მიწის მესაკუთრეს შორის განაწილების შემდეგ, [იმ წილის ს ი დ ი დ ე, რომელიც, ერთის მხრივ, მოიჯარადრეს და, მეორეს მხრივ, მრეწველს ხვდება ზედმეტი ღირებულებიდან, უნდა] განისაზღვროს იმ წილით, რომელიც მრეწველობას და მიწათმოქმედებას აქვს პროდუქტთა ერთობლივ ღირებულებაში. [თუ ამას ვაღიარებთ,] მაშინაც კიდევ დიდი საკითხია, არის თუ არა ეს სწორი, როდესაც ლაპარაკია ისეთ პროდუქტებზე, რომელნიც შემოსავლის საზოგადოებრივ ფონდს ქმნიან. შემოსავალი (ის ნაწილი, რომელიც ხელახლა კაპიტალად გარდაიქმნება, აქ გამორიცხული რჩება) შესდგება იმ პროდუქტებიდან, რომელნიც ინდივიდუალურ მოხმარებაში შედიან, და აი აქ ისმის საკითხი, თუ რამდენს ამოიღებენ ამ სალაროდან [მრეწველი] კაპიტალისტები, მოიჯარადრენი და მიწის მესაკუთრენი. განისაზღვრება თუ არა ეს ჯერადი წილი იმ წვლილით, რომელიც ფაბრიკაციას და ნედლეულის წარმოებას შემოსავლის პროდუქტთა ღირებულებაში აქვთ? თუ იგი განისაზღვრება იმ სათანადო ნაწილებით, რომელთა მიხედვითაც ერთობლივი პროდუქტის შემოსავლის ღირებულება სამიწათმოქმედო და სამრეწველო შრომად ნაწილდება?

იმ პროდუქტთა მასა, რომელთაგანაც შემოსავალი შესდგება, გამორიცხავს ყველა პროდუქტებს, რომელნიც შრომის იარაღებისა (მანქანები), დამხმარე მასალისა, ნახევრადფაბრიკატებისა და ამ ნახევრადფაბრიკატების ნედლი მასალის სახით წარმოებაში შედიან და შრომის წლიური პროდუქტის ნაწილს შეადგენენ. იგი გამორიცხავს არა მარტო ნედლეულის წარმოების მუდმივ კაპიტალს, არამედ მანქანათა ფაბრიკანტების მუდმივ კაპიტალსაც და [სხვა] კაპიტალისტების მთელ მუდმივ კაპიტალსაც, რომელიც, მართალია

შრომის პროცესში შედის, მაგრამ არ შედის ღირებულების ზრდის პროცესში. შემდეგ იგი გამორიცხავს, არა მარტო მუდმივ კაპიტალს, არამედ იმ მოუხმარებელ პროდუქტების ნაწილსაც, რომელნიც მათ მწარმოებელთა შემოსავალს წარმოადგენენ და რომელნიც გაცვეთილი მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად შედიან იმ მწარმოებელთა კაპიტალში, რომლებიც შემოსავლის სახით მოსახმარ პროდუქტებს აწარმოებენ.

პროდუქტების მასა, რომელშიაც შემოსავლის დახარჯვა გამოისახება, რომელიც, ამრიგად, სინამდვილეში სიმდიდრის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც შემოსავალს ქმნის როგორც სახმარი ღირებულების, ისე საცვლელი ღირებულების მიხედვით, — პროდუქტთა ეს მასა შეიძლება, როგორც ეს მე წინათ აღვნიშნე, იმ სახით იქნას გაგებული, რომ იგი შესდგება მხოლოდ წლის განმავლობაში ახლად დამატებული შრომიდან, რის გამოც ის მხოლოდ შემოსავალში გადადის, ე. ი. ნაწილდება შრომის ხელფასად და მოგებად, და ეს უკანასკნელი თავის მხრივ კვლავ ნაწილდება: მოგებად, რენტად, გადასახადებად და სხვ., და ამასთანავე ისე, რომ არცერთი ნაწილაკი მათგან არ შეიცავს არც წარმოებაში შემავალი ნედლი მასალის ღირებულებას და არც მანქანათა იმ გაცვეთის ღირებულებას, რომელიც წარმოებაში შედის, ერთის სიტყვით, არ შეიცავს შრომის საშუალებათა ღირებულებას. თუ ჩვენ სრულიად ყურადღების გარეშე დავტოვებთ შემოსავლის წარმოებულ ფორმებს, რადგანაც ისინი მხოლოდ იმას გვიჩვენებენ, რომ შემოსავლის მქონებელი თავის ხვედრ ნაწილს პროდუქტთა ზემოაღნიშნული მასიდან სხვას უთმობს სამსახურისათვის და სხვ. ანდა ვალის და სხვ. გასასტუმრებლად, თუ განვიხილავთ, ამის მხედველობაში მიუღებლად, შემოსავალს და დავუშვებთ, რომ შრომის ხელფასი შეადგენს შემოსავლის ერთ მესამედს, მოგება — მეორე მესამედს, ხოლო მიწის რენტა — მესამე მესამედს, და რომ პროდუქტი თავისი ღირებულებით უდრის 90 გირვ. სტერლინგს, — მაშინ თითოეულს საშუალება ექნება მიიღოს პროდუქტთა მასიდან იმდენი პროდუქტი, რამდენიც თანასწორი იქნება 30 გირვ. სტერლინგის.

რადგანაც პროდუქტთა მასა, რომელიც შემოსავალს ქმნის, მხოლოდ ახლად დამატებული (წლის განმავლობაში დამატებული) შრომიდან შესდგება, ამიტომ მეტად მარტივად გვეჩვენება ის გარემოება, რომ თუ სამიწათმოქმედო შრომა ორი მესამედის რაოდენობით პროდუქტთა მასაში შედის, ხოლო სამრეწველო შრომა ერთი მესამედის რაოდენობით, მაშინ მრეწველი და სოფლის მეურნე ღირე-

ბულებას იყოფენ ამ შეფარდების მიხედვით. ღირებულების ერთი მესამედი მოუწევდა მრეწველებს, ორი მესამედი კი — სოფლის მეურნეთ და მრეწველობაში და მიწათმოქმედებაში რეალიზაციაქმნილი ზედმეტი ღირებულების პროპორციული სიდიდე, თუ ორთავეში ზედმეტი ღირებულების ერთსადაიმავე ნორმას ვიგულისხმებთ, შესაბამისი იქნებოდა იმ ნაწილების, რომლებიც მრეწველობას და მიწათმოქმედებას აქვთ ერთობლივი პროდუქტის ღირებულებაში; მაგრამ მიწის რენტა გაიზრდებოდა იმავე შეფარდებით, როგორითაც იზრდება მოიჯარადრის მოგების მასა, რადგანაც ის ამ მასას მკბენარის სახით აზის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქმის ვითარება მაინც სწორი არაა. სახელდობრ — ღირებულების ერთი ნაწილი, რომელიც სამიწათმოქმედო შრომისაგან შესდგება, შეადგენს იმ ძირითადი და სხვ. კაპიტალის ფაბრიკანტთა ნაწილის შემოსავალს, რომელიც ანაზღაურებს ამავე კაპიტალის მიწათმოქმედებაში გამოყენებულ ნაწილს. ღირებულების შემადგენელ ნაწილთა შეფარდება პროდუქტებში, რომლებიც შემოსავალს შეადგენენ, სამიწათმოქმედო შრომასა და სამრეწველო შრომას შორის არავითარ შემთხვევაში არ გვიჩვენებს იმ შეფარდებას, რომლითაც პროდუქტთა ამ მასის ღირებულება ანდა პროდუქტთა თვით ეს მასა ნაწილდება მრეწველებსა და სოფლის მეურნეებს შორის, არ გვიჩვენებს იმ შეფარდებასაც, რომლითაც მრეწველობა და მიწათმოქმედება მონაწილეობენ ერთობლივ წარმოებაში.

როდბერტუსი შემდეგ ამბობს:

„მაგრამ ეს არის კვლავ მხოლოდ ნედლეულის მწარმოებელი შრომის პროდუქტიულობა, რომელიც განსაზღვრავს ნედლი პროდუქტის ღირებულების და სათანადოდ სამრეწველო პროდუქტის ღირებულების შესაბამის სიმაღლეს ანუ იმ წილს, რომელსაც ორთავე პროდუქტის მთელი ღირებულებიდან მიიღებენ. ნედლი პროდუქტის ღირებულება იმდენად უფრო მაღალი იქნება, რამდენადაც უფრო დაბლა დგას ნედლეულის მწარმოებელი შრომის პროდუქტიულობა, და პირიქით. სწორედ ასევე სამრეწველო პროდუქტის ღირებულებაც იმდენად უფრო მაღალი იქნება, რამდენადაც უფრო დაბლა დგას მრეწველობის პროდუქტიულობა, და პირიქით. ამრიგად, რენტის მოცემული სიმაღლის დროსაც საერთოდ, — ვინაიდან ნედლი პროდუქტის მაღალი ღირებულება იწვევს მაღალ მიწის რენტას და კაპიტალის დაბალ მოგებას, ხოლო საწარმოო პროდუქტის მაღალი ღირებულება კი — კაპიტალის მაღალ მოგებას და დაბალ მიწის რენტას, — მიწის რენტის სიმაღლე და კაპიტალის მოგების სიმაღლე უნდა შებრუნებულ შეფარდებაში იმყოფებოდნენ არა მარტო ერთი მეორის მიმართ, არამედ მათი სათანადო შრომის პროდუქტიულობასთანაც, ე. ი. ნედლეულის მწარმოებელი შრომისა და სამრეწველო შრომის პროდუქტიულობასთანაც" (l. c., გვ. 123).

როდესაც წარმოების ორი სხვადასხვა სფეროს შედარება ხდება, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ რელატიურად; ე. ი. უნდა გამოვი-

დეთ რომელიმე პუნქტიდან, სადაც ღირებულებანი, მაგალითად, სელის ნაძენძის და ტილოსი, მაშასადამე, მათში მოთავსებული სამუშაო დროის თანაფარდობითი რაოდენობანი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 1 : 3. თუ ეს შეფარდება იცვლება, მაშინ უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ შეიცვალა ამ ორი სხვადასხვა სახის სამუშაოს პროდუქტიულობა. მაგრამ შეცდომაა იმის თქმა, რომ ოქროს წარმოება ნაკლებად პროდუქტიულია, ვიდრე წარმოება რკინისა, იმიტომ, რომ ერთი უნცი ოქროს წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დრო უდრის 3 და ერთი ტონა რკინის წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროც ასევე უდრის 3.

ორი საქონლის ღირებულების შეფარდება გვიჩვენებს, რომ ერთი საქონელი მეტი სამუშაო დრო ღირს, ვიდრე მეორე; ამის გამო არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი [საწარმოო სფერო] „უფრო პროდუქტიულია", ვიდრე მეორე. ეს იქნებოდა სწორი მხოლოდ მაშინ, თუ სამუშაო დრო წარმოების ორივე სფეროში გამოყენებული იქნებოდა *ერთსადაიმავე* სახმარ ღირებულებათა საწარმოებლად.

როდესაც, მაშასადამე, ნედლი პროდუქტის ღირებულება სამრეწველო პროდუქტის ღირებულებას ისე შეეფარდება, როგორც 3 : 1, მაშინ სრულიადაც არ შეიძლება იმის თქმა, რომ მრეწველობა სამჯერ უფრო პროდუქტიულია, ვიდრე მიწათმოქმედება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეფარდება იცვლება, მაგალითად, თუ ის შეიქნებოდა 4 : 1 ან 3 : 2 ან 2 : 1 და სხვ., შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ორივე დარგში შეიცვალა შეფარდებითი პროდუქტიულობა, ე. ი. ეს მოხდებოდა აწევის ან დაცემის დროს.

### γ) მესამე ფორმულა.

[გადავდივართ ახლა მესამე ფორმულაზე, იმ კითხვის პასუხზე, თუ რა ჩაითვლება გადამწყვეტად მოგებისა და მიწის რენტის სიმაღლისათვის?]

III. „კაპიტალის მოგების სიმაღლე განისაზღვრება მარტოოდენ *პროდუქტის ღირებულების სიმაღლით* საერთოდ და განსაკუთრებით კი ნედლი პროდუქტის ღირებულების და დამუშავებული პროდუქტის ღირებულების სიმაღლით ანდა საერთოდ შრომის პროდუქტიულობის შეფარდებით და განსაკუთრებით ნედლეულის მწარმოებელი შრომისა და სამრეწველო შრომის პროდუქტიულობის შეფარდებით; გარდა ამისა, მიწის რენტის *სიმაღლე* დამოკიდებულია აგრეთვე *პროდუქტის ღირებულების სიდიდეზე* ან *შრომის რაოდენობაზე* ან *საწარმოო ძალაზე*, რომელიც *პროდუქტიულობის მოცემული შეფარდების* დროს გამოყენებულ იქნა წარმოებისათვის" (l. c., გვ. 116, 117).

სხვა სიტყვებით: მოგების ნორმა დამოკიდებულია მხოლოდ ზედმეტი ღირებულების ნორმაზე და ეს უკანასკნელი განისაზღვრება მხოლოდ შრომის პროდუქტიულობით; პირიქით, მიწის რენტის ნორმა კი დამოკიდებულია აგრეთვე გამოყენებული შრომის მასაზე, მუშათა რიცხვზე შრომის მოცემული პროდუქტიულობის დროს.

ამ მტკიცებაში თითქმის იმდენივე შეცდომაა, რამდენიც სიტყვაა.

*ჯერ ერთი*, მოგების ნორმა არავითარ შემთხვევაში არ განისაზღვრება მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმით, მაგრამ ამის შესახებ ხომ ეს-ესაა რაც ვლაპარაკობდით. მაგრამ უწინარეს ყოვლისა არაა სწორი, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა მხოლოდ შრომის პროდუქტიულობაზეა დამოკიდებული. შრომის მოცემული პროდუქტიულობის დროს ზედმეტი ღირებულების ნორმა იცვლება ზედმეტი სამუშაო დროის ხანგრძლივობის მიხედვით. ამრიგად, ზედმეტი ღირებულების ნორმა დამოკიდებულია არა მარტო შრომის პროდუქტიულობაზე, არამედ გამოყენებული შრომის რაოდენობაზეც, იმიტომ რომ გადაუხდელი შრომის რაოდენობას შეუძლია გაიზარდოს უცვლელი პროდუქტიულობის დროს, გადახდილი შრომის რაოდენობის, ე. ი. კაპიტალის იმ ნაწილის გაუდიდებლად, რომელიც შრომის ხელფასზეა დახარჯული. ზედმეტი ღირებულება — აბსოლუტური ან შეფარდებითი (და მხოლოთ ამ უკანასკნელს იცნობს *როდბერტუსი რიკარდოს* მიხედვით) — შეუძლებელია, თუ შრომა ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც არაა პროდუქტიული, რომ მუშისათვის დარჩეს კიდევ ზედმეტი სამუშაო დრო გარდა იმ სამუშაო დროისა, რაც საჭიროა მისი საკუთარი რეპროდუქციისათვის. მაგრამ თუ კი ეს ერთხელვე ნაგულისხმევია, — პროდუქტიულობის მოცემული მინიმუმის დროს — ზედმეტი ღირებულების ნორმა იცვლება ზედმეტი სამუშაო დროის სიდიდესთან ერთად. მაშასადამე, *ჯერ ერთი, არაა სწორი*, თითქოს მოგების ნორმა — რადგანაც ამას ძალა აქვს ზედმეტი ღირებულების ნორმის ანუ „კაპიტალის მოგების სიმაღლის“ მიმართ — განისაზღვრებოდეს მხოლოდ კაპიტალის მიერ ექსპლოატაციაქმნილი შრომის პროდუქტიულობით.

*მეორე*: ზედმეტი ღირებულების ნორმა, რომელიც შრომის მოცემული პროდუქტიულობის დროს სამუშაო დღის ხანგრძლივობასთან ერთად, ხოლო მოცემული ნორმალური სამუშაო დღის დროს შრომის პროდუქტიულობასთან ერთად იცვლება, ვიგულისხმოთ როგორც მოცემული. თვით ზედმეტი ღირებულება მაშინ სხვა-

დასხვა იქნება იმ მუშათა რიცხვის მიხედვით, რომელთა ყოველ სამუშაო დღიდან ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული რაოდენობის გამოწურვა სწარმოებს; ანდა სხვადასხვა იქნება ცვალებადი კაპიტალის სიდიდის მიხედვით. მაგრამ მოგების ნორმა დამოკიდებულია ამ ზედმეტი ღირებულების შეფარდებაზე ცვალებად კაპიტალთან პლიუს მუდმივი კაპიტალი. ზედმეტი ღირებულების სიდიდე, ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის დროს, დამოკიდებულია, რასაკვირველია, ცვალებადი კაპიტალის სიდიდეზე, მაგრამ მოგების სიმაღლე, მოგების ნორმა დამოკიდებულია ამ ზედმეტი ღირებულების შეფარდებაზე ავანსად გაღებულ ერთობლივ კაპიტალთან. მაშასადამე, აქ მოგების ნორმა განსაზღვრული იქნება ყოველ შემთხვევაში ნედლი მასალის ფასით (უკეთუ ეს მასალა მრეწველობის მოცემულ დარგში მოიხმარება) და მოქმედების განსაზღვრული ძალის მქონე მანქანათა ღირებულებით. ამრიგად, ძირშივე შემცდარია ის, რასაც როდბერტუსი [თავის დამტკიცებაში ad III] ამბობს:

„იმავე შეფარდებით, რომლითაც კაპიტალის მოგების ჯამი იზრდება პროდუქტის ღირებულების გადიდების გამო, იზრდება, მაშასადამე, კაპიტალის ღირებულების ჯამიც, რომელზეც გამოიანგარიშება მოგება, ხოლო მანამდე არსებული შეფარდების ნორმა მოგებასა და კაპიტალს შორის კაპიტალის მოგების ამ გადიდების საშუალებით სრულიად არ იცვლება“ (l. c., გვ. 125).

ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ტავტოლოგიას ნიშნავს: მოგების მოცემული ნორმის დროს (რომელიც ძლიერ განსხვავდება ზედმეტი ღირებულების ნორმასა და თვით ზედმეტი ღირებულებისაგან) გამოყენებული კაპიტალის სიდიდე უმნიშვნელოა სწორედ იმიტომ, რომ მოგების ნორმა ნაგულისხმევია როგორც მუდმივი. მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში მოგების ნორმას შეუძლია გაიზარდოს, თუმცა შრომის პროდუქტიულობა მუდმივი რჩება, ანდა მას შეუძლია დაეცეს, თუმცა შრომის პროდუქტიულობა იზრდება და იზრდება სწორედ ყოველ სფეროში.

შემდეგ კვლავ მოდის ნაკლებ გონებამახვილი მოსაზრებანი (გვ. 125, 126) მიწის რენტასთან დაკავშირებით, რომ რენტის უბრალო გადიდება მის ნორმას მაღლა სწევს, რადგანაც იგი ყოველ ქვეყანაში გამოიანგარიშება „მორგენის რიცხვის უცვლელ რაოდენობაზე“-ო (გვ. 126). თუ მოგების მოცემული ნორმის დროს მოგების მასა იზრდება, მაშინ იზრდება კაპიტალის მასაც, საიდანაც ეს მოგება მიიღება; პირიქით, თუ იზრდება მიწის რენტა, მაშინ [როდბერტუსის აზრით] იცვლება მხოლოდ ერთი ფაქტორი, თვით რენტა,

მაშინ როდესაც მისი საზომი, „მორგენთა რიცხვი", შეუცვლელად ფიქსაციაქმნილი რჩება.

„ამიტომ მიწის რენტას შეუძლია იმ მიზეზის გამო, რომელიც თავს იჩენს ხოლმე ყველგან საზოგადოების ეკონომიურ განვითარებაში, ე. ი. წარმოებაში გამოყენებული შრომის გადიდების გამო, სხვა სიტყვებით, *მზარდი მოსახლეობის* გამო, აიწიოს მაღლა და ამასთანავე აიწიოს ისე, რომ ამას შედეგად არ მოჰყვეს ნედლი პროდუქტის ღირებულების *აწევა*, რადგანაც უკვე ნედლი პროდუქტის უფრო დიდი რაოდენობიდან მიწის რენტის მიღებას უნდა ექნეს ასეთი ზემოქმედება" (l. c., გვ. 127).

შემდგომ გვერდზე *როდბერტუსი* ახდენს უცნაურ აღმოჩენას: კიდევაც რომ ნედლი პროდუქტის მის ნორმალურ ღირებულებაზე დაბლა დაწევის გამო მიწის რენტა სრულიად მოიხსნას, მაინც შეუძლებელია, „*რომ კაპიტალის მოგებას შეეძლოს ოდესმე უდრიდეს 100 პროცენტს*"; სახელდობრ — თუ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება, „მოგება, რაგინდ მაღალიც არ იყოს იგი, ყოველთვის საგრძნობლად უფრო ნაკლებს უნდა შეადგენდეს" (l. c., გვ. 128). და რატომ? „იმიტომ, რომ იგი (კაპიტალის მოგება) წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ პროდუქტის ღირებულების დანაწილების ურთიერთობის შედეგს. ამიტომ მას შეუძლია უდრიდეს მუდამ მხოლოდ ამ მთელის ნაწილს".

ეს, ბატონო *როდბერტუსო*, მთლიანად დამოკიდებულია *თქვენი* გამოანგარიშების წესზე.

დავუშვათ, რომ ავანსად გაღებული მუდმივი კაპიტალი უდრის 100-ს, ავანსად გაღებული შრომის ხელფასი — 50-ს და შრომის პროდუქტი ამ 50-ზე ზევით უდრის 150-ს. მაშინ ჩვენ გვექნებოდა შემდეგი ანგარიში:

| მუდმივი კაპიტალი | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება | ღირებულება | წარმოების ხარჯები | მოგება |
|---|---|---|---|---|---|
| 100 | 50 | 150 | 300 | 150 | 150 = 100% |

რათა ეს შემთხვევა შესაძლებელი გახდეს, სხვა არაფერი არაა საჭირო გარდა იმისა, რომ მუშამ თავისი სამუშაო დღის სამი მეოთხედი თავისი ბატონისათვის იმუშაოს, ე. ი. ნაგულისხმევია, რომ მისი სამუშაო დროის ერთი მესამედი საკმარისია მისივე საკუთარი რეპროდუქციისათვის. თუ *როდბერტუსი*, რასაკვირველია, ერთობლივი პროდუქტის ღირებულებას იღებს 300 თანასწორად და მას განიხილავს არა მისი წარმოების ხარჯებზე გარდამეტის თვალსაზრისით, არამედ ამბობს: ეს პროდუქტი უნდა განაწილებულ იქნას კაპიტალისტსა და მუშას შორის, — მაშინ მართლაც კაპიტალისტის წილს შეუძლია უდრიდეს მხოლოდ ამ პროდუქტის ერთ

ნაწილს, კიდევაც რომ ეს ნაწილი $\frac{999}{1000}$ შეადგენდეს. მაგრამ ეს მცდარი გამოანგარიშებაა, ყოველ შემთხვევაში თითქმის ყოველმხრივ უსარგებლო გამოანგარიშება. თუ ვინმე 150-ს აბანდებს და 300-ს იღებს, ის ჩვეულებრივად არ ამბობს, რომ იღებს 50% მოგებას, რადგანაც 150 ანგარიშობს არა 150-ზე, არამედ 300-ზე.

დავუშვათ ზემომოყვანილ მაგალითში, რომ მუშამ, [რათა 200 რაოდენობით ღირებულება ეწარმოებია], იმუშავა 12 საათი, 3 საათი თავისთვის [50] და 9 საათი კი კაპიტალისტისათვის [150]. ვთქვათ, ახლა იგი მუშაობს 15 საათს, ე. ი. 3 საათს თავისთვის და 12 საათს კაპიტალისტისთვის, [ამ შემთხვევაში ის შექმნის ზედმეტ ღირებულებას 200-ს რაოდენობით, ნაცვლად 150-სა]. ამრიგად, ძველი საწარმოო შეფარდების მიხედვით [წინანდელ 100 რაოდენობის მუდმივ კაპიტალთან] ხარჯებს უნდა მიმატებოდა კიდევ 25 (სინამდვილეში უფრო ნაკლები, რადგანაც ხარჯები მანქანებზე არ გაიზრდებოდა იმავე შეფარდებით, როგორითაც გაიზრდებოდა შრომის რაოდენობა). მაშასადამე, მაშინ ჩვენ გვექნებოდა:

| მუდმივი კაპიტალი | ცვალებადი კაპიტალი | ზედმეტი ღირებულება | ღირებულება | წარმოების ხარჯები | მოგება |
|---|---|---|---|---|---|
| 125 | 50 | 200 | 375 | 175 | $200 = 114^{2}/_{7}\%$ |

შემდეგ როდბერტუსი კვლავ უბრუნდება „მიწის რენტის უსაზღვრო“ ზრდას, იმიტომ რომ მას, ჯერ ერთი, ამ ოდენობის უბრალო მატება ისე ესმის, როგორც მისი აწევა, ე. ი. ლაპარაკობს მის აწევაზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიწის რენტის იმავე ნორმის გადახდას ადგილი აქვს პროდუქტთა უფრო დიდ მასაზე. შემდეგ, იმიტომ რომ ის მიწის რენტას ანგარიშობს „მორგენზე“ როგორც საზომზე. ორი საგანი, რომელთაც არავითარი საერთო ერთმანეთთან არ აქვთ.

შემდგომი პუნქტები მეტად მოკლედ უნდა აღინიშნოს, რადგანაც მათ ჩემ მიზანთან არაფერი საერთო არ აქვთ.

„მიწის ღირებულება“, [ასკვნის როდბერტუსი], წარმოადგენს „კაპიტალიზაციაქმნილ მიწის რენტას“. ამიტომ მისი ღირებულების ფულადი გამოსახულებისათვის მნიშვნელოვანია სარგებლის იმ განაკვეთის სიმაღლე, რომელიც გაბატონებულია. 4 პროცენტით კაპიტალიზაციაქმნილი მიწის ღირებულება უნდა გამრავლებულიყო 25-ჯერ, ხოლო 5 პროცენტით კაპიტალიზაციაქმნილი კი — 20-ჯერ. ეს იქნებოდა 20 პროცენტის განსხვავება მიწის ღირებულებაში (l. c., გვ. 131). თვით ფულის ღირებულების დაცემის გამოც მიწის

რენტა და ამიტომ მიწის ღირებულება ნომინალურად აიწევდა; [ვინაიდან, თუ სარგებლის ანუ მოგების მეტ რაოდენობაში გამოსახულებასთან ერთად] კაპიტალიც თანაბრად იზრდება თავის ფულად გამოსახულებაში, [სამაგიეროდ, პირიქით], ფულად გამოსახულებაში გაზრდილი მიწის რენტა უნდა განაწილებულ იქნას „მიწის ნაკვეთის უცვლელად დარჩენილ მორგენთა რიცხვზე“ (l. c., გვ. 132).

ბატონი როდბერტუსი შემდეგი სახით უკეთებს თავის სიბრძნეს რეზიუმეს ევროპაზე გამოსაყენებლად:

1. „...ევროპიულ ერებში საერთოდ შრომის — ნედლეულის მწარმოებელი სამრეწველო შრომის — პროდუქტიულობამ აიწია... ამის გამო ნაციონალური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც შრომის ხელფასზე იხარჯება, შემცირდა, ხოლო ის ნაწილი კი, რომელიც რენტის სახით რჩება, გაიზარდა... მაშასადამე, რენტა საერთოდ გაიზარდა“ (l. c., გვ. 138, 139).

2. „...ფაბრიკაციის პროდუქტიულობა გაიზარდა უფრო მეტი პროპორციით, ვიდრე ნედლეული წარმოების პროდუქტიულობა... ამიტომ ახლა ნაციონალური პროდუქტის ღირებულების თანასწორი რაოდენობიდან რენტა, რომელიც წილად ერგება ნედლ პროდუქტს, უფრო დიდია, ვიდრე რენტა, რომელიც სამრეწველო პროდუქტს უწევს, ამიტომაც, მაშასადამე, მიუხედავად საერთოდ რენტის აწევისა, აიწია მხოლოდ მიწის რენტამ, ხოლო კაპიტალის მოგება კი, პირიქით, დაეცა“ (l. c., გვ. 139).

აქ, მაშასადამე, ბატონი როდბერტუსი, სავსებით ისე როგორც რიკარდო, მიწის რენტის აწევას და მოგების ნორმის დაცემას ერთი მეორეთი ხსნის. ერთის დაცემა უდრის მეორის აწევას და მიწის რენტის აწევა აიხსნება მიწათმოქმედების შეფარდებითი არაპროდუქტიულობით. რიკარდო ერთ ადგილას გარკვეულად ამბობს, რომ აქ საქმე შეეხება არა აბსოლუტურ, არამედ „რელატიურ“ არაპროდუქტიულობას. მაგრამ, კიდევაც რომ მას წინააღმდეგი ეთქვა, ეს მაინც არ გამომდინარეობს მის მიერ წამოყენებული პრინციპიდან, რადგანაც რიკარდოს შეხედულების ჭეშმარიტი ავტორი, ანდერსონი, გარკვევით აღიარებს ყოველი მიწის გაუმჯობესების აბსოლუტურ უნარიანობას.

თუ „ზედმეტმა ღირებულებამ“ (მოგებამ და რენტამ) აიწია საერთოდ, მაშინ მთელი რენტის ნორმას არა მარტო შეუძლია დაეცეს მუდმივ კაპიტალთან შეფარდებით, არამედ იგი უნდა დაეცეს, რადგანაც პროდუქტიულობამ აიწია. თუმცა გამოყენებულ მუშათა რიცხვმა და მათმა ექსპლოატაციის ხარისხმა აიწია, შრომის ხელფასზე დახარჯული კაპიტალი საერთოდ — თუმცაღა აბსოლუტურად გაზრდილი — შეფარდებით დაეცა, იმიტომ რომ კაპიტალი, ამ მუშების მიერ მოძრაობაში მოყვანილი, ერთობლივი კაპიტალის მუდამ

მზარდ ნაწილს შეადგენს. ამიტომ მოგების და მიწის რენტის ნორმა ერთად დაეცა, მიუხედავად იმისა, რომ არა მარტო მათმა ჯამმა, მათმა აბსოლუტურმა სიდიდემ აიწია, არამედ აგრეთვე აიწია იმ ნორმამაც, რომლის მიხედვითაც შრომის ექსპლოატაცია ხდება. ბატონ როდბერტუსს ეს არ შეუძლია დაინახოს, იმიტომ რომ მისთვის მუდმივი კაპიტალი მრეწველობის ისეთი გამოგონებაა, რომლის შესახებაც მიწათმოქმედებამ არაფერი არ იცის.

მაგრამ რაც შეეხება მოგების და მიწის რენტის შეფარდებით სიდიდეს, იმ გარემოებიდან, რომ მიწათმოქმედება რელატიურად ნაკლებად პროდუქტიულია, ვიდრე ფაბრიკაცია, არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს ის, რომ ამის გამო მოგების ნორმა აბსოლუტურად დაეცა.

დავუშვათ, რომ გირვანქა ბამბის ღირებულება უდრიდა 2 შილინგს. იგი ეცემა 1 შილინგამდე. [მაგრამ იმავდროულად სართავი შრომის პროდუქტიულობა კიდევ უფრო მძლავრად გაიზარდა]. 100 მუშა, რომელიც უწინ 100 გირვანქას ართავდა ერთი დღის განმავლობაში, ახლა ართავს 300 გირვანქას. [ერთი გირვანქა ბამბიდან, ვთქვათ, მიიღება ერთი გირვანქა ნართი].

300 გირვანქა ბამბაზე იხარჯება ახლა მხოლოდ 300 შილინგი, მაშინ როდესაც წინათ 600 შილინგი იხარჯებოდა. დავუშვათ შემდეგ, რომ მანქანები [გახდა არა უფრო ძვირი, არამედ მხოლოდ უფრო ნაყოფიერი; ვთქვათ, მათი ღირებულება] შეადგენს ორივე შემთხვევაში [პირველ შემთხვევაში გაწეული მთელი ხარჯების] ერთ მეათედს, ე. ი. 60 შილინგს. [შრომის ხელფასი, ვთქვათ, უდრის 1 შილინგს დღეში]. რადგანაც მუშათა პროდუქტიულობა გაიზარდა და ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მუშების გასტუმრება აქ სწარმოებს მათივე საკუთარი პროდუქტის საშუალებით, ამიტომ მივიღოთ, რომ ზედმეტი ღირებულება წინათ უდრიდა შრომის ხელფასის 20 პროცენტს, ახლა კი ის უდრის 40 პროცენტს. ამგვარად, 300 გირვანქა [ნართი] ეღირება, მაშასადამე,

პირველ შემთხვევაში:

ნედლი მასალა 600, მანქანები 60, შრომის ხელფასი 300, ზედმეტი ღირებულება 60, ერთად — 1020;

მეორე შემთხვევაში:

ნედლი მასალა 300, მანქანები 60, შრომის ხელფასი 100, ზედმეტი ღირებულება 40, ერთად 500;

პირველ შემთხვევაში:

წარმოების ხარჯები 960, მოგება 60, მოგების ნორმა $6^1/_4\%$.

მეორე შემთხვევაში:

წარმოების ხარჯები 460, მოგება 40, მოგების ნორმა $8^{16}/_{23}$%.

თუ წარმოვიდგენთ, რომ რენტა გირვანქის მესამედი იყო, მაშინ ის პირველ შემთხვევაში, [ნედლი მასალის ღირებულება 600 შილინგი] შეადგენდა 200 შილინგს, მეორეში, [ნედლი მასალა 300 შილინგი] 100 შილინგს[1]. რენტა აქ დაეცა, რადგანაც ნედლი პროდუქტი 50 პროცენტით გაიაფდა. მაგრამ მთელი პროდუქტი გაიაფდა უფრო მეტჯერ, ვიდრე 50%-ით. ინდუსტრიალურად დამატებული შრომა პირველ შემთხვევაში ისე შეეფარდებოდა ნედლი მასალის ღირებულებას, როგორც 360 : 600 ანუ როგორც $1 : 1^2/_3$; მეორე შემთხვევაში, როგორც $140 : 300 = 1 : 2^1/_7$. სამრეწველო შრომა უფრო მაღალი შეფარდებით გახდა პროდუქტიული, ვიდრე სამიწათმოქმედო შრომა; მიუხედავად ამისა პირველ შემთხვევაში მოგების ნორმა უფრო დაბალია და რენტა კი უფრო მაღალი, ვიდრე მეორე შემთხვევაში. ორივე შემთხვევაში რენტა უდრის ნედლი მასალის ერთ მესამედს.

სამიწათმოქმედო პროდუქტის შეფარდებითი სიძვირიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ეს პროდუქტი [უფრო მაღალ] რენტას იძლევა. თუ ერთხელვე ვიგულისხმებთ, რომ რენტა, როგორც პროცენტი სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულების ყოველ ნაწილზეა მიკრული, — როგორც ამას *როდბერტუსი* გულისხმობს, ვინაიდან მისი ვითომდა დამტკიცება უაზრობაა, — მაშინ, რასაკვირველია, აქედან გამომდინარეობს, რომ რენტა იზრდება სამიწათმოქმედო პროდუქტის მზარდ სიძვირესთან ერთად.

„...მოსახლეობის გადიდების გამო არაჩვეულებრივად გაიზარდა ნაციონალური პროდუქტის ღირებულების ჯამიც... ამიტომაც დღეს ერში მიიღება *მეტი* ხელფასი, *მეტი* მოგება, *მეტი* მიწის რენტა... აგრეთვე მიწის რენტის ამ *მეტმა* მიღებამ ასწია კიდევ იგივე რენტა, მაშინ როდესაც ასეთ შედეგს არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა ხელფასის და მოგების *მეტი* მიღების დროს" (l. c., გვ. 139).

გავწმინდოთ ბატონი *როდბერტუსი* ყველა უაზრობათაგან, — თუ არას ვიტყვით მის ნაკლულოვან შეხედულებაზე, რომელზედაც მე ზემოთ დაწვრილებით ვჩერდებოდი, მაგალითად, თითქოს ზედმეტი ღირებულების ნორმას შეუძლია აიწიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შრომა უფრო პროდუქტიული ხდება, ე. ი. *აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების* და სხვ. მხედველობიდან გაშვება, — [ამრიგად, გავწმინდოთ] იგი,

[1] ხელნაწერში შეცდომით სწერია 150 შილინგი. — *კ.*

[*ჯერ ერთი*,] იმ უაზრობიდან, თითქოს საკუთრივ კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაში კაპიტალის ხარჯებში სრულიად არ შედიოდეს „მასალის ღირებულება“; აგრეთვე,

*მეორე* უაზრობიდან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ *როდბერტუსს* მიწათმოქმედებაში და მრეწველობაში შემავალი მუდმივი კაპიტალის მეორე ნაწილი, მანქანები და სხვ. არ ესმის ისე, როგორც „ღირებულების შემადგენელი ნაწილი“, რომელიც ისევე ნაკლებად, როგორც „მასალის ღირებულება“, გამომდინარეობს წარმოების იმ სფეროს შრომიდან, რომელშიც ის მანქანის სახით შედის; მაშასადამე, არ ესმის ღირებულების ისეთ შემადგენელ ნაწილად, რომელზედაც უნდა გამოანგარიშებულ იქნას წარმოების ყოველ სფეროში მიღებული მოგება; თუმცაღა მანქანათა ღირებულება იოტის ოდენსაც არაფერს არ უმატებს ამ მოგებას, სავსებით ისევე, როგორც მასალის ღირებულებაც, მიუხედავად იმისა, რომ მანქანაც და ნედლი მასალაც საწარმოო საშუალებას წარმოადგენენ და როგორც ასეთი შრომის პროცესში შედიან;

*მესამე* უაზრობიდან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ *როდბერტუსი* მიწათმოქმედებაში შემავალ „მანქანათა“ და სხვ. „ღირებულების“ *მთელ* „შემადგენელ ნაწილს“ არ უანგარიშებს მიწათმოქმედებას როგორც ხარჯებს და ღირებულების ამ შემადგენელი ნაწილის იმ ნაწილს, რომელიც ნედლ მასალას არ წარმოადგენს, არ სთვლის მიწათმოქმედების დებეტად მრეწველობის მიმართ, ისეთ დებეტად, რომლის გასასტუმრებლადაც მიწათმოქმედებამ *მუქთად* უნდა მიაწოდოს მრეწველობას ნედლი მასალის ნაწილი, ე. ი. ის ნაწილი, რომელიც არ შედის მრეწველობის, როგორც მთლიანად აღებულის და გაგებულის, ხარჯებში.

*მეოთხე* უაზრობიდან, რაც იმაში გამოიხატება, რომ *როდბერტუსი* ფიქრობს, თითქოს „მასალის ღირებულება“, მანქანებისა და მათ დამხმარე ნივთიერებათა გარდა, შედიოდეს მრეწველობის ყველა დარგში, მაშინ როდესაც ამას მთელ სატრანსპორტო მრეწველობაში ისევე ნაკლებად აქვს ადგილი, როგორც ექსტრაქტიულ მრეწველობაში;

*მეხუთე* უაზრობიდან იმ მხრივ, რომ *როდბერტუსი* ვერ ხედავს, რომ მრეწველობის ბევრ დარგებში (და ამასთანავე [იმდენად უფრო მეტად], რამდენადაც ისინი მეტ მზა ფაბრიკატებს იძლევიან მოხმარებისათვის), გარდა ცვალებადი კაპიტალისა, მართალია შედის „ნედლი მასალაც“, მაგრამ მუდმივი კაპიტალის მეორე შემადგენელი ნაწილი თითქმის სრულებით იხსნება ანდა მინი-

მალურია, შეუთანაბრებლად უფრო მცირე, ვიდრე მსხვილ მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში;

მ ე ე ქ ვ ს ე უაზრობიდან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იგი საქონელთა წარმოების ფასებს მათ ღირებულებებში ურევს.

თუ ყველა ამ შეცდომებს ჩამოვაცილებთ რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ს, შეცდომებს, რომლებიც მას შესაძლებლობას აძლევს გამოიყვანოს თავისი ახსნა მიწის რენტისა მოიჯარადრისა და თავისი საკუთარი შემცდარი ანგარიშიდან იმ სახით, რომ მიწის რენტა უნდა ჰკრებოდეს იმავე შეფარდებით, როგორითაც მოიჯარადრე მის მიერ გაწეულ ხარჯებს სწორად ანგარიშობს, — თუ ყველა ამას ჩამოვაცილებთ, მაშინ საფუძვლის სახით რჩება მხოლოდ შემდეგი მტკიცება:

როდესაც ნედლი პროდუქტები თავიანთი ღირებულების მიხედვით იყიდება, მაშინ მათი ღირებულება სხვა საქონელთა წარმოების ფასებზე ანდა მათივე საკუთარი წარმოების ფასზე უფრო მაღლა დგას, ე. ი. უფრო დიდია, ვიდრე წარმოების ხარჯები პლიუს საშუალო მოგება, მაშასადამე, სტოვებს გ ა რ დ ა მ ე ტ მ ო გ ე ბ ა ს, რომელიც მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა ს შეადგენს. ეს ნიშნავს შემდეგ იმას, რომ ცვალებადი კაპიტალი (თუ ვიგულისხმებთ ზედმეტი ღირებულების თანასწორ ნორმას) მუდმივ კაპიტალთან შედარებით უფრო დიდია ნედლეულის წარმოებაში, ვიდრე საშუალოდ წარმოების იმ სფეროებში, რომლებიც მრეწველობას ეკუთვნიან, რაც მას სრულიად არ უშლის ხელს მრეწველობის დარგთა ერთ ნაწილში იყოს უფრო მაღალი, ვიდრე მიწათმოქმედებაში. ანდა უფრო ზოგადად რომ ვთქვათ: მიწათმოქმედება ეკუთვნის წარმოების იმ სამრეწველო სფეროთა კლასს, რომელთა ცვალებადი კაპიტალი უფრო მაღალ შეფარდებაში იმყოფება მუდმივ კაპიტალთან, ვიდრე ამას ადგილი აქვს საშუალოდ სამრეწველო სფეროებში. ამიტომ მიწათმოქმედების ზედმეტი ღირებულება, გამოანგარიშებული მისი წარმოების ხარჯებზე, უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე საშუალოდ მრეწველობის სფეროებში. რაც კვლავ იმას ნიშნავს, რომ მისი მოგების განსაკუთრებული ნორმა მოგების საშუალო ნორმაზე ანუ მოგების საერთო ნორმაზე უფრო მაღლა დგას, რაც კვლავ თავის მხრივ ნიშნავს: მოგების განსაკუთრებული ნორმა წარმოების ყოველ სფეროში, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა თანასწორია და თვით ზედმეტი ღირებულება მოცემული, დამოკიდებულია ცვალებადი კაპიტალის შეფარდებაზე მუდმივ კაპიტალთან განსაკუთრებულ სფეროებში.

ამით, მაშასადამე, გამოხატული იქნებოდა მრეწველობის ერთ განსაკუთრებულ დარგში ჩემ მიერ განვითარებული ზოგადი კანონი.

მაშინ საქმის ვითარება იქნებოდა ასეთი:

1. საჭირო იქნებოდა დამტკიცება იმისი, რომ მიწათმოქმედება ეკუთვნის წარმოების იმ განსაკუთრებულ სფეროებს, რომელთა საქონლის ღირებულება მისი წარმოების ფასზე უფრო მაღლა დგას, რომელთა მოგებაც, მაშასადამე, თუ ამ მოგებას ისინი თვითვე ითვისებენ და არ იძლევიან მოგების საერთო ნორმის დასამყარებლად, საშუალო მოგებაზე მაღლა დგას და, ამრიგად, ამ საშუალო მოგების გარდა კიდევ გარდამეტ მოგებასაც იძლევა. ეს 1-ლი პუნქტი ჩანს სწორია საშუალოდ მიწათმოქმედებისათვის, რადგანაც ამ უკანასკნელში ჯერ კიდევ შედარებით ხელით მუშაობა სჭარბობს და წარმოების ბურჟუაზიული წესის დამახასიათებელი თვისებაა, რომ მრეწველობა უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მიწათმოქმედება. ეს, სხვათა შორის *ისტორიული* ხასიათის განსხვავებაა, რომელსაც შეუძლია გაქრეს. ამასთანავე ამით აიხსნება, რომ საერთოდ მრეწველობის მიერ მიწათმოქმედებისათვის მიწოდებული საწარმოო საშუალებანი თავის ღირებულებაში ეცემიან, მაშინ როდესაც მიწათმოქმედების მიერ მრეწველობისათვის მიწოდებული ნედლი მასალა საერთოდ თავისი ღირებულებით იზრდება, რის გამოც მუდმივი კაპიტალი მრეწველობის დიდ ნაწილში ღირებულების მიხედვით შედარებით უფრო დიდია, ვიდრე მიწათმოქმედებაში. ექსტრაქტიულ მიწათმოქმედებას ეს, რასაკვირველია, უმეტეს ნაწილად არ შეეხება.

2. არ შეიძლება ვთქვათ, როგორც ამას *როდბერტუსი* შვება, შემდეგი: თუ სამიწათმოქმედო პროდუქტი — ზოგადი კანონის მიხედვით — საშუალოდ თავისი ღირებულების მიხედვით გაიყიდება, მაშინ მან უნდა მოგვცეს გარდამეტი მოგება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიწის რენტაო. გამოდის, თითქოს ეს გაყიდვა საქონლის ღირებულების მიხედვით მისი წარმოების ფასზე მაღლა კაპიტალისტური წარმოების საერთო კანონს შეადგენდეს! პირიქით, საჭიროა დამტკიცება იმისი, თუ რატომ ხდება, რომ ნედლეულის წარმოებაში, — გამონაკლისის სახით და განსხვავებით იმ სამრეწველო პროდუქტთა კლასიდან, რომელთა ღირებულებაც სწორედ ასევე მათი წარმოების ფასზე უფრო მაღლა დგას, — ღირებულებანი არ იწევენ ძირს წარმოების ფასებამდე და ამიტომ გარდამეტ მოგებას, სხვანაირად რომ ვთქვათ, მიწის რენტას იძლევიან. ეს აიხსნება უბრალოდ *მიწის საკუთრების* არსებობით. გათანასწორებას ადგილი აქვს მხოლოდ კაპიტალთა ერთიმეორისადმი დამოკიდე-

ბულებაში, ვინაიდან მხოლოდ კაპიტალს აქვს ძალა კაპიტალის მიმართ შეასრულოს კაპიტალის იმანენტური კანონები. ამ მხრივ მართალი არიან ისინი, რომელთაც მიწის რენტა *მონოპოლიიდან* გამოჰყავთ; სწორედ ისე, როგორც მხოლოდ კაპიტალის მონოპოლია აძლევს შესაძლებლობას კაპიტალისტს გამოსწუროს მუშას ზედმეტი შრომა, მიწის საკუთრების მონოპოლიაც შესაძლებლობას აძლევს მიწის მესაკუთრეს გამოსწუროს კაპიტალისტს ზედმეტი შრომის ის ნაწილი, რომელიც შექმნიდა მუდმივ გარდამეტ მოგებას. ისინი, ვისაც მიწის რენტა მონოპოლიიდან გამოჰყავთ, ცდებიან, როდესაც ფიქრობენ, თითქოს მონოპოლია აძლევდეს მიწის მესაკუთრეს საშუალებას ასწიოს საქონლის ფასი მის ღირებულებაზე მაღლა. პირიქით, მონოპოლია იმაში მდგომარეობს და იმის საშუალებას იძლევა, რომ შეაჩეროს საქონლის ღირებულება მის წარმოების ფასზე მაღლა, გაყიდოს საქონელი არა მის ღირებულებაზე *მაღლა*, არამედ მისი ღირებულების მიხედვით[1].

* * *

ამგვარად მოდიფიკაციაქმნილი შეხედულება ხდება სწორი. ის გვიხსნის მიწის რენტის არსებობას, მაშინ როდესაც *რიკარდო* გვიხსნის მხოლოდ განსხვავებულ მიწის რენტათა არსებობას და სინამდვილეში მიწის საკუთრებას ყოველივე ეკონომიურ ეფექტს უკარგავს. იგი შემდეგ თავიდან იშორებს სხვათა შორის თვით *რიკარდოს* სისტემაშიც მხოლოდ თვითნებურ და მისი შეხედულებისათვის სრულიად არასაჭირო ზედნაშენს იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედება პროგრესიულად არაპროდუქტიული ხდება; იგი, პირიქით, შესაძლებლად აღიარებს, რომ მიწათმოქმედება უფრო პროდუქტიული ხდება. მხოლოდ ბურჟუაზიულ საფუძველზე მიწათმოქმედება შედარებით ნაკლებ პროდუქტიულად ანუ უფრო ნელა ანვითარებს საწარმოო ძალებს, ვიდრე მრეწველობა. *რიკარდო*

[1] *კონკურენციაში* საჭიროა განვასხვავოთ გათანასწორების ორგვარი მოძრაობა. კაპიტალები წარმოების ერთსადაიმავე სფეროს *შიგნით* ათანასწორებენ ამ სფეროს *შიგნით* წარმოებულ საქონელთა ფასებს ერთსადაიმავე საბაზრო ფასთან, სულერთია, როგორც უნდა შეეფარდებოდეს ამ საქონელთა ღირებულება ამ ფასს. წარმოების *სხვადასხვა* სფეროებს შორის რომ გათანასწორებას ადგილი არ ჰქონოდა, მაშინ *საშუალო საბაზრო ფასი* საქონლის ღირებულების *თანასწორი* უნდა ყოფილიყო. ამ სხვადასხვა სფეროებს შორის კონკურენცია ღირებულებებს *წარმოების ფასებთან* ათანასწორებს, რამდენადაც კაპიტალთა ერთი მეორეზე მოქმედება მესამე ელემენტის — მიწის საკუთრების და სხვ. — ჩარევით არ ფერხდება, არ ირღვევა.

მართალია, როდესაც მას მიწათმოქმედების ზედმეტი ღირებულება არა უფრო დიდი ნაყოფიერებიდან, არამედ უფრო დიდი უნაყოფობიდან გამოყავს.

### f) მიწის დიფერენციალური რენტა.

რაც შეეხება მიწის რენტათა სხვაობას, იგი აიხსნება, მიწის თანასწორი სიდიდის ფართობზე კაპიტალის თანასწორი დაბანდების პირობებში, ბუნებრივ ნაყოფიერებაში მოცემული სხვაობით, განსაკუთრებით იმ პროდუქტთათვის, რომლებიც იძლევიან პურს, კვების მთავარ მასალას. თანასწორი ნაყოფიერების მქონე მიწის სივრცეთა პირობებში კი მიწის რენტათა ეს სხვაობა აიხსნება კაპიტალის არათანასწორი დაბანდებით. პირველი ბუნებრივი სხვაობა იძლევა განსხვავებას არა მარტო სიდიდეში, არამედ მიწის რენტის სიმაღლეშიც ანუ ნორმაშიც შედარებით დახარჯულ კაპიტალთან; მეორე, ინდუსტრიალური სხვაობა იძლევა მხოლოდ უფრო დიდ მიწის რენტას დახარჯული კაპიტალის სიდიდესთან შეფარდებით, შედეგის მხრივ განსხვავებას შეიძლება კიდევ ადგილი ჰქონდეს კაპიტალის თანამიმდევრობითი დაბანდების დროს ერთსადაიმავე მიწაზე.

განსხვავებულ ზედმეტ მოგებათა ანუ განსხვავებულ მიწის რენტათა არსებობა სხვადასხვა ნაყოფიერების მქონე მიწის ნაკვეთებზე არ განასხვავებს მიწათმოქმედებას მრეწველობისაგან. ის, რაც მიწათმოქმედებას მრეწველობისაგან განასხვავებს — ეს არის ამ ზედმეტ მოგებათა ფიქსაცია მიწათმოქმედებაში, ვინაიდან ისინი აქ ემყარებიან ბუნებრივ ბაზისს, რომელიც, მართალია, შეიძლება ცოტად თუ ბევრად გათანაბრებულ იქნას, მაშინ როდესაც მრეწველობაში ეს ზედმეტი მოგებანი — თანასწორი საშუალო მოგების დროს — ყოველთვის სწრაფლწარმავალად ამორტიზირდებიან და მუდამ გამოდიან ხოლმე მხოლოდ იმიტომ, რომ კაპიტალისტების მხრივ ადგილი აქვს უფრო ნაყოფიერი მანქანებისა და შრომის გაუმჯობესებათა გამოყენებას. მრეწველობაში ეს არის მუდამ უკანასკნელად მოსული და ყველაზე უფრო პროდუქტიული კაპიტალი, რომელიც წარმოების ფასების დაწევის საშუალებით გარდამეტ მოგებას იძლევა. მიწათმოქმედებაში კი, პირიქით, ძლიერ ხშირად გარდამეტ მოგებას იძლევა არა საუკეთესო მიწის ნაკვეთების ნაყოფიერების აბსოლუტური გადიდება, არამედ მათი ნაყოფიერების რელატიური გადიდება, იმიტომ რომ ადგილი აქვს უფრო ნაკლებად პროდუქტიული

მიწის დამუშავებას. მრეწველობაში უფრო მაღალი შეფარდებითი ნაყოფიერება, გარდამეტი მოგება, რომელიც [კვლავ] სწრაფად ჰქრება, უნდა მუდამ წარმოადგენდეს ახლად დაბანდებულიკაპიტალის პროდუქტიულობის აბსოლუტური მატების შედეგს შედარებით ძველ კაპიტალთან. არცერთ კაპიტალს მრეწველობაში არშეუძლია მოგვცეს გარდამეტი მოგება (ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთმოთხოვნის წუთიერ გადიდებაზე), რადგანაც მრეწველობის ამ დარგში ახლად შევიდენ ნაკლებად პროდუქტიული კაპიტალები.

მაგრამ მიწათმოქმედებაშიც შეუძლია, რასაც რიკარდოც აღიარებს, უფრო ნაყოფიერ მიწას, რომელიც ან ბუნებითაა ნაყოფიერი, ანდა ტეხნოლოგიის ახალ წარმატებათა გამო ხდება უფრო ნაყოფიერი, ვიდრე ძველი მიწა იყო ძველ [ტეხნიკურ პირობებში] — გამოვიდეს რიგში უფრო დაგვიანებით, შეუძლია ძველი მიწის ნაწილიც კი დასტოვოს დამუშავების გარეშე, როგორც, მაგალითად, სამთამადნო მრეწველობისა და კოლონიალური პროდუქტების წარმოებაში, ანდა დანერგოს მასზე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც სხვა პროდუქტს იძლევა.

ამ თეორიის მიხედვით არაა აუცილებელი არც ის, რომ მიწის რენტას იხდიდეს ყველაზე ცუდი მიწა და არც ის, რომ იგი მას არ იხდიდეს. სწორედ ასევე შესაძლებელია, რომ იქ, სადაც არავითარი მიწის რენტა არ მიიღება, სადაც მხოლოდ ჩვეულებრივი მოგება მიიღება და სადაც შესაძლებელია ამ მოგების მიღებაც არ ხდებოდეს — ადგილი ჰქონდეს იჯარის გადახდას, მაშასადამე, მიწის მესაკუთრე იღებდეს მიწის რენტას, თუმცა ეკონომიურად ეს უკანასკნელი არ არსებობს.

ჯერ ერთი: დავუშვათ, რომ მიწის რენტას, გარდამეტ მოგებას იხდის მხოლოდ უკეთესი (უფრო ნაყოფიერი) მიწა. აქ მიწის რენტა „როგორც ასეთი“ არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში გარდამეტი მოგებაც ძლიერ იშვიათად გვევლინება მიწის რენტის სახით ფიქსაციაქმნილი, ისევე ნაკლებად, როგორც გარდამეტი მოგება მრეწველობაში, რის მაგალითსაც იძლევა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი.

ამას ადგილი აქვს, ერთის მხრივ, იქ, სადაც თავისუფალ განკარგულებაში არსებული მიწის შედარებით დიდი მასა არაა მითვისებული კერძო საკუთრების სახით; მეორეს მხრივ, იქ, სადაც ბუნებრივი ნაყოფიერება საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ, მიუხედავად კაპიტალისტური წარმოების უმნიშვნელო განვითარებისა, მაშასადამე,

მიუხედავად ცვალებადი კაპიტალის დიდი შეფარდებისა მუდმივ კაპიტალთან, სამიწათმოქმედო პროდუქტთა ღირებულებანი უთანასწორდებიან მათ წარმოების ფასებს და ზოგჯერ წარმოების ამ ფასებზე დ ა ბ ლ ა ც კი დგანან. თუ პროდუქტთა ღირებულებანი მათი წარმოების ფასებზე უფრო მაღლა იქნებოდენ, მაშინ კონკურენცია დაიყვანდა მათ აღნიშნულ დონემდე. პირიქით, უაზრობაა, როგორც ამას, მაგალითად, რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი შვრება, [მიწის რენტა იმაში დავინახოთ, გვ. 179, 180], რომ სახელმწიფო მცირე, თითქმის ნომინალურ ფასს, დაახლოებით ერთ დოლარს, ახდევინებს ერთ აკრზე. ეს იგივე იქნებოდა, მიგვეთითებია იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო მრეწველობის თითოეული დარგის წარმოებას „სარეწაო გადასახადს“ ახდევინებს. ამ შემთხვევაში აშკარავდება რ ი კ ა რ დ ო ს კანონი. მიწის რენტა არსებობს, მაგრამ იგი ჯერ არაა ფიქსაციაქმნილი, არამედ იმყოფება დენადობის პროცესში, როგორც გარდამეტი მოგება მრეწველობაში, — მხოლოდ მიწის შედარებით უფრო ნაყოფიერი ნაკვეთებისათვის. მიწა, რომელიც არავითარ რენტას არ იხდის, არ იხდის მას არა თავისი არანაყოფიერების გამო, არამედ, პირიქით, თავისი ნაყოფიერების გამო. მიწის საუკეთესო ნაკვეთები იხდიან რენტას, რადგანაც მათ, შეფარდებით უფრო მაღალი ნაყოფიერების გამო, საშუალოზე მეტი ნაყოფიერება აქვთ.

მაგრამ იმ ქვეყნებშიც, სადაც მიწის საკუთრება არსებობს, წინააღმდეგი მიზეზების გამო შესაძლებელი იქნებოდა იგივე შემთხვევა, სახელდობრ: რომ უკანასკნელად დამუშავებული მიწა არავითარ მიწის რენტას არ იძლევა, [ეს მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ]. მაგალითად, პურეულის ღირებულება ისე დაბალი იქნებოდა, რომ იგი სულ უკანასკნელად დამუშავებული მიწისათვის მხოლოდ წარმოების ფასს გაუთანასწორდებოდა, — ე. ი. აქ, მაშასადამე, თუ იგივე შრომა იქნებოდა დახარჯული, როგორც რენტის მომცემ ნიადაგზე, — კვარტერთა რიცხვი, მაგალითად, დახარჯულ კაპიტალზე, იმდენად მცირე იქნებოდა, რომ პურეული პროდუქტების საშუალო ღირებულების დროს მივიღებდით მხოლოდ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს ს, ვთქვათ, ხორბლის ფასს.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ მიწის უკანასკნელი ნაკვეთი, რომელიც რენტას იძლევა, — მიწა, რომელიც ყველაზე უფრო მცირე რენტას იძლევა, იძლევა წმინდა რენტას, მაშინ როდესაც სხვა ნაკვეთები უკვე დიფერენციაქმნილ რენტას იძლევიან — აწარმოებს 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვის [საშუალებით] 120 გირვ. სტერლინგის ღირებულებას [პროდუქტს] ანუ 360 ბუშელ ხორბალს,

ხოლო ბუშელი ღირს $^1/_3$ გირვ. სტერლინგი. ვთქვათ, რომ 1 გირვანქა სტერლინგი უდრის ერთი კვირის შრომას. ამრიგად, ერთი ბუშელი უდრის სამუშაო კვირის $^1/_3$-ს $=$ 2 სამუშაო დღეს; და, ვთქვათ, ამ ორი დღიდან ანუ 24 საათიდან, თუ ნორმალური სამუშაო დღე $=$ 12 საათს, ერთი მეხუთედი ანუ $4^4/_5$ საათი შეადგენს გადაუხდელ შრომას, რომელიც უდრის ერთ ბუშელში მოქცეულ ზედმეტ ღირებულებას. თუ, მაშასადამე, ბუშელი იყიდება მისი ღირებულების მიხედვით ($^{12}/_{36}$ გირვ. სტერლ.) და საშუალო მოგება $=$ 10 პროცენტს, მაშინ 360 ბუშელის წარმოების ფასი $=$ 110 გირვ. სტერლინგს, ანუ ერთი ბუშელის წარმოების ფასი იქნებოდა $^{11}/_{36}$ გირვ. სტერლინგი. ღირებულება $10^0/_0$-ით მაღლა იქნებოდა წარმოების ფასთან შედარებით. და, რადგანაც საშუალო მოგება $=$ 10 პროცენტს, მიწის რენტა იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ნახევრის თანასწორი, თანასწორი 10 გირვ. სტერლინგის ანუ $^1/_{36}$ გირვ. სტერლინგის, ერთ ბუშელზე. უფრო მაღალი ხარისხის მიწის ნაკვეთი, — რომელიც იმავე 120 სამუშაო კვირის დახარჯვის პირობებში, საიდანაც მხოლოდ 100 სამუშაო კვირა შეადგენს გადაუხდელ შრომას, სულერთია, გასაგნობრივებულს თუ ცოცხალს, მეტ ბუშელს მოგვცემდა, — მოგვცემდა აგრეთვე ერთი ბუშელის $^{11}/_{36}$ გირვ. სტერლინგის ფასობის კვალობაზე უფრო მაღალ მიწის რენტას. ყველაზე უფრო დაბალი ხარისხის მიწის ნაკვეთი კი მოგვცემდა 100 გირვ. სტერლ. კაპიტალზე რენტას 10 გირვ. სტერლინგის რაოდენობით ანუ $^1/_{36}$ გირვ. სტერლინგს ხორბლის ერთ ბუშელზე.

დავუშვათ, რომ დამუშავებაში შედის ახალი მიწა, რომელიც 120 სამუშაო კვირის პირობებში მხოლოდ 330 ბუშელს იძლევა. ერთი ბუშელი ახლა იქნებოდა $26^2/_{11}$ სამუშაო საათის თანასწორი, მაშინ როდესაც უწინ ის უდრიდა მხოლოდ 24 სამუშაო საათს. ბუშელის ღირებულება წინათ იყო $^{11}/_{33}$ გირვ. სტერლინგი, ახლა ის არის $^{12}/_{33}$ გირვ. სტერლინგი. ბუშელი რომ თავისი ღირებულების მიხედვით გაიყიდოს, ამისათვის ის უნდა გაყიდულ იქნას ახლა $^1/_{33}$ გირვ. სტერლინგით უფრო ძვირად. საუკეთესო მიწის ნაკვეთზე მოყვანილი ხორბლის ღირებულება აქ უფრო დაბლა დგას ყველაზე უფრო მდარე მიწაზე მოყვანილ ხორბლის ღირებულებაზე; თუ ეს ყველაზე მდარე მიწის ნაკვეთი თავის პროდუქტს ყიდის უახლოეს და უმჯობეს ანუ რენტის მომცემ მიწის ნაკვეთზე წარმოებული ხორბლის ბუშელის ფასის მიხედვით, მაშინ ის პროდუქტს ყიდის მის ღირებულებაზე დ ა ბ ლ ა, მაგრამ წარმოების ფასის მიხედვით, მაშასადამე, იმ ფასის მიხედვით, რომლითაც ის იძლევა ჩვეულებრივ

მოგებას 10 პროცენტის რაოდენობით. ამრიგად, იგი შეიძლება დამუშავებულ იქნას და კაპიტალისტს აძლიოს ჩვეულებრივი საშუალო მოგება.

ორ შემთხვევაში ყველაზე უფრო მდარე მიწის ნაკვეთი აქ მოგების გარდა მოგვცემდა რენტასაც. ამას ადგილი ექნებოდა [ჯერ ერთი] იმ შემთხვევაში, თუ ბუშელი ხორბლის [რომელიც მიღებულია წინათ ყველაზე უფრო მდარედ მიჩნეულ მიწის ნაკვეთზე] ღირებულება $^1/_3$ გირვ. სტერლინგზე უფრო მაღლა იდგომებოდა[1]; მაშასადამე, თუ რომ მიწის ნაკვეთი, რომელიც წინათ ყველაზე მდარე იყო, და ყველა სხვა ნაკვეთები შედარებით ნაკლებ ნაყოფიერი იქნებოდენ, რათა მოეცათ იგივე მიწის რენტა, ასე რომ მათი პროდუქტების ღირებულება იქნებოდა მათი წარმოების ფასზე და სხვა საქონელთა წარმოების ფასზე უფრო მ ა ღ ლ ა. [თუ,] მაშასადამე, ახლა ყველაზე მდარე მიწა არავითარ მიწის რენტას არ იძლევა, ეს შედეგია არა მისი უნაყოფობის, არამედ მ ი წ ი ს ს ხ ვ ა ნ ა კ ვ ე თ ე ბ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს. ყველაზე უფრო ცუდად დამუშავებული, რენტის მომცემი მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მიწის ახალი ხარისხისა და კაპიტალის ახალი დაბანდების მიმართ რ ე ნ ტ ა ს ს ა ე რ თ ო დ, ა რ ა დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ქ მ ნ ი ლ რ ე ნ ტ ა ს. და ამ რენტის ნორმა არაა უფრო მაღალი სწორედ ამ რენტის მომცემი მიწის ნაკვეთის ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს გამო.

დავუშვათ, რომ გარდა იმ უკანასკნელი მიწისა, რომელიც რენტას იძლევა, არსებობს კიდევ მიწის 3 კლასი. კლასი მე-II, რომელიც უფრო მაღალია I-ლ კლასზე, ე. ი. რენტის მომცემ უკანასკნელ მიწის ნაკვეთზე, იძლევა მეტ რენტას, რადგანაც ეს მიწა ერთი მეხუთედით უფრო ნაყოფიერია, ვიდრე I-ლი კლასი; მე-III კლასი იძლევა კიდევ მეტს, რადგანაც ის ერთი მეხუთედით უფრო ნაყოფიერია მე-II კლასზე, სწორედ ასევე მე-IV კლასიც, რადგან ესეც კვლავ ერთი მეხუთედით უფრო ნაყოფიერია, ვიდრე მე-III კლასი. რადგანაც რენტა I-ლ კლასში უდრის $120 - 110 = 10$ გირვ. სტერლინგს, ამიტომ მე-II კლასში ის $= 144 - 110 = 34$ გირვ. სტერლინგს; მე-III კლასში $= 172\,^4/_5 - 110 = 62\,^4/_5$ გირვ. სტერლინგს და მე-IV კლასში

[1] მისი ფ ა ს ი შეიძლება ყოფილიყო $^1/_3$ გირვანქა სტერლინგზე უფრო მაღლა, ე. ი. მის ღირებულებაზე მაღლა მოთხოვნის გამო, მაგრამ ჩვენ ამას არ ვიკვლევთ; $^1/_3$ გირვ. სტერლინგი, ბუშელის ფასი, რომელიც იძლეოდა რენტას 10 გირვ. სტერლინგის რაოდენობით მიწის იმ ნაკვეთისათვის, რომელიც უწინ ყველაზე მდარედ ითვლებოდა, უდრიდა იმ ხორბლის ღირებულებას, რომელიც მოყვანილია არა დიფერენციალური რენტის მომცემ მიწაზე.

$= 207\ ^9/_{25} - 110 = 97\ ^9/_{25}$ გირვ. სტერლინგს[1]. რომ მე-IV კლასის ნაყოფიერება უფრო მცირე ყოფილიყო, მაშინ III — I კლასთა რენტა იქნებოდა უფრო დიდი და მე-IV კლასის რენტაც აბსოლუტურად უფრო დიდი იქნებოდა. ეს შეიძლება ორგვარად გავიგოთ. I-ლი კლასი რომ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო, მაშინ II, III, IV კლასთა რენტა შესაბამისად უფრო პატარა იქნებოდა. მეორეს მხრივ, კლასი I-ლი შეეფარდება მე-II კლასს, მე-II კლასი მე-III კლასს და მე-III კლასი მე-IV კლასს ისე, როგორც შეეფარდება I-ლ კლასს ახლად დამატებული ხარისხის მიწა, რომელიც რენტას არ იძლევა. ახალი ხარისხის მიწა არ იძლევა არავითარ რენტას, რადგანაც I-ლი კლასის ხორბლის ღირებულება არ დგას უფრო მაღლა ახალი ხარისხის მიწის პროდუქტის წარმოების ფასზე. ის მასზე მაღლა იდგომებოდა, I კლასი რომ ნაკლებად პროდუქტიული ყოფილიყო, მაშინ ახალი მიწაც მოგვცემდა აგრეთვე რენტას. მაგრამ [სწორედ ასევეა] საქმის ვითარება I-ლი კლასის მიმართაც. რომ მე-II კლასი უფრო ნაყოფიერი იყოს, მაშინ I-ლი კლასის მიწა არავითარ რენტას არ მოგვცემდა ანდა მოგვცემდა უფრო მცირე რენტას; ასევე იქნებოდა საქმის ვითარება მე-II კლასის მე-III კლასთან და მე-III კლასის მე-IV კლასთან შეფარდებაშიც. დასასრულ შეიძლება, მაშასადამე, შებრუნებულადაც ვთქვათ: მე-IV კლასის აბსოლუტური ნაყოფიერება განსაზღვრავს მე-III კლასის რენტას. მე-IV კლასი რომ კიდევ უფრო

---

[1] ხელნაწერში სხვაგვარადაა ნაანგარიშევი. იქ ნათქვამია:

„კლასი მე-II, რომელიც I-ზე, ე. ი. უკანასკნელ რენტის მომცემ მიწის ნაკვეთზე, უფრო მაღლა დგას, იძლევა რენტის ერთი მეხუთედით მეტს, რადგან ეს მიწის ნაკვეთი $^1/_5$-თ უფრო ნაყოფიერია, ვიდრე I-ლი კლასი; მე-III კლასი კვლავ მეტს იძლევა $^1/_5$-ით, რადგანაც $^1/_5$-ით უფრო ნაყოფიერია, ვიდრე მე II კლასი ასევე მე-IV კლასიც, რადგანაც $^1/_5$-ით უფრო ნაყოფიერია მე-III კლასზე. რადგანაც რენტა I-ლ კლასში $= 10$ გირვ. სტერლინგს, ამიტომ ის მე-III კლასში $= 10 + {}^1/_5 = 12$ გირვ. სტერლინგს; მე-III კლასში $= 12 + {}^1/_5 = 14\ ^2/_5$ გირვ. სტერლინგს და მე-IV კლასში $= 14\ ^2/_5 + {}^1/_5 = 16\ ^{22}/_{25}$ გირვ. სტერლინგს“.

უკანასკნელი ციფრი დამყარებულია შემცდარ გამოანგარიშებაზე, — უნდა ყოფილიყო $17\ ^7/_{25}$ გირვ. სტერლინგი. მაგრამ უამისოდაც გამოანგარიშება ვერაა სწორი, ვინაიდან მიწის რენტა არ იწევს მაღლა იმავე პროცენტული შეფარდებით, როგორც ნაყოფიერება. თუ მოსავალი I-ლ კლასში 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვის დროს უდრის 360 ბუშელს, მაშინ მე-II კლასში, ერთი მეხუთედით უფრო მეტი ნაყოფიერების პირობებში, ის უდრის $360 + 72 = 432$ ბუშელს, და, თუ 3 ბუშელის ღირებულება უდრის 1 გირვ. სტერლინგს, 432 ბუშელის ღირებულება იქნება 144 გირვ. სტერლინგი. თუ გამოვაკლებთ ამას წარმოების ფასს 110 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, დარჩება რენტა 34 გირვ. სტერლინგის და არა 12 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. — კ.

ნაყოფიერი იყოს, მაშინ კლასები III, II, I მოგვცემდა მცირე რენტას ანდა არავითარ რენტას არ მოგვცემდა. რენტა, რომელსაც I-ლი კლასი იძლევა, არადიფერენციაქმნილი რენტა, განისაზღვრება, მაშასადამე, მე-IV კლასის ნაყოფიერებით, სწორედ ისე, როგორც ის გარემოებაც, რომ ახალი მიწა არავითარ რენტას არ იძლევა, გამოწვეული და განსაზღვრულია I-ლი კლასის ნაყოფიერებით. ამრიგად, აქ ძალაშია შ ტ ო რ ხ ი ს კანონი, რომლის მიხედვითაც უ ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ს ი მიწის რენტა განსაზღვრავს იმ უკანასკნელი მიწის რენტას, რომელიც საერთოდ რენტას იძლევა, მაშასადამე, განსაზღვრავს იმ განსხვავებასაც, რომელსაც ადგილი აქვს არადიფერენციაქმნილი რენტის მომცემ მიწის ნაკვეთსა და მიწის იმ ნაკვეთს შორის, რომელიც სრულიად არავითარ რენტას არ იძლევა. ამრიგად, ის მოვლენა, რომ აქ მეხუთე კლასი, ახლად დამუშავებული მიწის ნაკვეთი I' (განსხვავებით მიწის I-ლი ნაკვეთიდან), არავითარ რენტას არ იძლევა, აიხსნება არა მისი საკუთარი უნაყოფობით, არამედ მისი რელატიური უნაყოფობით I-ლ კლასთან შეფარდებით, მაშასადამე, I-ლი კლასის რელატიური ნაყოფიერებით I'-ლ კლასთან შეფარდებით.

[თუ დავუშვებთ,] რომ რენტის მომცემ I, II, III, IV ხარისხის მიწის ნაკვეთების [პროდუქტის] ღირებულება [ერთიდაიგივეა] — $1/_3$ გირვანქა სტერლინგი ბუშელზე — [მაშინ ის] უდრის I'-ლი კლასის პროდუქტის წარმოების ფასს და იმყოფება ამავე კლასის საკუთარ ღირებულებაზე დაბლა. მაგრამ აქ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ბევრ შუალედ საფეხურებს. I'-ლი კლასის მიწა რომ 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობის კაპიტალის დაბანდების დროს იძლეოდეს ბუშელთა განსაზღვრულ რაოდენობას მის ნამდვილ შემოსავალსა — 330 ბუშელის რაოდენობით — და I-ლი კლასის შემოსავალს — 360 ბუშელის რაოდენობით — შორის, ვთქვათ 333, 340, 350 და ასე 360 ბუშელამდე, — მაშინ ბუშელის ღირებულება $1/_3$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით იქნებოდა უფრო მაღლა I'-ლი კლასის წარმოების ფასზე (ბუშელის კვალობაზე) და ეს უკანასკნელად დამუშავებული მიწა მოგვცემდა რენტას. ეს მიწა რომ საერთოდ საშუალო მოგებას იძლევა, ეს შედეგია I-ლი კლასის, მაშასადამე I — IV კლასთა რელატიური უნაყოფობის. იგი რომ არავითარ რენტას არ იძლევა, ეს აიხსნება I-ლი კლასის რელატიური ნაყოფიერებით და მისივე საკუთარი რელატიური უნაყოფობით. I-ლი კლასის მიწას, დამუშავებულს უკანასკნელად, შეეძლო რენტის მოცემა, თუ რომ ბუშელის ღირებულება $1/_3$ გირვ. სტერლინგზე მ ა ღ ლ ა იდგომებოდა, მაშასადამე,

I-ლი, მე-II, მე-III და მე-IV კლასი ნაკლებად ნაყოფიერი იქნებოდა, რადგანაც ხორბლის ღირებულება უფრო მაღალი იქნებოდა. მაგრამ მასვე შეეძლო აგრეთვე, თუ ბუშელის ღირებულება $^1/_3$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით, ე. ი. I-ლი, II, III, IV კლასთა ერთიდაიგივე ნაყოფიერება იქნებოდა მოცემული, მოეცა რენტა, თუ ის თვითონ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა და 330 ბუშელზე მეტს მოგვცემდა; მაშასადამე, თუ ბუშელის ღირებულება $^1/_3$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით მისი წარმოების ფასზე უფრო მაღლა იდგომებოდა, სხვა სიტყვებით: თუ მისი წარმოების ფასი $^1/_3$ გირვ. სტერლინგზე უფრო დ ა ბ ლ ა იქნებოდა, ე. ი. I, II, III, IV კლასთა მიწის ნაკვეთებზე მოყვანილ ხორბლის ღირებულებაზე დაბლა იდგომებოდა. თუ ღირებულება წარმოების ფასზე მაღლა დგას, მაშინ მოცემულია გარდამეტი მოგება საშუალო მოგებაზე, მაშასადამე, მოცემულია რენტის შესაძლებლობა.

ჩვენ ვხედავთ: სხვადასხვა სფეროთა — მაგალითად, მრეწველობისა და მიწათმოქმედების — [ერთმანეთთან შედარების დროს] ღირებულების წარმოების ფასზე მაღლა დგომა გვიჩვენებს წარმოების იმ სფეროს უფრო დიდ უ ნ ა ყ ო ფ ო ბ ა ს, რომელიც გარდამეტ მოგებას, ღირებულების გარდამეტს წარმოების ფასზე, იძლევა. ე რ თ ს ა დ ა ი მ ა ვ ე სფეროში კი, პირიქით, ღირებულების წარმოების ფასზე მაღლა დგომა გვიჩვენებს კაპიტალის უ ფ რ ო დ ი დ პ რ ო დ უ ქ ტ ი უ ლ ო ბ ა ს სხვა კაპიტალებთან შედარებით წარმოების იმავე სფეროში. ზემომოყვანილ მაგალითში I-ლი კლასი მიწის რენტას იძლევა საერთოდ იმიტომ, რომ მიწათმოქმედებაში ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივ კაპიტალთან უფრო დიდია, ვიდრე მრეწველობაში, ე. ი. მეტი ახალი შრომა უნდა დაემატოს გასაგნობრივებულ შრომას და, შემდეგ, იმიტომ, რომ მიწის საკუთრების არსებობის გამო ღირებულების ეს გარდამეტი წარმოების ფასზე კაპიტალთა კონკურენციის მეოხებით არ განიცდის გათანასწორებას. მაგრამ მიწა I-ლი იძლევა კიდევ მიწის რენტას საერთოდ [არა მარტო] იმიტომ, რომ ბუშელი ხორბლის ღირებულება $^1/_3$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით მისი წარმოების ფასზე უფრო დაბლა დგას, [არამედ] იმიტომაც, რომ ეს მიწა არც ისე უნაყოფოა, რომ მისი საკუთარი ღირებულება $^1/_3$ გირვ. სტერლინგზე — ბუშელის ღირებულებაზე — მაღლა იმყოფებოდეს, და მის ფასს განსაზღვრავს არა მისი საკუთარი ღირებულება, არამედ ღირებულება იმ ხორბლის, რომელიც მოყვანილია მე-II, III, IV ხარისხის მიწებზე ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მე-II ხარისხის მიწაზე. ამიტომ უდრის საბა–

ზრო ფასი მხოლოდ მისი საკუთარი წარმოების ფასს, თუ მასზე მაღლა დგას იგი, — მაინც სულერთია მის საკუთარ პროდუქტიულობაზეა დამოკიდებული იმყოფება თუ არა მისი ღირებულება მისი წარმოების ფასზე მაღლა.

ამიტომ შემცდარია როდბერტუსის შეხედულებაც, რომ ყოველი კაპიტალი, რომელიც მიწათმოქმედებაში საშუალო მოგებას იძლევა, უნდა იძლეოდეს მიწის რენტასაც.

ეს შემცდარი დასკვნა მისი შემცდარი ძირითადი დებულებიდან გამომდინარეობს. ის მსჯელობს ასე: კაპიტალი მიწათმოქმედებაში იძლევა, მაგალითად, 10 გირვ. სტერლინგს. მაგრამ 10 გირვ. სტერლინგი აქ გამოიანგარიშება უფრო პატარა ჯამზე, რადგანაც აქ, განსხვავებით მრეწველობიდან, ნედლი მასალა არ შედის. [მიიღება,] მაშასადამე, მეტი, ვიდრე, ვთქვათ, 10 პროცენტი. მაგრამ საქმის არსი მდგომარეობს შემდეგში: ეს არის არა შეუსვლელობა ნედლი მასალისა, რომელიც სამიწათმოქმედო პროდუქტების ღირებულებას წარმოების ფასზე მაღლა სწევს, არამედ ეს არის ცვალებადი კაპიტალის მუდმივ კაპიტალთან უფრო დიდი შეფარდება, ვიდრე ის შეფარდება, რასაც ადგილი აქვს მრეწველობის არა განსაკუთრებულ დარგებში, არამედ საშუალოდ მრეწველობაში. ეს ზოგადი განსხვავება განსაზღვრავს თავისი სიდიდით მიწა № I-ლზე აბსოლუტური, არა დიფერენციაქმნილი და ამიტომ ყველაზე პატარა მიწის რენტის სიდიდეს და არსებობას. მაგრამ, მიწა I'-ლზე, ე. ი. ახლად დამუშავებულ მიწაზე, რომელიც არავითარ მიწის რენტას არ იძლევა, მოსული ხორბლის ფასი განისაზღვრება არა ამ მიწის საკუთარი პროდუქტების ღირებულებით, არამედ I-ლი კლასის მიწის პროდუქტის ღირებულებით, მაშასადამე, იმ ხორბლის საშუალო საბაზრო ფასით, რომელსაც იძლევა I-ლი, მე-II, მე-III და IV კლასი. მიწის საკუთრებით გამოწვეული სამიწათმოქმედო პროდუქტის პრივილეგია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მიწათმოქმედება თავის პროდუქტს არა წარმოების ფასის, არამედ მისი ღირებულების მიხედვით ყიდის, — თუ ეს ღირებულება წარმოების ფასზე მაღლა დგას, — სრულიად არ ვრცელდება მიწის სხვადასხვა ხარისხის ნაკვეთებზე მოყვანილ პროდუქტებზე მათ ურთიერთდამოკიდებულებაში, არ ვრცელდება წარმოების ერთსადაიმავე სფეროს შიგნით სხვადასხვა ღირებულებებით დამზადებულ პროდუქტებზე. სამრეწველო პროდუქტების მიმართ მათ აქვთ მხოლოდ ის პრეტენზია, რომ გაყიდულ იქნან თავიანთი წარმოების ფასების მიხედვით. იმავე სფეროს სხვა პროდუქტების მიმართ კი ისინი განისაზღვრებიან საშუალო საბაზ-

რო ფასით, და, ამრიგად, დამოკიდებულია I-ლი კლასის მიწის ნაყოფიერებაზე, არის თუ არა ღირებულება, — რომელიც აქ საშუალო საბაზრო ფასს უდრის, — საკმაოდ მაღალი ან დაბალი, მაშასადამე, არის საკმაოდ მაღალი თუ დაბალი I-ლი კლასის ნაყოფიერება იმისათვის, რომ I'-ლ კლასს, უკეთუ მისი პროდუქტი ამ ღირებულების მიხედვით იყიდება, ჰქონდეს მცირე, დიდი თუ სულ [არ ქონდეს] რაიმე წვლილი ხორბლის ღირებულებასა და წარმოების ფასს შორის არსებულ საერთო განსხვავებაში. მაგრამ ბატონმა როდბერტუსმა, — ვინაიდან. ის საერთოდ ღირებულებებს და წარმოების ფასებს არ ანსხვავებს ერთი მეორისაგან და ვინაიდან ის ყველა საქონლისათვის ზოგად კანონად სთვლის და სამიწათმოქმედო პროდუქტთა პრივილეგიად არ მიაჩნია ის გარემოება, რომ ისინი მათი ღირებულების მიხედვით იყიდებიან — უნდა იფიქროს, რასაკვირველია, რომ ყველაზე მდარე მიწის პროდუქტიც მისი ინდივიდუალური ღირებულების მიხედვით უნდა გაიყიდოს. მაგრამ ეს პრივილეგია სამიწათმოქმედო პროდუქტს ეკარგება იმავე სახის პროდუქტებთან კონკურენციაში.

მაგრამ შეიძლებოდა, რომ I'-ლი კლასის პროდუქტის წარმოების ფასი ყოფილიყო უფრო მაღლა I-ლი კლასის პროდუქტის ღირებულებაზე, სადაც ერთი ბუშელის ღირებულება $^1/_3$ გირვ. სტერლინგს შეადგენს[1]. რათა მიწა I'-ლი დამუშავებულ იქნას, შეიძლება ვიგულისხმოთ, — თუმცა ეს მთლად სწორი არ იქნება, — რომ მოთხოვნამ უნდა აიწიოს. მაშასადამე, I-ლი კლასის ხორბლის ფასმა უნდა აიწიოს თავის ღირებულებაზე, $^1/_3$ გირვ. სტერლინგზე, მაღლა და ამასთანავე ეს აწევა უნდა იყოს ხანგრძლივი. ამ შემთხვევაში ხდება მიწა I'-ლის დამუშავება. თუ მას $^1/_3$ გირვ. სტერლინგის ფასის პირობებში შეუძლია გააკეთოს საშუალო მოგება, თუმცა მისი ღირებულება $^1/_3$ გირვ. სტერლინგზე უფრო მაღალია, და დააკმაყოფილოს მოთხოვნა, მაშინ ფასი დაყვანილი იქნება $^1/_3$ გირვ. სტერლინგამდე, ვინაიდან ახლა მოთხოვნა კვლავ მიწოდებას შეეფერება, მაშასადამე, I-ლმა კლასმა პროდუქტი კვლავ $^1/_3$ გირვ. სტერლინგად უნდა გაყიდოს, ისე როგორც II, III, IV კლასებმაც; მაშასადამე, I'-ლმა კლასმაც. პირიქით, თუ I'-ლი კლასის პროდუქტის წარმოების ფასი იქნებოდა $^2/_5$ გირვ. სტერლინგის თანასწორი, ისე რომ მას მხოლოდ ამ ფასის მიხედვით შეეძლო ჩვეულებრივი მოგების მოცემა, მაშინ ბუშელის [საბაზრო] ღირებულების ფიქსაცია, თუ

[1] ხელნაწერში აქ ნათქვამია: „რომ I'-ლი კლასის ღირებულება ყოფილიყო I-ლი კლასის საშუალო ფასზე — ბუშელზე 6 შილინგსა და 8 პენსზე — მეტი". — კ.

რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება სხვა გზით შეუძლებელი იქნებოდა, უნდა მომხდარიყო $^2/_5$ გირვ. სტერლინგზე, და I-ლი კლასის პროდუქტის [საბაზრო] ფასი აიწევდა მის ღირებულებაზე მაღლა. II, III, IV კლასთა საბაზრო ფასი უკვე მათ ინდივიდუალურ ღირებულებაზე მაღლა დგას. იგი კიდევ უფრო აიწევდა. მაგრამ, თუ გათვალისწინებული იქნებოდა პურეულის შემოზიდვა, რომელიც არავითარ პირობებში ასეთ ფიქსაციას არ დაუშვებდა, მაინც, მიუხედავად ამისა, შესაძლებელი იქნებოდა I'-ლი კლასის მიწის დამუშავება, თუ კი გამოჩდებოდენ წვრილი მოიჯარადრენი, რომლებიც საშუალო მოგებაზე უფრო დაბალი მოგებით დაკმაყოფილდებოდენ. ასეც ხდება მუდმივად მიწათმოქმედებაში, ისე როგორც მრეწველობაში. და შესაძლებელი იქნებოდა, როგორც ამ შემთხვევაში, ისე მაშინაც, როდესაც I'-ლი კლასი საშუალო მოგებას იძლევა, მიწის რენტის გადახდა, მაგრამ ეს რენტა იქნებოდა მხოლოდ გამოკლება მოიჯარადრის მოგებიდან. თუ კი ამის მიღწევაც შეუძლებელია, მაშინ მიწის მესაკუთრეს შეუძლია მიწა მისცეს იჯარით მოჯამაგირეთ, რომელთა მთავარ საზრუნავ საგანს, ისე როგორც ხელოსან ფეიქრისათვის, შეადგენს თავიანთი შრომის ხელფასის მიღება და რომელნიც გარდამეტს, დიდს თუ პატარას, რენტის ფორმით მიწის მესაკუთრეს უხდიან. თვით ეს გარდამეტიც კი შეიძლება ყოფილიყო, ისე როგორც ხელოსან ფეიქრისათვის, გამოკლება არა [მარტო] შრომის პროდუქტიდან, არამედ შრომის ხელფასიდანაც. ყველა ამ შემთხვევაში შეიძლებოდა მიწის რენტის გადახდა. ერთ შემთხვევაში ის იქნებოდა გამოკლება კაპიტალისტის მოგებიდან. მეორე შემთხვევაში კი მიწის მესაკუთრე მიითვისებდა მუშის ზედმეტ შრომას, რომელსაც სხვა პირობებში კაპიტალისტი ითვისებს. და უკანასკნელ შემთხვევაში მიწის მესაკუთრე იცხოვრებდა მუშის ხელფასის ხარჯზე, როგორც ამას კაპიტალისტები კიდევაც ხშირად ჩადიან. მაგრამ *კაპიტალისტური წარმოება* დიდი მასშტაბით შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სულ უკანასკნელად დამუშავებული მიწის ნაკვეთი ყოველ შემთხვევაში საშუალო მოგებას მაინც იძლევა, მაშასადამე, როდესაც I-ლი კლასის [პროდუქტის] ღირებულება I'-ლ კლასს წარმოების ფასს მაინც აძლევს. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ განსაცვიფრებლად სწყვეტს საკითხს ღირებულებისა და წარმოების ფასის ერთიმეორისაგან განსხვავება და როგორ გვიჩვენებს, რომ *რიკარდო* და მისი მოწინააღმდეგენი მართალნი არიან.

I-ლი კლასი, ე. ი. მიწა, რომელიც აბსოლუტურ მიწის რენტას იძლევა, რომ მთელ დამუშავებულ მიწას წარმოადგენდეს, მაშინ

ის, მაშასადამე, ბუშელ ხორბალს გაყიდდა მისი ღირებულების მიხედვით, $^1/_3$ გირვ. სტერლინგად $= ^{12}/_{36}$ გირვ. სტერლინგს და ვერ დასწევდა მას წარმოების ფასამდე, რომელიც $^{11}/_{36}$ გირვ. სტერლინგს უდრის. თუ მოთხოვნა გაიზრდებოდა, თუ ქვეყნის მთელი მიწა ერთიდაიმავე ხარისხის იქნებოდა და, თუ დამუშავებული მიწა გაათკეცდებოდა, მაშინ რენტა, ვინაიდან I-ლი კლასის მიწა 10 გირვ. სტერლინგის რენტას იძლევა 100 გირვ. სტერლინგზე, — გაიზრდებოდა 100 გირვ. სტერლინგამდე, თუმცა ერთადერთი ხარისხის მიწა იარსებებდა. მაგრამ ის არ გაიზრდებოდა თავისი ნორმისა და სიმაღლის მიხედვით არც ავანსად გაღებული კაპიტალის მიმართ და არც დამუშავებული მიწის მიმართ. დამუშავებული იქნებოდა ათჯერ მეტი აკრი მიწა და ავანსად გაღებული ათჯერ მეტი კაპიტალი. ეს იქნებოდა, მაშასადამე, სარენტო ფონდის, რენტის მასის და არა მათი სიმაღლის უბრალო გადიდება. მოგების ნორმა არ დაიწევდა, რადგანაც სამიწათმოქმედო პროდუქტთა ღირებულება და ფასი უცვლელი დარჩებოდა. ათჯერ მეტ კაპიტალს, რასაკვირველია, ათჯერ უფრო დიდი რენტის მოცემა შეუძლია, ვიდრე ათჯერ უფრო პატარა კაპიტალს. პირიქით, თუ კი მიწის იმავე ფართობზე დახარჯული იქნებოდა ათჯერ მეტი კაპიტალი იმავე შედეგით, მაშინ რენტის ნორმა, დახარჯულ კაპიტალთან შედარებით, იგივე დარჩებოდა; იგი აიწევდა მაღლა მიწის ფართობთან შეფარდებით, მაგრამ მოგების ნორმაშიც არაფერს არ შესცვლიდა.

მაგრამ წარმოვიდგინოთ ახლა, რომ I-ლი კლასის მიწა უფრო ნაყოფიერი გახდა არა იმიტომ, რომ მიწა შეიცვალა, არამედ იმიტომ, რომ მეტი მუდმივი და ნაკლები ცვალებადი კაპიტალი დაიხარჯა: მეტი კაპიტალი მანქანებზე, ცხენებზე, მინერალურ სასუქზე და სხვ. და ნაკლები კაპიტალი შრომის ხელფასზე; ამ შემთხვევაში ხორბლის ღირებულება მიუახლოვდებოდა თავისი წარმოების ფასს და სამრეწველო პროდუქტთა წარმოების ფასს, რადგანაც ცვალებადი კაპიტალის მუდმივ კაპიტალთან შეფარდების გარდამეტი შემცირდებოდა. ამ შემთხვევაში რენტა დაეცემოდა, მოგების ნორმა კი უცვლელი დარჩებოდა. თუ წარმოების წესში მოხდებოდა ისეთი ცვლილება, რომ ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის შეფარდება გაუთანაბრდებოდა მათ საშუალო შეფარდებას მრეწველობაში, მაშინ ხორბლის ღირებულების გარდამეტი მის წარმოების ფასზე გაჰქრებოდა და ამით გაჰქრებოდა მიწის რენტაც, გარდამეტი მოგებაც. I-ლი კლასი უკვე არავითარ რენტას აღარ გადაიხდიდა და მიწის საკუთრება გახდებოდა ნომინალური, რამდენადაც, ვთქვათ, წარმოების

შეცვლილ წესს თან არ მოჰყვებოდა კაპიტალის მიწაში დამატებითი დაბანდება, ისე რომ მიწის მესაკუთრე იჯარის გათავების შემდეგ მიიღებდა სარგებელს ისეთ კაპიტალზე, რომელიც მას ავანსად არ გაუღია, რაც მართლა მიწის მესაკუთრეთა გამდიდრების მთავარ საშუალებად შეიქნა ირლანდიაში და რის გარშემოც იქ მთელი დავა ტრიალებს საიჯარო უფლების შესახებ. I-ლი კლასის მიწის გარდა რომ კიდევ არსებობდეს მე-II, მე-III და მე-IV კლასი და იქაც ყველაში წარმოების წესის ისეთსავე ცვლილებას ჰქონოდა ადგილი, ისინი მაინც მოიცემოდენ რენტას მათი უფრო დიდი ბუნებრივი ნაყოფიერების გამო შედარებით I-ლ კლასთან, და ამ ნაყოფიერების ხარისხის შესაბამისად. I-ლი კლასი ამ შემთხვევაში შესწყვეტდა მიწის რენტის მოცემას და მე-II, მე-III და მე-IV კლასთა რენტა დაეცემოდა ამის შესაბამისად, რადგანაც პროდუქტების საერთო შეფარდება მიწათმოქმედებაში გაუთანაბრდებოდა პროდუქტიულობის შეფარდებას მრეწველობაში. მე-II, მე-III და მე-IV კლასთა რენტა შეეფარდებოდა რ ი კ ა რ დ ო ს კანონს; ის იქნებოდა მხოლოდ თანასწორი უფრო ნაყოფიერი მიწის გარდამეტი მოგებისა ნაკლებად ნაყოფიერ მიწასთან შედარებით და იარსებებდა კიდევაც მხოლოდ როგორც ასეთი გარდამეტი მოგება, ისე როგორც მისი მსგავსი გარდამეტი მოგებანი მრეწველობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელთ აკლიათ ფიქსაციისათვის საჭირო ბუნებრივი ბაზისი. მაგრამ რ ი კ ა რ დ ო ს კანონი იმავე ზომით იბატონებდა იმ შემთხვევაშიც, თუ მიწის საკუთრება სრულიად არ იარსებებდა. მიწის საკუთრების მოსპობასთან ერთად და წარმოების კაპიტალისტური წესის დატოვების პირობებში ეს გარდამეტი მოგება, რომელიც ნაყოფიერებაში არსებული სხვაობიდან გამომდინარეობს, დარჩებოდა. თუ რომ სახელმწიფო მიითვისებდა მიწის საკუთრებას, ხოლო კაპიტალისტური წარმოება დარჩებოდა, მაშინ II, III, IV კლასთა მიწის რენტა მიეცემოდა სახელმწიფოს, მაგრამ თვით რენტა დარჩებოდა. თუ მიწის კერძო საკუთრება ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ გადაიქცეოდა, კაპიტალისტური წარმოების ბაზისი საერთოდ მოისპობოდა, მოისპობოდა ის საფუძველი, რომელზედაც დაფუძნებულია შრომის პირობების დამოუკიდებლად გადაქცევა და მათი მუშის მიმართ დაპირისპირება.

საკითხი, რომელიც შემდეგ, მიწის რენტის განხილვის დროს, გამორკვეულ უნდა იქნას, მდგომარეობს შემდეგში: როგორ შეუძლია მიწის რენტას აიწიოს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა და მ ა ს ი ს მიხედვით უფრო ინტენსიური კულტურის დროს, თუმცა მიწის რენტის ნორმა

ავანსად გაღებული კაპიტალის მიმართ, ეცემა? ეს, აშკარაა, შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ავანსად გაღებული კაპიტალის მასა იზრდება. თუ მიწის რენტა $^1/_5$ უდრის და შემდეგ იგი $^1/_{10}$ ხდება, მაშინ $20 \times {^1/_5} = 4$ და $50 \times {^1/_{10}} = 5$. ესაა მთელი მოქმედება. მაგრამ თუ უფრო ინტენსიური კულტურა დაამკვიდრებდა იმავე საწარმოო ურთიერთობას, როგორსაც ადგილი აქვს საშუალოდ მრეწველობაში, ნაცვლად იმისა, რომ იგი მას მხოლოდ მიახლოვებოდა, მაშინ რენტა ყველაზე უნაყოფო მიწისათვის მოიხსნებოდა და დაეცემოდა მიწის უბრალო დიფერენციამდე [უფრო] ნაყოფიერი მიწებისათვის. აბსოლუტური რენტა მოისპობოდა.

დავუშვათ ახლა, რომ გადიდებული მოთხოვნის გამო მოხდა მიწის I-ლი კლასიდან მე-II კლასზე გადასვლა. I-ლი კლასი იხდის აბსოლუტურ რენტას, მე-II კლასი კი — დიფერენციალურს, მაგრამ ხორბლის ფასი (ღირებულება I-ლი კლასისათვის და გარდამეტი ღირებულება მე-II კლასისათვის) იგივე დარჩებოდა. აგრეთვე არ შეიცვლებოდა არც მოგების ნორმა. და ამ სახით გაგრძელდებოდა მე-IV კლასამდე. მაშასადამე, თუ ჩვენ I-ლი, მე-II, მე-III და მე-IV კლასში დახარჯულ კაპიტალს ერთად ვიანგარიშებდით, რენტა აიწევდა თავისი სიმაღლის [ნორმის] მიხედვითაც. მაგრამ II, III, IV კლასთა მოგების საშუალო ნორმა დარჩებოდა თანასწორი I-ლი კლასის მოგების ნორმისა, რომელიც თავის მხრივ უდრის მოგების ნორმას მრეწველობაში, უდრის, მაშასადამე, მოგების საერთო ნორმას. თუ, მაშასადამე, მოხდება უფრო ნაყოფიერი მიწის ნაკვეთზე გადასვლა, რენტას შეუძლია გაიზარდოს თავისი მასისა და ნორმის მიხედვით, თუმცა მოგების ნორმა და ხორბლის ფასი უცვლელი რჩება. ეს იქნებოდა II, III, IV კლასთა კაპიტალის მზარდი ნაყოფიერება და არა I-ლი კლასის კაპიტალის კლებადი ნაყოფიერება, რაც სიმაღლისა და მასის მიხედვით რენტის აწევას გამოიწვევდა. მხოლოდ მზარდი ნაყოფიერება არ მოახდენდა, როგორც ეს აუცილებლად მრეწველობაში ხდება, არც მოგების აწევას და არც საქონლის ფასის და შრომის ხელფასის დაწევას.

მაგრამ, თუ ადგილი ექნებოდა შებრუნებულ პროცესს, ე. ი. თუ მოხდებოდა მე-IV კლასიდან მე-III, მე-II და I-ლ კლასზე გადასვლა, მაშინ ფასი აიწევდა $^1/_3$ გირვ. სტერლინგის [სიმაღლემდე], რომლის დროსაც I-ლი კლასის მიწის ნაკვეთზე მოსული ხორბალი კვლავ 10 გირვ. სტერლინგის რენტას იძლევა 100 გირვ. სტერლინგზე. I-ლი კლასი 100 გირვ. სტერლინგის [კაპიტალით] და 10 გირვ. სტერლინგის რენტით და ბუშელის $^1/_3$ გირვ. სტერლ. ღირებულების

კვალობაზე მოგვცემდა 360 ბუშელს, მე-II კლასი — 432 ბუშელს, მე-III კლასი — $518\,{}^{2}/_{5}$ ბუშელს და მე-IV კლასი — $622\,{}^{2}/_{25}$ ბუშელს[1]. მაგრამ მე-IV კლასის ბუშელის ფასი ${}^{1}/_{3}$ გირვ. სტერლინგის კვალობაზე მისცემდა ამ კლასს გარდამეტ რენტას $87\,{}^{3}/_{25}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით. მე-IV კლასი ყიდის 3 ბუშელს 1 გირვ. სტერლინგად, ან $622\,{}^{2}/_{25}$ ბუშელს $207\,{}^{9}/_{25}$ გირვ. სტერლინგად. მაგრამ მისი პროდუქტის ღირებულება შეადგენს 120 გირვ. სტერლინგს, ისე როგორც I-ლი კლასის პროდუქტის ღირებულება. რაც ამაზე ზევითაა, ის შეადგენს მისი ფასის გარდამეტს მის ღირებულებაზე. მე-IV კლასი გაყიდდა ბუშელს მისი ღირებულების მიხედვით მაშინ, თუ იგი შესძლებდა მის გაყიდვას ${}^{125}/_{648}$ გირვ. სტერლინგად, და ასეთი ფასის დროს მას ექნებოდა 100 გირვ. სტერლინგზე 10 გირვ. სტ. რენტა. მაგრამ, თუ გადასვლა ხდება მე-IV კლასიდან მე-III, მე-III კლასიდან მე-II და მე-II კლასიდან I-ლზე, მაშინ ბუშელის ფასი იწევს მაღლა (და ამით რენტაც) მანამ, სანამ იგი, ბოლოს, I-ლ კლასში არ გახდება ${}^{1}/_{3}$ გირვ. სტერლინგის თანასწორი, სადაც ახლა ეს ფასი იმავე მიწის რენტას იძლევა, რომელსაც იგი უწინ მე-IV კლასში იძლეოდა. ფასის აწევასთან ერთად მოგების ნორმა დაიწევდა, [?][2] რამდენადაც საარსებო საშუალებათა და ნედლი მასალის ღირებულება აიწევდა. მე-IV კლასიდან მე-III კლასზე გადასვლა შეიძლება მომხდარიყო შემდეგი სახით: მოთხოვნის გამო მე-IV კლასის ფასი იზრდება მის ღირებულებაზე მაღლა და, ამრიგად, იძლევა არა მარტო რენტას, არამედ გარდამეტ რენტასაც. ამის გამო ხდება მე-III კლასის მიწის დამუშავება, იმ მიწის, რომელმაც ამ ფასის დროს არავითარი რენტა არ უნდა მოგვცეს ჩვეულებრივი საშუალო მოგების პირობებში. თუ მე-IV კლასის ფასის აწევის გამო დაიწია არა მოგების ნორმამ, არამედ შრომის ხელფასმა, მაშინ მე-III კლასი მოიცემა საშუალო მოგებას. მაგრამ მე-III კლასის წარმოებაში შესვლით გამოწვეული მიწოდების გამო შრომის ხელფასმა კვლავ უნდა აიწიოს ნორმალურ სიმაღლემდე; მაშინ მოგების ნორმა მე-III კლასში და სხვ. ეცემა.

ამრიგად, ამ მოძრაობის დროს მოგების ნორმა ეცემა, თუ დაშვებულია ის წინაპირობა, რომ მე-III კლასს არ შეუძლია მოგვცეს

[1] ხელნაწერში აღნიშნულია: 430, შემდეგ 516 და $619\,{}^{1}/_{8}$, რის შესაბამისადაც სწორად არაა გამოანგარიშებული ზოგიერთი შემდგომი ციფრი. — კ.

[2] აქ ერთი სიტყვის ამოკითხვა შეუძლებელია. — კ.

რენტა მე-IV კლასის ფასის დროს, ხოლო მე-III კლასის მიწა შეიძლება დამუშავებულ იქნას მოგების ძველი ნორმის პირობებშიც მხოლოდ იმიტომ, რომ შრომის ხელფასმა დროებით დაიწია თავის ნორმაზე დაბლა.

ამ წარნამძღვარების საფუძველზე რიკარდოს კანონი კვლავ [შესაძლებელია გამომჟღავნდეს]. მაგრამ ეს გამომჟღავნება არაა აუცილებელი კანონის თვით იმ გაგების დროსაც კი, რომელსაც რიკარდო იცავს. მისი გამომჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ კონიუნქტურათა პირობებში. სინამდვილეში ადგილი აქვს მოძრაობათა გადაჯვარედინებას.

ზემო ნათქვამით რენტის თეორია არსებითად გამორკვეულია.

ბ-ნ როდბერტუსის შეხედულებით მიწის რენტა გამომდინარეობს მარადიული, — ყოველ შემთხვევაში კაპიტალისტური წარმოების, — ბუნებიდან მისივე ე. წ. „მასალის ღირებულების" გამო. ჩემი შეხედულებით კი იგი გამომდინარეობს კაპიტალის ორგანიულ შემადგენელ ნაწილებში მოცემული ისტორიული სხვაობიდან, — სხვაობიდან, რომელიც ნაწილობრივ წონასწორდება და მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად შეიძლება სრულებითაც გაჰქრეს. ამასთანავე, რასაკვირველია, სხვაობა, რამდენადაც იგი მხოლოდ მიწის ბუნებრივ ნაყოფიერებაში არსებული განსხვავებიდან გამომდინარეობს, რჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ აბსოლუტური რენტა გაჰქრებოდა. მაგრამ, თუ სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვებთ ბუნებრივ განსხვავებათა შესაძლებელ გათანასწორებას, ეს დიფერენციალური რენტა დაკავშირებულია საბაზრო ფასის მოწესრიგებასთან, მაშასადამე, ფასთან და კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად ისპობა. დარჩებოდა მხოლოდ ის, რომ საზოგადოებრივი შრომა დაამუშავებდა სხვადასხვა ნაყოფიერების მიწას და ამასთანავე, მიუხედავად გამოყენებული შრომის განსხვავებისა, შრომას შეეძლო ყველა მიწაზე უფრო პროდუქტიული გამხდარიყო. მაგრამ ამ შემთხვევაში შრომის ის მასა, რომელიც უფრო მდარე მიწის პროდუქტი ღირს, არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვევდა იმას, როგორც ამას ადგილი აქვს ბურჟუაზიული წყობილებისას, რომ უკეთესი მიწის პროდუქტიც უნდა გადახდილ იქნას მეტი შრომით. პირიქით, მე-IV კლასის მიწაზე დაზოგვილი შრომა გამოყენებული იქნებოდა მე-III კლასის მიწის გასაუმჯობესებლად, მე-III კლასის მიწაზე დაზოგვილი შრომა — მე-II კლასის მიწის გასაუმჯობესებლად ან, ბოლოს, მე-II კლასის მიწაზე დაზოგვილი შრომა — I-ლი კლასის მიწის გასაუმჯობესებლად; ამრიგად, მიწის მესაკუთრეთა მიერ

შთანთქმული მთელი კაპიტალი სამსახურს გაუწევდა სამიწათმოქმედო შრომის გათანაბრებას სხვადასხვა ნიადაგზე და საერთოდ მიწათმოქმედებაზე დახარჯული შრომის შემცირებას.

## გ) *სხვადასხვა შენიშვნები*.

[*როდბერტუსი*, სხვათა შორის დამსახურებად უთვლის თავის მიწის რენტის თეორიას იმას, რომ ეს თეორია სხვანაირად, ვიდრე *რიკარდო*, ხსნის] იმ გარემოებას,

„თუ რატომ არ შეუძლია *ასწიოს* ნაციონალური პროდუქტის ღირებულების *გადიდებიდან* გამომდინარე შრომის ხელფასისა, კაპიტალის მოგებისა და მიწის რენტის სათანადო *გადიდებას* არც ნაციონალური შრომის ხელფასი და არც კაპიტალის მოგება, ვინაიდან უფრო დიდი შრომის ხელფასი ახლა მუშათა უფრო მეტ რაოდენობას შორის ნაწილდება და კაპიტალის უფრო მეტი მოგება კი წილად ხვდება იმავე შეფარდებით გადიდებულ კაპიტალს; პირიქით, მიწის რენტამ ყოველ შემთხვევაში *უნდა აიწიოს*, რადგანაც იგი მუდამ ხვდება წილად *სიდიდის მხრივ უცვლელად დარჩენილ* მიწის ნაკვეთებს. ამრიგად, მას შეუძლია საკმაოდ აგვიხსნას დიდი *აწევა მიწის ღირებულებისა*, რომელიც სხვას არაფერს არ წარმოადგენს, გარდა სარგებლის ჩვეულებრივი განაკვეთის მიხედვით კაპიტალიზაციაქმნილ მიწის რენტისა, და შეუძლია აგვიხსნას ისე, რომ არ მიმართოს სასოფლო-სამეურნეო შრომის მზარდ არაპროდუქტიულობას, რომელიც, გარდა ამისა, პირდაპირ ეწინააღმდეგება როგორც ადამიანთა საზოგადოების სრულყოფის უნარიანობას, ისე ყველა სასოფლო-სამეურნეო და სტატისტიკურ ფაქტებს“ (l. c., გვ. 160, 161).

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ *რიკარდო* *არსად* არ ესწრაფვის ახსნას „მიწის ღირებულების დიდი აწევა“. ეს მისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. შემდეგ თვითვე *რიკარდო* გარკვევით შენიშნავს (იხილე ქვემოთ *რიკარდოს* შეხედულებათა გარკვევის დროს), რომ ხორბლის ანუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის უცვლელი ღირებულების დროს — მიწის რენტის მოცემული ნორმის პირობებში — რენტას შეუძლია *გადიდდეს*. არც ეს გადიდება წარმოადგენს *რიკარდოსთვის* არავითარ პრობლემას. მისთვის სარენტო ფონდის აწევა, თუ მიწის რენტის ნორმა უცვლელი რჩება, არაა პრობლემა. მისთვის პრობლემას შეადგენს *მიწის რენტის ნორმის* გადიდება, ე. ი. რენტისა ავანსად გაღებულ სამიწათმოქმედო კაპიტალთან შეფარდებით; ამიტომ მისთვის პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე გადიდება არა სამიწათმოქმედო პროდუქტის *მასის* ღირებულებისა, არამედ სამიწათმოქმედო პროდუქტის ერთიდაიმავე რაოდენობის, მაგალითად, ერთი კვარტერი ხორბლის, *ღირებულებისა*, რითაც იზრდება სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულების გარდამეტი მისი წარ-

მოების ფასზე და ამით რენტის გარდამეტიც მოგების ნორმაზე. ბატონი როდბერტუსი აქ თავიდან იშორებს რიკარდოს პრობლემას, თუ არას ვიტყვით მის მცდარ „მასალის ღირებულებაზე“.

რასაკვირველია, რენტის ნორმასაც შეუძლია აიწიოს, რელატიურად ავანსად გაღებული კაპიტალის მიმართ, ე. ი. შეუძლია აიწიოს საძიწათმოქმედო პროდუქტის შეფარდებით ღირებულებას სამრეწველო პროდუქტთან შეფარდებით, თუმცა მიწათმოქმედება მუდამ უფრო ნაყოფიერი ხდება. და ეს შეიძლება მოხდეს სწორედ ორი მიზეზის გამო.

ჯერ ერთი, ავიღოთ ზემომოყვანილი მაგალითი, სადაც ადგილი აქვს I-ლი კლასის მიწიდან მე-II, მე-III და მე-IV კლასთა მიწაზე, ე. ი. თანდათან უფრო ნაყოფიერ მიწაზე გადასვლას, მაგრამ ამასთანავე ისე, რომ ამ ნაყოფიერი მიწის დამუშავება და მისი მხრივ მიწოდება არც ისე საკმაოდ დიდია, რომ I-ლი კლასი გამორიცხულ იქნას დამუშავებიდან ანდა ღირებულებასა და წარმოების ფასს შორის არსებული განსხვავება ისე შემცირდეს, რომ მე-IV, მე-III მე-II კლასები იხდიდენ პროპორციულად მცირე რენტას, ხოლო I-ლი კლასი კი სრულიად არავითარ რენტას არ იხდიდეს. თუ I-ლი კლასის რენტა უდრის 10-ს, მე-II კლასის — 20-ს, მე-III კლასის — 30-ს, მე-IV კლასის — 40 და ყველა ოთხივე სახის მიწაზე თითოეულზე წარმოებაში დაბანდებულია 100 გირვ. სტერლინგი, მაშინ რენტა იქნებოდა I-ლი კლასისათვის $^1/_{10}$-ი ანუ ავანსად გაღებული კაპიტალის 10 პროცენტი; მე-II კლასისათვის — $^2/_{10}$ ანუ 20 პროცენტი; მე-III კლასისათვის — $^3/_{10}$ ანუ 30 პროცენტი და მე-IV კლასისათვის — $^4/_{10}$ ანუ 40 პროცენტი. სულ — 100 გირვ. სტერლინგი[1], 400 გირვ. სტერლინგის რაოდენობით ავანსად გაღებულ კაპიტალზე რაც რენტის საშუალო ნორმის სახით 25%-ს იძლევა. თუ მიწათმოქმედებაში დაბანდებულ მთელ კაპიტალს განვიხილავთ, რენტა შეადგენს ახლა 25 პროცენტს. I-ლი კლასის მიწის, ე. ი. არანაყოფიერი მიწის დამუშავება რომ გაგრძელებულიყო, მაშინ რენტა იქნებოდა 40 400-ზე, ე. ი. უწინდებურად 10 პროცენტი და იგი არ აიწევდა 25 პროცენტამდე. მაგრამ პირველ შემთხვევაში, თუ I-ლი კლასის მიწას 100 გირვ. სტერლინგის დანახარჯზე 360 ბუშელი[2] მოუწევდა, წარმოებული იქნებოდა მხოლოდ 1440 ბუშელი, თითო

[1] ხელნაწერში სწერია „70 პროცენტი“ და ასე მიყვება შემდგომ გამოანგარიშებაშიც. ეს უკანასკნელი აქ სათანადოდ შეცვლილია.

[2] ხელნაწერში სწერია 330 ბუშელი და ამის მიხედვით არის გამოანგარიშებული შემდეგი ციფრები. რათა წინა მაგალითთან შესაბამობა დამეცვა, მე ვიღებ

$^1/_3$ გირვ. სტერლინგის ფასობაზე; მეორე შემთხვევაში კი წარმოებული იქნებოდა 1620 ბუშელი იმავე ფასად. ორთავე შემთხვევაში ავანსად გაღებულია ერთიდაიგივე კაპიტალი.

მაგრამ რენტის სიმაღლის აწევა აქ მხოლოდ მოჩვენებითია. სახელდობრ, თუ ჩვენ კაპიტალის დანახარჯს პროდუქტის მიმართ გამოვიანგარიშებთ, მაშინ მივიღებთ, რომ I-ლი კლასის მიწაზე 360 ბუშელის საწარმოებლად საჭირო იქნებოდა 100 გირვ. სტერლინგი, ხოლო 1440 ბუშელის საწარმოებლად — 400 გირვ. სტერლინგი. ახლა კი საჭიროა მხოლოდ $100 + 92^4/_{13} + 85^5/_7 + 80$, მაშასადამე, $358^2/_{91}$ გირვ. სტერლინგი 1440 ბუშელის საწარმოებლად. $92^4/_{13}$ გირვ. სტერლინგი მე-II კლასის მიწაზე იმდენს აწარმოებს, რამდენსაც 100 გირვ. სტერლინგი I-ლი კლასის მიწაზე, $85^5/_7$ გირვ. სტერლინგი მე-III კლასის მიწაზე იმდენს, რამდენსაც $92^4/_{13}$ გირვ. სტერლინგი მე-II კლასის მიწაზე და 80 გირვ. სტერლინგი მე-IV კლასის მიწაზე იმდენს, რამდენსაც $85^5/_7$ გირვ. სტერლინგი მე-III კლასის მიწაზე [1]. მიწის რენტის ნორმამ მე-II, მე-III და მე-IV კლასთა მიწის ნაკვეთებზე აიწია I-ლი კლასის მიწის ნაკვეთთან შედარებით.

თუ მთელ საზოგადოებას ავიღებთ, მაშინ იმავე პროდუქტის საწარმოებლად საჭირო იქნებოდა $358^2/_{91}$ კაპიტალის დახარჯვა ნაცვლად 400-სა.

მხოლოდ ამ შემთხვევაში 1440 ბუშელი განაწილებული იქნებოდა სხვანაირად, ვიდრე პირველ შემთხვევაში. მოიჯარადრემ $92^4/_{13}$ გირვ. სტერლინგზე უნდა მისცეს იმდენი, რამდენსაც უწინ 100-ზე აძლევდა, $85^5/_7$-ზე იმდენი, რამდენსაც წინათ $92^4/_{13}$-ზე და 80-ზე იმდენი, რამდენსაც წინათ $85^5/_7$-ზე. მაგრამ კაპიტალის დანახარჯი $92^4/_{13}$, $85^5/_7$, 80 გირვ. სტერლინგის რაოდენობით აძლევს მას სწორედ იმდენს, რამდენსაც წინანდელი ხარჯები 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. იგი აძლევს [100-ზე] მეტს არა იმიტომ, რომ მან იმავე პროდუქტის მისაწოდებლად უნდა დახარჯოს უფრო მეტი კაპიტალი, არამედ იმიტომ, რომ იგი ნაკლებ კაპიტალს ხარჯავს;

360 ბუშელს. ამ მაგალითის მიხედვით 360 ბუშელიდან 30 ბუშელი ემსახურება რენტის გასტუმრებას, 330 ბუშელი კი წარმოების ფასის დაფარვას. — კ.

[1] ხელნაწერში ეს ადგილი შემდეგი სახითაა გადმოცემული: „სახელდობრ, თუ ჩვენ კაპიტალის დანახარჯს ვიანგარიშებთ პროდუქტის მიმართ, მაშინ მივიღებთ, რომ I-ლი კლასის მიწაზე 330 ბუშელის საწარმოებლად საჭირო იქნებოდა 100 გირვ. სტერლინგი, ხოლო 1320 ბუშელის საწარმოებლად კი — 400 გირვ. სტერლინგი. მაგრამ ახლა საჭიროა მხოლოდ $100 + 90 + 80 + 70$, სახელდობრ, 340 გირვ. სტერლინგი, რათა წარმოებულ იქნას 1320 ბუშელი“ და სხვა. — კ.

არა იმიტომ, რომ მისი კაპიტალი უფრო არანაყოფიერი შეიქნა, არამედ იმიტომ, რომ ის უფრო ნაყოფიერი გახდა; მაგრამ მოიჯარადრე კი პროდუქტს ყიდის, ისევე როგორც წინათ, I-ლი კლასის ფასის მიხედვით, თითქოს მას იმავე რაოდენობის პროდუქტის საწარმოებლად სჭირდებოდეს იგივე კაპიტალი, როგორც წინათ.

გარდა რენტის ნორმის ამ აწევისა, რომელიც თანაემთხვევა გარდამეტი მოგების არათანასწორ აწევას მრეწველობის ცალკე დარგებში, — თუმცა აქ მისი ფიქსაცია არა ხდება, — არის კიდევ შესაძლებელი მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ა ს შეუძლია აიწიოს, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტის ღირებულება იგივე რჩება, მაშასადამე, შრომა არა ხდება უფრო უნაყოფო. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტიულობა მიწათმოქმედებაში ი გ ი ვ ე რჩება, ხოლო მრეწველობაში კი იგი მაღლა იწევს, და თუ ეს აწევა მოგების ნორმის დაწევაში გამოიხატება. მაშასადამე, თუ ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან [საშუალოდ] შემცირდებოდა.

ანდა ეს შესაძლებელია, როდესაც პროდუქტიულობა მიწათმოქმედებაშიც მაღლა იწევს, მაგრამ არა იმავე შეფარდებით, როგორც მრეწველობაში, არამედ უფრო მცირე შეფარდებით. თუ მიწათმოქმედებაში პროდუქტიულობა მაღლა იწევს როგორც 1 : 2 და მრეწველობაში კი როგორც 1 : 4, მაშინ ეს შ ე დ ა რ ე ბ ი თ იგივეა, თითქოს იგი მიწათმოქმედებაში უცვლელი დარჩენილიყოს და მრეწველობაში კი გაორკეცებულიყოს. ამ შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალი მუდმივთან შედარებით ორჯერ უფრო სწრაფად შემცირდებოდა მრეწველობაში, ვიდრე მიწათმოქმედებაში.

ორივე შემთხვევაში მოგების ნორმა მრეწველობაში დაეცემოდა და, მისი დაცემის გამო, მიწის რენტის ნორმა აიწევდა. სხვა შემთხვევებში მოგების ნორმა ეცემა არა აბსოლუტურად, პირიქით, იგი მუდმივი რჩება, მაგრამ ის ეცემა შედარებით მიწის რენტის მიმართ არა იმიტომ, რომ იგი თვით ეცემა, არამედ იმიტომ, რომ მაღლა იწევს მიწის რენტა, მიწის რენტის ნორმა ავანსად გაღებული კაპიტალის მიმართ. რ ი კ ა რ დ ო ვერ ანსხვავებს ამ შემთხვევებს. თუ ჩვენ ამ შემთხვევებს მხედველობაში არ მივიღებთ, მაშინ მიწის რენტის ნორმას შეუძლია აიწიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოგების ნორმა ეცემა მრეწველობის ნაყოფიერების გაუდიდებლად. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შრომის ხელფასი ან ნედლი მასალა მიწათმოქმედების უფრო დიდი არაპროდუქტიულობის გამო თავის ღირებულებაში მაღლა იწევს. ამ შემთხვე-

ვაში მოგების ნორმის დაცემა და მიწის რენტის სიმაღლის აწევა შედეგია ერთიდაიმავე მიზეზის, შედეგია იმისა, რომ მიწათმოქმედება, მიწათმოქმედებაში დაბანდებული კაპიტალი ნაკლებად პროდუქტიული ხდება. ასეთია რიკარდოს წარმოდგენა. ამან, შემდეგ, ფულის ღირებულების უცვლელობის პირობებში, თავი უნდა იჩინოს ხედლი პროდუქტების ფასების მაღლა აწევაში. თუ ეს აწევა შეფარდებითია, როგორც ზემოთ განვიხილეთ, მაშინ არავითარ ცვლილებას ოქროს ფასში არ შეუძლია ასწიოს აბსოლუტურად სამიწათმოქმედო პროდუქტთა ფულადი ფასები სამრეწველო პროდუქტების მიმართ. თუ ოქრო დაეცემოდა 100 პროცენტით, მაშინ 1 კვარტერი, რომელიც 3 გირვ. სტერლინგი ღირდა, ეღირებოდა 6 გირვ. სტერლინგი, ხოლო 1 გირვანქა ნართი, რომელიც 1 შილინგი ღირდა, ეღირებოდა 2 შილინგი. მაშასადამე, სამიწათმოქმედო პროდუქტთა ფულადი ფასების აბსოლუტური აწევა, შედარებით სამრეწველო პროდუქტების ფულად ფასებთან, არას დროს არ შეიძლება ახსნილ იქნას ფულის ღირებულების ცვლილებით.

საერთოდ შეიძლება მივიღოთ, რომ ნაკლებად განვითარებული წარმოების წინაკაპიტალისტური წესის დროს მიწათმოქმედება უფრო პროდუქტიულია, ვიდრე მრეწველობა, რადგანაც აქ მუშაობაში მონაწილეობას იღებს ბუნება, როგორც მანქანა და ორგანიზმი, მაშინ როდესაც მრეწველობაში ბუნების ძალები ჯერ კიდევ თითქმის მთლიანად შენაცვლებულია ადამიანის ძალის მიერ, როგორც, მაგალითად, ხელოსნურ მრეწველობაში და სხვ.; კაპიტალისტური წარმოების მძაფრ პერიოდში მრეწველობის პროდუქტიულობა სწრაფად ვითარდება შედარებით მიწათმოქმედებასთან, თუმცა მისი განვითარება გულისხმობს, რომ მიწათმოქმედებაში უკვე ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებას მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის, ე. ი. ადამიანთა მასა გაძევებულია მიწათმოქმედებიდან. შემდეგში პროდუქტიულობა ორივეში წინ მიდის, თუმცა არათანასწორი ტემპით. მაგრამ მრეწველობის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე დისპროპორციამ უნდა იკლოს, ე. ი. მიწათმოქმედების პროდუქტიულობა შედარებით უფრო სწრაფად უნდა გადიდდეს, ვიდრე მრეწველობის პროდუქტიულობა.

ამისთვის საჭიროა:

1. ზარმაცი გლეხის საქმიანი კაცით, სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტით შეცვლა, მიწის მუშის დაქირავებულ მუშად გადაქცევა, მიწათმოქმედება დიდი მასშტაბით, ე. ი. კონცენტრაციაქმნილი კაპიტალით.

2. მაგრამ განსაკუთრებით კი შემდეგი: მსხვილი მრეწველობის საკუთრივ მეცნიერულ საფუძველს [შეადგენს] მექანიკა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში რამოდენიმედ დასრულებული იყო. პირველად კი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით მის შემდგომ ათეულ წლებში, ვითარდებიან მეცნიერებანი, რომელნიც ბევრად უფრო მაღალი ზომით იძლევიან სპეციალურ საფუძველს მიწათმოქმედებისათვის, ვიდრე მრეწველობისათვის — ქიმია, გეოლოგია და ფიზიოლოგია.

* * *

ერთის მხრივ, მრეწველობის პროგრესთან ერთად მანქანები ხდება უფრო ეფექტიური და იაფი, მაშასადამე, მიწათმოქმედების მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი მცირდება, თუ მანქანები მხოლოდ იმავე რაოდენობით მოიხმარება, როგორც უწინ; მაგრამ ეს რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მანქანათა გაიაფება ხდება, ვინაიდან ეს ელემენტი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული მიწათმოქმედებაში. მეორეს მხრივ, მიწათმოქმედების უფრო დიდ პროდუქტიულობასთან ერთად ეცემა ნედლი მასალის ფასი — შეადარე ბამბეული, — ასე რომ ნედლი მასალა, როგორც ღირებულების ზრდის პროცესის შემადგენელი ნაწილი, არ იზრდება იმავე შეფარდებით, რომლითაც იგი იზრდება, როგორც შრომის პროცესის შემადგენელი ნაწილი.

* * *

უაზრობაა მრეწველობის ორი სხვადასხვა დარგის მეტ თუ ნაკლებ პროდუქტიულობაზე ლაპარაკი მხოლოდ მათ საქონელთა ღირებულების შედარების მიხედვით. თუ ერთი გირვანქა ბამბეულის ფასი 1800 წელში = 2 შილინგს და ნართის ფასი = 4 შილინგს, ხოლო 1830 წელში ბამბეულის ღირებულება = 2 შილინგს და ღირებულება ნართისა კი = 3 შილინგს, მაშინ შეიძლებოდა იმ შეფარდების შედარება, რომლითაც ორივე დარგში პროდუქტიულობა გაიზარდა. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ 1800 წლის ნორმას ვიღებთ როგორც გამოსავალ წერტილს. პირიქით, იმის გამო, რომ გირვანქა ბამბეულის ფასი = 2 შილინგს და ნართის ფასი კი = 2 შილინგს, მაშასადამე, [მეტია მხოლოდ 1 შილინგით, რის შესაბამისადაც] ბამბეულის მწარმოებელი შრომა ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე მრთველის შრომა, უაზრობა იქნებოდა გვეთქვა, რომ ერთი მეორეზე ორჯერ უფრო ნაყოფიერია, ისე როგორც უაზრობა იქნებოდა იმის

თქმა, რომ, [რადგანაც ტილოს წარმოება უფრო იაფია, ვიდრე ამ ტილოზე დახატული სურათი, ამიტომ მხატვრის შრომა ნაკლებად პროდუქტიულია, ვიდრე მრთველის შრომა. სწორია მხოლოდ შემდეგი, რაშიაც მდგომარეობს სიტყვა „პ რ ო დ უ ქ ტ ი უ ლ ი ს“ კაპიტალისტური აზრი — პროდუქტიული ზედმეტი ღირებულების მიმართ, [და არა პროდუქტის მიმართ].

თუ მივიღებთ, რომ ბამბეულის მრეწველობაში 100 გირვ. სტერლინგად ღირებული 100 მუშისათვის სამუშაოს მისაცემად საჭირო იქნებოდა საწარმოო პირობების მიხედვით საშუალოდ 500 გირვ. სტერლინგი ნედლ მასალასა და მანქანებში და სხვ. ამ უკანასკნელთა მოცემული ღირებულების დროს და თუ, რომ, მეორეს მხრივ, ხორბლეულის წარმოებაში 100 მუშისათვის სამუშაოს მისაცემად, რომლებიც აგრეთვე 100 გირვ. სტერლინგი ეღირებიან, საჭიროა 150 გირვ. სტერლინგი ნედლ მასალასა და მანქანებში, მაშინ ცვალებადი კაპიტალი I-ლში შეადგენდა ერთობლივი კაპიტალის — 600 გირვ. სტერლინგის — $^{1}/_{6}$-ს და მუდმივი კაპიტალის $^{1}/_{5}$-ს, ხოლო მე-II კი ცვალებადი კაპიტალი იქნებოდა ერთობლივი კაპიტალის — 250 გირვ. სტერლინგის — $^{2}/_{5}$-ი და მუდმივი კაპიტალის $^{2}/_{3}$-დი. მაშასადამე, ყოველ 100 გირვ. სტერლინგს, რომელიც I-ლშია დახარჯული, შეუძლია შეიცავდეს მხოლოდ $16^{2}/_{3}$ გირვ. სტერლ. ცვალებად კაპიტალს და უნდა შეიცავდეს $83^{1}/_{3}$ გირვ. სტერლ. მუდმივ კაპიტალს; მე-II, პირიქით, 40 გირვ. სტერლინგ ცვალებად კაპიტალს და 60 გირვ. სტერლ. მუდმივ კაპიტალს. ცნობილია, თუ რა უბადრუკ მდგომარეობაშია ამჟამად ფასთა ისტორია. და იგი უბადრუკი იქნება მანამ, სანამ თეორია არ უჩვენებს მას, თუ რა აქვს გამოსაკვლევი. თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემული იქნებოდა, მაგალითად, = 20 პროცენტს, მაშინ ზედმეტი ღირებულება [100 კაცზე] შეადგენდა I-ლში 20 გირვ. სტერლინგს [ერთობლივი კაპიტალის 600 გირვ. სტერლ. რაოდენობის დროს] და, მაშასადამე, მოგება შეადგენდა $3^{1}/_{3}$ პროცენტს. მე-II კი, პირიქით, ზედმეტი ღირებულება შეადგენდა 20 გირვ. სტერლინგს [ერთობლივი კაპიტალის 250 გირვ. სტერლ. რაოდენობის დროს] და, მაშასადამე, მოგება — 8 პროცენტს. შრომა I-ლში არ იქნებოდა ისე პროდუქტიული, როგორც მე-II-ში, იმიტომ რომ იგი უფრო პროდუქტიული იქნებოდა, ე. ი. იგი არ იქნებოდა ისე პროდუქტიული მოგების[1] მხრივ, იმიტომ რომ ის იქნებოდა უფრო პროდუქტიული პროდუქ-

[1] ხელნაწერში სწერია: surplusvalue. — კ.

ტის მხრივ. შევნიშნავთ გაკვრით: ნათელია, რომ, მაგალითად, ბამბეულის მრეწველობაში შეფარდება 1v : 6 (v + c) შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მუდმივი კაპიტალი, რომელიც დამოკიდებულია მანქანებზე ან სხვებზე, დახარჯულია 10 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით და შრომის ხელფასი კი 2000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, მაშასადამე, ერთობლივი კაპიტალი წარმოადგენს 12 000 გირვ. სტერლინგს. რომ მხოლოდ 6000 გირვ. სტერლინგი ყოფილიყო დახარჯული და ამასთანავე შრომის ხელფასი 1000 გირვ. სტერლინგის თანასწორი, მანქანები მაშინ ნაკლებ პროდუქტიული იქნებოდა და სხვ. 100 გირვ. სტერლინგის დახარჯვის პირობებში [ფაბრიკა] სრულებით ვერ იმუშავებდა. მეორეს მხრივ, შეიძლება, რომ 23 000 გირვ. სტერლინგის დახარჯვის პირობებში ადგილი ჰქონდეს მანქანათა მოქმედების ისეთ გადიდებას, ხარჯების სხვა ეკონომიას და სხვ., რომ შესაძლებელია 19 000 გირვ. სტერლინგი მთლიანად არ ერგოს მუდმივ კაპიტალს. მაშინ, მაშასადამე, კვლავ იზრდება ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ [ერთობლივი კაპიტალი] აბსოლუტურად გაიზარდა. ეს წარმოადგენს დაბრკოლებას მოგების ნორმის დაცემის წინააღმდეგ. ორ კაპიტალს, თითოს 12 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, შეუძლია საქონლის იგივე რაოდენობა აწარმოოს, რასაც აწარმოებს ერთი კაპიტალი 23 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, მაგრამ, ერთი რომ საქონელი იქნებოდა უფრო ძვირი, რადგანაც მათზე 1000 გირვ. სტერლინგი მეტი დაიხარჯებოდა და, მეორე ის, რომ მოგების ნორმა უფრო მცირე იქნებოდა, ვინაიდან 23 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობის კაპიტალში ცვალებადი კაპიტალი ერთობლივი კაპიტალის $^{1}/_{6}$-ზე მეტს შეადგენს, მაშასადამე, უფრო დიდია, ვიდრე ორი კაპიტალის — თითო 12 000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით — ჯამში მოცემული ცვალებადი კაპიტალი.

* * *

უკვე პეტი გვეუბნება ჩვენ, რომ ლენდლორდებს თავის დროზე ეშინოდათ მიწათმოქმედებაში რაიმე გაუმჯობესების შეტანის, რადგანაც ამით სამიწათმოქმედო პროდუქტების ფასები და ამიტომ მიწის რენტის სიმაღლეც ეცემა; ასე მოქმედობს მათი აზრით მიწის ფართობის გადიდებაც, და წინათ გამოუყენებელი მიწის დამუშავება უდრის მიწის ფართობის გადიდებას. ჰოლანდიაში მიწის ფართობის ეს გადიდება შეიძლება მოხდეს უფრო პირდაპირი გზითაც. იგი ამბობს:

„ლენდლორდები ბუზღუნებენ ჰაობების ამოშრობის, ტყეების მოშენების, სათემო მიწის კერძო მეურნეობისათვის შემოფარგვლის, ესპარცეტის და იონჯის გაშენების წინააღმდეგ, რადგანაც მათი აზრით ეს ყველა საშუალებაა საარსებო საშუალებათა ფასის დასაწევად" (Political Arithmetick, ლონდონი 1699, გვ. 230).

პ ე ტ ი იცავს და დ ' ა ვ ე ნ ა ნ ი კი ანვითარებს შემდგომ იმ შეხედულებას, თუ როგორ შეუძლია რენტის სიმაღლეს შემცირდეს, ხოლო რენტის მასას ან სარენტო ფონდს კი — გაიზარდოს. იგი ამბობს:

„ზოგიერთ ადგილებში და ზოგიერთ საგრაფოებში რენტას შეუძლია დაეცეს და, მიუხედავად ამისა, ერის მიწა [1] საერთოდ მაინც გაუმჯობესდეს, მაგალითად, როდესაც პარკები და ტყეები [დამუშავებაში] შედის (disparked) და საერთო საძოვრების შემოფარგვლა ხდება [დასამუშავებლად]; როდესაც ჰაობების ამოშრობა ხდება და მიწის ბევრი ნაკვეთი უმჯობესდება დამუშავებისა და გაპოხიერების საშუალებით, ამან, უეჭველია უნდა შეამციროს იმ მიწის ღირებულება, რომელიც წინათ უკვე სრულიად გაუმჯობესებული იყო ანდა აღარ ჰქონდა უკვე არავითარი უნარი შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მაგრამ, თუმცა კერძო პირთა სარენტო შემოსავალი ამ გზით დაბლა იწევს, მაინც, მიუხედავად ამისა, იმავდროულად ასეთ გაუმჯობესებათა გამო სამეფოს საერთო რენტა მაღლა იწევს" (l. c., გვ. 26, 27).

1666 წლიდან 1688 წლამდე კერძო პირთა რენტა ეცემოდა, „მაგრამ სამეფოს საერთო სარენტო ფონდის მაღლა აწევა ამ დროის განმავლობაში შედარებით უფრო დიდი იყო, ვიდრე წინა წლებში, რადგანაც მიწის ნაკვეთების გაუმჯობესებანი დროის ამ ორ ნაკვეთს შორის უფრო დიდი და უფრო საერთო იყვნენ, ვიდრე ოდესმე უწინ" (D'A v e n a n t, Discourses on the Publick Revenues and on the Trade of England. I. ლონდონი. 1698, გვ. 29).

აქაც ვხედავთ, რომ ინგლისელს რენტის სიმაღლე მუდამ ესმის როგორც რენტა კაპიტალის მიმართ, და არასდროს როგორც რენტა სახელმწიფოს ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი მ ი წ ი ს მიმართ, ანდა აკრის მიმართ, როგორც ამას რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ჩადის.

სრულიად შემცდარია რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ს შეხედულება, თითქოს ერთი საქონელი, იმიტომ რომ ის უფრო ძვირია მეორე საქონელზე, უნდა მეტ სამუშაო დროს ანხორციელებდეს, მაშასადამე, თითქოს ამიტომაც ზედმეტი ღირებულების თანასწორი ნორმის ან სხვადასხვა სფეროებში მუშათა თანასწორი ექსპლოტაციის პირობებში — მეტ გადაუხდელ სამუშაო დროს უნდა შეიცავდეს. თუ ერთიდაიგივე შრომა უნაყოფო მიწაზე 1 კვარტერს იძლევა, ხოლო ნაყოფიერზე კი — 3 კვარტერს, და ამასვე აქვს ადგილი კარგი ან ცუდი წელიწადის დროს; თუ ერთიდაიგივე შრომა ოქროთი მეტად მდიდარ

---

[1] მას მხედველობაში აქვს მიწის ღირებულება.

მიწაზე 1 უნც ოქროს იძლევა, ხოლო უფრო ნაკლები ოქროს შემცველ ან გამოფიტულ მიწაზე კი მხოლოდ $^1/_3$ უნცს; თუ ერთიდაიგივე სამუშაო დრო, რომელიც 1 გირვანქა მატყლს აწარმოებს, 3 გირვანქა ნართს ართავს, — მაშინ, პირველ ყოვლისა, ღირებულებანი 1 კვარტერის და 3 კვარტერისა, ერთი უნცის და $^1/_3$ უნცისა, 1 გირვანქა მატყლის და 3 გირვანქა მატყლის ნართისა (მინუს მასში მოთავსებული მატყლის ღირებულება) თანასწორი სიდიდის არიან. ისინი შეიცავენ სამუშაო დროის თანასწორ რაოდენობას, მაშასადამე, ნაგულისხმევის თანახმად, ზედმეტი სამუშაო დროის თ ა ნ ა ს წ ო რ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს. ყოველ შემთხვევაში 1 კვარტერში [რომელიც უნაყოფო მიწაზეა წარმოებული] მოთავსებული ზედმეტი შრომის რაოდენობა უფრო დიდია [ვიდრე ზედმეტი შრომა ერთ-ერთში იმ 3 კვარტერიდან, რომელნიც უფრო ნაყოფიერ მიწაზე არიან წარმოებული], მაგრამ სამაგიეროდ პირველ შემთხვევაში მხოლოდ 1 კვარტერია, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში — 3 კვარტერი, ანუ ერთ შემთხვევაში — 1 გირვანქა მატყლი, ხოლო მეორეში კი — 3 გირვანქა ნართი (მინუს მასალის ღირებულება). მაშასადამე, ის მ ა ს ა [ზედმეტი ღირებულებისა, რომელსაც ერთიდაიგივე შრომა იძლევა] თანასწორია. მაგრამ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი ს ი დ ი დ ე ც, თუ ცალკე საქონლებს შევადარებთ ერთმანეთს, თანასწ ო რ ი ა. ერთ კვარტერში ანუ ერთ გირვანქა მატყლში მოთავსებულია, ნაგულისხმევის მიხედვით, იმდენივე შრომა, რამდენიც 3 კვარტერში ან 3 გირვანქა ნართში. ამიტომ შრომის ხელფასზე დახარჯული კაპიტალი [როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ერთსადაიმავე შეფარდებაში] იმყოფება ზედმეტ ღირებულებასთან. 1 გირვანქა მატყლში მოთავსებულია სამჯერ მეტი სამუშაო დრო, ვიდრე ერთ გირვანქა ნართში. თუ ზედმეტი ღირებულება იმ შემთხვევაში, როდესაც მატყლზეა ლაპარაკი, სამჯერ უფრო დიდია, ვიდრე მაშინ, როდესაც ნართია მხედველობაში მიღებული, მაშინ იგი სამაგიეროდ მიეთვლება სამჯერ უფრო დიდ კაპიტალს, რომელიც შრომის ხელფასზეა დახარჯული, მაშასადამე, შეფარდება იგივე რჩება. რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი აქ სრულიად შემცდარად ანგარიშობს, ანდა სრულიად შემცდარად ადარებს შრომის ხელფასზე დახარჯულ კაპიტალს საქონელთა უფრო მეტ ან მცირე რაოდენობას, რომელშიაც ამ შრომის რეალიზაცია ხდება. მაგრამ ეს გამოანგარიშება სრულიად შემცდარია, თუ, როგორც იგი გულისხმობს, შრომის ხელფასი ან ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია. შ რ ო მ ი ს ერთიდაიგივე რ ა ო დ ე ნ ო ბ ა, მაგალითად, 12 საათი, შეიძლება გამოიხატოს x ან 3x

საქონელში. ერთ შემთხვევაში 1 x საქონელი იმდენ შრომას და ზედმეტ შრომას შეიცავს, რამდენსაც 3 x საქონელი მეორე შემთხვევაში; მაგრამ ა რ ც ე რ თ შემთხვევაში არ იქნებოდა ერთ სამუშაო დღეზე მეტი დახარჯული და არცერთ შემთხვევაში არ იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ნორმა [სხვა], მაგალითად, $^1/_5$-ზე მეტი. პირველ შემთხვევაში ერთი x-ის $^1/_5$-ი ისე შეეფარდებოდა x-ს, როგორც მეორეში 3 x-ის $^1/_5$-ი 3 x-ს, და თუ ჩვენ თითოეულს ამ სამი x-დან ვუწოდებთ: x′, x″, x‴, მაშინ თითოეულში — x′, x″, x‴ — $^4/_5$ გადახდილი და $^1/_5$ გადაუხდელი შრომა იქნებოდა მოთავსებული. პირიქით, სრულიად მართალია, რომ, თუ პროდუქტიულობის მხრივ ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში იმდენივე საქონელი უნდა იქნას წარმოებული, რამდენიც უფრო პროდუქტიულ პირობებში, მაშინ შრომა, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულებაც, მეტია საქონელში მოთავსებული. მაგრამ მაშინ შესაბამისად უფრო დიდი კაპიტალიც იხარჯება. 3 x საქონლის საწარმოებლად საჭირო იქნებოდა სამჯერ მეტი კაპიტალის დახარჯვა შრომის ხელფასზე, ვიდრე 1 x საქონლის საწარმოებლად. რასაკვირველია, სწორია, რომ მრეწველობას არ შეუძლია დაამუშაოს მეტი ნედლი მასალა, ვიდრე ამ უკანასკნელს მიწათმოქმედება აწვდის, რომ, მაშასადამე, მას არ შეუძლია, მაგალითად, ერთ გირვანქა მატყლზე მეტის დართვა, როდესაც წარმოებულია მხოლოდ ერთი გირვანქა მატყლი. ამრიგად, თუ მატყლის რთვის პროდუქტიულობა სამჯერ იზრდება, მაშინ მატყლის საწარმოებელ შრომისათვის, თუ მატყლის საწარმოო პირობები უცვლელი დარჩებოდა, სამჯერ მეტი დრო უნდა ყოფილიყო გამოყენებული და სამჯერ მეტი კაპიტალი დახარჯული, ვიდრე უწინ, მაშინ როდესაც ამ გასამკეცებული მატყლის დასართავად სართავი მრეწველობის დარგში მხოლოდ წინანდელი სამუშაო დრო იქნებოდა საჭირო. მაგრამ [ზედმეტი ღირებულების] ნ ო რ მ ა იგივე დარჩებოდა. იმავე სართავ შრომას იგივე ღირებულება ექნებოდა და იმავე ზედმეტ ღირებულებას შეიცავდა, როგორც უწინ. მატყლის მწარმოებელ შრომას სამჯერ უფრო დიდი ზედმეტი ღირებულება ექნებოდა, მაგრამ ამის შესაბამისად მასში მოთავსებული შრომაც ანუ შრომის ხელფასზე ავანსად გაღებული კაპიტალიც გასამკეცდებოდა. მაშასადამე, სამჯერ უფრო დიდი ზედმეტი ღირებულება გაძოანგარიშებული იქნებოდა სამჯერ უფრო დიდ კაპიტალზე. ამრიგად, ამ საფუძვლით არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ სართავი მრეწველობის დარგში ზედმეტი ღირებულების ნორმა უფრო დაბლა დგას, ვიდრე მატყლის წარმოებაში. შეიძლებოდა მხოლოდ იმის თქმა, რომ შრომის ხელ-

ფასზე დახარჯული კაპიტალი ერთ დარგში სამჯერ მეტი იქნებოდა, ვიდრე მეორეში, ვინაიდან აქ მიღებულ იქნა, რომ ცვლილებანი მატყლის რთვასა და წარმოებაში არ გამომდინარეობენ არავითარი ცვლილებიდან მათ მუდმივ კაპიტალში.

აქ უნდა განვასხვავოთ შემდეგი: ერთიდაიგივე შრომა პლიუს მუდმივი კაპიტალი ნაკლებ პროდუქტს იძლევა უფრო არახელსაყრელ წელიწადში, ვიდრე ხელსაყრელში, უფრო ნაკლებად ნაყოფიერ მიწის ნაკვეთზე, ვიდრე უფრო ნაყოფიერზე, ლითონით უფრო ნაკლებად მდიდარ მადანში, ვიდრე ლითონით უფრო მდიდარ მადანში. მაშასადამე, პირველი პროდუქტი უფრო ძვირია, მეტ შრომას და მეტ ზედმეტ შრომას შეიცავს პროდუქტთა ერთიდაიმავე რაოდენობის მიმართ. მაგრამ მეორე შემთხვევაში კი ამ პროდუქტთა რაოდენობა შესაბამისად უფრო მეტია. შემდეგ: გადახდილსა და გადაუხდელ შრომას შორის შეფარდება ორთავე კატეგორიის ყოველ ცალკე პროდუქტში ამის გამო არ იცვლება, ვინაიდან, თუ ცალკე პროდუქტი ნაკლებ გადაუხდელ შრომას შეიცავს, მაშინ იგი, ნაგულისხმევის თანახმად, იმავე შეფარდებით ნაკლებ გადახდილ შრომას შეიცავს. აქ ხომ კაპიტალის ორგანიულ შემადგენელ ნაწილთა შეფარდებებში — ცვალებად და მუდმივ კაპიტალს შორის — არავითარი ცვლილება არაა ნაგულისხმევი. ნაგულისხმევია, რომ ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის ერთიდაიგივე ოდენობა სხვადასხვა პირობებში პროდუქტის სხვადასხვა უფრო მეტ ან უფრო ნაკლებ რაოდენობას იძლევა. ბატონი რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი, როგორც ჩანს, ამას მუდამ ერთმანეთში ურევს და პროდუქტის უბრალო გაძვირებიდან აკეთებს, როგორც თავისთავად ნაგულისხმევ, დასკვნას უ ფ რ ო დ ი დ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შესახებ. ნ ო რ მ ი ს მიხედვით ეს დასკვნა შემცდარია უკვე ნაგულისხმევის თანახმად; ხოლო ჯ ა მ ი ს მიხედვით კი სწორია მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ შემთხვევაში მეტი კაპიტალი გაიღება ავანსად, ვიდრე მეორეში, ე. ი. როდესაც უფრო ძვირი პროდუქტი იმდენი მზადდება, რამდენიც წინათ იაფი პროდუქტი მზადდებოდა ანდა, როდესაც უფრო ძვირი პროდუქტის გამრავლება, როგორც, მაგალითად, ზემოთ სართავი მრეწველობის დარგში, უფრო იაფი პროდუქტის შესაბამის გამრავლებას გულისხმობს.

მ ი წ ა (ბ უ ნ ე ბ ა) და სხვ. — ეს ის ელემენტია, რომელშიაც მიწათმოქმედებაზე დახარჯული კაპიტალი ბანდდება. ამიტომ აქ მიწის რენტა უდრის ამ ელემენტის საშუალებით შექმნილი შრომის პროდუქტის ღირებულების გარდამეტს მის წარმოების ფასზე. პირი-

ქით, თუ ბუნებრივი ელემენტი (ანუ ნივთიერება), რომელიც ინდივიდუუმის კერძო საკუთრებაში იმყოფება, შედის მეორე წარმოებაში, რომლის ფიზიკურ საფუძველსაც ის არ შეადგენს, მაშინ მიწის რენტას, თუ მას ადგილი აქვს მხოლოდ ბუნებრივი ელემენტის წარმოებაში ამ შესვლის გამო, არ შეუძლია წარმოადგენდეს ამ პროდუქტის ღირებულების გარდამეტს მისი წარმოების ფასზე, არამედ მას შეუძლია იყოს მხოლოდ ამ პროდუქტის წარმოების საერთო ფასის გარდამეტი მის საკუთარ წარმოების ფასზე. მაგალითად, ჩანჩქერს შეუძლია ორთქლის მანქანის მაგიერობა გაუწიოს ფაბრიკანტს და ნახშირი დაუზოგოს. ამ ჩანჩქერის მფლობელობის გამო ფაბრიკანტს მუდმივად შეეძლო გაეყიდა, მაგალითად, ნართი მისი წარმოების ფასზე მაღლა და გარდამეტი მოგება მიეღო. ეს გარდამეტი მოგება ხვდება მიწის მესაკუთრეს როგორც რენტა, თუ იგი ჩანჩქერს ფლობს, და ბატონი ჰოპკინსი თავის წიგნში „რენტის შესახებ" შენიშნავს, რომ ლანკაშირში ჩანჩქერები არა მარტო რენტას, არამედ, იმისდა მიხედვით თუ როგორია მათი ვარდნილობის ბუნებრივი ძალის ხარისხი, დიფერენციალურ რენტასაც კი იხდიან[1]. აქ რენტა სხვა არა არის რა, თუ არ გარდამეტი პროდუქტის საშუალო საბაზრო ფასისა მის ინდივიდუალურ წარმოების ფასზე.

## h) როდბერტუსი რიკარდოს შესახებ.

ახლა დავუბრუნდეთ საბოლოოდ და უკანასკნელად როდბერტუსს:

---

[1] „დასამხრისად მდებარე წყლის ძალა იძლევა იმ რენტის მაგალითს, რომელსაც იხდიან ისეთი განსაკუთრებული ხასიათის მატარებელ ბუნების მიერ მონაცემისათვის, რომლის წარმოქმნაც კი საერთოდ შესაძლებელია. ეს ძლიერ კარგად იციან სამრეწველო ოლქებში, სადაც ადგილი აქვს მნიშვნელოვანი რენტის გადახდას პატარა წყლის ნაკადებისათვის, განსაკუთრებით, თუ წყლის ვარდნილობა დიდია. ვინაიდან ასეთი მდინარე წყლების ძალა ორთქლის დიდ მანქანათა ძალას უდრის, ისევე ხელსაყრელია მათი გამოყენება, — მიუხედავად იმ მაღალი რენტისა, რომელიც მისთვის გადახდილ უნდა იქნას, — როგორც დიდი თანხების გაღება ორთქლის მანქანათა ასაგებად და ასამოქმედებლად. წყლის ძალებს შორის, თავის მხრივ, ზოგი უფრო დიდია, ზოგი უფრო პატარა. მრეწველობის ადგილმდებარეობის სიახლოვეც აგრეთვე იძლევა უპირატესობას, რომელიც უფრო მაღალ რენტას ქმნის. ისეთ საგრაფოებში, როგორც იორკი და ლანკასტერია, განსხვავება რენტაში წყლის ყველაზე უფრო დიდი და ყველაზე უფრო მცირე ძალისათვის შეიძლება უფრო დიდი იყოს, ვიდრე განსხვავება რენტაში 50 ყველაზე უნაყოფო და 50 კი ყველაზე ნაყოფიერი აკრისათვის, რომელთა დამუშავებაც ერთად ხდება" (Hopkins. Economical Enquiries etc. გვ. 37, 38).

„იგი (როდბერტუსის რენტის თეორია) შრომის ხელფასის და რენტის ყველა მოვლენებს გვიხსნის... შრომის პროდუქტის განაწილებიდან, რომელიც აუცილებლად თავს იჩენს, როდესაც ორი წინაპირობა — შრომის საკმაო პროდუქტიულობა და მიწის და კაპიტალის საკუთრება — მოცემულია" (l. c., გვ. 156).

ა. სმიტი ორნაირად გვიხატავს საქმის ვითარებას. [იგი, უწინარეს ყოვლისა, მოგებას, რენტას, შრომის ხელფასს ხსნის] შრომის პროდუქტის დანაწილებიდან — სადაც ეს პროდუქტი განიხილება როგორც მოცემული, და სინამდვილეში საქმე შეეხება სახმარ' ღირებულებაში მონაწილეობას. ეს შეხედულება აქვს აგრეთვე ბატონ როდბერტუსსაც. იგი მოეპოვება რიკარდოსაც და ეს მას მით უმეტეს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ იგი არ კმაყოფილდება საერთო ფრაზით, არამედ სერიოზულად სურს გაარკვიოს ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით. ეს შეხედულება შეეფერება, ცოტად თუ ბევრად, mutatis mutandis, წარმოების ყველა წესს, სადაც მუშები და შრომის ობიექტიურ პირობების მფლობელნი სხვადასხვა კლასებს შეადგენენ.

მეორე შეხედულება სმიტისა, პირიქით, დამახასიათებელია წარმოების კაპიტალისტური წესისთვის. იგი წარმოადგენს აგრეთვე მარტოოდენ თეორიულად ნაყოფიერ ფორმულას. აქ, სახელდობრ, სმიტს წარმოუდგენია, რომ მოგება და რენტა გამომდინარეობს ზედმეტი შრომიდან, რომელსაც მუშა შრომის საგანს მატებს, გარდა შრომის იმ ნაწილისა, რომლითაც იგი მხოლოდ თავისი საკუთარი შრომის ხელფასის რეპროდუქციას ახდენს. ეს ერთადერთი სწორი თვალსაზრისია იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება მხოლოდ და მხოლოდ საცვლელ ღირებულებას ემყარება. იგი შეიცავს განვითარების პროცესს, მაშინ როდესაც პირველი შეხედულების მიხედვით სამუშაო დრო ნაგულისხმევია როგორც მუდმივი.

რიკარდოს ცალმხრივობა იქიდან წარმოსდგება, რომ მას სურს საერთოდ დაამტკიცოს, რომ სხვადასხვა ეკონომიური კატეგორიები ანუ ურთიერთობანი ღირებულების თეორიას არ ეწინააღმდეგებიან, ნაცვლად იმისა, რომ მან ისინი, პირიქით, ყველა თავიანთი მოჩვენებითი წინააღმდეგობებითურთ ამ საფუძვლიდან განავითაროს ანდა თვით ამ საფუძვლის განვითარება გადმოგვცეს.

[როდბერტუსი ამის შესახებ ამბობს:]

„თქვენ იცით, რომ ყველა ეკონომისტი, უკვე ა. სმიტის დროიდან, პროდუქტის ღირებულებას შრომის ხელფასსა, მიწის რენტასა და კაპიტალის მოგებად ანაწილებს და, რომ, მაშასადამე, ის იდეა,

რომელიც სხვადასხვა კლასთა შემოსავალს და განსაკუთრებით კი რენტის ნაწილებს *პროდუქტის განაწილებაზე* აფუძნებს, ახალი არაა[1]. მაგრამ ეკონომისტები მაშინვე სცილდებიან სწორ გზას. ყველა ისინი — *რიკარდოს* სკოლის გამოუკლებლადაც კი — უშვებენ, *უწინარეს ყოვლისა*, იმ შეცდომას, რომ მათ *მთელი* პროდუქტი, *დასრულებული* დოვლათი, *მთელი ნაციონალური პროდუქტი* არ წარმოუდგენიათ ერთ მთლიანობად, რომელშიაც მონაწილეობენ მუშები, მიწისმფლობელნი და კაპიტალისტები, არამედ *ნედლი პროდუქტის განაწილება* წარმოუდგენიათ როგორც *განსაკუთრებული განაწილება*, რომელშიც *სამი თანამოზიარე* მონაწილეობს, ხოლო დამუშავებული პროდუქტის განაწილება კი კვლავ ისეთ განსაკუთრებულ განაწილებად, რომელშიაც *მხოლოდ ორი* თანამოზიარე იღებს მონაწილეობას. ამრიგად, ეს სისტემები უკვე მარტო ნედლ პროდუქტს და მარტო დამუშავებულ პროდუქტს, თითოეულ მათგანს თავისთავად, უყურებენ როგორც შემოსავლის განსაკუთრებულ წყაროს“ (l. c., გვ. 162).

*ა. სმიტმა*, პირველ ყოვლისა, მართლაც, *ყველა* შემდგომი ეკონომისტი, *რიკარდოს* და *როდბერტუსის* ჩათვლით, იმით *ააცდინა სწორ გზას*, რომ იგი „პროდუქტის *მთელ* ღირებულებას შრომის ხელფასსა, მიწის რენტასა და კაპიტალის მოგებად შლის“ და ამით ივიწყებს მუდმივ კაპიტალს, რომელიც აგრეთვე ღირებულების ერთ ნაწილს შეადგენს. ამ განსხვავების უქონლობა პირდაპირ შეუძლებლად ხდიდა, როგორც ამას ჩემი დასკვნები ამტკიცებენ, საკითხის ყოველივე მეცნიერულ განხილვას. ფიზიოკრატები ამ მხრივ უფრო შორს მიდიოდნენ. მათი „avances primitives“ და „annuelles“ განსხვავებულია და განსაზღვრული როგორც წლიური პროდუქტის ღირებულების ან თვით წლიური პროდუქტის ისეთი ნაწილი, რომელიც ისევე ნაკლებად იშლება კვლავ შრომის ხელფასსა, მოგებასა და რენტად ნაციისათვის, როგორც ცალკე ინდივიდუუმისათვის. მათი შეხედულებით სოფლის მეურნენი უნაზღაურებენ უნაყოფო კლასებს მათ avances ნედლ მასალაში (ამ ნედლი მასალის გარდაქმნა მანქანებად წილად ხვდება თვით უნაყოფო კლასებს), მაშინ როდესაც, მეორეს მხრივ, სოფლის მეურნენი თავიანთი avances ერთ ნაწილს (თესლს, საშენ და საკლავ პირუტყვს, სასუქს და სხვ.) თვითვე ინაზღაურებენ თავიანთი პროდუქტიდან, ნაწილობრივ კი მანქანებს და სხვ. იღებენ უნაყოფო კლასისაგან ნედლ მასალაზე გაცვლის გზით.

შემდეგ, ბატონი *როდბერტუსი* ცდება, როდესაც იგი *ღირებულების დანაწილებას* და *პროდუქტის დანაწი-*

[1] რასაკვირველია არა!

ლებას აიგივებს. *შემოსავლის წყაროს* პირდაპირ არავითარი საერთო არა აქვს პროდუქტის *ღირებულების ამ დანაწილებასთან*. ის გარემოება, რომ ღირებულების ნაწილები, რომელნიც, მაგალითად, ნართის მწარმოებელთ წილად ხვდებათ და რომელნიც ოქროს განსაზღვრულ რაოდენობაში გამოიხატებიან, *რეალიზაციას* პოულობენ ყოველი სახის პროდუქტებში, სამიწათმოქმედო ან მრეწველობის პროდუქტებში, ეკონომისტებმა ისევე კარგად იციან როგორც *როდბერტუსმა*. ეს თავისთავად ნაგულისხმევია, ვინაიდან ისინი აწარმოებენ *საქონელთ* და არა პროდუქტებს მწარმოებელთა უშუალო მოხმარებისათვის. რადგანაც გასანაწილებელი ღირებულება, ე. ი. ღირებულების შემადგენელი ნაწილი, რომელიც შემოსავალში გადადის, წარმოების ყოველი ცალკე სფეროს შიგნით სხვებისგან დამოუკიდებლად იწარმოება — თუმცა იგი შრომის დანაწილების გამო სხვებს გულისხმობს, — ამიტომ *როდბერტუსი* რეგრესს აკეთებს და არევდარევას იწვევს იმით, რომ იგი, ნაცვლად იმისა, რომ ღირებულების ეს შექმნა წმინდა სახით განიხილოს, მას იმთავითვე ბურუსში ხვევს იმ საკითხით, თუ რა წვლილს უზრუნველყოფენ ღირებულების ეს შემადგენელი ნაწილები თავიანთ მფლობელთათვის ნაციის კუთვნილ ერთობლივ პროდუქტში. მისთვის პროდუქტის ღირებულების დანაწილება მაშინათვე *სახმარ ღირებულებათა დანაწილებად* იქცევა. რადგანაც იგი ამ არევდარევას სხვა ეკონომისტებს აჩემებს, ამიტომ აუცილებელი ხდება მისი კორექტივი, დამუშავებულ და ნედლი პროდუქტის განხილვა en bloc — განხილვის წესი, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება ღირებულების შექმნასთან არა აქვს, მაშასადამე, მცდარია, თუ მან ღირებულების ეს შექმნა უნდა ახსნას. დამუშავებული პროდუქტის ღირებულებაში, რამდენადაც ეს პროდუქტი შემოსავალში გადადის და რამდენადაც ფაბრიკატი მიწის რენტას არ იხდის, სულერთია, იქნება ეს რენტა გადასახდელი შენობებით დაკავებულ მიწისათვის, თუ ჩანჩქერებისათვის და სხვ., — მონაწილეობენ მხოლოდ კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა. სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულებაში კი უმრავლეს შემთხვევაში სამი თანამოზიარე იღებს მონაწილეობას. ამას ბატონი *როდბერტუსიც* აღიარებს. ის წესი, რომლითაც იგი მოვლენას ხსნის, არაფერს არ სცვლის ამ ფაქტში, მაგრამ, როდესაც სხვა ეკონომისტები, განსაკუთრებით *რიკარდო*, ორ ნაწილად დაყოფიდან — კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის, — გამოდიან და მიწის რენტის მიმღები მხოლოდ შემდგომ შეჰყავთ მასში თანამონა-

წილედ როგორც სპეციალური მეორედ ჩასახვა, მაშინ ეს სრულიად შეეფერება კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისს. გასაგნობრივებული შრომა და ცოცხალი შრომა — აი ორი ფაქტორი, რომელთა დაპირისპირებაზეც კაპიტალისტური წარმოება ემყარება. კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა წარმოების ერთადერთი მოღვაწენი და ფაქტორებია, რომელთა ურთიერთობა და დაპირდაპირება წარმოების კაპიტალისტური წესის ბუნებიდან გამომდინარეობს. ის პირობები, რომელშიაც კაპიტალისტი იძულებული ხდება თავის მხრივ მის მიერ ექსპლოატაციის საშუალებით მოპოვებული ზედმეტი შრომის ანუ ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი მესამე, არამშრომელ, პირთ გაუნაწილოს, თავს იჩენენ მხოლოდ მეორე ინსტანციაში. წარმოების ფაქტია აგრეთვე ის, რომ პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილის გარდა, რაც შრომის ხელფასის სახითაა გასტუმრებული და ღირებულების იმ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რომელიც მუდმივ კაპიტალს უდრის, პროდუქტის მთელი ღირებულება[1] [და ამით მთელი ზედმეტი ღირებულება] პირდაპირ მუშის ხელიდან კაპიტალისტის ხელში გადადის. ეს უკანასკნელი მუშის მიმართ წარმოადგენს მთელი ზედმეტი ღირებულების უშუალო მფლობელს, კიდევაც რომ იგი მას შემდეგში უნაწილებდეს ფულის გამსესხებელ კაპიტალისტებს და მიწისმფლობელთ და სხვ. ამიტომ წარმოებას შეეძლო, როგორც ჯემს მილი შენიშნავს, შეუფერხებლად წინსვლა, რომ მიწის რენტის მიმღები გამქრალიყო და მისი ადგილი სახელმწიფოს დაეჭირა[2]. იგი — მიწის კერძო მესა-

---

[1] ხელნაწერში სწერია: Surpluswert. — კ.

[2] ლენდლორდი და კაპიტალისტი. 1862 წლის 15 ივლისის Morning Star-ი მოწინავე წერილში არკვევს საკითხს, თუ ვის მოვალეობას შეადგენს შეინახოს, ნებით თუ იძულებით, ლანკაშირის ბამბის მრეწველობის ოლქებში მუშები, გაჭირვებულნი ამერიკაში ბამბის ნაკლებობის და სამოქალაქო ომის გამო და ამასთანავე დასძენს: „ამ ხალხს კანონიერი უფლება აქვს იმ სიმდიდრეთა ხარჯზე შენახვისა, რომელიც მეტწილად მათი ბეჯითობით არის შექმნილი... ამბობდენ, რომ ის ხალხი, რომელმაც ბამბის მრეწველობის საშუალებით დიდი ქონება შეიძინა, უწინარეს ყოვლისა ვალდებულია უხვი დახმარება გაიღოს. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ასეა... ვაჭრები და მრეწველები ამის შესაბამისად იქცეოდენ. მაგრამ წარმოადგენენ თუ არა ისინი ერთადერთ კლასს, რომელმაც ფული ბამბის მრეწველობიდან ამოიღო? რასაკვირველია, არა. ლანკაშირის და ჩრდილოეთ-ჩეშირის მიწათმფლობელებს მეტად დიდი ნაწილი ჰქონდათ ასეთი წესით მოპოვებულ სიმდიდრეში. და ეს მიწათმფლობელები იმ განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდენ, რომ ისინი სიმდიდრეში მონაწილეობდენ ამ სიმდიდრის შემქმნელ მრეწველობისათვის რაიმე ნივთიერი ან იდეური დახმარების გაუწევლად... ფაბრიკანტმა თავისი კაპიტალით, თავისი გამოცდილებით და თავისი დაუღალავი

კუთრე — სრულებით არ წარმოადგენს წარმოების აუცილებელ აგენტს კაპიტალისტური წარმოებისათვის, თუმცა ამ უკანასკნელისათვის საჭიროა, რომ მიწის საკუთრება ეკუთვნოდეს ვინმე სხვას, მხოლოდ არა მუშას, ე. ი. მაგალითად, სახელმწიფოს. ეს წარმოების კაპიტალისტური წესის რაობაზე დამყარებული — განსხვავებით ფეოდალურ, ანტიურ და სხვათაგან — დაყვანა წარმოებაში უშუალოდ მონაწილე კლასებისა, მაშასადამე, კლასებისა, რომლებიც უშუალოდ მონაწილენი არიან წარმოებულ ღირებულებაში და შემდეგ თვით პროდუქტში, რომელშიაც ეს ღირებულება რეალიზაციას პოულობს, — კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებამდე მიწის მესაკუთრის გამოკლებით, რომელიც მხოლოდ post festum გამოდის ბუნებრივ ძალებზე კერძო საკუთრების ურთიერთობათა გამო, რაც არაა *აღმოცენებული* წარმოების კაპიტალისტური წესიდან, არამედ მიღებულია მის მიერ *მემკვიდრეობით*, — ეს დაყვანა, არამც თუ არ წარმოადგენს *რიკარდოს* და სხვათა შეცდომას, არამედ წარმოადგენს წარმოების კაპიტალისტური წესის ადეკვატურ თეორიულ გამოსახულებას, იგი გამოხატავს მის differentia specifica-ს. ბატონი *როდბერტუსი* მეტისმეტად ძველი პრუსიელი „მემამულეა" იმისთვის, რომ ეს გაიგოს. ამასთანავე ეს გარემოება პირველად გასაგები და თავისთავად თვალსაჩინო ხდება მაშინვე, როგორც კი კაპიტალისტი მიწათმოქმედებას ეუფლება და ყველგან,

წინდახედულობით ხელი შეუწყო ამ დიდი მრეწველობის შექმნას, რომელიც ახლა რყევას განიცდის ესოდენ ძლიერი ბიძგების გამო. ფაბრიკის მუშამ მისცა მას თავისი დახელოვნება, თავისი დრო და თავისი სხეულის შრომა; მაგრამ რა მისცეს მას ლანკაშირის მიწათმფლობელებმა? სრულებით არაფერი, და, მიუხედავად ამისა, მათ მაინც უფრო უხვი მოგება მიიღეს აქედან, ვიდრე თითოეულმა ორივე სხვა კლასმა... უეჭველია, რომ ამ მსხვილი ლენდლორდების ყოველწლიური შემოსავლის გადიდება, რომელიც ამ ერთი მიზეზიდან მომდინარეობს, მეტად დიდია, შესაძლებელია, არა ნაკლები, ვიდრე გასამკეცება".

კაპიტალისტი მუშათა უშუალო ექსპლოატატორია, უშუალო, არა მარტო მიმთვისებელი, არამედ გამომწვევი ზედმეტი შრომისა; მაგრამ, ვინაიდან მრეწველი კაპიტალისტისთვის ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ წარმოების პროცესის საშუალებით და წარმოების პროცესში, ამიტომ იგი თვით წარმოადგენს ამ წარმოების აგენტს, მის დირექტორს. ლენდლორდს კი, პირიქით, მიწის საკუთრებაში (აბსოლუტური რენტისათვის) და მიწის ხარისხთა ბუნებრივ სხვადასხვაობაში (დიფერენციალური რენტა) აქვს უპირატესობა, რაც მას შესაძლებლობას აძლევს ჩაიჯიბოს იმ ზედმეტი შრომის ანუ ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომლის ხელმძღვანელობას და შექმნას იგი არაფრით ხელს არ უწყობს. ამიტომ კაპიტალისტი კოლიზიის შემთხვევებში მას უყურებს როგორც კაპიტალისტური წარმოების უბრალო ხორცმეტს, პარაზიტს, სხვის მჭამელ წყლულს, როგორც მკბენარს, რომელიც მას ქურქში უზის.

როგორც, მეტწილად, ინგლისში, მიწათმოქმედების, სრულიად ისე როგორც მრეწველობის, ხელმძღვანელად ხდება და მიწის მესაკუთრეს ყოველივე უშუალო მონაწილეობიდან წარმოების პროცესში გამორიცხავს. ამრიგად, რასაც აქ ბატონი *როდბერტუსი* „შემცდარ გზად“ სთვლის, ეს არის მხოლოდ მის მიერ გაუგებრად დარჩენილი სწორი გზა, ის ჯერ კიდევ შებოჭილია ისეთი შეხედულებებით, რომელნიც წარმოების წინაკაპიტალისტური წესიდან გამომდინარეობენ.

„აგრეთვე იგიც (*რიკარდო*) არ ანაწილებს *მზა* პროდუქტს მონაწილეთა შორის, არამედ ისე, როგორც სხვა ეკონომისტები, იღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტსაც და სამრეწველო პროდუქტსაც, თითოეულს როგორც დანაწილებისადმი დაქვემდებარებულ განსაკუთრებულ პროდუქტს“ (l. c., გვ. 167).

არა პროდუქტს, ბატონო *როდბერტუსო*, არამედ პროდუქტის *ღირებულებას*, და ეს სრულიად სწორია. თქვენს „მზა“ პროდუქტს და მის განაწილებას აბსოლუტურად არავითარი საერთო არა აქვს ღირებულების ამ განაწილებასთან.

„კაპიტალის საკუთრება მისთვის (*რიკარდოსთვის*) მოცემულია და ამასთანავე მოცემული უფრო ადრე, ვიდრე მიწის საკუთრება... ამრიგად, იგი იწყებს არა საფუძვლებიდან, არამედ პროდუქტის დანაწილების ფაქტიდან და მთელი მისი თეორია კმაყოფილდება იმ მიზეზებით, რომელნიც პროდუქტის დანაწილების შეფარდებას საზღვრავენ და მოდიფიკაციას უშვებენ... პროდუქტის დანაწილება მხოლოდ *ხელფასსა* და *კაპიტალის მოგებად* მისთვის არის *თავდაპირველი* და იმთავითვე აგრეთვე ერთადერთი“ (l. c., გვ. 167).

ეს თქვენ, ბატონო *როდბერტუსო*, კვლავ არ გესმით. კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით კაპიტალის საკუთრება გვეჩვენება მართლაც როგორც „თავდაპირველი“, რადგანაც იგი წარმოადგენს საკუთრების ისეთ სახეს, რომელზედაც კაპიტალისტური წარმოება ემყარება და რომელიც იმავე კაპიტალისტურ წარმოებაში გვევლინება როგორც ფაქტორი და აგენტი, რასაც ადგილი არა აქვს მიწის საკუთრების მიმართ. უკანასკნელი [სახე საკუთრებისა] *გვეჩვენება* როგორც წარმოებული, ვინაიდან სინამდვილეში თანამედროვე მიწათმფლობელობა *ფეოდალურია*, მაგრამ გარდაქმნილი ასეთად კაპიტალის შემოქმედების საშუალებით, მაშასადამე, თავის ფორმაში თანამედროვე მიწათმფლობელობის სახით *წარმოებული*, როგორც შედეგი კაპიტალისტური წარმოებისა. ის გარემოება, რომ *რიკარდო* ამ ფაქტს, იმ სახით, როგორც იგი მოცემულია და როგორც იგი თანამედროვე საზოგადოებაში გვევლინება, განიხილავს აგრეთვე როგორც *ისტორიულად* თავდა-

პირველს, მაშინ როდესაც თქვენ, ნაცვლად იმისა, რომ შერჩეთ თანამედროვე ფორმას, არ შეგიძლიათ განთავისუფლდეთ მემამულეთა მოგონებათაგან, — წარმოადგენს იმ შეცდომას, რომელსაც ბურჟუაზიული ეკონომისტები ყველა იმ ბურჟუაზიულ-ეკონომიური კანონების მიმართ უშვებენ, რომელნიც მათ „ბუნების კანონებად“ და ამიტომ ისტორიულ „Prius“-ადაც ეჩვენებათ.

მაგრამ, რიკარდო რომ იქ, სადაც საქმე არა პროდუქტის ღირებულებას, არამედ თვით პროდუქტს ეხება, მთელ „მზა“ პროდუქტს ანაწილებს, — ეს ბატონ როდბერტუსს შეეძლო დაენახა უკვე მისი წინასიტყვაობის პირველი დებულებიდანვე.

„მიწის პროდუქტი, ყველაფერი, რაც კი მისი ზედაპირიდან შრომის, მანქანების და კაპიტალის შეერთებული გამოყენებით მიიღება, ნაწილდება საზოგადოების სამ კლასს შორის, სახელდობრ: მიწის მესაკუთრეთა, ამ მიწის დასამუშავებლად აუცილებელი მარაგის ანუ კაპიტალის მესაკუთრეთა და იმ მუშებს შორის, რომელთა ბეჯითობაც მას ამუშავებს“ (Principles of Political Economy, წინასიტყვაობა).

იგი უშუალოდ იქვე განაგრძობს:

„მაგრამ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მეტად სხვადასხვაა მიწის ერთობლივ პროდუქტში ის წილი, რომელიც თითოეულ ამ კლასს ხვდება რენტის, მოგების ან შრომის ხელფასის სახით“ (l. c.).

აქ ლაპარაკია „ერთობლივი პროდუქტის“ და არა სამრეწველო პროდუქტის ანდა ნედლი პროდუქტის დანაწილებაზე. მაგრამ ეს წილი „ერთობლივ პროდუქტში“ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ, — თუ ეს „ერთობლივი პროდუქტი“ მოცემულად იგულისხმება, — იმ წილით, რაც წარმოების ყოველი სფეროს შიგნით თითოეულ თანამონაწილეს აქვს თავის საკუთარ პროდუქტის „ღირებულებაში“. ეს „ღირებულება“ შესაცვლელი და გამოსახატავია „ერთობლივი პროდუქტის“ განსაზღვრული ჯერადი ნაწილის მიერ. რიკარდო აქ, ა. სმიტის მსგავსად, ცდება მხოლოდ იმაში, რომ ივიწყებს, რომ არა ერთობლივი პროდუქტი ნაწილდება რენტასა, მოგებასა და შრომის ხელფასად, არამედ რომ ერთი ნაწილი აქედან კაპიტალის ფორმაში წილად ხვდება ერთს ან რამოდენიმეს ამ სამი კლასიდან.

[მოვუსმინოთ კვლავ როდბერტუსს:]

„ამრიგად, თქვენ შეგეძლოთ გეთქვათ შემდეგი: როგორც თავდაპირველად კაპიტალის მოგების თანასწორობის კანონს ნედლი პროდუქტების ფასები უნდა დაეწია იმდენად, რომ მიწის რენტა უნდა გამქრალიყო, რათა შემდგომ ხელახლა წარმოშობილიყო მხოლოდ ფასების აწევის გამო უფრო ნაყო-

ფიერი და ნაკლებად ნაყოფიერი მიწის მოსავლიანობის სხვაობიდან, ისე აგრეთვე დღესაც მიწის რენტის მიღების უპირატესობანი კაპიტალის ჩვეულებრივ მოგებასთან ერთად საბაბს მისცემდა კაპიტალისტებს გამოეყენებიათ კაპიტალი ახალ დამუშავებასა და გაუმჯობესებაზე მანამ, სანამ ამ გზით გამოწვეული ბაზრის გავსების გამო ფასები საკმაოდ არ დაიწევდა, რათა მიწის რენტის მიღება კაპიტალის ყველაზე უფრო არახელსაყრელი დაბანდების პირობებში გამქრალიყო. სხვა სიტყვებით, ეს იქნებოდა მტკიცება იმისი, რომ კაპიტალის მოგებათა თანასწორობის კანონი სპობს ნედლი პროდუქტისათვის მეორე კანონს იმის შესახებ, რომ პროდუქტთა ღირებულება განისაზღვრება დახარჯული შრომით, მაშინ როდესაც სწორედ რიკარდო თავისი ნაწარმოების I-ლ თავში პირველ კანონს ამტკიცებს, რათა ამით მეორე დაამტკიცოს" (l. c., გვ. 174).

მართლაც, ბატონო როდბერტუსო! „კაპიტალის მოგებათა თანასწორობის" კანონი არ სპობს იმ კანონს, რომ პროდუქტთა „ღირებულება" დახარჯული შრომით „განისაზღვრება". მაგრამ იგი, რასაკვირველია, სპობს რიკარდოს წინაპირობას, რომ პროდუქტთა წარმოების ფასი მათ „ღირებულებას" უდრის. მაგრამ ეს მაინც არაა „ნედლი პროდუქტი", რომლის ღირებულებაც წარმოების ფასამდე დაბლა იწევს, არამედ, პირიქით. „ნედლი პროდუქტი" ხასიათდება — მიწის საკუთრების გამო — იმ პრივილეგიით, რომ მისი ღირებულება არ ეცემა წარმოების ფასამდე. მისი ღირებულება რომ მართლაც დაბლა იწევდეს, — რაც შესაძლებელი იქნებოდა მიუხედავად თქვენი „მასალის ღირებულებისა", — წარმოების ფასთან ერთ დონემდე, მაშინ მიწის რენტა გაჰქრებოდა. იმ ხარისხის მიწები, რომელნიც დღეს ზოგიერთ შემთხვევებში არავითარ მიწის რენტას არ იხდიან, ვარდებიან ასეთ მდგომარეობაში იმიტომ, რომ მათთვის ნედლი პროდუქტების საბაზრო ფასი მათი საკუთარი წარმოების ფასს უდრის და იმიტომ, რომ ისინი, უფრო ნაყოფიერი მიწის ნაკვეთების კონკურენციის გამო, პრივილეგიას კარგავენ გაყიდონ თავიანთი პროდუქტი მისი „ღირებულების" მიხედვით.

„შეიძლება თუ არა იყოს მართალი, რომ მანამ სანამ საერთოდ მიწის დამუშავებაზე გადასვლა იწყება, უკვე არსებობენ კაპიტალისტები, რომელნიც მოგებას ღებულობენ და ამ მოგების თანასწორობის კანონის მიხედვით თავიანთ კაპიტალებს აბანდებენ? [1]... მე ვაღიარებ, რომ როდესაც ამჟამად განათლებული ქვეყნებიდან რომელიმე ახალ დაუმუშავებელ ქვეყანაში ექსპედიცია ეწყობა, რომლის დროსაც უფრო მდიდარი მონაწილენი უკვე ძველი კულტურის მარაგით და იარაღებით — კაპიტალით — მომარაგებული არიან, ხოლო უფრო ღარიბნი კი მათთან ერთად იმ იმედით მიემგზავრებიან, რათა მდიდართა სამსახურის გაწევაში მაღალი ხელფასი მიიღონ, — მე ვაღიარებ, რომ მაშინ კაპიტალისტები მას, რაც მათ მუშების ხელფასზე ზევით რჩებათ, შეხედავენ როგორც თავიანთ მოგე-

[1] როგორი უაზრობაა!

ბას, ვინაიდან მათ თან მოაქვთ მეტროპოლიიდან ხანგრძლივად არსებული საგნები და ცნებანი“ (l. c., გვ. 174, 175).

აი, ესაა საკითხის ღერძი, ბატონო *როდბერტუსო*. *რიკარდოს* მთელ შეხედულებას აზრი აქვს მხოლოდ წარმოების კაპიტალისტური წესის, როგორც გაბატონებული წარმოების, პირობებში. თუ როგორ გამოხატავს იგი ამ გულისხმობას, უშვებს თუ არა ის ამასთანავე ისტორიულ hysteron proteron-ს, ამას საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. უნდა დაშვებულ იქნას, მაშასადამე, არ უნდა იქნას ჩართული, როგორც ამას თქვენ შვებით, გლეხის მეურნეობა, რომელსაც კაპიტალისტური ბუხჰალტერია არ ესმის და ამიტომ თესლეულს და სხვ. ავანსად გაღებულ კაპიტალში არ ანგარიშობს! ეს არის „უაზრობა“ არა *რიკარდოსი*, არამედ *როდბერტუსის*, როდესაც ეს უკანასკნელი „მიწის დამუშავებამდე“ კაპიტალისტების და მუშების არსებობას შესაძლებლად აღიარებს“ (l. c., გვ. 176).

„რიკარდოს... შეხედულების მიხედვით მიწის კულტურა უნდა დაიწყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც... საზოგადოებაში კაპიტალი წარმოშობილია და კაპიტალის მოგება ცნობილი ხდება და მისი ნადახდა სწარმოებს“ (გვ. 178).

როგორი უაზრობაა! მხოლოდ როდესაც კაპიტალისტები მოიჯარადრის სახით მიწის მუშასა და მიწის მესაკუთრეს შორის შეიჭრა, — სულერთია, მოხდა ეს ისე, რომ ძველი ვასალი გარდაიქმნა კაპიტალისტურ მოიჯარადრედ, თუ ისე, რომ მრეწველი თავის კაპიტალს ნაცვლად მრეწველობისა მიწათმოქმედებაში აბანდებს, — მხოლოდ მაშინ იწყება, მართალია, არა „მიწის კულტურა“, მაგრამ, რასაკვირველია, მიწის *კაპიტალისტური* კულტურა, რომელიც თავისი ფორმისა და შინაარსის მიხედვით მეტად განსხვავდება მიწის კულტურის წინანდელ ფორმათაგან.

„ყოველ ქვეყანაში მიწის უდიდესი ნაწილი ბევრად უფრო ადრე გახდა საკუთრებად, ვიდრე იგი დამუშავებულ იქნა; განსაკუთრებით კი ამას ბევრად უფრო ადრე ჰქონდა ადგილი მაშინ, როდესაც სარეწაოებში მოცემული იყო კაპიტალის მოგების განაკვეთი“ (l. c., გვ. 179).

*რიკარდოს* შეხედულების გასაგებად *როდბერტუსისათვის* საჭირო იყო, რომ იგი, ნაცვლად პომერანელ მემამულისა, ინგლისელი ყოფილიყო და სცოდნოდა სათემო მიწის ნაკვეთებისა და გაშვებული ადგილების შემოფარგვლის ისტორია. ბატონ *როდბერტუსს* მაგალითისათვის ამერიკა მოჰყავს. სახელმწიფო აქ მიწას ყიდის „პარცელებად პირველად დამმუშავებელთ და, რასაკვირველია, უმნიშვნელო ფასად, მაგრამ ისეთ ფასად, რომელიც *ყოველ შემთხვევაში* უკვე მიწის რენტას მაინც უნდა წარმოადგენდეს“

(l. c., გვ. 179, 180). სრულიადაც არა. ეს ფასი ისევე ნაკლებად აყალიბებს მიწის რენტას, როგორც, ვთქვათ, საერთო სარეწაო გადასახადი ჩამოაყალიბებდა **სარეწაო რენტას** ანდა როგორც საერთოდ რომელიმე გადასახადი „რენტას“ აყალიბებს.

„მაგრამ ([მშრომელი] მოსახლეობის გადიდებით ან გამოყენებული შრომის რაოდენობის გადიდებით გამოწვეული) [მიწის რენტის] ამ აწევის მიზეზის მიმართ, იმ მიზეზის, რომელსაც b შეიცავს, მე ვამტკიცებ, რომ მიწის რენტას კაპიტალის მოგების წინაშე უპირატესობა აქვს. კაპიტალის მოგებას არასდროს არ შეუძლია აიწიოს მაღლა იმის გამო, რომ უცვლელი პროდუქტიულობის დროს, მაგრამ საწარმოო ძალის გადიდების (გაზრდილი მოსახლეობის დროს) პირობებში ნაციონალური პროდუქტის გადიდების გამო კაპიტალის მოგების უფრო მეტი რაოდენობა რჩება ნაციაში, ვინაიდან კაპიტალის მოგების ეს უფრო მეტი რაოდენობა ნაწილდება ყოველთვის იმავე შეფარდებით გადიდებულ კაპიტალს, ხოლო მოგების ნორმა კი ერთსადაიმავე სიმაღლეზე რჩება“ (l. c., გვ. 184, 185).

ეს შემცდარია: გადაუხდელი ზედმეტი შრომის რაოდენობა იზრდება, მაგალითად, თუ 2 საათი ზედმეტი სამუშაო დროის ნაცვლად მუშაობა 3, 4, 5 საათი სწარმოებს. ამ გადაუხდელი ზედმეტი შრომის მასასთან ერთად ავანსად გაღებული კაპიტალის მასა არ იზრდება [იმავე შეფარდებით], ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ზედმეტი შრომის ეს შემდგომი გარდამეტი არ გადაიხდება, იგი, მაშასადამე, კაპიტალის არავითარ ხარჯებს [ცვალებადი კაპიტალისთვის] არ იწვევს; მეორე, იმიტომ რომ ხარჯები [ძირითადი კაპიტალისათვის] არ იწევს მაღლა იმავე შეფარდებით, როგორც იწევს მაღლა მისი მოხმარება. საჭირო არ ხდება მეტი თითისტარის გამოყენება და სხვ. რასაკვირველია ისინი უფრო სწრაფად ცვდებიან, მაგრამ არა იმავე შეფარდებით, რომლითაც ისინი უფრო მეტად მოიხმარებიან. მაშასადამე, თანასწორი პროდუქტიულობის პირობებში, აქ მოგება იზრდება, რადგანაც არა მარტო ზედმეტი ღირებულება, არამედ **ზედმეტი ღირებულების ნორმაც** გაიზარდა. მიწათმოქმედებაში ეს შეუძლებელია ბუნებრივი პირობების გამო. მეორეს მხრივ, პროდუქტიულობა ადვილად იზრდება დახარჯული კაპიტალის გადიდებასთან ერთად. თუ განზე დავტოვებთ შრომისა და მანქანების დანაწილებას, მაშინ მართალია ადგილი აქვს აბსოლუტურად დიდი კაპიტალის დახარჯვას, მაგრამ, საწარმოო პირობების ეკონომიის გამო, შედარებით არც ისე დიდი კაპიტალი იხარჯება. მაშასადამე, მოგების ნორმას შეეძლო გაზრდილიყო თვით მაშინაც კი, თუ ზედმეტი ღირებულება, და არა მარტო მისი ნორმა, იგივე დარჩებოდა.

პოზიტიურად შემცდარია და წმინდა პომერანელი მემამულისებურია, როდესაც **როდბერტუსი** ამბობს:

„შესაძლებელია, რომ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში [1800 — 1830 წლამდე] პარცელებად დანაწილებისა და თვით დამუშავების მეოხებით ბ ე ვ რ ი მფლობელობანი წარმოიშვა და გადიდებული მიწის რენტა, მაშასადამე, ნაწილდებოდა აგრეთვე ბევრ მფლობელთა შორის, მაგრამ იგი ნაწილდებოდა 1830 წელში არა უფრო მეტ მორგენზე, ვიდრე 1800 წელში; ახლად განშტოებული ანუ ახლად დამუშავებული მიწის ნაკვეთები მთელი მათი მორგენების რიცხვით მოთავსებული იყო წინათ მიწის ძველ ნაკვეთებში, და მიწის მცირე რენტა 1800 წელში, მაშასადამე, მაშინ ისევე ისე ნაწილდებოდა მათ შორის და ისევე იძლეოდა დახმარების საშუალებას ინგლისის მიწის რენტის სიმაღლის განსაზღვრისათვის საერთოდ, როგორც 1830 წელში დიდი რენტა“ (l. c., გვ. 186).

ძვირფასო პომერანელო! რატომ მუდამ შენი პრუსიის ურთიერთობანი მედიდურად უნდა გადავიტანოთ ინგლისში? ინგლისელი სრულიად არ ანგარიშობს ისე, რომ თუ, — როგორც მართლა ამას ადგილი ჰქონდა (ამაზე შემდეგში), — 1800 წლიდან 1830 წლამდე[1] 3-დან 4 მილიონამდე აკრი იქნა „შემოფარგლული“, რენტა 1830 წლამდეც და 1800 წელშიც ამ 4 მილიონ აკრზე ნაწილდებოდა. ეს უკანასკნელი [მაშინ] წარმოადგენდა, უკეთ რომ ვთქვათ, დამუშავებულ მიწას ან სათემო მიწას, რომელიც არავითარ რენტას არ იძლეოდა და არც არავის ეკუთვნოდა.

როდესაც რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი, ისე როგორც კ ე რ ი, — მხოლოდ რამოდენიმედ სხვა გზით — ცდილობს დაუმტკიცოს რ ი კ ა რ დ ო ს, რომ „ყველაზე უფრო ნაყოფიერი“ მიწის დამუშავება უმეტეს წილად ფიზიკური და სხვა მიზეზების გამო არა პირველ რიგში ხდება, ამას არავითარი საქმე რ ი კ ა რ დ ო ს თ ა ნ არა აქვს. „უნაყოფიერესი“ მიწა არის ყოველთვის უნაყოფიერესი მოცემულ საწარმოო პირობებში.

იმ საყვედურთა ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლითაც რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი რ ი კ ა რ დ ო ს მიმართავს, იქიდან გამომდინარეობს, რომ იგი პომერანიის და ინგლისის საწარმოო ურთიერთობებს გულუბრყვილოდ აიგივებს. რ ი კ ა რ დ ო გულისხმობს კაპიტალისტურ წარმოებას, რომელსაც აგრეთვე, სადაც კი იგი განხორციელებულია, მაგალითად, როგორც ინგლისში, შეეფერება კაპიტალისტური მოიჯარადრისა და მიწის მესაკუთრის ერთიმეორისაგან გათიშვა. რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი იღებს ისეთ ურთიერთობებს, რომელნიც თავისთავად კაპიტალისტური წარმოებისათვის უცხოა და რომელზედაც ეს წარ-

---

[1] „კაპიტალის“ პირველ ტომში, თავი მე-24, გვ. 758 (მეორე გამოცემა) [ქართული გამოცემა, 1930 წ., გვ. 671] მ ა რ ქ ს ი ლაპარაკობს იმ 3 511 770 აკრ სათემო მიწაზე, რომელიც სოფლის მოსახლეობას „1801—1831 წლებში ჩამოერთვა და გადაეცა პარლამენტარული წესით ლენდლორდებს, ლენდლორდების მიერ“.—ქ.

მოება მხოლოდ ზედნაშენს წარმოადგენს. ის, რასაც ბატონი *როდბერტუსი*, მაგალითად, სამეურნეო კომპლექსებში სამეურნეო ცენტრთა მდგომარეობის შესახებ ლაპარაკობს, სრულიად შეეფერება პომერანიას, მაგრამ არა ინგლისს, სადაც წარმოების კაპიტალისტურმა წესმა, — რომელიც მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ყველა პირობებს ასიმილიაცია უყო და სხვადასხვა პერიოდებში ისტორიულ-წინაპირობებს, სოფლებს, შენობებს და ხალხს ძირიანად შეუცვალა-სახე, რათა ამით გზა გაეკაფა კაპიტალის „უაღრესად პროდუქტიული" დაბანდებისათვის.

ასევე შემცდარია ის, რასაც *როდბერტუსი* „კაპიტალისდაბანდებაზე" ლაპარაკობს:

„*რიკარდო* მიწის რენტას შემოსაზღვრავს იმით, რაც მიწისმფლობელსეძლევა მიწის *თავდაპირველი, ბუნერივი* და *გაუნადგურებელი ძალებით* სარგებლობისათვის. ამრიგად, მას სურს ყველაფერი ის, რაც უკვე დამუშავებულ მიწის ნაკვეთებზე კაპიტალის ზეგავლენისათვის უნდა მიგვეწერა, გამოკლებული იყოს მიწის რენტიდან. მაგრამ ნათელია, რომ მას მიწის ნაკვეთისშემოსავლიდან არასდროს არ შეუძლია მიათვალოს კაპიტალს მეტი, ვიდრე *მთელი* ამათუიმ *ქვეყნისთვის ჩვეულებრივი* სარგებელია. ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იძულებული იქნებოდა მიეღო, რომ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში ადგილი აქვს მოგების ორ სხვადასხვა ნორმას; ერთია სასოფლო-სამეურნეო, რომელიც უფრო დიდ მოგებას იძლევა, ვიდრე ფაბრიკაციაში გამეფებული ნორმა მოგებისა და მეორეა ეს უკანასკნელი; ეს კი იქნებოდა ისეთი გულისხმობა, რომელიც სწორედ მის სისტემას, დაფუძნებულს მოგების ნორმისთანასწორობაზე, გადააყირავებდა" (l. c., გვ. 215, 216).

აქ ჩვენ კვლავ საქმე გვაქვს იმ პომერანელი მემამულის წარმოდგენასთან, რომელიც კაპიტალს სესხულობს, რათა თავისი საკუთარი მამული გააუმჯობესოს და ფულის მსესხებელს კი, მაშასადამე, გადაუხადოს „ქვეყნისთვის ჩვეულებრივი სარგებელი". მაგრამ ინგლისში სხვაგვარადაა საქმის ვითარება. იქ, მიწის გაუმჯობესებისათვის კაპიტალს ხარჯავს კაპიტალისტური მოიჯარადრე. იგი ამ კაპიტალიდან, სავსებით ისე როგორც იმ კაპიტალიდან, რომელსაც ის პირდაპირ წარმოებაში აბანდებს, მოითხოვს არა ქვეყნისთვის ჩვეულებრივ *სარგებელს*, არამედ ქვეყნისთვის ჩვეულებრივ *მოგებას*. იგი არ აძლევს სესხად მემამულეს არავითარ კაპიტალს, რომლისთვისაც მან უნდა იხადოს „ქვეყნისთვის ჩვეულებრივი" სარგებელი. იგი, შესაძლებელია, თვით სესხულობს კაპიტალს ან იყენებს თავის საკუთარ ზედმეტ კაპიტალს, რათა ამ უკანასკნელმა მას „ქვეყნისთვის ჩვეულებრივი" სამრეწველო მოგება მისცეს, მისცეს ყოველ შემთხვევაში, ქვეყნისთვის ჩვეულებრივი სარგებლის ორმაგი მაინც-

ესეც კია, რომ რიკარდომ იცის ის, რაც უკვე ანდერსონმა იცოდა და ამას გარდა გარკვევით ლაპარაკობს, რომ მიწის ის საწარმოო ძალა, რომელიც კაპიტალის მიერ ამ სახითაა შექმნილი, შემდეგში თანაემთხვევა მის „ბუნებრივ“ საწარმოო ძალას, მაშასადამე, ადიდებს მიწის რენტას. ამ ურთიერთობათა შესახებ როდბერტუსმა არაფერი არ იცის, მაშასადამე, იგი უაზროდ ლაყბობს.

თანამედროვე მიწის საკუთრება მე უკვე სავსებით სწორად ავხსენი:

„რენტა, რიკარდოს აზრით, საადგილმამულო საკუთრებაა ბურჟუაზიული სახისა: ე. ი. ფეოდალური საკუთრება, რომელიც ბურჟუაზიული წარმოების პირობებს დაექვემდებარა“ (Misère de la Philosophie. პარიზი, 1847 წ. გვ. 156 [ქართული გამოცემა, 1931 წ. გვ. 233]).

[იქვე] შევნიშნავ მე აგრეთვე სწორად:

„რიკარდომ თუმცა ბურჟუაზიული წარმოება იგულისხმა აუცილებელ პირობად რენტის განსაზღვრისათვის, მაგრამ მას რენტის ცნება მაინც გადააქვს ყველა ეპოქისა და ყველა ქვეყნის საადგილმამულო საკუთრებაზე. ეს არის შეცდომა ყველა ეკონომისტთა, რომელნიც ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობათ მარადიულ კატეგორიებად სთვლიან“ (l. c., გვ. 160. [ქართ. გამოც. გვ. 238)].

ასევე სწორად აღვნიშნე ისიც, რომ „terres capitaux“, „მიწა-კაპიტალები“, ისე როგორც ყველა სხვა კაპიტალი, შეიძლება გადიდებულ იქნან:

„მიწა-კაპიტალი ისევე შეიძლება გადიდებულ იქნეს, როგორც წარმოების ყველა სხვა საშუალება. ნივთიერებას, ბ-ნი პრუდონის ენით რომ ვთქვათ, არა მოემატება რა, მაგრამ გამრავლდება მიწები, რომლებიც წარმოების საშუალებად გამოიყენება. უკვე მარტო კაპიტალის ახალი დაბანდებით მიწაში, რომელიც წარმოების საშუალებად გამოიყენება, ჩვენ ვადიდებთ მიწა-კაპიტალს რისამე მიუმატებლად მიწა-ნივთიერებისათვის, ე. ი. მიწის ფართობისთვის“ (l. c., გვ. 165 [ქართ. გამოც. გვ. 242]).

სწორი რჩება მუდამ ის განსხვავება მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის, რომელიც მე მაშინ წამოვაყენე:

„ჯერ ერთი, აქ არ შეიძლება, როგორც მანუფაქტურულ მრეწველობაში, სურვილისამებრ გამრავლებულ იქნეს იმავე ხარისხის პროდუქტიულობის საწარმოო იარაღები, ე. ი. იმავე ხარისხის ნაყოფიერების მიწები. შემდეგ, მოსახლეობის თანდათანი ზრდის გამო ადამიანები იძულებული ხდებიან ხელი მიჰყონ უმდარესი მიწების დამუშავებას ანდა იმავე მიწაში კაპიტალის ახალ-ახალ დაბანდებას პროპორციულად წინანდელებზე უფრო ნაკლებ პროდუქტიულს“ (l. c., გვ. 157 [ქართ. გამოც. გვ. 234]).

როდბერტუსი ამბობს:

„მაგრამ მე უნდა მივაქციო ყურადღება მეორე გარემოებასაც, რომელიც, მართალია, ბევრად უფრო თანდათანობით, მაგრამ სამაგიეროდ ბევრად უფრო დიდი მასშტაბითაც ცუდი სასოფლო-სამეურნეო მანქანებიდან უკეთეს მანქანებს აკეთებს. ესაა თვით მიწის ნაკვეთის უწყვეტი დამუშავება მხოლოდ და მხოლოდ გონივრული სისტემის მიხედვით, ისე რომ კაპიტალის სულ მცირეოდენ განსაკუთრებულ დაბანდებასაც კი ადგილი არა აქვს“ (l. c., გვ. 222).

ამას უკვე ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ც ლაპარაკობს. კულტურა აუმჯობესებს მიწას.

„თქვენ უნდა დაგემტკიცებიათ, რომ მიწათმოქმედებით მოსაქმე მშრომელმა მოსახლეობამ დროთა ვითარებაში უფრო დიდი შეფარდებით მოიმატა, ვიდრე საარსებო საშუალებათა წარმოებამ, ანდა, თუგინდ, ვიდრე ამათუიმ ქვეყნის მოსახლეობის დანარჩენმა ნაწილმა. მარტო აქედან შეიძლებოდა დაურღვეველი დასკვნის გამოყვანა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებასთან ერთად აგრეთვე თანდათან მეტი შრომა უნდა ყოფილიყო მასზე გამოყენებული. მაგრამ სწორედ ამაში გეწინააღმდეგებათ თქვენ სტატისტიკა“ (l. c., გვ. 274). „დიახ, თქვენ ყველგან ის წესიც კი მიგაჩნიათ გამეფებულად, რომ რამდენადაც უფრო მჭიდროა რომელიმე ქვეყნის მოსახლეობა, იმდენად უფრო მცირე შეფარდებით ეწევიან ადამიანები მიწის დამუშავებას... იგივე მოვლენა აშკარავდება იმავე ქვეყნის მოსახლეობის ზრდის პირობებში: მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მიწის დამუშავებას ა რ ეწევა, თითქმის ყველგან უფრო ძლიერი შეფარდებით გაიზრდება“ (l. c., გვ. 275).

მაგრამ ეს ხდება ნაწილობრივ იმიტომ, რომ ადგილი აქვს მეტი სახნავი მიწის საქონლის ჯოგისა და ცხვრის ფარისათვის საძოვრებად გადაქცევას. ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ წარმოების უფრო მაღალ საფეხურზე — მსხვილი მიწათმოქმედების დროს — შრომა უფრო პროდუქტიული ხდება. მაგრამ აგრეთვე იმიტომაც, — და ესაა ის გარემოება, რომელსაც ბ-ნი რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი სრულიად მხედველობიდან უშვებს, — რომ არასამიწათმოქმედო მოსახლეობის ერთი დიდი ნაწილი თანამონაწილეობს მიწის დამუშავებაში იმით, რომ იძლევა მუდმივ კაპიტალს, — რომელიც კულტურის წინსვლასთან ერთად იზრდება, — როგორც, მაგალითად, მინერალური სასუქი, უცხოეთის თესლეული, ყოველი სახის მანქანები და სხვ.

რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ს მიხედვით (l. c., გვ. 78). სოფლის მეურნე „დღეს“ (პომერანიაში) მის საკუთარ მეურნეობაში წარმოებულ საკვებს მუშა-საქონლისათვის არ უყურებს როგორც კაპიტალს.

„კაპიტალი თავისთავად ანდა პოლიტიკურ-სამეურნეო მნიშვნელობით წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც შემდგომი წარმოებისათვის გამოიყენება... მაგრამ იმისთვის, რათა იგი კაპიტალი იყოს იმ განსაკუთრებული „მოგების“ მიმართ, რომელსაც ის უნდა იძლეოდეს, ანდა დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი მ ე ს ა რ ე წ ი ს თვალსაზრისით, იგი უნდა მოგვევლინოს „დანახარჯის“ სახით“ (l. c., გვ. 77).

მხოლოდ ეს ცნება „დანახარჯი“ არ მოითხოვს, — როგორც როდბერტუსი ფიქრობს, — რომ პროდუქტი ნაყიდი იყოს საქონლის სახით. როდესაც პროდუქტის ერთი ნაწილი, ნაცვლად იმისა, რომ გაყიდულ იქნეს როგორც საქონელი, ხელახლა შედის წარმოებაში, იგი შედის მასში როგორც საქონელი. იგი წინასწარ ფასდება როგორც „ფული“ და ეს მით უფრო ნათელი გასაგებია, რომ ყველა ეს „დანახარჯი“ მიწათმოქმედებაშიც იმავე დროს „საქონლის“ სახით გვევლინებიან ბაზარზე, როგორც, მაგალითად, პირუტყვი, საკვები, სასუქი, ხორბალი, რომელიც თესლად გამოიყენება, ყოველი სახის თესლეული და სხვ. მაგრამ პომერანიაში, როგორც ჩანს, ყველა ეს „ხარჯებში“ არ შეაქვთ.

„ამ სხვადასხვა სამუშაოთა (მრეწველობა და ნედლეულის წარმოება) განსაკუთრებული შედეგების ღირებულება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს თვით შემოსავალს, რომელიც მათ მფლობელს ერგება, არამედ წარმოადგენს ჯერ მხოლოდ სალიკვიდაციო მასშტაბს ამისთვის. თვით ეს სათანადო შემოსავალი წარმოადგენს იმ საზოგადოებრივი შემოსავლის ნაწილს, რომელიც მარტოოდენ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შეერთებული შრომით იქმნება და რომლის ნაწილებიც, მაშასადამე, შრომის ამ ერთად მოქმედებით იქმნება“ (l. c., გვ. 36).

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის ამას? ამ ღირებულების რეალიზაცია შეიძლება იყოს მხოლოდ მისი რეალიზაცია სახმარ ღირებულებაში. ამის შესახებ სრულიად ლაპარაკიც არაა. ამას გარდა აუცილებელ შრომის ხელფასში უკვე შედის სამიწათმოქმედო და სამრეწველო პროდუქტი იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ღირებულება გამოიხატება მუშის არსებობისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებებში.

## 2. შენიშვნები ეგრეთწოდებული რიკარდოს კანონის აღმოჩენის ისტორიის შესახებ.

### a) ანდერსონი და მალთუსი. როშერი.

ანდერსონი პრაქტიკოსი მოიჯარადრე იყო. მისი პირველი თხზულება, რომელშიც რენტის ბუნების განხილვა გაკვრით სწარმოებს, გამოვიდა 1777 წელში, იმ დროს, როდესაც სერ ჯემს სტიუარტი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ჯერ კიდევ ავტორიტეტულ ეკონომისტად ითვლებოდა, მაგრამ როდესაც ამასთანავე საერთო ყურადღება მიმართული იყო „Wealth of Nations“-ზე, რომელიც ერთი წლით უფრო ადრე გამოვიდა. პირიქით, შოტლანდიელი მოიჯარადრის თხზულებას, რომელიც დაწერილი

იყო უშუალოდ პრაქტიკული სადავო საკითხის გამო და რომელიც რენტას არკვევდა არა „ex professo", არამედ მის ბუნებას მხოლოდ სხვათა შორის ხსნიდა, არ შეეძლო არავითარი ყურადღების მიპყრობა. ასევე გაკვრით გვხვდება მისი ეს თეორია მის ერთ თუ ორ ნარკვევში, რომელიც მოთავსებული იყო მის მიერვე გამოცემულ კრებულში. ეს უკანასკნელი გამოვიდა სამ ტომად შემდეგი სათაურით: „Essays relating to Agriculture and rural affaires". 3 vol. 1777—1796. ედინბურგი. ასევე ითქმის 1797—1802 წლებში გამოცემულ თხზულებაზეც; „Recreations in Agriculture, Natural History, Arts and miscellaneous literature", ლონდონი. ორივე ეს თხზულება დანიშნულია პირდაპირ მოიჯარადრეთა და სოფლის მეურნეთათვის. ა ნ დ ე რ ს ო ნ ს რომ თავისი აღმოჩენის მნიშვნელობაზე წარმოდგენა ჰქონოდა და იგი ცალკე გადაეცა საზოგადოებისათვის, როგორც გამოკვლევა მიწის რენტის ბუნების შესახებ, ანდა მას რომ თუგინდ რამოდენიმედ მაინც ტალანტი ჰქონოდა საკუთარი იდეებით ეწარმოებია ვაჭრობა, რომელსაც ასე წარმატებით, — მხოლოდ სხვისი იდეებით, — მისი თანამემამულე მ ა კ კ უ ლ ო ხ ი აწარმოებდა, — მაშინ საქმის ვითარება სხვაგვარად [მოეწყობოდა]. მისი თეორიის რეპროდუქცია მოგვევლინა 1815 წელში იმთავითვე დამოუკიდებელ თ ე ო რ ი უ ლ გამოკვლევათა სახით რენტის ბუნების შესახებ, როგორც ამას ვ ე ს ტ ი ს და მ ა ლ თ უ ს ი ს სათანადო თხზულებათა უკვე სათაურები გვიჩვენებენ. მ ა ლ თ უ ს ი: „Inquiry into the Nature and Progress of Rent". ვ ე ს ტ ი: „Essay on the Application of Capital to Land".

შემდეგ, მ ა ლ თ უ ს მ ა გამოიყენა ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ს თეორია რენტის შესახებ, რათა თავის მოსახლეობის კანონისათვის იმავე დროს პოლიტიკურ-ეკონომიური და რეალური, ბუნებრივ-ისტორიული საფუძველი მიეცა, მაშინ როდესაც მის მიერ წინა მწერლებიდან [ნასესხები] უაზრობა გეომეტრიული და არითმეტიკული პროგრესიის შესახებ წმინდა წყლის ქიმერიულ ჰიპოტეზას წარმოადგენდა. M-r მ ა ლ თ უ ს მ ა დაუყოვნებლივ გამოიყენა შემთხვევა. რ ი კ ა რ დ ო მ კი ეს მოძღვრება რენტის შესახებ, როგორც თვითვე ამბობს წინასიტყვაობაში, ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლად გახადა პოლიტიკური ეკონომიის საერთო სისტემაში და მისცა მას — თუ არას ვიტყვით ეგზაქტიურ მხარეზე — სრულიად ახალი თეორიული მნიშვნელობა.

რ ი კ ა რ დ ო, აშკარაა, არ იცნობდა ა ნ დ ე რ ს ო ნ ს, ვინაიდან იგი თავისი პოლიტიკური ეკონომიის წინასიტყვაობაში ვ ე ს ტ ს

და მალთუსს ისე უყურებს, როგორც მიწის რენტის კანონის აღმომჩენელთ. ვესტიც, თუ იმ ორიგინალური მანერის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლითაც იგი რენტის კანონს გადმოგვცემს, შესაძლებელია ისევე არ იცნობდა ანდერსონს, როგორც ტუკი (Tooke) არ იცნობდა სტიუარტს. სულ სხვაგვარადაა საქმე მალთუსის შესახებ. მისი თხზულების გულდასმითი შედარება გვიჩვენებს, რომ იგი ანდერსონს იცნობს და იყენებს. მალთუსი საერთოდ პროფესიონალური პლაგიატორი იყო. საჭიროა მხოლოდ შევადაროთ მისი თხზულების პირველი გამოცემა მოსახლეობის შესახებ მაღალსაღმვდელო ტოუნსენდის თხზულებას, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი მას არ ამუშავებს როგორც თავისუფალი შემომქმედი, არამედ, როგორც მონა პლაგიატი, გადმოსწერს მას და თავის სიტყვებით გადმოგვცემს, თუმცა იგი მას არსად არ იხსენიებს, მის არსებობას მალავს. დამახასიათებელია ის წესი, თუ როგორ სარგებლობდა მალთუსი ანდერსონით. ანდერსონი იცავდა საექსპორტო პრემიებს გასაზიდ ხორბალზე და ბაჟებს ხორბლის შემოზიდვის წინააღმდეგ არა ლენდლორდების ინტერესებისათვის, არამედ იმიტომ, რომ მას სწამდა, თითქოს კანონმდებლობის ეს წესი ამცირებდეს ხორბლეულის წარმოების ფასს და უზრუნველყოფდეს მიწათმოქმედების საწარმოო ძალთა თანაბარ განვითარებას. მალთუსმა გადმოიღო ანდერსონის ეს პრაქტიკული შეხედულება, რადგანაც იგი, — ინგლისის სახელმწიფო ეკლესიის ჭეშმარიტი წევრი — პროფესიონალური სიკოფანტი იყო საადგილმამულო არისტოკრატიისა, რომლის რენტას, სინეკურას, მფლანგველობას, უგულობას და სხვ. ეკონომიურად ამართლებდა. მალთუსი იცავს სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ინტერესები იდენტიურია მიწათმფლობელობის, არისტოკრატიის, ინტერესებთან, ე. ი. წინააღმდეგი ხალხის მასის, პროლეტარიატის; მაგრამ იქ, სადაც კი ბურჟუაზიის და არისტოკრატიის ინტერესები ერთი მეორეს სცილდება და ერთი მეორეს უპირისპირდება, იგი დგება არისტოკრატიის მხარეზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ. აქედან წარმოდგება მის მიერ „არაპროდუქტიული მუშების“, ჭარბი მოხმარებისა და სხვ. დაცვა.

ანდერსონი, პირიქით, განსხვავებას რენტის მომცემ მიწასა და [ისეთ] მიწას შორის, [რომელიც] არავითარ რენტას არ იხდის, ანდა განსხვავებას იმ მიწათა შორის, რომელნიც არათანასწორი სიდიდის რენტას იხდიან, ხსნის იმ მიწის შეფარდებითი უნაყოფო-

ბით, რომელიც არავითარ ან მცირე რენტას იძლევა შედარებით იმ მიწასთან, რომელიც რენტას საერთოდ ან უფრო დიდ რენტას იძლევა. მაგრამ იგი გარკვევით ამბობდა, რომ სხვადასხვა სახის მიწის ნაკვეთთა შეფარდებითი ნაყოფიერების ამ ხარისხებს, მაშასადამე, უფრო ცუდი ხარისხის მიწის ნაკვეთების შეფარდებით უნაყოფობასაც შედარებით მიწის უკეთეს ნაკვეთებთან, სრულიად არავითარი საერთო არა აქვთ მიწათმოქმედების აბსოლუტურ ნაყოფიერებასთანო. პირიქით, იგი არა მარტო იმაზე მიგვითითებდა, რომ ყველა ხარისხის მიწათა აბსოლუტურ ნაყოფიერებას შეუძლია მუდმივად გაიზარდოს და მოსახლეობის ზრდასთან ერთად უნდა გაიზარდოს კიდეც, არამედ იგი უფრო შორს მიდიოდა და ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა სახის მიწათა ნაყოფიერებაში არსებულ უთანასწორობას შეუძლია პროგრესიულად გათანასწორება განიცადოსო. იგი ამბობს, რომ მიწათმოქმედების განვითარების დღევანდელი დონე ინგლისში არავითარ წარმოდგენას არ იძლევა მისი შესაძლებელი განვითარების შესახებ. იგი ამბობდა [აგრეთვე], რომ შესაძლებელია ერთ ქვეყანაში პურეულის ფასი მაღალი და მიწის რენტა კი დაბალი იყოსო, ხოლო მეორე ქვეყანაში პურეულის ფასი — დაბალი და რენტა კი — მაღალიო; და ეს გამომდინარეობდა მისი პრინციპიდან, ვინაიდან ორივე ქვეყანაში რენტის სიმაღლეს და არსებობას საზღვრავს უფრო ნაყოფიერ და უფრო უნაყოფო მიწას შორის არსებული სხვაობა და არა მათი აბსოლუტური ნაყოფიერება, საზღვრავს მას თითოეულ მათგანში მხოლოდ მოცემული მიწის ნაკვეთების ნაყოფიერების განსხვავების ხარისხი და არა მათი საშუალო ნაყოფიერება. იგი აქედან ასკვნის, რომ მიწათმოქმედების აბსოლუტურ ნაყოფიერებას აბსოლუტურად არაფერი საერთო არა აქვს რენტასთანო. ამიტომაც მან შემდეგში თავის თავი გამოაცხადა, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, მ ა ლ თ უ ს ი ს მოსახლეობის თეორიის მედგარ მტრად და აზრადაც არ მოსვლია ის გარემოება, რომ მისი საკუთარი თეორია რენტის შესახებ უნდა გამხდარიყო საფუძველი ამ მახინჯი და უკუღმართი გამოგონებისათვის. ა ნ დ ე რ ს ო ნ ი პურეულის ფასების გადიდებას ინგლისში 1750 წლიდან 1801 წლამდე, შედარებით 1700 — 1750 წლების პერიოდთან, ხსნიდა არა თანდათან უფრო უნაყოფო მიწის ნაკვეთების დამუშავებით, არამედ იმ ზეგავლენით, რომელიც კანონმდებლობას ჰქონდა მიწათმოქმედებაზე ორივე ამ პერიოდის განმავლობაში.

რას აკეთებს ახლა მ ა ლ თ უ ს ი?

ნაცვლად თავისი (აგრეთვე მოპარული) ქიმერისა გეომეტრიული და არითმეტიკული პროგრესიის შესახებ, რომელიც მან ფრაზის სახით დაიტოვა, მალთუსმა ანდერსონის თეორია გამოიყენა თავისი მოსახლეობის თეორიის დასადასტურებლად. მან დაიტოვა ანდერსონის მიერ თეორიის გამოყენება, რამდენადაც იგი ლენდლორდების ინტერესებს შეეფერებოდა, — ფაქტი, რომელიც მარტოოდენ საკმაოა იმის დასამტკიცებლად, რომ მას ამ თეორიის კავშირი პოლიტიკური ეკონომიის სისტემასთან ისევე ნაკლებად ესმოდა, როგორც თვით ანდერსონს; ეს თეორია მან შემოატრიალა პროლეტარიატის წინააღმდეგ ისე, რომ არც კი შესულა მისი აღმომჩენის საწინააღმდეგო მითითებათა განხილვაში. იგი რიკარდოს უტოვებს იმ თეორიულ და პრაქტიკულ წინსვლას, რომლის გაკეთებაც კი ამ თეორიის საშუალებით შეიძლება: თეორიულად — საქონლის ღირებულების განსაზღვრისა და სხვ. და მიწის საკუთრების ბუნების გაგებისათვის; პრაქტიკულად კი — მიწის კერძო საკუთრების აუცილებლობის წინააღმდეგ ბურჟუაზიული წარმოების საფუძველზე და შემდეგ ყველა სახელმწიფოებრივი ზომების წინააღმდეგ, როგორც, მაგალითად, ხორბალზე ბაჟები და სხვ., რომელთაც შეეძლოთ ამ მიწის კერძო საკუთრების გადიდებისათვის ხელისშეწყობა. ერთადერთი სასარგებლო პრაქტიკული გამოყენება, რომელიც მალთუსმა ამ თეორიიდან გააკეთა, — ეს იყო იმ მფარველობითი ბაჟების დაცვა, რომელთაც 1815 წელში ლენდლორდები მოითხოვდნენ, ე. ი. სიკოფანტური სამსახური არისტოკრატიისათვის, და სიმდიდრის შემქმნელ მწარმოებელთა სიღატაკის ახალი გამართლება, შრომის ექსპლოატატორთა ახალი აპოლოგია. [ამ მხრივ მის მიერ თეორიის გამოყენება წარმოადგენს აგრეთვე] სიკოფანტურ სამსახურს მრეწველი კაპიტალისტებისათვის.

მალთუსს ახასიათებს აზროვნების ღრმა უმსგავსოება; ეს უმსგავსოება შეუძლია დაუშვას მხოლოდ ხუცესს, რომელიც ადამიანის სიღატაკეში ცოდვაში შთავარდნის სასჯელს ხედავს და საზოგადოდ „მწუხარების სააქაო ღელეზე" მიგვითითებს, მაგრამ რომელიც ამასთანავე მის მიერ მისაღებ სამრევლო შემოსავლის ფონდს მხედველობაში იღებს და განგების შესახებ დოგმატის საშუალებით სრულიად ხელსაყრელად სთვლის „დაუტკბოს" გაბატონებულ კლასებს ამ „მწუხარების ღელეში" ყოფნა.

ამ აზროვნების უმსგავსოება აშკარავდება აგრეთვე მეცნიერულადაც. ჯერ ერთი, მის მიერ უსირცხვილო და ხელობის სახით წარმოებულ პლაგიატორობაში. მეორე, იმ ანგარიშით

ალსავსე და არა ამ ანგარიშმოკლებულ დასკვნებში, რომელნიც მას მეცნიერული წარნამძღვრებიდან გამოჰყავს. რიკარდო თავის დროისათვის სრული უფლებით უყურებს წარმოების კაპიტალისტურ წესს, როგორც ყველაზე უფრო ხელსაყრელს წარმოებისათვის საერთოდ, როგორც ყველაზე უფრო ხელსაყრელს სიმდიდრის შესაქმნელად. მას წარმოება წარმოებისათვის უნდა და იგი ამაში მართალი [ცააა]. როდესაც ამტკიცებენ, — როგორც ამას რიკარდოს სანტიმენტალური მოწინააღმდეგენი ჩადიოდენ, — რომ წარმოება, როგორც ასეთი, არაა მიზანიო, ავიწყდებათ, რომ წარმოება წარმოებისათვის სხვას არას ნიშნავს, თუ არ ადამიანის საწარმოო ძალთა განვითარებას, მაშასადამე, ადამიანის ბუნების სიმდიდრის განვითარებას როგორც თვითმიზანს. თუ ამ მიზანს დაუპირდაპირებთ, როგორც ამას სისმონდი ჩადის, ცალკე პიროვნების კეთილდღეობას, მაშინ ეს იმის მტკიცება იქნებოდა, რომ ადამიანთა მოდგმის განვითარება უნდა შეჩერებულ იქნეს ცალკე პიროვნების კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, რომ, მაშასადამე, არ შეიძლება არავითარი ომის წარმოება, სადაც ცალკე პირები ყოველ შემთხვევაში ისპობიან. სისმონდი მართალია იმ ეკონომისტების მიმართ, რომლებიც ამ წინააღმდეგობას ჩქმალავენ, უარყოფენ. ის გარემოება, რომ ადამიანის მოდგმის უნარიანობის ეს განვითარება, რომელიც თუმცა უწინარეს ყოვლისა ადამიანთა ინდივიდუუმების უმრავლესობისა და ადამიანთა განსაზღვრულ კლასების ხარჯზე ხდება, ბოლოს და ბოლოს ამ ანტაგონიზმს არღვევს და თანაემთხვევა ცალკე ინდივიდუუმის განვითარებას, რომ, მაშასადამე, ინდივიდუალობის უმაღლესი განვითარება მხოლოდ იმ ისტორიული პროცესით გამოისყიდება, რომელშიაც ინდივიდუუმები მსხვერპლად მიიტანებიან, — ეს ყველა გაუგებარი რჩება, — თუ არას ვიტყვით ასეთ შეხედულებათა უნაყოფობაზე, — ვინაიდან მოდგმის ინტერესები ადამიანთა სამეფოში, ისე როგორც ცხოველთა და მცენარეთა სამეფოში მუდამ ინდივიდუუმთა სარგებლობის ხარჯზე ხორციელდებიან. რიკარდოს მოურიდებელი დაუნდობლობა იყო, მაშასადამე, არა მარტო მეცნიერულად კეთილსინდისიერი, არამედ მეცნიერულად მართებულიც მისი თვალსაზრისისთვის. მაგრამ ამიტომაც მისთვის სულერთია, კლავს თუ არა საწარმოო ძალთა განვითარება მიწის საკუთრებას ან მუშას. თუ ეს პროგრესი სამრეწველო ბურჟუაზიის კაპიტალს ღირებულებას არ უკარგავს, მაშინ ეს მისთვის ასევე სასურველია. თუ შრომის საწარმოო ძალის განვითარება არსებულ ძირი-

თად კაპიტალს სანახევროდ უკარგავს ღირებულებას, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ამას, ამბობს *რიკარდო*. ადამიანის შრომის საწარმოო ძალა გაორკეცდა. აქ, არის, მაშასადამე, *მეცნიერული კეთილსინდისიერება*. თუ *რიკარდოს* შეხედულება საერთოდ *სამრეწველო ბურჟუაზიის* ინტერესებს შეესაბამება, ეს მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც მისი ინტერესები თანაემთხვევა წარმოების ანუ ადამიანის შრომის პროდუქტიული განვითარების ინტერესებს. იქ, სადაც შრომის ეს პროდუქტიული განვითარების ინტერესები ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის ინტერესებს, *რიკარდო* ისევე *დაუნდობელია* ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როგორც სხვა შემთხვევებში პროლეტარიატისა და არისტოკრატიის წინააღმდეგ.

*რიკარდოს* დასახასიათებლად მეტად მნიშვნელოვანი და დამარწმუნებელია შემდეგი ორი დებულება:

„მე უაღრესად ვინანებდი, თუ რომელიმე განსაკუთრებული კლასის ინტერესების მხედველობაში მიღება გამოიწვევდა ქვეყნის სიმდიდრისა და მოსახლეობის პროგრესის შეფერხებას“ (*Ricardo*, An Essay on the Influence of a low Price of corn on the Profits of Stock etc. 2nd ed. გვ. 49, ლონდონი, 1815).

ხორბლეულის თავისუფალი იმპორტის დროს „მიწა დაუმუშავებელი რჩება“ (l. c.). [მაგრამ სამრეწველო წარმოებას კი ხელი ეწყობა.] მაშასადამე, მიწის საკუთრება წარმოების განვითარებას მსხვერპლად ეწირება.

მაგრამ ხორბლის იმავე თავისუფალი იმპორტის დროს:

„არ შეიძლება უარყოფილ იქნას, რომ კაპიტალის რამოდენიმე ნაწილი დაიკარგება. მაგრამ რას წარმოადგენს კაპიტალის მფლობელობა ანუ შენახვა — მიზანს თუ საშუალებას? უეჭველია, საშუალებას. ის, რასაც ჩვენ ვსაჭიროებთ — ეს არის დოვლათთა[1] სიუხვე და რომ შეიძლებოდეს დამტკიცება იმისი, რომ ჩვენ კაპიტალის ერთი ნაწილის შეწირვით შეგვეძლო იმ დოვლათთა წლიური პროდუქციის გადიდება, რომლებიც ჩვენს სიამოვნებას და ჩვენს ბედნიერებას ემსახურებიან, მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა, რასაკვირველია, უფლება უკმაყოფილებისა ჩვენი კაპიტალის ერთი ნაწილის დაკარგვის გამო“ (On Protection to Agriculture. 4th ed. ლონდონი 1822, გვ 60).

„*ჩვენს კაპიტალს*“ *რიკარდო* უწოდებს არა იმ კაპიტალს, რომელიც *ჩვენ* ან *მას* ეკუთვნის, არამედ იმას, რომელიც კაპიტალისტების მიერ მიწაშია ფიქსაციაქმნილი. მაგრამ *ჩვენ*! — ეს საშუალოა მთელი ნაციისა. „*ჩვენი*“ სიმდიდრის გადიდება

[1] სიმდიდრე საერთოდ.

არის გადიდება საზოგადოებრივი სიმდიდრისა, გადიდება, რომელიც, როგორც ასეთი, წარმოადგენს მიზანს ამ სიმდიდრეში მონაწილეთა განურჩევლად!

„იმ ადამიანისათვის, რომელსაც 20 000 გირვ. სტერლინგი კაპიტალი აქვს და რომლის წლიური მოგებაც 2000 გირვ. სტერლინგს შეადგენს, სავსებით სულ-ერთი იქნებოდა ამუშავებს მისი კაპიტალი ასს თუ ათას კაცს, და წარმოებული პროდუქტი იყიდება 10 000 გირვ. სტერლინგად თუ 20 000 გირვ. სტ.-ად, თუ ვიგულისხმებთ, რომ მისი მოგება არავითარ შემთხვევაში 2000 გირვ. სტერლინგზე დაბლა არ იწევს. განა ხალხის ნამდვილი ინტერესი ასეთივე არაა? თუ ვიგულისხმებთ, რომ მისი ნამდვილი წმინდა შემოსავალი, მისი რენტა და მოგებანი უცვლელი დარჩებოდა, მაშინ სრულიად უმნიშვნელოა, შესდგება ხალხი ათი თუ თორმეტი მილიონი მცხოვრებისაგან“ (Principles of Political Economy. 3rd ed. გვ. 416).

აქ „პროლეტარიატი“ სიმდიდრის მსხვერპლადაა შეწირული. რამდენადაც იგი სულერთია სიმდიდრის არსებობისათვის, იმდენად სიმდიდრეც სულერთია მისი არსებობისათვის. იგი არის მხოლოდ მასა — ადამიანთა მასა — და არაფერი არ ღირს.

აქ ამ სამ მაგალითზე ნაჩვენებია რიკარდოს მეცნიერული მიუდგომლობა.

მაგრამ მალთუსს, ამ უბადრუკ ადამიანს, მეცნიერულად მოცემულ და მის მიერ მუდამ ნაპარავ წარნამძღვრებიდან მხოლოდ ისეთი დასკვნები გამოჰყავს, რომლებიც არისტოკრატიისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ორივესთვის კი პროლეტარიატის წინააღმდეგ სასიამოვნო და სასარგებლოა. ამიტომ მას სურს არა წარმოება წარმოებისათვის, არამედ წარმოება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არსებულს ინახავს ანუ აფართოვებს[1] და გაბატონებული კლასების ინტერესებს შეეფერება. უკვე მის პირველ თხზულებას, რომელიც ორიგინალურ ნაწარმოებთა ხარჯზე პლაგიატობის წარმატების ერთ საუკეთესო ლიტერატურულ მაგალითს წარმოადგენს, პრაქტიკული მიზანი ჰქონდა ინგლისის მაშინდელი მთავრობისა და საადგილმამულო არისტოკრატიის ინტერესების დასაცავად დაემტკიცებია საფრანგეთის რევოლიუციისა და ინგლისში ამ რევოლიუციის მიმდევართა მისწრაფებანი არსებული წყობილების გაუმჯობესებისადმი როგორც „ეკონომიური“ უტოპია. სხვა სიტყვებით, ეს იყო პანეგირიული პამფლეტი არსებულ წყობილების სასარგებლოდ ისტორიული განვითარების წინააღმდეგ და ამასთანავე გამართლება ომისა რევოლიუციური საფრანგეთის წინააღმდეგ. მის თხზულე-

[1] ხელნაწერში სწერია: ბერავს. — კ.

ზებს 1815 წელში მფარველობითი ბაჟებისა და მიწის რენტის შესახებ ნაწილობრივ უნდა დაედასტურებიათ მწარმოებელთა სიღატაკის წინანდელი აპოლოგია, მაგრამ სპეციალურად უნდა დაეცვათ რეაქციური მიწათმფლობელობა „განათლებული“, „ლიბერალური“ და „პროგრესიული“ კაპიტალის წინააღმდეგ და კერძოდ კი გაემართლებიათ ინგლისური კანონმდებლობის მიერ განზრახული უკანდახევა არისტოკრატიის ინტერესების დასაცავად და სამრეწველო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. დასასრულ, მისი „principles of political economy“, რ ი კ ა რ დ ო ს წინააღმდეგ, არსებითად მიზნად ისახავდა სამრეწველო კაპიტალის აბსოლუტური მოთხოვნილებანი და ის კანონები, რომელთა მიხედვითაც მისი პროდუქტიულობა ვითარდება, მოეთავსებია ისეთ საზღვრებში, რომელნიც „ხელსაყრელნი“ და „სასურველი“ იქნებოდენ საადგილმამულო არისტოკრატიისა, სახელმწიფო ეკლესიისა, — რომელსაც მ ა ლ თ უ ს ი ეკუთვნოდა, — მთავრობის პირთა და გადასახადების შთანმთქმელთა ინტერესების თვალსაზრისით. მაგრამ ისეთ ადამიანს, რომელიც ესწრაფვის მეცნიერება შ ე უ გ უ ო ს არა თვით ამ მეცნიერებიდან გამომდინარე, — როგორი შემცდარიც უნდა იყოს იგი, — არამედ გარედან, მისთვის უ ც ხ ო, ხ ე რ ე ლ ე ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი დ ა ნ აღებულ თვალსაზრისს, მე ვუწოდებ „უ მ ს გ ა ვ ს ს“. რ ი კ ა რ დ ო ს მხრივ არავითარი უმსგავსოება არა ჩანს იმაში, როდესაც იგი პროლეტარებს მანქანებს ანდა სატვირთავ პირუტყვს ან საქონელს უთანასწორებს, ვინაიდან „წარმოება“, მისი თვალსაზრისით, მოითხოვს, რომ პროლეტარები იყვნენ მხოლოდ მანქანები და სატვირთავი პირუტყვი, ანდა ვინაიდან ისინი კაპიტალისტურ წარმოებაში მართლაც მხოლოდ საქონელს წარმოადგენენ. ეს არის სტოიკური, ობიექტიური, მეცნიერული მსჯელობა. რამდენადაც ეს შეიძლება მოხდეს უცოდველად მისი მეცნიერების წინააღმდეგ, რ ი კ ა რ დ ო მუდამ ფილანტროპია, როგორც მართლა იყო იგი პრაქტიკულ ცხოვრებაში. ხუცესი მ ა ლ თ უ ს ი ც, პირიქით, [რასაკვირველია] აქვეითებს წარმოების გულისთვის მუშას სატვირთავ ცხოველამდე, მას მათთვის შიმშილით სიკვდილი და უქორწინობაც კი აქვს მისჯილი. [მაგრამ] სადაც კი წარმოების იგივე მოთხოვნილება ლენდლორდს მის რენტას უმცირებს, ანდა ემუქრება სახელმწიფო ეკლესიის „მეათედს“ ან გადასახადის მჭამელთა ინტერესებს ანდა აგრეთვე იმ სამრეწველო ბურჟუაზიის ნაწილს, რომლის ინტერესებიც პროგრესს აფერხებს, მსხვერპლად სწირავს ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც წარმოების პროგრესს გამოხატავს, — სადაც კი, მაშასადამე, არისტოკრატიის რაიმე ინტერესები უპირდაპირდება

ბურჟუაზიის ინტერესებს ანდა კონსერვატორული და რეტროგრადული ბურჟუაზიის ინტერესი პროგრესიული ბურჟუაზიის ინტერესს — ყველა ამ შემთხვევებში „ხუცესი“ მალთუსი არ სწირავს ცალკე ინტერესს წარმოებას, არამედ, ცდილობს, რამდენადაც კი შეუძლია, წარმოების მოთხოვნილებანი მსხვერპლად შესწიროს არსებული გაბატონებული კლასების ანდა კლასთა ნაწილების განსაკუთრებულ ინტერესებს და ამ მიზნით იგი თავის მეცნიერულ დასკვნებს აყალბებს. ეს არის მისი მეცნიერული უმსგავსოება, მისი შეცოდება მეცნიერების წინააღმდეგ, თუ არას ვიტყვით მის უსირცხვილო და ხელობის სახით წარმოებულ პლაგიატორობაზე. მალთუსის მეცნიერული დასკვნები აგებულია საერთოდ გაბატონებული კლასების და განსაკუთრებით კი ამ გაბატონებული კლასების რეაქციური ელემენტების ინტერესების მიხედვით; ეს ნიშნავს იმას, რომ იგი ამ ინტერესებისათვის მეცნიერებას აყალბებს. პირიქით, მისი მეცნიერული დასკვნები სრულიად ულმობელია, რამდენადაც საქმე დამონებულ კლასების ინტერესებს ეხება. მალთუსი არა მარტო დაუნდობელია ამ მხრივ. მას თავი მოაქვს ამ დაუნდობლობით, ცინიკურად თავი მოსწონს მით და აჭარბებს დასკვნებს, რამდენადაც ისინი მიმართულია სიღატაკეში მცხოვრებთა წინააღმდეგ, აჭარბებს თვით იმ ზომაზე ზევითაც კი, რომელიც შეიძლება გამართლებული ყოფილიყო მეცნიერულად მისივე თვალსაზრისით.

მაშასადამე, ინგლისის მუშათა კლასის სიძულვილი მალთუსისადმი — „mountebank-parson“-ისადმი (ბაზარზე მყვირალა ხუცესისადმი), როგორც მას კობეტი უხეშად უწოდებს — სრულიად გამართლებულია; ხალხი გრძნობდა აქ სწორი ინსტინქტის საშუალებით, რომ მის წინაშე დგას არა მეცნიერების ადამიანი, არამედ მოსყიდული ადვოკატი, მისი მტრების ინტერესების დამცველი, გაბატონებულ კლასთა უსირცხვილო სიკოფანტი.

რომელიმე იდეის ავტორს შეუძლია ეს იდეა კეთილსინდისიერად მიიყვანოს უკიდურესობამდე; პლაგიატი კი, რომელიც მას გადაჭარბებულად ანვითარებს, მუდამ ამ გადაჭარბებას სპეციალურ სასარგებლო მოსაქმეობად იხდის.

მალთუსის თხზულება „On Population“ [მის] პირველ გამოცემაში, ვინაიდან იგი [არცერთ] ახალ მეცნიერულ სიტყვას არ შეიცავს, უნდა განხილულ იქნას მხოლოდ როგორც მაბეზარი კაპუცინის ქადაგება, როგორც ტოუნსენდის, სტიუარტის, უოლესის, ჰერბერტის და სხვ. დასკვნების ფარისევლური ვარიანტი (Ab-

raham a Santa Clara—Version). რადგანაც ამ თხულებას სინამდვილეში მხოლოდ პოპულიარული ფორმით სურს მოახდინოს შთაბეჭდილება, ამიტომაც მის წინააღმდეგ სამართლიანად ილაშქრებს ხალხის სიძულვილიც.

მალთუსის ერთადერთ დამსახურებას, — ინტერესთა ჰარმონიის შესახებ ბურჟუაზიული ეკონომიის უბადრუკ მოძღვრებათა წინააღმდეგ,— წარმოადგენს სწორედ მის მიერ იმ დისჰარმონიათა გარკვევით წამოყენება, რომელნიც მას, მართალია, არავითარ შემთხვევაში არ აღმოუჩენია, მაგრამ რომელთაც იგი ყოველ შემთხვევაში ხუცესური თვითკმაყოფილებით ადასტურებს, ასურათებს და ავრცელებს.

ჩარლზ დარვინი თავისი თხზულების — „On the Origin of species by means of natural selection or the preservation of favored races in the struggle for life“ (მეორე გამოცემა), ლონდონი 1860 წ. — შესავალში ამბობს:

„შემდეგ განყოფილებაში უნდა განხილულ იქნას ბრძოლა არსებობისათვის მთელი ქვეყნის ორგანიულ არსებათა შორის, ბრძოლა, რომელიც აუცილებლად გამომდინარეობს მათი უაღრესად გეომეტრიული პროგრესიით გამრავლების უნარიანობიდან. ეს არის მალთუსის მოძღვრება, გამოყენებული ცხოველთა და მცენარეთა მთელ სამეფოზე“.

დარვინი, თავის საუცხოვო ნაწარმოებში, ვერ ხედავდა, რომ იგი მალთუსის თეორიას ანგრევს, როდესაც ცხოველთა და მცენარეთა სამეფოში „გეომეტრიულ“ პროგრესიას ამჟღავნებს. მალთუსის თეორია სწორედ იმაზეა დამყარებული, რომ იგი უოლესის გეომეტრიულ პროგრესიას ადამიანის შესახებ ცხოველთა და მცენარეთა ქიმერიულ „არითმეტიკულ“ პროგრესიას უპირდაპირებს. დარვინის ნაწარმოებში, მაგალითად, სახეთა ამოწყვეტის მიზეზთა განხილვის დროს, მოთავსებულია აგრეთვე დეტალურად, — თუ არას ვიტყვით მის ძირითად პრინციპზე, — ნატურალურ-ისტორიული უარყოფა მალთუსის თეორიისა. მაგრამ რამდენადაც მალთუსის თეორია ანდერსონის რენტის თეორიას ემყარება, იგი თვით ანდერსონის მიერვე იყო უარყოფილი. რიკარდო, მაგალითად, როდესაც იგი მის თეორიას იქამდე მიჰყავს, რომ შრომის ხელფასის გადიდება მის მინიმუმზე ზევით საქონლის ღირებულებას არ ადიდებსო, პირდაპირ ლაპარაკობს ამის შესახებ. მალთუსს სურს გააჩეროს შრომის ხელფასი დაბალ დონეზე, რათა ბურჟუამ ამით მოგება მიიღოს.

ანდერსონის პირველი თხზულება, რომელშიც იგი რენტის თეორიას გაკვრით ანვითარებს, წარმოადგენდა პრაქტიკული

ხასიათის პოლემიკურ ნაწარმოებს არა რენტის, არამედ მფარველობითი ბაჟების შესახებ. იგი გამოვიდა 1777 წელში და უკვე მისი სათაური გვიჩვენებს, ჯერ ერთი, მას, რომ იგი პრაქტიკულ მიზანს ისახავს და, მეორე, რომ იგი შეეხება საკანონმდებლო უშუალო აქტს ისეთ საკითხზე, რომელშიაც მრეწველს და მიწის მესაკუთრეს დიამეტრალურად საწინააღმდეგო ინტერესები აქვთ. „An Enquiry into the Nature of the Corn laws, with a view to the new Corn Bill proposed for Scotland". ედინბურგი 1777 წ. 1773 წლის კანონი (ინგლისში, იხილე ამის შესახებ მ ა კ კ უ ლ ო ხ ი ს კატალოგი) უნდა შემოღებული ყოფილიყო, როგორც ჩანს, შოტლანდიაში 1777 წელში (იხ. მუზეუმში). „1773 წლის კანონი", — ამბობს ა ნ დ ე რ ს ო ნ ი, — „გამოდიოდა აშკარად აღიარებული განზრახვიდან შეემცირებია ჩვენი მრეწველობისათვის ხორბლეულის ფასი, რათა უცხოეთიდან შემოზიდვის წახალისებით ჩვენი საკუთარი ხალხისათვის უფრო იაფი კვების შესაძლებლობა მიეცა" (A calm Investigation of the circumstances that have led to the present scarcity of grain in Britain. ლონდონი 1801. გვ. 50). ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ს თხზულება, მაშასადამე, პოლემიკური ნაწარმოები იყო სოფლის მეურნეთა, — მიწის მესაკუთრეთა ჩართვით, — ინტერესების და მათი მფარველობითი ბაჟების დასაცავად მრეწველთა ინტერესების წინააღმდეგ. მან გამოაქვეყნა ეს ნაწარმოები „შეგნებულად", როგორც პოლემიკური ხასიათის ნაწარმოები. რენტის თეორია აქ გვხვდება მხოლოდ სხვათა შორის და მის შემდგომ თხზულებებშიც, რომელნიც მუდამ მეტად თუ ნაკლებად ინტერესთა იმავე ბრძოლას შეეხებიან, იგი მხოლოდ გაკვრით ერთხელ ან ორჯერ მეორდება და მას არასდროს არა აქვს პრეტენზია მეცნიერულ ხასიათზე ანდა მხოლოდ შასზე, რომ იყოს გადმოცემის დამოუკიდებელი საგანი. ამის მიხედვით შეიძლება ვიქონიოთ მსჯელობა ვ ი ლ ჰ ე ლ მ ფ უ კ ი დ ი დ ე რ ო შ ე რ ი ს, — რომელიც, აშკარაა, ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ს თხზულებებს არ იცნობს, — შემდეგი შენიშვნის სისწორეზე:

„საკვირველია, რომ იმ მოძღვრებას, რომელიც 1777 წელში თითქმის უყურადღებოდ იყო დარჩენილი, ერთნაირად უდიდესი ინტერესით იცავდენ და ებრძოდენ 1815-სა და შემდგომ წლებში, ვინაიდან იგი ამ პერიოდის განმავლობაში ასე მკვეთრად ჩამოყალიბებულ monied და landed interest წინააღმდეგობას ეხებოდა" (Die Grundlagen der Nationalökonomie. მე-3 გამოცემა. 1858, გვ. 297, 298).

ამ დებულებაში იმდენივე შეცდომაა, რამდენიც სიტყვაა. ჯ ე რ ე რ თ ი, ა ნ დ ე რ ს ო ნ ს თავისი შეხედულება არ განუვითა-

რებია „მოძღვრების“ სახით ისე, როგორც ეს ვესტმა, მალთუსმა და რიკარდომ ქნეს. მეორე, მისი შეხედულება დარჩა არა „თითქმის“, არამედ „სრულიად“ შეუმჩნეველი. მესამე, იგი ტარდებოდა პირველად იმ თხზულებაში, რომელიც სპეციალურად ტრიალებდა მხოლოდ 1777 წელში მრეწველებსა და მიწის მესაკუთრეთა შორის მნიშვნელოვნად განვითარებულ წინააღმდეგოპის გარშემო, „ეხებოდა“ მხოლოდ მათ პრაქტიკულ ინტერესებს, ხოლო პოლიტიკური ეკონომიის საერთო თეორიას კი „ხელუხლებლად“ სტოვებდა. მეოთხე, ეს თეორია 1815 წელში წამოყენებულ იქნა მის ერთ-ერთ აღმდგენელთაგანის, მალთუსის მიერ, ხორბლეულის კანონების ინტერესებისათვის სწორედ ისევე, როგორც ეს ანდერსონმა ჩაიდინა. იგივე მოძღვრება შემოტრიალებულ იქნა მისი აღმომჩენის და მალთუსის მიერ მიწის საკუთრების სასარგებლოდ, ხოლო რიკარდოს მიერ-კი — მის წინააღმდეგ. მაშასადამე, სულ დიდი, რისი თქმაც შეიძლებოდა, — ესაა ის, რომ მათგან, ვინც ეს თეორია წამოაყენა, ერთნი მიწის საკუთრების ინტერესს იცავდენ, ხოლო მეორენი კი იმავე ინტერესის წინააღმდეგ იბრძოდენ; მაგრამ არ შეიძლებოდა არც იმის თქმა, რომ ამ თეორიას 1815 წელში ებრძოდენ მიწის საკუთრების დამცველნი, — ვინაიდან მალთუსი მას რიკარდომდე იცავდა, — და არც იმისა, რომ მას იცავდენ მიწის საკუთრებაზე იერიშის მიმტანნი, ვინაიდან რიკარდოს არ სჭირდებოდა ამ თეორიის „დაცვა“ მალთუსის წინააღმდეგ, რადგანაც იგი თვით მალთუსს უყურებდა როგორც ამ თეორიის ერთ აღმომჩენელთაგანს, როგორც თავის საკუთარ წინამორბედს. იგი უნდა „შებრძოლებოდა“ ამ თეორიის მხოლოდ მალთუსისებურ გამოყენებას. მეხუთე: იმ წინააღმდეგობას „monied“ და „landed interest“ შორის, რომელსაც ვილჰელმ ფუკიდიდე როშერი „შეეხო“, ამ ხანამდე აბსოლუტურად არავითარი საქმე არ ჰქონდა არც ანდერსონის რენტის თეორიასთან, არც მის რეპროდუქციასთან, დაცვასთან და უარყოფასთან. „Monied class“-ი, — როგორც ეს ვილჰელმ ფუკიდიდეს შეეძლო დაენახა ჯონ სტიუარტ მილის ნაწარმოებიდან (Essays on some unsettled questions of Political Economy. ლონდონი, 1844 წ. გვ. 109—110-დე), — ინგლისელს ისე ესმის, როგორც ფულის გამსესხებელი ხალხი, რომელიც [ან] სარგებლით ცხოვრობს საერთოდ ანდა პროფესიით [არის] ფულის გამსესხებელი, როგორც, მაგალითად, ბანკირები, თამასუქის მაკლერები და სხვ. ყველა ეს ხალხი „monied

class"-ის სახით, როგორც იგივე მილი შენიშნავს, უპირდაპირდება „producing class"-ს, რომელსაც მილი „მრეწველ კაპიტალისტებს" აკუთვნებს, მუშების მხედველობაში მიუღებლად. — ანდა ყოველ შემთხვევაში განსხვავდება მისგან. ამრიგად, ვილჰელმ ფუკიდიდეს უნდა შეემჩნია, რომ „producing class"-ის, მაშასადამე, აგრეთვე მრეწველი კაპიტალისტების ინტერესები და monied class-ის ინტერესები — სულ სხვადასხვა საგანია, ხოლო ეს კლასები სულ სხვადასხვა კლასებია. შემდეგ, მაშასადამე, ვილჰელმ ფუკიდიდეს უნდადაენახა აგრეთვე, რომ ბრძოლა მრეწველ კაპიტალისტებსა და ლენდლორდებს შორის სრულიად არავითარ ბრძოლას „monied Interest"-სა და „landed interest"-ს შორის არ წარმოადგენდა. თუ ვილჰელმ ფუკიდიდემ იცოდა 1815 წლის კანონმდებლობის ისტორია ხორბლეულის შესახებ და იცოდა ბრძოლა ამ კანონმდებლობის გარშემო, მაშინ მან უკვე იცოდა კობეტიდან, რომ boroughmongers (landed interest) და loanmongers (monied interest) ერთად მიდიოდენ industrial interest-ის წინააღმდეგ. მაგრამ კობეტი „უხეშია" [1]. 1815 — 1847 წლების პერიოდის ისტორიიდან ვილჰელმ ფუკიდიდეს უნდა სცოდნოდა შემდეგ, რომ monied interest უმეტეს ნაწილად და ნაწილობრივ კი თვით commercial interest (მაგალითად, ლივერპული) ხორბლეულის კანონების გარშემო ბრძოლაში landed interest-ის მოკავშირეთა შორის იმყოფებოდენ manufacturing interest-ის წინააღმდეგ.

მაგრამ შეიძლებოდა როშერი ყველაზე უფრო გაეკვირვებია იმ გარემოებას, რომ ერთიდაიგივე „მოძღვრება" მიმართული იყო 1777 წელში „landed interest"-ის სასარგებლოდ, ხოლო 1815 წელში მის საწინააღმდეგოდ და მხოლოდ მაშინ მიიქცია მან ყურადღება.

თუ მოვისურვებდი ასევე დაწვრილებით გამეშუქებია ყველაის ანალოგიური უხეში გაყალბებანი ისტორიისა, რომელთაც ვილჰელმ ფუკიდიდე ჩადის თავის ლიტერატურულ-ისტორიულ შენიშვნებში, მაშინ მე უნდა დამეწერა ისეთივე სქელი ნაწარმოები, როგორიც არის მისი „Grundlagen" („საფუძვლები"), ხოლო ასეთი ნაწარმოები სინამდვილეში იმ ქაღალდადაც კი არ ეღირებოდა, რომელზედაც იგი დაიწერებოდა. მაგრამ თუ რამდენად შეუძლია რო-

---

[1] მართალია, კობეტი ინგლისის უდიდესი პოლიტიკური მწერალია ამ საუკუნის განმავლობაში, მაგრამ მას აკლდა ლეიპციგის პროფესორის განათლება და იგი პირდაპირი მტერი იყო „სწავლულთა" ენების.

შელიმე ვილჰელმ ფუკიდიდეს სწავლულ უვიცობას თავის მხრივ მოახდინოს უკუგავლენა მკვლევარებზე მეცნიერების სხვა დარგებში, ამას ჩვენ ვხედავთ ბატონ ა. ბასტიანის მაგალითზე, რომელსაც თავის თხზულებაში „Der Mensch in der Geschichte" 1860 (ტ. I, გვ. 374, შენიშვნა), ვილჰელმ ფუკიდიდეს ზემოაღნიშნული დებულება მოჰყავს, როგორც დასამტკიცებელი საბუთი „ფსიქოლოგიური" დაკვირვებისთვის[1]. ბასტიანზე, სხვათა შორის, არ შეიძლება ითქვას: „materiam superabat opus". პირიქით, აქ opus-ი ვერ ართმევს თავს თავის საკუთარ ნედლ მასალას. ამას გარდა, მე დავრწმუნდი, რომ მეცნიერების ზოგიერთ დარგებში, რომელთაც მე „ვიცნობ", ბატონი ბასტიანი, რომელიც „ყველა" მეცნიერებას იცნობს, ძლიერ ხშირად ეყრდნობა ავტორიტეტებს à la ვილჰელმ ფუკიდიდე, რაც საერთოდ უნივერსალური სწავლულისათვის აუცილებელიცაა.

იმედი მაქვს, რომ არ მისაყვედურებენ არავითარ „ულმობელობას" ვილჰელმ ფუკიდიდეს მიმართ. როგორი „ულმობელობით" ეპყრობა ეს პედანტი თვით მეცნიერებას! ყოველ შემთხვევაში მე ისეთივე უფლება მაქვს ვილაპარაკო მის „სრულ არაჭეშმარიტებაზე", როგორი უფლებითაც მას შეუძლია თვითკმაყოფილებით და მოწყალებით ილაპარაკოს რიკარდოს „ნახევარ-ჭეშმარიტებათა" შესახებ. ამასთანავე ვილჰელმ ფუკიდიდე სრულიადაც არაა „კეთილ-სინდისიერი" თავის საკატალოგო შრომებში. რაც „რესპექტაბელური" არაა, ის მისთვის აგრეთვე ისტორიულადაც არ არსებობს; მაგალითად, მისთვის არ არსებობს როდბერტუსი, [როგორც] მიწის რენტის თეორეტიკოსი, რადგანაც იგი „კომუნისტია". ამას გარდა „რესპექტაბელურ" მწერალთა მიმართაც ვილჰელმ ფუკიდიდე არაა ზუსტი. მაგალითად, ბელი არსებობს მაკკულოხისათვის და არსებობს ეპოქის შემქმნელის სახითაც კი. ვილჰელმ ფუკიდიდესთვის კი იგი არ არსებობს. გერმანიაში რომ პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერების წინწაწევა და პოპულიარიზაცია მხედველობაში ჰქონოდათ, მაშინ ისეთ ხალხს, როგორც როდბერტუსია, უნდა დაეარსებიათ ჟურნალი, რომლის ფურცლებიც ღია იქნებოდა ყველა მკვლევართათვის და არა პედანტებისათვის, მოსწავლეთათვის და ვულგარიზატორებისათვის და რომლის მთავარი მიზანიც იქნებოდა დაემტკიცებია პროფესიონალურ სწავლულთა უვიცობა როგორც თვით მეცნიერებაში, ისე მის ისტორიაში.

[1] ეს სიტყვა შეიძლება აგრეთვე წაკითხულ იქნას როგორც „Behauptung" (მტკიცება). — კ.

ა ნ დ ე რ ს ო ნ ი შორს იდგა იმისაგან, რომ გამოეკვლია თავისი რენტის თეორიის დამოკიდებულება პოლიტიკური ეკონომიის სისტემასთან, და ამას მით უფრო ნაკლებად შეუძლაა გამოიწვიოს გაკვირვება, რომ მისი პირველი წიგნი ა. ს მ ი ტ ი ს „Wealth of Nation"-ზე ერთი წლით გვიან გამოვიდა, მაშასადამე, გამოვიდა იმ მომენტში, როდესაც საზოგადოდ პოლიტიკური ეკონომიის სისტემაის იყო პირველად ყალიბდებოდა, ვინაიდან ს ტ ი უ ა რ ტ ი ს სისტემაც მხოლოდ რამოდენიმე წლით ადრე იყო გამოსული. მაგრამ რაც შეეხება მასალას, რომელიც მას თავის განკარგულებაში ჰქონდა იმ სპეციალური საგნის ფარგლებში, რომელსაც იგი იხილავდა, ეს მასალა უეჭველად უფრო ფართე იყო, ვიდრე რ ი კ ა რ დ ო ს მასალა. როგორც თავის ფულის თეორიაში, რომელიც ი უ მ ი ს თეორიის რეპროდუქციას წარმოადგენდა, რ ი კ ა რ დ ო ს მხედველობაში ჰქონდა სპეციალურად მხოლოდ მოვლენები 1797 წლიდან 1809 წლამდე, ისე აგრეთვე თავის რენტის თეორიაში, — რომელიც ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ს თეორიის რეპროდუქცია იყო, — მხედველობაში ჰქონდა მას მხოლოდ ეკონომიური მოვლენები ხორბალზე ფასების იმ აწევასთან დაკავშირებით, რასაც ადგილი ჰქონდა 1800 წლიდან 1815 წლამდე.

### b) ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა დ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა.

რომ რენტას, მაშასადამე, მიწის ღირებულებასაც, შეუძლია აიწიოს, თუმცა რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ა იგივე რჩება ანდა კიდევაც კლებულობს [1], ამას რ ი კ ა რ დ ო ივიწყებს ხანდახან, მაგრამ ეს იცის მან. ყოველ შემთხვევაში ეს იცის ა ნ დ ე რ ს ო ნ მ ა და იცოდენ უკვე პ ე ტ ი მ და დ'ა ვ ე ნ ა ნ ტ მ ა. მაგრამ საკითხი ამაში როდია.

[რ ი კ ა რ დ ო მხედველობაში არ იღებს] საკითხს აბსოლუტური რენტის შესახებ, რომელსაც იგი თეორიის გულისათვის უარყოფს, რადგანაც იგი შემცდარი წინაპირობიდან გამოდის, რომ, თუ საქონელთა ღირებულება სამუშაო დროით განისაზღვრება, მაშინ საქონელთა წარმოების ფასები მათ ღირებულებებს უნდა უდრიდესო; ამიტომაც იგი შემცდარ პრაქტიკულ დასკვნას აკეთებს, რომ უფრო ნაყოფიერი მიწის ნაკვეთების კონკურენციამ ნაკლებად ნაყოფიერი ნაკვეთები დამუშავების გარეშე უნდა დასტოვოს, მაშინაც კი, თუ [ისინი] წინათ რენტას იძლეოდენო. საქონელთა ღირებულებანი და

[1] ხელნაწერში ნათქვამია: მატულობს. — კ.

შათი წარმოების ფასები რომ იდენტიური ყოფილიყვნენ, მაშინ მიწის აბსოლუტური რენტა, — ე. ი. ყველაზე უფრო ცუდ პირობებში დამუშავებული ანუ თავდაპირველად დამუშავებული მიწის რენტა — ორივე შემთხვევაში ერთნაირად შეუძლებელი იქნებოდა. რა არის საქონლის წარმოების ფასი? ეს არის მის წარმოებაში დაბანდებული ერთობლივი კაპიტალი (მუდმივი და ცვალებადი) პლიუს საშუალო მოგებაში მოთავსებული სამუშაო დრო. მაშასადამე, თუ კაპიტალი, რომელიც მოთავსებულია რომელიმე ელემენტში, — მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ბუნების განსაკუთრებული ელემენტია, მაგალითად, მიწა, — აწარმოებდა უფრო მაღალ ღირებულებას, ვიდრე წარმოების ფასია, მაშინ ამ საქონლის ღირებულება მის ღირებულებაზე უფრო მაღლა იქნებოდა და მისი ზედმეტი ღირებულებაც წინააღმდეგობაში მოხვდებოდა ღირებულების ცნებასთან, რომლის მიხედვითაც იგი სამუშაო დროის განსაზღვრულ რაოდენობას უნდა უდრიდეს. მაშინ ბუნების ელემენტი, როგორც განსხვავებული რამ საზოგადოებრივი სამუშაო დროიდან, შექმნიდა ღირებულებას. მაგრამ შეუძლებელია ამას ექნეს ადგილი. მიწაში უბრალოდ დაბანდებულ კაპიტალს არ შეუძლია, მაშასადამე, არავითარი რენტის მოცემა. ყველაზე უფრო მდარე მიწა არის მიწა და მეტი არაფერი. თუ საუკეთესო მიწა რენტას იძლევა, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მიწათმოქმედებაში ადგილი აქვს ინდივიდუალურად აუცილებელ შრომასა და სოციალურად აუცილებელ შრომას შორის არსებული განსხვავების ფიქსაციას, ვინაიდან მას ბუნებრივი ბაზისი აქვს, მაშინ როდესაც ეს განსხვავება მრეწველობაში მუდამ ჰქრება.

არავითარ აბსოლუტურ მიწის რენტას არ შეუძლია არსებობა, არამედ არსებობს მხოლოდ დიფერენციალური მიწის რენტა. ვინაიდან, აბსოლუტური რენტის დაშვება იქნებოდა დაშვება იმისა, რომ ერთიდაიგივე რაოდენობა შრომისა — რომელიც გასაგნობრივებულია, დაბანდებულია მუდმივ კაპიტალში და ნაყიდი შრომის ხელფასის მიერ — სხვადასხვა ღირებულებებს ქმნის ან იმ ელემენტის მიხედვით, რომელშიაც იგი გამოიყენება, ანდა იმ მასალის მიხედვით, რომელსაც ის ამუშავებს. მაგრამ, თუ დავუშვებთ ღირებულების ამ სხვაობას, თუმცა წარმოების ყოველი სფეროს პროდუქტში ერთიდაიმავე სამუშაო დროის მატერიალიზაცია ხდება, — მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ღირებულებას განსაზღვრავს არა სამუშაო დრო, არამედ სხვა რამ მისგან განსხვავებული. ღირებულების სიდიდეთა ეს სხვაობა მოსპობდა ღირებულების ცნებას; მოსპობდა იმას, რომ მისი სუბსტანცია — საზოგადოებრივი სამუშაო დრო,

მაშასადამე, მისი განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ რაოდენობრივი და ეს რაოდენობრივი განსხვავება კი შეიძლება უდრიდეს მხოლოდ იმ განსხვავებას, რომელიც მოცემულია გამოყენებული საზოგადოებრივი სამუშაო დროის რაოდენობაში.

ღირებულების შენარჩუნება.— შენარჩუნება არა მარტო ღირებულების სიდიდის სამუშაო დროის სხვადასხვა სიდიდის საშუალებით განსაზღვრისა, არამედ ღირებულების სუბსტანციის საზოგადოებრივი შრომით განსაზღვრისაც — მოითხოვს, მაშასადამე, მიწის აბსოლუტური რენტის უარყოფას. მაგრამ მიწის აბსოლუტური რენტის უარყოფა შეიძლება ორგვარად იქნეს გამოხატული.

ჯერ ერთი. ყველაზე უფრო მდარე მიწას არ შეუძლია არავითარი რენტის მოცემა. უკეთესი მიწის ნაკვეთების მიმართ რენტა აიხსნება იმ საბაზრო ფასით, რომელიც ერთნაირი რჩება როგორც უფრო ნაყოფიერ მიწის ნაკვეთებზე, ისე ნაკლებად ნაყოფიერზე წარმოებული პროდუქტებისათვის. მაგრამ ყველაზე უფრო მდარე მიწა წარმოადგენს მიწას და მეტს არაფერს. იგი თავისთავად არაა დიფერენციაქმნილი. იგი განსხვავდება კაპიტალის სამრეწველო დაბანდებიდან მხოლოდ როგორც კაპიტალის დაბანდების განსაკუთრებული სფერო. იგი რომ რენტას იძლეოდეს, მაშინ ეს რენტა წარმოსდგებოდა იქიდან, რომ შრომის ერთიდაიგივე რაოდენობა, — თუ იგი წარმოების სხვადასხვა სფეროებშია მოთავსებული, — სხვადასხვა ღირებულებებში გამოიხატება, რომ, მაშასადამე, არა თვით შრომის რაოდენობა განსაზღვრავს ღირებულებას და რომ პროდუქტები, რომლებშიაც შრომის თანასწორი რაოდენობაა მოთავსებული, არ არიან ერთი მეორის თანასწორი.

[მეორე]. თავდაპირველად დამუშავებულ მიწას არ შეუძლია არავითარი რენტის მოცემა. ვინაიდან რა არის თავდაპირველად დამუშავებული მიწა? მიწა, რომელიც „თავდაპირველად" მუშავდება, არ არის არც უფრო კარგი და არც უფრო ცუდი. იგი მიწაა და მეტი არაფერი; მიწა, რომელიც არაა დიფერენციაქმნილი. თავდაპირველად კაპიტალის დაბანდება მიწათმოქმედებაში შეიძლება განსხვავდებოდეს კაპიტალის მრეწველობაში დაბანდებიდან მხოლოდ სფეროებით, რომლებშიაც ეს კაპიტალებია დაბანდებული. მაგრამ, ვინაიდან შრომის თანასწორი რაოდენობანი თანასწორ ღირებულებებში გამოისახებიან, ამიტომ აბსოლუტურად არავითარი საფუძველი არაა მოცემული იმისთვის, თუ რატომ უნდა მოგვცეს მიწაში დაბანდებულმა კაპიტალმა გარდა მოგებისა კიდევ რენტაც, თუ არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ სფეროში დაბანდებული

იმავე რაოდენობის შრომა უფრო მაღალ ღირებულებას შექმნიდა, ასე რომ ამ ღირებულების გარდამეტი მრეწველობაში შექმნილ ღირებულებაზე გარდამეტ მოგებას, რენტას შეადგენდა. მაგრამ ეს იგივე იქნებოდა გვეთქვა, რომ მიწა, როგორც ასეთი, ღირებულებას ქმნისო, ე. ი. მოგვესპო თვით ცნება ღირებულებისა.

ამრიგად, თავდაპირველად დამუშავებულ მიწას არ შეუძლია იმთავითვე არავითარი რენტის მოცემა, — წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა ღირებულების მთელი თეორიის თავდაყირა დაყენება. ამ გარემოებას კი უკავშირდება შემდეგ მეტად ადვილად, თუმცა არა აუცილებლად, როგორც ა ნ დ ე რ ს ო ნ ი გვიჩვენებს, ის წარმოდგენა, რომ თავდაპირველად ადამიანები დასამუშავებლად ირჩევდენ, რასაკვირველია, არა უცუდეს, არამედ საუკეთესო მიწის ნაკვეთებს; რომ, მაშასადამე, მიწა, რომელიც თავდაპირველად არავითარ რენტას არ იძლეოდა, შემდეგში მას იძლევა, ვინაიდან აუცილებელი ხდება უფრო მდარე ხარისხის მიწის ნაკვეთების დამუშავებაზე გადასვლა და რომ, ამრიგად, სულ უფრო და უფრო მდარე მიწაზე გადასვლის პროცესში, ცივილიზაციის წინსვლასა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად, რენტამაც უნდა აიწიოს თავდაპირველად დამუშავებულ უნაყოფიერეს მიწის ნაკვეთებზე და შემდეგში თანდათანობით მომდევნო ნაკვეთებზეც, მაშინ როდესაც ყველაზე უფრო მდარე მიწა, რომელიც მუდამ მიწას წარმოადგენდა და მეტს არაფერს — კაპიტალის დაბანდების განსაკუთრებულ სფეროს, — ყოველშემთხვევაში არას დროს რენტას არ იძლევა. ყველა ამას ბევრად თუ ცოტად ლოგიკური კავშირი აქვს.

პირიქით, თუ ვიცით, რომ წარმოების ფასები და ღირებულებანი იდენტიური არიან, თუ საქონლის წარმოების ფასი შეიძლება იყოს მისი ღირებულების თანასწორი, ანდა ამ ღირებულებაზე მეტი ან ნაკლები, მაშინ საკითხი იხსნება, თვით პრობლემის არსებობაც და ამასთან ერთად მისი გადასაჭრელი ჰიპოტეზებიც ისპობა. რჩება მხოლოდ შემდეგი საკითხი: რატომაა, რომ მიწათმოქმედებაში საქონლის ღირებულება ანუ, ყოველ შემთხვევაში, მისი ფასი არა მის ღირებულებაზე, არამედ მისი წარმოების ფასზე მაღლა დგას? მაგრამ ამ უკანასკნელ საკითხს უკვე არავითარი საერთო არა აქვს თეორიის საფუძველთან, ღირებულების განსაზღვრასთან, როგორც ასეთთან.

რ ი კ ა რ დ ო მ იცის, ყოველ შემთხვევაში, რომ საქონელთა „შეფ ა რ დ ე ბ ი თ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი“ იმ ძირითადი და შრომის ხელ-

ფასზე დახარჯულ კაპიტალთა[1] სხვადასხვა შეფარდების მიხედვით, რომელნიც მათ წარმოებაში შედიან, მოდიფიკაციას ექვემდებარებიან. მაგრამ ამასთანავე მან ისიც იცის, რომ ეს შეფარდებითი ღირებულებანი კონკურენციის მეოხებით თანასწორდებიან. იგი განსხვავების წარმოშობასაც კი უშვებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამით კაპიტალის ამ სხვადასხვა გამოყენების დროს ერთიდაიმავე საშუალო მოგების მიღება შეიძლებოდეს. ეს კი ნიშნავს, რომ ეს შეფარდებითი ღირებულებანი, რომლებზეც იგი ლაპარაკობს, მხოლოდ წარმოების ფასებს წარმოადგენენ. მას სრულიად აზრად არ მოსდის, რომ ღირებულება და წარმოების ფასი სხვადასხვაა. იგი მიდის მხოლოდ მათ იდენტიურობამდე. მაგრამ, რადგანაც ეს იდენტიურობა არ არსებობს კაპიტალის ორგანიულ შემადგენელ ნაწილთა სხვადასხვა შეფარდების დროს, ამიტომ იგი იღებს მას როგორც კონკურენციის მიერ უშუალოდ გამოწვეულ ფაქტს. მაშასადამე, იგი ვერც კი მიდის შემდეგ კითხვამდე: რატომ ხდება სამიწათმოქმედო პროდუქტთა ღირებულების გათანასწორება მათი წარმოების ფასებთან? პირიქით, იგი უშვებს, რომ ეს ღირებულებანი განიცდიან გათანასწორებას და ამ თვალსაზრისის მიხედვით აყენებს პრობლემას.

აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომ ქაბუკნი à la ვილჰელმ ფუკიდიდე თავგამოდებით იცავენ რიკარდოს თეორიას მიწის რენტის შესახებ. მათი თვალსაზრისით რიკარდოს „ნახევრად ჭეშმარიტებანი“, როგორც ამას მოწყალებით ამბობს ფუკიდიდე, მთელ თავის ღირებულებას კარგავენ.

რიკარდოსთვის პრობლემა მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ღირებულება სამუშაო დროით განისაზღვრება. ზემოაღნიშნულ ქაბუკთათვის კი ასეთ რამეს ადგილი არა აქვს. როშერის შეხედულებით ბუნებას, როგორც ასეთს, ღირებულება აქვს. იხილე ქვემოთ. ეს კი ნიშნავს, რომ მან აბსოლუტურად არ იცის, რა არის ღირებულება. მაშასადამე, რაღა უშლის მას ხელს დაუშვას, რომ მიწის ღირებულება იმთავითვე შედის წარმოების ხარჯებში

[1] მაგრამ ეს კაპიტალები არ წარმოადგენენ ერთიმეორის დაპირისპირებას. ერთიმეორეს უპირდაპირდება ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი; უკანასკნელი შეიცავს არა მარტო შრომის ხელფასს, არამედ ნედლ მასალას და დამხმარე ნივთიერებათ. მაგალითად, სამთო მრეწველობასა და მეთევზეობაში შეიძლება იგივე შეფარდება არსებობდეს შრომაზე დახარჯულ კაპიტალსა და ძირითადი კაპიტალის სახით დაბანდებულ კაპიტალს შორის, როგორიც არსებობს სამკერვალოში შრომის ხელფასზე და ნედლ მასალაზე დახარჯულ კაპიტალთა შორის.

და რენტას ქმნის, რაღა უშლის იგულისხმოს წინასწარ რენტის ახსნისათვის მიწის ღირებულება, ე. ი. რენტა?

ფრაზა „წარმოების ხარჯების“ შესახებ არაფერს არ ნიშნავს ამ ჭაბუკთათვის. ამას ვხედავთ ჩვენ სეის მაგალითზე. საქონლის ღირებულება განისაზღვრება წარმოების ხარჯებით, კაპიტალით, მიწით, შრომით. მაგრამ ყველა ესენი განისაზღვრებიან მოთხოვნით და მიწოდებით. ეს კი ნიშნავს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომ აქ არავითარ განსაზღვრას ადგილი არა აქვს. ვინაიდან მიწა „პროდუქტიულ სამსახურს“ გვიწევს, რატომ არ უნდა განისაზღვრებოდეს ამ „სამსახურთა“ ფასი მოთხოვნით და მიწოდებით, ისე როგორც განისაზღვრება იმ სამსახურთა ფასი, რომელსაც შრომა ან კაპიტალი სწევს? და ვინაიდან „მიწის სამსახური“ განსაზღვრულ გამყიდველთა მფლობელობაში იმყოფება, რატომ არ უნდა ჰქონდეს მათ საქონელს საბაზრო ფასი, რატომ არ უნდა არსებობდეს მიწის რენტა ფასის ელემენტის სახით? ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად ცოტა, სულ უმნიშვნელო საფუძველი ჰქონდა ვილჰელმ ფუკიდიდეს ასე თავგამოდებით „ებრძოლა“ რიკარდოს თეორიისათვის.

### c) ხორბლის ფასების მოძრაობა 1641 წლიდან — 1859 წლამდე.

მაგრამ თუ მიწის აბსოლუტურ რენტას განზე დავტოვებთ, რიკარდოს რჩება შემდეგი საკითხი:

მოსახლეობა და ამასთან ერთად მოთხოვნა სამიწათმოქმედო პროდუქტებზე იზრდება. ამის გამო სამიწათმოქმედო პროდუქტების ფასები მაღლა იწევს, ისე როგორც ეს მსგავს შემთხვევებში მრეწველობაში ხდება. მაგრამ მრეწველობაში ფასების ეს აწევა მაშინვე სწყდება, როგორც კი მოთხოვნამ ზეგავლენა მოახდინა და საქონლის გადიდებული მიწოდება შექმნა. პროდუქტი ახლა კვლავ დაბლა იწევს ძველ ღირებულებამდე ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ძველ ღირებულებაზე უფრო დაბლა. მაგრამ მიწათმოქმედებაში ეს დამატებითი პროდუქტი ბაზარზე არ გადაისროლება არც იმავე და არც უფრო დაბალ ფასად. იგი მეტი ღირს და იწვევს საბაზრო ფასების მუდმივ ზრდას და ამასთან ერთად რენტის აწევასაც. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება, თუ არა იმით, რომ აქ აუცილებელი ხდება სულ უფრო და უფრო უნაყოფო მიწის ნაკვეთების დამუშავებაზე გადასვლა, რომ იმავე პროდუქტის შესაქმნელად საჭიროა უფრო მეტი შრომის გამოყენება, რომ მიწათმოქმედება პროგრესიულად ნაკლებად ნაყოფიერი ხდება? რატომაა, რომ ინგლისში, — თუ მხედველო-

ბაში არ მივიღებთ ფულის ღირებულების დაცემის გავლენას, — ადგილი აქვს სამიწათმოქმედო პროდუქტების ფასების აწევას 1797 წლიდან 1815 წლამდე მოსახლეობის სწრაფ გამრავლებასთან ერთად? ის გარემოება, რომ სამიწათმოქმედო პროდუქტები შემდეგ კვლავ დავარდა ფასში, სრულიად არაფერს არ ამტკიცებს. არაფერს არ ამტკიცებს არც ის, რომ უცხო ბაზრებიდან შემოზიდვას გზა გადაჭრილი ჰქონდა. პირიქით, სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა პირველად ნამდვილი პირობები იმისათვის, რათა მიწის რენტის კანონი წმინდა სახით გამომჟღავნებულიყო. ვინაიდან სწორედ უცხოეთის მოწყვეტამ გამოიწვია აუცილებლობა ხელი მიეყოთ ქვეყნის შიგნით სულ უფრო და უფრო უნაყოფო მიწების დამუშავებისათვის. ამის ახსნა შეუძლებელია რენტის აბსოლუტური გადიდებით, ვინაიდან გაიზარდა არა მარტო სარენტო ფონდი, არამედ რენტის ნორმაც. ერთი კვარტერი ხორბლის და სხვ. ფასმა აიწია. ასევე ნაკლებად შეიძლება ახსნილ იქნას იგი, როგორც შედეგი მოგების ნორმის დაცემისა. მოგების ნორმა ვერასდროს ვერ აგვიხსნიდა რაიმე ცვლილებას ფასებში, არამედ მას შეეძლო აეხსნა მხოლოდ ის ცვლილება, რომელსაც ადგილი აქვს ღირებულების ანუ ფასის განაწილებაში მიწის მესაკუთრეთა, მრეწველთა და მუშებს შორის.

ფულის ღირებულების დაცემას შეეძლო, რასაკვირველია, საქმესთან კავშირი ჰქონოდა, ასევე შემდეგ მოუსავლიანობასაც.

მაგრამ, ყველა ეს რომ განზე დავტოვოთ, შეიძლება მივიღოთ, რომ მიწათმოქმედების მაშინდელი დონის მიხედვით (ხორბლისათვის) დამუშავებულ იქნა უნაყოფო მიწა. შემდეგში კი იგივე მიწა ნაყოფიერი გახდა, რადგანაც დიფერენციალური რენტა — თავისი ნორმის მიხედვით — დაეცა, როგორც ამას საუკეთესო ბარომეტრი — ხორბლის ფასები — ამტკიცებენ.

1801 და 1802 წლების და 1811 — 1812 წლების უაღრესად მაღალი ფასებიდან პირველი ხვდება მოუსავლიანობის წლებს, ხოლო მეორე — ფულის ღირებულების უდიდესი დაცემის წლებს. სწორედ ასევე 1817 და 1818 წლები ფულის ღირებულების დაცემის წლებს წარმოადგენენ. მაგრამ, თუ გამოვრიცხავთ ამ წლებს, მაინც რჩება (რასაც ქვემოთ დავინახავთ) წარმოების ფასი.

ხორბლის და სხვ. ფასების შედარების დროს წლის სხვადასხვა პერიოდებში მნიშვნელოვანია აგრეთვე შედარებულ იქნას წარმოებული ამდენი თუ იმდენი რაოდენობანი კვარტერის კვალობაზე, რადგანაც სწორედ აქ აშკარავდება ის, თუ რა გავლენა აქვს ფასებზე ხორბლის დამატებით წარმოებას.

# I.

## ხორბლის საშუალო ფასები.

ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ფასები ყოველ ათ წელიწადში:

| | წლიური საშუალო ფასი შილ. | პენ. | ყველაზე მაღალი ფასი შილ. | პენ. | ყველაზე მცირე ფასი შილ. | პენ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1641 — 1649 . . . | 60 | $5^{2}/_{3}$ | 75 | 6 (1645) | 42 | 8 (1646) |
| 1650 — 1659 . . . | 45 | $8^{9}/_{10}$ | 68 | 1 (1650) | 23 | 1 (1659) |
| 1660 — 1669 . . . | 44 | 9 | 65 | 9 (1662) | 32 | 0 (1666 და 1667) |
| 1670 — 1679 . . . | 44 | $8^{9}/_{10}$ | 61 | 0 (1674) | 33 | 0 (1676) |
| 1680 — 1689 . . . | 35 | $7^{8}/_{10}$ | 41 | 5 (1681) | 22 | 4 (1687) |
| 1690 — 1699 . . . | 50 | $^{4}/_{10}$ | 63 | 1 (1695) | 30 | 2 (1691) |

50 წლის განმავლობაში — 1650 წლიდან 1699 წლამდე — საშუალო ფასი (წლიური) უდრის 44 შილინგს და $2^{1}/_{5}$ პენსს.

1641 — 1649 წლების პერიოდში (9 წლის განმავლობაში) ყველაზე მაღალი წლიური საშუალო ფასი — 75 შილინგის და 6 პენსის რაოდენობით — უწევს რევოლიუციის წელიწადს, 1645 წელს, შემდეგ — 71 შილინგი და 1 პენსი — 1649 წელს, 65 შილინგი და 5 პენსი — 1647 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი ფასი, ე. ი. 42 შილინგი და 8 პენსი კი — 1646 წელს.

# II.

| | წლიური საშუალო ფასი შილ. | პენ. | ყველაზე მაღალი ფასი შილ. | პენ. | ყველაზე დაბალი ფასი შილ. | პენ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1700 — 1709 . . . | 35 | $^{1}/_{10}$ | 69 | 9 (1709) | 25 | 4 (1707) |
| 1710 — 1719 . . . | 43 | $6^{7}/_{10}$ | 69 | 4 (1710) | 31 | 1 (1719) |
| 1720 — 1729 . . . | 37 | $3^{7}/_{10}$ | 48 | 5 (1728) | 30 | 10 (1723) |
| 1730 — 1739 . . . | 31 | $5^{5}/_{10}$ | 38 | 2 (1735) | 23 | 8 (1732) |
| 1740 — 1749 . . . | 31 | $7^{0}/_{10}$ | 45 | 1 (1740) | 22 | 1 (1743 და 1744) |

საშუალო ფასი (წლიური) 50 წლის განმავლობაში — 1700 — 1749 წლამდე — უდრის 35 შილინგს და $9^{29}/_{50}$ პენსს.

# III.

| | წლიური საშუალო ფასი შილ. | პენ. | ყველაზე მაღალი ფასი შილ. | პენ. | ყველაზე დაბალი ფასი შილ. | პენ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1750 — 1759 . . . | 36 | $4^{5}/_{10}$ | 53 | 4 (1757) | 28 | 10 (1750) |
| 1760 — 1769 . . . | 40 | $4^{9}/_{10}$ | 53 | 9 (1768) | 26 | 9 (1761) |
| 1770 — 1779 . . . | 45 | $3^{3}/_{10}$ | 52 | 8 (1774) | 33 | 8 (1779) |
| 1780 — 1789 . . . | 46 | $9^{3}/_{10}$ | 52 | 8 (1783) | 35 | 8 (1780) |
| 1790 — 1799 . . . | 57 | $6^{5}/_{10}$ | 78 | 7 (1796) | | |

წლიური საშუალო ფასი 50 წლის განმავლობაში — 1750 — 1799 წლამდე — უდრის 45 შილინგს და $3^{23}/_{50}$ პენსს.

## IV.

| | წლიური საშუალო ფასი შილ. | პენ. | ყველაზე მაღალი ფასი შილ. | პენ. | ყველაზე დაბალი ფასი შილ. | პენ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1800 — 1809 . . . | 84 | $8^{5}/_{10}$ | 119 | 6 (1801) | 58 | 10 (1803) |
| | | | 113 | 10 (1800) | | |
| 1810 — 1819 . . . | 91 | $4^{8}/_{10}$ | 126 | 6 (1812) | 65 | 7 (1815) |
| | | | 109 | 9 (1813) | 74 | 4 (1814) |
| | | | 106 | 5 (1810) | 74 | 6 (1819) |
| 1820 — 1829 . . . | 58 | $9^{7}/_{10}$ | 68 | 6 (1825) | 44 | 7 (1822) |
| 1830 — 1839 . . . | 56 | $8^{5}/_{10}$ | 66 | 4 (1831) | 39 | 4 (1835) |
| 1840 — 1849 . . . | 55 | $11^{1}/_{10}$ | 69 | 5 (1847) | 44 | 6 (1849) |
| 1850 — 1859 . . . | 53 | $4^{7}/_{10}$ | 74 | 9 (1855) | 40 | 4 (1850) |

წლიური საშუალო ფასი 50 წლის განმავლობაში — 1800 წლიდან 1849 წლამდე — უდრის 69 შილინგს და $6^{9}/_{50}$ პენსს.

წლიური საშუალო ფასი 60 წლის განმავლობაში — 1800 წლიდან 1859 წლამდე — უდრის 66 შილინგს და $10^{6}/_{25}$ პენსს.

მაშასადამე, წლიური საშუალო ფასებია:

| | შილინგი | პენსი |
|---|---|---|
| 1641 — 1649 . . . . . . . . | 60 | $5^{3}/_{3}$ |
| 1650 — 1699 . . . . . . . . | 44 | $2^{1}/_{3}$ |
| 1700 — 1749 . . . . . . . . | 35 | $9^{29}/_{60}$ |
| 1750 — 1799 . . . . . . . . | 45 | $3^{23}/_{50}$ |
| 1800 — 1849 . . . . . . . . | 69 | $6^{9}/_{50}$ |
| 1850 — 1859 . . . . . . . . | 53 | $4^{7}/_{10}$ |

თუ შევადარებთ საშუალო ფასებს და გამოვაკლებთ, ჯერ ერთი, იმას, რაც ფულის ღირებულების დაცემას მიეწერება (1809 წლიდან 1813 წლამდე), მეორე, განსაკუთრებით ცუდ წლებს, როგორიც იყო 1801 და 1802 წლები, მაშინ ჩვენ მეტად მნიშვნელოვანი ელემენტის სახით ვნახავთ იმ გარემოებას, თუ რამდენი ახალი მიწა იქნება მოცემულ მომენტში ანდა მოცემული პერიოდის განმავლობაში დამუშავებული. ფასის აწევა დამუშავებულ მიწის ნაკვეთებზე გვიჩვენებს აქ მოსახლეობის ზრდას და ამიტომ ფასის გარდამეტს; მეორეს მხრივ კი მოთხოვნის იგივე გადიდება იწვევს ახალი მიწის დამუშავებას. თუ ამ მასამ შედარებით ძლიერ იმატა, მაშინ მზარდი ფასი და წინა პერიოდთან შედარებით უფრო მაღალი ფასი ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ დაუმუშავებელი მიწის დამუშავებულად გადაქცევისათვის

საჭირო ხარჯების დიდი ნაწილი შედის წარმოებულ საკვებ საშუალებათა დამატებითი რაოდენობის ფასში. ფასი რომ მაღლა არ აწეულიყო, გადიდებულ წარმოებას ადგილი არ ექნებოდა. გადიდებული წარმოების მოქმედება, ფასის დაცემა, შეიძლება დაგვიანებით გამოაშკარავდეს, ვინაიდან ახლახან შექმნილი საარსებო საშუალებათა ფასში შედის საწარმოო ხარჯების ანუ ფასის ის ელემენტი, რომელიც კაპიტალის მიწაზე გამოყენების უფრო ძველ სფეროებში ანუ დამუშავებული მიწის ძველ ნაწილებში უკვე დიდი ხანია გამქრალია. განსხვავება უფრო დიდი იქნებოდა, რომ შრომის პროდუქტიულობის გადიდების გამო ახალი მიწის დამუშავებაში შეტანის ხარჯები საერთოდ არ დაცემულიყო შედარებით დამუშავების ხარჯებთან წინანდელ დროში.

ახალი მიწის გარდაქმნა, სულერთია, არის ეს მიწა უფრო თუ ნაკლებ ნაყოფიერი, ვიდრე ძველი მიწა, და მისი გადაყვანა ისეთ მდგომარეობაში (და ეს მდგომარეობა კი მოცემულია უკვე დამუშავებაში მყოფ მიწებზე გამეფებული საერთო ნორმით), რომელიც მას კაპიტალისა და შრომის გამოყენებისათვის ვარგისად ხდის — იმავე პირობებში, რომელშიაც შრომა და კაპიტალი გამოიყენება დამუშავებაში მყოფი მიწის საშუალო ფართობზე — ასეთი გარდაქმნა უნდა გადახდილ იქნას დაუმუშავებელი მიწის დამუშავებულ მიწად გადაქცევისათვის საჭირო ხარჯებით. ხარჯების ეს განსხვავება უნდა ზღოს ახლად დამუშავებულმა მიწამ. თუ ეს განსხვავება არ შედის ახლად დამუშავებული მიწის პროდუქტის ფასში, მაშინ შეიძლება მხოლოდ ორი შემთხვევის წარმოდგენა, როდესაც ასეთი შედეგი შესაძლებელია. ან არ ხდება ახლად დამუშავებული მიწის პროდუქტის მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით გადახდა; მისი ფასი მის ღირებულებაზე დაბლა დგას, რასაც სინამდვილეში ადგილი აქვს იმ მიწის უდიდესი ნაწილის მიმართ, რომელიც არავითარ რენტას არ იძლევა, რადგანაც მისი პროდუქტის ფასი არა მისივე საკუთარი ღირებულებით, არამედ უფრო ნაყოფიერი მიწის ნაკვეთების პროდუქტის ღირებულებით განისაზღვრება. ანდა ახლად დამუშავებული მიწა იმდენად ნაყოფიერი უნდა იყოს, რომ მისი პროდუქტი, თუ იგი თავისი იმანენტური, საკუთარი ღირებულების მიხედვით, ე. ი. მასში გასაგნობრივებული შრომის შესაბამისად, იქნება ანაზღაურებული, უფრო მცირე ფასად გაიყიდება, ვიდრე უკვე წინათ დამუშავებაში მყოფი მიწის პროდუქტი.

თუ განსხვავება ამ მიწის პროდუქტის შინაგან ღირებულებასა და იმ საბაზრო ფასს შორის, რომელიც ნაყოფიერი მიწის პროდუქ-

ტის ღირებულებით განისაზღვრება, უდრის, მაგალითად, 5%-ს, და, მეორეს მხრივ, თუ სარგებლის განაკვეთიც, — შემავალი მის საწარმოო ხარჯებში იმ კაპიტალის მხრივ, რომელიც იხარჯება ახალი მიწის პროდუქტიულობის იმავე სიმაღლეზე ასაწევად, რაც ძველ მიწას ახასიათებს, — 5 პროცენტს შეადგენს, მაშინ ახლად დამუშავებული მიწა მოიცემოდა ისეთ პროდუქტს, რომელსაც შეეძლო ძველი საბაზრო ფასის დროს გაესტუმრებია ჩვეულებრივი ხელფასი, მოგება და მიწის რენტა. თუ დახარჯული კაპიტალის სარგებელი მხოლოდ 4%-ი იქნებოდა, ხოლო ახალი მიწის ნაყოფიერება ძველი მიწის ნაყოფიერებას 4 პროცენტით გადააჭარბებდა, მაშინ საბაზრო ფასი, — იმ 4 პროცენტის გამოკლებით, რაც საჭიროა მიწის დამუშავების მდგომარეობაში მომყვან კაპიტალის სარგებლის გასასტუმრებლად, — დასტოვებდა გარდამეტს, ანდა პროდუქტს შეეძლო გაყიდულიყო იმ საბაზრო ფასზე დაბლა, რომელიც ყველაზე უფრო ნაყოფიერი მიწის პროდუქტის ღირებულებით განისაზღვრება.

მიწის რენტაც ამიტომ საბაზრო ფასთან ერთად დაეცემოდა.

ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა არის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გარდამეტი მიწის პროდუქტის წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს ზ ე. დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი რ ე ნ ტ ა არის უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ მიწათა პროდუქტის ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს გარდამეტი მათი საკუთარი პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე.

თუ, ამიტომ, დროის განსაზღვრულ ნაკვეთში იმ დამატებითი საარსებო საშუალებათა შედარებით დიდი ნაწილი, რომელთაც მზარდი მოსახლეობა მოითხოვს, ისეთ მიწაზე იწარმოება, რომელიც დაუმუშავებული იყო და პირველად მუშავდება და, თუ იმავდროულად ახალი პროდუქტის ფასი იზრდება ანდა უცვლელი რჩება, მაშინ ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ მიწის ნაყოფიერებამ იკლო, არამედ ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ იგი არ გაზრდილა ამ ზომისად, რომ კომპენსაცია უყოს საწარმოო [ხარჯების] ახალ ელემენტს, რასაც კაპიტალის სარგებელი ქმნის, კაპიტალის, რომელიც დახარჯულია დაუმუშავებელი მიწის იმ ჩვეულებრივი საწარმოო პირობების დონემდე ასაწევად, რომელშიაც სწარმოებს ძველი მიწების დამუშავება განვითარების მოცემული ხარისხის დროს.

თვით მუდმივი ან მზარდი ფასიც — თუ ახლად დამუშავებული მიწის შეფარდებითი რაოდენობა სხვადასხვაა სხვადასხვა პერიოდებში — არ ამტკიცებს, მაშასადამე, რომ ახალი მიწა უნაყოფოა ანდა ნაკლებ პროდუქტს იძლევა, არამედ იგი ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ მის პროდუქტთა ღირებულებაში ხარჯების ისეთი ელემენტი

შედის, რომელიც უფრო ძველად დამუშავებულ მიწებზე გამქრალია, და ხარჯების ეს ახალი ელემენტი [მაღლა სწევს საწარმოო ხარჯებს], თუმცა ახალ საწარმოო პირობებში დამუშავების ხარჯები ძლიერ დაეცა შედარებით იმ ხარჯებთან, რომელნიც საჭირო იყო ძველი მიწის მისი ნაყოფიერების თავდაპირველი ბუნებრივი მდგომარეობიდან დღევანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ამრიგად, აუცილებელი იქნებოდა სხვადასხვა პერიოდებში [სათემო მიწების] შემოფარგვლათა და [მათი დამუშავებულ მიწებთან შეერთების] შეფარდებითი პროპორციის დადასტურება.

ამას გარდა ზემომოყვანილი ცხრილი ჩვენ შემდეგს გვიჩვენებს.

თუ შევადარებთ ცალკე ათეულ წლებს, დავინახავთ, რომ 1641 — 1649 წლების პერიოდი უფრო მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე ათეული წელი 1860 წლამდე, გარდა 1800 — 1809 და 1810 — 1819 წლებისა.

თუ შევადარებთ ო რ მ ო ც დ ა ა თ წ ლ ი ა ნ პერიოდებს, მივიღებთ, რომ 1650 — 1699 წლების პერიოდი ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე 1700 — 1749 წლების პერიოდი, ხოლო 1750 — 1799 წლების პერიოდი კი უფრო მაღლა, ვიდრე 1700 — 1749 წლების პერიოდი და უფრო დაბლა, ვიდრე 1800 — 1849 წლების პერიოდი ანდა [1800 — 1859 წლებისა] [1]. ფასთა დაცემა რეგულიარულ ხასიათს ატარებს 1810 — 1859 წლების პერიოდში, მაშინ როდესაც 1750 — 1799 წლების პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ორმოცდაათწლიანი საშუალო ფასი უფრო დაბალია, [თავს იჩენს] ზეალმავალი მოძრაობა; ეს მოძრაობა ისევე რეგულიარულად ზეალმავალია, როგორც 1810 — 1859 წლების პერიოდში არსებული მოძრაობა რეგულიარულად ქვემიმავალია.

მართლაც, 1641 — 1649 წლამდე განვლილი დროის პერიოდთან შედარებით, ადგილი აქვს საერთოდ ათეული წლების საშუალო ფასების განუწყვეტელ დაცემას მანამ, სანამ ეს დაცემა მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის [2] უკანასკნელ ათეულ წელში თავის უ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო დ ა ბ ა ლ წ ე რ ტ ი ლ ს არ აღწევს.

მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე ს ა უ კ უ ნ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ი დ ა ნ ადგილი აქვს ფასთა აწევას, რომელიც თავის დასაბამს იღებს იმ ფასიდან (36 შილინგი $4^5/_{10}$ პენსი 1750 — 1759 წლების პერიოდში), რომელიც უფრო დაბალია, ვიდრე ორმოცდაათწლიანი საშუალო ფასი მეჩვიდ-

[1] ხელნაწერში სწერია არა 1800 — 1859, არამედ მხოლოდ 160. — კ.

[2] ხელნაწერში სწერია: „უკანასკნელი“. — კ.

მეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და, დაახლოებით შეფარდებულად, უფრო მაღალი, ვიდრე საშუალო ფასი 1700—1749 წლების ორმოცდაათწლიანი პერიოდისა (35 შილინგი და $9^{29}/_{50}$ პენსი). ეს ზეაღმავალი მოძრაობა პროგრესიულად გრძელდება ორი ათეული წლების განმავლობაში, 1800—1809 წლამდე და 1810—1819 წლამდე. ამ უკანასკნელში იგი აღწევს თავის კულმინაციურ პუნქტს. ამ პუნქტიდან კვლავ იწყება რეგულიარულად დაცემის მოძრაობა. თუ ავიღებთ 1750—1819 წლების ზეაღმავალი პერიოდის საშუალოს, ვნახავთ, რომ მისი საშუალო ფასი (ცოტა ნაკლები, ვიდრე 57 შილინგი ერთ კვარტერზე) უდრის დაწევის პერიოდის გამოსავალ პუნქტს 1820 წლიდან, სახელდობრ, რამოდენიმედ მეტია 1820—1829 წლების ათეული წლის 58 შილინგზე; სწორედ ისე, როგორც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის გამოსავალი პუნქტი [უდრის] მისი პირველი ნახევრის საშუალო ფასს.

მაგრამ, თუ როგორი დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ საშუალო ციფრზე ცალკე გარემოებებს, მოუსავლიანობას, ფულის ღირებულების დაცემას და სხვ. — ამას გვიჩვენებს ყოველი სანიმუშო გამოანგარიშება. მაგალითად, $30+20+5+5+5=65$. საშუალო $=13$, თუმცა აქ სამი უკანასკნელი ციფრი $=$ მხოლოდ 5-ს. პირიქით, $12+11+10+9+8=50$; საშუალო $=10$, თუმცა, თუ ამოვშლით პირველ მწკრივში განსაკუთრებულ რიცხვებს — 30 და 20-ს, მაშინ ერთ-ერთი სამი წლის საშუალო მეორე მწკრივში უფრო დიდი იქნებოდა.

თუ გამოვაკლებთ დიფერენციალურ ხარჯებს იმ კაპიტალის გასასტუმრებლად, რომელიც ახალი მიწის დამუშავებაში თანამიმდევრობით იქნა დაბანდებული და რომელიც განსაზღვრული დროის განმავლობაში განსაკუთრებული მუხლის სახით შედის საწარმოო ხარჯებში, მაშინ, შესაძლებელია, რომ 1819—1859 წლების პერიოდის ფასები უფრო დაბალი იყოს, ვიდრე ყველა სხვა წინანდელი ფასი. და სწორედ ეს გარემოება ეხატებათ ნაწილობრივ ბუნდოვნად იმ ბრიყვებს, რომელნიც რენტას მიწაში დაბანდებული ძირითადი კაპიტალისათვის საჭირო სარგებლით ხსნიან.

## d) რენტის თეორია ანდერსონისა.

ანდერსონი თავის: „A calm Investigation of the circumstances that have led to the present scarcity of grain in Britain"-ში, ლონდონი, 1801, შემდეგს ლაპარაკობს:

„1700 წლიდან მოყიდებული 1750 წლამდე ჩვენ გვაქვს ხორბლის ფასების მუდმივი და პროგრესიული დაცემა 2 გირვანქა სტ. 18 შილ. და 1 პენსიდან 1 გირვ. სტ., 12 შილინგსა და 6 პენსამდე ერთი კვარტერის კვალობაზე; 1750 -- 1800 წლამდე კი ჩვენ ვხედავთ ფასების პროგრესიულ და თითქმის ისეთივე მუდმივ მაღლა აწევას 1 გირვ. სტ. 12 შილ. და 6 პენსიდან 5 გირვ. სტერლ. და 10 შილინგამდე კვარტერის კვალობაზე" (l. c., გვ. 11).

ამრიგად, ა ნ დ ე რ ს ო ნ ს არ ჰქონდა ისე ცალმხრივად წარმოდგენილი, როგორც ვ ე ს ტ ს, მ ა ლ თ უ ს ს, რ ი კ ა რ დ ო ს, პურეულის ფასების აწევის მოვლენა მზარდი სკალის სახით (1750 წლიდან 1813 წლამდე), არამედ, პირიქით, მას მხედველობაში ჰქონდა ორგვარი მოვლენა, მთელი საუკუნე, რომლის პირველი ნახევარი პურეულის ფასების მუდმივად კლებად სკალას, ხოლო მეორე ნახევარი მუდმივად მზარდ სკალას გვიჩვენებს. იგი გარკვევით შენიშნავს შემდეგს:

„მოსახლეობა იმავე ზრდის პროცესში იმყოფებოდა მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც მის მეორე ნახევარში" (l. c., გვ. 12).

ა ნ დ ე რ ს ო ნ ი მოსახლეობის თეორიის მედგარი მტერია და გარკვევით ამტკიცებს მიწის მზარდ და მუდმივ უნარიანობას გაუმჯობესებისადმი.

„ქიმიურ ზეგავლენათა და დამუშავების (art) საშუალებით მიწა შეიძლება ს უ ლ უ ფ რ ო დ ა უ ფ რ ო გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ უ ლ იქნას" (l. c., გვ. 38).

„მეურნეობის რაციონალური სისტემის დროს მიწის პროდუქტიულობა შეიძლება იმ დონემდე იქნას აყვანილი, რომ იგი წლიდან წლამდე მაღლა იწევდეს დროის განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში, სანამ იგი დაბოლოს იმ სიმაღლეს არ მიაღწევს, რომლის შესახებაც ჩვენ ამჟამად არც კი შეგვიძლია რაიმე წარმოდგენა ვიქონიოთ" (გვ. 35).

„დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მოსახლეობა ისე უმნიშვნელოა შედარებით იმ მოსახლეობასთან, რომლის გამოკვებაც ამ კუნძულს შეუძლია, რომ იგი ჯერ კიდევ შორსაა იმისგან, რომ რაიმე, თუ გინდ სულ მცირე, სერიოზული საშიშროება გამოიწვიოს" (l. c., 37).

„სადაც მოსახლეობა მატულობს, იქ ამასთან ერთად უნდა გაიზარდოს ქვეყნის წარმოებაც, თუ კი არ სურთ საშუალება მისცენ მორალურ გავლენებს დაარღვიონ ბუნების ეკონომია" (l. c., 41).

მოსახლეობის თეორია არის „ყველაზე უფრო საშიში ცრუშეხედულება" (l. c., გვ. 54). ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ცდილობს დაამტკიცოს ისტორიულად, რომ „მიწათმოქმედების პროდუქტიულობა" იწევს მაღლა მზარდ და ეცემა კლებად მოსახლეობასთან ერთად (l. c., გვ. 55, 56, 60, 61 და სხვ).

რენტის სწორი გაგების დროს პირველი და უმთავრესი იყო, რასაკვირველია, შეცნობა იმისი, რომ რენტა მომდინარეობს არა მიწიდან, არამედ მიწათმოქმედების პროდუქტიდან, მაშასადამე, შრო-

მიდან, შრომის პროდუქტის ფასიდან, მაგალითად, ხორბლის ფასიდან; ე. ი. შეცნობა იმისი, რომ იგი მომდინარეობს სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულებიდან, მიწაზე გამოყენებული შრომიდან და არა მიწიდან, და ამას სწორად აღნიშნავს ა ნ დ ე რ ს ო ნ ი:

„არა მიწიდან მიღებული რენტაა ის, რაც მისი პროდუქტის ფასს განსაზღვრავს, არამედ ეს არის ამ პროდუქტის ფასი, რაც მიწის რენტას განსაზღვრავს, თუმცა ამ პროდუქტის ფასი ყველაზე უფრო მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც მიწის რენტა ყველაზე უფრო დაბალია [1]. ეს გვეჩვენება პარადოქსად, რომელიც ახსნას საჭიროებს... ყოველ ქვეყანაში არსებობს სხვადასხვა ხარისხის მიწები, რომელნიც ნაყოფიერების მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. გავანაწილოთ ისინი სხვადასხვა კლასებად და ეს უკანასკნელნი აღვნიშნოთ ასოებით A, B, C, D, E, F და სხვ. კლასი A შეიცავს ყველაზე უფრო დიდი ნაყოფიერების მიწებს და შემდგომი ასოებით აღნიშნული თითოეული კლასი წარმოადგენს უფრო დაბალი ნაყოფიერების მიწის ნაკვეთს წინა კლასთან შედარებით. ვინაიდან ყველაზე უფრო უნაყოფო მიწის დამუშავების ხარჯები ისეთივე დიდია, როგორც ყველაზე უფრო ნაყოფიერი მიწის დამუშავების ხარჯები ანდა უფრო დიდია ამ უკანასკნელზე, ამიტომ აქედან აუცილებლად გამომდინარეობს ის, რომ, თუ ხორბლის ერთიდაიგივე რაოდენობა, — სულერთია, რომელი ყანიდანაც უნდა იყოს იგი მიღებული, — თანასწორი ფასის მიხედვით იყიდება, მაშინ მოგება ყველაზე უფრო ნაყოფიერი მიწის დამუშავებიდან ბევრად უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე სხვა მიწების დამუშავებიდან მიღებული მოგება [2], და, შემდეგ, ვინაიდან ეს მოგება იმ ზომით კლებულობს, რა ზომითაც უნაყოფობა მატულობს, ამიტომ დაბოლოს შეიძლება მივიღოთ ისეთი მდგომარეობა, რომ მიწის ზოგიერთი დაბალი კლასების დამუშავების ხარჯები მთელი პროდუქტის ღირებულებას უდრიდეს“ (An Enquiry into the Nature of the Corn laws. გვ. 45 — 48).

უკანასკნელი მიწა არავითარ რენტას არ იხდის. რასაც ა ნ დ ე რ ს ო ნ ი აქ „მთელი პროდუქტის ღირებულებას“ უწოდებს, იგი მის წარმოდგენაში, აშკარაა, ნიშნავს მხოლოდ ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ს, რომლის მიხედვითაც პროდუქტი იყიდება, სულერთია, იზრდება ეს პროდუქტი უკეთეს თუ უმდარეს მიწაზე. ეს „ფასი“ (value) სტოვებს უფრო ნაყოფიერი მიწის ნაკვეთებისათვის უფრო დიდ ან უფრო მცირე გარდამეტს ხარჯებთან შედარებით. უკანასკნელი პროდუქტისათვის კი ასეთი გარდამეტი არ არსებობს. ამ პროდუქტისათვის წარმოების ფასი თანაემთხვევა პროდუქტის საბაზრო ფასს, მაშასადამე, არ არსებობს არავითარი გარდამეტი მოგება, რომელსაც შეუძლია მარტოოდენ რენტის შექმნა. ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ს შეხედულებით რენტა უდრის პროდუქტის საბაზრო ფასის გარდამეტს მისი წარ-

---

[1] მაშასადამე, რენტას არავითარი საერთო არა აქვს მიწათმოქმედების აბსოლუტურ პროდუქტიულობასთან.

[2] სახელდობრ — ფასის გარდამეტი ავანსად გაღებული კაპიტალის ხარჯებზე. ანუ ფასზე.

შოების ფასზე. ღირებულების თეორია ა ნ დ ე რ ს ო ნ ს ჯერ კიდევ სრულიად არ აწუხებს. მაშასადამე, თუ მიწის განსაკუთრებული უნაყოფობის გამო მისი პროდუქტის წარმოების ფასი თანაემთხვევა პროდუქტის საბაზრო ფასს, მაშინ ეს გარდამეტი ისპობა; ე. ი. აქ არ არსებობს არავითარი ფონდი რენტის შესაქმნელად. ა ნ დ ე რ ს ო ნ ი არ ლაპარაკობს იმას, რომ უკანასკნელად დამუშავებულ მიწას არ შეუძლია არავითარი რენტის მოცემა, იგი ლაპარაკობს მხოლოდ შემდეგს: თუ ხდება ისე, რომ დანახარჯი, — საწარმოო ხარჯები პლიუს საშუალო მოგება, — იმდენად დიდია, რომ განსხვავება პროდუქტის საბაზრო ფასსა და მისი წარმოების ფასს შორის ისპობა, მაშინ რენტაც ისპობა, და ეს უნდა მოხდეს, თუ ფასების სკალაზე სულ უფრო და უფრო ძირს დაწევას აქვს ადგილი. იმის შესახებ, რომ განსაზღვრული, ერთნაირი საბაზრო ფასი იმ პროდუქტთა თანასწორ რაოდენობათათვის, რომელნიც წარმოებულნი არიან სხვადასხვა ხელსაყრელ საწარმოო პირობებში, წინაპირობას შეადგენს რენტის ამ შექმნისათვის, ა ნ დ ე რ ს ო ნ ი გარკვევით ლაპარაკობს. დამატებითი მოგება ანუ საუკეთესო ხარისხის მიწებზე მიღებული მოგების გარდამეტი უფრო მდარე ხარისხის მიწებიდან მიღებულ მოგებასთან შედარებით, ლაპარაკობს იგი, აუცილებელია, „თუ ხორბლის ერთიდაიგივე რაოდენობა, — სულერთია, რომელი ყანიდანაც უნდა იყოს იგი მიღებული, — თანასწორი ფასის მიხედვით იყიდება“, მაშასადამე, თუ ნაგულისხმევია საერთო საბაზრო ფასი. ა ნ დ ე რ ს ო ნ ი სრულიადაც არ უშვებს, როგორც ეს ზემომოყვანილი ადგილის მიხედვით შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა, რომ ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხები ბუნების უბრალო პროდუქტს წარმოადგენდენ. პირიქით, „მ ი წ ა თ ა დაუსრულებელი სხვაობა“ ნაწილობრივ იქიდან წარმოსდგება, რომ ეს მიწები მათი პირველადი მდგომარეობიდან, დამუშავების სხვადასხვა წესების მეოხებით, — რომელთაც ისინი ექვემდებარებოდენ, — სასუქისა და სხვათა საშუალებით, სულ სხვა მდგომარეობაში იქნენ ჩაყენებული (An Enquiry into the causes that have hitherto retarded the advancement of agriculture in Europe. ედინბურგი, 1779. გვ. 5).

ერთის მხრივ, საერთო შრომის პროდუქტიულობის პროგრესი უფრო აადვილებს დაუმუშავებელი მიწის დამუშავებას; მაგრამ, მეორეს მხრივ. კულტურა ადიდებს განსხვავებას მიწათა შორის, ვინაიდან დამუშავებული მიწა A და დაუმუშავებელი მიწა B შეიძლება ერთიდაიგივე თავდაპირველი ნაყოფიერების მქონენი იყვნენ, თუ ჩვენ A-ს ნაყოფიერებიდან გამოვაკლებთ ნაყოფიერების იმ ნაწილს, რო-

მელიც, მართალია, ამჟამად ამ მიწისათვის ბუნებრივია, მაგრამ წინათ იგი ხელოვნურად იყო მოცემული. მაშასადამე, თვით კულტურა ადიდებს ბუნებრივი ნაყოფიერების სხვაობას დამუშავებულსა და დაუმუშავებელ მიწას შორის.

ა ნ დ ე რ ს ო ნ ი გარკვევით ლაპარაკობს, რომ მიწას, რომლის პროდუქტისთვისაც წარმოების ფასი და საბაზრო ფასი ერთმანეთს თანაემთხვევიან, არავითარი რენტის გადახდა არ შეუძლიაო.

„ავიღოთ ორი ყანა, რომელთა პროდუქტიც დაახლოებით ხემომოყვანილს უდრის, სახელდობრ, ერთი შეადგენს 12 ბუშელს, რომელიც ხარჯებს ფარავს, ხოლო მეორე — 20 ბუშელს; თუ მათი გაუმჯობესებისათვის არავითარი უშუალო ხარჯების გაღება არაა საჭირო, მაშინ მოიჯარადრეს უკანასკნელი ყანისათვის, ვთქვათ, 6 ბუშელზე მეტი მიწის რენტის გადახდაც კი შეუძლია, მაშინ როდესაც პირველ ყანას არავითარი რენტა არ ხვდება. თუ ახლა დამუშავების ხარჯების დასაფარავად საკმარისია 12 ბუშელი, მაშინ არავითარი მიწის რენტის გადახდას არ შეიძლება ექნეს ადგილი იმ დამუშავებული მიწისათვის, რომელიც მხოლოდ 12 ბუშელს იძლევა“ (Vol. III, Essays relating to agriculture and rural affairs. ლონდონი, 1777 — 1796, გვ. 107).

იქვე უშუალოდ ა ნ დ ე რ ს ო ნ ი განაგრძობს:

„მაგრამ არ უნდა ველოდეთ, რომ მოიჯარადრეს, თუ პროდუქტის უფრო დიდი რაოდენობა იქნა მის მიერ წარმოებული კაპიტალის დაბანდებასა და ძალღონის დახარჯვის გამო, შეეძლოს აქედან დახლოებით თანასწორი ნაწილის გადახდა მიწის რენტის სახით. მხოლოდ, თუ მიწა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნაყოფიერების ერთსადაიმავე დონეზე იდგა, მაშინ იგი თანახმა გახდება გადაიხადოს მოცემული სიმაღლის რენტა, კიდევაც რომ ეს მიწა თავდაპირველად თავის ამაღლებულ ნაყოფიერებას მის საკუთარ ძალღონეს უმადლოდეს“ (l. c., გვ. 109, 110).

ამრიგად, ვთქვათ, რომ საუკეთესოდ დამუშავებული მიწის პროდუქტი უდრის, მაგალითად, 20 ბუშელს აკრზე; აქედან 12 ბუშელი, ნაგულისხმევის მიხედვით, ისტუმრებს ხარჯებს, დაბანდებულ კაპიტალს პლიუს საშუალო მოგება. მაშინ მას შეუძლია გადაიხადოს 8 ბუშელი რენტის სახით. ვთქვათ, ბუშელი = 5 შილინგს. მაშინ 8 ბუშელი ანუ 1 კვარტერი = 40 შილინგს ანუ 2 გირვ. სტერლინგს, ხოლო 20 ბუშელი კი = 5 გირვ. სტერლინგს. ამ 5 გირვ. სტერლინგს აკლდება ხარჯების სახით 12 ბუშელი ანუ 60 შილინგი = 3 გირვ. სტერლინგს. აქედან, თუ მოგების ნორმა 10 პროცენტს შეადგენს, ხარჯები უდრის $2^{8}/_{11}$ გირვ. სტერლინგს და მოგება — $^{3}/_{11}$ გირვ. სტერლინგს ($^{30}/_{11} : ^{3}/_{11} = 100 : 10$). წარმოვიდგინოთ, რომ მოიჯარადრემ დაუმუშავებელ მიწაზე, რომელიც ისე ნაყოფიერია, როგორც 20 ბუშელის მომცემი მიწა იყო თავდაპირველად, უნდა გასწიოს ყოველგვარი სახის გაუმჯობესებანი, რომელნიც ასწევენ მას კულტურის ისეთ ხარისხამდე, რომელიც სოფლის მეურნეობის საშუალო სი-

მაღლეს შეესაბამება. დავუშვათ, ეს უღირს მას, — გარდა ხარჯისა $2^{6}/_{11}$ გირვ. სტერლინგის რაოდენობით ანდა, თუ ჩვენ მოგებასაც ხარჯებში შევიტანთ, გარდა 3 გირვ. სტერლინგისა, — კიდევ $1^{9}/_{11}$ გირვ. სტერლინგის ხარჯი; მაშინ 10 პროცენტი ამაზე შეადგენდა $^{2}/_{11}$ გირვ. სტერლინგს და მოიჯარადრე მხოლოდ 10 წლის შემდეგ შესძლებდა, თუ იგი 20 ბუშელს მუდამ 5 შილინგის კვალობაზე გაჰყიდდა, — რენტის გადახდას, ე. ი. შესძლებდა ამას მხოლოდ თავისი კაპიტალის რეპროდუქციის შემდეგ. ამ მომენტიდან ხელოვნურად შექმნილი ნაყოფიერება მიწისა შევიდოდა სათვალავში როგორც თავდაპირველი ნაყოფიერება და ერგებოდა ლენდლორდს. თუმცა ახლად დამუშავებული მიწა ისეთივე ნაყოფიერია, როგორც თავდაპირველად დამუშავებული საუკეთესო მიწა იყო, მაგრამ მაინც მისი პროდუქტისათვის საბაზრო ფასი და წარმოების ფასი ერთმანეთის თანამთხვევი არიან, ვინაიდან აქ ჯერ კიდევ ხარჯების ისეთი მუხლი შედის, რომელიც საუკეთესო მიწისთვის გამქრალია და რომლისთვისაც ხელოვნურად შექმნილი და ბუნებრივი ნაყოფიერება რამოდენიმედ ერთი მეორეს თანაემთხვევა. მაგრამ ახლად დამუშავებული მიწისათვის ნაყოფიერების ის ნაწილი, რომელიც ხელოვნურად, კაპიტალის დაბანდების საშუალებით, არის შექმნილი, ჯერ კიდევ სავსებით განსხვავდება მიწის ბუნებრივი ნაყოფიერებისაგან. ახლად დამუშავებულ მიწას არ შეეძლო, მაშასადამე, არავითარი რენტის გადახდა, თუმცა იგი იმავე ნაყოფიერების იქნებოდა, როგორც საუკეთესოდ დამუშავებული მიწა. მაგრამ მაინც 10 წლის შემდეგ მას შეეძლო არა მარტო რენტის გადახდა, არამედ იმდენივე რენტის გადახდა, რამდენსაც წინათ საუკეთესოდ დამუშავებული მიწის ნაკვეთი იხდიდა.

ამრიგად, ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ს მიერ აქ ორივე მოვლენა გაგებული და ნაგულისხმევია:

1. ის, რომ მიწის მესაკუთრეთა დიფერენციალური რენტა ნაწილობრივ შედეგის იმ ნაყოფიერებისა, რომელსაც მოიჯარადრე ხელოვნურად მიწას აძლევს.

2. ის, რომ ეს ხელოვნური ნაყოფიერება დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განვლის შემდეგ გვევლინება თვით მიწის თავდაპირველი ნაყოფიერების სახით, რადგანაც თვით მიწა გარდაიქმნა და ის პროცესი, რომლის საშუალებითაც ეს გარდაქმნა მოხდა, გაჰქრა, უკვე უხილავი შეიქნა.

თუ მე ამჟამად ბამბის სართავს ვაწყობ და ამისთვის 100 000 გირვ. სტერლინგს ვხარჯავ, ცხადია, მივიღებ უფრო მეტი საწარმოო

უნარის მქონე სართავს, ვიდრე ჩემი წინამორბედი, რომელმაც 10 წლის წინათ მოაწყო ბამბის სართავი. მე არ ვიხდი იმ განსხვავებას, რომელსაც ადგილი აქვს მანქანათმშენებლობაში, საერთოდ მშენებლობაში და სხვ. ამჟამად მოცემულ პროდუქტიულობასა და იმ პროდუქტიულობას შორის, რომელიც 10 წლის წინათ არსებობდა; პირიქით. იგი მე შესაძლებლობას მაძლევს დავხარჯო ნაკლები იმავე საწარმოო უნარიანობის ფაბრიკისათვის ანდა მხოლოდ იმდენივე თანხა უფრო მაღალი საწარმოო უნარიანობის ფაბრიკისათვის. სულ სხვაგვარადაა საქმის ვითარება მიწათმოქმედებაში. მიწათა ნაყოფიერების თავდაპირველ ხარისხთა შორის არსებული განსხვავება იზრდება მიწის ეგრეთწოდებული ბუნებრივი ნაყოფიერების იმ ნაწილით, რომელიც ფაქტიურად ოდესღაც შექმნილ იქნა ადამიანთა მიერ, მაგრამ ამჟამად იგი მიწასთან შესისხლხორცებულია და მისი განსხვავება მიწის თავდაპირველი ნაყოფიერებიდან უკვე აღარ შეიძლება. იმისთვის, რათა თანასწორი ბუნებრივი ნაყოფიერების მქონე დაუმუშავებელი მიწა აყვანილ იქნას ამ გადიდებულ ნაყოფიერებამდე, აღარაა აუცილებელი, — საერთო შრომის საწარმოო ძალის განვითარების გამო, — იგივე ხარჯები, რაც აუცილებელი იყო დამუშავებული მიწის თავდაპირველი ნაყოფიერების იმ დღევანდელი ნაყოფიერების სიმაღლემდე ასაწევად, რომელიც თავდაპირველ ნაყოფიერებად გვეჩვენება. მაგრამ მაინც დღესაც ამ შედეგის მისაღწევად მეტი თუ ნაკლები ხარჯები აუცილებელია. ამრიგად, ახალი პროდუქტის წარმოების ფასი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ძველი პროდუქტის, ხოლო განსხვავება საბაზრო ფასსა და წარმოების ფასს შორის კი უფრო ნაკლებია და მას შეუძლია სრულიად გაჰქრეს.

მაგრამ დავუშვათ, რომ ზემომოყვანილ შემთხვევაში ახლად დამუშავებული მიწა იმდენად ნაყოფიერია, რომ იგი 2 გირვ. სტერლინგის დამატებითი ხარჯების (მოგების ჩათვლით) შემდეგ 20 ბუშელის ნაცვლად 28 ბუშელს იძლევა. ამ შემთხვევაში მოიჯარადრეს შეეძლო 8 ბუშელის ანუ 2 გირვ. სტერლინგის რენტის გადახდა, მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ ახლად დამუშავებული მიწა 8 ბუშელით მეტს იძლევა, ვიდრე ძველი მიწა, ასე რომ იგი, მიუხედავად წარმოების მაღალი ფასისა, თანასწორი საბაზრო ფასის პირობებში, იმავე გარდამეტს იძლევა წარმოების ფასზე. მისი ნაყოფიერება, რომ მასზე განსაკუთრებული ხარჯები არ ყოფილიყო გაწეული, ორჯერ მეტი იქნებოდა, ვიდრე ძველი მიწის ნაყოფიერება. ხარჯებითურთ კი იგი სწორედ იმავე სიდიდისაა, როგორც ძველი მიწის ნაყოფიერება.

## e) სხვადასხვა ავტორები რენტის თეორიის შესახებ[1].

„მიწათმფლობელობა და კაპიტალი (the landed and trading interests) მუდამ უპირდაპირდებიან ერთი მეორეს მტრობით და მოშურნობით" (An Inquiry into the causes of the Present Price of Provenances etc. ლონდონი 1767. გვ. 22, შენიშვნა).

„...ნუთუ შეცდომა არაა ვიფიქროთ, რომ მიწა თვითაა სიმდიდრე? და ნუთუ ხალხის ბეჯითობა არ უნდა იქნას, პირველ ყოვლისა, განხილული როგორც ფაქტორი, რომელიც სიმდიდრეს ქმნის და რომელიც სიმდიდრედ აქცევს მიწასაც და ვერცხლსაც, რომელთაგანაც არცერთს ღირებულება არ ექნებოდა, რომ არ არსებობდეს გზა და იმპულსი პროდუქტიული საქმიანობისათვის (industry)?" (The Querist. Dr. G. Berkeley. ლონდონი 17 0. კითხვა 38).

სმიტის შემთხვევითი ხასიათის თეორია იმის შესახებ, რომ ხორბალი თავის საკუთარ მოთხოვნას თვითვე ქმნის და სხვ., თეორია, რომელიც შემდეგში მალთუსის მიერ განმეორებულ იქნა მნიშვნელოვანი არგუმენტის სახით მისი რენტის თეორიაში და ნაწილობრივ კი მისი მოსახლეობის თეორიის ბაზისი გახდა, მეტად დამაჯერებლად არის შემდეგ დებულებაში გამოთქმული:

„ხორბალი იშვიათია ან არაა იშვიათი თავის მოხმარებასთან შედარებით. თუ მეტი მჭამელი არსებობს, ხორბალიც მეტი იქნება, რადგანაც მეტი ხელი იქნება მიწის დასამუშავებლად; ხოლო თუ მეტი ხორბალია მოცემული, მჭამელიც მეტი იქნება, ვინაიდან სიუხვე ხალხის რიცხვს ამრავლებს" (An Inquiry into the connection between the present Price of Provisions, and the Size of Farms etc. By a Farmer. ლონდონი. 1773. გვ. 125).

ამიტომ „სოფლის მეურნეობას არ შეუძლია არასდროს განიცადოს ჭარბი წარმოება" (cannot be overdone, გვ. 62). როდბერტუსის ფანტაზია, თითქოს თესლი და სხვ. არ შედიოდეს მოიჯარადრის ანგარიშში, როგორც კაპიტალის ხარჯების განსაკუთრებული მუხლი, [უარყოფილია] ასეულ თხზულებათა მიერ, რომელნიც ნაწილობრივ თვით მოიჯარადრეების მიერ იქნა მე-XVIII საუკუნეში (განსაკუთრებით ოცდაათიან წლებიდან) გამოქვეყნებული. პირიქით, მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა თქმა იმისი, რომ რენტა ცალკე რუბრიკის სახით შედის მოიჯარადრის ანგარიშში. ჩვენ

---

[1] ეს თავი შედგენილია ცალკე შენიშვნებისაგან ხელნაწერის ქვემორე დასახელებულ გვერდებზე, რომელნიც იმავე თანამიმდევრობით არიან მოყვანილი, როგორადაც მათგან ამოღებული ნაწყვეტები აქ ერთი მეორეს მისდევენ: გვ. 670 a, 580 a, 490 a, 508, 509, 510, 670 a. 490 a. — კ.

ავტორს იგი შეაქვს ს ა წ ა რ მ ო ო ხ ა რ ჯ ე ბ შ ი (და იგი მის საწარმოო ხარჯებს ეკუთვნის).

„თუ... ხორბლის ფასი თითქმის ისე მაღალია, როგორც იგი უნდა ყოფილიყო, რის განსაზღვრაც მხოლოდ იმ შეფარდებით შეიძლება, რომელშიც მიწის ღირებულება იმყოფება ფულის ღირებულებასთან" (l. c., გვ. 132).

თუ რამდენად იმ მომენტიდან, როდესაც კაპიტალი მიწათმოქმედებას [ეუფლება], კაპიტალისტური მოიჯარადრის წარმოდგენაში თვით რენტაც მხოლოდ მოგების ნაწილად იქცევა და მთელი ზედმეტი ღირებულება მის მიერ არსებითად ისე გაიგება, როგორც მოგება, — [ამას შემდეგი ადგილი გვიჩვენებს]:

„ფერმერის მოგების სამი რენტის მიხედვით გამოანგარიშების ძველი მეთოდი (Matairiesystem), რომელსაც მიწათმოქმედების ბავშობის ხანაში მისდევდენ, წარმოადგენდა საკუთრების იმ კეთილსინდისიერ და თანაბარ განაწილებას, რასაც დღესაც ვპოულობთ კიდევ მსოფლიოს ნაკლებად განათლებულ ნაწილებში... ერთი აწვდის მიწას და კაპიტალს, ხოლო მეორე კი საქმის ცოდნას და შრომას. მაგრამ კარგად დამუშავებულ და ნაყოფიერ მიწაზე ამჟამად რენტა ყველაზე ნაკლებ საზრუნავს ქმნის. მთავარია ის თანხა, რომელიც ადამიანს შეუძლია კაპიტალის სახით და თავისი შრომის ყოველწლიურ დახარჯვაში დააბანდოს, რისთვისაც მან თავისი ფულის სარგებელი ანუ თავისი შემოსავალი უნდა გადაიხადოს" (l. c., გვ. 34).

მიწათმოქმედებაში წარმოებული გაუმჯობესებანი, რომელთაც თან მოსდევს საწარმოო ხარჯების შემცირება და ბოლოს ფასების დაცემა, ხოლო პირველად კი, — სანამ ფასების დაცემა ჯერ კიდევ არ მომხდარა, — სასოფლო-სამეურნეო მოგების მაღლა აწევა, — ეს გაუმჯობესებანი თითქმის ყოველთვის ამართლებენ თავის მიზანს და იწვევენ

„ბოლოს და ბოლოს მიწის რენტის გადიდებას. გადიდებული კაპიტალი, რომელიც ხელსაყრელი შემთხვევის გამო, რათა დიდი დროებითი მოგება მიიღოს, მიწას მიაშურებს და იქ მოთავსდება, ძვირადღა ანდა არასდროს აღარ შეიძლება მთლად მოშორებულ იქნას ამ მიწას, როდესაც ვადა გაუდის მიმდინარე საიჯარო ხელშეკრულებებს. ამ უკანასკნელთა განახლების დროს მიწათმფლობელს აქედან სარგებლობა აქვს საიჯარო სარგებლის აწევის საშუალებით" (M a l t h u s, Inquiry into the Nature and Progress of Rent etc. ლონდონი. 1815).

„თუ ახალი მაღალი ფასების გაბატონებამდე სახნავი მიწა საერთოდ მცირე რენტას იძლეოდა, უმთავრესად მიწის ხშირად შესვენების აუცილებლობის აღიარების გამო, მაშინ მიწის რენტას კვლავ უნდა დაეწია, როგორც კი ამ სისტემას უკან დაუბრუნდებოდით" (I. D. H u m e, Thoughts on the corn Laws etc. ლონდონი, 1815. გვ. 72).

„სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული მდგომარეობის დროს მეორე და მესამე ხარისხის მიწაზე ისეთივე მცირე ხარჯების საშუალებით შეიძლება წარ-

მოებულ იქნეს, როგორც ეს შესაძლებელი იყო ძველი სისტემის დროს პირველი ხარისხის მიწაზე“ (Sir Ed. West, Price of Corn and Wages of Labour. ლონდონი, 1826. გვ. 98).

ჰოპკინსი სწორად განსაზღვრავს განსხვავებას აბსოლუტურ და დიფერენციალურ რენტას შორის:

„კონკურენციის პრინციპი შეუძლებლად ხდის ერთსადაიმავე ქვეყანაში მოგების ორი ნორმის არსებობას; მაგრამ იგი განსაზღვრავს შეფარდებითი მიწის რენტას და არა რენტის საერთო საშუალოს“ (Th. Hopkins, On Rent of Land and its Influence on Subsistance and Population. ლონდონი, 1828. გვ. 30).

„ნედლი მასალა გამოირიცხება იმ საერთო პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც ყველა საქონელთა საცვლელ ღირებულებას საწარმოო ხარჯები განსაზღვრავენ; მაგრამ პრეტენზიები, რომელნიც მათ მფლობელთ პროდუქტის მიმართ აქვთ, იწვევენ მიწის რენტის შესვლას ღირებულებაში“ (Th. Hopkins, Economical Enquiries relative to the Laws, which regulate Rent, Profit, Wages and the Value of Money. გვ. 11).

„მიწის რენტა ან გადასახადი [ქვეყნის] მოხმარებაზე წარმოიშვის სრულიად ბუნებრივად მიწის საკუთრების მიერ ანუ [მიწაზე] კერძო საკუთრების უფლების შემოღებით“ (l. c., გვ. 13).

„რენტის მოცემა შეუძლია ყველაფერს, რასაც კი შემდეგი თვისებები გააჩნია: ჯერ ერთი, იგი უნდა იყოს რამოდენიმედ იშვიათი, მეორე, მას უნდა შესწევდეს ძალა დახმარება გაუწიოს შრომას წარმოების დიდ ამოცანაში“ (l. c., გვ. 14).

„რასაკვირველია, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მიწა ისეთი სიუხვით [1] არის მოცემული, — შედარებით შრომასა და კაპიტალთან, რომელნიც მასზე უნდა იქნან დახარჯული, — რომ არავითარი მიწის რენტის მოთხოვნა არ შეიძლება, ვინაიდან მიწა იშვიათი არაა“ (გვ. 22).

„ზოგიერთ ქვეყნებში მიწისმფლობელს შეუძლია გამოსწუროს 50 პროცენტი, ხოლო ზოგან 5 — 10 პროცენტის გამოწურვაც კი არ ძალუძს. აღმოსავლეთის ნაყოფიერ ქვეყნებში ადამიანს შეუძლია იცხოვროს მის მიერ მიწაზე დახარჯული შრომის პროდუქტის მესამედით; პირიქით, შვეიცარიის და ნორვეგიის ზოგიერთ ადგილებში 10 პროცენტის რაოდენობით რენტის მოთხოვნას შეეძლო ქვეყნის დაცლა მოსახლეობიდან... ჩვენ რენტის ვერავითარ სხვა ბუნებრივ საზღვრებს ვერ ვხედავთ, გარდა გადამხდელთა შეზღუდულ საშუალებისა“ (გვ. 31), ხოლო იქ კი, „სადაც უფრო მდარე მიწა არსებობს, — ამ მდარე მიწის კონკურენციას უკეთეს მიწებთან“ (გვ. 33, 34).

„ინგლისში ბევრი სათემო მიწაა, რომელთა ბუნებრივი ნაყოფიერება იმ ნაყოფიერებას უდრის, რომელიც ამჟამად დამუშავებული მიწის უმეტეს ნაწილს ჰქონდა მანამ, სანამ იგი დამუშავებაში შეიდოდა; მაგრამ ასეთი სათემო მიწის დასამუშავებლად საჭირო ხარჯები იმდენად დიდია, რომ მას არ შეუძლია ამ მიზნით დახარჯულ ფულზე გადაიხადოს სარგებელი ჩვეულებრივი განაკვეთის

---

[1] მიწის სიუხვე და იშვიათობა, რასაკვირველია, შეფარდებითია ჩვენს განკარგულებაში მყოფი შრომისა და კაპიტალის რაოდენობის მიმართ.

მიხედვით და აღარაფერი აღარ რჩება რენტის სახით, როგორც სანაზღაურო ბუნებრივი ნაყოფიერებისათვის. და ეს ხდება მიუხედავად ამ შრომის უშუალო გამოყენების ყოველივე სარგებლობისა, რომელსაც დახმარებას უწევს მიზანშეწონილად გამოყენებული კაპიტალი და რომელიც უზრუნველყოფილია იაფი სამრეწველო საქონლით და ამასთანავე კარგი გზებით მეზობელ ადგილებში და სხვ. მიწის თანამედროვე მესაკუთრენი შეიძლება განვიხილოთ როგორც მფლობელნი მთელი იმ დაგროვებული შრომისა, რომელიც ასეული წლების განმავლობაში იქნა გამოყენებული იმ მიზნით, რათა მიწა პროდუქტიულობის დღევანდელ მდგომარეობამდე ყოფილიყო აყვანილი“ (l. c., გვ. 35).

მიწის რენტის მიმართ მეტად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ის გარემოება, როდესაც მოსახლეობა უცებ საგრძნობლად იზრდება,— როგორც, მაგალითად, ამას ადგილი ჰქონდა 1780 — 1815 წლების პერიოდში მრეწველობაში მომხდარ წარმატებათა გამო, — და ამის გამო წინათ დაუმუშავებელ მიწათა დიდი ნაწილი უცბად კულტურულად მუშავდება. ახლად დამუშავებული მიწა შეიძლება ისევე ნაყოფიერი ანდა უფრო ნაყოფიერიც იყოს, ვიდრე ძველი მიწა იყო, სანამ მასში საუკუნეთა კულტურა არ დაგროვდა. მაგრამ რაც ახალ მიწას მოეთხოვება, თუ მან თავისი პროდუქტი უფრო ძვირად არ უნდა გაყიდოს, ესაა ის, რომ მისი ნაყოფიერება უნდა უდრიდეს, ჯერ ერთი, დამუშავებული მიწის ბუნებრივ ნაყოფიერებას, მეორე, პლიუს მისი *ხელოვნურად*, კულტურის საშუალებით, შექმნილი ნაყოფიერება, რომელიც ამჟამად უკვე *ბუნებრივ* ნაყოფიერებადაა ქცეული. ახლად დამუშავებული მიწა, მაშასადამე, გაცილებით უფრო ნაყოფიერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ძველი მიწა იყო თავის დამუშავებამდე. მაგრამ შეიძლება სთქვან: დამუშავებული მიწის ნაყოფიერება მომდინარეობს, ჯერ ერთი, მისი ბუნებრივი ნაყოფიერებიდან. მაშასადამე, ახლად დამუშავებული მიწის ბუნებრივ თვისებებზეა დამოკიდებული, აქვს მას თუ არა ეს ნაყოფიერება, რომელიც ბუნებიდან გამომდინარეობს და რომელიც თავის არსებობას ბუნებას უნდა უმადლოდეს. ორივე შემთხვევაში იგი არაფერი არა ღირს. დამუშავებული მიწის ნაყოფიერების მეორე ნაწილი წარმოადგენს ხელოვნურ პროდუქტს, რომლის არსებობაც მიეწერება კულტურას, კაპიტალის დაბანდებას. მაგრამ ნაყოფიერების ეს ნაწილი ღირდა ის საწარმოო ხარჯები, რომელთა გასტუმრებაც მიწაში დაბანდებული ძირითადი კაპიტალის სარგებლის სახით სწარმოებს. მიწის რენტის ეს ნაწილი წარმოადგენს მიწასთან შესისხლხორცებული ძირითადი კაპიტალის მხოლოდ სარგებელს. ამიტომ იგი შედის ძველად დამუშავებული მიწის პროდუქტის საწარმოო ხარჯებში. ამრიგად, საკმარისია მხოლოდ იგივე კაპიტალი იქნას გამო-

ყენებული ამ ახლად დამუშავებულ მიწაზე და ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ამ მეორე ნაწილსაც მიიღებს; ამ ნაყოფიერების შექმნისათვის დახარჯული კაპიტალის სარგებელი — სწორედ ისე, როგორც პირველ შემთხვევაში, — პროდუქტის ფასში შევა. მაშასადამე, რატომ არ შეიძლებოდა, რომ ახალი მიწა — თუ გინდ არც ყოფილიყო იგი შეუდარებლად [უფრო] ნაყოფიერი — დამუშავებულიყო პროდუქტის მზარდი ფასის გარეშე? თუ ბუნებრივი ნაყოფიერება ერთიდაიგივეა, მაშინ განსხვავება მხოლოდ კაპიტალის დაბანდებით იქმნება — და ამ კაპიტალის სარგებელი ორივე შემთხვევაში თანაბრად შედის საწარმოო ხარჯებში. მაგრამ ეს მსჯელობა შემცდარია. ახალი მიწის დამუშავების და სხვ. ხარჯების ერთი ნაწილის გადახდა შემდგომ აღარ სწარმოებს, რადგანაც ამ გზით შექმნილი ნაყოფიერება, როგორც ამას უკვე რ ი კ ა რ დ ო შენიშნავს, ნაწილობრივ შეეზარდა მიწის ბუნებრივ თვისებას, მაშასადამე, აღარ სწარმოებს ისეთი ხარჯების გადახდა, როგორიცაა ახალი მიწის დასახნავად მომზადება, წყლის გადაგდება, ამოშრობა არხებით, დაგეგმვა, ნიადაგის ორგანიული ცვლილება ხანგრძლივი ქიმიური პროცესების გამო და სხვ. ამრიგად, ახლად დამუშავებული მიწა — თუ მან თავისი პროდუქტის გაყიდვა იმავე ფასად უნდა შესძლოს, რა ფასადაც უკანასკნელად დამუშავებული მიწა ყიდის — უნდა საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილიყო, რათა ამ ფასმა დაფაროს მისთვის დამუშავების ხარჯების ის ნაწილი, რომელიც მის საკუთარ საწარმოო ხარჯებში შედის, მაგრამ რომელმაც უკვე შესწყვიტა დამუშავებული მიწის ხარჯებში შესვლა, რადგანაც იგი აქ მიწის ბუნებრივ ნაყოფიერებას შეეზარდა.

* * *

„რაც უფრო იზრდება მოსახლეობა, მით უფრო მცირდება მიწის ფართობი, რომელიც საჭიროა ადამიანის გამოსაკვებად“ (The Natural and Artificial Right of Property contrasted etc. ჰ ო დ გ ს კ ი ნ ი. უსახელო. ლონდონი 1832. გვ. 69). იხილე აგრეთვე ზემოთ ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ს შეხედულება.

* * *

„შევნიშნავენ, რომ ჩვენ მიწის მესაკუთრესა და სოფლის მეურნეს ისე ვუყურებთ, როგორც ერთსადაიმავე პირს... ამას ადგილი აქვს შეერთებულ შტატებში“ (H. C. Carey, The Past the Present and the Future. ფილადელფია. 1848, გვ. 97). „ადამიანი ყოველთვის ცუდი მიწიდან უმჯობეს მიწაზე გადადის, რათა შემდეგ თავისი გზით უკანდაბრუნებისას, ხელახლა დაუბრუნდეს თავდაპირველ ცუდ მიწას... და ასე უწყვეტი თანამიმდევრობით... და ყოველ ნაბიჯზე ამ გზით მავალი იგი უკეთეს მანქანას ქმნის“ (l. c., გვ. 129). „კაპიტალი შეიძლება უფრო მეტი

სარგებლობით იქნას დაბანდებული სოფლის მეურნეობაში, ვიდრე მანქანებში, ვინაიდან ეს უკანასკნელნი მხოლოდ თანასწორი ძალის არიან, ხოლო სოფლის მეურნეობაში ეს ძალა იზრდება" (l. c.). „ორთქლის მანქანა ა რ ა ფ ე რ ს არ აწარმოებს. იგი ამცირებს შრომას, რომელიც აუცილებელია მატყლის მაუდად და ხორბლის ფქვილად გადასაქცევად... მოგება მისი გამოყენების დროს შესდგება მუშების დაზოგვილი ხელფასისაგან, მანქანათა გაცვეთით გამოწვეული დანაკარგის გამოკლებით. შრომა, რომელიც მიწის დასამუშავებლად გამოიყენება, აწარმოებს ხელფასს, გადიდებულს მანქანათა გაუმჯობესების გზით მიღებული მოგებით" (l. c.). „ერთი ნაკვეთი მიწა, რომელიც წლის განმავლობაში 100 გირვ. სტერლინგს იძლევა, 3000 გირვ. სტერლინგად იყიდება. ორთქლის მანქანა კი, რომელიც სწორედ ამდენსავე აწარმოებდა ერთი წლის განმავლობაში, საეჭვოა, 100 გირვ. სტერლინგადაც რომ გაიყიდოს" (l. c., გვ. 130). „პირველის მყიდველმა იცის, რომ მას ეს მიწა გაუსტუმრებს ხელფასს და სარგებელს და ამასთან კიდევ გაადიდებს თავის ღირებულებას თავისავე მოხმარების მეოხებით. მეორეს მყიდველმა იცის, რომ მას ეს მანქანა უკან დაუბრუნებს შრომის ხელფასს და სარგებელს, მაგრამ ამასთანავე იგი მოხმარების პროცესში თავის ღირებულებას დაჰკარგავს. პირველი ყიდულობს ისეთ მანქანას, რომელიც თავისავე გამოყენების პროცესში უმჯობესდება, ხოლო მეორე კი ისეთ მანქანას, რომელიც გამოყენებაში ცვდება... პირველი წარმოადგენს ისეთ მანქანას, რომლის მიმართაც შესაძლებელია ახალი კაპიტალისა და ახალი შრომის მუდამ მხარდი შედეგებით გამოყენება, მეორეს მიმართ კი ასეთი დაბანდება შეუძლებელია" (l. c., გვ. 131).

# სახელთა და საგანთა საძიებელი

(რეგისტრი)


აბსოლუტური რენტა (იხ. მიწის რენტა, აბსოლუტური).

„აბსოლუტური ღირებულება" (იხ. ღირებულება, აბსოლუტური).

D'Avenant, Charles (იხ. აგრეთვე: დ'ავენანტი, ჩ.) „Discourses on the Publick Revenues and on the Trade of England. I. ლონდონი 1698 წ. 267.

დ' ავენანტი, ჩარლზ (იხ. აგრეთვე D'Avenant, Charles) 267, 301.

Anderson, James (იხ. აგრეთვე ანდერსონი, ჯემს). „Essay relating to Agriculture and rural affaires". ედინბურგი 1777 წ. 288.

— , „Recreations in Agriculture, Natural History, Arts and miscellaneous literature". ლონდონი 1798 — 1802 წწ. 287, 317.

— , „A calm Investigation of the circumstances that have led to the present scarcity of grain in Britain". ლონდონი 1801 წ. 297, 313, 314.

— , „An Enquiry into the Nature of the Corn laws, with a view to the new Corn Bill proposed for Scotland". ედინბურგი 1777 წ. 297, 317.

— , „An Enquiry into the causes that have hitherto retarded the advancement of agriculture in Europe". ედინბურგი, 1779 წ. 316.

ანდერსონი, ჯემს (იხ. აგრეთვე: Anderson, James): VII, VIII, 178, 236, 284 — 290, 296 — 298, 301, 304, 313 — 319, 324.

ანდერსონი, ჯემს: თავის შეხედულებას რენტაზე არ ანვითარებს მოძღვრების სახით 297, 298.

— , ითვლება რენტის თეორიის წარმომშობლად 178.

— , იცავს საექსპორტო პრემიებს 288.

— , მალთუსის მოსახლეობის თეორიის მედგარი მტერია 289, 314.

— , „მიწათა დაუსრულებელი სხვაობა" ნაწილობრივ იქიდან წარმოსდგება, რომ იგი დამუშავების სხვადასხვა წესების მეოხებით თავისი პირველადი მდგომარეობიდან სულ სხვა მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული 316.

— , „მიწათმოქმედების პროდუქტიულობა" იწევს მაღლა და ეცემა მხარდ და კლებად მოსახლეობასთან ერთად 314.

— , მიწის გაუმჯობესების მუდმივად მზარდ აბსოლუტურ უნარიანობას აღიარებს 236, 314.

— , მიწის ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხები ბუნების უბრალო პროდუქტი როდია 316.

— , მიწის ხელოვნური ნაყოფიერება ხანგრძლივი პერიოდის გავლენის შემდეგ მიწისავე თავდაპირველი ნაყოფიერების სახით გვევლინება 318, 319.

— , მიწის რენტა: დიფერენციალური რენტა ნაწილობრივ შედეგია იმ ნაყოფიერებისა, რასაც მოიჯარადრე ხელოვნურად მიწას აძლევს 318.

ანდერსონი, ჯემს: მიწის რენტა: მის წყაროდ აღიარებს არა მიწას, არამედ მიწათმოქმედების პროდუქტს, შრომის პროდუქტების ფასს 314, 315.
—, —, მიწა, რომლის პროდუქტის წარმოების ფასი და საბაზრო ფასი ერთმანეთის თანამთხვევია, არავითარ რენტას არ იხდის 317.
—, —, მიწათმოქმედების აბსოლუტურ ნაყოფიერებას არავითარი საერთო არა აქვს რენტასთან 289.
—, —, მიწიდან მიღებული რენტა კი არ განსაზღვრავს მიწის პროდუქტის ფასს, არამედ ამ პროდუქტის ფასი განსაზღვრავს მიწის რენტას 314, 315.
—, —, მიწის რელატიური უნაყოფობით აიხსნება განსხვავება რენტის მომცემსა და არმომცემ მიწებს შორის 288, 289.
—, —, რენტას იძლევა მხოლოდ გარდამეტი მოგება, რომელიც უკანასკნელი მიწის პროდუქტისათვის არ არსებობს, რადგანაც მისი წარმოების ფასი მის საბაზრო ფასს თანაემთხვევა 315.
—, —, რენტის შექმნის წინ.პირობები 316.
—, —, სიმაღლე რენტისა განისაზღვრება უფრო ნაყოფიერ და უნაყოფო მიწას შორის არსებული სხვაობით და არა მათი აბსოლუტური ნაყოფიერებით 289.
—, —, უდრის პროდუქტის საბაზრო ფასის გარდამეტს მის წარმოების ფასზე 315, 316.
ანდერსონი: პურეულის ფასების გადიდების შესახებ ინგლისში 1750—1801 წწ. 289.
—, ხორბლის ფასების აღმავალი და დაღმავალი მოძრაობის შესახებ 313, 314.
აუცილებელი სამუშაო დრო 116, 117.
აქციზი: შეიძლება წარმოდგენილ იქნას ისეთი გადასახადის სახით, რომლითაც ქალაქი თავს არაპირდაპირ იბეგრავს 86.

Bailey (იხ. აგრეთვე ბელი). „A Critical Dissertation on the Nature, Measures and Causes of Value; chiefly in reference to the writings of Mr. Ricardo and his followers. By the Autor of Essays on the Formation and Publication of opinions". London 1825 წ. 11.
—, „A letter to a Polit. Economist, occasioned by an article in the Westminster Review etc. London 1826 წ." 11.
ბასტიანი, ა. (Bastian, A.): „Der Mensch in der Geschichte" 1860 წ. 300.
ბეერ (Beer) IX.
Bailey (იხ. აგრეთვე ბელი): 11, 107, 300.
ბელი (იხ. აგრეთვე Bailey): 11, 107, 300.
—, რიკარდოს ღირებულების თეორიის წინააღმდეგ 1, 8.
Berkeley, George (იხ. აგრეთვე ბერკლი, ჯ.). „The Querist". ლონდონი 1750 წ. 320.
ბერკლი, ჯ. (იხ. Berkeley, G.): სიმდიდრის წყარო შრომაა და არა მიწა 320.
ბონფილდ (Bonfield) 164.
ბურჟუა: თეორიულად მიწის კერძო საკუთრების უარყოფამდე მიდის და სურს იგი სახელმწიფოს საკუთრების სახით ბურჟუაზიული კლასის საკუთრებად გადააქციოს 191.
—, პრაქტიკულად კი მას ამის გამბედაობა არ შესწევს, რადგანაც იერი-

შის მიტანა კერძო საკუთრების ერთ ფორმაზე სახიფათო იქნებოდა მეორე ფორმისათვისაც, იქვე.
ბურჟუაზიულ ეკონომისტებს: ბურჟუაზიულ-ეკონომიური კანონები „ბუნების კანონებად", და ამიტომ, ისტორიულ „Prius"-ადაც ეჩვენებათ 278.
ბ უ ხ ა ნ ა ნ ი (Buchanan): მიწის რენტას იხილავს როგორც მონოპოლიის უბრალო შედეგს. 177.

გადასახადი: მასალაზე, რომელიც სამრეწველო მოხმარების საგანს შეადგენს, ამცირებს მოგების ნორმას, ვინაიდან იგი მუდმივი კაპიტალის ღირებულებას ადიდებს, ცვალებადთან შედარებით 100.
გადახდილი და გადაუხდელი შრომის შეფარდება 270.
გარდამეტი მოგება (იხ. მოგება, ზედმეტი).

Darwin, Charles (იხ. აგრეთვე დ ა რ ვ ი ნ ი, ჩ ა რ ლ ზ): „On the Origin of species by means of natural selection or the preservation of favored races in the struggle for life". ლონდონი 1860 წ. 296.
დ ა რ ვ ი ნ ი, ჩ ა რ ლ ზ: მალთუსის თეორიას ანგრევს ცხოველთა და მცენარეთა სამეფოში გეომეტრიული პროგრესიით გამრავლების გამოძებნავენებით 296.
Deutsch, Hans (იხ. აგრეთვე დ ო ი ჩ, ჰ ა ნ ს): „Qualifizierte Arbeit und Kapitalismus" IX.
დისპროპორცია: მრეწველობისა და მიწათმოქმედების პროდუქტიულობაში 263.
დიფერენციალური რენტა (იხ. მიწის რენტა, დიფერენციალური).
დ ო ი ჩ, ჰ ა ნ ს ი (იხ. აგრეთ ე Deutsch, Hans) IX.
დ ო მ ბ ა ლ ი, მატიე დე (Mathieu de Dombasle): „Annales agricoles etc". პარიზი 1829 წ. 165.
დ ო მ ბ ა ლ ი სახიარო იჯარის (Metairivertrag) შესახებ 165.

ეგზოტერული წესი: ბურჟუაზიული სისტემის გამოკვლევისა 3, 7, 81.
ეზოტერული წესი: ბურჟუაზიული სისტემის გამოკვლევისა 3, 7.
ე ნ გ ე ლ ს ი, ფ რ ი დ რ ი ხ VII, X, XI.
ექსტრაქტული მრეწველობა: ნედლ მასალას არ შეიცავს, თუ არ მხოლოდ დამხმარე ნივთიერებათა სახით 206, 239.

Wade (იხ. აგრეთვე უ ე დ ი) 158.
Wakefield, E. G. (იხ. უ ე კ ფ ი ლ დ ი, ე. გ.) 106.
Wallace (იხ. აგრეთვე უ ო ლ ე ს ი) 295, 296.
West, Sir. Ed. (იხ. აგრეთვე ვ ე ს ტ ი, ე დ.) „Essay on the Application of Capital to Land" ლონდონი 1815 წ. 287.
—, „Price of Corn and Wages of Labour". ლონდონი 1826 წ. 322.
ვ ე ს ტ ი, ე დ. 287, 288, 298, 314, 322.
—, თავისი შრომა მიწის რენტის შესახებ მან რიკარდოზე ადრე გამოაქვეყნა 178.

ზედმეტი მოგება (იხ. მოგება, ზედმეტი).
ზედმეტი ღირებულება (იხ. ღირებულება, ზედმეტი).
ზედმეტი ღირებულების მასა (იხ. ღირებულება, ზედმეტი ღირებ. მასა).
ზედმეტი ღირებულების ნორმა (იხ. ღირებულება, ზედმეტი ღირებ. ნორმა).

იმანენტური ღირებულება (იხ. ღირებულება, იმანენტური).
ინდივიდუალური ღირებულება (იხ. ღირებულება, ინდივიდუალური).
ინდოეთი: მიწის და წყალის ნაყოფიერებასთან ერთად იქ მცხოვრებთა მოთხოვნილებების დაბალ დონეს 116.

(An) Inquiry into the causes of the . etc". ლონდონი 1767 წ. 320.
Present Price of Provenances
(An) Inquiry into the connection between the present Price of Provisions, and the Size of Farms etc. By a Farmer. ლონდონი. 1773 წ. 320.
იუმი, დ. (იხ. აგრეთვე Hume, D.) 110, 301.
იუმი, ჯ. დ. (იხ. აგრეთვე Hume, I. D.) მიწის რენტის შესახებ 321.

კაპიტალი: აიძულებს მუშას მეტი დრო იმუშაოს იმ სამუშაო დროსთან შედარებით, რაც მის საარსებო საშუალებათა საწარმოებლადაა საჭირო 115.
—, ბუნება მისი შემდეგში მდგომარეობს: დაგროვილი შრომა კი არ გამოიყენება მუშათა კლასის მიერ, არამედ დაგროვილი შრომა იყენებს მუშათა კლასს, ცოცხალ, უშუალო შრომას 132, 133.
—, განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობაა 108.
—, განუწყვეტლად გადადის წარმოების სხვადასხვა დარგებში 57.
—, ვარიაციები მისი ორგანიული შედგენილობის შიგნით და ამის გავლენა მოგების ნორმაზე 97, 98, 99.
—, თანასწორი სიდიდის კაპიტალები არათანასწორ პროპორციებში აბანდებენ თავიანთ ძირითად და ცვალებად ნაწილებს და მეტად არათანასწორ ზედმეტ ღირებულებებს —და ამიტომ მოგებებს - იძლევიან 55.
—, თანასწორი სიდიდის კაპიტალები აწარმოებენ თანასწორი ღირებულების საქონელთ, თუ მათი ორგანიულ შემადგენელ ნაწილთა შეფარდება ერთიდაიგივეა, ხოლო არათანასწორი ღირებულების საქონელთ, თუ მათი ორგანიული შედგენილობა სხვადასხვაა 43.
კაპიტალი: თანასწორი სიდიდის კაპიტალები თანასწორ მოგებას იძლევიან 169.
—, მისი ორგანიული შედგენილობის ცნება 15.
—, როგორც შრომის ის ნივთიერი პირობები, რომელნიც მუშას დამოუკიდებლად გამხდარი ძალის სახით უპირდაპირდებიან 108.
—, სარგებელი კაპიტალის 311.
კაპიტალი, მუდმივი: 12, 13, 96, 97, 98, 124, 125, 194, 241.
—, —, თავისი ღირებულებით შედარებით უფრო დიდია მრეწველობაში, ვიდრე მიწათმოქმედებაში 241.
—, —, მისი ის ნაწილი, რომელიც შრომის პროცესში ღირებულების ზრდის პროცესში შეუსვლელად შედის, არ შედის პროდუქტის ღირებულებაში 124.
—, —, მისი სხვადასხვა შეფარდება ცვალებად კაპიტალთან სხვადასხვა ზედმეტ ღირებულებას იძლევა, თუნდაც ზედმეტი ღირებულების ნორმა მუდმივად იყოს ნაგულისხმევი 194.
—, —, რიკარდო ვერ მიდის მუდმივი კაპიტალის ცნებამდე 12.
—, —, ღირებულება მისი იზრდება არაპროპორციულად მისავე მასასთან შეფარდებით 125.
—, —, შედის შრომის პროცესში საწარმოო საშუალებათა სახით, მაგრამ შემდეგ არცერთი საათით მუშაობა არ სწარმოებს იმისთვის, რომ მოხდეს ამ ნაწილის რეპროდუქცია მისი ღირებულების მიხედვით 125.
—, —, შეფარდება, რომლითაც მუდმივი კაპიტალი რომელიმე საქონელში შედის, უშუალოდ ეხება თანასწორი რაოდენობის სამუშაო დროის შემცველ საქონლებში მოთავსებული

ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა რაოდენობას 13.
კაპიტალი, მუდმივი: შეფარდება ცვალებადთან იზრდება კაპიტალისტური წარმოების განვითარების მსვლელობაში 125.
—, —, შრომის მზარდი პროდუქტიულობის გამო მუდმივი კაპიტალის ერთი ნაწილი ღირებულებას კარგავს, იქვე.
კაპიტალი, საბრუნავი: 13, 18, 19, 305.
კაპიტალი, ცვალებადი: 13, 27, 96, 97, 98.
—, —, ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის შეფარდებამ დაბანდებული კაპიტალის თანასწორი სიდიდის დროს არათანასწორი ღირებულების და ამიტომ სხვადასხვა მოგების მქონე საქონელნი უნდა წარმოშვას 27.
კაპიტალი, ძირითადი: განსხვავება ძირითად და საბრუნავ კაპიტალთა ურთიერთობაში 19.
—, —, დაპირისპირება ძირითად და საბრუნავ კაპიტალისა 305.
—, —, შედის მიმოქცევის პროცესში თანდათანობით, ხოლო ღირებულების შექმნის პროცესში ნაწილ-ნაწილად 41.
—, —, შედის მიმოქცევის პროცესში მეტ წილად თავისი საცვლელი ღირებულებით, მისი სახმარი ღირებულება კი შედის შრომის პროცესში და მას აღარ სტოვებს, იქვე.
კაპიტალისტი: კონკურენციაში ყველაფერს უკუღმა ხედავს, ვიდრე ეს სინამდვილეშია; აქედან ილიუზია, თითქოს კაპიტალი შრომისაგან დამოუკიდებელ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდეს 211.
—, მუშათა უშუალო ექსპლოატატორია 276.
—, უშუალო მფლობელია ზედმეტი ღირებულებისა 275
კაპიტალისტი: წარმოების აუცილებელი და გაბატონებული აგენტია 191, 276.
კაპიტალისტური წარმოება (იხ. წარმოება, კაპიტალისტური).
კ ა უ ც კ ი, კ ა რ ლ: შენიშვნები I—XI, 14, 15, 22, 30, 46, 62, 67, 79, 122, 194, 197, 219, 220, 238, 248, 252, 257, 261, 265, 275, 282, 293, 300, 301, 312, 320.
კ ე ნ ე, ფ. (იხ. Quesnay, Fr.): თავის Tableau Economique-ში სათვალავში იღებს „ნედლ მასალას" 192.
—, მოიჯარადრის შვილი იყო და საფრანგეთის საიჯარო სისტემას ზედმიწევნით იცნობდა 192.
კ ე რ ი, ჰ. (იხ. აგრეთვე Carey, H. C.) 4, 177, 282, 324, 325.
—, მიწის რენტის ახსნის სიძნელეს გვერდს უხვევს 177.
კერძო საკუთრება: ბუნებრივ ობიექტებზე, როგორიცაა მიწა, წყალი, მადნები და სხვ. არ წარმოადგენს წყაროს, საიდანაც ღირებულება გამომდინარეობს, რადგანაც ღირებულება უდრის მხოლოდ გასაგნობრივებულ სამუშაო დროს 188.
— გვევლინება, მსგავსად კაპიტალისა, ღირებულების წყაროდ იმ გარემოების გამო, რომ იგი შესაძლებლობას აძლევს მესაკუთრეს გამოსტაცოს კაპიტალისტს გადაუხდელი შრომის ერთი ნაწილი 189.
—, მიწაზე, მადნებზე, წყლებზე და სხვ. შესაძლებლობას აძლევს მათ მესაკუთრეთ წარმოების ამ განსაკუთრებულ სფეროს საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულების გარდამეტი საშუალო მოგებაზე მიითვისონ და ხელი შეუშალონ მას შევიდეს იმ საერთო პროცესში, რომლის საშუალებითაც მოგების საერთო ნორმა იქმნება 182.
—, მუქთ, გადაუხდელ შრომაზე ისეთივე ასაგნობად ხდება როგორიც კაპიტალია 189.

კერძო საკუთრება: წარმოადგენს საშუალებას, რომელიც საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს წარმოების იმ სფეროში, სადაც მისი საკუთრების საგანი საწარმოო საშუალებაა, მიითვისოს კაპიტალისტის მიერ გამოწურული გადაუხდელი შრომის ნაწილი, რომელიც სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივ მოგებაზე გარდამეტის სახით კაპიტალის სალაროში იქნებოდა შეტანილი 188.

კვინსი, თ. (იხ. აგრეთვე Quincey), რიკარდოს შესახებ 136.

კობეტი, ვ. (იხ. აგრეთვე Cobbet, W.). მალთუსს უწოდებს „Mountebank-parson"-ს (ბაზარზე მყვირალა ხუცესს) 295.

კონკურენცია: ათანასწორებს საბაზრო ფასს ბუნებრივ ფასთან და წარმოების განსაკუთრებული დარგების მოგება საერთო დონემდე დაჰყავს 148.

—, არ ესწრაფის მოახდინოს საქონელთა ფასების ასიმილიაცია მათ ღირებულებებთან; პირიქით, იგი ესწრაფის დაიყვანოს საქონელთა ღირებულებანი მათგან განსხვავებულ წარმოების ფასებამდე 56.

—, ესწრაფის ღირებულებანი წარმოების ფასებს გაუთანასწოროს 31.

—, იწვევს მოგებათა გათანასწორებას 211.

—, იწვევს წარმოების განსაკუთრებულ სფეროში საქონლის ღირებულების განსაზღვრას არა ცალკეულ საქონელთა ინდივიდუალური ღირებულებით, არამედ იმ ერთობლივი სამუშაო დროით, რომელსაც წარმოების ამ განსაკუთრებული საზოგადოებრივი მასა მოითხოვს 53.

—, კაპიტალთა შორის ათანასწორებს მოგების ნორმებს საშუალო ფასების მოწესრიგების გზით 170, 171, 172.

—, კონკურენციაში ორგვარი გათანასწორების მოძრაობა ხდება 242.

კონკურენცია: მასში ყველაფერი გვევლინება მუდამ შებრუნებულად და ყირაზე დაყენებულად 66.

—, საბაზრო ღირებულებას ანუ საბაზრო ფასს კონკურენცია აწესებს არა მოგებათა გათანასწორების საშუალებით წარმოების განსაკუთრებული სფეროს ფარგლებში 53.

—, სხვადასხვა ინდივიდუალურ ღირებულებებს ერთსადაიმავე საბაზრო ღირებულებას უთანასწორებს 53.

—, სხვადასხვა სფეროების კაპიტალისტების კონკურენცია ისვრის კაპიტალს ერთი სფეროდან მეორეში 54.

—, სხვადასხვა სფეროებს შორის ათანასწორებს ღირებულებებს წარმოების ფასებთან, რამდენადაც კაპიტალთა ერთი მეორეზე მოქმედება მესამე ელემენტის — მიწის საკუთრების — და სხვ. ჩარევით არ ფერხდება 242.

—, უძლურია ბუნების ძალების მესაკუთრეთა მიმართ 187, 188.

—, ქმნის წარმოების ფასს, ე. ი. მოგების ერთსადაიმავე ნორმას წარმოების სხვადასხვა სფეროებში 54.

—, წარმოების სხვადასხვა დარგებში ისე ათანასწორებს ფასებს, რომ ღირებულების ნაშთი ანუ გარდამეტი შეესაბამება გამოყენებული კაპიტალის ღირებულებას, მაგრამ არა საქონლის რეალურ ღირებულებას 61.

—, წარმოების სხვადასხვა დარგებში საქონელთა საბაზრო ფასებს იძულებით ატრიალებს არა მათი ღირებულების, არამედ მათი წარმოების ფასის გარშემო, იქვე.

კორბეტი, თ. (იხ. აგრეთვე Corbet, Th.) 52.

კრედიტი: საშუალებას იძლევა კაპიტალისტთა მთელი კლასის კაპიტალი გადაივიდეს თითოეული სფეროს განკარგულებაში 59.

ლენდლორდი: კაპიტალისტის თვალში

კაპიტალისტური წარმოების პარაზიტია 276.
ლენდლორდი: მიწის საკუთრების საშუალებით და მიწის ბუნებრივი სხვაობის გამო ითვისებს იმ ზედმეტი შრომის ნაწილს, რომლის შექმნასაც იგი არაფრით ხელს არ უწყობს 276.

მაკ-კულოხი (იხ. აგრეთვე Mac-Culloch): 36, 37, 38, 287, 297, 300.
მალთუსი, თ. რ. (იხ. აგრეთვე Malthus, Th. R.): 5, 7, 35, 44, 74, 104, 131, 135, 174, 178, 211, 218, 287 — 291, 293 — 296, 298, 314, 320, 321.
—, ანდერსონის რენტის თეორიას იყენებს 178, 287, 290.
—, გაბატონებული კლასების სიკოფანტია 290, 295.
—, ისტორიული განვითარების წინაალმდეგ ამართლებს ომს რევოლიუციური საფრანგეთის საწინააღმდეგოდ 293.
—, იცავს რეაქციურ მიწათმფლობელობას და საადგილმამულო არისტოკრატიას 294.
—, იცავს წარმოებას, რამდენადაც ეს უკანასკნელი გაბატონებული კლასების ინტერესებს შეეფერება 293.
—, მეცნიერულ დასკვნებს აგებს გაბატონებული კლასების ინტერესების მიხედვით, რის გამოც მეცნიერებას აყალბებს 295.
—, მისი მოსახლეობის თეორია მახინჯი და უკულმართი გამოგონებაა 289.
—, პურეულის ფასების მოძრაობის შესახებ 314.
—, როგორც აპოლოგეტი ექსპლოატატორებისა 290.
—, როგორც პროფესიონალური პლაგიატორი 288, 290.
—, საფრანგეთის რევოლიუციის მისწრაფებებს არსებული წყობილების გასაუმჯობესებლად „ეკონომიურ“ უტოპიად აცხადებს 293.
მალთუსი, თ. რ.: ულმობელია დამონებული კლასების წინააღმდეგ 295.
—, „უმსგავსოება“ მისი მეცნიერული აზროვნებისა 290, 291, 294, 295.
Malthus, Th. R. (იხ. აგრეთვე მალთუსი, თ.) „Inquiry into the Nature and Progress of Rent etc“. ლონდონი 1815 წ. 287, 288, 321.
—, „On Population“ 295, 296.
—, „Principles of political economy“ 294.
მარქსი, კარლ (იხ. აგრეთვე: Marx, Karl): V, VII — XI, 14, 15, 30, 69, 219, 282, 284.
—, „კაპიტალი“, ტ. I, ქართ. გამოც. 1930 წ. 282.
—, „კაპიტალი“, ტ. II, გვ. VIII.
—, „კაპიტალი“, ტ. III, გვ. VII, VIII, X, 14.
—, „ფილოსოფიის სილატაკე“, გვ. VIII.
Marx, Karl (იხ. აგრეთვე მარქსი, კარლ) „Misère de la Philosophie“, პარიზი, 1847 წ. 284.
—, „Zur Kritik“ 15.
Mac-Culloch (იხ. აგრეთვე მაკ-კულოხი). „The principles of pol. Economy“. ლონდონი 1830 წ. 38.
მექანიკა: როგორც მეცნიერული საფუძველი მსხვილი მრეწველობისა 264.
მილი, ჯემს (Mill, James) 36.
—, წარმოებას შეეძლო შეუფერხებლად წინსვლა, თუ მიწის რენტის მიმღების ადგილს სახელმწიფო დაიჭერდა 275.
მილი, ჯონ სტ. (იხ. აგრეთვე Mill, John Stuart): „Monied class“-ს ფულის გამსესხებელ ხალხად თვლის, რომელიც სარგებლით ცხოვრობს და „producing class“-ს უპირდაპირდება 298, 299.
Mill, John Stuart (იხ. აგრეთვე მილი, ჯონ სტ.). „Essay on somo unsettled questions of Political Economy“. ლონდონი 1844 წ. 298

მიწა: არის ნედლი მასალა მიწის მუშისა 161.
—, ბუნებრივი და ხელოვნური ნაყოფიერება მისი 323.
—, ის ელემენტია, რომელშიაც მიწათმოქმედებაზე დახარჯული კაპიტალი ბანდდება 270.
—, კულტურა მიწისა ადიდებს ბუნებრივი ნაყოფიერების სიდიდეს დამუშავებულსა და დაუმუშავებელ მიწას შორის 317.
—, მდარე მიწა, რომლის პროდუქტის საშუალო ფასი მის ღირებულებას უდრის, რენტას არ იძლევა 182.
—, მისი განუსაზღვრელობის პირობებში არ იარსებებდა მთავარი ელემენტი კაპიტალის შესაქმნელად 190.
—, მისი საწარმოო ძალის განსხვავება ორთქლის საწარმოო ძალისაგან 191.
—, მიწათა ნაყოფიერების თავდაპირველ ხარისხთა შორის არსებული განსხვავება იზრდება მიწის ბუნებრივი ნაყოფიერების იმ ნაწილით, რომელიც ოდესღაც შექმნილ იქნა ადამიანის მიერ, მაგრამ ამჟამად მიწასთან შესისხლხორცებულია და მისი განსხვავება თავდაპირველი ნაყოფიერებიდან შეუძლებელია 319.
—, როგორც კაპიტალი 284.
—, სიუხვე და იშვიათობა მიწისა შეფარდებითია ჩვენს განკარგულებაში მყოფ შრომისა და კაპიტალის რაოდენობის მიმართ 322.
—, შემოფარგვლა სათემო მიწებისა 312.
მიწათმოქმედება: განსხვავდება მრეწველობის სხვა დარგებიდან 207, 284.
—, განსხვავდება მრეწველობისაგან იმით, რომ მასში ზედმეტ მოგებათა ფიქსაცია ხდება, რადგანაც ეს უკანასკნელნი ბუნებრივ ბაზისს ემყარებიან 243.
—, იგი რელატიურად ნაკლებად პროდუქტიული გახდა, თუმცა პოზიტიურად — უფრო პროდუქტიული 156.
მიწათმოქმედება: კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად იგი ფორმალურადაც და მატერიალურადაც გადატრიალებას განიცდის 197.
—, მისი განვითარების საფუძველს იძლევიან მეცნიერებანი: ქიმია, გეოლოგია და ფიზიოლოგია 264.
—, მისი პროდუქტები უძველეს დროში და საშ. საუკუნეებში უფრო იაფი იყო, ვიდრე სამრეწველო პროდუქტები 158.
—, მიწათმოქმედებაში გარდამეტ მოგებას ძლიერ ხშირად იძლევა არა საუკეთესო მიწის ნაკვეთების ნაყოფიერების აბსოლუტური გადიდება, არამედ მათი ნაყოფიერების რელატიური გადიდება, ვინაიდან ადგილი აქვს ნაკლებად ნაყოფიერი მიწის გამოყენებას 244.
—, „ნედლი მასალის“ მიწათმოქმედებაში შეუსვლელობის მტკიცება სასაცილოა 164.
მიწათმოქმედება: სამუშაო დღის გაგრძელება მიწათმოქმედებაში მხოლოდ განსაზღვრული ზომით შეიძლება 159.
—, ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან მიწათმოქმედებაში უფრო დიდია, ვიდრე მრეწველობაში 250, 251.
—, წარმოების წინაკაპიტალისტური წესის დროს მიწათმოქმედება საერთოდ უფრო პროდუქტიულია მრეწველობაზე, რადგანაც მასში მონაწილეობს ბუნება როგორც მანქანა და ორგანიზმი, მაშინ როდესაც მრეწველობაში ბუნების ძალები შენაცვლებულია ჯერ კიდევ მთლიანად ადამიანის ძალის მიერ 263.
—, წინაპირობები მიწათმოქმედების პროდუქტიულობის სწრაფი გადიდებისა 263, 264.
მიწის საკუთრება: გვევლინება ღირებულების წყაროდ იმიტომ, რომ შესაძლებლობას აძლევს მესაკუთრეს გამოსტაცოს კაპიტალისტს გადაუხდელი შრომის ერთი ნაწილი 189.

მიწის საკუთრება: მიზეზია მიწის რენტის წარმოშობისა 241.
—, მისი კერძო საკუთრებიდან სახალხო საკუთრებად გადაქცევასთან ერთად ისპობა კაპიტალისტური წარმოების საფუძველი, რომელზედაც დაფუძნებულია შრომის პირობების დამოუკიდებლად გადაქცევა და მათი მუშის მიმართ დაპირისპირება 255.
—, როგორც მიზეზი იმისა, რომ მიწათმოქმედებაში ღირებულების გარდამეტი წარმოების ფასზე არ განიცდის გათანასწორებას კონკურენციის გამო 250.
—, ხდება ისეთივე ასიგნობად გადაუხდელ შრომაზე, როგორც კაპიტალია 189.
მიწის მესაკუთრე: ართმევს გადაუხდელ შრომას არა მუშას, არამედ კაპიტალისტს 191.
—, კაპიტალისტურ წარმოებაში იძულებული ხდება ჩამოქვეითდეს ფულის უბრალო მიმღებამდე, შესწყვიტოს წარმოების აგენტად ყოფნა 197.
—, კერძო საკუთრების საფუძველზე ითვისებს მიწათმოქმედებაში შექმნილი ზედმეტი ღირებულების, ე. ი. გადაუხდელი შრომის გარდამეტს მოგების ნორმაზე 186, 187.
—, როგორც მონაწილე ზედმეტ ღირებულებაში, post festum გამოდის 276.
—, როგორც უსარგებლო ხორცმეტი ანტიურ და საშუალო საუკუნეების სამრეწველო სამყაროში 191.
—, წარმოების პროცესში უშუალო მონაწილეობიდან გამორიცხულია 277.
მიწის რენტა: 152 და შ.
—, გამოანგარიშებული თვით მიწაზე, არის სარენტო ფონდი—რენტის მასა 189.
—, გამომდინარეობს გარდამეტი მოგებიდან, ე. ი. ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილიდან, რომელიც მოგების საერთო ნორმაში არ შედის 181, 182, 218.
მიწის რენტა: გამომდინარეობს კაპიტალის ორგანიულ შემადგენელ ნაწილებში მოცემული ისტორიული სხვაობიდან, — სხვაობიდან, რომელიც მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად შეიძლება სრულიად გაქრეს 258.
—, ზრდა რენტისა 190, 306.
—, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიწის ნაკვეთების ნაყოფიერებაში მოცემულ განსხვავებებს, რენტა იქიდან წარმოსდგება, რომ სამიწათმოქმედო კაპიტალს კაპიტალის მუდმივ ნაწილთან შედარებით შრომის უფრო დიდი რაოდენობა მოყავს მოძრაობაში, ვიდრე საშუალო კაპიტალს არა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო სფეროებში 91, 92.
—, ისე ესმით ბრიყვ ეკონომისტებს, თითქოს მიწაში დაბანდებული ძირითადი კაპიტალისათვის საჭირო სარგებელი ქმნიდეს მას 313.
—, იქმნება იმ გარემოების გამო, რომ უფრო იაფი პროდუქტი უფრო ძვირი პროდუქტის ხარჯების მიხედვით იყიდება 156.
—, მდარე მიწა, რომლის საქონლის საშუალო ფასი მის ღირებულებას უდრის, რენტას არ იძლევა 182.
—, მისი არსებობის მიზეზი 189.
—, მისი კანონის წმინდა სახით გამომჟღავნება 307.
—, მიწის აბსოლუტურ პროდუქტიულობასთან მას არავითარი საერთო არა აქვს 315.
—, მიწის საკუთრების არსებობა, როგორც მიზეზი მიწის რენტის წარმოშობისა 241.
—, მოგების გვერდით მისი განსაკუთრებული არსებობა მიწათმოქმედების პროდუქტების ზედმეტი ღირებულების და კაპიტალისტური წარმოების კანონებიდან გამორიცხვის ილიუზიას ქმნის 181.
—, მოიჯარადრისათვის იგი მოგების ნაწილად იქცევა 321.

მიწის რენტა: მოსახლეობის ზრდის გავლენა მიწის რენტაზე 323.
—, რენტის აბსოლუტური სიდიდე შეიძლება გაიზარდოს მისი დაწეული ნორმის პირობებში, ისე როგორც მოგების აბსოლუტურ მასას შეუძლია გაიზარდოს მოგების კლებადი ნორმის დროს 177.
—, რენტის მომცემი სხვაობა, რამდენადაც იგი მხოლოდ მიწის ბუნებრივ ნაყოფიერებაში არსებული განსხვავებებიდან გამომდინარეობს, აბსოლუტური რენტის გაქრობის შემდეგაც რჩება 258.
—, რიკარდო მიწის რენტის შესახებ (იხ. რ ი კ ა რ დ ო, მიწის რენტა).
—, როგორც მიწის (ბუნებრივი ელემენტის) საშუალებით შექმნილი შრომის პროდუქტის ღირებულების გარდამეტი მის წარმოების ფასზე 270, 271.
—, როდბერტუსი მიწის რენტის შესახებ (იხ. რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი, მიწის რენტა)
—, საუკეთესო მიწის მიერ რენტის მოცემა ამტკიცებს, რომ მიწათმოქმედებაში ადგილი აქვს ინდივიდუალურად აუცილებელ შრომასა და სოციალურად აუცილებელ შრომას შორის არსებული განსხვავების ფიქსაციას 302.
—, სხვაობა მიწის რენტათა მიწის თანასწორი სიდიდის ფართობზე კაპიტალის თანასწორი დაბანდების პირობებში აიხსნება ბუნებრივ ნაყოფიერებაში მოცემული სხვაობით (ბუნებრივი სხვაობა), ხოლო თანასწორი ნაყოფიერების მქონე მიწის სივრცეთა პირობებში მიწის რენტათა სხვაობა აიხსნება კაპიტალის არათანასწორი დაბანდებით (ინდუსტრიალური სხვაობა) 189, 243.
—, უფრო ინტენსიური კულტურის დროს მიწის რენტის აწევა ღირებულებისა და მასის მიხედვით 255, 256.
—, შეადგენს ზედმეტ ღირებულების განსაკუთრებულ დამახასიათებელ ფორმას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რამდენადაც იგი საერთო მოგების გარდამეტს წარმოადგენს 174.
—, შეიძლება გაიზარდოს რენტის ნორმის გაუდიდებლად 189.
—, შესაძლებლობა მისი მოცემულია, როცა ღირებულება წარმოების ფასზე მაღლა დგას 250.
—, შტორხის კანონი მიწის რენტის შესახებ: უნაყოფიერესი მიწის რენტა განსაზღვრავს იმ უკანასნელი მიწის რენტას, რომელიც საერთოდ რენტას იძლევა 249.
—, ჩამოშორება ან არარსებობა რენტისა შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგების ნორმასთან, რომელიც ან მაღლა იწევს ან უცვლელი რჩება, ანდა ეცემა 185.
—, ცვლილება მისი სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულებასთან შეფარდებით 221.
მიწის რენტა, აბსოლუტური: არის ღირებულების გარდამეტი მიწის პროდუქტის წარმოების ფასზე 311.
—, და ღირებულების თეორია 301 და შ.
—, მისი მოსპობის პირობები 256.
—, შეუძლებელი იქნებოდა საქონელთა ღირებულების და მათი წარმოების ფასის იდენტიურობის პირობებში 301, 302.
მიწის რენტა, დიფერენციალური: არის უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ მიწათა პროდუქტის საბაზრო ფასის გარდამეტი მათი საკუთარი პროდუქტის ღირებულებაზე 311.
—, დაკავშირებულია საბაზრო ფასის მოწესრიგებასთან 258.
მიწის რენტის ნორმა: გამოიანგარიშება კაპიტალზე 212.
—, ზრდა ავანსად გაღებული კაპიტალის მიმართ 260.
—, შეიძლება გაიზარდოს, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტის ღირებულება იგივე რჩება, ე. ი. შრომა არ ხდება უფრო უნაყოფო 262.

მოგება: აბსოლუტური მასა მოგებისა უდრის ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ მასას 138.
—, აბსოლუტური მასა შეიძლება გაიზარდოს მოგების კლებადი ნორმის დროს 177.
—, დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეზე 120.
—, ვულგარული შეხედულება მოგებაზე აუცილებლად თავს იჩენს, თუ მოგება და ზედმეტი ღირებულება გაიგივებულია 139.
—, მოგებათა გათანასწორება ქმნის ღირებულებათაგან განსხვავებულ ფასებს 27.
—, მოგებათა გათანასწორების კანონი სპობს რიკარდოს წინაპირობას პროდუქტთა წარმოების ფასი მათ ღირებულებას უდრისო 279.
—, პლიუს რენტა არ უნდა იყოს მეტი, ვიდრე საქონლის იმანენტური ზედმეტი ღირებულება 179.
—, რიკარდოს თეორია მოგების შესახებ 8 და შ.
—, უდრის ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ავანსად გაღებულ ერთობლივ კაპიტალთან 38, 120.
—, უშუალოდ არევა მოგებისა ზედმეტ ღირებულებაში რიკარდოს უძნელებს მიწის· რენტის საკითხის გარკვევას 175.
—, შეიძლება უფრო პატარა იყოს, ვიდრე საქონლის იმანენტური ზედმეტი ღირებულება ანუ მასში მოთავსებული გადაუხდელი შრომის რაოდენობა 179.
—, შრომის ხელფასის აწევის ან დაცემის გავლენა მოგებაზე 14.
მოგება, ზედმეტი (გარდამეტი): მრეწველობაში მუდამ უნდა წარმოადგენდეს ახლად დაბანდებული კაპიტალის პროდუქტიულობის აბსოლუტური მატების შედეგს შედარებით ძველ კაპიტალთან 244.
—, —, სწრაფლწარმავალად ამოტივტივდება ხოლმე მრეწველობაში კაპიტალისტების მიერ უფრო ნაყოფიერი მანქანებისა და შრომის გაუმჯობესებათა გამო 243.
მოგება, საშუალო: არის მხოლოდ გადაუხდელი შრომის რაოდენობა, რომელსაც რეალიზაციას უშვება მოცემული ღირებულების სიდიდის მქონე ყოველი კაპიტალი 185.
—, —, მოჩვენებითი და უშინაარსო იქნებოდა, თუ მის საფუძვლად ღირებულების განსაზღვრას არ ავიღებდით 34.
—, —, პლიუს კაპიტალისტური ხარჯები უდრის წარმოების ფასს 15.
—, —, წარმოშობს წარმოების ფასებს 23.
მოგების ნორმა: არ განისაზღვრება მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმით 232.
—, არ ემორჩილება უშუალოდ იმავე კანონებს, რომლებსაც ზედმეტი ღირებულების ნორმა ექვემდებარება 138.
—, აწევა ან დაწევა მოგების ნორმისა ნედლი პროდუქტის ღირებულებასთან შეფარდებით 218.
—, გავლენა მოგების ნორმაზე იმ ცვლილებათა, რომელთაც ადგილი აქვთ მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის არსებულ შეფარდებაში წარმოების წესის უცვლელობისას 97, 98, 99.
მოგების ნორმა: განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების შეფარდებით მთელ ავანსად გაღებულ კაპიტალთან 162, 170.
—, განსხვავდება ზედმეტი ღირებულების ნორმისა და თვით ზედმეტი ღირებულებისაგან 233.
—, დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების მასაზე და არა ზედმეტი ღირებულების ნორმაზე 92.
—, დამოკიდებულია კაპიტალის ორგანიულ შედგენილობაზე ზედმეტი ღირებულების ნორმის მოცემულობის პირობებში 138.

მოგების ნორმა: წლიურ სიდიდის კაპიტალისათვის ერთიდაიგივეა 195.
—, სხვადასხვა ნორმები მოგებისა განაგრძობენ არსებობას ერთიდაიგივე სფეროს ცალკე კაპიტალისტებისათვის, როგორც უნდა იყოს საბაზრო ფასის შეფარდება საბაზრო ღირებულებასთან 53.
—, უდრის ზედმეტ პროდუქტს (ზედმეტ ღირებულებას), გაყოფილს გამოყენებულ კაპიტალზე 140.
—, შეიძლება გაიზარდოს ან დაეცეს რენტის აწევის ან დაცემის გამო, სრულიად დამოუკიდებლად შრომის ღირებულებაში მომხდარ ცვლილებისაგან 138.
—, შეიძლება დაეცეს შრომის ხელფასის შემცირებასთან ერთად 214.
—, შრომის ღირებულებიდან დამოუკიდებლად შეიძლება დაექვემდებაროს გავლენას მუდმივი კაპიტალის ღირებულებაში მომხდარი ცვლილების გამო 144.
მოგების საერთო ნორმა: არის მხოლოდ გათანასწორება სხვადასხვა ზედმეტ ღირებულებათა ნორმებისა თანასწორი კაპიტალების მიერ წარმოებულ სხვადასხვა საქონელში 44.
—, გულისხმობს, რომ საქონელთა ღირებულებანი უნდა შეიცვალონ, გარდაიქმნან წარმოების ფასებად 2Ր3.
—, იქმნება კაპიტალთა კონკურენციით არა საქონელთა ფასების მათ ღირებულებებთან გათანასწორების გზით, არამედ საქონელთა ღირებულებების წარმოების ფასებად გადაქცევის საშუალებით 172.
—, იწვევს მოგების იმ განსაკუთრებული ნორმების გათანასწორებას, რომლებიც ყოველ დარგში ზედმეტი ღირებულების ავანსად გაღებულ კაპიტალთან შეფარდების საშუალებით იქმნებიან 203.
მოგების საერთო ნორმა: მისი ცნება შეიცავს იმას, რომ თანასწორი სიდიდის კაპიტალები თანასწორ მოგებას იძლევიან 24.
—, როგორც აბსტრაქცია კაპიტალის ორგანიული შემადგენელი ნაწილებიდან და როგორც რედუქცია ზედმეტი ღირებულებისა იმ სახით, რომ თანასწორი სიდიდის კაპიტალები თანასწორ მოგებას იძლევიან 194.
—, შესდგება წარმოების ყველა დარგში მოცემული მოგების ცალკე ნორმათა საშუალოდან 143.
მოგების საშუალო ნორმა: ზედმეტი ღირებულების ის ნაწილია, რომელიც განსაზღვრული დროის განმავლობაში კაპიტალის განსაზღვრულ ნაწილს ერგება 146.
—, მისი დამყარებისათვის საჭიროა მოგების მიერ განსაზღვრული და მოწესრიგებული ფასები ანუ წარმოების ფასები ძლიერ განსხვავდებოდენ საქონელთა ღირებულებათაგან 101.
Monied და landed interest წინააღმდეგობა 297, 298, 299.
„Monied class"-ი ინგლისელის გაგებით ფულის გამსესხებელი ხალხია 298.
Morning Stэr 275, 276.
მონოპოლია: აჩერებს საქონლის ღირებულებას მის წარმოების ფასზე მაღლა და საშუალებას აძლევს მიწიq მესაკუთრეს საქონელი გაყიდოს მისი ღირებულების მიხედვით და არა მის ღირებულებაზე მაღლა 242.
მონოპოლია: კაპიტალისა შესაძლებლობას აძლევს კაპიტალისტს გამოსწოვოს მუშას ზედმეტი შრომა, იქვე.
—, როგორც მიწის რენტის მიზეზი, იქვე.
—, საშუალებას აძლევს მიწის მესაკუთრეს გამოსწოვოს კაპიტალისტს ზედმეტი შრომის ის ნაწილი, რომელიც მუდმივ გარდამეტ მოგებას შექმნიდა, იქვე.
მრეწველობა: მიწათმოქმედებასთან შედარებით მისი უფრო სწრაფი განვი-

თარება წარმოების ბურჟუაზიული წესის დამახასიათებელი ისტორიული ხასიათის განსხვავებაა, რომელიც შეიძლება გაქრეს 241.
მრეწველობა: პროდუქტიულობა მისი კაპიტალისტური წარმოების მძაფრ პერიოდში უფრო სწრაფად ვითარდება მიწათმოქმედებასთან შედარებით 263.
—, ყველაზე უფრო პროდუქტიული და მუდამ უკანასკნელად მოსული კაპიტალი იძლევა მრეწველობაში გარდამეტს წარმოების ფასების დაწევის საშუალებით 243.
მუდმივი კაპიტალი (იხ. კაპიტალი, მუდმივი).

ნედლი მასალა: ნედლეულის წარმოებაში ღირებულება არ ეცემა წარმოების ფასებამდე და ამიტომ გარდამეტ მოგებას, მიწის რენტას იძლევა 241.
—, სახმარი ღირებულება ნედლეულისა (და არა ღირებულება) მრეწველობისათვის წარმოების პირობას შეადგენს 225.
—, სოფლის მეურნეობაში 160 და შ.
—, როგორც ღირებულების ზრდის პროცესის შემადგენელი ნაწილი, არ იზრდება იმავე შეფარდებით, რომლითაც იგი იზრდება როგორც შრომის პროცესის შემადგენელი ნაწილი 264.
—, ფასი ნედლეულისა ეცემა მიწათმოქმედების უფრო დიდ პროდუქტიულობასთან ერთად 264.
N e w m a n (იხ. აგრეთვე ნ ი უ მ ა ნ ი). „Lectures on Political Economy", ლონდონი 1851 წ. 164.
ნ ი უ მ ა ნ ი (იხ. აგრეთვე N e w m a n) 164, 182.
ნედლი პროდუქტი: გაძვირების გავლენა მოგების ნორმაზე 95.
—, მისი ღირებულების წარმოების ფასთან ერთ დონეზე დაწევის პირობებში მიწის რენტა გაქრებოდა 279.
—, ხასიათდება — მიწის საკუთრების გამო—იმ პრივილეგიით, რომ მისი ღირებულება არ ეცემა წარმოების ფასამდე 279.
ნორმა მოგებისა (იხ. მოგების ნორმა).

ო პ დ ე ი კ ე (Opdyke): მიწის რენტა, როგორც „კაპიტალის ღირებულების ლეგალიზაციაქმნილი ანარეკლი" 177, 178.
ოქრო: თავისი ღირებულების აწევის ან დაცემის დროს თანაბრად აიწევს ან ეცემა მასში შეფასებული ყველა საქონლის მიმართ 46.

P e t t y, W. (იხ. აგრეთვე პ ე ტ ი, უ ი ლ ი ა მ) „Political Arithmetick", ლონდონი 1699 წ. 267.
პ ე ტ ი, უ ი ლ ი ა მ V, 266, 267, 301.
—, გადმოგვცემს ლენდლორდების შიშს მიწათმოქმედებაში რაიმე გაუმჯობესების შეტანის გამო 267.
პროდუქცია: წარმოადგენს რეპროდუქციას და ამიტომ საჭიროებს „წინამორბედი წარმოების პროდუქტებს მასალად" 201.
„Producing class" ის და „monied class"-ის ინტერესები სულ სხვადასხვა საგანია 299.

რეალური ღირებულება (იხ. ღირებულება, რეალური).
რელატიური ღირებულება (იხ. ღირებულება, რელატიური).
რელატიური ჭარბი მოსახლეობის შექმნა სოფლად 154.
რენტა (იხ. მიწის რენტა).
რ ი კ ა რ დ ო, დ. (იხ. აგრეთვე R i c a r d o, D.): V, VI, VII, VIII, 1 — 29, 31 — 48, 50, 53 — 61, 64 — 67, 70 — 72, 79, 88 — 95, 99 — 115, 118, 121 — 152, 155, 156, 169 — 172, 174 — 178, 190, 216, 232, 236, 242 — 245, 253, 255, 258, 259, 262, 263, 272 — 274, 276 - 280, 282, 284, 287, 288, 291 — 294, 298, 300 — 305 314, 324.

რ ი კ ა რ დ ო: აბსტრაქციაში შორს ვერ მიდის 151.
—, აკრიტიკებს ა. სმიტის კვლევის მეთოდს და მანამდე არსებულ პოლიტიკურ ეკონომიას 107.
—, ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ეკონომიური კატეგორიები ანუ ურთიერთობანი ღირებულების თეორიას არ ეწინააღმდეგებიანო, ნაცვლად იმისა, რომ მან ეს კატეგორიები ყველა მოჩვენებითი წინააღმდეგობებითურთ ამ საფუძვლიდან (ღირებულების თეორიიდან) განავითაროს 272.
—, არ ჩაითვლება რენტის თეორიის გამომგონებლად 178.
—, ბუნების ძალებს (ჰაერს, სინათლეს, ორთქლს, წყალს და სხვ.) მუქთად მოცემულად თვლის, მიწას კი, მისი განსაზღვრულობის გამო, არა 190.
—, დიდი დამსახურება მისი მდგომარეობს იმაში, რომ მან შეფარდებითი შრომის ხელფასი განიხილა და მას როგორც კატეგორიას ფიქსაცია უქნა 129.
—, ერთობლივი პროდუქტის დანაწილება 278.
—, ვერ მიდის იმ კითხვამდე, თუ რატომ ხდება სამიწათმოქმედო პროდუქტთა ღირებულების გათანასწორება მათი წარმოების ფასებთან 305.
—, ზედმეტი ღირებულების შესახებ (იხ. რიკარდო, ღირებულება ზედმეტი).
—, იჩენს აზრთა მსვლელობის ხერელობას, როდესაც გამოდის საქონლის „ფასის შემთხვევითი და დროგამოშვებითი ვარიაციათაგან“ მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებად შეფარდებათა გამო 56.
—, იცავს წარმოებას წარმოებისათვის 291.
რ ი კ ა რ დ ო, კაპიტალი: დაგროვების ბუნება მან ვერ გაიგო 125.
—, —, ბუნებას სწორად გამოსთქვამს, თუმცა იგი მას გაგებული არა აქვს 132.
რ ი კ ა რ დ ო, კაპიტალი: დენა კაპიტალისა ერთი სფეროდან მეორეში 57, 58, 59.
—, —, ისტორიულად ვერ ასაბუთებს 114.
—, —, მთელ კაპიტალს იხილავს როგორც ცვალებადს და მუდმივს მხედველობაში არ იღებს 89, 127.
—, —, მუდმივი კაპიტალის ცნებამდე ვერ მიდის 12.
—, —, ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის განსხვავებას უფარდებს კაპიტალის გადაბრუნების სხვადასხვა დროს და იგი კაპიტალის მიმოქცევიდან ანუ რეპროდუქციის დროიდან გამოყავს 17.
—, —, ძირითადი კაპიტალის ხანგრძლივობა 41, 42.
—, —, ხანგრძლივობის ხარისხის სხვადასხვაობის მოქმედება 23 და შ.
რ ი კ ა რ დ ო: მალთუსის შესახებ 44.
—, მეცნიერებისათვის მისი ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს კლასთა ეკონომიურ წინააღმდეგობის გამომჟღავნებაში 4.
—, მეცნიერულად მიუდგომელი და ობიექტიურია 291, 293, 294.
—, მეცნიერული დაუნდობლობა მისი კეთილსინდისიერი და მეცნიერულად მართებულია 291, 292.
—, მისი კვლევის წესის ისტორიული გამართლება, ხოლო მეცნიერული არასაკმარისობა 2, 4, 5.
—, მისი ნაწარმოების შემცდარი არქიტექტონიკა, როგორც შედეგი მისი გამოკვლევის ცალმხრივი წესისა 4, 5 და შ.; 121.
—, მიწათმოქმედება პროგრესიულად არაპროდუქტიული ხდება 242.
—, მიწის კაპიტალისტური კულტურის დასაწყისის შესახებ 280.
რ ი კ ა რ დ ო, მიწის რენტა: აბსოლუტურ რენტას უარყოფს თეორიის გულისათვის 301, 302, 303.

რ ი კ ა რ დ ო, მიწის რენტა: ანდერსონის რენტის თეორია უმნიშვნელოვანეს რგოლად გახადა პოლიტიკური ეკონომის საერთო სისტემაში და ახალი თეორიული მნიშვნელობა მისცა, თუმცა ანდერსონს იგი არ იცნობდა, ვინაიდან ვესტსა და მალთუსს ისე უყურებს, როგორც მიწის რენტის კანონის აღმომჩენელთ 287, 288.

—, —, „არ წარმოადგენს რაიმე ახალის შექმნას, არამედ ის არის მხოლოდ არსებული სიმდიდრის გადაცემა" 94.

—, —, არკვევს განსხვავებული მიწის რენტათა არსებობას და მიწის საკუთრებას ეკონომიურ ეფექტს უკარგავს 242.

—, —, აღიარებს მხოლოდ დიფერენციალურ რენტას 302 და შ.

—, —, აყენებს კანონს მოგებისა და რენტის შებრუნებულ შეფარდებაში ყოფნის შესახებ 216.

—, —, გამოაშკარავება რიკარდოს მიწის რენტის კანონისა 245, 255, 258.

—, —, დაკავშირება მიწის რენტისა მის ღირებულების თეორიასთან 178.

—, —, დებულებები რენტის თეორიის შესახებ 50, 54, 55.

—, —, თეორია რიკარდოსი ანდერსონის რენტის რეპროდუქციაა 301.

—, —, კაპიტალის მიერ შექმნილი მიწის საწარმოო ძალა შემდეგში თანაემთხვევა მის ბუნებრივ საწარმოო ძალას—ადიდებს მიწის რენტას 284.

—, —, მიწის რენტის ნორმის გადიდება მისთვის პრობლემაა 259.

—, —, მიწის რენტის განსაზღვრისათვის ბურჟუაზიულ წარმოებას გულისხმობს 284.

—, —, მოგების ნორმის დაცემა და მიწის რენტის სიმაღლის აწევა, როგორც შედეგი მიწათმოქმედებაში დაბანდებული კაპიტალის კლებადი პროდუქტიულობისა 263.

რ ი კ ა რ დ ო, მიწის რენტა: მოგების ნორმის დაცემას და მიწის რენტის აწევას ერთი მეორეთი ხსნის 236.

—, —, მცდარი დასკვნა: ნაყოფიერი მიწის ნაკვეთების კონკურენციამ ნაკლებად ნაყოფიერი ნაკვეთები დამუშავების გარეშე უნდა დასტოვოს მაშინაც კი, თუ ისინი წინათ რენტას იძლეოდნენ 301.

—, —, მცდარი წარმოდგენა რიკარდოსი მიწის რენტაზე და ყალბი კანონები მოგების შესახებ წარმოსდგება იქიდან, რომ იგი ზედმეტ ღირებულებას არ ანსხვავებს მოგებისაგან 65.

რ ი კ ა რ დ ო: მიწის ღირებულების აწევა მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს 259.

რ ი კ ა რ დ ო, მოგება: 8 და 7.; 23 და შ.

—, —, აბსოლუტურ მოგებას და მოგების ნორმას ერთმანეთისაგან ანსხვავებს 142.

—, — არათანასწორობა მოგებისა ერეკება კაპიტალს წარმოების ერთი დარგიდან მეორეში 145.

—, —, ბუნება მოგებისა გაუგებარი დარჩა რიკარდოსათვის 125.

—, —, თითონვე უარყოფს მოგების შესახებ მთელ თავის თეორიას, რომელიც დამყარებულია ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ნორმის გაიგივებაზე 143.

—, —, მოგების დაცემა 79.

რ ი კ ა რ დ ო, მოგების ნორმა: და მასა 137 და შ.

—, —, ერთსადაიმავე სარეწაო დარგში შეუძლებლად თვლის მოგების სხვადასხვა ნორმის არსებობას 92, 93.

—, —, ზოგჯერ რიკარდო იმ ვულგარულ შეხედულებაში ვარდება,

რომლის მიხედვითაც მოგება უბრალო დამატებაა საქონლის ღირებულებაზე 138.

რ ი კ ა რ დ ო, მოგების ნორმა: მცდარი გაგება მოგების ნორმისა 150, 151.

—, —, მუშის მოხმარებაში შემავალ საქონელზე გადასახადს ტენდენცია აქვს დასწიოს მოგების ნორმა 100.

—, —, საგარეო ვაჭრობის და ბაზრის გაფართოებას არ შეუძლია მოგების ნორმის აწევა 91.

რ ი კ ა რ დ ო, მოგების საერთო ნორმა: 145 და შ.

—, —, აწესრიგებს წარმოების ფასებს 38.

—, —, მისი განსაზღვრის გზა რიკარდოს გადაჭრილი აქვს 139.

—, —, ნედლი პროდუქტის საერთო დაცემა ფასში მაღლა სწევს მოგების საერთო ნორმას 141.

—, —, საგარეო ვაჭრობაში მიღებული დიდი მოგება ქვეყნის შიგნით არ სწევს მაღლა მოგების საერთო ნორმას 90, 91.

—, მუშას მის სოციალურ ურთიერთობაში იხილავს 129.

—, „პროლეტარიატი“ სიმდიდრის მსხვერპლადაა მიტანილი 293.

—, რეალური ხელფასის შესახებ (იხ. რიკარდო, ხელფასი, რეალური).

—, საგარეო ვაჭრობა 133, 134, 135, 150, 151.

—, სამუშაო დღე მისთვის განსაზღვრული მუდმივი ოდენობა და გამოსავალი წერტილია 118, 122, 126.

—, სეის წინააღმდეგ 93.

—, სმიტის გავლენას განიცდის 65, 67.

—, და მიგვითითებს მასზე როგორც თავის გამოსავალ წერტილზე 2.

—, ტექნიკური პროგრესის (improvement) არსებითი თვისების შესახებ 129, 132, 135.

რ ი კ ა რ დ ო, ფასი: ბუნებრივი ფასი 59, 60, 61, 64, 150.

—, —, ბუნებრივი ფასი შრომისა იზრდება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასის აწევასთან ერთად 131.

რ ი კ ა რ დ ო, ფასი: საბაზრო 55 და შ.

—, —, საბაზრო და ბუნებრივი ფასი 59, 60, 61, 93, 94.

—, —, საბაზრო ფასების წარმოების ფასებამდე დაყვანა კონკურენციის მეოხებით წარმოების სხვადასხვა დარგებში 59, 60.

—, —, საქონელთა ფასებზე და ძირითად და საბრუნავ ანუ ხანგრძლივ და წარმავალ კაპიტალად დაყოფის გავლენა 101.

—, —, საქონელთა ფასების განსხვავება საქონელთა ღირებულებათაგან, რამდენადაც ისინი მოგების საერთო ნორმით განისაზღვრებიან 75.

—, —, წარმოების ფასები და საქონლის ღირებულებანი 15, 16, 24 და შ.

—, —, წარმოების ფასების ვარიაცია შრომის ხელფასის ღირებულების ცვლილების გამო 41.

—, —, წარმოების ფასსა და ღირებულებას ერთმანეთში ურევს 15, 45, 56, 61, 65, 131, 137, 305.

—, —, და მათ შორის არსებულ განსხვავებას ვერ ანვითარებს 44.

—, —, ფული: იუმის თეორიის რეპროდუქცია 301.

—, —, მისი ბუნების მცდარი გაგება 151.

—, —, მცდარი თეორია ფულის შესახებ, როგორც შედეგი იმისა, რომ რიკარდო შრომის ხასიათს, როგორც ღირებულების შემქმნელისა, არ იკვლევს 1.

—, —, ფულის დაცემას ღირებულებაში თან უნდა ახლდეს მისი უსაზღვრო სიჭარბე ყოველ ბაზარზე 101.

—, —, ფულის ღირებულების ცვლილება მოგების ნორმის შეცვლას არ იწვევს 139, 140.

—, —, ღირებულება: განისაზღვრება არა მარტო იმ შრომით, რო-

მელიც უშუალოდ საქონელზე იხარჯება, არამედ იმ შრომითაც, რომელიც მის დამხმარე ხელსაწყოებსა, სამუშაო იარაღებსა და შენობებშია განხორციელებული 1, 12, 107.
რ ი კ ა რ დ ო, ღირებულება: განსხვავდება სიმდიდრისაგან 124, 125.
—, —, გულისხმობს, რომ საქონელი იყიდება მისი ღირებულების მიხედვით 174, 175.
—, —, იკვლევს ღირებულების სიდიდეს 1.
—, —, მისი უცვლელი საზომის შესახებ 48.
—, —, როგორც საფუძველი და გამოსავალი წერტილი ბურჟუაზიული სისტემის შინაგანი კავშირის გაგებისა 3.
—, —, როგორც სხვა დოვლათთა შეძენის უნარი 8.
—, —, საქონლის მთელი ღირებულება მოსაქმეობაში ჩაბმულ პირთა შრომიდან გამოყავს 130.
—, —, საქონლის საცვლელ ღირებულებას განსაზღვრავს არა სამუშაო დროის ის მცირედი რაოდენობა, რომელიც საკმარისია მის საწარმოებლად უმცირესობისათვის ხელსაყრელ და ხელმისაწვდომ პირობებში, არამედ შრომის ის მეტი რაოდენობა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოყენებულ იქნას მათ მიერ, ვინც მის წარმოებას მეტად არახელსაყრელ პირობებში განაგრძობს 50.
რ ი კ ა რ დ ო, ღირებულება, აბსოლუტური: 10, 12.
რ ი კ ა რ დ ო, ღირებულება, ზედმეტი: აბსოლუტურ ზედმეტ ღირებულებას არ იკვლევს 118.
—, —, —, აიგივებს მოგებასთან 92, 114, 115, 137.
—, —, —, და მოგების საერთო ნორმასთან 146, 147, 151.
—, —, —, ანგარიშობს მას ანუ ზედმეტ შრომას არა მარტო ცვალებად კაპიტალთან, არამედ მთელ ავანსად გაღებულ კაპიტალთან შეფარდებით 139.
რ ი კ ა რ დ ო, ღირებულება, ზედმეტი: ვერ იგებს მის წარმოშობას 114.
—, —, —, ვერ უკეთებს მას ფიქსაციას მის განსხვავებაში მისივე ფორმებისაგან — მოგების, რენტის და სარგებლისაგან — 8, 88, და შ.
—, —, —, იძლევა შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების განვითარებას 122, 123, 127, და შ.
—, —, —, მიწათმოქმედების ზედმეტი ღირებულება გამოყავს მიწის არა უფრო დიდი ნაყოფიერებიდან, არამედ მისი უფრო დიდი უნაყოფობიდან 242, 243.
რ ი კ ა რ დ ო, ღირებულება, რეალური: 10, 12.
რ ი კ ა რ დ ო, ღირებულება, შეფარდებითი: 8, 9, 10, 12, 130, 131.
—, —, —, განიცდის ცვლილებას „კაპიტალთა ხანგრძლივობის სხვადასხვა ხარისხის გამო“ ანუ „იმ დროის სხვადასხვაობის გამო, რომელმაც უნდა განვლოს, სანამ საქონლის ბაზარზე გატანა შესაძლებელი გახდებოდეს“ 29, 30, 31.
—, —, —, ექვემდებარება მოდიფიკაციას ძირითად და შრომის ხელფასზე დახარჯულ კაპიტალთა შეფარდების მიხედვით 304, 305.
—, —, —, თანასწორდება კონკურენციის მეოხებით 305.
რ ი კ ა რ დ ო, ღირებულება შრომის: და სამუშაო ძალის 107, 108.
—, —, —, არათანასწორობა შრომის

ღირებულებისა და შრომის რაოდენობისა მისთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება 104, 105.
რ ი კ ა რ დ ო, ღირებულება შრომის: განსაზღვრა შრომის ღირებულებისა ანუ საშუალო ხელფასის არა ფულით და საარსებო საშუალებებით, რომელსაც მუშა იღებს, არამედ მისი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროით 112, 113.
—, —, —, გულისხმობს, რომ შეუძლებელია მოგების აწევა შრომის ღირებულების დაუცემლად, რადგანაც შრომის ღირებულების არავითარი აწევა არ შეიძლება მოგების დაცემის გარეშე 38.
—, —, —, ის გარემოება, რომ პროდუქტის ღირებულება უფრო დიდია, ვიდრე შრომის ხელფასის ღირებულება, რიკარდოსთვის გაუგებარი რჩება 115.
—, —, —, შრომის ღირებულების ვარიაციათა გავლენა ოქროს წარმოების ფასებზე 45.
—, —, — წარმოების ფასებზე შრომის ღირებულების ცვლილების გავლენა 43.
რ ი კ ა რ დ ო: შრომას და სამუშაო ძალას ერთმანეთში ურევს 112.
—, შრომის პროდუქტიულობის გულისათვის დაუნდობელია ცალკე კლასთა ინტერესების მიმართ 292.
—, შრომის ხელფასი (იხ. რ ი კ ა რ დ ო, ხელფასი).
—, წარმოების კაპიტალისტურ წესს ყველაზე უფრო ხელსაყრელად სთვლის სიმდიდრის შესაქმნელად 291.
რ ი კ ა რ დ ო, ხელფასი: ბუნებრივი ფასი შრომისა აუცილებლად იზრდება საარსებო საშუალებათა ფასების აწევასთან ერთად და ეცემა მათ დაცემასთან ერთად 131, 132, 133.
რ ი კ ა რ დ ო, ხელფასი: შრომის ხელფასის აწევის ან დაცემის გავლენა კაპიტალის მოგებაზე 100, 130, 131, 132, 133, 134.
რ ი კ ა რ დ ო, ხელფასი: და საქონელთა წარმოების ფასები 36, 37, 38, 39, 40, 46.
რ ი კ ა რ დ ო, ხელფასი, რეალური: 135, 136.
—, —, —, განსხვავება ნომინალურ და რეალურ ხელფასს შორის 109.
რ ი კ ა რ დ ო, ხელფასი, შეფარდებითი: მისი ბუნება 135, 136.
რ ი კ ა რ დ ო, ხორბლის თავისუფალი იმპორტის დროს მიწის საკუთრება წარმოების განვითარებას მსხვერპლად ეწირება 292.
R i c a r d o, D. (იხ. აგრეთვე რ ი კ ა რ დ ო, დ.) „An Essay on the Influence of a low Price of corn on the Profits of Stock etc.". 2nd. ed. ლონდონი 1815 წ. 292.
—, „On Protection to Agriculture" 4 th. ed. ლონდონი 1822 წ. 292.
—, „Principles of Political Fconomy". 3 rd. ed. VI, VII, 278, 293.
რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი: VI, VII, VIII, 152, 153, 160, 161, 166, 169, 172, 192, 194, 196 — 217, 220, 222, 224, 225, 227, 228, 230 — 241, 245, 251, 252, 258 — 260, 267, 268, 270 — 274, 276 — 286, 320.
რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი: აღიარებს კაპიტალისტების და მუშების არსებობის შესაძლებლობას „მიწის დამუშავებამდე" 280.
—, ზედმეტი ღირებულების შესახებ (იხ. როდბერტუსი, ღირებულება, ზედმეტი).
—, კაპიტალისტური წარმოების differentia specifica-ს, რომელიც მოცე

მულია ამ წარმოებაში უშუალოდ მონაწილე ყველა კლასების კაპიტალისტებსა და მუშებამდე დაყვანაშე› ვერ იგებს 276.

როდბერტუსი: მასალის ღირებულება არ შეაქვს მიწათმოქმედებაში 192, 203, 204, 217, 239, 251.

როდბერტუსი: მასალის ღირებულება არ შეაქვს მიწათმოქმედებაში და მას მხოლოდ მრეწველობის საკუთრებად ხდის 224.

როდბერტუსი, მიწათმოქმედება: განსხვავება მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის 208, 209.

—, —, ეკუთვნის წარმოების იმ სამრეწველო სფეროთა დარგს, რომელთა ცვალებადი კაპიტალი უფრო მაღალ შეფარდებაში იმფოფება მუდმივ კაპიტალთან, ვიდრე ამას ადგილი აქვს საშუალოდ სამრეწველო სფეროებში 240.

—, —, მანქანების ხარჯები არ შედის სამიწათმოქმედო პროდუქტის შრომის ხარჯების განსაზღვრაში 225.

—, —, მისი პროდუქტების პრივილეგიათ არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ ისინი მათი ღირებულების მიხედვით იყიდებიან, არამედ ეს ზოგადი კანონია ყველა საქონლისათვის 252.

—, —, მისი პროდუქტების საქონელთა სახით რეპროდუქციაში შესვლის უარყოფა 267.

—, —, მოიჯარადრის ანგარიშში თესლი არ შედის როგორც კაპიტალის ხარჯების განსაკუთრებული მუხლი 320.

—, —, „სოფლის მეურნეობა არ საჭიროებს მისი წინამორბედი წარმოების პროდუქტებს მასალად, არამედ იგი თვით იწყებს პირველად წარმოებას“ 161, 200, 201.

როდბერტუსი, მიწის რენტა: 160 და შ.

როდბერტუსი, მიწის რენტა: აზრთა მსვლელობა და დებულებანი მიწის რენტის ახსნასთან დაკავშირებით 196 და შ.

—, —, გაგება მისი, როგორც მთელი ზედმეტი ღირებულებისა 152.

—, —, და გამოანგარიშება აკრისა და არა კაპიტალის მიმართ 234, 235, 267.

—, —, გამომდინარეობს კაპიტალისტური წარმოების მარადიული ბუნებიდან 258.

—, —, მიწის რენტა: განსაზღვრული პროპორციით მონაწილეობს სამიწათმოქმედო პროდუქტის ზედმეტ ღირებულებაში 222.

—, —, იწევს მაღლა მზარდი მოსახლეობის გამო ნედლი პროდუქტების ღირებულების აუწევლად 234.

—, —, „იჯარა თავისი ბუნების მიხედვით მუდამ მიწის რენტას წარმოადგენს“ 211.

—, —, იჯარა და მიწის რენტის სიმაღლე გამოყავს მათი შეფარდებიდან მიწის განსაზღვრულ ნაკვეთთან 212.

—, —, მისი ნორმის გამოანგარიშებას აკრისა და მორგენის საშუალებით აწარმოებს, რის გამოც საგნის გარეგანი ფორმა საგნის არსებად იქცევა 212.

—, —, მისი სიმაღლე პროდუქტის მოცემული ღირებულების პირობებში შებრუნებულ შეფარდებაშია შრომის ხელფასის სიმაღლესთან და პირდაპირ შეფარდებაში—შრომის პროდუქტიულობის სიმაღლესთან 213 და შ.

—, —, მოგების და რენტის შებრუნებული შეფარდება 216 და შ.

—, —, მოგების ნორმის დაცემისა და მიწის რენტის აწევის ერთიმეორეთი ახსნა 236.

—, —, ნორმა რენტისა დამოკიდებუ-

ლია გამოყენებული შრომის მასაზე მოცემული პროდუქტიულობის დროს 231 და შ.

რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი, მიწის რენტა: რენტა ნაწილდება ნედლი პროდუქტისა და სამრეწველო პროდუქტის ღირებულებასთან შეფარდებით 160, 198, 199.

—, —, რენტა შედეგია იმისა, რომ სოფლის მეურნეობა, განსხვავებით მრეწველობისაგან არ საჭიროებს მასალად მისი წინამორბედი წარმოების პროდუქტს, არამედ იგი პირველად იწყებს წარმოებას 161.

რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი, მიწის რენტა: რენტის სიმაღლის ისეთი საზომით გაზომვა, რომლითაც საკითხის სიძნელეს გვერდი ეხვევა 223.

—, —, სამიწათმოქმედო პროდუქტი, რომელიც თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება, გარდამეტ მოგებას, მიწის რენტას იძლევა 240, 241.

—, —, უდრის გადაუხდელ შრომას ანუ პროდუქტთა რაოდენობას, რომელშიდაც ეს გადაუხდელი შრომა გამოიხატება 152, 153.

—, —, უსაზღვრო ზრდა რენტისა 235.

—, —, ყოველი კაპიტალი, რომელიც მიწათმოქმედებაში საშუალო მოგებას იძლევა, რენტას უნდა იძლეოდეს 251.

—, —, შრომის პროდუქტის ის ნაწილი, რომელსაც მუშას ართმევენ, ნაწილდება მიწის რენტად და კაპიტალის მოგებად 196.

—, —, მიწის ღირებულება: 212, 259.

—, —, იგი არის მხოლოდ სარგებლის განაკვეთის მიხედვით კაპიტალიზაციაქმნილი მიწის რენტა 235, 236.

რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი, მოგება: კაპიტალის მოგება არ შეიძლება ოდესმე უდრიდეს 100 პროცენტს, კიდევაც რომ ნედლი პროდუქტის ღირებულების დაწევის გამო მიწის რენტა სრულიად მოიხსნას 234.

რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი, მოგების ნორმა: დამოკიდებულია მხოლოდ ზედმეტი ღირებულების ნორმაზე და ეს უკანასკნელი განისაზღვრება შრომის პროდუქტიულობით 231 და შ.

—, —, მას და სარგებლის ნორმას „კაპიტალის მოგების და სარგებლის სიმაღლეს“ უწოდებს 212.

—, —, საზღვრავს მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმით 232.

რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი, მოგების ნორმა: წესი მისი შექმნისა 197.

რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი, მოგების საერთო ნორმის: მოწესრიგება 166, 167 და შ.

—, —, და წარმოების ფასის გაუგებლობა 211.

რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი: მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მანქანებიდან შესდგება 227, 239.

—, პომერანელი მემამულისებურად მსჯელობს და პომერანიისა და ინგლისის საწარმოო ურთიერთობებს გულუბრყვილოდ ერთმანეთში ურევს 280, 281, 282, 283.

—, რიკარდოს შესახებ 271 და შ.

—, საგანზე გერმანელი მემამულის წარმოდგენა აქვს 197.

—, სამი ფორმულა კაპიტალის მოგებისა და მიწის რენტის სიმაღლის ასახსნელად 213 და შ., 216 და შ., 231 და შ.

—, „ქონების შემოსავალი არ შეიძლება სხვა რამეზე იქნას გამოანგარიშებული, თუ არ კაპიტალზე“ 197.

რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი, ღირებულება: არ ანსხვავებს მას წარმოების ფასისაგან 240, 252.

—, —, და საშუალო ფასი ერთმანეთს ფარავს 172.

—, —, მრეწველობაში და მიწათმოქმედებაში შემავალი მუდმივი კაპი-

ტალის ნაწილი მანქანებისა და სხვ. სახით არ მიაჩნია ღირებულების შემადგენელ ნაწილად 239.
როდბერტუსი, ღირებულება: ნედლი მასალის ღირებულებას არა სთვლის მიწათმოქმედებაში შემავალად 203, 204, 251.
—, —, ნედლი პროდუქტის მაღალი ღირებულება იწვევს მაღალ მიწის რენტას და კაპიტალის დაბალ მოგებას 230, 231.
—, —, პროდუქტის ღირებულების დანაწილებას და პროდუქტის დანაწილებას ერთმანეთში ურევს 272, 273, 274.
როდბერტუსი, ღირებულება: პროდუქტის ღირებულების სიმაღლე, როგორც პროდუქტის შეფარდება სამუშაო დროსთან 214.
—, —, სამრეწველო პროდუქტის მაღალი ღირებულება იწვევს კაპიტალის მაღალ მოგებას და დაბალ მიწის რენტას 230, 231.
—, —, საქონელთა ერთი მეორეზე ვაცვლა სწარმოებს მათი ღირებულების მიხედვით 202, 203.
—, —, ღირებულების ცნებას რიკარდოსაგან იღებს 169.
როდბერტუსი, ღირებულება, ზედმეტი: განუსხვავებლობა მისი მისავე სპეციალურ ფორმათაგან, განსაკუთრებით მოგებისაგან 206.
—, —, ნორმა ზედმეტი ღირებულებისა განისაზღვრება შრომის პროდუქტიულობით 231 და შ.
—, —, სხვადასხვა საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულებანი პირდაპირ შეეფარდებიან ღირებულებებს 199, 200.
—, —, შებოჭილია წინაკაპიტალისტური შეხედულებებით 277.
—, „შრომის პროდუქტის“ ის ნაწილი, რომელსაც მუშას ართმევენ, ნაწილდება მიწის რენტად და კაპიტალის მოგებად 196.
როდბერტუსი: შრომის ხელფასს საზღვრავს ისეთ ხელფასად, რომელიც უდრის „აუცილებელი არსებობის ჯამს, ე. ი. უდრის განსაზღვრული ქვეყნისა და დროის განსაზღვრული პერიოდისათვის პროდუქტების თითქმის თანასწორ, განსაზღვრულ რეალურ რაოდენობას“ 214.
—, შრომის ხელფასისა და მოგების შებრუნებულ შეფარდების აბნეულად გადმოცემა 214, 215.
Roscher, Wilhelm (იხ. აგრეთვე: როშერი, ვ.). „Die Grundlagen der Nationalökonomie“. მე-3 გამოცემა, 1858. 297.
როშერი, ვილჰელმ ფ. (იხ. აგრეთვე: Roscher, W.): ბუნებას, როგორც ასეთს, ღირებულება აქვს 305.
—, თავგამოდებით იბრძოდა რიკარდოს თეორიისათვის 306.
—, მისთვის არ არსებობს როდბერტუსი როგორც მიწის თეორეტიკოსი, რადგანაც იგი „კომუნისტია“ 300.
—, ულმობელად ეპყრობა მეცნიერებას როგორც პედანტი 300.
—, უხეშად აყალბებს ისტორიას 299, 300.
—, ღირებულება არ ესმის 305.

საბაზრო ღირებულება (იხ. ღირებულება, საბაზრო).
საბრუნავი კაპიტალი (იხ. კაპიტალი, საბრუნავი).
Say, Jean-Baptiste (იხ. აგრეთვე სეი, ჟ. ბ.): 2, 4, 65, 93, 107, 108, 306.
სამუშაო დღე: მზარდ სიდიდეს წარმოადგენს, სანამ ნორმალური სამუშაო დღე ბრძოლით მოპოებული არაა 117.
—, მისი ერთი ნაწილი მიდის მუშის საარსებო საშუალებათა — მუშის საკუთარი სამუშაო ძალის ღირებულების — რეპროდუქციაზე 113, 114.
—, ნორმალური სამუშაო დღის გაგრძელება ამოკლებს მუშის სასიცოცხლო პერიოდს 118.

სამუშაო იარაღები: ნაკლები გამძლეობისა, წესრიგზე შენახვისა და რეპროდუქციისათვის მეტ სისტემატიურ და უშუალო შრომას საჭიროებენ 17.

სამუშაო ძალა: შორდება და უპირისპირდება შრომის იმ ობიექტიურ პირობებს, რომელნიც კაპიტალში დამოუკიდებელ არსებობას პოულობენ 126.

სარგებლის განაკვეთები: სიმპტომებია, რომელთა მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოგების ნორმის დაახლოებითი მდგომარეობის შესახებ 78.

საქონელი: არის კაპიტალისტური წარმოების როგორც წინაპირობა, ისე შედეგი 207.

—, არის ღირებულება, რამდენადაც მისი სუბსტანცია შრომაა 1.

—, იგი რომ თავისი ღირებულების მიხედვით იყიდებოდეს, მაშინ მოგების ნორმა სხვადასხვა სფეროებში მეტად სხვადასხვა იქნებოდა 170.

—, მისი გაცვლა ხდება არა მისი ღირებულების, არამედ ამ ღირებულებიდან განსხვავებული წარმოების ფასის მიხედვით 198.

საშუალო ფასი (იხ. ფასი, საშუალო).

საცვლელი ღირებულება (იხ. ღირებულება, საცვლელი).

ს ე ი, ჟ. ბ. (იხ. აგრეთვე Say, J. B.): 2, 4, 65, 93, 107, 108, 306.

ს ე ნ ი ო რ, ვ. ნ. (Senior, W. N.): V.

ს ი ს მ ო ნ დ ი (Sismondi): 291.

სოფლის მეურნეობა: განსხვავდება მრეწველობიდან იმით, რომ უკანასკნელში გარდამეტი ზედმეტი ღირებულება უფრო იაფი პროდუქტების საშუალებით იქმნება, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობაში იგი უფრო ძვირი პროდუქტების შედეგია 155.

ს მ ი ტ ი, ა დ ა მ (იხ. აგრეთვე S m i t h, A d a m): VII, 2, 3, 4, 7, 45, 46, 58, 59, 61, 64 — 88, 102 — 107, 110 — 112, 114, 122, 123, 127, 130, 135, 137, 147, 150, 169, 272, 273, 278, 301, 320.

ს მ ი ტ ი, ა.: ბურჟუაზიული სისტემის გამოკვლევას აწარმოებს ორი ერთი-მეორის საწინააღმდეგო წესით—ეგზოტერიული და ეზოტერიული 2, 3, 7.

—, განიცდის რამოდენიმედ მალთუსის გავლენას 74.

—, ეხება მოსახლეობის თეორიას 74, 75.

—, კაპიტალთა კონკურენციის გავლენა მოგებაზე 79, 80, 150.

—, კაპიტალის დაგროვებას ქალაქად საშუალო საუკუნოებში ვაჭრებისა და ხელოსნების მიერ სოფლის ექსპლოატაციის შედეგად თვლის 83.

—, კაპიტალის მუდმივ ნაწილს ივიწყებს, როგორც ღირებულების შემადგენელ ნაწილს 273.

—, კონკურენციის მოჩვენებით თვალსაზრისზე დგას 69.

ს მ ი ტ ი, მოგება: 78 და შ.

—, —, და რენტა გამოყავს ზედმეტი შრომიდან და ხსნის შრომის პროდუქტის დანაწილებიდან 272.

—, —, ესმის როგორც ფასის დამატება 81.

—, —, კაპიტალთა მატებასთან ერთად მოგება ეცემა და მის დაცემასთან ერთად იგი იზრდება 79, 80.

—, —, კაპიტალთა მზარდი კონკურენცია, გამოწვეული მათი დაგროვებით, მოგებას ამცირებს 150.

—, —, კაპიტალის დიდი მოგების და შრომის მაღალი ხელფასის ერთად არსებობა შესაძლებელია მხოლოდ ახალი კოლონიის ურთიერთობებში 79.

—, —, მაღალი და დაბალი ნორმები მოგებისა 80.

—, —, მაღალი მოგების ახსნა რიკარდოს მსგავსად 79.

—, —, მოგებათა გადიდება მოქმედობს როგორც სარგებლის სარგებელი 81.

—, —, სახავს მას ზედმეტი ღირებულების უბრალო ფორმად 72.

—, —, შრომის პროდუქტის დანაწილე-

ბიდან მოგების, რენტის და შრომის ხელფასის ახსნა 272.
ს მ ი ტ ი, ა.: პოლიტიკური ეკონომია განვითარდა ერთ მთლიანობად სმიტის სახით 2.
—, რენტას: ზედმეტი ღირებულების უბრალო ფორმად სახავს 72.
—, —, და მას შრომის პროდუქტის დანაწილებიდან ხსნის 272.
—, სარგებლის განაკვეთების შესახებ 78, 79.
—, ფასი: ამტკიცებს, რომ შრომის ფასის აწევა ყოველთვის იწვევს ყველა საქონლის ფასების აწევასაც 130.
—, —, ბუნებრივი ანუ წარმოების ფასის შესახებ 67, 68, 70, 71, 72, 87.
—, —, ბუნებრივ ფასს ანუ წარმოების ფასს აიგივებს საქონლის ღირებულებასთან, იმიტომ რომ იგი უარყოფს თავის სწორ შეხედულებას ღირებულებაზე და მას კონკურენციის გარეგანი მოვლენებით ნაკარნახევი შეხედულებებით ცვლის 67, 87.
—, —, საქონლის ფასი ხელფასთა და მოგებათა ღირებულებათაგან იქმნება 81.
—, —, წარმოებისა და საბაზრო ფასების შესახებ 65 და შ.
—, —, წარმოების ფასის განსხვავება საბაზრო ფასისაგან 70.
—, ქალაქის და სოფლის ურთიერთობანი: 84, 85.
—, ქალაქის სამრეწველო მოსაქმეობის უპირატესობა არ მიეწერება მარტო ამქრებს და მათ წესებს, მას ხელს უწყობს უამრავი სხვა დაწესებულებანი 86.
—, ქალაქის სამრეწველო მოქმედების უპირატესობა დიდ-ბრიტანეთში 87.
—, ქალაქის სარეწაონი ამქრული წესითაა შეკავშირებული, სოფელი კი — მის მცხოვრებთა დაფანტულობის გამო — მოკლებულია ასეთ კავშირს 85.
—, ქალაქის შრომის ნაკლები რაოდენობა სოფლის შრომის მეტი რაოდენობის პროდუქტს ყიდულობს 84, 85.
ს მ ი ტ ი, ღირებულება: ანვითარებს ზედმეტი ღირებულების ბუნებას, მოგებას და რენტას კი მის უბრალო ფორმებად სახავს 72.
—, —, პროდუქტის მთელ ღირებულებას შრომის ხელფასსა, მიწის რენტასა და კაპიტალის მოგებად შლის და ამით მუდმივ კაპიტალს ივიწყებს, როგორც ღირებულების შემადგენელ ნაწილს 273.
—, —, საქონლის ბუნებრივი და საბაზრო ღირებულება 67.
—, —, საქონელთა ღირებულების განსაზღვრას მათ საწარმოებლად საჭირო შრომის შეფარდებითი რაოდენობით და შრომის ღირებულებას ერთმანეთში ურევს 102.
—, —, საქონლის ღირებულების განსაზღვრას შრომის ხელფასით უარყოფს თავისი თეორიით, რომლის მიხედვითაც საქონლის ღირებულება მასში მოთავსებული შრომის რაოდენობით განისაზღვრება 77, 78.
—, —, საცვლელი ღირებულების არევა ანუ გაიგივება წარმოების ფასთან ანუ ბუნებრივ ფასთან 67.
—, —, საცვლელი ღირებულების შემქმნელად აღიარებს შრომის ხელფასს, მოგებას და რენტას 66, 67.
—, —, ღირებულების სხვა საზომი, გარდა საქონელში მოთავსებული შრომის რაოდენობისა 103, 111, 112.
—, —, ყოველი ღირებულების სამი თავდაპირველი წყარო — ხელფასი, მოგება და რენტა 66.
—, —, შრომის ღირებულებისა და შრომის რაოდენობის შესახებ 103, 104.
—, —, შრომის დანაწილებისა და მისი, საზარალო შედეგების შესახებ 85, 86.

სმიტი. შრომის ხელფასი: ბუნებრივი ნორმა 72, 73.
—, —, იკვლევს შეფარდებას, რომელიც არსებობს შრომის ხელფასსა და საარსებო საშუალებათა ფასს შორის 76, 77.
—, —, იკვლევს შრომის ხელფასს და მოგებას კაპიტალის და შრომის გამოყენების სხვადასხვა დარგებში 81, 82.
—, —, ილაშქრებს იმ შეხედულების წინააღმდეგ, თითქოს „რამოდენიმედ მეტ კეთილდღეობას შეეძლოს მუშების გაზარმაცება“ 76.
—, —, იცავს მაღალ შრომის ხელფასს 76.
—, —, ლიტერატორების, იურისტების, ჯარისკაცების, მეზღვაურების და სარწმუნოების მსახურთა ხელფასის შესახებ 81, 82.
—, —, მას, ისევე როგორც მოგებას და რენტას, არკვევს საქონლის ღირებულებისაგან დამოუკიდებლად 87.
—, —, მის არასწორ სტატისტიკურ გამოანგარიშებათა შესახებ მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და სხვ. საუკუნეებში 83.
—, —, მის სიმაღლეს ანვითარებს იქიდან, რომ „შრომის ხელფასი არ განიცდის საარსებო საშუალებათა ფასებთან ერთად რყევას მაღლა ან დაბლა“ 73.
—, —, შრომის პროდუქტის დანაწილებიდან შრომის ხელფასის ახსნა 272.
Smith, Adam (იხ. აგრეთვე სმიტი, ა.). „Wealth of Nations“. 1776 წ. VIII, 67, 106, 286.
სტირლინგი (Stirling) 176.
Steuart, James (იხ. აგრეთვე სტიუარტი, ჯემს). 83, 286, 288, 301.
სტიუარტი, ჯემს (იხ. აგრეთვე Steuart, James) 83, 286, 288, 301.
ტოუნსენდი (Townsend) 288, 295.
ტუკი (Tooke) 288.

უედი (იხ. აგრეთვე Wade) 158.
უეკფილდი, ე. გ. (იხ. აგრეთვე Wakefield, E. G.): შენიშვნა მის მიერ გამოცემულ ა. სმიტის წიგნის „Wealth of Nation“-ის პირველი ტომის გამოცემისადმი. ლონდონი 1835 წ. 106.
უოლესი (იხ. აგრეთვე Wallace) 295, 296.

ფასი: „ბუნებრივი“ 55, 57.
ფასი, საბაზრო: არის საბაზრო ღირებულება, გამოხატული ფულში, ისევე როგორც ფულში გამოხატული ღირებულება საერთოდ არის ფასი 52 და შ.
—, —, კონკურენციის მეოხებით იძულებით ტრიალებს წარმოების ფასის და არა ღირებულების ირგვლივ წარმოების სხვადასხვა დარგებში 61.
ფასი, სამიწათმოქმედო პროდუქტების: ფულადი ფასების აბსოლუტური აწევა შედარებით სამრეწველო პროდუქტების ფულად ფასებთან არ შეიძლება ახსნილ იქნას ფულის ღირებულების ცვლილებით 263.
—, —, ფულადი ფასების აწევა, ფულის ღირებულების უცვლელობის პირობებში, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თვით მათი ღირებულება მაღლა იწევს 190.
ფასი, საქონლის: რამდენადაც იგი განისაზღვრება მოგების საერთო ნორმით, ძლიერ განსხვავდება ღირებულებისაგან 44.
—, —, რომლის მიხედვითაც რენტის მომცემი საქონელი იყიდება, მეტს იძლევა კაპიტალის საერთო ნორმით განსაზღვრულ საშუალო მოგებაზე 179, 180.

ფასი, საშუალო 15.
—, —, საქონლის საშუალო (ანუ წარმოების ფასი) არ შეიძლება უდრიდეს მის ღირებულებას 178.
ფასი, ღირადობის 15.
ფასი, წარმოების: განისაზღვრება არა საქონლის ღირებულებით, არამედ მასში ავანსად გაღებული კაპიტალით პლიუს საშუალო მოგება 14, 15.
—, —, განსხვავება მისი საბაზრო ფასისაგან 15.
—, —, განსხვავებული საქონლის ღირებულებისაგან, წარმოსდგება საშუალო მოგებიდან 23.
—, —, და ღირადობის ფასი 15.
—, —, იგი მოჩვენებითი იქნებოდა, თუ ღირებულების განსაზღვრას არ მივიღებდით როგორც საფუძველს 34.
—, —, კონკურენციაში გვევლინება საბაზრო ფასების რეგულიატორად 87.
—, —, მისი არსებობა აიხსნება იმით, რომ თანასწორი სიდიდის კაპიტალები თანასწორ მოგებას იძლევიან 24.
—, —, საქონელთა ღირებულებისცვლილებასთან დაკავშირებით მისი დაწევა ან აწევა წარმოების სხვადასხვა სფეროებში 64.
—, —, საქონლის წარმოების ფასი არის მის წარმოებაში დაბანდებული ერთობლივი კაპიტალი (მუდმივი და ცვალებადი) პლიუს საშუალო მოგებაში მოთავსებული სამუშაო დრო 302.
—, —, შექმნა მისი არაა კაპიტალისტის თავისუფალი მოქმედება 186.
ფასი, ხორბლეულის: (იხ. ხორბლის ფასი).
ფიზიოკრატები 273.
ფ ო ნ - კ ი რ ხ მ ა ნ ი 152.
ფულის რელატიური ღირებულება: გამოხატულია ყველა საქონლის უამრავ ფასებში 48.
ფულის ღირებულების დაცემის წლები 1817 და 1818, 307.
Q u e s n a y, F. (იხ. კ ე ნ ე, ფ.) 192.
Q u i n c e y, Th. (იხ. აგრეთვე კ ვ ი ნ ს ი, თ.). „Dialogues of Three Templars on Political Economy chiefly in relation tho the principles of Mr. Ricardo“. London Magazine 1824. 136.
—, „The Logic of Political Economy. Edinburg“ 1844 წ. 137.

ღირებულება: მისი წარმოების ფასზე მაღლა დგომა ერთსადაიმავე სფეროში გვიჩვენებს კაპიტალის უფრო დიდ პროდუქტიულობას სხვა კაპიტალებთან შედარებით იმავე წარმოების სფეროში 250.
—, და სხვადასხვა სფეროთა შედარების დროს კი გვიჩვენებს იმ სფეროს უფრო დიდ უნაყოფობას, რომელიც გარდამეტ მოგებას—ღირებულების გარდამეტს წარმოების ფასზე—იძლევა, იქვე.
—, რიკარდო ღირებულების შესახებ (იხ. რ ი კ ა რ დ ო, ღირებულება).
ღირებულება, „აბსოლუტური“ 10.
ღირებულება, ზედმეტი: აბსოლუტური სიდიდე ზედმეტი ღირებულებისა არ იცვლება მისი გათანასწორებით წარმოების სხვადასხვა სფეროებში 34.
—, —, არ წარმოიშობა მიწის საშუალებით, რადგანაც ღირებულებას შრომა ქმნის 174.
—, —, არის გადაუხდელი შრომა 185.
—, —, განისაზღვრება დახარჯული შრომის მასით, თუ მოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმა, ხოლო ზედმეტი ღირებულების ნორმით, თუ მოცემულია გამოყენებული შრომის მასა 200.
—, —, და მოგება იდენტიური არიან

მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ერთობლივი კაპიტალი ცვალებადი კაპიტალისაგან შესდგება 137.
ღირებულება, ზედმეტი: და ღირებულების ნორმა 118, 119.
—, —, დამოკიდებულია,—ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის პირობებში,—ცვალებად კაპიტალზე 233.
—, —, დამოკიდებულია მხოლოდ უშუალო შრომაზე და არა ძირითადი კაპიტალის გაცვეთაზე და არც ნედლი მასალის ღირებულებაზე 200.
—, —, ვერ იარსებებდა, თუ შრომის პროდუქტიულობა მუშას იმაზე მეტ სამუშაო დროს არ დაუტოვებდა, რაც მისი საკუთარი რეპროდუქციისათვისაა საჭირო 232.
—, —, მის აწევის ან დაცემის კანონების გაიგივება მოგების აწევის ან დაცემის კანონებთან უაღრესი შეცდომაა 120.
—, —, მოგების რაიმე თეორიის არსებობა შეუძლებელია ზედმეტი ღირებულების გაგების გარეშე 89.
—, —, მრეწველობაში გარდამეტი ზედმეტი ღირებულება უფრო იაფი პროდუქტების საშუალებით იქმნება, ხოლო სოფლის მეურნეობაში კი იგი უფრო ძვირი პროდუქტების შედეგია 155.
—, —, წარმოსდგება მხოლოდ გამოყენებული ცოცხალი შრომის გადაუხდელი ნაწილის მითვისებიდან 26.
ღირებულება, ზედმეტი ღირებულების მასა: განისაზღვრება ორი ფაქტორით: იმავდროულად საქმეში ჩაბმული მუშათა რიცხვით და ზედმეტი შრომის ნორმით 92.
—, —, დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების ნორმაზე, თუ კაპიტალის ორგანიული შედგენილობა მოცემულია, იქვე.
ღირებულება, ზედმეტი ღირებულების მასა: დამოკიდებულია კაპიტალის ორგანიულ შედგენილობაზე, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია, იქვე.
—, —, თანასწორი სიდიდის კაპიტალებისა იგი სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, თუ როგორია ა) მათი ორგანიული შემადგენელ ნაწილების შეფარდება, ბ) მათი შემოტრიალების დრო და გ) შეფარდება, არსებული საკუთრივ საწარმოო პერიოდის ხანგრძლივობასა და თვით სამუშაო დროის ხანგრძლივობას შორის 169, 170.
—, —, მოცემული ნორმის პირობებში განსაზღვრული კაპიტალისათვის იგი დამოკიდებულია არა კაპიტალის აბსოლუტურ სიდიდეზე, არამედ გამოყენებული შრომის რაოდენობაზე 89, 90.
ღირებულება, ზედმეტი ღირებულების ნორმა: არათანასწორი სამუშაო დღის პირობებში და უცვლელი ზედმეტი ღირებულების დროს შეიძლება სხვა დასხვა იყოს 120.
—, —, დამოკიდებულია არა მარტო შრომის პროდუქტიულობაზე, არამედ გამოყენებული შრომის რაოდენობაზეც 232.
—, —, უდრის ზედმეტ ღირებულებას, გაყოფილს შრომის ღირებულებაზე ანუ ცვალებად კაპიტალზე 240.
ღირებულება, იმანენტური: 179, 184.
ღირებულება, ინდივიდუალური: 51, 52.
ღირებულება, რეალური: 60, 61.
ღირებულება, რელატიური: 16.
ღირებულება, საბაზრო: 52, 55, 56.
—, —, მისი საბაზრო ფასებად გადაქცევა 55, 56.
ღირებულება, საცვლელი: 9.
ღირებულება, სახმარი: შეიძლება გაიზარდოს შრომის ღირებულების დაკლების დროსაც 117.

ღირებულება, შეფარდებითი 9, 10, 14, 17, 22.
ღირადობის ფასი 14, 15.

შრომა: დანაწილება მისი ანვითარებს შრომის საზოგადოებრივ საწარმოო ძალას, მაგრამ ანვითარებს მუშის საერთო საწარმოო უნარიანობის ხარჯზე 86.
—, მისი ღირებულება და რაოდენობა „თანასწორი“ მნიშვნელობის „გამოთქმები“ რჩებიან, რამდენადაც საქმე გასაგნობრივებულ შრომას შეეხება, მაგრამ ისინი აღარ რჩებიან ასეთებად, როგორც კი გასაგნობრივებული შრომა და ცოცხალი შრომა ერთი მეორეზე იცვლება 104.
—, რაოდენობა და ღირებულება შრომისა ორი სხვადასხვა საგანია 102.
შრომის პროდუქტიულობის: განსაზღვრული განვითარება, როგორც წინაპირობა ზედმეტი შრომის არსებობისათვის 115.
—, მის პროგრესთან, რომელსაც კაპიტალის ზრდა თან ახლავს, კაპიტალს წილად ხვდება შრომის წლიური პროდუქტის შედარებით მუდამ დიდი ნაწილი 126.
შრომის ღირებულება 106, 107 და შ.
შრომის ხელფასი: ზედმეტი ღირებულების და შრომის ხელფასის შებრუნებული შეფარდება 128, 129.
—, იღებს ერთობლივი პროდუქტიდან მეტს ან ნაკლებს იმისდა მიხედვით, თუ როგორია შრომის პროდუქტიულობა 215.
—, მოგების და შრომის ხელფასის შებრუნებული შეფარდება 215.
—, იწევს ან ეცემა შებრუნებულ შეფარდებაში შრომის საწარმოო ძალის განვითარებასთან 129.
—, პირველყოფილ მდგომარეობაში შრომის ხელფასის მინიმუმი რაოდენობრივად, სახმარ ღირებულებათა მიხედვით, შეიძლება მეტად მცირე იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა ბევრი შრომა ღირდეს 116.
შრომის ხელფასი: რაც უფრო პროდუქტიულია ერთი ქვეყანა შედარებით მეორესთან მსოფლიო ბაზარზე, მით უფრო მაღალია იქ შრომის ხელფასი შედარებით სხვა ქვეყნებთან 154.
—, საშუალო ხელფასი მუშებისა სოფლის მეურნეობაში უფრო დაბლა დგას სამრეწველო მუშათა საშუალო ხელფასზე 154.
—, სმიტი, შრომის ხელფასის შესახებ (იხ. სმიტი, შრომის ხელფასი).
—, ღირებულება მისი არ განსაზღვრავს საქონელთა ღირებულებას, მაგრამ ღირებულება საქონლისა კი, რომელიც მუშის მოხმარებაში შედის, განსაზღვრავს შრომის ხელფასის ღირებულებას 64.
შრომის ხელფასი, რეალური 110, 127.
შტორხის კანონი: უნაყოფიერესი მიწის რენტა განსაზღვრავს იმ უკანასკნელი მიწის რენტას, რომელიც საერთოდ რენტას იძლევა 249.

Carey, H. Ch. (იხ. კერი, ჰ.). „The Past, the Present and the Future“. Philadelphia 1848 წ. 4, 324, 325.
ცვალებადი კაპიტალი (იხ. კაპიტალი-ცვალებადი).
Corbet, Th. (იხ. აგრეთვე კორბეტი, თ.) 52.

ძირითადი კაპიტალი (იხ. კაპიტალი, ძირითადი).

წარმოება, კაპიტალისტური: ემყარება ორი ფაქტორის—გასაგნობრივებული შრომის და ცოცხალი შრომის—დაპირისპირებას 275.
—, —, მისი განსაკუთრებული პირობები, რომლებშიც ცალკეული კაპიტალისტები აწარმოებენ, სამ კლასად იყოფა 51.
—, მის წესში მომხდარ ცვლილებათა

გავლენა მუდმივ და ცვალებად კაპიტალის შეფარდებაზე 96, 97.
წარმოება, კაპიტალისტური: ყველა მასში უშუალოდ მონაწილე. კლასების კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებამდე დაყვანა მის differentia specifica-ს შეადგენს 276.

ხელფასი, შრომის (იხ. შრომის ხელფასი).
ხორბლეულის შესახებ 1815 წლის კანონმდებლობა 298, 299.
ხორბლის ფასების მოძრაობა — 301, 306, 307, 308, 309 და შ.
ხორბლის ფასი ინგლისში 1797—1815 წ. 117, 118.

ჰალეტი (Hallett): სამიწათმოქმედო შრომის პროდუქტიულობის შესახებ 156, 157.
ჰერბერტი (Herbert) 295.
Hodgskin (იხ. ჰოდგსკინი). „The Natural and Artificial Rigth of Property contrasted etc." ლონდონი 1832 წ. 324.
ჰოდგსკინი (იხ. აგრეთვე Hodgskin): მოსახლეობის ზრდა და მიწის ფართობის შემცირება 324.
Hopkins, Th. (იხ აგრეთვე ჰოპკინსი). „Economical Enquiries relative to the Laws, which regulate Rent, Profit etc." ლონდონი 1822 წ. 196, 271, 322.
—, On Rent of Land and its Influence on Subsistance and Population". ლონდონი 1828 წ. 322.
ჰოპკინსი, თ. (იხ. აგრეთვე Hopkins, Th.) 177, 196, 271, 322, 323.
—, აბსოლუტური და დიფერენციალური რენტის შესახებ 271, 322, 323.
—, მიწის რენტას იხილავს, როგორც ზედმეტი ღირებულების თავდაპირველ ფორმას და მოგებას როგორც იქიდან გამომდინარეს 196.
Hume, D. (იხ. აგრეთვე იუმი, დ.) 110, 301.
Hume, I. D. (იხ. აგრეთვე იუმი, ჯ. დ.) „Thoughts on the corn Laws etc." ლონდონი. 1815 წ. 321.

---

# შემჩნეული შეცდომები.

| დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|
| გვ. 2 ზევიდან მე-19 სტრიქ. (Sey) | (Say) |
| „ 21 ზევიდან მე-15 „ ას ჰყავს | მას ჰყავს |
| „ 56 ქვევიდან მე-7 „ (l.c., გვ. 80 | (l. c., გვ. 80) |
| „ 57 ქვევიდან მე-8 „ პრინციპი, რომ | პრინციპი, რომ... |
| „ 145 ქვევიდან მე-15 „ მოგება საყოველთაოდ ეცემა და დიდის თანდათანობით | მოგება საყოველთაოდ ეცემა და დადის თანდათანობით |
| გვ. 186 ქვევიდან მე-7 სტრიქ. მფლობელთ კაპიტალისტებს | მფლობელ კაპიტალისტებს |
| „ 195 ზევიდან მე-9 სტრიქ. იდიდეს | სიდიდეს |
| „ 202 ქვევიდან მე-10 „ ზედმეტი ღირებულებანი არ შეეფარდებიან ერთმანეთს, ისე როგორც ღირებულებანი. | ზედმეტი ღირებულებანი არ შეეფარდებიან ერთმანეთს ისე, როგორც ღირებულებანი". |
| გვ. 267 ზევიდან მე-5 სტრიქ. დ'ავენანი | დ'ავენანტი |
| „ 304 ქვევიდან მე-13 „ პირიქით, თუ ვიცით, რომ წარმოების ფასები და ღირებულებანი იდენტიური არიან | პირიქით, თუ ვიცით, რომ წარმოების ფასები და ღირებულებანი იდენტიური არ არიან |